UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2022 / 1 / (43)

თბილისი
2022



***

გული შენი რწმენით ცოცხლობს,

დარდიანი ვეღარ მღერი,

გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,

ვცდილობ შევიყვარო მტერი!

გულნაზ ხარაიშვილი



ხატმწერები: გიორგი ლარიაშვილი
ხატია ლარიაშვილი
ირინა ხარჯვალაძე

ხატმწერები; გიორგი ლარიაშვილი
ხატია ლარიაშვილი
არჩილ სარჯველაძე



ხატმწერები; გიორგი ლარიაშვილი
ხატია ლარიაშვილი
არჩილ სარჯველაძე

მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,
შემოფრინდა ჩემში გაზაფხული,
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი



* * *

ზამთრის სუსხმა ხეთა კვირტი გადაყინა,
ვფიქრობ მაინც გაიშალოს ვარდები,
ნეტავ იქით, საზღვრის იქით გამიყვანა,
რომ მტერს ვუთხრა, რაც მაქვს გულში ნადები.

შევახსენო მეგობრობა წლების წინათ,
გავახსენო, ქრისტეს რჯულის ცნება,
ცას ვარსკვლავი ძველებურად რომ არ ბრწყინავს,
შევრიგდებით??? იყოს უფლის ნება!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

ვაჟა ეგრისელი

ვაჟა ეგრისელი მეშვიდე კი არა მერვე საოცრება

არ ახსოვს კაცობრიობას დედამიწაზე (ვინმე ჭკუათ-მყოფელს, თუნდაც გენიოსს), ზედიზედ ორ წელიწადში (2020-2021 წლებში) ასე ყოვლის მომცველი, ჯერ არ ნახული, ჯერ არ გაგონილი, (ხუთ-ექვსტრიქონიანი) ფილოსოფიური, მითოსური, რელიგიური, ლირიკული, სამასზე მეტ გვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული წიგნები გამოეცეს, როგორც გამომცემლობა ,,უნივერსალისა“ და პოეტ ვაჟა ეგრი-სელის ტომები.

P. S. 2020 წელს პოეტმა ვაჟა ეგრისელმა, საჩუქ-რად გადასცა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერე-ბათა საერთაშორისო აკადემიას კოლხური ფსალმუ-ნების 100-ტომეული. ხოლო, 2021 წელს „მწოლიარე ლექსების“ 50-ტომეული.

რისთვისაც **მადლობელი ვარ, მე როგორც აკა-დემიის პრეზიდენტი.**

გულნაზ ხარაიშვილი.

იოანეს სახარება

„პირველთაგან იყო სიტყვა“, –
ირწმუნეთ! –
თქვენს გახარებას.
და „ის სიტყვა იყო ღმერთი“,
ურწმუნოებს შეახსენებს,
იოანეს სახარება.

1958

ისტროსის და ნილოსის

ფაზისმა და ხობოსმა,
რადგან მოგილოგინეს,
კოლხეთზე მით ილოცეს...
შენც, ვით ფსევდოლონგინეს,
წყურვილი გკლავს
„რენოსის,
ისტროსის და ნილოსის“.

1970

ბატების გადაფრენა

ჟამს ცისკრისას მთვლემარე
ვარსკვლავები აყარეს,
როცა მათი საყანე,
ცის მინდვრები
ბატებმა
ჩუმად გადიყაყანეს.

1968

ხე

ჩემი ხეც, ვითა დავითის,
დახუნძლულია ნაყოფით,
მაგრამ ზედ ყველა
ვერ ავა! –
ტანმაღალიდა სქელი აქვს.
თუ უფლის მადლიც
არყოფნის,
„დასარხეველად“ ძნელია.

2020

ოდისევსივით

ყოფნას,
არყოფნა მუდამ თან ახლავს,
ისე, ვითარცა ოდით
მზეს სხივი.
თიბე დღეები, ვითა ბალახი,
სიკვდილის,
ვით კიკლოპს
გამოეპარე
ოდისევსივით.

1971

ორფეოსი

სისპეტაკეს ცა რომ ბარდნის,
სხვა ჟინით და
ხალისით.
ფიფქებიდან, დედამიწის
პირველ ბარდის*.
დიდი კოლხი ორფეოსის
ხმა ისმის.
1969

* ბარდი (კელტ.) – სახალხო მგოსანი – მომღერალი

მეგრულ-სვანურ-ლაზური

ქართლს და კახეთს
აჟრჟოლებს
წარსულიდან მდინარე
ხმა დაფდაფის და ზურნის
მაგრამ უკან აბრუნებს –
ხმალთა ელვა ზღვისკარად,
მეგრულ –
სვანურ – ლაზურის.
1984

ტყაში მაფა, ოჩო კოჩი

არა, სადღაც ჰიმალაის
დიდი მთები,
არც ანდები –
სადაც ტყეებია ნორჩი.
აგე,
მტკვრისპირს
მელანდება
ტყაში მაფა[1] და ოჩო კოჩი[2].
1964

[1,2] ტყის დედოფალი და ტყის მეფე.

კორსიკაში

შუბლშეკრული იმზირება
მაღალი ცა კორსიკის!
თითქოს ამბობს:
ეგონაო ბონაპარტეს –
„დამარცხება“,
სადღაც შორეთს,
მზის და მთვარის
ბორცვს იქით...
1983

***

სიბნელის მიღმა ისევ იელვებს,
ალბათ ჰორები
ცის დარბაზის კარებს
აღებენ,
დაღლილ სივრცეებს თვლემა ერევა,
მთვარე კუთხეში მიმჯდარა და
დედაბერივით
ქსოვს და ქსოვს დამეს,
ვარსკვლავების ყაისნაღებით.
1962

***

არ იქნება მტკვარი დაშრეს,
რადგან დამე მასში არ ჩანს,
ჩემს ერუშეთს,
ჭანეთს,
შავშეთს,
ოპიზას და ბებერ ანჩას –
ძველის-ძველი ნამეხარი,
გულს აჩნია, ვითარც აჩნდა,
მაინც...
ხვალის მზეს შეჰხარის...
1992

***

თოვლში და პაპანებაში
ივლის,
ვითარცა უვლია,
ადარ ყოფილა ეული,
მდინარე –
ზღვების სულია,
მთებიდან გამოქცეული.
1984

კვიპაროსი ჩემს ფანჯარასთან

ბაღში –
სინათლის სტვენით შაშვები,
ცისკარს ადგომას ისევ ასწრებენ,
ჩემს ფანჯარასთან მდგარ თეთრ კვიპაროსს,
სურს სიბნელეში
რომ გაიპაროს,
მაგრამ,
ო,
იგი, დაბმულია,
ჩრდილთა ბაწრებით.
1976

მარტი, აპრილი

„კაფე – თესეო“ – კივის გუგული
და მარტი ეზო-ზეო
თოხს არიგებს...
აპრილი უგულოდ,
ალუჩების თეთრონს,
სოფელ-სოფელ
დაათოხარიკებს.
1964

ერთი ვარსკვლავი

ადამის ძეთა უქრობ იმედად,
მირიად ელვით გაუნასკვავი,
ცაში მეგულვის –
ერთი ვარსკვლავი,
რომელთან მთვარე მოჩანს
მძიმედ, და
მზე კი – წერტილად.
1979

კიბე

ცას კითხულობ, ვით იადგარს*,
ხელთ გიპყრია ოქროს
შიბი,
და ვით იოანე სინელს,
გსურს მშობლიურ
ცას მიადგა,
„კოლხურ ფსალმუნების“ კიბე.

1974

* „იადგარი“ – სამკურნალო წიგნი.

* * *

მეხი,
მეხია და უგზავნის
მაღალ მთებს რისხვებს...
ვიღაცა მღერის:
„სად ხარ ჩემო მზევ!“
წვიმას აპირებს...
და ცა ელვის ხემს
იდუმალ უსვამს ცისარტყელას
ვიოლონჩელოზე.
1968

***

მთოვარით მომკილ ღამის ყანაში
რომ დგას,
ღრუბლების ჩალის ძნებია,
და ზღვაც ლურჯია, როგორც მელანი,
შორით მოსული ტალღები კი –
დაკარგული ჩემი ძმებია,
ჩემს დანახვაზე მიტომაა
ასე ღელავენ...
1979

მზე პირს იბანს

უცებ მოვარდა და ქარბორბალა,
ეზოს კუთხეში
ფოთლებს აქუჩებს,
ბაღს ეშინია და ილურსება,
დგას შუა დღე და
მზის ჩაქუჩით,
ცას –
მიწას აჭედს წვიმის ლურსმნებით.
1971

ჭიამაია

ციცქნა ბალახის ღერზე
მცოცავ ჭიამაიას
მზე ეცოდება:
ვით ავაო ცის კიდეზე –
ძმობილი ჩემი!
1967

ო, ღმერთო!

მზის და სიცოცხლის იყვნენ მაყრები,
ცა დაჰნათოდეს –
გმირ წინაპართა,
ჩემს ყევარ ბიჭებს –
ჯიქთა ნაშიერთ!
მიეც სიცოცხლე თავზე საყრელად,
ხოლო სამშობლოს სიყვარული,
სულ მოაშიე!
1984

სიონში

დნება სანთელი –
ფრთა იკაროსის,
და იღვენთება ლოცვები –
კვირის...
წვიმს ცრემლი...
და რომ გადაიკაროს
ქართულ მრუმე ცას,
არ უჩანს პირი.
1993

ოდაბადე*

მილიარდი წელია საქართველოს
ლურჯ ცისქვეშ,
წვანან მთები ორსული
გასცქერიან ფაზისის და
მტკვრის კლდოვან
ნაპირებს...
და, ჩვენ ქართველები კი –
არსაიდან მოსული,
წასვლას,
ამ დიდ ქვეყნიდან –
არსად აღარ ვაპირებთ.

1958

---

* ოდაბადე (მეგრ.) – დაბადების ადგილი

ცოდნა
„მე, ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“.
სოკრატე

ადამიანის ჯუნგლის კანონი,
მე, კარგად ვიცი,
ვით იურისტმა.
და, ისიც ვუწყი ვარსკვლავები –
უსახლკარონი,
ცამ ელვის ძაფით –
წყვდიადში რომ
ჩააგვირისტა.

1980

თქვენი პოეტი
„კვლავ თქვენთანაა თქვენი პოეტი“.
ალიო მირცხულავა /მაშაშვილი/

შორორ წარსულიდან გადმონაფრენი,
ვით ალბატროსის,
ცის მფარავი ფრთებით –
ქართულით, –
„მოვლო სამშობლო და
ინდოეთი“
და აი, ახლა, მახვილივით
ჩანგ-შემართული
„კვლავ თქვენთანაა,
თქვენი პოეტი!“

1970

მდინარე

შენი ციცქნა მდინარე,
ახლა პონტოს ზღვას ერთვის
და თავს რომ იმძინარებს,
მალე, როგორც ზღვის სული,
ცის კიდეზე მისული.
ოკეანედ იქცევა,
ვით განგი და ნილოსი,
მისისიპი-მისურით.

1954

ბენგალიის ვეფხვი
/რაბითრანატ თაგორს/

ინდოეთის ოკეანე დედასავით
და განგი კი,
როგორც ძიძა,
ჩუმად უმღეროდნენ „ნანას“.
(ყრმას სამყარო ეწყო ფერხთით).
და ის ბიჭი – რაბითრანა!)
გახდა „ბენგალიის ვეფხვი!“

1969

ბუნების მგოსანი

ვინ! ბუნების მგოსანი,
ცვრის სარკეში ხედავდა
დეკასა და დარიჩინს,
სულს ბუნებით ივსებდა.
და ვითარცა თვალისჩინს,
ისე უფრთილდებოდა
სახელსა და
ღირსებას.

1979

მხედრიონელთა სამეგრელოს მერამდენე დალაშქვრა

დრო გავადა...
ვითა ზღაპარს,
ალბათ, ვიღაც მოყვება:
– მტრებმა არა! რომ „ქართველმა
მოყვრებმა“,
სამეგრელო როგორ გადამწვეს
და მოხრეს!!!
და ერთიან ამიოხრეს!!!
საქართველოს –
გულით სიყვარულისთვის!

1993

სამადლობელო უფლისადმი!



ცისკენ მივაპყრობ მე მზერას, შენ შემოგყურებ უფალო!
შენს მფარველობის ქვეშ არის მთელი ქრისტიან-სამყარო!
შენა ხარ ჩვენი ნუგეში და ჩვენი რწმენა უფალო!
ტაძრად მოფენილ მაცხოვრის ხატზე ვლოცულობ უფალო!

სულ თვალწინ მიდგას სახება შენი სულტკბილო იესო!
შენი იმედით ვცოცხლობ და შენი შეწევნით ვსულდგმულობ!
ფეხით დავდივარ, ტაძრად ვარ ან სადმე თუ ვმოგზაურობ,
მუდამ ჩემთან ხარ უფალო! შენთან ვსაუბრობ, ვლოცულობ!

შენს საუფლოში დავდივარ, მაცხოვარს შევცქერ უფალო!
კრძალვით და თრთოლვით ვივსები, რომ არ გამკიცხო, უფალო!
ოდენ ღვთისმშობლის ხატს წმინდას კრძალულად თვალებს მივაპყრობ,
თუ რამე ცოდვა-ბრალი მაქვს, შეგთხოვთ, შემინდოთ უფალო!

დიდ განსაცდელში ჩავარდნილს, რამდენჯერ მიხსენ, უფალო!
რამდენჯერ გაჭირვებიდან აღმომიყვანე უფალო!
რამდენჯერ ჩემი სიცოცხლე და ჩემი კუთხე უფალო!
ხიფათისაგან დაიხსენ და დაიფარე, უფალო!

ნურც მოგვკლებოდეს ნურასდროს უფლის წყალობა დიდიო!
ღვთისმშობლის კალთა გვიფარავს, დიდი გვაქვს მისი რიდიო!
თქვენ ჩემო მხსნელნო! მფარველნო! თავს ამარიდეთ ჭირიო!
მიმრავლეთ ჩემი ქვეყანა, ნათესავნ-მეგობარიო!

12.03.12

ქრისტეშობის ღამის „მთვარის სონატა“!

ცის კაბადონზე შევსებული მთვარე ამოცურდა
და გაანათა ციურ სამყაროს ცისა ტატნობი!
ო, რა ნაზად და რა ლამაზად ის მოძრაობდა,
თვალს წარგტაცებდა მოცურავე ციური მნათობი!

შობისა ღამეს მე ვიხილე სხივნათელი ცა,
მთვარე მღიმარე დედაქალაქს რომ დაჰნათოდა,
ვეებერთელა სავსე მთვარე აჭრილიყო ცად,
რა შესაშური წრიულ ცეკვით ის მოძრაობდა!

იგი არ ჰგავდა მიჯნურ წყვილთა მთვარიან ღამეს,
უზარმაზარი სავსე მთვარე კარგს გვაუწყებდა...
ცის მანათობელს სხვა მისია ეპყრა ამ ღამეს,
რაღაც ახალი ამბის თხრობას ის გვპირდებოდა:

„გამთენიისას დაიბადა ქვეყნისა მხსნელი!
რომ მან თავს იდო კაცთა მოდგმის უზომო ცოდვა!
და ბადრმა მთვარემ თვის დიდებულ სხივთა ნათებით –
ყველას გვახარა განკაცებულ ყრმის – იესოს შობა!“

07.01.17

აღდგომის დადგომა

2020 წლის აღდგომის დადგომას,
სულ სხვა ელფერი დაჰკრავდა მის მობრძანებას!
ამ დღის აღნიშვნაზე მწვავედ იდავ-იკამათეს...
მის აღსრულებას ვერა დააკლო აზრთა სიმრავლემ.

აღდგომის წინა კვირა იყო მძიმე და სევდიანი,
გულანთებული დადიოდნენ ტაძრად მლოცველნი,
„დისტანციების“ დაცვით მყოფნი ისმენდნენ წმინდა ხარებას,
მხურვალე სიყვარულით ანთებულნი, მშვიდად იდგნენ, შენი მომლოცველნი!

და გავიხსენე:
ოთხშაბათს იუდამ გაგცა და ხუთშაბათს უხმე მოციქულთ,
ფეხი დაბანე მათ ყველას და აზიარე შენს სისხლსა და ხორცს,
პარასკევს კერპთმსახურებმა ჯვარზე გაგაკრეს, გაგწირეს...
მესამე დღეს კი აღდექი და მოევლინე მოციქულთ!

იქიდან მოყოლებული მუდამ ვზეიმობთ ამ დღესა!
ქართველი მრევლი ყოველდღე კითხულობს შენს სახარებას!
მორწმუნე ერი პატივით, შენს გზას ადგია წმინდასა
და სიყვარულით, სითბოთი, ვზეიმობთ შენსა აღდგომას!

2020 წლის აღდგომას ვუყურე ოთხ დიდ ტაძრიდან -
სამება, სვეტიცხოველი, გელათ - ბაგრატის ტაძრიდან!
„წარმოვიდგინე“ რომ ვიყავ ოთხსავ ტაძარსა მყოფელი!
„ლიტანიობას“ ნამდვილად ვუყურე მე ღვთის მლოცველი!

ჩემო მფარველო, მამაო! დიდხანს დამასწარ ამ დღესა!
ყოველ წელს შენი აღდგომით, ვხარობდე ამ წმინდა დღესა!
რომ შენი ტაძრების მრევლი, გულანთებულიყვნენ ამ დღესა!
მრავალრიცხოვან შენს სამწყსოს ელოცოს ყოველსა დღესა!

18.04.20

უფალი და საზოგადოება

რუსუდან ფაილოძე

მცირე და დიდი განსაცდელი მოვა უეცრად,
ჩვენ, ყველამ უნდა ვიაზროვნოთ, თუ როგორ ვცხოვრობთ,
მარტო საკუთარ თავზე ზრუნვა-ფიქრი რა ბედენაა???
თუ შენს მოყვასზე გული არ გტკივა, რა ყოფით ცხოვრობს!

ეს უხილავი ძალა და მსოფლიოს მძვინვარე მტერი,
ხედავთ? შემთხვევით, „უცაბედად“ არ შემოსულა,
ჩვენ სიყვარული რომ არა გვაქვს ღმერთის! მოყვასის!
ამიტომ მისი ძალა ასე რისხვით „გამეფებულა“.

თქვენ როგორ ფიქრობთ? ამ ყველაფერს ღმერთი ვერ ხედავს?
ეს უხილავი „კორონა ვირუსი“ უცხოა მისთვის?
არა! და არა! არც იფიქროთ აზრი მის მსგავსი
უფალი ხედავს, თუ რას ვფიქრობთ მისთვის და სხვისთვის!

ხედავთ? ეს დიდი განსაცდელი ვის მოუვლინა?
ღმერთი ხედავდა, ზოგის ცხოვრებას – რა თავისუფლად,
ვინც არ ირწმუნა, ვერ შეიგრძნო ღმრთის არსებობა,
სწორედ იმ ქვეყნის საცოდავ ხალხს დაატყდა რისხვად!

უფალო ღმერთო! შენ ხარ ჩვენი შემწყნარებელი!
დიდს და პატარას მოგვიტევე შეცოდებანი!
შენს წმინდა სახელს ვადიდებთ ჩვენ, ქართველთ მლოცველნი!
რომ უკვდავი ხარ, ქრისტე ღმერთო, აწ და მარადის!

18.04.20

ვედრება უფლისადმი!

უფალმა მცნებად დაგვიდო: „გიყვარდეთ თქვენ ერთმანეთი“.
რა მოგდით ჩემო ქართველნო? რამ შეგაძულათ თქვენ ღმერთი?
ვინაც რომ შექმნა სამყარო, ცა, ხმელეთი და ქვეყნები!
წმინდა სანთლები ავუნთოთ, მხსნელია, ის ერთადერთი!

ის, რაც მსოფლიოს მძვინვარებს, ხედავს მაღლიდან თვით ღმერთი
სამსჯავრო სკამზე მჯდომარე, თვალს ავლებს ყველას ქმედებას!
დავდივართ ტაძრად? ვლოცულობთ? ვავედრებთ ჩვენსა ქვეყანას?
ვუნთებთ კი სანთელს უფალსა? შევთხოვთ ხსნას, ერსა ჩვენსასა?

უფალი გულმოწყალეა! შეისმენს ჩვენსა ვედრებას!
ღვთისმშობლის ხვედრი ქვეყანა ვიცი არ გაიწირება!
უფალო, ღმერთი! დაგვიცავ“ ამ უხილავი სენისგან!
ქართველს ერთიც და დააკლდეს! ისმინე ჩემი ვედრება!

18.02.22

ეთერი ჭელიძე

***

თუ წამში ჩამქრალ ღიმილად
ცის გაელვებად მაცოცხლე,
თუ გულს არცა რა უხარის
დრო ფუჭად იქნევს საცეცებს.
თუ ირგვლივ ლაბირინთია
გზას ვერ გიკვალავს ნათელი,
თუ აღარ გესმის ერის ხმა
ლოცვები ღამენათევი...
თუ დარდი სჭარბობს სიხარულს,
ღიმილი სევდისფერია,
ან თუნდაც ტაძრად მოარულს
ლოცვები შემოგელია...
თუ გავიწყდება ვინა ხარ
ამ ქვეყნად რისთვის მოხვედი,
რწმენის კედლების ბზარიდან
ვისზე ფიქრს შეეხიდები...
თუ კლავენ, შენ მაყურებლის
ანდა უარეს როლს ირგებ,
თუ იმეწყრება ყოველი
გესმის, უყურებ, ვერ იგებ...
თუ დაძრწის ირგვლივ შიმშილი
სულის და პურის ნატეხის,
თუ მოგიმრავლდა სიფლიდე
სიტყვის და ფიცის გამტეხი,
განა რაა სიცოცხლე
სულ ერთი ჩამჩა, ჯამ-წვეთი,
უფალს ვით ვუთხრა მადლობა,
შენ ქართველ კაცად გაჩენის?!

***

მგლის ბილიკიდან უკუსვლით
დაბრუნებული მელია,
მგელზე ფრთხილია და მეფე
ლომზეც კი უფრო ბრძენია!
მან იცის, მგელი ბებერი,
გაძვალდეს, მაინც მგელია
სუსტი ძლიერის კვალზე დგას
მისი მუნდირის მცველია.

გვირილა...

კი თუ არა, კი თუარა
ამიხდება ოცნება?
თუკი არა, თუკი არა,
გულმა თუ ვერ მოგძებნა,
შენ მითხარი ფრთაფარფატა
გვირილების აპრილო
სად მოგძებნო მზის წყაროსთან
როგორ გაგინაპირო,
იქნებ საყვედური დამცდეს
იქნებ გული გატკინო
კი თუ არა, კითუარა?
მეუბნები– არ მკითხო,
მე კი ვიცდი რახანია
ოცნებების ახდენას
ქარიშხლების მეფისწული
მეფე როდის გახდება…
კი თუარა, კი თუ არა?
ჭორფლიანმა გვირილამ
როგორც იქნა შემომხედა,
ნაზად შემომღიმილა,
კი-ო მითხრა, და ფურცლები
ღიმილებად მაფრქვია,
ცისარტყელებს შეერია
ზეცისაკენ გასწია!!!

აღარასოდეს კვდებიან!

იმედებს ცაში გაფრენილს
ნურასდროს გ ა ე ტ ი რ ე ბ ი,
ცუდი და კარგი ისედაც
გადაბმულია ტირეში...
ბევრჯერ შეწყვეტილ ფიქრებთან
მარტო შთენილიც მინახავს,
გაბრწყინებული თვალები
დაელმებული მზისაგან...
ის რაც გგონია და ელი,
მოლოდინს მიღმა რჩებიან,
იმედის ბოლო მგზავრები
აღარასოდეს კვდებიან...

იქნებ...

შენი ლექსის ანაფორა შემომაცვი
შენი სუნთქვის ქარი დამინიავე,
დაკარგული ყველა წუთის ციდა ნამწვი,
აალებულ მზერად ამიბრიალე...
შენი გრძნობის საკირეში შემათბილე,
რომ სიჩუმემ ბორკილები დალეწოს
და საკუთარ თავთან სიტყვა შემაწიე,
იქნებ ერთხელ, იქნებ ერთხელ გაბედოს..

***
არის რაღაც, რაც შენშია
ხან გტკივა, ხან გიხარია,
ხან ელვა და ქუხილია
ხან კი კიდევ, მზის დარია.
ხდება, როცა ღიმილები
გამშრალ ბაგეს გიკოცნიან,
ისე როგორც ხრიოკებზე
მზეს ბალახი უცოხნია!
და თვალები? ზღვის ფსკერიდან
სინამდვილის ქაოსშია,
მისი ფერთა ხმოვანება
შინა ხმების ანონსია...
არის რაღაც რაც შენია
გტკივა, რაღაც გიხარია,
ღაწვზე მოტივტივე ცრემლში
ბავშვობა და სიზმარია...

***
ახლა დაცემა ისე იოლია
სიტყვა ნათქვამი ისე ცივდება,
ხიდის აღდგენა ისე ძნელია
როგორც ზამთარში მზის გაბრწყინება!
დღეს ნდობის ზღვარი ისე წვრილია,
ვით ძაფით ნაქსოვ ხიდზე დიდება,
რუები რბიან კალაპოტიდან
მაგრამ მდინარედ ვერ ადიდდება!

***
ისე გადავღალე მოთვალთვალე
გზაც ავურიე და კვალიც,
ჩემი სინანულიც გადავმალე
ჩემი ნაცრემლი დარდიც.
ჩემი ერთგულებაც დავუმტკიცე
გულიც შევთავაზე ხიდად,
ჩემი სიყვარულით გავაოცე,
სწუხდა, ავკაცობას სწუხდა...

მონატრება
დედას

ქრიზანთემების ჟრიამულია,
გამოიზაფხულა დედი
ისევ დაგეძებ ყოჩივარდებში
ფრთამოტეხილი გედი!
მოგონებების ქარაფზე ვდგავარ
მოგისაკლისე დედი
ია, ენძელას გვირგვინი შევკარ,
შენ მოგიტანე დედი!
მოწყენილი ვარ, წამომაყენე,
გამომიწოდე ხელი,
შენი ტკივილი გამიზიარე,
მე, ჩემსას გეტყვი დედი
უშენოდ სუსხმა დაისავანა
ვეღარ დავათბე გზები,
შენი ღიმილი მისაგზალე,
დღესაც,
შენი ღიმილით ვთბები...
თბილი წვიმების მელოდიებში
შენ ხმას დავეძებ დედი,
მონატრებული მტკივა სიშორე,
ადრე გაყრილი გზები...

ზღვა და მზე...

მზეც ხომ ბევრჯერ ნისლისფერი
საბურველით იმოსება
დედამიწა დაამშვენეს,
იებმა და მიმოზებმა,
მიწა ზოგჯერ გალუმპული
ზეცის ქოლგას მოიჩრდილავს,
ცისარტყელა გარუჯული
ზღვის ნაპირზე მარტო იდგა...
იქვე პალმებს სურვილების
თითო ბაფთა გაუბანტავთ
და სიყვარულს ტალღის ფსკერზე
გრძნობის ბადე დაულამბავს!
ხან გასხლტება როგორც თევზი
ხან ანკესში გაებმება,
ხან გიჟმაჟობს ტალღის შხეფში
ხან კი უწევს დანებება...

მალვინა ქელიძე

ძმის შვილიშვილებს!!!

ბედნიერებამ დაგირწიოთ აკვანი,
ღვთისმშობლის მადლით
შეიმოსეთ
ჩემო პატარებო!
თქვენი სავალი გზა,
მუდამ იყოს
სიყვარულით გამთბარი,
უფალმა მხოლოდ,
ბრწყინვალე მომავალი დაგაბედოთ!
პატარა მერცხლები ხართ,
მოჭიკჭიკე, პატარ ჩიტუნები,
ამ გულში თქვენ სიყვარულს
როგორ დავატევ,
დილის მზის სხივებად ამობრწყინებული,
გულს რომ მითბობთ და გზას რომ მინათებთ!
ბედნიერების მაცნედ მოვლენილნო,
გაზაფხულის იებად რომ ჰყვავიხართ,
ზეცას ვარსკვლავებით მოჭედილო
ჩემი ნატვრის თვალი ხართ.
პატარა ყლორტებად ამოსული,
იმედის ფესვებად გადგმული,
ბედნიერების აკვანი მოუქარგე უფალო
ოქროს სიმებად დაწნული.
ამ სამყაროზე უფრო დიდი ხართ,
თქვენ სიყვარულს
გული როგორ დაიტევს,
პატარა ციცინათელებო,
ჩემო სულის სიმშვიდევ,
ამ ჩემს სულსა და გულს....
გზა– გზა, სიყვარულად და
იმედად დაგიფენთ!

ემიგრანტის მონატრება

ძალა შენში დიდია,
რწმენა, ჩემში უფალო....
შენი ლოცვა კურთხევა
არ ჩაივლის უკვალოდ.
მონატრებამ ტკივილებით
ჩვენ ყოფაზე იმძლავრა...
თითქოს სევდაც გაყუჩდა...
დრომაც ფერი იცვალა.
როცა ძალა შემოვიდა
ჩემში, ძალზე ღვთიური...
რწმენა უფრო გამიმძაფრდა
არა ამქვეყნიური...
როცა შენგან იმედების
ტალღა მოედინება,
როცა წყვდიადს ცისარტყელად
სხივი მოეფინება,
სული ტკივილს გაუძლებს და
გული შვებას იპოვის,
სიხარულით ატირდება
სევდიანი სტრიქონი!
ძალა, შენში დიდია,
რწმენა შენში უფალო,
იდუმალმა წვიმებმა
იქნებ გამოიداროს?!
არ მსურს უცხო სამოსელში
ფიქრი გარდაიცვალოს.
შენი ლოცვა კურთხევის მწამს
გვიმფარველე უფალო!
ძალამ შენმა...რწმენამ შენმა,
დაე დარდზე
იმძლავროს...
კეთილისგან ბოროტის
გარჩევა რომ ვისწავლოთ...
მონატრებას რომ გავუძლოთ
შვება შენში ვიპოვოთ,
ეს დროება დანაცრული,
არასოდეს ვიგლოვოთ.
იმედის და რწმენის გზაზე,
ერთგულების ვიწამო,
ქვეყნად ყველა ბოროტება,
იქნებ გარდაიცვალოს?!

***

ეს გზა უფალმა ისე გაკვალა,
დრო და მანძილი
არც კი გათვალა.
მზის მწველი სხივებით,
კამკამა, ნათელი,
რწმენით შემოსილი
და ბევრის დამთმენი,
არც ისე შორია და,
არც ისე ახლოს,
ამ გზაზე მხოლოდ
სიმშვიდე სახლობს.
ღვთის გზაზე,
სიმშვიდე და სიჩუმეა,
წყვდიადი ღამეც კი
იდუმალების ტყვეა.
და მეც ვემგზავრები
ღამის სიოს,
ჩუმი ფორიაქი გულში
დავიტიო.
განდევნე მწუხარება
მტრისგანაც თუნდაც,
შენი გზით გვატარე
უფალო მუდამ!

ქალი

თეთრი კაბით ქალღმერთს ჰგავდა,
გაურბოდა დროს და ჯვარცმას.
ნათელს ჰფენდა ღამის წყვდიადს,
აედევნა ქარს და წვიმას.
შეჰყურებდა მაღლა ზეცას,
კამათობდა უჩვევ ბედთან...
ის ჩაუდგა სეტყვას კვალში,
მიაპობდა ტალღებს, ქარში.
სადღაც ქარიშხალი ჰქროდა,
ქალის ტრფობით ძეწნაც თრთოდა.
ირიდებდა ყველა განცდას.
რადგან წვიმა შეუყვარდა.
სადღაც თოვდა, თეთრად თოვდა
და ღრუბელი ნაბადს ქსოვდა…
ნაზ ფიფქებით დაღლილ სიზმარს
ღამის მკერდზე მიეძინა...
იქ, ღრუბლებში, ცასთან ახლოს,
დაემკვიდრა სამოსახლო.
სიმშვიდის და ტრფობის დილას,
გზად ფიფქები დაეფინა!..

***

თოვლის ფიფქებით მოფენილ ეზოს,
თეთრი ხალიჩა გადაეფარა,
ეს სილამაზე და სიფაქიზე,
არვიცი, ასე რამ შემაყვარა.
თოვლმა და ყინვამ მათი მშვენება,
ვეღარ დათრგუნა, ვეღარ წაშალა,
ისევ ყვაოდნენ ლამაზ ფერებად,
თუმც ფანტელები გულზე ეყარათ.
და სიყვარულით ჩაკონებული,
ღამე ბორგავდა მათი მშვენებით,
ყვავის და ათოვს,დარდებად ათოვს,
შიშმა შეიპყრო, გადაშენების.
თოვლის ფიფქებად ათოვდა დილას,
სულში მზე იყო, ირგვლივ ყინავდა,
უყვარდა, თანაც ეტრფოდა ძლიერ,
ეფერებოდა გულში იკრავდა.
და მდუმარებით უმზერდნენ ერთურთს,
ღამემ მთვლემარემ, წვიმა ინატრა
გადაპენტილი თეთრი ფანტელით,
შემოეხიზნა მზეთა ბინადარს.
,,მთვარის ნათელში, თვლემდა გარემო”
და თოვლის ფიფქებს გულზე იბნევდა,
ეს სილალამაზე და სიფაქიზე,
ტრფობის მორევში უხმოდ ითრევდა.
ყინვა და სუსხი, ფიფქების წვიმა,
შეშლილი ღამე მისთვის გალობდა,
მას დაჰნათოდა ცისკარი დილის,
და თავდახრილი, მორცხვად ხარობდა!!!



ამირან ამირანაშვილი

ვილოცებ, ვიდრე ავმაღლდები

არ ვიცი ვინ როგორ მიყურებს,
არ ვიცი ვის როგორ ვუყვარდი,
არ ვიცი ვინ იყო მართალი,
არ ვიცი ვინ იყო მტყუანი.
ვიცი, რომ უფალმა დამლოცა,
ვიცი, რომ ღვთისაგან მოვედი,
ვიცი, რომ თუ რამ გამაჩნია,
ყველაფერს ღვთის ხელი აჩნია.
ვუყვარდი მშობლებს და ჩემს და-ძმებს,
ვუყვარდი მეზობლებს, კლასელებს...
ვუყვარდი საოცარ მეგობრებს,
ვუყვარდი უამრავ გოგონებს.
ვუყვარვარ საყვარელ ჩემს ოჯახს,
ვუყვარვარ ნათესავთ, მთელ სოფელს.
ვუყვარვარ კოლეგებს, სტუდენტებს,
ვუყვარვარ კოლეგებს, სტუდენტებს,
ვუყვარვარ უსაზღვროდ ძვირფას მრევლს.
ვმღეროდი, მე მგონი, აკვნიდან,
ვმღეროდი საყვარელ დედასთან,
ვმღეროდი, როდესაც ვცეკვავდი,
ვმღეროდი – პატარა ჩემ დასთან...
ვიმღერე ოპერის თეატრში,
ვიმღერე მუსკომედიაში,
ვიმღერე ტელევიზიაში,
ვიმღერე ჩემ ეკლესიაში.
. . . . . .
ვლოცულობ იესო ქრისტეზე,
ვლოცულობ მშობლიურ მამულზე,
ვლოცულობ სამყაროს დახსნაზე,
ვლოცულობ ძვირფას პატრიარქზე.

წლების გადასახედიდან

ეჰეი, სად ხარ ძმაო ამირან,
ბიჭოს რამდენი გზა გაგივლია,
ხანდაზმულობით თუ რამ გამომრჩეს,
გულო, კარნახი ხომ შეგიძლია.
შენ შემაყვარე მთელი სამყარო,
სხეული შენი ტყუპისცალია,
დიდ მტრებს არასდროს არ გავეკაროთ,
ჩვენ სიავისთვის არა გვცალია.
სიკეთები? მსურს შეგახსენო,
ბავშობიდანვე ვიცავდით სუსტებს,
უსამართლობას ერთად ვებრძოდით,
მოგონებებიც ასე აზუსტებს.
ცხოვრების კრედოდ გვაქვს სიყვარული,
მოკრძალებული, მორიდებული,
ბევრჯერ გახსნილი გამარჯვებული,
ზოგჯერ ბავშვივით ატირებული.
მახსოვს, გონება როგორ გბოჭავდა,
ზოგჯერ თვალი რომ სადრაც დარბოდა,
ახალგაზრდობა ისევ როკავდა,
ხან ულხინდა და ხანაც დარდობდა.
ისევ გონება დაგაწყნარებდა,
ბერჯერაც სადღაც დავკარგეთ გონი,
ია იები აღარ გკარობდა,
ჩვენ ერთად ვძებნეთ, მდინარის ფონი.
მუდამ ვიყავით, ხალხის მსახური,
სკოლის მერხიდან მიყვარდა სცენა,
გვეცოდებოდა, ღვთის უსახური,
და ვიღვრებოდით, დარდსა და ცრემლად.
ამასობაში თურმე დამწიფდით,
სიმხიარულით დავტოვეთ სკოლა,
სოფლის ორღობეს როცა გავცილდით,
ავღიღინდით და ვიქეცით „ხომლად“
რუსთაველზე რომ გავისეირნე,
დიდმა ოცნობამ გული ამინთო,
მე არ ავდებდი ქუჩის სერიებს,
ოპერის სცენამ წამს დამიმონა.
მე ამ სიზმარში დიდხანს ვიყავი,
ძალა მოვსინჯე, გავხდი სოლისტი,
სად არ ვიარე, სად არ ვიყავი,
მოვძლიერდი და კი არ მოვსუსტდი.
დიდ გასტროლებზეც მქონდა ბრძოლები,
გული და გონი მუდამ ომობდა,
ჩემი ცხივრება სულ ბრძოლებშია,
ჩვენი ფიქრიც კი არვის მონობდა.
მერე უფალი ჩაერია და...
ცოდვილ ამირანს ჩაკიდა ხელი
გულო, რამდენი გვიმღერია და...
ცოდვილთ დავუთმე მე ბრძოლის ველი.

ერთობა უფლის ხვედრია

„ქართველნო, ერთად ღვთისაკენ“ –
მოგვიხმობს კათალიკოსი...
ვისაც ყური გაქვთ ისმინეთ
კურთხევა საქართველოსი.
ერთობა სოფლის ხვედრია,
ნგრევა კი – ბოროტ ძალების,
ღმერთი სამოთხეს გვიმზადებს,
სატანა გვებრძვის ალებით.
მტერი, თუ მართლა მტერია,
ვებრძვით ჯვრითა და მახვილით.
მისი შეცნობა ძნელია,
თუკი არა გაქვს სამხილი.
მოყვრად მოსული ცდუნება
ყიდის და ანგრევს ქვეყანას...
ამდენი მგლები ცხვრის ტყავში,
რა ეშმაკებმა შეჰყარა?!
ზოგი საბადოს გვიყიდის,
ზოგი წყალსა და ღვინოსა,
ასეთი პატრონის ხელში
ყმამ როგორ დაიძინოსა?!
ნუ გძინავთ ძმებო, იღვიძეთ,
ნუ მისცემიხართ სატანას...
ერო, შებრუნდი ღვთისაკენ,
ვერ შეძლებ ტანჯვის ატანას.
ქართველნო, ერთად ღვთისაკენ,
მაღლა აღმართეთ მახვილი,
გაერთიანდით უფალში, --
ესაა სიბრძნე ნამდვილი.
ღმერთო, დალოცე ქართველნი,
შეგვინდე ცოდვა ყოველი...
გადააშენე, აღგავე,
მაცდური, დამამხობელი!

ამირანი

კავკასიონის ციცაბო კლდეებს
შემორჩა მძიმე ჯაჭვების კვალი,
როცა ეხები ამ ჯაჭვის ნაგლეჯს,
გაგახსენდება მამულის ვალი.

მაშინ ვრწმუნდები, ქართველმა ხალხმა,
მხსნელად გიწამა კლდეს მიჯაჭვული,
ღმერთის ნაშობი, უკვდავი გმირი,
დაუძლეველი, გოლიათური.

ერი მოგენდო მებრძოლ ამირანს,
ბოროტს და ავსულს რომ ამარცხებდი,
სადილად ბუღა კამეჩს შეჭამდი,
ერთ-ორ ქვევრ ღვინოს დააყოლებდი.

კავკასიონზე ვერვინ შემოდგა,
ყველა მომხვდური იქცა მიწადა,
ბადრი, უსუპი, თვით ამირანი,
ყველამ იცოდა, ამ მთებს იცავდა!

შენი სახელი დღესაც მამხნევებს,
შენგან ვისწავლე ძმობა კაცური,
როდესაც მიჭირს მუდამ მამხნევებ,
შენი ძალით ვარ მუდამ დაცული.

მკერდით დაიცავ მშობლიურ მიწას,
როცა უმიზნო ტყვიას ახლიან...
შენი ნათლია საქართველოა,
კავკასიონი შენი სახლია.

პაატა საკაკაძეს

ანგელოზთა შორის გხედავ,
გაბრწყინებულ სხივთა მდენი,
მინდა ერმა აღიაროს
წმინდანობა, შვილო, შენი.

შენ სამშობლოს დღესაც იცავ,
ალესილი მამის ხმალით,
გიორგი და რუსუდანი
გააოცე შენი ძალით.

სააკაძე ცოტა დარჩა,
მიწიერთა მონაგარში,
გვარის გვირგვინად იქეცი
ამ დიდებულ ქვეყანაში.

დღისით მზე ხარ მოჩახჩახე,
ღამით -- მთვარე, მოტრფიალე,
დღე და ღამე მამულს იცავ,
საქართველოს დასტრიალებ.

მებრალება, ვინც ვერ გხედავს,
დახშული აქვს სულის თვალი,
საქართველო ემზადება --
გადიხადოს შენი ვალი!

ვნახო თავისუფალი

საქართველოს მთა-ბარი
სისხლში განბანილია,
გაგვიზრდია თამარი,
შოთა, ვაჟა, ილია...

მყინვარიდან შავ ზღვამდე
მხარგაშლილო სოფელო,
მკერდზე ჯვარი ატარე,
წმინდანების მშობელო.

ჯვარის მადლი გვიხსნიდა,
ცით გვაკურთხებს უფალი,
მსურს, ილიას ქვეყანა
ვნახო თავისუფალი.

ახლა გვინდა ილიას
სიბრძნე, გონიერება,
უფალმა თუ ინება,
ვერავინ მოგვერევა.

ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
არ გაგწირავს უფალი...
როგორ მინდა გიხილო
ერო, თავისუფალი!

მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა

უარვყავ თავი, ავიღე ჯვარი,
ყველა დავტოვე, შევუდექ უფალს...
კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით,
მუდმივად ვლოცავ ერს – თავისუფალს.

ძვირად დაგვიჯდა თავისუფლება,
თავზე დაგვატყდა მძიმე ომები,
გულანთებულნი მტერს დავუდექით,
ეწირებოდნენ ბრძოლას ლომები.

დღესაც ვერ გაძღნენ სისხლის მსმელები,
ყოველი მხრიდან ისევ გვიტევენ,
ისევ გაისმის ტანკის გრუხუნი,
ყოფილ მოყვარეს მტრებად გვისევენ.

შემოდგომაზე მოვა რუსეთი,
ქართული სისხლით პირს გაისველებს...
ვითომ ძმად მოდის თურქი, ოსმალო,
ჩვენს დამონებას ფიქრობს ისევე.

ტაო-კლარჯეთი აღარ იკმარეს,
დღეს აჭარასაც თავისად თვლიან...
მუჰაჯირობას შეახსენებენ
დიდ კავკასიონს -- თვალებთოვლიანს.

აქეთ არაბი შემოგვესია,
შაჰინ-შახების სისხლი და ხორცი,
ჰიჯაბის ნიღბით აქ გრიალებენ,
საკუთარ სახლში ჩვენ გავხდით მორცხვნი...

სულ-ხორციანად გაგვაღატაკეს,
გაგვამათხოვრეს, არ გვთვლიან ხალხად,
მტრის გაყოლას რომ სიკვდილს არჩევდნენ,
იმ ქალთა მოდგმა აქციეს ხასად.

ვინ იღებს კანონს განადგურების?
საზღვრები გახსნეს, – ვის გსურთ გაქცევა?!
ერო და ბერო, გავერთიანდეთ,
მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა!

გიგი თეთრაძე

❤ ❤ ❤

*

წასვლას ინატრებდა კაცი
მაგრამ სიყვარული რჩება,
ალბათ ცხოვრებაა მკაცრი
რადგან ყველაფერი ქრება

რადგან ყველაფერი მიდის
უკან მოსახედი რა მაქვს,
მირბის, ეს ცხოვრება მირბის
აქ ყოფნასაც აზრი არ აქვს

წავალ თითქოს არც ვიყავი
თითქოს მოლანდებად დავალ,
კარგად მხოლოდ შენ იყავი
მეკი არაფერი არ ვარ

გული რომ მატკინა ქარმა
ყინვამ რომ იმატა ჩემში,
მაინც დამიძახა ქალმა
მაინც ჩამიხუტა მკერდში

როცა ღმერთად აქცევ გრძნობას
როცა სიწმინდეებს ეტრფი,
მაშინ აქვს აზრი ყოფნას
შენ რომ სიყვარულზე მეტყვი

თითქოს ლანდად დავალ ქვეყნად
გული გაგიჟებით ფეთქავს,
ნეტა ახლა ვიყოთ ერთად
გარეთ გაწვიმდა და ელავს

გარეთ საშინელი დროა
წვიმა ეხეთქება მინას,
მალე ოთხიც მოვა
მე კი საერთოდ არ მძინავს

ფიქრით მთელ სამყაროს ვუვლი
ჩემი ოცნებები კვდება,
ქარო რა შორიდან მივლი
ხედავ ყველაფერი ქრება

ახლა ღამის არის ხუთი
ნეტავ სად გამიქრა შვება,
ყელში მეჩხირება ბურთი
ფიქრი თავისას შვრება

ვიცი რომ ვიქეცი მონად
წლებმა და ფიქრებმა დამცეს,
ღმერთო დამიფარე ყოვლად
ღმერთო ქრისტესავით გამცეს

როცა განვადიდე გრძნობა
მაშინ მე ვიწამე ღმერთი,
გულმა მაშინ იწყო დნობა
გულმა მაშინ მითხრა ერთი

თუკი სიცოცხლეა წყნარი
თუკი გიხარია რამე,
მხოლოდ სიყვარულით არი
გინდ მზე და გინდა მთვარე.

2017

ედუარდ უგულავა

**

წარსულთან ჩურჩულს არ იშლი და
ბავშვივით მძინარ წუთებს მპარავ
და მძიმედ ვიღებ ბალიშიდან
ფიქრებით სავსე თავის ქალას;
და მახვევ ყელზე ღამის სიგრძეს,
ცრემლებით თვალებგალუმპულო.
თქვი მაინც, რატომ გამაღვიძე,
სიზმარზე ლამაზს რას ვუყურო?!.

**

მზის სხივები გაიკრიფნენ,
ცხვარი ცხვართან მირეკეს.
სისხლის სუნი ფარეხისკენ
ექაჩება მგლის ლეკვებს.

და ტოტები მთვარეს აქნილს
შავ ფოთლებში აურევს.
სიბნელეში ბჟუტავს ჭრაქი,
გზები სდუმან საურმე.

ქოფაკები თქვლეფენ ფაფას,
დროს გუობენ უბნელესს
და მთვარისგან ჩაუკაფავ
ღამს ჩრდილებს უღრენენ.

იღიმები, მაგრამ რა გწყინს,
ვიცი, ახლა არ იტყვი.
ისევ აწვიმს, ისევ აწვიმს
სახურავებს კრამიტის.
როგორც შუქის მიძინება,
მზე ინთება ისეთი
და ღრუბლიდან იმზირება
მთელი სიფაქიზეთი.
აი, ფერი მზის და ნაცრის
კვლავ სიცივეს განიცდის.

**

თითქმის გავიდა მთელი ცხოვრება,
ხანაც ცხადად და ხანაც ფარულად;
და ყველაფერი, რაც მაჟრჟოლებდა,
სიძველის მტვერით გადაფარულა.

რა ბედენაა – ხეზე სანთლებად
წამონთებული ალი კვირტების,
კაცს რომ სიცილი მოგენატრება
და სიმწრისაგან რომ ატირდები.

**

ვერ აისრულებ როცა საწადელს,
როდესაც იგრძნობ წლების სიმცირეს,
არ შეიძლება გული არ დაგწყდეს
და თვალში ცრემლი არ აციმციმდეს.

ან რად მძაფრდება სუნი სამარის,
როცა ცა ასე იის ფერია?!
არადა, ცაო, შენ ხარ მთავარი,
სხვა ყველაფერი დანარჩენია...

**

ეს ოცნებები რა სულ სულობენ,
ედარებიან სიზმრებს ფრთებიანს,
მერე ოთახში დასუნსულებენ
და ყველა მხარეს იხედებიან.

თითქოს ზღაპრებში ბუმბულს ავლებენ,
ხან მცურავ გედებს უგავთ კისრები.
ხანაც მიცქერენ მათ მასწავლებელს,
მთლად ბავშვებივით მოკისკისენი.

ხან მოივლიან კუთხეს და კუნჭულს,
ხმაურიანს და ნაცნობხმებიანს,
მერე კი უკვე თითქმის დახუჭულ
ქუთუთოებში შეცვივდებიან...

ისევ აწვიმს

ისევ აწვიმს, ისევ აწვიმს
სიძველეებს კრამიტის.
ახლა ისე მძაფრი არის
შენი კოცნის ცდუნება,
შფოთავს გული და მომავლის
სიზმრებს ეჩურჩულება.
და იღლება უფრო ხშირად
თვალი უკან ყურებით,
მაგრამ გზიდან დარეცხილა
ჩვენი ნაფეხურები.

**

ნერვიულად ვიმტვრევ თითებს,
გულს სიმშვიდე აღარ უნდა,
გამარჯობა უკვე იმდენ
ნაცნობს გაუხელოვნურდა.

რა ხანია უკვე ხანი
კაცის წუხილს აღარ უსმენს.
ისევ თვალებდარდიანი
ხალხი დაჰყავს ავტობუსებს.

რა გაალღობს ამდენ ცინიზმს?!
ვინ იტვირთებს ამდენ ცოდვებს?!
ხალხი ბჭობს და არ იცინის
ის ვინც უნდა იცინოდეს.

არაფერი ხდება თითქოს
და გზად, კვლავ რომ წვება ბინდი,
ერთი-ორი კაცი იყოს
რომ იცოდეს საით მიდის.

არც მე არ მაქვს რამე საქმე
ახლა შენზე ფიქრის გარდა.
შევიდოდა კაცი სადმე
და ერთ ჭიქას გადაკრავდა.

***

თოვს. ქალაქი უკვე მორჩა დილის ლოცვებს
და გულს შორი მოგონება სტუმრობს.
ეს პირველი თოვლი რომ არ მოგილოცე,
არ მიწყინო, ჩემო სიყვარულო.

როგორ მომწონს შენთან ერთად სიარული,
დროს რომ გული გამალებით უცემს,
თოვლი რომ თოვს და ბავშვების ჟრიამული,
რომ აცოცხლებს შეციებულ ქუჩებს.

ბეღურებსაც გაუთეთრდათ სუსტი ფრთები.
დღეს ქალაქი თითქოს ბროლის არის
და სველ თმაზე ისე ფრთხილად გეფერები,
როგორც თოვლში ამოწვერილ ყვავილს.

საყვარელო, მე ისედაც გილოცავდი
ყოველი დღის გათენებას, ოღონდ
ცა უცისფრო, უმზეო და უმერცხლებო,
როგორ უნდა მომელოცა?!.. როგორ?!..

***

დღე იყო მშვიდი, წყნარი, უქარო,
იქცა საგნები ისევ საგნებად.
ვიყავი ჩემთვის, ვწერდი უბრალოდ,
ჩვეულებრივად და გასაგებად.
მზე კი დაგორდა წიფლის ტოტიდან
და როცა ბინდის კანში შერბილდა,
ჩვეულებრივი ღამე მოვიდა
და მომენატრე ჩვეულებრივად.

ნათია დაშნიანი

* * *

მზე შუბის ტარზე დამდგარა,
როგორც სჩვევია ისე,
კარი ვერსაით ვუპოვე
ღრუბლებშესეულ ზეცას,
ამდენ ფიქრსა და ლოდინში
დღე ღამეს ისე მისდევს,
ტყე კაბას ლაფში ამოსვრის,
გუშინ რომ ტანზე ეცვა.
ეს შემოდგომაც გაქრება,
უკან გაჰყვება ზაფხულს,
ისე ძლიერად იწვიმებს
სევდას წალეკავს ზვავი,
სოფელს დასჭყივლებს არწივი
ცივ სითეთრეში ჩაფლულს,
უკან დარჩებით შენ, ტბა და
ტბაზე მიბმული ნავი.
მზე შუბის ტარზე დამდგარა...

იასამანი

შენ სიკვდილზე ფიქრი გზარავს,
რბიან ქართა ეტლები.
სოფელს მზე წვავს,
შენს რტოებქვეშ გაჩენილა ჩრდილები.
ხე ხარ, მაგრამ ჩემებურად
მაინც მეიმედები,
დახუნძლულხარ ყვავილებით -
ნორჩი შვილიშვილებით.
აღარც ხსოვნა, აღარც ხორცი,
აღარც ოთხი ფიცარი...
ალაგ-ალაგ ცრემლი გიჩანს
რაც არ უნდა დამალო,
გაქვს სურნელი სასაკმევლე,
მარად დაუვიწყარი,
საფლავებზე ამოსულო
ლურჯო იასამანო.

* * *

ფაზაფხულის სურნელს მოიპარავს ქარი,
საღამოა მშვიდი და საოცრად წყნარი.
ჩემს ოთახში იებს დაეკარგა ფერი,
მაგრამ გული მაინც სიყვარულზე მღერის.
ორ ცეცხლს შუა ფიქრის ფერფლში დაკარგულო,
თუ შეშლილი არ ხარ, რა გამღერებს გულო?!..

* * *

დუმილი მეფობს – მე ვერაფერს ვერ გეუბნები,
შენ მოძველებულ ნიღაბს ირგებ და არ გიხდება,
უცებ საავდრო ზეცასავით მოიღრუბლები,
გული ჯინივით საგულედან ამომიხტება.
გამიმარტოვდი....შენ უჩემოდ როგორ იქნები?!...
ფიქრების მარილს მიმოაბნევ ღია ჭრილობას,
მომენატრები, მეც ბავშვივით აგედევნები
და თვალებიდან ამოხეთქავს გულახდილობა.

შემოდგომა

შემოდგომაა ჩვენთან ისეთი
ლექსების წერას გაგაბედინებს,
ღამით უძილო ფიქრებს მისევდა,
გათენდა, ვითვლი გზაჯვარედინებს.
მოკლე ნაბიჯებს ვარიდებ ფოთლებს
– ტალახში სვრიან ფერად ხალიჩებს.
მე ვუმზერ ხოჭოს,
ფოთლებქვეშ რომ თვლემს
და განუზომელ სევდას მანიჭებს.

***

მოაქვს შემოდგომის სევდა
ყველა გაყვითლებულ ფოთოლს,
– მითხარ, შევერცხლილო დედავ,
წელსაც ნაადრევად მოთოვს?!...
დავდევთ შემოჩვეულ ქარებს,
ვუმზერთ სახეშეცვლილ ქუჩას,
მზიან ამინდებს და მთვარეს
ბოლო სხვანაირი უჩანს.
ღრუბელს ჩაეკონა მზე და
სხივი ააცილა ფოთოლს,
ცაში იხედება დედა
– მოთოვს, უსათუოდ მოთოვს.

* * *

გაზაფხულმა იის კაბა შემიკერა,
მარტის თქეშმა დამისველა ფარჩები,
მერე რა რომ ჩაემი უკვე აღარ გჯერა,
რომ ბოლო დროს ცრემლებს ვეღარ მამჩნევდი.
ყურს ვუგდებდი ეჭვნარევი გულის ძგერას,
შენ დუმდი და მეც სიჩუმეს ვარჩევდი.

ხომ გახსოვს

ხომ გახსოვს, ჩვენი პატარა ოდა,
თავისი მზით და თავისი ჩრდილით.?!
ხან თოვლი თოვდა, ხან ქარი ჰქროდა...
ხომ გახსოვს, ჩვენი პატარა ოდა?!.
ორივეს თბილი ღიმილი გვქონდა...
და ჭიკჭიკებდნენ ჩიტები დილით.
ხომ გახსოვს, ჩვენი პატარა ოდა?!.
თავისი მზით და თავისი ჩრდილით.

თემურ გოგსაძე

ამ ფრაზებით, გილოცავთ, ბზობას!

რ წ მ ე ნ ა

რწმენა-მზის სხივებს, ჩაექარგება,
კოსმიურ ელვას აედევნება!..
ღვთისკენ სავალი გზა, იკარგება,
რწმენა თუ ეჭვის ჯვარზე– ევნება?!

ეჭვი, უფალთან ყოფნას, არ გაცლის?!
ხდები– ცოდვილი და უსახური?!
ასე, თანდათან, იქმნება – კაცი,
ეშმაკისა და ღმერთის, მსახური?!

რიტუალებში გავცვალეთ– არსი?!
აღარ ვართ, რწმენით-თავისუფალი?!
ღვთის მსახურებაც, შეიქმნა ფარსი?!
მხოლოდ შიშის დროს, გვახსოვს, უფალი?!

სიყვარულისგან, სრულად დაცლილი-
ვართ, ელემენტთა, უცხო– ნაერთი?!
ამპარტავნულად ხელებგაწვდილის,
როგორ შეისმენს, ჩვენს ლოცვას, ღმერთი?!

ცოდვის ბორბალზე, სანამ ვიბრუნებთ,
არ გაიხსნება – ლურჯი თაღები!
ვიდრე, სიყვარულს, არ დავიბრუნებთ,
ვიდრე, რწმენით არ დავიდაღებით!

კოსმიურ ნისლებს, რწმენის კომეტა,
გაარღვევს– გახსნის, მეხსიერებას-
მალე, ცოდვისგან დახსნილ, პლანეტას,
უფალი, ცრემლით, მოეფერება!

(ჟამი დიდ მარხვისა.)

სიყვარულის ხატი

* * *

ხელისგულზე ვაზავებდი ფერებს...
გიხატავდი სიყვარულის ტაძარს!..
ჩემი თავი, თითქმის დავაჯერე-
ჩავაქრობდი განშორების ხანძარს?!..

გუშინ, ზეცას ვუგალობდით, ერთხმად....
ხვალ კი, უკვე, მოგონება-ვხდებით ?!..
სიყვარულის მზე, გვაჩუქა ღმერთმა...
თუმცა ამას, ძალზე გვიან, ვხვდებით !...

დრო, წამების, ბოლო წამებს მითვლის...
ფერებში ვდებ, ყოველდღიურ კოცნას...
ჩვენი, ნაზი, სიყვარულის მითი,
პლანეტებზე, ვიცი, გაიტყორცნა!!!

ემოცია, გონმა გადაფარა...
ძველმა სიბრძნემ, სევდაც მომიქარგა...
არაფერიც, არ მთავრდება, არა–
იმას ვიძენთ, თურმე რასაც ვკარგავთ !!!

გაიხსნება გზა, იქ, სადაც, არ ჩანს–
უსაზღვროა, რწმენის ანდამატი!...
მთავარია-სიყვარული დარჩა
და ნახატი– სიყვარულის ხატი!!!
,,მონანიების მელოდია"

მარხვის ზე-არსი!

რწმენით მარხულნი– ღმერთთან იშობიან!

მარხვა – გზაი არს სულისა,
ხორცზე გამავალი,
რწმენის შეცნობისა!
დამარხე– ვნებანი და ფიქრნი,
ყოვლისა – ცდუნებისა!
ჰყავ, გონებაი და ქმენ საქმენი-
თავისუფალი ნებისა
და არა, ცრუ– ნებისა!
რამეთუ, კრძალვითა და
მონანიების წრფელი ცრემლითა-
გარდამოვა, მირონი-კურნებისა!
ამადაც განაჩინეს-
,,რჩეულთა მიეზღოს:-
რომელნიცა, რწმენით,
იმარხულებს-
ჯერ, ძესა, იესოს
და შემდგომად– მამა ღმერთსაც,
არსში-ინახულებს!

(2000 წ. უშგული)

რაგბი ჩვენი თამაშია!'

კავკასიის მთები გვზრდის და,
ჩვენი ძალაც, ამაშია!...
როგორც იქნა, ხმა აზვირთდა-
,,რაგბი ჩვენი თამაშია"!..
საქართველოს სიყვარული,
საქართველოს ერთგულება! -
საიდუმლო, ამაშია!....
დე, იქუხოს, ტრიბუნებმა-
,,რაგბი ჩვენი თამაშია"!!!
მსოფლიოს და ერთა თასი,
ხვალვე, მაღლა, რომ ავწიოთ,
ვერ ექნება, სრული ფასი -
მტერი, პაპის ყანაშია?!

– – – – – – – – – – – – – – – – – – – –

ეს საზღვრები, გადავწიოთ,
ქვეყნის დახსნა – ამაშია!!!
მაშინ ვიტყვით, ვალმოხდილნი -
,,რაგბი, ჩვენი, თამაშია!!!
ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენს სამშობლოს,
დავუბრუნოთ ძველი რწმენა!-
მისიაც, ხომ ამაშია?!!!
რწმენის ძალის აღსადგენად -
,,რაგბი ჩვენი თამაშია!!!"
მოედანზე – გულით, ცხელით -
სიყვარული – ამაშია! –
დაივიწყეთ, გვარ – სახელი,
საქართველოს თამაშია!...
საქართველოს გამარჯვება–
ერთად დგომის, ძალაშია!...
თავისუფალ ერს ემღეროს -
,,რაგბი, ჩვენი თამაშია!!!"
2014წელი

,,არსს ქმნის-ღვთაებრივი და რაც, უბრალოა!

შეუძლებელიც კი,
რწმენით, შესაძლოა!

სული-ზეარსი
და ელვა-ინტელექტი!
ჩვენი ქსოვილი კი,
არსით, ღვთის მტვერია!
უნდა გავარღვიოთ-
აზრი-რწმენა, სექტის!
არსში შევიმეცნოთ,
შობის მისტერია!
ჭეშმარიტებაა,
სიყვარული-სრული!
ეგოს ელვარება, შური,
სიძულვილი-არსის გმობაა
და ჩვენში, ღვთის მტერია!
უნდა გავიხსენოთ,
კოდი, ხავსს დაკრული?!
შობა-გარდამოსვლის,
დიდი მისტერია!
შიშის-სიყვარული,
აღარ გვაგვირგვინებს!
ვცოდეთ, ვაიგივეთ,
კაცის, ემოციას?!
შიში, გვქონდეს, მხოლოდ,
რაიც, გვაკარგვინებს-
ღმერთში დავანების,
დიად პოტენციალს?!
კრძალვა– სიყვარულის,
მამა-შემოქმედს და
შიში– სიძულვილის,
ჩვენში-უღვთისობას!
ასე, დავიმგზავრებთ-
მარადიულ ბედს და
დროში დავიმკვიდრებთ-
გარდაუვალ შობას!

(1991 წ. სიონი)

სიყვარულის დრო

დროის ორომტრიალს, თვით დრო,
უნდა გამოვტაცო, ჩვენთვის!
ვიდრე, სიყვარული მკვიდრობს,
სულის მდინარებას, ერთვის!..
რადგან, იმას, ვიმკით, ჯამში,
რასაც, დროის თარგზე, ვქარგავთ!
წამს, ვერ დააბრუნებ, წამში?!-
ყველა გადადებულს, ვკარგავთ?!
უნდა მოვიპაროთ, დროცა,
ამით, თუ მთავარი, წყდება?!
როგორ, დაგიმალო, როცა,
დროში, სიყვარულიც კვდება?!
სამი, ღვთაებრივი, რამ გვაქვს-
დრო, სიყვარული და გონი!
მარადისობაში დაგვაქვს,
თუკი, ღვთის საწორზე, ვწონით!
ჰოდა, გრძნობით, დავდგათ ოდა!..
ჩვენს სულს, მოვახატავ, შიგნი!...
დროში, დავიმგზავროთ, დრო და
ვწეროთ, სიყვარულის წიგნი!

❤❤❤❤❤❤❤

თეა გურგენიძე

* * *

ყაყაჩოებში დავტოვე დილა...
ყაყაჩოსფერი ღიმილით სავსემ...
მგონია, მზე და ცისფერი ზეცა
ბედნიერებით ბოლომდე მავსებს.
ყაყაჩოებში დავტოვე დილა...
იწვიმოს? – ზეცა როგორ გაბედავს?!
უნდა მაცადოს დღეს ფრთახატულა
ნატვრის ჩიტებით უბის ავსება.
ყაყაჩოებში დავტოვე დილა...

მასწავლებლის წერილი მოსწავლეს

შენ ჯერაც თოთო გაზაფხული გიდგას თვალებში,
ნაზი ღიმილით მუსაიფობ ცხრათვალა მზესთან.
მე შემოვხარი ცისარტყელას, შენ რომ ასხივებ
და შენი გონის ღრმა ხნულებში სიკეთეს ვთესავ.
მეც შენთან ერთად მივუყვები ცხოვრების კიბეს,
მასზე ზეასვლას მხოლოდ შენი იმედით ვბედავ.
უშენოდ ჩემი არსებობა იქნება არც რა,
შენ მაახლოებ სამოთხესთან და თავად ღმერთთან.
შენი ყოველი გაღიმება სითბოთი მავსებს,
საოცრად ჰგავხარ გაზაფხულზე მოფრენილ მერცხალს
და მე – უფლისგან ხელდასმული – მასწავლებელი,
შენი ცხოვრების ათასფერად მოხატვას ვბედავ.

წახვედი, მზემ ოქროს სხივები

აკრიფა, წყვდიადში დამტოვა...
მას შემდეგ ნისლებში დავდივარ,
მას შემდეგ უწყალოდ მარტო ვარ.
ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვიცრემლე,
ვინ მოთვლის, ვეწამე რამდენი...
ბაგეებს შეაშრა სიტყვები,
მე შენთვის რაცა მქონდა სათქმელი...

ეკატერინე ნადირაშვილი

* * *

მკერდს მძივებად შემოეხვა დარდი,
ეს დღეც თითქოს უღიმღამოდ ჩაქრა,
როგორ მიჭირს უშენობა, იცი?!
მზის სხივებიც ვეღარ მათბობს ახლა...

ვიმედოვნებ, გათენდება ისევ,
მზე გამითბობს ამ გაყინულ გულსაც.
მერცხალივით მოფრინდები ისევ,
და მომიტან ლამაზ გაზაფხულსაც.
2022.02.01

* * *

ფიქრი გორაზე ნავარდობდა,
გული სიხარულით ივსოდა,
სულს სიო ეალერსებოდა,
სიყვარულს კი ფრთები შესხმოდა.
2021.01.06.

* * *

იმედის მარცვლებს, ვბოჭავ გზადაგზა
და ვკინძავ მძივად ყელსაბამისთვის.
უიმედო და უფერო დღეებს,
ნიავს გავატან დავიწყებისთვის.

* * *

ბეღურები შეყუჟულან ხეზე,
მოელიან გაზაფხულის მოსვლას...
მე კი ვიცი, გული მიგრძნობს ასე,
რომ გაზაფხულს შენ დაასწრებ მოსვლას...
და მე გელი, გელი ისევ ისე...
17.01.2022.

* * *

ცა ისევ ლილის ფერს დაიბრუნებს,
გული საგულეს ისევ ჩადგება.
სატრფოს მიჯნური არ მიატოვებს,
თუ გულით უყვარს და ედარდება.
2022.01.25.

მალე გაზაფხული მოვა

მალე გაზაფხულის მოსვლას,
კვლავაც მოგვახარებს ია,
მარტი გიჟმაჟური ქარით,
ფიქრებს წამოგვიშლის მზიანს.
კვლავაც ააფეთქებს ფიფქებს
ნუში ლამაზ-ლამაზ კვირტით,
ისევ გაწვიმდება, ალბათ,
ისევ თვალჟუჟუნა წვიმით...
ხო და ვარდობის თვეს, როცა...
როცა იკეკლუცებს ვარდი,
გულში გააღვიძებს გრძნობას,
გრძნობას მიძინებულს, მუდმივს ...
ისევ გაიღვიძებს ტრფობა,
ტრფობა მომნუსხავი, მწველი...
ნეტარ გაზაფხულთან ერთად
მერცხალიც ფრთებს ისევ გაშლის.
ისევ აფეთქდება სულში
მინაბული ჩუმი გრძნობა...
ხოდა, ჩვენს სიყვარულს ისევ,
ისევ დაეწყება ლტოლვა.
მალე გაზაფხულის მოსვლას,
კვლავაც მოგვახარებს ია...
მარტი გიჟმაჟური ქარით
ფიქრებს წამოგვიშლის მზიანს.
2022.0131.

* * *

ბედნიერებას ელევა წამი,
გზაჯვარედინთან გზები იყოფა.
მოდი ახლა და ისევ მითხარი,
არ დარღვეულა ჩვენი პირობა.
როგორც წლების წინ გზის გასაყართან,
იმედის სხივი მაბნიე გულთან
მერე წახვედი ისე დამტოვე,
სასომიხდილი ჩემს სიყვარულთან...
ლოდინმა უკვე დაღარა გული,
სულში დარდები აღარ ალაგდა,
მოდი, მე გელი ისევ იმ ადგილს,
სადაც დამტოვე, გზის გასაყართან.
ბედნიერებას ელევა წამი,
ისევ გთვლი ჩემი გულის ებგურად,
მოდი ახლა და ისე ვით ადრე
მითხარი, მეტრფი კვლავინდებურად..
მე ისევ ისე გელი იმ ადგილს, –
ამოჩემებულ სულის საყდართან,
ვერ დაგთმე, რა ვქნა, ასე ადვილად,
გაყრის წუთიდან გზაგასაყართან.

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

შემოგაგებებ აპრილის იებს

შენთვის ცხოვრება დიდი ტვირთია,
ცოდვა გამძიმებს შვილთა უძღებთა,
ვიცი, სამყარო შენთვის მუქია,
მისი ფერები გეპირქუშება.

შენ ასე ნაზი და ახალგაზრდა,
უნდა ამყნობდე ლამაზ გვირილებს,
უნდა ოცნების ყვავილებს რთავდე
და არიგებდე ლამაზ ღიმილებს.

მე მოგიგროვებ იმედის კენჭებს,
და აგიყვავებ გაცრეცილ იმედს,
შენი ცისფერი ზღაპრების კართან
შემოგაგებებ აპრილის იებს.

გთხოვ, დაელოდო ხელსაყრელ წამებს,
გულს ნუ შეამსხვრევ ჩარაზულ კარებს,
კედელი თავად ჩამოიშლება,
მას გასაღები არასდროს აღებს...

უფლის განგებით და თანადგომით
ფრთხილი ნაბიჯი არ აგერევა,
ჰო, და... ამ პირქუშ სამყაროს იქით
ბედნიერება დაგებედება...

გული გაუხსენი ცისკარს

გული გაუხსენი ცისკარს,
თავი აღარ მისცე ურვას,
შენ რომ გაგითენდეს დილა,
ცა და დედამიწა ბრუნავს.
ადექ, ეამბორე ზეცას,
მადლი შეიგრძენი მიწის,
შენ რომ სიმშვიდეში იყო,
დიდი პლანეტები იწვის...
ქება მიუძღვენი ბალახს,
ცრემლი შეუმშრალე ფოთოლს,
მადლი ანაცვალე წყენას,
სული დაუმშვიდე ობოლს.
არა სამდურავი არ თქვა,
თუკი გაგითენდეს დილა,-
შენთვის აელვარდა მზე და...
შენთვის ვარსკვლავები ბრწყინავს...

ჩემს შვილიშვილს – ნაიას

მზე დაეფინა რტოებს ნამიანს
ფრთები გაშალა ქიამაიამ,
ანგელოზების დასის თანხლებით
დღეს მოგვევლინა ციცქნა ნაია.

ჩემო ფერია, ჩემო მზისთვალა,
ციდან მოსული მანათობელი,
შენა ხარ ჩემი ნაზი გულისთქმა
და სიყვარულის მახარობელი.

მზე ამობრწყინდა ჩემთვის ახალი,
გააცისკროვნა ჩემი ცარგვალი,
გული სხივებით არის გამთბარი,
სამყარო ახლა არის სხვაგვარი.

შენი პაწია, ფაფუკი ხელით
ამომიქარგავ გულზე გვირილებს,
ჩამომიმარცვლავ ოცნების დღეებს
და გამიმრავლებ ლამაზ ღიმილებს.

დამილოცნიხარ ჩემო პატარავ,
შენი გზა იყოს სავსე სიკეთით,
უფლის შეწევნით და თანადგომით
მზეთამზეობდეს შენი იმედი.

ჰეი, მამულო, გაძარცვულო ღვიძლი შვილისგან, უნდა გაცოცხლო, შევინახო შენი დიდება

მინდა სიმართლის აბჯარი მეცვას,
მსურს მოვიხადო მხედრული ვალი,
ვიყო ერთგული ჩემი მამულის
და მივიტანო სამსხვერპლოდ თავი.

კმარა სიყალბე, მიეთ-მოეთი,
ერთხელაც უნდა სათქმელი ითქვას,
უნდა დავგმანოთ სიცრუის კარი,
სიმართლე უნდა გმირულად იშვას.

ვერ მოვეფერეთ სიწმინდეს ჩვენსას,
კვერთხი უპყრია გამცემს და უნასს,
ვერ დავინახე ერთგული კაცი,
ვინაც ძმის კარავს დარაჯად უდგას.

ვერ დავიცავით ქართული სიბრძნე,
რაც ქართულ სიტყვას
მზეგრძელად უთქვამს, –
ყალბი სიმართლე და ილუზია,
თავზე მთებივით დაგვადგეს ურცხვად.

ჩვენ, რა ხანია, ბედოვლათობით
გადავამრავლეთ ავაზაკობა,
ეს რომ დავუშვით – ძალა არ გვეყო,
გადამთიელიც მიტომ აბორგდა...

რომ მოვიფხანოთ გული ყასიდად,
ყალბ შეგონებებს ვაძლევთ სულისთქმას,
გვჯერა სიცრუე, მონაჩმახები
და ყურს არ ვუგდებთ
ნამდვილ გულისთქმას.

ჩაიგდეს ხელში სადავეები
ჭკუა ნაკლულმა და შეშლილებმა,
მათ დაახალეს ტყვია ჩემს მამულს
და აატირეს მრავალი დედა...

ამდენ ჭიდილში, წია-წიაში
გამოიფიტა ქართული ზეცაც,
მოღალატეთა ნაკორტნი მიწა
თანდათანობით ფეხქვეშ გვეცლება.

გამოიღვიძეთ, უნდა გავბედოთ!
თუმცა არ არის დღეს ეს ადვილი,
ცრუს, მოღალატეს, იქედნეს ნაშობთ
რომ მივუჩინოთ მისი ადგილი.

შეინარჩუნო სიწმინდე შენი,
ეს კანონია შეურყეველი,
რომ სისხლის ფასად უნდა დაიცვა
საუნჯე შენი ხელუხლებელი.

ჩვენი ქვეყანა – სამოთხის მხარე
არ დავანებოთ მოვარდნილ მეწყერს,
ბოლოს და ბოლოს ეს შავი წყალი
ჩამოვურეცხოთ ჩვენს ქართულ ფესვებს.

კახა სამყურაშვილი

ვარ მასპინძელი და ვარ სტუმარი

ლექსი, სიმღერა, ყველა ხელობა,
ყველა ნიჭი და ყველა უნარი
მიმართულია მომმადლებლისკენ,
ზედ სხივი ადგას გაუხუნარი.

ყველა ტალანტის იკავებს ადგილს
ხმა ყოვლისმთქმელი, სხივად მდუმარი,
და სანატრელი ამ ნეტარების
ვარ მასპინძელი და ვარ სტუმარი...

სული ყვავილობს და ავსებს უკვე
ძლევის სურნელი – ბედზე უმალი,
და ერთიანად რინდდება ყველა –
ეს ასპარეზი, ეს სასთუმალი...

თვით აზრში კვდება ყველა საცდური,
ცრუ ზმანებანი და სატყუარი...
და განფენილა მხოლოდ სიმშვიდის
და გამარჯვების გზა უტყუარი.

ახლოა უკვე ექო ხმა შორის,
სამარადღეო და წარუალი,
გზამშვიდობისა!.. გზა ლექსად გადის...
სასწაულია გარდაუვალი!..

***

მწვანე ნამი, მწვანე წვეთი,
ვხედავ მწვანეს, მწვანე უღრანს,
სივრცეების გადამკვეთი
მწვანე ნავი ნაპირს უღრენს...

მოსწყდა ნამი, ნავიც — ნაპირს,
გაიფიფქა ფაქიზ ქაფით,
გამოება ჩემს შორს ნაფიქრს
ჰორიზონტის მწვანე ძაფით.

ჩიტი

დავმარხე ჩიტი გამხმარი ხის ქვეშ,
გული წუხილით სულ გამეწურა,
ცრემლი მდის, ძალა გამომეცალა,
უსუსურობამ გამანადგურა.

ვერ დავიჯერე თურმე ცოდვილმა
საკვირველება ამ სინამდვილის,
ვერ დავიჯერე მე სიდიადე
უბრალოების და სიადვილის.

ზღვა სიხარული წამში ჩაიქცა
სევდის უფსკრულში გმინვად და გრგვინვად,
ნათურის ყუთი გადიქცა კუბოდ,
ფარღალა ბუდე — გლოვის გვირგვინად...

ვაი, ჩიტებო! ვაგლახ, – სიცოცხლე,
თვალთა სიბრმავე, ხელთუმართლობა!
თვითონ ხედქცეულს მხოლოდღა ხისგან
მაქვს თანადგომა და თანალმობა!..

მოდინახის მთას ბარტყს შეახორცებს
ცოცხალი ფესვი, ბალახის ცვარი,
არ მოაცილებს წმინდა ჭრილობას
მაღლითა მთიდან თვალს გორიჯვარი.

თუ მექნა ღონე, აქ ხშირად ვივლი,
ხეს ვთხოვ: – არ გახმე და ბარტყს მაგ ფესვით
შენი ცხოველი წვენი შეასვი
და ფესვებიდან ტოტებზე შესვი!

ან იქნებ კიდეც ზის უკვე ტოტზე,
შერიგებისთვის ხმობს კვლავ შობილი...
თუმცა ვერ ვამჩნევ და ვერც ვიჯერებ
მე სმენა-მზერა-გულდახშობილი...

დარდისგან ვიწვი, ცოდვისგან ვიწვი,
მდუღარე ცრემლი სულს ვერ მისველებს,
ჩიტი... ხმელი ხე... მთა... გორიჯვარი!..
ღმერთო მიშველე! ღმერთო გვიშველე!

კარის გამღები

კარი ჭრიალებს და გულს იფხაჭნის,
არც გამღები ჰყავს, არც – დამკეტავი,
შემხვედრი გულის კარიც იძახის
— სად არს, ნეტავი, ის გამბედავი!...

სადაა სახლი, სადღაა ხალხი,
კაცი და ცხენი... თუნდაც კენტავრი...
კარი ჭრიალებს და გულს იფხაჭნის,
არც გამღები ჰყავს, არც დამკეტავი...

* * *

განწირულია ყველა უჯრედი
გასახევებლად და გასახრწნელად,
გაქრობის აზრი, რომ ჩაუჯდება,
გაიოლდება გამოსახსნელად.

ისევ იმ გზნებად გამოიხდება,
რამაც შვა, რამაც ის შეიმოსა,
ვით ხისგან ცეცხლი გამოიხედავს
და მზერად იწყებს ირგვლივ მიმოსვლას.

მასში ტკივილიც გამოიწვება,
გამონელდება არარსებულად,
გამჭვირვალობად გამოიცვლება,
ჩამოალღვება, რაც რამ ებურა.

შემოეხსნება დროის მარყუჟი,
თითქოს ხვალ იყო და გუშინ არის,
უცებ გახდება ყველგან ნამყოფი,
სული – ხილული და უჩინარი...

რაც იყო... იყო, რაც არის... არის,
და რაც იქნება, ის ის იქნება,
ვარ მადლობელი მზისა და მთვარის,
რომ გამომიხსნა ამ ლექს-ფიქრებად.

ფითრი

წვენს წოვს მცენარეს მცონარე ფითრი,
ხეში ჩაჭრილ ტანს ფოთლით იფარავს,
ხარობს, მცენარე დღეებს რომ ითვლის,
რომ მის მხნეობას თვითონ იპარავს.

ტოტების კვდომას ლხენით შეჰყურებს,
სურს მათი ბოლო სუნთქვით დანამდეს...
ასე არ სჯერათ ბებერ ბეღურებს –
,,დაიღუპება თვითონ მანამდეს...

ფითრიან ტოტებს გადაბელავენ,
ხეც ამოიყრის ადრე თუ გვიან,
მის მწიფე ნაყოფს ჩამობერტყავენ,
ფითრიან ტოტს კი კოცონს მიჰგვრიან."

იტყვის ეს წიგნიც

ბოლო ამბები
თუ არ ასახა,
წიგნი რას გვარგებს...

სახლის ამგები
დრომ გაასახლა,
ხვედრს ის განაგებს.

ითქვა ძველ დროში,
ითქვა ძველ წიგნით,
იტყვის ეს წიგნიც, -

რა და ვინ მოშლის
გარეთ თუ შიგნით
ავ დროის ტინგიცს.

ორბივით განახლებული

მე ვწევარ შენს ნაკვალევში,
სულის ტკივილებს ვიამებ,
ვიდრე გზას გამოვიგნებდი,
სულმოუთქმელად ვიარე...

ნელსაცხებელის სურნელით
აღვსილი ეს ნაფეხური,
მიფლობს ხავერდის სირბილით
ვით სასთუმალი მეფური.

თუმცა არც მაცლის ამ შვებას...
კიდევ უფრო მეტს მპირდება!..
განვაგრძობ ძალშემოსილი,
მანძილიც უფრო მცირდება!..

შენმა მზემ გამომიწვია,
მაცნედ სხივები მომფინა,
ორბივით განახლებული
კი არ მოვდივარ... მოვფრინავ!



გერონტი მესხი

მდინარე ფრონეს სამაჩაბლოში

„ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიანო!“_
ჩვენ რომ დაგვაშორეს, ალბათ, მაშინ ითქვა.
აპრილ– მაისში წყალუხვო, ბნედიანო,
ივლისს რად მცირდები,-მაწვალებს ეს კითხვა.
მდინარე ივსება შენაკადებით და
ცა– ვარსკვლავებით და ტყე-ამონაყარით.
ორჯერვე კვლავ შენსკენ გავარღვევ ჯებირს და
შენს დგაფუნს შევერთვი… დამთავრდეს ზღაპარი...

2013წ.

მას, ვისაც ჯერ არს...

კაცის წახდენა შვებას გგვრის ისევ,
შენი გუთანი, გწამს, შეღმართს მოხნავს…
ყველა დირექტორს მოერგე ისე,
როგორც გოტიე– შემართულ ოყნას.
შენ განადიდე ჩაშვება, ძვრომა,
ბინძური სულით გასწვდი ნაღდ კაცებს...
რომელ დარგთანაც გქონია წვდომა,
ზოგს სპობდი, ზოგი ძლივსღა ბარბაცებს.
კვლავ რეკვიემის აგრძელებ რეკვას
და დიდრონ სტომაქს სიბილწით ივსებ.
ვინც შენს დაკრულზე ზურგზე არ ცეკვავს,
უსამსახუროდ დარჩება მყისვე.
ზოგს, რომ აგინებ, გიცინის, თითქოს
თბილი ძუძუნი ლოცავდნენ შენი .
ზოგი ცოლს ხდის და გახდილს შენ გითმობს,
ახარებს შენთვის მოძღვნილი ძღვენი.
შენ განა ჰგავხარ,შენ ხარ ყვარყვარე,
შენით მძიმდება წუთისოფელი.
ჯერ კაცს გასწირავ, მერე ხარხარებ,
როგორც მსხვერპლის წინ– მეფისტოფელი.
ბოროტს ერგები, როგორც კლიმატებს,
სიკეთეს ებრძვი, ვით ქარი-სალ კლდეს.
სხვის შვილთა ცოდვებს ისე იმატებ,
თითქოს საკუთარს ის შენგან აკლდეს.
იქ, სადღაც, იცდის პასუხისგება,
კეთილი სახლის ბოროტო მდგმურო...
მონანიების დრო-ჟამი დგება,
გონზე მოეგე, შე უბედურო!..

2012წ.

მზისხატულა ქალავ!

(სიმღერა)

მზისხატულა, საოცნებო ქალავ,
მონუსხული სათქმელს გულში ვმალავ.
შენს აურას შემოვახვევ ფიქრებს.
ჩემი გრძნობის ძალა იგრძნო, იქნებ.
ეგ მწველი და მათრობელა მზერა
მაგ გულიდან იმართება, მჯერა.
შენგან დიდი ენერგია მოდის,
და მაოცებს, სად ჩნდება და როდის?
სითბოს აფრქვევ, მკერდში რომ გაქვს, იმას,
ვნატრობ, ახლა მოვიდოდეს წვიმა.
შენ კისკისით გაურბოდე წვეთებს,
შემეფარო, როგორც გვირგვინს მეფე.
ისე წვიმდეს, როგორც წვიმდა გუშინ,
წვიმა იყო, მე რომ ჩამრჩი გულში.
ხვალ იქნება ფანტელების თოვა,
ფიფქი თოვლი შენთან ერთად მოვა.
მერე გესვრი სიყვარულის გუნდებს,
და ავაგებთ თბილ და მყუდრო ბუდეს.
გავმრავლდებით, როგორც არაერთი,
გაგვიღიმებს ამურული ღმერთი.
გვეყოლება უამრავი ბავშვი,
შენ იჯდები მუდამ სუფრის თავში.
ვადღეგრძელებთ სიყვარულის მომგონს...
მომე ხელი, მომე ხელი, გოგოვ!..

2014 წ.

მკურნალი

(ბ-ნ გივი მაზმიშვილს, რომელსაც ფსიქოთერაპიული სეანსებით
უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული)

სასწაულები არ ხდებაო... ვინ თქვა, ბატონო?..
დავრდომილები გამართულან ამაყად წელში.
მეც ხომ წელკავი მოვიშორე, ეგ უპატრონო,
გადავრჩი ქირურგს, გამზადებულს სკალპელით ხელში!..
რაის წელკავი, დაგრეხილმა ვიარე წლები
და მერე როგორ!-ჩემი ცოდვით იწვოდა ყველა...
ხერხემლის დისკოზ-თიაქარი... მეგონა, მგლები
მიღრღნიდნენ მალებს და არსაით არ ჩანდა შველა .
“და იყო სიტყვა!..” “ადამიანს ნებით უფლისა
აქვს ენერგია, დამთრგუნველი ყველა სენისა.”
და უკუიქცა სნეულება ჩემი, თუ სხვისა,
რაკი ვისწავლეთ ენერგიის მართვა ჩვენისა.
ჩემამდეც, მერეც, ათასებმა მოიმკეს შვება,
შესაძლო გახდა ძლეულ სენთა დათვლა ასობით.
ეგ უნარი და ენერგია ჯერ უქნელს შვრება
და კურნავს სნეულს შეგონებით, მართლა კაცობით.
ჩამონათვალი გაგვიტაცებს ბევრად უფრო შორს,
ლექსი კი არა, არ ეყოფა პოემა მთელი.
მაგ სეანსებზე თქმული სიტყვა საქმით უფროსობს ,
მანდ მოგიზგიზე თვალებია შედეგის მთვლელი.
სნეულებები ვერ აკვირვებთ ბევრის მხსნელ კედლებს,
მთელ დარბაზს მადლი ეფინება უფლის დიდებით...
დავაწესებდი, რომ შემეძლოს, “მკურნალის” მედლებს
და მაგ თბილ მკერდზე პირველივეს ჩამოგკიდებდით.

2013წ.

მ ო გ ი ლ ო ც ა ვ თ

გადმოიყრის ველ მინდორი
მწვანე დალალს
და ზეცის თაღს შეაკვდება
ქარ-წვიმები.
ახლა, თუმცა, ნიავივით
წყნარად დავალ,
მერე,
უცებ,
გაზაფხულად გავწვიმდები.

გავწვიმდები და სიყვარულს,
ნაკრებს გულით,
წვეთებსა და
ნაკადულებს მივცემ ლოცვად.
გავწვიმდები,
დაგასველებ სიყვარულით
და თან
რვა მარტს
და გაზაფხულს
მოგილოცავ!

1973წ.

ხათუნა ჩიტაძე

...
გამოვიტანე ბავშვობიდან
ჩვენი ფურცლები,
რომელნიც უშნოდ შეფერილან,
დაღამებულან...
აუხდენელი ოცნებები –
მსგავსი ლოცვების,
დასველებულან,
სულის ფსკერზე დავანებულან...
დროა, მზის შუქმა მიითვალოს
წრფელი ცრემლები,
დროა, ნიავმა წაიკოთხოს
ის გულის ფეთქვა,
ქაღალდის ჩიტებს
მზესთან ვუშვებ
ჩემი ხელებით,
და ვდარდობ,
ხვალ ვინ გადმოაფრენს
ჩემს ლექსებს შენთან...

ზამთრისეული

ამ ზამთარს, თითქოს, არ უჩანს ბოლო,
ყველა დღე, ერთი დიდი ფიქრია,
იმედი ნისლში გამოკრთის, მხოლოდ,
მყარად დამდგარი, რუხი ფითრია,

ბრწყინავს ყინვა და მრუდ თვალს იტყუებს,
არაა მასში სითბო და გემო,
მკლავს მასვენია მკვდარი სიცრუე,
შეგეშველები საშველო, ჩემო!

დაეწრიტება სასრული ყინვას,
ციალებს მთვარის ფერზე იმედი,
კვლავ მეგებები იგივე მცინარს,
უცვლელად ვდგავარ მზისფერ სხივებით!

სამაჩაბლოს

ახლა ამ გაღმა სულის საფლავებს,
ისე ამშვენებს სევდის ხავსები,
როგორც შვილმოკლულ ეული დედის
მარადიული, შავი ძაძები!
ახლა ეს ქარი სევდის მთვარეს ქსოვს,
დაფლეთილ მიწას სისხლის სუნი სდის!
როგორ დავუთმეთ შვილები შავ ქორს,
არ შევდუღაბდით მათი სულისთვის!
და გვენატრება ჩვენი და-ძმობით
და ჩვენი ყრმობოს წყვილი აკვნები,
რას წავაგებდით წყენის დათმობით,
ამერ-იმერის ერთობ-საკმევლით!
... მე სამაჩაბლოს მიწას მივსტირი,
და აფხაზეთი, – მძიმე ტვირთია!
ფეხქვეშ ისევ ვგრძნობ მათ თბილ სავანეს,
სულ ჩვენს მხრებზეა, რაც გვიტვირთია.
უფალო!
მხოლოდ შენი წყალობით!
უფალო!
მხოლოდ შენი ნებაა!
მჯერა!
ამდენ ხანს მისთვის ვწვალობდით
ხვალ ერთობისთვის კვლავ შენებაა!
... ახლა კი,
გაღმა სულის საფლავებს,
ისე უხდება სევდის ხავსები,
ვით შვილმოკლულ და ეულ დედის
ცრემლს,
მონატრებული შვილის თვალები.

ქართული ენა

ჩვენი ასომთავრული და
ნუსხური და მხედრული,
დედაენა!
საქართველო!
საღვთისმშობლო რჩეული!
დალოცვილი ივერია,
ზნეკეთილი მეგზურით,
დედის ნანა და სიწმინდე,
ზენად გამორჩეული!
ჩვენი ასომთავრული და...
ნუსხური და
მხედრული.

სახლობანა

დანგრეულია სახლის
კუთხე-კუნჭული ყველა...
ბევრჯერ უთვლიან პატრონს,
ქიშკარი აღარ ელავს...
არავის ახსოვს ოდა,
აღარც პეპრას ლოცვა,
დაუთვლელია საქმე
და არავის აქვს მოცლა!
... მაინც, იმედით ცოცხლობს,
ეს ნასახლარი, ძველი,
ეზოს ამშვენებს მხოლოდ,
ბავშვის მართალი ხელი.

გული მევსება ცრემლით,
(იოლი არის განა?!)
– ბავშვები ნასახლარზე
აწყობენ სახლობანას!
შემოუღობავთ კუთხე,
„ოთახებია ესო“,
მართალი გულწრფელობით
მოუხატიათ ეზო...
ნასახლარს მართლაც იცავს
ბავშვის ალალი ხელი
კვლავ აშენდება მათით
პეპერას ოდა, ძველი!

ჩემი სატრფო-ხაშური

მზეთა მშვენიერი მზერა და
სულში ტკბილი გემო-ხრაშუნი,
ყველა დარდი მიაქვს ზენა ქარს,
როცა გულ-მკერდს მითბობს ხაშური!
გზაზე საოცარი სურნელი,
ყველგან ბეღურები ბავშვური,
აქვე, – ასკილი და კუნელი,
ეზოს ვაზის ტკბილი ნაჟური.
ვუმზერ ტკბობით ტყემლის პატარძლებს
მერე – ფოთოლცვენის შრაშუნი...
ამ სიყვარულს, ღმერთო რა დალევს,
როგორ მიყვარს ჩემი ხაშური!
შურიაო! შური? რა შური?!
მხოლოდ გრძნობებია საშური!
სულის ტკივილამდე ბზინავს და
თავად გული არის ხაშური!
მზეთა მშვენიერი მზერა და
ცაზე ვარსკვლავების შმაშუნი
ყველა დარდი მიაქვს ზენა ქარს,
აი, ჩემი სატრფო – ხაშური!

ავტოპორტრეტი

მხრებს მინდვრის შალი მიმშვენებს,
ოჯახს-სითბო და შვილები!
ღმერთი როგორ არ მიშველის,
მისთვის ვიწვი და ვილევი.
წლები მძივად მაქვს ასხმული
გულს მფარველი ჰყავს, რჩეული,
მადლობელი ვარ განგების,
ცხოვრებით, გამორჩეულით,
სიტყვა მეტრფის და ფერებით,
სული ზეცას კვლავ მივანდე,
ცას ვუქვრეტ დაუღალავი
ამიხდა, რაც კი ვინატრე!
ტყე გადავლახე უღრანი
და მზესთან ერთად ვინათე!
ჩემი ფესვები მყარია,
რჩეული მამა-პაპანით,
ეს მე ვარ,– ქართლის ქალია
მარად უქრობი ლამპარი!

* * *

(დეკემბრის ამინდებზე)

მოაკაკუნებს, აგერ,
კარზე ფიქრების სუსხი
მე კი კარს უკან ვაგე,
სითბო და მატყლის ბუმბლი.
ზამთარი ღრიჭოს სინჯავს,
მის უკან ფრთხილად ვიცდი,
ავსებული მაქვს სირჩა,
კვლავ სიყვარულის სიზმრით!

ვეფოფინები, როგორ,
ჩემს პაწაწინა ფუმფლებს,
ნურავის კარზე მოთოვს,
მარად მზე იყოს ზღურბლზე!
მოაკაკუნებს, წავა,
გზას გაუყვება შორით...
კარს უკან ლოცვით ვდგავარ,
დედა, შვილი და ცოლი!

ნანა მომცელიძე

* * *

მზისკენ მიმავალი სული გამიფრინდა
მტრედის ანაფრენი ზეცა გაირინდა,
მშვიდად გამონათდა ღრუბლის კონტურები.
მზისკენ მიმავალი სული გამიფრინდა,
სული,როგორც ნაძვის ციცქნა ბეღურები.
თეთრი ანგელოზი ჩემს სულს შეეფარა,
ჩუმად ჩამოკეცა ფრთების მაქმანები.
ჩუმად იტირა და თავი შემებრალა,
თავი,უსულობის ქარით ნაქარები.
საით მიმოვფანტო ძველი ნამცეცები,
როგორ მოვუყარო თავი სინამდვილეს?
თვალი სად დავხუჭო,უკვე ნაცეცები
მინდა ვიყვირო და ნეტავ ვინ მაყვირებს?!

არსის სინამდვილეევ,უკვე დაგეხსენი,
უკვე გავიკაფე სიმწრის ნაპირები.
სულის მარწუხები უცებ მოვიხსენი
გულიც გავილაღე უკვე ნატირები.
რადგან ამაოა დარდის ბურთის ქონა,
რადგან სულის შფოთვა დარდს
ვერ დაამშვიდებს.
ისევ სიყვარულით...გაზაფხული მოვა,
ზამთარს გადაუხდის ისევ პანაშვიდებს.
მტრედის ანაფრენი ზეცა გაირინდა,
მშვიდად გამონათდა ღრუბლის კონტურები.
მზისკენ მიმავალი სული გამიფრინდა,
სული,როგორც ნაძვის ციცქნა ბეღურები.

ცისკენ

დემონის ხარხარს უერთდება მავანთა სიტყვა
ჯვარცმის ფრესკიდან იმზირება უფალი ქრისტე,
ჟამიდან ჟამში გადავიდა უჩუმრად მიჰყვა
უკვდავს, მარადისს, ამოუცნობს მინდა მეც მივყვე.
და სინამდვილეს აუჯანყდა მართალი გული
გაინაპირა რეალობის მღვრიე ტალღები,
ის ჯვარცმის ღამე, სისხლისაგან დაცლილი სული
და სისხლიანი მთვარის შუქზე თეთრი თაღები.
ცოდვის წამებში გვახსენდება ჯვარცმული სული
და განწირული თვალს აღვაპყრობთ ჯვარცმული მზისკენ,
ბრმა სიკვდილივით გვითეთრდება სისხლი და გული
სული კი მიდის უსასრულოდ მზისკენ და ცისკენ.

აპრილი

სულს ცეცხლი ისევ ეკიდება დედამიწაზე
უხმოდ იწვება ხეივანში ხმელი ფოთლები,
როგორ მინდოდა ძირს დაშვება ისევ მიწაზე
მაგრამ,საწუთროვ,დავიღალე,ვეღარ მოგყვები.
მინდა შევეხო ანაბეჭდებს ძლიერი ხელის
მინდა მჯეროდეს მოთმინების შემდეგ მზის დარის,
მინდა მჯეროდეს უთქმელობით დაღლილი ენის
დუმილი ღმერთის ენააო ასე მითხარით.
ჰოდა,ვარ ჩუმად ნაზამთრალი ხეების ფონზე
ჰოდა,ხავსივით მოვედები თეთრონ მოსასხამს,
ჰოდა,იმედსაც გამიყოფენ ისევე ორზე
სანამ აპრილი ჭრელ ხალიჩას ისევ მოქარგავს.

ადამიანო?!

ფეხზე თუ დგები,მოგცელავენ როგორც ბალახი,
თუკი ეცემი ხელს გკრავენ და იღიმებიან,
თან უხარიათ თუ გესროლეს ბევრი ტალახი,
თავის ბოღმაში ბედნიერად იძირებიან.
ადამიანო,რად არ გინდა გიყვარდეს,გწამდეს,
რად არ ოცნებობ ბედნიერი იყოს ყოველი,
რატომ არ გინდა ყველა კაცი რომ უფალს გავდეს,
სიბოროტეში საიმედოს რატომ მოელი.
ვეღარ გავიგე რად წაბილწა ქვეყანა ქიშპმა,
ვეღარ გავიგე რატომ მძლავრობს ქვეყნად ბოროტი,
ვეღარ გავიგე ბოლო-ბოლო,რა რატომ გვინდა,
ან რატომ გვიწევს გაკვირვება მამლის ბოლოთი.
ადამიანო,რად არ გინდა გიყვარდეს,გწამდეს,
რად არ ოცნებობ ბედნიერი იყოს ყოველი,
რატომ არ გინდა ყველა კაცი რომ უფალს გავდეს,
სიბოროტეში საიმედოს რატომ მოელი.

თუ საქართველოს

თუ საქართველოს დაეკარგა ხიბლი და სახე,
თუ საქართველო ისე წახდა,როგორც არ მინდა.
თუკი სიწმინდეს ემუქრება შიში და საფრთხე,
მინდა მოვასწროთ,სანამ ყველა სადღაც წავიდა.
თუ საქართველოს ისტორია აღარ გვაღელვებს,
თუკი ცისფერებს უნდა ვუკრათ ისევე ტაში,
თუკი ქართველი სინანულში უნდა დაბერდეს
და ჩვენი სიტყვა კვლავ ქვასავით ვიხალოთ თავში.
მაშინ არ მინდა გაჩუმება,ლოდინი,ფიქრი.
მინდა სიცოცხლეს დაუბრუნდეს ძველი ხალისი.
მინდა აპრილის აკვირტება,სადაც ქედს ვიხრი
და მობრძანება ვარდის ფურცლად ისევ მაისის.
და საქართველო გაბრწყინდება როგორც არასდროს,
სიყვარული და ერთგულება გაიდგამს ფესვებს.
ღვთისმშობლის კალთა საქართველოს ვიცი არ დათმობს,
ყველა ქართველი თავის გულში ხომ უფალს ეძებს.

მამუკა ოჩიაური

ჭიმღა*

გახსოვს ჭიმღა და გარმუნის გადარევა,
გაღმა კლდეებს ასკდებოდა როცა ექო
ანდა ზვავად მოვარდნილი ლექსთა რემა,
ლამპის შუქით ავსებული ძველი ჭერხო.

ან აისი ჭიმღის ჭიუხს ჩახვეული,
დილით ცვარი გაფანტული მწვანე მოლზე,
თეთრი ნისლი მზის სხივებით დახეული,
ათინათად ანთებული ყინულ თოვლზე.

ძველი ციხე ბექზე კენტად წამომდგარი
და ჭინჭარი ატეხილი ნასახლარში,
დროისაგან შენგრეული ციხის კარი,
კენტად სახლი შერჩენილი სოფლის თავში.

გახსოვს ჭიმღა და თავნება ნაკადული,
ყვავილები რომ ფარავდა მწვანე ბექობს,
დაღლილობით მოფართხალე მკერდში გული
და მთებიდან ასხლეტილი ჩუმი ექო.

ეს წყალ-ჭალა სიმარტოვის მყუდრო ბინა,
სახლი გვხვდება კენტად მდგარი სოფლის თავში,
ჩაქცეული ბანი ტანჯვით მოსთქვამს, გმინავს
ჭინჭრისაგან გათელილი ნასახლარში.

გახსოვს ჭიმღა და გარმუნის გადარევა,
გაღმა კლდეებს ასკდებოდა როცა ექო,
ანდა ზვავად მოვარდნილი ლექსთა რემა,
ლამპის შუქით ავსებული ძველი ჭერხო.

*ჭიმღა – სოფელი არხოტის თემში (პირიქითა ხევსურეთი)

ია ნანეიშვილს

აქ, მთებში ექოდ რეკს გლოვის ზარი
ქათქათა მთებზე ნისლის ჯანღია,
ამ მზიანეთში დღეს აღარ არის
სიტყვით და გულით ვერ გვათბობს ია.

ვეღარ ეწყობა სიტყვანი კალმით,
დამუნჯებულა ხმათა ექონი
ცივმა ნიავმა გულდაგულ მალვით,
შემოიფრინა სოფლად ჭერხონი.

სიკვდილო რად ხარ დაუნანები
მშიერ მგელივით დახვალ შარაზე,
რად დაუბნელე ტკბილი წამები,
მისთვის სამზეოს კარი ჩარაზე.

ვითომ დამარცხდი გვეგონა ასე,
სიცოცხლემ შენზე ისევ იმძლავრა,
მაგრამ თვალები სიცოცხლით სავსე
დაიშრიტა და ჩამოიშალა.

მე არ მეგონა არა ,არა და
შეელეოდი სამზეოს მზიანს,
მეგონა კალთით დაიფარავდა
უფალი ღმერთი სენისგან იას.

მაგრამ ო, მაგრამ საწუთრო ჩვენი,
უსამართლო და დაუნანები
სიკვდილმა, შენი სიცოცხლემფენი,
რად დაგიხუჭა ია თვალები.

გემშვიდობები, ნახვამდის ია
თოვლიან მთებში კენტად მყოფელი
მთებში თოვლია, მთებზე ჯანღია
თითქოს სიჩუმეს გლოვობს სოფელი

დაჭირხლულია ტოტები არყის,
ბეღურა ფრთებით ათბობს კენწეროს,
გულმწუხარებით დაგიწერ ასგზის
ია მშვიდობით ,ჯვარი გეწეროს!

დოხტურს

/ ამ ლექსს ვუძღვნი მიხეილ ჭინჭარაულს – "დოხტურს " სასახელო ხევსურს და შესანიშნავ ექიმს (ქირურგს) ,მრავალი სიცოცხლის გადამრჩენელს./

დანაძოძებულ სხეულს ამთელებ,
ექიმის ხელით კემსავ იარას
იმზეგრძელე და სულ იჯანმრთელე,
წუთისოფელი განვლე მზიანად.

ბევრჯერ გაჰკვნიტე ტანჯვის ლაგამი,
დარდის ლოდები გულით ატარე,
ძველ იარებზე მოჩანს ბალღამი,
ნაწილი რამლი წლებს გაატანე.

მუდამ მარცხდება შენთან სიკვდილი
ყველა შენ გიხმობს, ოქროს ხელიანს
პაციენტები მუდარის თვალით,
ვით მხსნელ ანგელოზს ისე გელიან.

შატილი – შენი ნავსაყუდელი,
შატილი – შენი ძველი აკვანი,
სენის მომსპობი და შემზღუდველი
ბევრჯერ ჩაეცი ტკივილს ლახვარი.

ჭირს უხალხობა და თეთრად ბარდნის,
ბილიკი მიდის მხოლოდ წყარომდე
ვერ ტოვებ შენი წინაპრის ადგილს,
გინდა ამ მთებით მუდამ ხარობდე.

გესაუბრება არსთა გამრიგე
დანაძოძებულ სხეულს რომ ხედავ,
სიცოცხლეს მისხალ – მისხალ არიგებ,
სიკვდილს ჭიდილი ვერც გაუბედავს.

დღესაც იმედად გიმზერენ მთებში
გიხმობენ ექიმს ოქროსხელიანს,
ძველ მოგონებით უგონოდ თვრები
აწმყოც მძიმეა და ერთფერია.

დანაძოძებულ სხეულს ამთელებ,
ექიმის ხელით კემსავ იარას
იმზეგრძელე და სულ იჯანმრთელე,
წუთისოფელი განვლე მზიანად.

მოგიტაცებ!

ქალის ნაწნავს დაემსგავსა ნისლი ცაზე,
დამწუხრებულს მხოლოდ ოხვრა აღმოხდება
ხმა გავარდა თემში შენზე მოიტაცეს,
ნეტავ კარგო თქვენს ოჯახში რა მოხდება ?!
დედაშენის კივილს მთები აიტაცებს
შენი ძმა და მამაშენი,შეკაზმავენ ცხენებს
გაიგებენ რომ სოფლიდან მოგიტაცე
და არხოტის გზა – ბილიკებს გაგიყენე.
სულ სხვა სახით დაგვიხვდება ახიელი,
ტაშ – ფანდურას გამართავენ ბანზე
ყანწით ხელში დაგვლოცავენ ნათლიები,
გადაჰკრავენ, დაწურავენ ყანწებს თიხის ჯამზე.
მომაწვდიან მეც არყიან ყანწს ჯიხვისას,
გაყუჩდება, ჩაჩუმდება სუფრა
ვილოცები ამ მთისა და ამ მიწისას,
დავლევ არაყს, ცარიელ ყანწს გადავაწვდი ჯურხას.
თოფის ზათქი გადაუვლის სოფელს,
გადაცხრილავს ბროლის გულმკერდს ტყვია
მოწიწებით მოექეცი ყველა მოხუც სოფლელს,
შენ დღეიდან არხოტიონთ პატარძალი გქვია !

დათოვლილი ხახაბო

(ექსპრომტად პაატას და ნინოს, რომლებიც ზამთარს ხახაბოში ხვდებიან და სოფელს ასოფლებენ)

ხახაბოს მოთოვს ალბათ ამ დილას,
მზეც დაიკარგა, ნეტავ რა მოზდის?!
ცოცხლობს სოფელი, სუნთქავს ნამდვილად
საკვამურიდან ბოლი ამოდის.

ვერ გაარღვია სხივმა ნისლი და
ქარი ვერ სძრავდა მრუმე ფარტენებს,
ღამე გულდაგულ ციდან ისროდა
გულგაციებულ, ლამაზ ფანტელებს

დგას სახლი ისევ სოფელში კენტად,,
აყუდებულა კარებთან კატა
ზამთრის ღამეებს გასტეხენ ერთად
ლამაზი წყვილი:
ნინო – პაატა.

ნათოვზე ისევ მოთოვს ამ დილას,
ავობს ზამთარი, ნეტავ რა მოზდის?!
ცოცხლობს სოფელი, სუნთქავს ნამდვილად
საკვამურიდან ბოლი ამოდის.

გერმანე საზანოელი

დროვ

დროვ, რა საქიროვ და როგორ მიქრები,
რამდენი საქმე მაქვს, ნეტავი მიგებდე,
თუკი გსურს მე შენი საგულე ვიქნები,
სანამდე მაცოცხლებ, სწორედ რომ
იმ დღემდე.

ნუ მეტყვი მხარჯავო, ძვირფასო უაზროდ,
ცხოვრების ზეწოლის რა რთულად
მჭრის დენაც
და თუკი ოდესმე სჩანს ღვინო უვაზოდ,
ხომ იცი დათრობაც რა ხშირად მჭირდება.

და მაინც მაცალე, რა იყო შე კაცო,
ამ ქვეყნად ვინ დარჩა? აქ მე რომ დამტოვო,
თუმცა კი ძლიერი, ვარ თითქოს შორიდან,
მაგრამ შენ ხომ იცი, თუ როგორ ვმარტოობ.

ამიტომ მოდი და მესტუმრე ხშირ– ხშირად,
დროებავ, დროებავ, ხან მწარევ, ხან ტკბილო,
იქნება მომიყვე შენ მთვარის ამბავიც
ან კიდევ ვინ ხდება აქ ვინმეს საკბილო.

გთხოვ ისიც მომითხრო ნეტავ რა იქნება,
ყოველი დილით რად, მაშორებ წარსულთან...
და თუკი მაისი აგვისტოდ იგება
ან იქნებ ზამთარიც ახლობლობს ავსულთან.

სასმისი ავუვსოთ მზის სხივის სიჩქარეს,
ის გვეტყვის, ტალღები მღელვარე ზღვისაა?
და თუკი ვიღაცა ავ სიტყვას ჩრის არეს,
ასე ხომ ვერ ვიტყვით, რაცაა ისაა.

ხომ იცი რომ მინდა დავადნე სამყაროს,
ვეხურო სტროფების საამო სარქველად,
ვიცოცხლო ვაცოცხლო რაც ჩემში შნო არის
და მერე გავფრინდე უბრალოდ, ქართველად.

მეუღლეს

გვერდით მიდგახარ შენ ჩემო კარგო,
ცდილობ ჩემს ლექსებს ჰიმნი უშენო,
რა ვიქნებოდი ზუსტად არც ვიცი,
ჩემო მეუღლევ, მე დღეს უშენოდ.

შენ უბრალო ხარ, როგორც ეს დილა,
თითქოს არსად და ყველგან მყოფელი,
სასწაულია ჩემთვისაც როცა,
ნატვრის ახდენის გლოცავს სოფელიც.

თანაც სულ სხვაა დღეს ეს თოვლიც,
თვალისმომჭრელად, თვალებფაფხურა,
რომელიც თბილზე უფრო თბილია
რადგან სავალ გზის ლალეს გახურავს

არც კი ჭრაჭუნობს შენს ჭკვიან ფეხ ქვეშ,
ხმელეთს ეხები? შრება ტალახი,
მისი სიმუქე ფეხსაცმელს ვერც ხვეჭს,
და ვერც გიწყრება ღამე ახმახი.

რადგან სულ ცდილობ იყო ის ტალღა,
გსურს, ზღვის ზვირთის ხმას გული მიანდო
და შარიშური სადღაც ქარიშხლის
თოლიის ხმაში გაადიადო.

***

აცრემლებული ახედავ ზეცას,
ღრუბელთა შესმით მოიკლავ წყურვილს,
ჭექა ქუხილის ზარით დაღლილი
ყურზე მიიდებ დარდების ყურმილს..

გრძნობ რომ არ ნიშნავს ეს დამთავრებას,
თუმცა სიზმარი კვლავ ხშირად გსტუმრობს,
სევდის კილო კი, მრავალფერადი,
გიღიზიანებს ფიქრებთა ტუმბოს.

ქუდბედიანი კი დაიბადე,
ამაოება შემოგრჩა ბეცად,
არც შეიმჩნიო ჩემო ძვირფასო,
დარდის ბინდმა თუ დაფაროს ზეცა!

****

სამყაროს სიმწარეც, მინდა რომ,
ამ ცის ქვეშ სიყვარულს ნიშნავდეს,
ვერ ვეტყვი სასწაულს, იდაროს,
მხოლიდ მსურს რომ არამიშავდეს.

პოეტი

ცხოვრება ყველას სცემს,
მაგრამ შორს გოდება,
აქ უნდა დარჩე და ისუნთქო ლამაზად,
პოეტის გული და პოეტის გონება
ესაა სივრცეში სულსწრაფი ავაზა.

ღრუბელთა სიმორცხვით ბაგეზე გეხები,
მე ვეტრფი შენს გულში ქარიშხლის დადგომას,
გავიგე თურმე მგელს კვებავენ ფეხები,
შენს შფოთვის ვერ ვუცდი, ვერ ვუცდი აღდგომას.

არასდროს არ მიჭირს ხომ იცი ძვირფასო,
ისე კი ხომ ხედავ, რომ თეთრად მიჰქრის თმაც,
ადრეც და ეხლაც მსურს, გეგონო პიკასო,
ვეცდები ლამაზად მოგხატო ფიქრის ტბად.

ცხოვრება ყველას სცემს, შენ მაინც მიდიხარ,
სილაღეს რომ უფრო შეუნთო კოცონი,
ვფიქრობ რომ მეტი ხარ,
ვფიქრობ რომ დიდი ხარ,
და ყველა შენს ირგვლივ არიან მომცრონი.

ჩემამდე ვერ დადის რადა ხარ ხმიადი
ან რას აშავებ მაგ ქუჩის რჩევებით,
პოეტი ესაა, სუფთა და დიადი,
თავისი მართალი სტრიქონთა ჩვევებით.

პოეტი დილაა, ძულს არე ქილიკის,
ბგერაა და ტოტზე ფრინველთა გალობა,
სიტყვის და სიწმინდის ერთი აქვს ბილიკი,
პოეტთან შორსაა ის ნაირგვარობაც.

და მაინც თუკი აქ აზრი აქვს დიალოგს,
მდინარეც ვერ იგრძნობს პოეტში, წამს ქვიანს,
პოეტმა თუკი მცდარს პატივი მიაგო
ასეთებს პოეტი არასდროს არ ჰქვიათ...

პოეტი ყოველთვის წვიმაა აშკარად,
ის ღელვა რომლითაც ცას გადაევლებით,
სეტყვაც კი თუკი ის, არ მოდის ანკარად,
არ ღელავს როგორაც ამ სტროფთა ცრემლები.

მასწავლეს მეცხოვრა ლაღად და მზიანად..
მქონოდა საკუთარ თავისა იმედი,
მე მსურდა შენს ფიქრთან რომ მეგრძნო ზიარად,
სიმღვრიე კი არა, სიკეთე იმდენი.....

თვით დროც კი ვერ არის, დღეს ნიჭის მომრევი,
პოეტის კალამი დგას როგორც ავაზა,
პოეტი სიმართლის გულიც და მორევიც
სიმაღლე, რომელიც გიგალობს ლამაზად!

მაინც შევძელი

მე სულ პატარა ბიჭი ვიყავი,
რომ დავაობლე ბარი და თოხი,
თბილისში მცირე ბინა ვიყიდე,
იქ გავძელ მხოლოდ მე წელი ოთხი.

კი არ დავტოვე შიმშილი იყო,
უმუშევრობა, ურცხვი ქაოსი,
ყველაზე დიდი დამქონდა ნატვრა
მე მშობლიური სასაფლაოსი.

ყველა წავალთ და მეც ხომ ვიცოდი
ადრე თუ გვიან რომ მეწვეოდა,
თუ მთელ ცხოვრებას იქ დავფარავდი
სოფლის მიწა რას დამეწეოდა.

ნუ გეღიმებათ, ასე ვფიქრობდი,
წარმოვიდგენდი მშობლიურ მიწას,
მენატრებოდა ჩემი სოფელი,
ჩემს დაკრძალვაზე ვფიქრობდი იმ წამს.

გვიან, ნელნელა კი მოვახერხეთ,
გავმართეთ ეზოც, ავაგეთ სახლიც,
მადლობა უფალს შვილებიც სუფთა
და ყოფაც დარდებს იარაღს ახლის.

მაგრამ ის შიში არასდროს მტოვებს,
ადრე რომ მქონდა ფიქრი ქაოსის,
ბედნიერი ვარ, თბილად მიმიღებს,
მიწა მე ჩემი სასაფლაოსი.

სასწაულია

მე ქართველი ვარ სისხლით და ხორცით,
არასდროს უცხო ჯილაგთა გერი,
კი ქართველი ვარ, ქართული ლოცვით,
მხოლოდ ქართული ფანდურით ვმღერი.

ჩვენ რომ გვიხმობდა სამშობლოს ღმერთი,
ნერგი კი არა ფესვიც არ ერქვათ,
და ბრძენობს მაგრამ ბოძია ერთი,
დღეს რომ ქუხილით გვიგინებს ერქვანს,

ალბათ სიცოცხლეც,.. წააგავს ფიცრულს
როცა იარას დუმილი ფარავს,
როდესაც ზეცის თაღებთან მისულს
ზეცაც გიბურავს ღრუბელთა ფარას.....

ალბათ ღმერთების ღმერთთან ვედრებით,
რა თავში ვიხლი სხვის სიმს, მქონია,
ან კი რად მინდა სხვისა ბგერები,..
სასწაულია ეს სიმფონიაც....

ნინო უძილაური

თვრება სიცოცხლე

ქარი აცეკვებს ფოთლებს მიწაზე,
ცას სიყვარულად აენთო მთვარე,
ღამე დაახრჩობს ქალის სინაზეს,
რომ მოგონება გაფანტოს მწარე.

ფარდად ეშვება ნისლები მთებზე,
ალიონს სტაცებს ნათებას მწუხრი,
ტვირთი ჰკიდია სიცოცხლეს მხრებზე
და ეკვეთება სიმძიმით მუხლი.

გარდაიცვალოს უნდა სიკვდილი,
რადგან ფოთლები ცეკვავენ ქარში,
თვრება სიცოცხლე ბებერ მიწაზე,
ბახუსი ღვინოს ამატებს ჯამში.

დავუბრუნდები

დავუბრუნდები ჩემს ნავსაყუდელს,
ავდარმა თუკი გადაიარა,
ცხოვრებით დაღლილს, ოდესღაც სულელს,
მეგონა დარდი კლავდა იარას.

დავუბრუნდები ალბათ ჩემს ოდას,
და მამა-პაპის ნაოფლარ ალაგს,
არად ჩავაგდებ უტიფართ ბოდვას
და სიყვარულად მოვმართავ კალამს.

დაგიბრუნდებით სულის ჰანგებო,
ცის სამეფოში ვიფრინოთ ერთად,
მოგძებნი ბედის მწერელ-განმგებო
და აღსარებად მიგიყვან ღმერთთან.

გალაკტიონი-მეფე მუზათა

რა უფლება მაქვს დავივიწყო გალაკტიონი,
რა უფლება მაქვს გავედევნო ცად ლურჯა ცხენებს...
მას მერე ქყვიშთან არ ბობოქრობს ისე რიონი,
როცა უფალმა სიტყვა ანდო კალამს და ფერებს.
ცაში ატყორცნა სულის სხივი და მესაფლავედ,
დატოვა დროსთან მოთამაშე მონანიება,
მეფემ მუზათა, მეფემ ლექსთა, მეფემ მზის ტახტთა...
დედამიწაზეც უკვდავ სულად ყოფნა ინება.

17.11.2021

უსამშობლო ეული

რამ დამითბილოს სხეული,
მიწა მომტირის ტანჯული,
დავდივარ როგორც ეული
და ლანდადა ვარ ქცეული.
ზოგჯერ ვმუნჯდები, ზოგჯერაც,
სიტყვები ზარებს რეკავენ,
არ დავიჩოქებ, გავუძლებ...
სვავები გულს რომ მკენკავენ.
სისხლი მოწვეთავს დღეს მუხლზე,
გულიდან მზეს რომ სდიოდა,
ფიცის არგამტეხ ძმას ვუხმე,
ცრემლად რაც ჩამომდიოდა.
სამშობლოვ, ყველგან გულში ხარ,
სადაც გადავდგი ნაბიჯი,
მეკითხებიან, გურჯი ხარ?
დიახ, ვპასუხობ და ვიცდი...
რამ დამითბილოს სხეული,
მიწა დავტოვე ტანჯული,
დავდივარ ლანდადქცეული
და უსამშობლო ეული.

თოვლს ელოდება თბილისი

ნისლში მოცურდა მთაწმინდა,
თოვლს ელოდება თბილისი,
ჯანდაბას, მგონი გაწვიმდა,
წამოითოვებს? ვინ იცის.
მომყვება ლამპიონები,
ქუჩას მინათებს ნამიანს,
სულიერიც კი არა ჩანს,
გზაც გულს ამძიმებს დარდიანს.
გადანისლულა მთაწმინდა,
ალბათ ითოვებს, ვინ იცის,
ჯანდაბას, მგონი გაწვიმდა,
ცაც მოწყენილა თბილისის.

შავი ღვინო

შავი ღვინო მასვეს დასათრობად,
რადგან სიყვარული ვერ შემატყეს,
კიდევ მომაწოდეთ აზარფეშა,
სუფრას ჩემი გრძნობა შემოაწყეთ.

ისევ სიყვარული გადაგვარჩენს,
ოღონდ გამხელილი, წრფელი გულით,
დღეს ნუ გამომიტანთ ამ განაჩენს
და ნუ შემომხედავთ ბოღმით, შურით.

იქნებ მაპატიოთ ჩემი გრძნობა,
იქნებ მაპატიოთ სიყვარული,
ალბათ ისევ ღვინო მომერია,
რადგან აზრი დამრჩა გაფანტული.

შავი ღვინო მასვით დასათრობად,
თუკი სიყვარული ვერ შემატყეთ,
კიდევ მომაწოდეთ აზარფეშა,
სუფრას ჩემი გრძნობა შემოაწყეთ.

დამებედე

დამებედე,
კიდევ ბევრჯერ დამებედე,
შენი ხმა და შენი სიტყვა,
იცი?
დღემდე მახარებს და
გრძნობებს მივსებს...
და ამ გზებზე,
ხელჩაკიდულს დამატარებს,
სიზმრის ფერზე...
დამებედე,
შემოგევლე,
დამებედე.

ნატვრა ჩემი

დამებედე,
ნატვრა ჩემი,
ჩამოსწყდება ცაში ვარსკვლავს,
თოვლიანი გაზაფხული
ზამთარს უწერს ტრფობის არაკს,
გულში ხარობს სიყვარული,
სიყვარულს ხომ სხვა გზა არ აქვს,
მოეფინოს სულს მალამოდ,
სულს ცოდვა რომ დარდად დააქვს,
გინატრე და დამებედე,
დამებედე ამ წუთს,
ამ წამს.

ქალი პოეტი

*(ეძღვნება საქართველოს
მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს,
რუსთაველის პრემიის ლაურეატს,
მაყვალა გონაშვილს)*

გონით ნათელი, სულით სანთელი,
სიკეთის მქმნელი, ქალი ქართველი.
დედა მლოცველი, ბევრის მთხრობელი,
ჭირთა მთმენი და მადლის მპოვნელი.

სიყვარულისთვის, სიკეთისათვის,
გზებზე შუქურა მანათობელი,
ღვთივბოძებული ნიჭი ულევი,
მადლშემოსილი, ქალი პოეტი.

ჩამოათოვა

ჩამოათოვა ჩემს ბაღებსაც ზამთრის სიცივემ,
თოვლის ფანტელი ხეებს მოსავს თეთრი ლაბადით,
ჩემი ფიქრები, როგორც შარშან, არის იგივე,
ჩემი ფიქრები, ფიფქებივით, სულში კვლავ ბარდნის.

გადარინდულა არემარე როგორც ქალწული,
თეთრ სამოსელში შეიმოსა ბებერი მიწა,
ციდან ფანტელმა აქ მიდამო დაფარა სრული
და დედამიწაც თეთრ საბანში დღეს მშვიდად იწვა.

ცხრა იანვარი

(ეძღვნება ჩემს შვილს, დავით კაჭახიძეს)

ცხრა იანვარი,
ჩემი ბედის პირველი შტრიხი,
ჩაგიხუტე და უკვდავებას ჩავეზიარე,
შენს წამწამებზე დავითვალე დრო წლების იქით
და სიბერესაც გავუღიმე,
როგორც მზის მხარეს.

დრო არ მაშინებს,
არც დინება უტიფართ ბოღმის,
აღარც სამყაროს დასასრული რჩება მითებად,
რადგან გათენდა დღე,
რომელიც სიცოცხლედ მოდის
და ეს სიცოცხლე ჩემს სამყაროს არხევს რითმებად.

♥_____

აზა შანავა

* * *

ზამთარი მოვა და თან მოიტანს
ნამქერს თოვლისას.
დაიფარება, თეთრად მთა-ველი.
მე, მონატრებას რა ვუყო შენსას,
გულს რომ მიფლითავს როგორც აფთარი...
იმ მონატრებას, რაც ასე მტკივა,
ვერა, ვერ შველის ფიფქთა ფარფატი!

* * *

თოვლი მოსულა წუხელის,
გამთენიისას ვიხილე.
ისე ლამაზად ეთოვა,
სიხარულისგან ვიტირე.
დახატულ ტილოს მოჰგავდა,
თვალი ვერაფრით მოვსწყვიტე.
არსად მხატვარი არ სჩანდა,
მადლი, ჩვენს არსთა განმრიგეს.
თითქოს გაშეშდა ყოველი,
ქათქათა მარგალიტივით.
ლაგვარდანებზე ლოლუებს
აციმციმებდა მზის სხივი.
ამ სილამაზის შემქმნელი
მზვერავდა უჩინმაჩინი.
მხოლოდ ერთი რამ ვინატრე, –
მეც შემძლებოდა, რომ დამეხატა იგივე!

* * *

ერთხელ გვეძლევა
სიცოცხლე უფლისგან.
ყველას ჩვენ-ჩვენი გზები
გვაქვს სავალი.
ამ ქვეყნად ცხოვრება
არის გამოცდა.
მხოლოდ იმისი თუ შემშურდება-
ვინც წუთისოფელს
ტოვებს მართალი.

* * *

თითქოს სულში ჩამისახლდა, პაწაწინა ჩიტი.
გულის ფიცარს მიკაკუნებს, არ მასვენებს წუთით.
შია! შია! მუდამ შია!
მე, კი – ვცდილობ დავაპურო!
და სხვა რაღა მაბადია, – ვუყრი ლექსებს მარცვლად...
ვევედრები ღმერთს წყალობას,
რომ მუზებმა დამიპურონ – პაწაწინა, დამშეული ჩიტი!

* * *

პოეტი არ გვყავს!
წავიდა ზეცად – დატოვა მიწა ცოდვილი ოდით...
პოეტი არ გვყავს!
ატირდა ზეცა.
ღმერთმა ცრემლები დაუშვა წვიმად.
პოეტი არ გვყავს!
და თან წაიღო სათქმელი ბევრი...
ჩვენ დაგვიტოვა ლექსებად გული
და კალამი დაობლებული.
პოეტი არ გვყავს!
ამაღლდა ზეცად...
აქ გადაღლილი, გამოფიტული,
ნეტავ, თუ იგრძნობს, იმ ქვეყნად შვებას?!

* * *

ჩემს სულის მუზებს სიო ატოკებს,
რითმებს ფეხდაფეხ ავედევნები.
ლორთქო მოსათიბ ბალახს მაგონებს,
ლექსი სათქმელად ალმოდებული.
სიცოცხლე ისევ ისე ნავარდობს,
როგორც თავიდან იშვა საოცრად.
ზეცად სამოთხე რომ მოვიხილოთ,
ლოცვანი გვერგო სულის საოხად.
ძალა უფლისა დიდი არს მარად,
სამყაროს მისი მადლი ასხივებს.
უფლის წყალობა რომ გვერგოს ჟამად
ჩვენ ჩვენი წილი ჯვარი გვასხივებს.
ამ წუთისოფლად ისე ვიცხოვროთ,
ისე გავლიოთ სიცოცხლის დღენი,
რომ სასუფევლის მისადგომებთან,
არ წასკდეს უფალს, ჩვენს გამო ცრემლი.

* * *

ედალვაისი მთაში და ბარად
მიმოზა აისობს.
არ უშინდება ზამთრის სუსხს,
სიცოცხლე მუდამ ხალისობს.
სიკვდილს თარეში კი უყვარს,
მაგრამ ეს გაითავისოს, --
ჩვენ მას უფლებას არ მივცემთ,
რომ ურცხვად გაიმაისოს!

❤❤❤❤❤

იყო წლები ბედნიერი, მზიანი.
იყო დრო რომ გვიხაროდა სიცოცხლე.
იყო ბევრი სიხარული, არ გვეგონა თუკი სადმე ტიროდნენ.
იყო წლები სტუდენტობის და სოხუმში ხეივნებს,
ოლეანდრის ყვავილების სურნელება ატკბობდა.
თოლიები ცას სერავდნენ კივილით,
ზღვის ტალღებს კი გემი ლაღად აპობდა.
იყო მხოლოდ ბევრი მზე და ზღვის ნაპირებს უხდებოდა პალმები,
ქუჩებში კი ჟრიამული არ წყდებოდა ხალხისა.
წლები იყო საამური, შიში რომ არ ვიცოდით
და სოხუმის ლამაზ ქუჩებს ამშვენებდა, ყმაწვილების სიცილი და გართობა.
სტუდენტობის წლები იყო, თითქოს იყო ზღაპარი.
კოცონივით ელვარებდა ცოდნისა და სიყვარულის ქალაქი.
იყო ძმობა, იყო დობა: ქართველ, რუსი, აფხაზის.
სომეხს, ბერძენს და ყველა ერს გვქონდა თბილი სალამი.
მასპინძლობდა, გულთბილობდა, ჩვენი სოხუმ ქალაქი.
ვყვარობდით და გვიხაროდა, მეგობრობა ერთურთის.
ოჯახებიც იქმნებოდა – თან დიდი სიყვარულით.
მირონი და ნათლიობა, ჯვრისწერა და მეჯვარე...
განურჩევლად ეროვნების,
არ არჩევდნენ და არ თაკილობდნენ.
ვაჟკაცობას ვერ ვითვლიდით, თმაქოჩორა ბიჭების,
მხოლოდ, მხოლოდ, სიყვარულში ჯიბრობდნენ.
ამ ქალაქში არასდროს არ გვსმენია, ერთურთს მტრობდნენ და
სააქმეებს დანებით რომ არჩევდნენ.
იყო წლები ბედნიერი... იყო არაიყო რა...
წლები სადღაც გაფრენილან,
ფიქრს შემორჩა სიზმრებად.
ყველაფერი რაც კი – იყო, სულ წამებში დაინგრა.
ძმათა სისხლი უმოწყალოდ დაღვარეს.
აფხაზ დედას უკვდებოდა, შვილი მამით ქართველი
და პირიქით -— ენგურს აქეთ,
აფხაზ შვილებს დედები, უსაფლაოდ გლოვობდნენ.
იცინოდა მტერი ალბათ, ვერაგი,
რომ მოაწყო რაც სურდა და უნდოდა...
მოაგლიჯა საქართველოს აფხაზი
და დატოვა, ობლად თავის ძუძუმტე.
ენგურს გაღმა დარჩენილო, ჩვენო სულის ნაწილო!
ველოდებით იმ დღეს, რწმენით
და თმენით – რომ, როგორმე ძმამ,
ძმა შემოირიგოს...
მტკივა, მტკივა, მენატრება უსაზღვროდ...
ენგურს გაღმა დარჩენილი პაწაწინა სამოთხე.

* * *

მთიები.
იები.
ჩიტები.
გულები.
თვალები.
მზეები.
ხელები.
ხელები.
ვხელდები.

სიკეთე.
სიცოცხლე.
ვნებდები.
ხეები.
ხეები.
ჩრდილები.
გზები.
გზები.
უსასრულომდის.

მტრედები.
მტრედები.
მტრედისფერები.
მინდვრები.
ყანები..
ყაყაჩოები.
მიყვარხარ სიცოცხლევ --
აღარ მეთმობი!

* * *

ამიყოლიეს ფიქრებმა
და ასე ვცდილობ,
მოსაწყენი ზამთრის დღეები,
გადავაგორო!
წარმოვიდგინე, სადღაც დათოვლილ მთებში,
ჩირგვებში ეძებს ირემი სარჩოს...
იქვე კი -— ახლოს, მის ნაკვალევზე, ჩამდგარი
მგელი,
დაძრწის და ეძებს, თავის საკბილოს.
ასეთი არის, დაუწერელი კანონები ამ
ქვეყნიური!
ძლიერთათვის სუსტი არის, მუდამ
სამიზნე.
და შორს არიან... სუსტებისათვის
მართალმსაჯულნი!

* * *

მოვდივართ, უფლის ნებით დედამიწაზე.
ვიზრდებით...
ვიბრძვით -— ავად თუ კარგად, ყოველი
დღისთვის.
ვეძიებთ -— რას?
ზოგჯერ არც ვიცით!
ვპოულობთ, -— კი? ისიც არ ვიცით...
მაგრამ სამყაროვ, მადლობას გიხდი,
რომ სულ ცოტა ხნით ამ ქვეყნად ვიშვი!

* * *

არ დავსვამ კითხვებს, რა ხდება ირგვლივ,
რატომ და რისთვის?
დრო გარბის, მიდის.
გზას გზა მისდევს, ბილიკი ბილიკს და
მდინარეზე გადებულ ხიდით, მგზავრი გადადის
აქით და იქით...
ზოგი ამ ხიდით, ეწვევა სოფელს,
ზოგი კი -— ქრება და სამუდამოდ,
სადღაცას მიდის...
მდინარეც მიდის, მიდის და მიდის...
და იმ ადგილას, მეორედ, ისევ ის წყალი,
არ ჩამოივლის.
ცხოვრებაც მიდის -— წამი გავლილი,
არ მეორდება,
მარადისობის უფსკრულში მიჰქრის...
მივდივართ... მივდივართ სადღაც, სულ
მივიჩქარით...
გზა უსასრულოდ გრძელდება,
აღარ მთავრდება და ხიდზე დგას
რიგი -— სადაც გახვალ და
გაქრება ხიდიც...

* * *

ჩემს სახლთან რომ განაპირას ტყე არის,
იქ რომ თხმელებს ზედ შებმიათ ადესა,
იქ რომ ჩუმად, რუ მიწანწკარებს,
იქ დაღმართზე შემომდგარი უძველესი წისქვილით,
წვიმებს რომ ელოდება,
საფქვავთან რომ დაიფქვას -— სოფლის ჭორი ათასი...
იქვე გორას, რცხილნარების რომ შეყრილა კორომი,
ცას რომ სწვდება თავის ნორჩი ქოჩორით.
ახლა მინდა... და თან, როგორ მომინდა!
იქ რომ ვიყო... მამყოფა...
და ვიპოვო, სიზმარივით გაფრენილი, უდარდელი ბავშვობა.

* * *

ნეტავ, რა ხდება იქ, ახლა ჩემთან...ჩემს სახლში -— ვიცოდე ერთი!
ვინ ცხოვრობს, ვინ სუნთქავს, იმ კედლებს შორის, სადაც დავტოვე ჩემი ცხოვრების აკინძული ყველა ფურცელი.
სადაც დავტოვე ჩემი ბავშვობა და სხვენზე, ჩემი წაბლის აკვანი.
ჩემი თოჯინა, საწოლის თავთან რომ დარჩა, ნეტავ, სად არის?
ნეტავ, რა უქნეს ჩემს ყავის ფინჯანს და ვინ უზის ახლა მაგიდას ჩემთან, სადილ -— ვახშამი?
ნეტავ ვინმეს, თუ მოეწონა! ჩემი მშობლების ნასათუთევი სახლი და კარი.
ეგებ და ვინმეს არ მოეწონა, -— მამის მარანი, სავსე დოვლათით...
ნეტავ, რა ხდება? როცა ღამე შუქს ჩააქრობენ...არ ბორიალებს, ნუთუ იქ, ჩვენი ლანდები!...
ნუთუ სხვის ჭერქვეშ, ნუთუ სხვის ფუძეს შეხიზნულები, ახალწლის ღამეს, თუნდაც ბედობას, ან კიდევ შობას,
ბროლის ჭიქით -— ჩემს ულამაზეს სერვანდიდან... ჩვენს სადღეგრძელოს არ ასწევენ და დაგვლოცავენ?!
ნეტავ, რა ხდება? ახლა იქ, ჩემთან სოხუმში...
ერთი წუთით, მე, ჩემს სახლში, ნეტავ მამყოფა და შემახედა!!!

* * *

სკოლის ხეივანი.
იასამნების ნაზი სურნელი.
იდგა მაისი...
ეზოს ავსებდა, ჭიკჭიკი მერცხლის.
ნაძვის ხის ძირას ვიდექით, მე და შენ, მარტო...
მე, თავდახრილი.
შენ, არვიცი.
პასუხს ელოდი, დასმულ კითხვაზე...
– ნეტავი, იმ დღეს!
– ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ!

დედას!

დედის მოქარგული ფარდაგი, ლამაზი ყვავილებით.
თვალწინ დამიდგა ბავშვობა,
მეც რომ სურვილი მკლავდა -— ასე მექარგა
და მომეხატა,
ტილოს ნაჭერი ჩემთვის.
ნეტავ, რას ფიქრობდი მაშინ, როცა ქარგავდი, ჩემო ძვირფასო დედი.
ალბათ,
რომ მზითევში საჩუქრად, -— გაგვაყოლებდი შვილებს.
რომ სამახსოვროდ გვქონოდა, შიგ ჩაქარგული,
შენი თითების სითბო...
იქ ჩარჩენილი ყველა გვირისტში,
შენი თვალების სხივი...
რომ წლების მერე მოვფერებოდით და იმიერში,
შენც გეგრძნო, მონატრებული --
ჩვენი ხელების სითბო!

* * *

ფიალა აივსო კი -— არა, დაიცალა მოთმინებისგან.
თუ მზე აცხუნებს, ჩვენ ვბრაზდებით, სულ უმიზეზოდ.
ზამთარს მობეზრდა, თოვლის ფიფქი, უმადურებს რომ მოგვივლინოს.
ყველაფერს თითქოს, ყავლი გასვლია და დრო მოჭამა.
თითქოს, ქარებიც ყალბი ქრიან და წვიმებსაც, მდინარეთა კალაპოტი ვეღარ იტევენ.
სიხარბისაგან ადამიანი, სახეს კარგავს, თვით სხეულიც, უფლისაგან ბოძებული ეცოტავება.
ლოცვა და ღმერთი მოდად იქცა -— მოსაჩვენებლად.
ტაძრის ეზოდან გასულები, ისევ იმავე, ცოდვებს ჩავდივართ.
ბრუნავს დედამიწა...მაგრამ მაინც, ასე ვამბობთ: მზე ჩავიდა, მზე ამოვიდა.
სიმართლე -— მწარობს, გვიჭირს თვალი რომ გავუსწოროთ
და ვამჯობინებთ რომ მოვიხდინოთ -— ჩვენ სიცრუის, ყალბი მანტია.

* * *

წუხელ სიზმრად ლექსს ვთესავდი,
ვთესდი ხნულში მარცვლებად.
და მეგონა რომ ამ დილით,
მოვყვებოდი ამბებად...
ვცადე ლექსი რომ ამეწყო,წუხელ დასიზმრებული,
მაგრამ ვერა, -— ვერ შევძელი...დილით ხელზე შემომადნა,
როგორც თოვლის, ფარფატელა ფანტელი.

* * *

რა ლამაზია ჩემი სოფელი,
მთა გორიანი, მცირე ვაკეთი,
თავზე სულ მუდამ მზე დაჰნათის
და კუთხე არის ბარაქიანი.
აშრიალებულ ტყეთა ხმაურში, ფრინველ– ნადირი ლაღად დაურბის.
მდინარე ყული გაედინება, გამაგრილებლად,
ზოგან ჩუმად და ზოგან ხმაურით.
გზა კი ლამაზად ჩაქარგულია, მთების მიხვეულ მოხვეულებში,
თავზე ამაყად მას გადმოჰყურებს, უხვ თოვლიანი კავკასიონი.
დილის მზის სხივი აღმოსავლეთით, თვალისმომჭრელად ეცემა სოფელს
და ბაღ ვენახებს სიო მთებიდან ჩამონაქროლი,
ააშრიალებს და შეუმშრალებს ვაზს,
ცვარნამიან ჩახუნძლულ მტევნებს
და იზაბელას ხეზე დახარდნულს, ფერი უხდება შავი გიშერის.
თავს იწონებს მშრომელი ხალხი, ბაღნარად ქცეულ ეზო ყურეთი.
მაღლა გორაკზე ლამაზად მოსჩანს,
წმინდა გიორგის, გუმბათი ტაძრის, ცისმარე დილას მზის ამოსვლასთან,
მის ბრწყინვალებას რწმენით შესცქერი.
ხატი და ჯვარი ყულის ტაძრისა
წყალობად უფლის,
სოფელს მხსნელ ძალად თავზე დასცქერის.
და ლამაზია ჩემი სოფელი,
ქება-დიდებით არ დავიღლები...
მრავალ ჭირნახულ საქართველოში,
ჩემთვის ყველაზე სანატრელი და საყვარელია,
ლამაზ ფერებში ფუნჯით ნახატი, ჩემი სოფელი.

* * *

სიოს გატოკებმა ქარმა აიტაცა,
ღობე -— ყორეს მოსდო ჩუმად ნაფიქრალი.
სრულიად უწყინარი სიოს სინარნარე,
ქარმა აქცია როგორც ნაბოდვარი.
ერთი უწყინარი, ციდა ნატვრა -— სიოს გაუხადეს დასანანი.
ქარი ბობოქრობდა შარა -— გზაზე
და არვინ იყო განმკითხავი.
სიოს გატოკება არ დაუთმეს -— მისი ბრალი გახდა
ქარიშხალიც.

* * *

სიზმარს გაჰყვნენ თითქოს, გაზაფხულის და ზაფხულის,
მშვენიერი დღეები.
ეს ოქროსფერი შემოდგომაც შეეხიზნა მარნებში ქვევრებს.
ყურს არ აყრუებს, ბალახებიდან ჭრიჭინობელას ღამის
ჭრიჭინი,
სავსე მთვარე კი, ცაზე ჰკიდია– ღამის მნათობად, დედამიწას
შებერებული.
ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს და ტკაცატკუცით
ნაკვერჩხლებიდან, ნაპერწკლებს ისვრის.
ზამთრის დღეები უღიმღამოდ მიიზლაზნება და კვამლი
ზანტად ერთვის ღრუბლებს,
საკვამურიდან.
ასე მგონია, რომ ზამთარში უფრო მეტს ვფიქრობთ ამ
ცხოვრების ავან-ჩავანზე...
დავბორიალებთ გაურკვევლად, წარსულსა და აწმყოს
შორის,
სულის ბაგირზე...
და ამ მოწყენილ ზამთარს ერთი რამე, თუ ამართლებს და
მიხალისებს,
პირველი თოვლის მოლოდინი და სისპეტაკე!

* * *

ფანჯრიდან ვუმზერ წვიმიან დილას.
მზეს ველოდები -— დღეს, ამაოდ.
მაგრამ ხვალიდან გამოიდარებს,
მზის სხივი ისევ მამცნობს ალიონს.
სიცოცხლეს ისევ შევეგებები.
დარაბებს გავხსნი --
ფანჯრის მინებს შევუმშრალებ, ნაწვიმარ წვეთებს.
თვალმოჭუტული, სახეს მივუშვერ მზის ათინათებს და გავუღიმებ, ისევ სიცოცხლეს.
სიცოცხლეს ვეტრფი -— მე, სიყვარულით...
ის ხომ გვებოძა... არა უვადოდ!
სანამ ამ ქვეყნად დავიარები...
მე, შენ მიყვარხარ!
სულ უპირობოდ... სულ უანგაროდ...
ჩემ-და წილად ბოძებულო -— წუთისოფელო!

* * *

თოვლი მოსულა წუხელ,
ღამე უთოვია ჩუმად
და არე-მარე მოჰგავს,
თეთრ გვირილიან ზეწარს.
ზამთრის სიცივე, ყინვა,
ირგვლივ აშეშებს კადრებს.
რატომ ზამთარო, ნეტავ?
რატომ ხარ, მკაცრი ასე?!
ნუთუ, ღალატმა გიქნა?
ნუთუ, გაგცვალა სატრფომ?!
და ამიტომაც გახდი,
ასე გოროზი, ალბათ!
ხომ სიმართლეა, მგონი?
ვფიქრობ, მიგიხვდი ოინს.
გაბრაზებული ცდილობ,
შური იძიო მასზე.
შენ, გულჩვილი ხარ მაინც.
როგორც კი – თოვლის ფიფქებს,
მოვიმწყვდევ როცა მუჭში,
უცებ მადნები ხელზე.
ვიცი, რომ ნატრობ სითბოს,
სიყვარულს მალავ გულში,
როცა მზე შემოგხედავს,
დაგდის ცრემლები ღვარად .
მაინც სულ ყველას გვიპყრობ,
გულცივად დიდხანს ვერ ძლებ,
და გულში ჩუმად მაინც,
მგონი, გაზაფხულს ნატრობ!
ისევ სიყვარულს ეძებ...
მარტს ეჭვის თვალით უმზერ.
მისი სურნელი გაკრთობს
და ბრძოლის ჟინი გიპყრობს.
გვიყვარხარ, თოვლო მაინც,
მაინც ზამთარო, გელით.
და ამ სიმკაცრით ვსწავლობთ,
ცხოვრების სიდუხჭირეს.

* * *

ისევ ქრიან ქარები... ცაზე ღრუბლებს მწყემსავენ.
დრო კი -— მიერეკება ქარზე სწრაფად ამ დღეებს.
კადრები მოგონებად გონებაში ტრიალებს.
ცივ ნოემბერს დასჩემდა უთავბოლო წვიმები.
მთები გადათოვლილან – დაუფარავს ქიმები.
გზებს მთებისკენ მიმავალს, ჩახერგავენ ზვავები.
ისევ ზამთრის ღამეებს შევებმები,
მე, უძილო... უსაშველო ფიქრებით.
ისევ ქრიან ქარები...
ისევ თოვლს დაემჩნევა, ჩვენი ნაფეხურები...
ისევ მოვა და წავა, ეს თეთრწვერა ზამთარიც...
სანამ ვივლით ამ ქვეყნად,
მოგონებებს ვინახავთ...
წყვეტილ – წყვეტილ, დაკემსილი კადრებით.

* * *

მოვდიოდით დიდხანს ერთად – მე და შენ...
ბედისწერამ, ჩვენ უეცრად
შეგვიცვალა, ჩვენი გზები სავალი...
ბევრჯერ მზესაც, ერთად
ტკბილად ვუმზერდით...
ბევრი გვქონდა, წუხილი
და დარდებიც...
მაგრამ, დამიჯერე ძვირფასო!
შენთან ერთად, ყველაფერი თურმე იყო, ბევრად უფრო ადვილი.
დღეს მარტო ვარ და სამყაროს შევყურებ, შიშჩამდგარი თვალებით და
დარდებისაგან დაღლილი.

* * *

ტკივილთა შორის უმძიმესია სულის ტკივილი.
მას ვერ წამლობენ და კურნავენ დასტაქარები.
მთელი ცხოვრება, მოუშუშებელ იარად გრჩება,
ვერ მოერევი და არ გასვენებს, ქვეცნობიერად ჩაბუდებული,
მწარე ტკივილი.
სულის ტკივილი მრავალგვარია,
ვის რა ერგება, საგზლად ვინ იცის?!
და ამ ქვეყნად არა მგონია, თუ ვინმე იყოს მის გარეშე შემორჩენილი.
სულის მკურნალი, ვითომ დრო არის?!
თავს ვინუგეშებთ, სხვებსაც ვამხნევებთ ამ სიტყვებით...
მაგრამ დრო გადის და
ნაპრალები, შეკოწიწებულ ნაიარევის,
ისევ იხსნება და ტკივილები მიყუჩებული,
ისევ და ისევ ბობოქრობენ,
როგორც პირველად დაგეუფლა
და შენში დარჩა,
ვით უხილავი სულის ნაწილი...
მხოლოდ შენ იცი, როგორ გაწვალებს, მოურჩენელი სულის იარა
და რაც ერთხელ, სულს დააჩნდება მწარე ტკივილად,
ძნელია გაქრეს საბოლოოდ და ისევ გახდე სუფთა ფურცელი.

* * *

დაუკარ ფანდურზე, დაუკარ ჩონგურზე!
შენი გულისთქმა ლექსებად აფრქვიე.
სიმებზე აკრიფე ნათქვამი ჰანგებად,
იმღერე... იმღერე, მშობლიურ ენაზე.
იმღერე „შავლეგო“, იმღერე „ჩაკრულო“...
თვალს მომდგარ ცრემლებს, დენას ნუ დაუშლი.
სამშობლოს სიყვარულს მტერი ვერ დაგიშლის,
სამშობლოს სიყვარულს ვერავინ გასწავლის.
იმღერე ,,წინწყარო", იმღერე ,,ურმული"...
იმღერე ქართულად და ნუ დაუშლი,
გულს იმ სიყვარულს,
რასაც წინაპართ საძვალე გკარნახობს.
ქართველად გაჩნდი დედამიწაზე –
და ნუ იფიქრებ, ბედი არ გწყალობს!
ეგებ გემძიმოს ქართული სული,
ეგებ მრავალჯერ გეტკინოს გული,
მაგრამ იცოდე არ დაიჯერო!
ქართველობა, რომ სასჯელია და ან სირცხვილი.
განა ოდესმე ლაჩარს და ბეჩავს, ნუთუ ჰყოლია ამდენი მტერი?!
ნუ, დაეცემი! ნუ, ჩაიქნიე ხელი უღონოდ!
არ შეიძლება იყო ქართველი და ომი დათმო – რომ არა ამოთქვა, შენი სათქმელი .
იმღერე „შავლეგო“, იმღერე „ჩაკრულო“, „შენ ხარ ვენახი“ – დააგუგუნე...
არ დაინანო და ნუ გრცხვენია, ჩემო ძვირფასო! რომ ხარ ქართველი!

* * *

შემოდგომამ გამოფინა ფარდაგები... ხალიჩები... ფარდები...
ააჭრელა მინდორ-ველი ათასგვარი ფერებით...
თუ არა უფლის ხელი, სხვა ვინ შექმნის ამ საოცარ პალიტრას?
სასწაულის ხილვა გვიწევს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე.
უსასყიდლოდ, გვჩუქნის ღმერთი, სულის საზრდოს და სარჩოს...
გაიხედეთ... დატკბით... თვალი ჰკიდეთ ცის ტატნობს,
მზე თვალს რომ გვიპაჭუნებს ...
მოასწარით რომ შეიგრძნოთ, ფოთლის ფერით დაწერილი – უნაზესი სონეტი.
შეეცადეთ! გაიჟღინთოთ, ჩაისუნქოთ – შემოდგომის უტკბილესი, მათრობელა სურნელი.
ჩაუფინეთ სულს მალამოდ – მზის სხივებით, ნარინჯისფრად შეღებილი ფოთლები...
მოასწარით... შეიგრძენით... მოვეფეროთ სიცოცხლეს!...
თორემ... თორემ ქარი...
ქარი – ეს მაწანწალა, არ შეარჩენს ხეს ფოთლებს!!!

* * * *

მე, თუ შევძელი!
გასულ წელს მინდა შევატოვო, ჩემი დარდები.
და მე დავიწყო ეს ცხოვრება, სხვა შემართებით!
წარსულში მინდა დარჩეს, სევდა და დარდი,
აზრი არა აქვს, მასთან ჭიდილს –– ვერ მოერევი.
გზა გავაგრძელო მინდა, მშვიდად და წყნარად...
ეტყობა ძლიერ შემოვიჩვიე, მოწყენილობა და ჩემთან ერთად, განუყრელად ვატარე წლები.
თვითონ ვერ მტოვებს და ვერ მელევა,
მაგრამ ძალიან გთხოვ მეგობარო! – მარტო დარჩენას.
უშენოდ მინდა, რომ ერთხელაც ვნახო, რა ხდება,
თუ შემიძლია ისე ვიცხოვრო, რომ არ მყავდე გვერდით და ყოველ ჯერზე არ შემოგჩივლო!...
შენც შეეცადე, რომ უჩემოდ გზა გააგრძელო და გეხვეწები, არ ჩამისაფრდე, უარყოფილი.
არ დამიბრუნდე გაბრაზებული – შურისძიებით!
შენც გაიხარე, ერთხელ ჩემი ბედნიერებით – მე, თუ შევძელი და მივაგენი!...

* * *

აირია ფიქრები, სულში არის ქაოსი.
არევია ბუნებას ამინდების დავთარი.
გარეთ ქარი უბერავს, ლამის ზეცას ახადოს,
ეს ცისფერი, მოლივლივე ფარდაგი.
ვცდილობ საქმე გადავჭრა, მაგრამ ვერ გადავჭერი...
სად ვარ, თვითონ არვიცი, ვერ აღვიქვი ეს ჭერი.
ვერა, ვერ ვიგუე -— მე, ეს ცა და ეს ფერი.
ვეძებ რუკას და ვცდილობ, რომ ვიპოვო, ეს გრძედი და განედი.
თუმცა რაში გარგია, სად ხარ, სად იმყოფები.
ყველგან ხომ სულერთია, თუ სამშობლო არარის.
სიყვარულის ძებნაში, დაკარგული სიცოცხლე -—
ვერ იქნები ვერასდროს, ბედნიერი ამ ქვეყნად,
თუკი, ყვავმა აგართვა, შენი წილი კაკალი. შური, ბოღმა, ქარი -— ქვენა სრიალა,
ამ დამპალ სამყაროში, მიწა ფეხქვეშ გეცლება.
ნიღბებს დააფრიალებს: ქარი, სახის ანაგლეჯს და ახლის ძიებაში, არის ორომტრიალი.
ტრიალებს დედამიწა, არვინ იცის როდიდან.
გვეჩვენება რომ ჩქარობს -— ყველა ასე იძახის.
-— ნეტავ, სად მიიჩქარის! --სადმე აგვიანდება?
ალბათ, თუ დაიღალა -— ჩვენი აყალ-მაყალით
და უნდა მოგვისროლოს, როგორც გაქუცული, ერთი ძველი ნაბადი.
დროს ვაბრალებთ ყველაფერს, რომ ვიქცევით ამგვარად...
დროს ფეხებზე ჰკიდია, ჩვენ სად მივერეკებით.
მწყემსმა ფარა სამწყემსად, შეატოვა მურიას.
თვითონ კი -— წაუძინა, ძილი საამურია.
მურიასაც წასთვლიმა...
მგლებს, შარაგზა ხსნილი აქვთ...
ეს ცხოვრება ასეა, შენს ნაბიჯებს, სულ ვიღაც აყურადებს და ვიღაცა დარაჯობს.
ქაოსია ამ ქვეყნად ვერა, ვერა, ვერ ვშველით.
სხეულშიც კი -— ატომთა უსასრულო ბრძოლაა.
პლიუს მინუს მუხტებად, აწყობილი გიგანტური გემია,
მაგრამ ხომ ქარიშხალი, გემს წელში გადაამტვრევს...
ზღვის ზვირთები ჩაძირავენ...
ფსკერს -— შია!
ჩვენ ყველანი მომავალისთვის, ჩვენი წილი კერძი ვართ.
სამყაროსაც სულ -— შია!

* * * *

ვცდილობდი მეპოვა,
თოვლზე შენი ნაფეხური, მაგრამ ვიცოდი, უაზრო იყო...
ის ნაფეხური, მე რომ დავეძებ,
გასული ზამთრის, გამდნარ თოვლს გაჰყვა და მე, შემოვრჩი ამ ზამთარს, უშენოდ – ფიქრებთან მარტო!

ქვეყნის მომავალს

(ახალგაზრდა გიორგი ქენქაძეს)

მზია ელიაძე

რა ვქნა რა გითხრა, რით გაგახარო,
როცა სამშობლო ბრუნავს შენს ირგვლივ!
როცა მამული, თვალდანამული
ჭრელი სამოსით ხარობს, ფერს იცვლის..

როცა ოცნება, ფაფარაშლილი
საძოვარზეა ველად გაშლილი...
როცა სამშობლო ხარობს შენსავით;
ჩემნაირნი კი – ერის მონაგრით!..

როცა ლაჟვარდ ცას, მზე საოცარი
ოქროს სხივებით კოცნის და ეტრფის...
როცა ტკივილი, დარდი, წუხილი
არ გახსოვს, ხარობ მხოლოდ მომავლით!..

როცა ქართული, ასოკაზმული
ერთურთს ხლართული შენია ეტრფი,
არა უცხოსი, გადამთიელის,
არამედ შენი, საკუთრად შენი!

ამბიციაც გაქვს, ხარ ქვეყნის შვილი,
იმ ქვეყნის შვილი, ვინაც შობა და
ზარდა: დავითი, თამარი, შოთა,
ფარნავაზი და მეფე ვახტანგი..

ცოტნე, თევდორე, პატარა კახი,
საბა, შუშანიკ, თეიმურაზი
ორი ვაჟკაცით ნაკორტნ-ნაჯიჯგნი
განაწამები, მაინც ამაყი!..

გმირი პაატა, ჯერ კიდევ ბავშვი
ერს შეწირული, თავმოკვეთილი...
და ბოლოს დედის, დიდ ქეთევანის
გაუგონარი ტანჯვის ამბავი!..

...ქართველთა სისხლით სახემოსვრილი,
ხაპ-პეშვით მსმელი, გაუმაძღარი...
შიგ ნაბანები, შაჰი, ვერაგი,
მარად კოლხ-იბერთ მონა, მძევალი!..

მაგრამ, შედეგი? აი, შედეგიც!
ამბიციური გაუტეხელი,
თავაწეული, ყველგან ამაყი,
უშიშარი და ძლიერ მედგარი!..

როგორც სამშობლო – ღვთის სჩუქარი!
როგორც მამული – კალმით ნახატი!
როგორც – წალკოტი – ედემის ბაღში!
როგორც მტევანი – ვაზში ჩაწნული!

ცეკვა, სიმღერა ცად განფენილი;
ისე ანბანი: მიმოქარგული
მიმოკაზმული, მიმორახტული,
განსხვავებული, გამორჩეული..

ნაჩუქურთმები, ნაგვირისტები
ხელით ნაქარგი, ნალოლ-ნაფერი.
სამბუნოვანი, სამსახოვანი
საუკუნეთა ქარცეცხლნაწრთობი!..

უფლის სადარი დარი და მსგავსი
ტკბილი მამული სხვაგან სად არის?!.
ჰოდა, კარგებო, ერო და ბერო
თოთხმეტ შანდალში ბრწყინავს სანთელი
ქართველთ სანთელი – წმინდა, ნათელი!
მამის, ძისა და სული წმინდისგან
ჩამოქნილი და ხელით ნაფერი!..
ჩემო ვაჟკაცო, მარად ნათელო,
წრფელო, ალალო, გულით სანთელო,
ღვთისმშობლის წილხვედრ დედასამშობლოს
გთხოვ, გაუფრთხილდე მარად ეფერო!!!

რა ვქნა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ,
როცა სამყარო ბრუნავს მის ირგვლივ!
ხვალინდელი დღე შენია, შვილო
ჰა, საჭეც მართე ღვთის საიმედოდ!!!

ნიკა ფუხაშვილი

მუზა:

ამ საღამოს გაიფანტა გრძნობები
ქუჩა ქუჩის ბოლოს მისდევს,
ხეებს დასცვივდა ფოთლები,
წყეული მუზა ისევ მიტევს,

წყეულო შენი სილამაზის მონა ვარ
პოეტის გრძნობას შენი სევდა თუ დაამებს,
ახლა მარტოდ სევდიანი რატო ხარ?
განა კაცი შენს სიყვარულს დაახწევს?

ვერ გავცდი ჩემს თავს
თანამგზავრად კი დამრჩა წუხილი,
შთაგონებისგან მივიწყებულს,
გარიყულს სადღაც შენ მეტად მავსებ,
რა საჭიროა სიტყვები დაე იყოს დუმილი,
ისე ძლიერ მიყვარხარ ყოველთვის მავსებ,

უმადური კი დამრჩა ბევრი!
სიბინძურეში სადაც დიდხანს,
დიდხანს ვიწექი!გადავიღალე
და ისევ შენკენ გამოვიქეცი!

გთხოვ მომისმინე, ასეთია პოეტის ხვედრი,
ვერაფერს ვუზავ რეალობას, ვერაფერს შევცვლი,
მე გადავეღობები ყველა კოშმარს რაც მოვა ღამით,
არ გაგიევლოს ეჭვმა ჩემზე არც ერთი წამით,

ნებისმიერი სიტყვა ამ გრძნობასთან უსუსურია,
რა უნდა მითხრან ისეთი რომ მე გამაკვირონ?
პირიქით აქეთ მიგდო ყველამ ყურია,
ალბათ მათ ყურზე წამოკრა ბებერმა სპილომ,

მეოცე გაევლება გაზაფხულის,
მეოცედ იმედს ვაძლევ იმედებს,
არ იცვლება ალბათ ასე დაწერილა,
შემოდგომა მუდამ ზამთარს იბედებს,

მარტოობის ამარა,
ლურჯდებოდა კამარა,
მე ვიგრძენი რომ გციოდა,
მაგრამ ამან ეს დამალა,

თავის ტვინი შენ დაგითმო,
მზის სხივების ამალა,
ჩემი ეს საქციელი?
დაფასდება ან არა.

მერამდენე საჩუქარი
მოგიტანეს ხურჯინით,
მე მადლობას ველოები,
ისინი კი გიდგანან მუნიჯივით,
მეოცედ გიტირებთ და მეოცეს
უჩივით,
სულ ჩივით! სულ ჩივით! სულ ჩივით!

ისევ მარტო ამ ღამეს!
მარტოობით დამღალეს,
მეზიზღება მხატვრები
შავ-თეთრად ვინც დამხატეს,
ფარისევლებს გმობენ
მაგრამ ნიღაბიც ვერ ახადეს,
ერთუთს ერთხელ კი ჩააცვეს,
მაგრამ ორჯერ გახადეს.

თუ კი რწმენა დაგეკარგად
რას დაათრევთ ამ ხატებს?
თვალთმაქცობის კარნავალის
წევრი მე ვერ გამხადეს,
მეოცედ გაზაფხულის მოდება,
მეოცედ ისმის ჩემი გოდება,

შეიძლება შენთვის იცდის ზაფხული,
მე კი ვიცი სატრფოც არ მელოდება,
იმდენი დრო გავატარე ლოდინში,
თვით ლოდინმა უნდა მითხრას
ბოდიში,
თუგინდ პირქვე მნახონ იცოდნენ!
სნეულიც კი არ ჩავწვები ლოგინში,

მეოცედ მეოცე ცვლილება,
დააბრმავეს ღმერთო შენი ქმნილება,
უსინათლოდ გასტკბობიათ სიცოცხლე
და მათ უნდათ ყველას გადმობირება,

აქ სიმშვიდე შეიცვალა ქაოსით,
შეიცვალას ყველამ ხაზი გაუსვით,
ერთადერთი არ იცვლება მარტი,
კვლავ ვერ ვხვდები გავცივდი თუ გავთბი,

მეოცე გაევლება გაზაფხულის,
მეოცედ ვაძლევ იმედს იმედებს,
მეცოდება ჩემი თავი ვაი,
რომ მეოცე გაზაფხულიც მიმედებს.

10/01/2022

* * *

ქვეყანა, სახლი ყველაფერს აქვს ფასი,
დღეს ჰო არაა საჭირო ვინმეს ებრალება,
მაშ მოდით შევსვათ გამარჯვების თასი,
მაშ გეტყვით იმას რაც უკვე ჩემამდე გიამბეს...
ილია ფულზე გაცვალეს!

მისი სიცოცხლე მკვლელებს მიანდეს,რატომ?
რადგან ყველაფერს აქვს ასი
მაშ კიდევ ერთხელ შევსვათ გამარჯვების თასი.
განდცებმა აზრმა და ფიქრმა წამართვა სამყარო,
სულიც კი გაყიდეთ მონეტებად,
და ეს ყველაფერია საამაყო?!
აი ასე ვიბადებით და ვკვდებით პოეტებად,
აბა როგორ ვიამაყო ქართველობით?
აბა რავიცი რატომ ვარ ასე
გამოვირჩეოდით ოდეს გამძლეობით!
სადაა თასი ღვინით სავსე?
ბოდიშს მოგიხდით გოგონებო
არ შემიძლია თქვენში სილამაზის დანახვა,
ბოდიშს მოგიხდით ვაჟებო რადგან
არ შემიძლია თქვენში კაცის დანახვა,
მაშ მითხარით რა დამიჯდება ბოდიშის ფასი,
რადგან შევსვა კიდევ ერთი გამარჯვების თასი.

23/11/2020

ცაგო აბაშმაძე

* * *

იას მაგონებ.ასულო, კდემით და ლურჯი თვალებით,
ნაზი ხარ იასავით და მაბრუებ ტკბილსურნელებით,

წამწამთა ჩრდილში ჩავდნები,დამჭრას მაგ თვალთა ისრებმა,
გულმკერდში ჩაგეკონები, თუ მომეცემა უფლება.

თვალს მარიდებ და გარბიხარ,
ავაზასავით მარდი ხარ,
იის ბუჩქებში დამალულს,გეძებ და ვერ მიპოვიხარ.

ნიავი ხარ თუ ,ცქრიალა, წყაროს კამკამა წვეთი ხარ,
ანგელოზი ხარ ზეციდან, ღმერთს ჩემთვის გაუჩენიხარ.

მჭირდები,როგორც ჰაერი,როგორც წყალობა უფლისა,
შენ,ზეციურო ასულო,ია ვარდი ხარ გულისა.

მათხოვარი ვარ!

უცნაური ყულაბით ხელში..
ვერ შემამჩნიეთ!
მერამდენედ დავმალე პეშვი,
განა რას ვითხოვ!
ლუკმაპური არ მინატრია,
არც ჩასაცმელი!
თუმც ღარიბის მმოსავს მანტია.
გამიღატაკდა გული,
ადრე სითბოს მთოვარი,
დავხეტიალობ ქუჩაქუჩა
ღვთის მათხოვარი...
გამოიმეტეთ ხურდასავით
ღვთის სიყვარული..
სიტყვა მომმადლეთ იმნაირი,
გამითბეს გული...
რომ გამხმარ სხეულს
წყაროსავით წაადგეს მადლი,
აღმომიცენოს ოაზისი
ცისფერი ვარდით.
ო,ეს ყულაბა ცარიელი..
გულია ჩემი..
ჩაყარეთ სითბო,ბევრი არა!
ათ-ათი თეთრის!
იქნებ როგორმე გავათენო
ეს ღამეც ბოლო..
დანაყრებულმა წავიმღერო
სონეტი გედის.

* * *

იცი? მე ისევ ისე მიყვარხარ,
როგორც მიყვარდი მაშინ,
ახლაც პატარა გოგო მგონიხარ,
ოციოდე წლის ბავშვი.
ახლაც გიბრწყინავს შავი თვალები,
გულიც ძალუმად ფეთქავს...
უშენოდ ობლად დავიარები,
ეგ მინდოდა,რომ მეთქვა..
რომ დატუსტუსებ თბილი ჩუსტებით
და დამჭკნარ ხელებს მალავ...
მსურს დაგიკოცნო ე მაგ ტუჩები,
ჩემი ოცნების ქალავ.
შენ თუ დაბერდი,მეც ხომ დავბერდი
და ძველებურად ვერ ვარ,
მაგრამ ჩვენ ახლა უფრო გავბევრდით,
მთელი ქვეყანა ჩვენ ვართ.
თითქოს ჩიტი ხარ,ციცქნა,პატარა,
მკერდში გიკრავ და გათბობ,
მე ახლა უფრო მეტად მიყვარხარ,
ვფიცავ,ალალად ვამბობ.
სახის ნაოჭებს კოცნით დაგითვლი,
თმებს გაგიწეწავ ანცად,
მერე,თუ მეტყვი,ღრუბლებს ვეწვიოთ,
ფრთები გავშალოთ ლაღად.

ძველი პიანინო

ყურს ვუგდებდი ფიფქთა
უჩვეულო მინორს,
კანკალებდა ქარში
ძველი პიანინო.
მელოდია წყნარი
იღვრებოდა ფიქრად,
ძველი პიანინო
გადაიქცა ფიფქად.
იდგა მობუზული,
დარცხვენილი თითქოს,
არ ახსოვდა არვის,
მოწყენილი იყო.
ერთ დროს დედოფალი,
ამშვენებდა დარბაზს,
ეხვეოდა ყველა
ბედნიერს და ლამაზს.
ეხებოდნენ.. თრთოდა,
ვით ლამაზი ქალი,
მოხიბლული მისით,
ფხიზელიც და მთვრალიც.
იყო წყნარი ვალსის
ვნებიანი თრთოლვა,
კლავიშებზე მძაფრი
სიყვარული თოვდა.
მერე იყო ტანგოც,
თავბრუდამხვევ რიტმში,
შავი კლავიშები
გადაეშვა ფიქრში...
გარეთ ქროდა ცივი,
სუსხიანი ქარი,
ძველი პიანინო
იდგა ცოცხალმკვდარი...
ყურს ვუგდებდი ფიფქთა,
უჩვეულო მინორს....
როგორ ვგევართ ზოგჯერ,
იმ ძველ პიანინოს.

* * *

მე მომწონს ჩემში სული მღელვარე...
როცა ვპოეტობ,ვდნები რითმებად,
მე გული შენთვის ავამღელვარე
და დავიღვარე დითირამბებად..
კალამი ჩემი ბასრი ბრჭყალია,
გულს მისერავს და იღვრება სისხლი..
სიცოცხლე რადგან წარმავალია,
უნდა შევიგრძნო ყოველი
მისხლით.
როცა ქარიშხლის ისმის ღრიალი,
უნდა მომგლიჯოს ფესვიდან ცდილობს,
თავშესაფარი,მუზის ციალი
ლურჯი ზეცაა,მხატვარის ტილო
და ჩემი სულის ნაგვემ სხეულზე,
მთვარის აჩრდილი ლოკავს იარებს,
მარწუხებს მაგლეჯს ნაწამებ გულზე,
როგორც ყანაში ველურ ხვიარებს.
მე მომწონს ჩემში სული მღელვარე,
როცა ვპოეტობ,ვდნები რითმებად,
მე გული შენთვის ავამღელვარე
და დავიღვარე დითირამბებად.

ლეილა ვადაჭკორია

ჩემი სამშობლო ქვია

რა რისხვამ გადაგვიარა,
ვინ აგვირია გზები,
ერთმანეთს როგორ წაგვკიდეს
ერთ დროს ერთგული ძმები.

> გვიყვარდით, დაგვეფიცება
> ღმერთი, ხატი, თუ რჯული,
> ასე მგონია მკერდიდან
> ამომაგლიჯეს გული.

წარსულს მოგვწყვიტეს, აწმყოსთან
შემოვვეხიზნეთ მარტო,
და ახლა მამა-პაპათა
სფლავის ნახვას ვნატრობთ.

> ვერც დრო, ვერც მავთულხლართები
> წარსულს ვერაფრით წაშლის,
> ვერ დამავიწყებს ჩემს მამულს,
> ჩემი სხეულის ნაწილს.

ერედვს და ლამაზ აჩაბეთს,
ხურვალეთსა თუ ტყვიავს,
ვერ წაშლის ჩემს გონებიდან
რომც დამახალონ ტყვია.

> რა დამავიწყებს თამარისს,
> ქსანს, მოდუდუნე ლიახვს,
> ოდითგან, დასაბამიდან
> ჩემი სამშობლო ქვია.

ჩვენ რა ვქნათ?

მოვედით აქამდე
წვალებით, ჯახირით,
ველად გაფანტულა
უმწყემსოდ ნახირი.
თურმე ნუ იტყვით და...
გადავრჩით უარესს,
ქვეყანას ახალი
ზღაპარი უამბეს
– ეს მთები, ველები,
ფრიალო კლდეები,
იქნება ვინმესთვის
ზედმეტი დარდია,
ჩვენ რა ვქნათ?
სამშობლოს ღორღიც, რომ
გვიყვარს და
ჩვენ რა ვქნათ,
სისხლში რომ სიცოცხლედ
დაგვდიან?!

მზისგან დანაფერი

თითქოს ყველაფერი მაქვს
მაინც არაფერი,
გაღმა დამრჩა ოცნება
მზისგან დანაფერი.
მზეც რომ მეალერსება
მაინც შენზე ვფიქრობ
დროით უკურნებელი
ჩუმი სევდა მიპყრობს.
ნუთუ ბარიკადები
ჩვენს სიყვარულს წაშლის
გულში დავაბინავე
ცრემლთან ერთდ მაშინ.
მოვდევ ცრემლის ნაკვალევს
როგროც ფეტვის მარცვლებს
მოვდევ, როგორც ზღაპარში
ოცნება რომ ახდეს.

როდემდე შენ გენაცვალე

უაზრო დავიდარაბას
ბევრჯერ შევწირეთ მთავარი,
ვერ შევაერთეთ აზრები
სხვადასხვა წრეზე მავალი
ვერ გავუფრთხილდით სიყვარულს
ბოლომდე ვერ ვსვით ნექტარი
ვერ ვძლიეთ სიამაყეს და
ვერც ბოღმის მთები შევძარით.
ჩამოიშლება ნისლები
ამბავს გვიყვება მილეთის
ჩვენ კი უაზრო ჭიდილში
ვცოტავდებით და ვილევით.
ამ გაავებულ სახეებს
ახლაც რომ ვხედავ მაშინებს,
ოდნავ, რომ ხელი შეახო
აგიფეთქდება მაშინვე.
როდემდე, შენ გენაცვალე?
შენ ალთას, მე კი ბალთასა,
მიმწუხრის დღეებს ვეღარ ვთვლით,
წუთისოფელი გათავდა.

მრევლის სავანე

დადუმებულა შენი სამრეკლო
ხემ გაიხარა ნაოხვრალ მკერდზე,
არ დაგიყრია მაინც ფარ-ხმალი
და მაინც ლოცვით მოსულხარ დღემდე.
ლოცვებით სძლიე ეშმაკის მოდმგას,
ფრთები დაკეცა უღვთომ ცდუნების
ახლა განათებს წმინდა სანთლები
ღვთის სიყვარულით და ერთგულებით.
ნახე, მტრედები, რა ლაღად ფრენენ
მზის სხივი, ბზის ტოტს ეალერსება,
ყვავილებსა შლის იასამანი
და სიხარულით გული გევსება.

სულის ანარეკლი

მტერი ანგრევდა ჩვენს ციხე-კოშკებს
ჩვენ ნანგრევებზე ისევ ვაგებდით,
მაღლით ლახვარი ეკიდა ნიშად
სულ სისხლის ფასად არის ნაგები.
და თუ გადარჩა, თქვენამდე შვილო
თუ მოაღწია ნატანჯ-ნაგვემი
გახსოვდეთ სულის ანარეკლია
მტერს რომ ვერკინეთ და არ დავნებდით.

ვეღარ მიპოვი

მარტო ვარ, მარტო,
თებერვლის თვეში
და ვიცი მალე
თავზე დამათოვს,
ნუ მიმატოვებ
თორემ იცოდე
მე ზამთრის სუსხი
ისე დამაზრობს,
ცრემლად რომ დადნე
ვეღარ მიპოვი
მარტის ქარები
ისე გამაქრობს.

***

სულს სიყვარული სწყუროდა,
წყაროს ვსტუმრობდი მწყურვალი,
ვერა და ვერ დავეწაფე
იმედს წვეთ-წვეთად ვწურავდი
შენც ჩემთან ერთად იწვოდი
ჩამოგდიოდა კურცხალი,
ვერ ამიხილე თვალები,
თუ კი შენ მყავდი მკრუნალი?

კობა ადეიშვილი

* * *

ქუჩის ხმაურს, თბილისური ბაიათებს.
გზად გაცილებ, გიწერ ტრფობის ბარათებს!
ვნების მკერდზე საფერავო მონარცისევ.
დაგიცვარავ მაგ ყირმიზა დალალებს!,
ტუჩის ბაგეს მოგიკალმავ, ვაზის ლერწით.
დიდ ფურცელზე რემბრანტივით დაგხატავ!
ოკეანეს საამურად ავაღელვებ...
ტალღებში ზღვას, შევერიეთ მხარდამხარ.
ღრუბლებში მზეს, მთვარის ნაშობ,
სავსე სურას.
მინდვრის ნატიფ თითების
ღარს, ყვავილო.
თაიგულში შეგიკერავ
ღამის კაბას.
შეგადარებ; ხელთუქმნელო ბაბილონს.
ქარის ფანტელს თოვლის გუნდას.
ქუჩის ხმაურს,
სილამაზევ! თვალები გაქ გიშერი.
ნუ დამძრახავ თუკი ვინმე, გავიმეტე.
ოდეს მეფემ! – გაიმეტა გირშელი.

ე პ ი ტ ა ფ ი ა

გისმენთ და ვფიქრობ
დღე ნახატია,
სიშორის წუხილს
ეძღვნება თრობა!

გასხვისებული, მზეში
მრიცხველი...
ცხენის ნალების
ფილაქნებს ბრძოლა.

თანასწორია წუხდე
ციცერონს,
მარტოობის ომს
სენატორივით.

ინტრიგები რომ ?!
არ მოეწონოთ...
წარმოვიდგენდი,
სკეპტიკოსებით.

თანამედროვე ტრიუმფი
აღწევს,
ყოველ ნაბიჯზე
კარიკატურას.

განხეთქილება,
მოსალოდნელი.
მამული რჩება
ბატონ– პატრონად!

დემოკრატიის
ვნებები იბრძვის,
პროვინციაა ეს
,,ქსენოფონტე ".

წერილით ვკითხე,
გაჩუმებული!
აღგზნებულია დარბაზი
მცოდნე.

შთაბეჭდილების
კონსული ამბობს,,,
უიღბლობაა,
დემაგოგია.

ყველამ ვიცანით
შიმშილის დღეებს
მიაჭენებდნენ
გულჩათხრობილათ.

,,ღელავს ბალბუსი"
ოფიციანტი!
მოუწოდებდნენ
არჩევანისკენ.

,,ოფიცერი და!
გიტრიიუსი"
ცივილიზებულ
გალიებისკენ.

ლეგიონები ტრიბუნებს
აღწევს.
ვარაუდობდნენ
მეფე მოვკალით!

სახიფათო ხიდს,
სახიფათო როლს.
ხომალდით, ზღვაში
მერიდიანით.

გასაოცარი სიმშვიდე
სუფევს,
ლეგალურია
ეს ფიქსაცია.

უცხო ქალაქის
საყვარელ ლოცვებს!
კეთილი ფიქრის
იერარქია!

თუმცა მე მაინც
მიდგეხართ თვალწინ!
მაინც სიშორეს
ვნატრობ თავიდან.

თუმცა ვინ იცის?!
ცოდვებით აღვსილს
იქნებ! ცრემლად
მდის... ე პ ი ტ ა ფ ი ა.

ყინწვისის ანგელოზი

მე მთაწმინდაზე
ვდგევარ გეძახი,
მე მინდა ცხოვრება
წყურვილად ვაქციო
როდესაც იღიმი,
მე მაშინ შეგნატრი
შენ გევხარ იმ წუთში
,,ჯოკონდას ლაციოს"
მე! მინდა მტკვარი რომ,
თევზებით ავავსო
და მინდა ბოროტი
კეთილად ვაქციო.
შენ გევხარ ქალთევზას
ოქროს ფერ ფარფლებით
ეგ შენი თვალები
გინათებს ალიონს.
მე! მინდა მთა ბარი
დავხატო ფანქრებით.
მწვერვალი დავლაშქროთ
გავსცქეროთ ჰორიზონტს,..
შენა ხარ! ჩემი ტკბილიც
და სიმაღლეც,
ახლოს ვართ ერთურთთან,
თანაც ვართ ....შორი შორს!
მე! მინდა ცხოვრება
დავიწყო თავიდან!
მოგარგო ლამაზო
შენ დაფნის გვირგვინი.
მე მინდა გკოცნიდე
ნაზად და თამამად.
შენ კიდე ტკბებოდე
ნაკოცნი დუმილით!.
მე მინდა სარკეში
ხედავდე ანარეკლს..
როდესაც კიაფობს
ვარსკვლავი სადა ხარ?
ვდგევარ და ვეძახი
,,ყინწვისის ანგელოზს"
გამგვანებ ფრესკაზე
ცივსა და ლამაზმანს.
მე! მინდა ბუნება
შევავსო ფერებით,
ზღვისფერი ლურჯი და
წითელი ჩვენია.
შენზეა ნათქვამი
ალგეთის ლეგენდა"
რომელიც ოდიდგან
ხალხური ძველია...
ვდგევარ და მოგელი
სივრცეში არ ჩანხარ!
მე მინდა ცხოვრება!
წყურვილად ვაქციო
თითებზე გეფერო,
ჩურჩულით თან და თან,
მოგხვიო ხელი და
საჩემოდ გაქციო....!.

კრემირებული სული

უბრალო ქოხში,
მონატრება იქცა
წყურვილად!
უნდა გადავრჩე
მიყვიროდა!
ტანჯული სული.
ველის ყაყაჩო
ვაზის ცრემლებს!
სულში მუნდირად.
გაასხვისებდა ზღვაურ
ქარაფებს!
ცხოვრება რთული....
ამიყოლია იმის
განცდამ
რომ ? ისევ გეძებ.
უსასრულობის ზღვაში ცურავს
სადღაც გონება!.
გავალ ქუჩაში...
უგზო უკვლოდ
ხეტიალს ვიწყებ!
ადამიანი!..წარსული
აწმყო
და! მოგონება.
ნამიან მოლზე
ჩამოვჯექი
ქუჩის გადაღმა!.
თვალი შევავლე,
მაღლით ცაზე
გაწოლილ ღრუბლებს...
უნდა შევძლო
და გავათიო!
თუნდაც ამაღამ.
მელანქოლიის ფერი
ახლავს ამ
ფიქრებს, უბრებს.
შეურიგდები მე!
ბედისწერის
უცხო სამარეს.
ჩაბნელებული ამ
კედლების ჩუმ აგონიას!
რითმში დასეტყვილ
სილამაზეს,
ტანჯვის ავდარად!
დალუქულ ცოდვას
მივაცილებდი,
რთულ მელოდიად!.
ვაცნობიერებ ამ
ყველაფერს
და! ვეძებ საყრდენს.
მთვარიან მოლზე
დავისვენე,
სევდის ამარა!
ფანჯრის რაფაზე
ჩამოვჯექი!
წყურვილსაც ვამხელ.
თურმე წარსულში,
მე!.ვირჩიე!
ურჩი ბ ა რ ა ბ ა!.
ვულკანურ აზრებს,
დედამიწა იხმობს
შორიდან!
ბორკილებს ამსხვრევს
ამირანი! დააღწევს მითებს.
თან ვხედავ ბინდში!
ცვარის მოსვლას.
უკაცო სახლში.
ღვთაებრივ ბაღს და!
^კრემისფერი...
ცეცხლოვან ღუმელს.
მზეს ველოდები,
ცის კაბადონს!
ღრუბლებში ვაღწევ.
მტეხდა ნამქერში!
საუკუნე! ვითხოვ შენდობას.
გთხოვ მაპატიო
შენ უფალო
ცოდვების მძივი,
და! პანდემიის
კ რ ე მ ი რ ე ბ უ ლ ი
სულის გოდება!

* * *

შემომეჩვიენ უცხო ღამის, ჩუმი ლანდები!
ტალღების ჩქეფი, სველი სიშიშვლის ტევრი მანტია,
ფარდების ჩრდილი, სანაპიროს გაზონი მკრთალი.
კიბის მოაჯირს, მოფრიალე ბანქოს კარტია.

გაშლილ ტრამალებს, ყინვის სტეპებს, შოშიების გუნდს.
ნოსტალგიური მონარნარე, მარგალიტები.
ზღვაში მძვინვარე, მაღვიძარა სოლარიუმი...
ჯიბის საათი, ციბერპლატი, მთვარის მძივები.

შემომეჩია ევას ნეკნი, სიმყუდროვის დრო.
საშველს არ მაძლევს, ცივ ყურების სიცხის ნაფაზი.
სიგარეტივით გავაბოლე, ბოლო თამბაქო.
კვამლს გადავყლაპავ, დავიმსხვრევი როგორც ალმასი.

ჩემსკენ გეძახი, გიახლოვებ შემომეჩვიე!
შენი მკერდისთვის, გავიმეტე მარადისობა.
დამკვიდრდა დროში, მეტაფორა ბომონდის სახე.
მელოდრამა ჟღერს, მომიახლოვდა გალას მისნობა.

შემომეჩვიე, წამიყვანე! სადაც დრო არ სწამთ!
წავიდეთ დღეში, მოგზაური პლანეტის კალთა.
მთის არწივები მივიჩვიოთ, ვიყუროდ დიდხანს.
შევარდენები თავს ესხმიან, აღწევენ მართალს.

შემოვიჩვიეთ რითმის ხნული, პოეზიის დღეს.
წუთები წამის, წვიმის წვეთი, წითელ ფარდაგში.
შარბათი ვასვით, ტუჩზე ღიმი, ბადაგი მღვრიე.
სადღიგრძელოს ვსვამთ, ყველა კვირა ჩვენთვის შაბათი.

გველის პერანგი; მისი მუზა, თვალების ფერი,
სააშკარაოს -სოფლის შუკებს, ჰამლეტის ბარდა.
მონა ლიზასთვის ჩაუცვიათ შაბათის ღამე.
ხანუმები დღეს აცილებდა, მირაჟებს დარდთთა.

შემომეჩვიენ უცხო ღამის ჩუმი ლანდები
პიკასოს ქალი, მარტის ბინდი შემომეჩვია.
საუკუნეში მივაბიჯებთ: ვიტირებთ ისევ..
ცრემლს სიხარულის გადავყლაპავთ ხატამბიონად.

* * *

დღეს, ვიამბორე ბნელი სინესტე
საკანი იყო მშრალი და ცივი,
დასვენებული ისმოდეს ერთხელ
მოგონებისგან იცლება მძივი!.

დღე იყო მძაფრი, დღის განწესია..
შარდენი, ბაღი, დღე ოვალური.
დღეს ვეამბორე მე იმ ერთიანს
რომელსაც მახე დაუგეს გულით.

დღეს , დარდში იწვა მთელი იერი.
ოცნების ფირზე იწევა ვალი.
გადარაზული ბედნიერების
დღე დღის ლადნია ...მოქნილი ხმალი.

დღეს, ბეწვის უჯრა შეაღეს, წამი!
კარი, ნათურა ცივი კედელი..
მე ბინდში ვხატავ ,,შენ" იერსახეს
და შველას ისევ დანტედან ველი!

დღეს, მასაც ელტვოდა ზეცას,
ვიღაც იცინის, ვიღაცა დარდობს.
ვიღაცა ისეთ ტემბრში საუბრობს
მოგაგონდება, აპრილში რად თოვს?"

დღეს !ისევ ჩვენი დაბადებაა...
ხმაური იწვევს ეიფორიას.
მე ჩუმი საკნის როგორც მეველეს,
მინდა გელოდოთ როგორც ორიანს.

დღეს! მორჩა კვნესა უცხო ტანდემის!
დღეს! დარჩა სხვისი რიგების ქარი,
დღეს! შენი სუნთქვა ისმოდეს მინდა
შენ! ,,პიატრიჩეს" უკვდავი ქალი –

* * *

მთვარეს გაბადრულს, კაკლის ღამეს,
შინაგან საზრდოს.
ლეღვის ფოთლების, ალუჩის რტოს.
ჭადრების ჩივილს.
შევიმოსები საშობაოდ გავაკრავ ალამს.
ალამასის ძეწკვით,
თეთრი რაშის, მეხოტბე ტირის.

ცხოვრების დოღში, მუჰაჯირის შეიხის ვილებს.
ვერც ასპარეზი დავიტიე ასე მარტივად;
შედუღაბებულ გვირაბის ქიმს,
ეშმაკის ბორბალს.
სამერმეისოდ დავეძებდით
მამა პაპურად.

ზეცის სამეფოს, ზღვის სამყაროს;
საირმის ჩვილებს!
შვლის სანავარდოს, ხმელი წიფლის:
სუნამოს მოდას.

არანჟირება გაუკეთე, მოლა ხმით კივის.
ფიროსმანისთვის უჩუქნიათ, ღიმილი LOLAS!-

თბილ არომატებს, მარტოობის ხილის ხეივანს.
ზამთრის დაზგისთვის ემზადება;
ბორჩალოს ბახჩა.
უცხო ქვეყნების, თბილ რაინდებს,
ქვიშის უდაბნოს.
მემორიალი ეზმანება საგზურის სამხარს.

ჰორიზონტი ჩუმს, დუმს სასმისით
ოქროს საწმისი.
აბობოქრებულ ტალღებს მალავს
მკერდის საგზალი.
კიდობანს ურჩად ამშვენებდა
სიცოცხლის ფარჩა,
აბრეშუმის გზა. შუა ხიდი
დღის! ბოლო მგზავრი.....

* * *

ჰე ბანოვანნო! კავალერი
საუკუნეებს,
ანდერძი ტანჯვად დაუტოვეს,
თეთრ მონატრებას!

მე! მოსაუბრე
სიყვარულის ანგელოზებით.
გრდემლზე თავს ვდებდი
მართალი ცრემლის
გადასარჩენად!

კოლხეთის ველზე...
რიტორიკას, მედეა სტუმრობს!
ლაშქარი ზღვაში
იაზონის არგონავტებით.

ცხოვრება ურემს
დააგორებდა საშვილთა-
შვილოთ!
დააგორებდა ლოდებს მთიდან
ცეცხლის ალებით.

ასე ამბები დასეირნობს
სევდის მინდვრებში!
და! ნოსტალგია თვით მეფეზეც,
ღრუბელით! მეფობს.

ყინვაში იწვის
ჩვენი ბგერა, ჩვენი ზრახვები.
წაქცეულ მუხებს
არსაკიძის დიდი სამრეკლო!.

დედამიწის კასრს,
აღტაცების პათოსი ახშობს.
თრთოდნენ გულები
პაწაწინა პერგამენტებად.

რაშებს მიჰქონდათ
მთაწმინდელების სული და
საზრდო!
მიჰქონდათ რაშებს
ბარათაშვილის ხიდის მზეობა.

„ადელაიდას“ დედის
მკერდთან მიუძინია,
წყნარ სასაფლაოს
ევკალიპტის ყადაღა ადევს.

ბორანს მიაბეს, ხეთა რიგი
წესის ამარა!
თავად ბავშვობა შევადარეთ,
და! წესად ვაგეთ.

თერთმეტ ნაბიჯებს
ბუხრის პირას...შეშის ტკაცა-
ტკუცს.
შარბათის ბაღში
ეროსი იდგა ოფელიასთან.

მარტის ყვავილი,
მუსიკა და აღმოსავლეთი.
ლოთი ჭაბუკი,
დენთის ვაზნებით, კამელიებთან.

ავტო-სადგურის ხმაურია
ტოტია მგელო!
წვიმის წვეთებში
მიმოფანტულ გარემოებას.

სიზმარი ვნახე მირაჟებით
წყალზე დადიან.
მე კი! მხნედ ვიდექ
პოეზიის ბაირაღებთან.

ბერთ-უხუცესნი აჩერებდნენ
გაწამებულ დროს.
ნოეს კიდობანს, სუნთქვა უხმობს
პალმის რტოებით.

ძალმომრეობას ხვედრი ჩვენი
თუკი მივანდეთ!
თუკი გავეცით ა ღ ს ა რ ე ბ ა!
და! ბ რ ა ლ დ ე ბ ე ბ ი.

გულ ახდილი და (კეთილშობილი)
ჯამბაზი ვამბობ.
ჭორების გუბე...
ამომშრალა ნაკადულებათ.

ნუღა სარგებლობთ! წესის ამარა
დარჩა სულელი,
დარჩა (ვაჭრები)
მხიარული ჩინოვნიკებად.

კი! მდიდრულ დუქანს
გავექეცი ქვიშის საათით.
მონაწილე ვარ მწუხარების,
კი! განგაშია!

დიახ! ვიწვნიე, დეპრესიული
რუხი ზამთარი!
მისტიკურ გულის
ინკოგნიტო, გალამაზება.

ნანა ჩარკვიანი

დედა

დედა საწყისი
სიცოცხლის ჩვენის,
ჩვენი ცხოვრების
მუდმივი მცველი.
ყველა ტკივილის
მალამო, მშველი.
ჩვენი ქალობის,
კაცობის, მშვენი.
ჩვენი ღირსების,
მუდამ დამცველი.
კარგის,თუ ცუდის
მპატიებელი.
მიმტევებელი,
ჩამხუტებელი,
მომფერებელი,
შვილზე მლოცველი,
მავედრებელი.
ჩვენი კედელი.
ცეცხლში მდგომელი,
წყალში მდგომელი,
ქარშიც მდგომელი,
დედა,მშრომელი.
შვილის მშველელი,
დედა სამყაროს,
დედა ოჯახის,
დედა სამშობლოს
გადამრჩენელი.!
ავის მგმობელი,
შენი მშობელი,
ის ერთადერთი,
ვით ღვთისმშობელი.
დედას ჰგავხარო,
ბევრს უთქვამს
ჩემთვის.
თუმც,აღარა მყავს,
პატივს ვსცემ
დღემდის.
ყოველ გადადგმულ
ნაბიჯს მიზომავს და,
თანაც მლოცავს,
დედა და, ღმერთი.

უბრალო ქალი

უბრალო ქალი ვარ,
უბრალო ფიქრებით,
ცხოვრების ბილიკებს,
უბრალოდ მივყვები,
ღამეებს ვათენებ,
უფალთან ვედრებით
მხვდებიან ვარდებიც,
მხვდებიან ეკლებიც.
ვეცემი,ვდგები და,
მაინც არ ვნებდები.
უბრალო ქალი ვარ,
უბრალო სიტყვებით,
უბრალო პოეტი,
უბრალო რითმებით.

არავის ვჭორავ და,
არავის არ ვერჩი.
არავის არ ვმტრობ და,
ტალახსაც არ ვესვრი.
სიტყვასაც, შემთხვევით
არასდროს არ ვისვრი.
სხვის დარდს და
სიხარულს,
ჩემივით განვიცდი.
ეს გზა საით მიდის
ტაძართან მივყავართ!?
ჩემო ქართველებო ,
ძალიან მიყვარხართ.

ნოემბერი გახვეულა ნისლში

შორს, აქა-იქ ჩამოთოვა მთები,
ნოემბერი გახვეულა ნისლში,
თრთვილი ადევს,გაშიშვლებულ ხეებს,
შემოდგომა,ფეხაკრეფით მიდის.
ნაშრომია,დასვენება უნდა,
მზეს საწოლი გაუშლია მისთვის.
ყვითელ ფოთლებს,აწიოკებს ქარი,
და,შორიდან მათი კვნესა ისმის.
ეს სეზონიც,ჩაბარდება წარსულს,
შეინახავს მატიანე სკივრში.
შემოდგომამ,მოიხადა ვალი,
კმაყოფილი,ბოლო დღეებს ითვლის.
გათოშილი, შორი გზიდან მოდის,
კარს მომდგარა, ზამთარი და იცდის.
ნოემბერი ჩაიკარგა ნისლში,
ბუხარში კი, ნაკვერჩხალი იწვის.
თუ, ქუჩაში ჩავლისას
,,კომპლიმენტს" არ გეტყვიან,
ქუჩის თავში ბიჭები,
გუნდას აღარ გესვრიან.
ვარდების თაიგულით,
კართან, თუ არ გხვდებიან.
შენი სახლის ფანჯრებში,
შუქს არ ელოდებიან.
თუ,გიტარის სიმები,
შენზე აღარ მღერიან.
პაემანზე, ლოდინით,
თუ აღარ იღლებიან.
თუკი შენი თვალების,
შუქით არ იბნევიან.
მოხდენილი ფეხსაცმლის,
თუ,არ ისმის კაკუნი.
ქუჩას თუ მიუყვები,
სვენებით და ბაკუნით.
თუ,ბროლის ყელს,
სავსე მკერდს,
მოკრძალებით აცვია.
თუ,მარწყვივით ტუჩებზე,
ღიმილი არ ასხია.
თვალებში კი,ვნებების
ცეცხლი აღარ ანთია.
მაშინ ახალგაზრდობა,
წლებს შემოუძარცვია.
შემოგრჩება,წარსულის
მოგონება ლამაზი.
ერთ დროს შენც,
რომ ბრწყინავდი
ვით ბეჭედში ალმასი.
დროის ორომტრიალში,
წლები ისე მიჰქრიან,
,,როგორ დაბერებულა,"
მერე ასე იტყვიან.

მაშინ მოვა გაზაფხული

თებერვალი ყინულს ალღობს,
არაკრაკებს ნაკადულებს.
ჩიტუნებსაც,ხალისს მატებს,
სახლის სხვენზე შეხიზნულებს.
გაზაფხული დადგებაო,
გნოლი,კაკაბს უჩურჩულებს.
გიჟი მარტი, ღილებს შეხსნის
ხეზე, კვირტებს შესკუპულებს,
დილის ნამი დაუკოცნის
ფურცლებს, ყვავილს გაფურჩქნულებს.
ქარი ისევ დაერევა,
ენძელებს და ფურუსულებს.
მზე კი, სითბოდ ჩაეღვრება,
იებსა და ყვითელგულებს.
მერცხლები ,რომ დაბრუნდება
თავის ბუდეს უერთგულებს,
მაშინ მოვა გაზაფხული,
სიყვარულზე იჟღურტულებს.
დაკარგული სიყვარულიც,იქნებ
უკან დაგვიბრუნდეს,
ერთმანეთის გვერდში დგომა,
რომ გვითბობდეს ისევ გულებს.

მენატრება

მენატრება, ჩემი
სახლის სურნელი,
ქვაბით,ცეცხლზე
შემოდგმული სადილი,
სამზადისში მოფუსფუსე
დედა და,
კაკლის ჩრდილში,
მამა, შრომით დაღლილი.
გზად,შემთხვევით
ჩამოვლილი მგზავრი
და, იმერული
მასპინძელოს ძახილი.
მაგიდაზე, დოქით
ღვინო შედგმული,
დაცვარული,
ღვინის ჭიქა ჩათლილი.
მენატრება, დედას
თონის პურები, იმერული,
ხალმის ყველი ნამდვილი.
კიტრის მწნილი,
ჩალესილი ლობიო
და,წიწაკა,თავზე
წვრილად დაჭრილი.
მენატრება, ის
პატარა გოგონაც,
მხრებზე,გრძელი
თმები ჰქონდა ჩაპწნილი,
არ მიაჩნდა,ცა ქუდად
და ქალამნად,
ნაბოლარა,ფერებაში
გაზრდილი.
მამის მიერ
,,გაწელილი" გარმონი,
სიმღერები,
საოცრება ნამდვილი.
მენატრება,
საყვარელი და ძმების,
მხიარული,ლაღი
შემოძახილი.

მალე მოვა გაზაფხული

ცამ ცისფერი
მოსასხამის,
გადაიხსნა ღილები,
თებერვლის მზემ
გადმოჰფინა,
აივნიდან სხივები.
თოვლში,ია მოფანტულა,
ისე,როგორც,მძივები.
წყალმა ისევ გაარღვია,
ნაგები ჯებირები.
თოლიებით მოფენილა,
მდინარის ნაპირები.
მალე,მოვა გაზაფხული,
შენი დანაპირები.
მინდა,ისევ დამიკრიფო,
ცისფერთვალა იები.
წვიმისაგან გვიფარავდნენ
ისევ მაგნოლიები.
ამ,ზღაპარში,
ჩვენ ვიქნებით,
სიყვარულის გმირები.

გინდა დამხატო?!

გინდა დამხატო?!
მოიმარჯვე,მაშ
მხატვრის ფუნჯი,
სახეს ფაქიზად
გააყოლე,
ნატვრის შტრიხები.
იქნებ,თვალებშიც,
წაიკითხო უძირო სეევდა,
თმაში,ქაღარაც გაურიო,
როგორც ფიფქები.
იქნებ თვალებში,
ისევ დარჩა
ის სიყვარული,
ის ნაპერწკალი,
ოდესღაც, რომ ჰგავდა,
ვარსკვლავებს,
იქნებ,ბაგეზეც
დარჩენილა
ის კოცნის კვალი,
ან და,ისევ ვხრი,
მორიდებით,
იქნებ, წამწამებს.
გინდა,დამხატო?!
მაშ აიღე, ფუნჯი
და ტილო,
სხეული არა, დამიხატე,
სულის ტაძარი.
სულს,თუ ჩასწვდები,
წაიკითხავ,
შინაგან განცდებს,
მაშინ ყოფილხარ
და,იქნები,
ნაღდი მხატვარი.

თავი დაუხრია ტირიფს

თავი დაუხრია ტირიფს
რაღაც უჩვეულოდ აკრთობს,
იქნებ მოვენატრეთ მასაც,
იქნებ ჩვენი ,,ტანგო"ც, ახსოვს.
თავი დაუხრია ტირიფს,
ქარი არხევს, ცრემლი ახრჩობს,
იქნებ,მოენატრა წვიმა,
ტოტებს შეხიზნული სატრფო.
იქნებ ,მოლოდინით გველის,
მთვარე,დასცქერის და ათბობს,
იქნებ ოცნებებში გვხედავს,
ერთად, რომ ვცეკვავდით ტანგოს.
თავი დაუხრია ტირიფს,
დრომ ,რომ გაირბინა ატყობს,
ცაზე,ვარსკვლავების თვლა და,
ჩვენი სიჭაბუკეც ახსოვს.
თავი,დაუხრია ტირიფს,
თავდახრილ რტოებზე ათოვს,
ცეკვავს,ფანტელები ცეკვავს,
მას კი ჩვენი, ტანგო ახსოვს.
თავი,დაუხრია ტირიფს,
იცის,ერთმანეთს ვერ დავთმობთ,
ის ვერ შეიკავებს ტირილს,
როცა, კვლავ ვიცეკვებთ ტანგოს.

ფანტელების ცეკვა

ქალაქს დარაჯად
უდგას კლდეები,
შემოხვევიან,
როგორც მცველები.
კლდის მწვერვალებზე,
ფარფატ ფარფატით
ცეკვავენ ტანგოს
თვით ფანტელები.
დეკემბრის ქარი,
უკრავს სონეტას,
დაფრიალებენ,
თეთრი პეპლები.
მინდა,შეხება
და მოფერება,
უცებ დნებიან
ხელის შეხებით.
და თოვლში იდგა,
თეთრი ტაძარი.
თავზე ჯვარით,და
მყარი ფესვებით.
გაუთელავი
თოვლივით წმინდა,
არ ხდება რამე
ისე შემთხვევით.
ტაძრის კედელთან
ქალი ვიხილე,
ცად აწვდენილი
მზერით,ვედრებით.
გარეთ დეკემბრის
ქარი დაჰქროდა,
ტანგოს ცეკვავდნენ,
თვით ფანტელები.

გიორგი ზუბიტაშვილი

ქარი რეკდა საყდრის ზარებს

ქარი რეკდა საყდრის ზარებს,
მე ვფიქრობდი, მაშინ, როცა –
ჰო, პოეტო, შეგიყვარებს,
ვინც შენს ბაგეს არ აკოცა!
მერე რა თუ არ დაგინდო,
წუთისოფლის ქარიშხალმა,
აგრე როგორ დაგაღონა,
ერთი ბეწო დარდ-მისხალმა?!
ქარი რეკდა საყდრის ზარებს,
გზას მივდევდი ქარდაქარგულს...
ქარი აღებს საყდრის კარებს,
შემო! – მიხმობს გზადაკარგულს.
შევდივარ და ღვთისმშობელი
გულში მიკრავს, დედა-ქალი,
მე ურწმუნოს – ცოდვის მორევს,
მის კალთაზე ცრემლის ღვარი
მომდის ნელი ვერცხლის ცრემლით
და ღიმილი სახეს მპარავს,
მანუგეშებს ღვთისმშობელი –
ნუ სწუხ, ღმერთი დაგიფარავს!
2020

*

ვერ მომერია ომში ოსმალო,
ვერ მომერია: მონღოლი, სპარსი,
შენ დამამარცხე, მხოლოდ შენ, ქალო,
და ამირიე ცხოვრების არსი!
ვერ მომერია ღვინო-ჰარალო,
ვერ ამირია სავალი გზანი,
შენ დამატყვევე, მხოლოდ შენ, ქალო,
როგორც პრომეთე და ამირანი!
ტყვიას გავუძელ, შენს თვალებს ვერა,
მზერას ალმაცერს ვერ გავერიდე,
ჩემი დაღუპვა?! – ეს მოხდა ძველად,
როცა ატმები ჰყვაოდნენ კიდე!
2021

ნაკადული

რა ძნელია შენად ყოფნა,
შენით ტკბობა – რა ადვილი,
წყალო, გულჯავრდარდიანო,
ჩემს მახლობლად რომ ჩაივლი.
ხანაც გვერდით მოგიჯდები,
მშფოთვარევ და ზამთრიანო,
მიჯავრდები განრისხებით,
ხან – საამოდ ტკბილხმიანობ.
რა ძნელია შენად ყოფნა –
ვერ იშორებ სულში ტალახს...
განა ასე ვის უმღერი,
ვის უმღერი; ქრისტეს?! ალახს?!
მაგ სიმღერამ გამომზარდა,
კავკასიის ხმათა მღერამ,
მიტომ არის, რომ მომხდურმა
ყელი ჯერ ვერ მომიღერა!
22.02.2019 /13:54

მზე ფერუმარილით

მზე გაზაფხულის ამოიწვერა,
დასრულდა ზამთრის გრძელი ავდარი...
აყვავებულხარ იასამანო,
დაგიხვდი სევდით ნაავადარი!
ოჰო, იმგვარად ვეღარ ვყიჟინებ,
ვეღარა ვმღერი, როგორც ვმღეროდი!..
აყვავებულხარ, იასამანო,
არ ვმალავ, უკვე აღარ გელოდი!
მტანჯველი იყო, ხეო ყვავილთა,
ფოთოლდაცლილი შენი ტან-ბაგე,
მადლობა, ჩემო იასამანო,
შენი სურნელით კვლავ რომ დამდაგე!
ახლა მანანა მინდვრებსა სერავს,
ვდგავარ მზესთან და სიხარბით ვუმზერ...
ამაღამ ცივი ქარი დაბერავს,
ამაღამ ალბათ მეც მოვალ გულზე!..
მზესთან ვბაასობ, ვით მზესუმზირა,
გაღმიდან მწყემსის სიმღერა ისმის,
მისი დარდია ვინმე – ზაჰირა,
დარდი, რომელიც მოჰყვება კისკისს.
მე პანტის ფანდურს ვუსვამ ცივ თითებს,
ვით ქალის სახეს – ცრემლებიანას
და აყვავებულ იასამანთან
ხევი ღიღინებს – სან და დიალას...
მზე დგას, არ ფიქრობს, არც რას საუბრობს,
სიტყვაძუნწია ცათა ყვავილი...
მზის საილამაზე მოკვდავებს გვწუნობს,
ყვითლად უბზინავს ფერუმარილი.
2020

×××

რაღა უნდა ვთქვა, სათქმელი რა მაქვს,
უსიტყვო გავხდი დარდით და მწუხრით,
აღარც გული მაქვს, ვუსმინო ჯალაბს,
ვაჰმე, საწუთროს ქედს თუ მოვუხრი!..
აღარ მათრთოლებს ბავშვივით ქარი,
აღარ მაშინებს ოქტომბრის დელგმა
და ახლა მართლა ვარ ცოცხალ-მკვდარი,
ასეთი ყოფა დალახვროს ღმერთმა!
დალახვროს ღმერთმა ჩემი სიჩუმე,
გულში ჩაკლული სიტყვა მრავალი,
სევდანარევი ფიქრი, ვერთქმული,
მზეც უმზეობით ამომავალი.
და სხვა რაღა ვთქვა, სათქმელი რა მაქვს,
უსიტყვო გავხდი, როგორც სალი კლდე,
აღარც გული მაქვს, ვუსმინო ჯალაბს,
თვალს ცრემლი მაინც ვერ ავარიდე!

2021

*

ვკვალავ საწუთროს, ასე უბრალოდ,
სიცილით, სევდით, ათასი რამით...
შენ მაინც აგცდი, ჩემო უფალო,
სხვა გზით ვიარე – ტყითა და ხრამით!
სხვა გზით მავალმა ვერ შეგიცანი,
სული ეშმაკის მორზე გავაკარ,
მიტომაც არის, რომ მოსვენებას
ვეძებ მთა და მთა, გზა-გზა, კარდაკარ!
ასეთი ბედი ვინ დამაბედა,
ვინ ჩაასახლა ჩემში პოეტი...
არავინ დარჩა, უფალო, ჩემთან,
დედაჩემის და ღვთისმშობლის მეტი!

2021

ღაღადი უფლისადმი

ჰო, დავრჩი მარტო, დამრჩა სულ არა,
ასეთი არის ცხოვრების დარგი...
ვინც ჩემს მახლობლად ჩამოიარა,
კარგი გზა მიეც, უფალო, კარგი!
ჯერ ისევ მხნე ვარ, ჩემ გზასა ვკვალავ,
სხვა რა-ღა მინდა – ყვავილობს ნუში,
ვინც ჩემს მახლობლად ჩამოიარა,
დღე არ ანახო, ღმერთო, პირქუში!
კვლავ ჩემს ჭრილობებს განვკურნავ თავად,
არ მძალმიძს შენგან რაიმე სარგი...
ვინც ჩემს მახლობლად ჩამოიარა,
კარგი გზა მიეც, უფალო, კარგი!

2020

მერი ატმის ყვავილებიდან

მარტია, ჩემო საყვარელო, მარტი თავნება,
კვლავ მათრობელა გაზაფხული... კვლავ მენატრები,
დავალ, თან დამდევს შენი ხმა და შენი ზმანება,
ჩვენს ბილიკებზე იშლებიან ახლა ატმები.
ეს ლაჟვარდები სააპრილო გაზაფხულისა,
აღარ მაოცებს, აღარ მხიბლავს – აღარც განვიცდი,
რა, მძიმე იყო სიყვარული ერთი მგოსნისა?
ასე უბრალოდ, ასე უღვთოდ რომ დაგავიწყდი.
ეჰ, ნეტავ ახლა ჩემთან იყო, ვით გაზაფხული,
ამ ძაძამოსილ არემარეს ააყვავებდი,
ხომ მიშველიდი, მზეფენილი, ყვავილისფერი,
მეც ამ დაუთვლელ ცოდვას ხომ არ დავაშავებდი!
მკერდზე სათუთად დაგივლიდა მთების ნიავი,
ვით ატმის ხეებს, შენაც ისე აგათრთოლებდა,
მერე ეშმაკიც ეშმაკური ძალით, სიავით,
ჩვენს გზებს ვერასდროს ასე ვეღარ დააშორებდა!
იასამნები საყვავილოდ ემზადებიან,
სდუმან მთები და ბობოქრობენ ტყეთა ქარები,
სხვა სილამაზე?! – ისევ ვამბობ, შენი თმებია!
თმები ნარნარა, ჩანჩქერების შესადარები.
მარტია, მარტი, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო!
გიხსენებ შენ და მარტი ტირის, სხვა არაფერი,
დავდივარ ასე, ათასი გზით, ათასი მხარით,
სადღაც შევხვდებით კიდევ ერთხელ, ძვირფასო მერი!

14.03.2020/15:07

*

მაინც არ ვიცი ვინა ვარ,
ზღვა ვარ კაცისგულსიღრმითა?!
იქნება ცა ვარ – მიწის-ზე,
მორთული ვარსკვლავთ სირმითა.
ვაჰთუ, ქარი ვარ გამვლელი,
ქროლვით დამლევი ბილიკის,
მნახველი ამა სოფლისა,
მქადაგებელი ქილიკის.
იქნება წვიმისწვეთი ვარ,
ან ცრემლი დედის ბაგისა,
ან და ეკალი, ყვავილი,
საფლავს მოსული ჯაგისა.
თავს არ ვგრძნობ საჩემსაუფლოს,
ნარი ვარ, აღმა-გზის ნარი...
ცხოვრების ერთი კაცი ვარ,
ხან ცოცხალი ვარ, ხან – მკვდარი!

2020

ლია ხმიადაშვილი

****

ბულბულმა უთხრა
ფარშევანგს, რა მშვენიერი რამ
ხარო,
დადიხარ ყელმოღერებით,
ველის პრინცესას გავხარო.

ყველა ფრინველი
გნატრულობს,
ყველას მიჯნურად ჰყავხარო,
მეც გეტრფი, ვგალობ
შენთვის და
მეც მატკბობს შენი ნახვაო.

ფარშევანგს ესიამოვნა
ამ ყურადღებით გარჯაო,
თუმც ბულბულს ცივად მიუგო,
ვერ გაგიყადრებ თავსაო.

სად შენ და სად მე,
ვერ ამჩნევ?!
სიდაბლით არც კი ჩანხარო,
ხმა კი გაქვს საუკეთესო,
მაგრამ საჩემო არ ხარო.

გული ეტკინა მგალობელს,
სულზე დააჩნდა დამღაო,
ჩამოჯდა ვარდის ბუჩქზე და
მოთქვამდა თავის დარდსაო.

ფარშევანგმა კი დაიწყო
ამაყად კუდის გაშლაო...
ზედმეტად ქებას სცოდნია,
მართლაც რომ თავში
ვარდნაო.

****

ბევრს ნუ ოცნებობ,
ნუ აგროვებ ქონებას უხვად,
ძალას წაგართმევს
წუთისოფლის მაცდური გზები,
გადაგიყოლებს ბევრზე ფიქრი,
გულის სიმძიმეს
ვეღარ აიტან,
თავს აიკლებ ჩხუბით და წყევლით.

საარსებოდ და სასიცოცხლოდ
ცოტა რამ გვინდა,
სულის საკვებად
სიყვარული ვინატროთ ბევრი,
ხელცარიელი დავიბადეთ და ასე წავალთ...
ამ დროებითებს
ნუ ვესწრაფვით სიხარბის დევნით.

ხედავ?!
ბილიკი ვიწრო არის
და მისასვლელი
სიცოცხლის აზრთან გვაკავშირებს
სიმართლის ძებნით,
თუ ღმერთს დავშორდით,
ვიუცხოებთ მის სიახლოვეს,
განა ოცნებებს შეესხმება მუდმივად ფრთები?!

****

"ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო",
ოდესმე… და ახლა... ვინ იცავს საზღვრებს?!
ერი ნახევრდება, ერი არ მრავლდება,
ერი დღემდე ეძებს ღირსეულ მმართველს.

კი მაგრამ, ვის უნდა ჩვენი დამცირება,
ვინ გვაყრის ნაცარს და ვინა გვთხრის თვალებს...
ვინ გაძლევთ უფლებას, ასე გაგვიჭირვოთ,
ლუკმისთვის საშოვარ მათხოვრებს ვგავდეთ…

ყველა ვართ დამნაშავე…ვერ გიერთგულეთ,
ჩემო საქართველოვ! -ხარბებს ბრმად განდეთ,
უფრო უარესის ღირსები ვყოფილვართ,
ბოროტს მართლებისგან, რომ ვეღარ ვარჩევთ …

– დიდი ყოფილაო თურმე საქართველო,
– მეტი სიყვარული ჰქონდაო ქართველს...
დღეს, ხელს რა გვიშლის?!... ქვეყნისთვის სად გვცალია?!
შურით და ბოღმებით ერთმანეთს დავსდევთ…

****

ჰო, სიძულვილი შუღლს გაგვიღვივებს
და ჩვენს ცხოვრებას მეტად გასტაჯავს,
გაგვიჭირდება ძმობის სიმტკიცე
და ერთმანეთის გვერდში ატანა.
თუკი სინდისი გამოგვაღვიძებს
და მიგვახვედრებს ვინც ვართ, რაცა ვართ,
გავჯანსაღდებით და სიყვარულით
ჩვენს ყველა ცოდვებს უცებ დავფარავთ.

****

"მარტო", გამახარე შენი მობრძანებით,
გვხვდები იის კონით, ნამგზავრს,
სულშიც გაზაფხულდეს, როგორ ძლიერ მინდა,
"როგორ დავიღალე", არ ვთქვა.

სითბოს ზიარებით ყველას მიანიჭე
ხარბად სიხარულის განცდა,
ყველას სიყვარულით გული გადაევსოს
ზიზღის, სიძულვილის ნაცვლად.

აწი, რაღა გვიჭირს, როცა შენი მოსვლით
კარი მივუხურეთ ზამთარს...
ისე გაგვილაღდეს ნეტავ, ყოველი დღე,
თავი მოგვეჩვენოს ზღაპრად.

ყველას მოგვენატრა სითბო ფერებისა,
ყველა გაგვახარე, მართლა...
შენ საწყისი ხარ ბუნების გაღვიძების,
ფერთა გაცოცხლების გზა ხარ.

****

შვილო, იძინებ ძალიან გვიან,
დილას კი გიჭირს ადგომა ადრე,
ვიცი, მობილურს ჩაშტერებიხარ
და მესიჯობით ღამეებს ათევ.

რა საუკუნის ჭირი გვეწვია,
ვეღარ ვნახულობთ მეგობრებს, და-ძმებს,
ქუჩაში, სახლში თუ სამსახურში
ისე დავდივართ, არ გვიჩანს სახე.

ცოლ-ქმარს უკარგავს ერთად ყოფნის დროს,
მშობლებს ავიწყებს საკუთარ ბავშვებს,
ბებო შვილიშვილს ვეღარ კითხულობს,
დაკავებაა ყოველთვის ხაზზე.

გამოგვაშორა ყველა ერთმანეთს,
ნამდვილ სიყვარულს წაერთვა ბაგე...
ეს უნდოდა და კიდეც მიერთვა,
ამ წუთისოფლის პატრონს და დამქცევს.

****

ქალაქის ქუჩა სავსეა ხალხით,
გზაც მანქანებს ვერ იტევს,
სუფთა ჰაერი ვერ გვისუნთქია,
გაზი გვიხუთავს ფილტვებს.

კვების რეჟიმი დარღვეულია,
რას ვჭამთ, რასა ვსვამთ ვიგებთ?!
რამდენ რამეზე ვხუჭავთ თვალებს და
პასუხებს არ ვთხოვთ კითხვებს.

სოფლის პროდუქტი რაღას შემოვა,
გლეხი გაურბის მიწებს, –"
გარე ვაჭრობა სარფიანია,
უხვად ივსება ჯიბე".

ჩვენს ჯანმრთელობას
შხამ-ქიმიკატით
ვშლით და
საფრთხეში ვიგდებთ,
ჯანსაღად კვება დეფიციტია,
ბავშვებს ვირუსებს ვკიდებთ.

მიწაზე შრომის გარეშე გვინდა,
ქვეყანა ფეხზე იდგეს,
უცხო სახლდება ჩვენს ნასახლარზე,
ვბრაზობთ და წყევლით ვიკლებთ.

ყველა ჩვენგანი დამნაშავეა,
გულგრილობას რომ ვიჩვევთ,
სიკეთეს ჯერ თავს თუ არ ვუკეთებთ,
სხვას ვერ მივხედავთ ისე.

როგორ მოითქვას ქალაქმა სული,
თუ შეღავათს არ მივცემთ,
უმუშევრობა რა სათქმელია,
სოფელი ყელს თუ გვიწევს.

სუფთა ჰაერის ღრმად ჩასუნთქებით
სულს იქ სიმშვიდით ვივსებთ,
გვერჩივნოს, ისევ ავაფუსფუსოთ
შრომით სოფლური სივრცე.

****

ღამეს ჩამორჩა მთვარე, დააგვიანდა რისთვის?!
ახლაც ფეხებს ძლივს ითრევს,
გართული შენზე ფიქრით.
ხომ ხედავ, როგორ დაგდევს
თვალები ცის და მიწის,
აღარ თქვა, სიმარტოვის,
სევდის ალებით ვიწვი.

****

ავლაპარაკდეთ,
იქნებ გასჭრას სიტყვის სიმართლემ,
იქნებ სიცრუეს ჯაჭვის პერანგს ვახევდეთ ხმებით...
უკვე ვისწავლეთ,
უმოქმედოდ როგორ გავწირეთ
სინდისის ქეჯნა, დუმილით და მოთმენის გდებით.

როცა გონებას
დაუმონებ არასწორ ფიქრებს,
საქმეებს ხედავ გულისზრახვის დასვრილი მზერით,
შენ, შეიძლება ისიც, მაგრამ რამდენი ვიცი,
რომ სუფთა გულით არც იმგზავრებს მაგ ბილწი გზებით.

დათვალეთ
თუნდაც ათასამდე,
მილიონამდე,
აუქციონზე გამზეურდით ნაძარცვი წლებით,
ზარ-ზეიმებით სუფრებს შლიდეთ ხალხის ფულებით,
ამაზრზენია…
როცა მშიერს, ყოველ წამს ვხვდებით.

ჩვენ იცით, ვინ ვართ?!
სამართალი, პატიოსნება,
ყველაზე დიდი სიყვარულის მატარებლები,
ჩვენ ისიც გვესმის, რომ მოყვასთან, თუნდაც მტერთანაც,
საქმეს ვერ ვშველით ჩხუბითა და გადამტერებით...

ავლაპარაკდეთ,
ოღონ მშვიდად,
უფლის წესებით,
ჩვენს შეცოდებებს და შეცდომებს მიხედავს, ღმერთი,
სინდისის ქეჯნით, შერიგებით დავთმოთ სიხარბე,
თუ მართლა გვტკივა, მართლა გვინდა, შენება ქვეყნის .

****

ოჰ, დედამიწავ, რამდდნ ტკივილს გათრევინებენ
მახვილის ქნევით კალთებს სისხლით როგორ გისვრიან,
შესაგონებლად სათქმელსაც არ გათქმევინებენ,
თვალებს ფერების აკრძალვებით ბინდით გითხრიან.

გულმოწყალების, სიყვარულის ცილისწამებით
გულგრილ გრძნობებში ჩაკარგულნი,
ცოდვებს იმკიან,
უძლებ სიბრმავეს თუნდაც მიტომ,
რომ ვერ ხედავდე,
ურჩი შვილები უღვთო გზებით როგორ მიდიან.

****

შენ, ჩემი გული წაიღე,
არც შემეკითხე ისე,
გაორებასთან შერჩენილს,
გზას ვერ ვუკვალავ ფიქრებს.

ისეთ დროს შემომეპარე,
სწორ პასუხს ვერ ვცემ კითხვებს,
გონებას გული კარნახობს,
ესეც ბრმასავით მისდევს.

ღმერთმა ჰქნას, სწორად ავუყვე
ჩემი ცხოვრების კიბეს,
გამიმართლებს კი? პასუხებს
ბოლო საფეხურს ვკიდებ

****

ვიცი, რა დარდებს ატარებ,
გული რად შფოთავს ამდენს,
რომ შენი სახლის გარემოს
ვეღარ ახარჯებ, ძალებს.

ყველას ნატრულობ, ემდური
ამ დროს, შვილებს რომ გართმევს,
მიკედლებულხარ ფიქრებით
ღამეებს, ცრემლში ნათევს.

შვილიშვილების შეხება
გინდა, რომ ნამდვილს გავდეს,
ტირი მეუღლეს, საფლავზე
ერთი ვარდიც ვერ დარგე.

წლებმა დაგღალა, ქალობას,
ვაჟკაცის როლებს არგებ,
გზა და ხიდი ხარ შვილების,
შენ უშვებ გემზე აფრებს.

რა გითხრა, რით განუგეშო,
დარდი ვერაფერს გვარგებს,
იქნებ გვეღირსოს და ჩვენი
სახლში ყოფნის დროც დადგეს.

****

სიბერე ტირანია,
გაძულებს არსებობას,
გულმავიწყობას უნებურად წლებისას გაჩვევს,
თვითმართველობის
გამძლეობას
სხეულს უკარგავს,
თვალებში გიგდებს მათხოვრულად სინათლის ნარჩენს.

გადაღლილ გულთან
მიტოვებულ ოცნებებს ფანტავს,
წლების გაცვეთის საზღაურად გიკავებს ძალებს,
დაუძლურებულ,
მობუზღუნე ბებერ სხეულთან,
სიკვდილს სტუმრობის და დარჩენის უფლებას აძლევს.

******

ფიქრებო,
წადით, მომშორდით,
ნუ ამატკიეთ თავი,
შვების მომცემი რომ იყოთ,
გეტყოდით კარგით, დარჩით.

მზაკვრებს, ბოროტებს მიხედეთ,
გამოაფხიზლეთ დარდით,
იმდენ სიავეს სჩადიან,
მათ რიცხვებს ვეღარ დათვლი.

სამტროდ არ გიშვებთ
სიკეთის, სინდისის ალით დაწვით.
მერე მოდით და გისტუმრებთ,
როგორც სიამის ნაწილს.

****

ღამემ ჩაიცვა თეთრი სამოსი,
დილას გადაჰყვა სევდა დაისის,
კვლავ თავს მახსენებს ბოლო ამბორი,
გული რასაც გრძნობს, კიდევ არ იცი.

სიშორე სუნთქავს არდავიწყებით,
გარდაცვალების შიში აქვს ღიმილს,
უშენობისგან დაცლილი წლების
სიცოცხლე, იცი რა ტანჯვად მიღირს?! .

მარტოსულობის გრძნობით გატეხილ
წუთებს, მე დღესაც ლოდინში ვითვლი...
ოცნებად დარჩა ისე გვეცხოვრა,
რომ ჩვენს სიყვარულს რქმეოდა მითი.

****

მძიმე ნაბიჯით მივყვები აღმართს,
ვარსკვლავთა ცვენა ვერ მითვლის წადილს,
გული ბოლთას სცემს, სევდით ივსება,
სულო დაწყნარდი, ნუ გამიმწარდი.
ქარი ალერსით თმებში მიძვრება,
არ სიამოვნებს დუმილი ღამის,
ფოთლების ჩურჩულს უკან მადევნებს,
წავაო, ცრემლებს წერაში დაღვრის.
მე ჩემს ტკივილებს ვესაუბრები,
ვაწყნარებ, როცა მიკივის გაბმით,
სინამდვილეში დარდს ასეც ვძირავ,
თუ არა, ისე, სულს ამომაცლის.

მარინა იმნაიშვილი

ბროლის ქალაქი

აი, ერთ დღესაც გამოვიღვიძე
და აღმოვჩნდი მარტო
დამფრთხალი და შეშინებული,
დავბორიალობ ბროლის ქალაქში,
ბროლის სახლებსა და
ბროლისგულიან მეგობრებს შორის,
თვალებით ვაწყდები შუშისფერ მზერას
და შეძრწუნებას ვაშტერდები დაღებულ ხახაში,
ყველგან ჯართად ყრია
გაყინული სიკეთე,
გაყინული მეგობრობა და სიყვარული.
ღმერთო, ძლიერო, ნუთუ ეს ჩემი ქალაქია,
ნუთუ ეს ჩემი სამშობლოა
ასე გამოხრული ძვალივით დაგდებული;
დავბორიალობ და
თავგზააბნეული დავეძებ დაკარგულ
სითბოსა და სიმართლეს,
თუმცა არც კი ვიცი, სად ვეძებო,
მაინც ბოდვაშეპყრობილი ხმით გავძახი:
,,მოვდივარ, ჩემო მთებო და ველებო,
კალმახა მდინარეებო,
ტყეებო და ზვრებო,
ჩემო ,,იავ-ნანავ'' და აკვანო,
ოცნებისფერო კოშკებო,
ჩემო დეევებო და შვლის ნუკრნო,
ბროლის კოშკში გამომწყვდეულო ნზეთუნახავებო,
ცოტაც მაცადეთ და ოღონდაც თქვენ არ მომიკვდეთ -
მეც არ მოვკვდები,
მოვძებნი ჯადოსნურ ჯოხს თუ სალამურს,
და, მერე, ჰეი! -ისევ ერთად გამოვიღვიძებთ,
ვიმღერებთ ,,ლილეოს'',
მერე ყველაფერ ამას ვნახავთ სიზმარში
და შეგვაჟრჟოლებს.
დავბორიალობ ბროლის ქალაქში-დავეძებ ქალაქს,
მეგობრებს-მეგობრებს შორის,
დაკარგულ სამშობლოს და
ჯადოსნურ ჯოხს...

დღესასწაული

განგება თავის ნებას ატარებს,
მბრძანებლობს, როგორც გაუხარდება,
ხან გაგინათებს გზას დაბნელებულს,
ხან უღრან ბილიკს დაგიღამდება.

თუ ჭაობ-მორევს გამოგაცურებს,
ზიხარ ნაპირზე გზაარეული,
სულში გიძვრება ასი ალქაჯი,
ათასი ჯურის ეშმაკეული.

გრძნობ, როგორ გიმზერს თვალი უჩინი,
როგორ ასრულებ უცხო რიტუალს,
იშორებ ლელქაშს მონანიებულს,
იმას, რაც სულმა ვერ შეიგუა.

მერე შიშვლდები ხორცით და სიღრმით,
სარკე ირეკლავს შვებას და ნათელს,
შეაღებ ტაძარს შენად აგებულს,
მონანიების აანთებ სანთელს.

და დგება ჟამი დღესასწაულის,
კვლავ რომ მაღლდები ლაჟვარდ ზეცისად.
შორს რჩება ჩქამი მითქმა-მოთქმების
და იდგამ გვირგვინს გამარჯვებისა ...

მარტის ეტიუდი

სევდის ბაღში
თოვლი ბარდნის,
დარობს დარდი,
მოდის მარტი,
ფიქრებიდან ამოვარდნილ
ქარაშოტებს შევუყვარდი.
კარვებს გაშლის შლეგი მარტი,
ქარიშხლიან სიზმრებს აშლის,
არ მექნება დარდი დარდის
თუ ამ დარდებს გავუმკლავდი.
მერე თეთრი გაზაფხულით
ღამე წავა დაზაფრული,
და მგზნებარე ცელქი მარშით
გაიზმორებს გარიჟრაჟი.

და სცივათ ლექსებს

ლექსები ჩემი სულის ფრინველებია
და სცივათ ლექსებს ჩემი ფანჯრის წინ გაყინულ
მავთულებზე
და იბუზებიან,
კიდევ ერთ გაუსაძლის ზამთარს ეგებებიან
ჩემთან ერთად,
შიათ და სწყურიათ კაცთა ნაშრომი ბარაქით
გადავსებული არემარე,
ვეღარ ჟღურტულებენ სიხარულით,
ერთდროს მათი მოამაგენი
გაუმთბარ და სევდით დამძიმებულ სხეულებს
ძლივს დაათრევენ უღიმღამო ქუჩებში,
ჩიტების დარდი სადღა აქვთ, ახლობელ-
ნათესავების ჭირ-ვარამსაც კი ვეღარ
ითავისებენ.
და სტკივათ ლექსებს უგუნურება, ღალატი და
მტრობა,
და სტკივათ ლექსებს, რომ კაცნი თავად არიან
თავიანთი უბედური ყოფის სათავე,
და ეშინიათ, თუ დროზე გონს არ მოეგებიან,
ვამპირების ბინძურ სადგომად გადაიქცევა ეს
დ ე დ ა მიწა,
ჩემი ლექსები უხმოდ და უცრემლოდ ტირიან,
მხოლოდ გულის მოსაოხებლად,
ვის შეუძლია მათი მოსმენა,
ბრმა-ყრუებითაა სავსე ქვეყანა,
უთავბოლო კივილ-ყვირილითა და
თვალებში ნაცრის შეყრით
დააყრუეს და დააბრმავეს ადამიანებმა
ერთმანეთი,
ახალი კი არა, ძველი საგანძურებიც ოხრად
დარჩება
ვის? – კაცმა არ იცის...
და მარადიული მტვრის წასაყრელადაა
ყოველივე განწირული...
და მაინც,
ლექსები ჩემი სულის ფრინველებია:
ბეღურები და მოლაღურები, არწივები და ორბ-
შევარდნები...
ნაირფერებს და ნაირბუნებოვნებს
სათითაოდ გამოვათბობ გულის უბეში,
გაზაფხულს მოვუყვან და
შევაფრენ ლაღებს სულ სხვადასხვა
სიმაღლეებზე.

გაბაასება შექსპირთან

ოთხასი წელი ცოტააო? ასეა ალბათ...
აღორძინების გზაზე შემდგარ კაცობრიობას
აღარ ეღირსა წარმატება და ფეხზე დგომა,
ისევ ბეცია, კვლავ ლუღლუღებს, ფორთხვით მიღოღავს,
კვლავ ჩვილი ბავშვის უმეცრებით აცეცებს ხელებს,
სინათლეშია, მაგრამ ღამის კოშმარებს ებრძვის,
ძვირფასო უილი, შენი სიბრძნე სცენებს ეფრქვევა,
ტაშით გაცილებს წლიდან წლამდე ერი და ბერი,
მაგრამ სად ქრება ოვაცია, სად იკარგება?
თეატრის კარი იხურება, უკან გვიხმობენ,
უბადრუკ ტყავებს ვუბრუნდებით უბადრუკ სულით
და განახლების დღესასწაულს ზღაპარში ვტოვებთ...
საკვირველია, გაკვეთილებს ვერ ვსწავლობთ, ვერა,
სიმართლე ისევ სისულელედ ითვლება ახლა,
ისევ უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
სიცრუეს კვლავაც არ ემჩნევა რიდი და დაღლა,
სიკეთე ისევ ბოროტების მარადი ტყვეა,
ოთხასი წელი ცოტააო?-ჰოდა, ათასი
ჰამლეტი უნდა დაიბადოს? ათასჯერ მოკვდეს?
რომ გაიფურჩქნოს სათნოება, სული ხალასი?
მხიარულ ყმაწვილს ამა სოფლის ჭმუნვამ და რბოლამ
მაინც ჩაგაცვა სევდის ძაძა, სევდის ეკალი,
ეგ გული გრძნობდა,
ბოლო გზა ყველა,
ბოლო ლექსი,
ყოფნა-არყოფნა,
ამაოა და ...
სულ ეგ არი?

თამრო სვანი-ნიჟარაძე

ღმერთო

არ გეკუთვნის და მაინც გულს გტკენენ,
უნდათ რომ მოკვდე, გული გაგისკდეს,
ითმენ და მაინც სიტყვებით გსერენ,
ჩემს მტერს უფალო, ხელი ჩაკიდე.
ვლოცულობ ღმერთო,
მისთვის ვლოცულობ,
მისი სულიდან ეშმა გავდევნო,
ან ბრმაც გამხდარა, ანდა მაცდურობს,
იქნებ უფალო თვალი ადევნო.
მე ვაპატიებ ვიცი რადგანაც,
ჯოჯოხეთშია მისი ადგილი,
ვითბენ და პასუხს, ვაძლევ ამგვარად,
რადგან მახურავს წმინდა მანდილი!

როგორ მიმნდა

როგორ მინდა სიყვარული, იყოს მუდამ გულებში,
არც არასდროს იცვლებოდეს, არც ვიწვევდეთ დუელში.
სიყვარული იყოს მუდამ ყველაფერზე ძლიერი,
არასოდეს არ დაბერდეს და არ იყოს ხნიერი.
სიყვარული ძალა არის, მადლი არის ღვთიური,
ის მუდამ შენში არის, არის მარადიული.

* * *

ნახეთ როგორ მემტერება
თეთრი ფიფქის ფანტელი,
და ამიტომ, საქართველოვ,
მით არა ვარ ჯანმრთელი.
სამშობლოში სხვანაირად
სხვა ფიფქები თოვს,
მაგრამ მე აქ ვეფერები
სხვა ფერების თოვს.

* * *

სვანეთის მთებში გაზრდილი
ვერ ვეგუები ევროპას,
თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ
აქ სუნთქვა როგორ მეკვრება,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენზე ოცნებით ვათენებ,
აქ სხვის მთებს როგორ ვუყურო,
ვერ შევადარებ ვერაფერს,
ჩემო მშობელო უშგულო!!!



საქართველო

ჩემო ერო და ბერო,
ჩემო ქართველებო,
მზის კაბა უნდა ვკერო,
მზეთა ნაფერებო.
ჩვენ სიყვარული შეგვიძლია,
ჩვენს გულში ღმერთი სახლობს,
ბრძოლებში გაგვიძლია და...
მტერო, ხელი არ გვახლო!

სვანეთო

მემაყები ჩემო სვანეთო,
და მონატრება გულს მიჟრიალებს,
მინდა ლამპარად გულში დაგენთო,
სიმღერას შენთვის ავაწკრიალებ.
მიყვარს ამაყი დიდი კოშკები,
ყველა კოშკისგან, განსხვავებული,
მად დიდი მთების, გულის მოყვრები,
არის ბუნებით აყვავებული.
ვნატრობ მიწაზე ფეხი დავადგა,
ლამარია და ადგილო წმინდა
მოვალ თუ ჩემში კვლავ არ გაავდრდა,
მად დავიმარხო სვანეთო მინდა.

არასდროს

არასდროს არა თქვა ვერ შევძლებ,
რას შეძლებ, უფალმა იცის ....
გზას ის გიჩვენებს, ნუ ეძებ,
შენს თავთან არ დადო ფიცი.
ვერც ეკალბარდებს აცდები,
ვერც ვარდს უეკლოდ, მოკრიფავ
არ დაიტვირთო განცდებით,
ბედი თავისით მოფრინავს!

* * *

როგორ მინდა სიყვარული
არასოდეს ქრებოდეს,
არც არასდროს იცვლებოდეს
არც არასდროს კვდებოდეს,
მუდამ ქუხდეს და უძლებდეს
წყენას ტკივილს გასაჭირს,
ჩვეულ რითმით აგრძელებდეს
გრძნობა ჯაჭვსაც გადაჭრის,
წასვლა კი არ დააპიროს,
შენთან დარჩეს ბოლომდე,
სიყვარულო სულ ბოლომდე
სიკვდილამდე მყოლოდე.
მაგრამ ნამდვილ სიყვარულშიც
შეცდომები ბევრია,
როცა მიდის მერე ვხვდებით
განშორება ძნელია.
როცა გიყვარს ლამაზი ხარ,
როცა გიყვარს მდიდარი,
როცა კარგავ ამ სიყვარულს
არ ხარ პირმომცინარი,
ჩუმად ცრემლსაც მოიწმენდ
და ღამეს თეთრად გაათევ,
როგორ მინდა სიყვარულო!!!

როცა

როცა სამშობლოს ჩამოუქროლებ,
როცა ჩავისუნთქავ მთის ჟანგბადს,
მაშინ მოგეფერები სუყველას,
სანშობლოში რომ ფეხს დავდგავ.

* * *

ბავშვობიდან მახსოვს ეთო,
შენი სათნო სახე,
მარტო იჯექ შხარის ძირას
და ფიქრს გაეტაცე,
მე მეგონა არ გინდოდა
ჩემთან ერთად თამაში,
თურმე პოეტურ ნიჭს ყავდი
შეპყრობილი კამათში,
იჯექ ჩუმად, ალბათ, წერდი
შენი გულის ნადებს,
მე ძალიან გვიან მივხვდი
რად იჯექი მარტო,
შენ გულს შენ სულს ვენაცვალე
ჩემო გულის ვარდო,
სიკეთისთვის დაბადებულს
მინდა გული განდო.

მცივა ძალიან მცივა

ნეტავ ამიხდეს ნატვრა,
რომ ჩავეხუტო მთაბარს,
მიმატოვაო, არ თქვათ,
მოსაფერებლად მზად ვარ.
მსურს მთების ძირში დავჯდე,
ჩუმი დარდები ვუთხრა,
დარდი სულ ყველგან დამდევს,
გულს მონატრება ფუფქავს.
მთებო, ვიცი რომ მომისმენთ,
აქ უთქვენობა მტანჯავს,
რომ მენატრები კარგო,
ფიქრის აბჯარი გჯაჭვავს!

* * *

წამოდი წავიდეთ გავცილდეთ სიძულვილს,
წავიდეთ იქ სადაც სიყვარულია,
გულში ჩაკრული ისე გატარებ
ცივ ნიავსაც კი არ მოგაკარებ,
სადაც შენ გინდა მე იქ წაგიყვან,
სიყვარულისთვის თავსაც გადავდებ,
წამოდი წავიდეთ გავცილდეთ სიძულვილს,
სიყვარული ხომ ყველას ჯობია,
გავექცეთ სიძულვილს, გავყვეთ სიყვარულს,
იქ ხომ თავისუფლება და სიხარულია.

სვანეთის მთაში

მანდ გავიზარდე სვანეთის მთებო,
მანდ მიმღერიდნენ ნანას,
ახლა ეს გული რიღათი ვკვებო,
აქ ვსწავლობ, სხვის ანაბანას.
ხელი ჩამკიდე, კვლავ ჩემო უშგულ,
გამოგყვები და ვივლი შენი გზით,
მოვეფერები ვენახს და ზენას,
მტკივა და ტკივილს მიტომ გიყვები.
მთებო, დამღალა ეკლიან გზებმა,
კი არ ვწუწუნებ შენს გზას დავეძებ,
შენთან მეგულვის ამ სულის შვება,
აქ ვეფერები შენს გრძელ განედებს.
ვეძებ სიყვარულს, სითბოს, სიკეთეს,
ხალხის გულების სითბო მწყურია,
ვიცი რომ ამ გულს გამომიკეთებ,
ნუ იტყვი ჩემზე სადაურია.

ჩემზე ნუ იტყვით

ჩემზე ნუ იყვით ევროპელობას,
არ დამიფარავს მე სხვისი ქუდი...
ფიქრსაც არ მივცემ იმის მცდელობას
და არ ვიქნები არასდროს ქურდი.
გულის შიგნით მაქვს, ნატვრა ჩაფლული,
არ გარდვიცვალო, სხვა ქვეყანაში...
მე ვარ ქართველი, უფლის ნათლული
და სული ჩემი არის ჯამრთელი.
ახლა აქა ვარ უცხო მიწაზე,
ფიქრით თქვენთან ვარ, მუდამ შვილებო,
მე მხოლდ ჩემი, ჩემი ვიწამე...
თქვენ მენატრებით მამიშვილებო.

* * *

შენ თავისუფალი ხარ მშვიდობის მტრედივით,
იღუღუნე სადაც გინდა,
მუდამ გახსოვდეს შენ სულ დაგყვება,
ჩემი ლოცვა და კურთხევა ღვთისა.
შენ ძალიან შორსა ხარ მე კი ახლოს ვარ,
ლანდად დაგყვები სადაც დადიხარ
მე სულ დაგიცავ და სულ ვილოცებ
ვილოცებ შენზე ასე შორიდან!!!

საქართველოს გული

საქართველოს გულის კვნესას,
ვერ გაუძლებ ალბათ,
შველას ვითხოვ უფლისაგან,
სულ მწირ სითბოს აბად...
სატანებო, არ შეგრჩებათ,
სიხბიერე ჩვენში,
საქართველოს მიწას ტკივა,
ღალატობთ და კვნესის.
არ შეგრჩებათ, ღვთსშობელი
დაიფარავს ქართველს....
მე, ვიხილავ ხო, ვიხილავ,
საქართველოს ჯამრთელს!

მირზა ვარძუკაშვილი

❤ ❤ ❤

დრო მოვა ყველა წარვსდგებით,
უფალთან ჩვენივ სულითა.
ძალმომრეობით ტყუილს ნუ,
ვაქცევთ სიმართლედ გულისა.

კაცთ წინ თავ მოწონებული,
საძულველია უფლისა.
მტყუანის ძალით გამმართლებს,
ძალად მიიჩნევს ნურვინა.

იქ გაუქრება ძალები,
დაჰკარგავს ყველა სურვილსა.
მიუსხდებიან ქობ კერას,
დაფნა ჩონგურით ზურნითა.

ამოურევენ ავ სულებს,
სახე შეფაკლულ ჭმუნვითა.
დაიმკვიდრებენ იქ ადგილს,
საცა ვერ იკლვენ წყურვილსა.

დაფიქრებაა საჭირო,
რად ვჰკარგავთ ადგილს მუდმივსა.
ვსაჯათ რწმენისა სიმართლით,
არა ძალით და ურვითა.

დაჩაგრულს ხედავს უფალი,
მის ცრემლს და წუხილს გულისა.
ძალმომრეობა იქ ძალად,
ნუ ეგონება ნურვისა.

ძალით სიმართლის მდგენელი,
სარკოფაგია შურისა.
თავმაღლეობით ის ფიქრობს,
სიმდიდრესა ჰფლობს ცურვილსა.

ნურავის ნუ მოუწონებთ,
ასეთს სიმართლეს შიშითა.
ეს უკვე მლიქვნელობაა,
ხდის კაცს უფლისად უღირსსა.

ა ღ ს ა რ ე ბ ა

ვსცოდე მოძღვარო, გულზე მაწევს რამდენი ცოდვა.
ჯერთ კიდევ გუშინ დავსცინოდი ჩემნაირ გლახაკს.
ქუჩაში მშიერს ჩაუარე ხურდა არ მივეც,
განვიკითხავდი ჩემს ფიქრებში საკუთარ ძმაკაცს.

კიდეც ვილოთე, რამდენი დრო დავკარგე ასე.
თამბაქოს კვამლსაც გავაყოლე რამდენჯერ მზერა.
ლოცვის ჟამს ფიქრით მომივლია მთელი სამყარო,
მერამდენეჯერ დავარღვიე ღვთის ათი მცნება.

დილას მწყურვალსაც ჭიქა წყალი არ მივაწოდე,
არ მიფიქრია წაქცეულსაც რომ უნდა შველა
რამდენჯერ ტაძარს აუარე გვერდი შორიდან,
ფიქრით წირვის ჟამს სათნოებაც დავკარგე ყველა.

რაც კი რამ ცოდვა ქვეყნად არის ყველა ჩემშია,
საქმით თუ არა ფიქრით მაინც ყველა შევსცოდე
იმ იმედით რომ ყველა ცოდვილს აქვს მომავალი,
მეც გთხოვ მოძღვარო ყველა ცოდვა გულით შემინდე.

ექვსი თექვსმეტი თებერვალი...2..17.....

რა დამავიწყებს იმ თვეს ნაკიანს,
როცა პატარძლად გმოსავდა მთვარე.
ეს ხომ ის დღეა შენი ქორწილის,
მე რომ ამ ქვეყნით გარდავიცვალე.

შენ კი ცეკვავდი თავ გამეტებით,
მე ცრემლს მაბნევდა ბუნება მწარეს.
შენ იმედებით აღსავსე ხვალის,
მე მდუმარება მითევდა ღამეს.

შენ ყანწით ხელში მეფე გლოცავდა,
ბედნიერების ითვლიდი წამებს.
მე მკვდარს გამათბობს თუ კი ჩამესმა,
ჩემს გამო ცრემლმა გიელვა თვალზე.

იქით დაგლოცავ კეთილად იყავ,
იმედით სავსე გქონოდეს ხვალე.
აბა ახლა კი მშვიდობით ქალო,
მე გრძელი გზა მაქვს, შენ შენი განვლე.

მე მადლიერი მივალ უფლისა,
სიყვარულისთვის სიცოცხლე დავთმე.
მაშინ როდესაც მხიარულობდი,
მე სასაფლაოს მიღებდნენ კარებს.

❤ ❤ ❤

მოილოგინებს მშობიარე ეს დეკემბერი,
მივა მშვიდობით და დაბადებს წელიწადს ახალს.
ნეტავი ღმერთო იღბლიანი იყოს ჯანმრთელი,
რომ სიხარულის მიანიჭოს სულყველას განცდა.

ბედნიერება მოეტანოს და სიყვარული,
ყველას ოჯახში ეღუღუნოს სილაღით ბავშვსა.
დედას ემღეროს იავნანა ნანაო ჩემო,
ნუღარ გავიგებ და მანახვებ დარდიან თვალსა.

დაუქორწინებთ ლაღი ბედი კარგი იღბალი,
ხვავი ბარაქა არ მოშლოდეს არავის სახლსა.
მე თქვენ მიყვარხართ მიხარიხართ დამილოცნიხართ,
ნურვის განახვებთ დამდეგიდან უფალი ავსა.

❤ ❤ ❤

მოილოგინებს მშობიარე ეს დეკემბერი,
მივა მშვიდობით და დაბადებს წელიწადს ახალს.
ნეტავი ღმერთო იღბლიანი იყოს ჯანმრთელი,
რომ სიხარულის მიანიჭოს სულყველას განცდა.

ბედნიერება მოეტანოს და სიყვარული,
ყველას ოჯახში ეღუღუნოს სილაღით ბავშვსა.
დედას ემღეროს იავნანა ნანაო ჩემო,
ნუღარ გავიგებ და მანახვებ დარდიან თვალსა.

დაუქორწინებთ ლაღი ბედი კარგი იღბალი,
ხვავი ბარაქა არ მოშლოდეს არავის სახლსა.
მე თქვენ მიყვარხართ მიხარიხართ დამილოცნიხართ,
ნურვის განახვებთ დამდეგიდან უფალი ავსა.

❤ ❤ ❤

ზამთარი მხიბლავს სიცივე თოვლი,
რადგან გათოშილს ვერავინ მამჩნევს.
გაზაფხულს მიყვარს მე წვიმის თქეში,
ჩემს თვალზე ცრემლს რომ ვერავინ არჩევს.

ზაფხულში სიცხე მშვენება ყვავილთ,
 ჩემს სიხარულს რომ ვერავინ აღწერს,
მიყვარს შემოდგომა ნაირფერი,
სულის ლოცვა რომ ღმერთამდე აღწევს.

სარკეში მიყვარს ყურება თავის,
რადგან ფეხზე მდგომს არასდროს დამცემს.
უფალო ძეო ხვთისაო ქრისტე,
მიწყალე ცოდვილს სულ ვამბობ ასე.

თავის უფლება

თავის უფლება რა არის,
ვის როგორ ესმის ნეტავი?
თავის უფალი მაშინ ხარ,
ხელთ რომ გიპყრია ვნებანი.

შენში რომ ებრძვი სიავეს,
უფლის ხარ მონა მხევალი.
ენას, ფიქრს, რომ დააოკებ,
სულით რომ გახდე ნეტარი.

თავის უფლება ესაა,
არა ცოდვის ზღვა მღელვარი,
რაც გინდა შენ ის აკეთა,
ცოდვების იყო მკვესავი.

შენ თუ თავს ნება მიეცი,
ენას, ფიქრს, ქცევებს, ყველაფრის.
თავის უფალი კი არა,
მონა ხარ ეშმას მძევალი.

თავის უფალი არაა,
რწმენის მგმობი, და მწყევარი.
თავის უფალი გახდები,
თუ კი ხარ ძე ხვთის მხედარი.

დამაბრკოლებლად თუ იქეც,
და შეჰქმენ ცოდვის კერანი.
მაშ აზრი თავის უფლების,
არ გამოითქმის ჩვენდამი.

სიბილწის გროვად თუ იქეც,
სხვის ბაძვით გაჰხე მყეფარი.
თავის უფლების ეს მცნება,
მაშ ვერ გვიცვნია ღმერთმანი.

ცოდვებთან მებრძოლი არის,
თავის უფლების მძერწავი.
მე ასე ვფიქრობ რა ვიცი,
ვის როგორ ესმის ეს მრწამსი.

ჩვენ უცხო არ გვყავს მტერი ამ ქვეყნად.

მტერს შორს ნუ ვეძებთ აქვეა,
მუდამ თან გვდევენ ფიქრებში.
შური და ამპარტავნება,
ესაა მტრობის მიზეზი.

ღალატი თავმომწონება,
ესა გვაქვს ქართველთ სისხლ გენში.
უშრომელობით ბზუილი,
ყურება მუდამ სხვის ხელში.

პირჯვრის დასახვა არ გვინდა,
ვფიქრობთ ხომ არვინ გვიცქერის.
მტერს სხვის ქცევებში დავეძებთ,
თვალში კი გვჩრია დირესვით,

თავმაღლეობით გაუხდა,
ანგელოზს ღმერთი მრისხველი.
მის მერე იქცა კაცთ მტერად,
ახლა ქვესკნელში იმღერის.

ჩვენივ ფიქრები დავწმინდათ,
იქნებ როგორმე ხვთის ნებით.
კაცთ მოდგმის მტერს თუ ვეუფლეთ,
დაუმარცხებნი ვიქნებით.

რაც გვჩაგრავს თვალით უხილვად,
იმას ვებრძოლათ წინსწრებით.
ვნებებზე თუ გავიმარჯვებთ,
უფლის მხედრობად ვიქცევით.

აი ამას თუ მივაღწევთ,
ვერცვინ დოგჩაგრავს გპირდებით.
მაშინ აღსდგება ქვეყანაც,
ქართველთ დავითის დიდებით.

❤ ❤ ❤

როგორც მზე მთვარეს ცა უყვართ,
ისე მე მშობელ ადგილნი.
ახლა თუ წყვდიადს გავდივართ,
მოვა ჩვენშიაც აპრილი.

აყვავდებიან ქართლისაც,
ბაღში ვარდები მაისის.
წყვდიადს მზე შესცვლის ნათება,
ქართული სულის აისის.

შეასრულებენ ქართველნი,
საღვთო გალობას ხალისით.
შეუყვარდება ძმას ძმა და,
მშრომელს ხარ უღელ სახნისი.

სირცხვილად გამოუჩნდება,
ხალხს უშრომლობა კაცისი.
დააფასებენ სინდისსა,
და ნამუსს მანდილს ქალისი.

დადგება ეს დრო დადგება,
ღრმადა მწამს გულში ამისი.
დაუბრუნდება გასული,
შვილი კერიას პაპისი.

აღდგება ქართლის საზღვარნი,
როს იყო მეფე დავითის.
და გამეფდება ჩვენშიაც,
ხვთის სიყვარული ნამდვილი.

❤ ❤ ❤

უკვე მაშინებს ის გრძნობა,
ყველასგან მძიმედ განცდილი.
ვარიდებ თვალს სილამაზეს,
ცუდად მაქვს ხილვა დაცდილი.

აღარ მსურს ველად გაზრდილი,
ხელში დამიჭკნეს ყვავილი.

ერთს ვანაცვალე სიცოცხლე
დავრჩი ხორცს სულით გაყრილი.

მიყვარდეს? უნდა მიყვარდეს,
უსიყვარულოდ არც ვივლი.
თუ სულის ვიგრძენ სურნელი,
გინდ მოვკვდე არც წასვლას ვჩივი.

❤ ❤ ❤

სულ ისე ვცდილობ მაქცევას,
როგორც თვითონ მსურს მომექცნენ.
ძალით რადა სურს კაცთ მოდგმას,
რომ ხვთის სამართალს მოესწრნენ?

ბოროტთან სცდილობ სიკეთეს,
სულელად წარმოგაჩენენ.
თვალში გაყრიან ნაცარსა,
ფიქრობენ რამეს გავნებენ.

გიყვარს და არვინ გპატიობს,
ალესილ ხანჯლით მოგსდევენ.
წახოლ და გუბეებს სდგამენ,
ცრემლებით მოთქმას მოსდევენ.

არ ვთქვა ფლიდობის უთუოდ,
სიმართლე არ მომასვენებს.
ასეა თუ სიკეთე გსურს,
მოშორდი ქრისტეს ჯვარმცმელებს.

❤ ❤ ❤

გულსავსე მთვარე ლივლივებს,
ზღვა ცაზე ცურვით დაღლილი.
უსიყვარულოდ თავს იხრჩობს,
იფიქრებ პატივ აყრილი.

აღარც წინ მიდის გაქვავდა,
ერთ ადგილს ღალატ განცდილი.
თენებას ელის მაშველსა?
თითქოსდა არც მაგას ჩივის.

ლამაზი კია ვაჟკაცი,
პირბადრი გრძნობა აშლილი.
თუნდაც რომ შთანთქას ცის ტალღამ,
მზადაა იღბალს არ სტირის.

ერთხელ ხომ მაინც უყვარდა,
მზის ოქროსფერი მანდილი.
იმან იჯავრას ვინც კვდება,
უსიყვარულოდ დაჭრილი.

❤ ❤ ❤

ქალს სიყვარული ვერ ვამცენ,
ამ ავადმყოფი გულისა.
ეგ არაფერი ჰფარავდეს,
მას მადლი ჩვენი უფლისა.

ეტყობა მე რამ დავაკალ,
ფული ან ვერცხლი სურვილსა.
მადლიერი ვარ ყველასი,
ვინც მიცანთ ლექსში სულითა.

სტროფებს გავანდე ტკივილი,
უწყლოდ ლექსით ვკლავ წყურვილსა.
ჯოჯოხეთი მაქ განცდილი,
გადამრჩალი ვარ სიკვდილსა.

მივსდევ ნებაზე ცხოვრებას,
სიკეთით ვავსებ ხურჯინსა.
მადლობა ღმერთს ბზედ არ ვიქეც,
ამოსაწველად ბუხრისა.

❤ ❤ ❤

ვერრით მომარგო ცხოვრებამ,
როლზე ნიღაბი თავისი.
ვერცა არქიპოდ ვერ ვიქეც,
ვერც ასინეთად რამისთვის.

რაც გავჩნდი დღემდე ის მოვე,
არც შავცვლი რამეს ხვალისთვის.
გულში ღალატი არ მიდევს,
არც სიბოროტე არ ვიცი.

ვერა ვქმნი სინდის ნამუსსა,
სამარხად მე საფლავისთვის.
გულიც სავსე მაქ გრძნობითა,
საკმარად ჩემი ხალხისთვის.

ვერ ვჰკადრებ აფერისტობას,
უფალს თავს ვერარაისთვის.
უნიღბოდ გავალ ამ ქვეყნით,
დრო რომ მოვალის მაგისი.

ლიანა კაკუბავა

*** *** **

თალხისფერი კაბა მეცვა იმ დღეს,
გვირილები დავიბნიე თმაზე.
შენ გელოდი, ვერ გპატიობ დღესაც
დაუნდობლად, რომ გამცვალე სხვაზე.

კენჭმორეულს მივუყვები ნაპირს,
ნაბიჯები ამრეოდა თვლაზე.
ელვასავით გაიელვე წამში,
ატლასივით მომეფინე ტანზე.

მდუმარებით შემოსილი გული,
ბუტბუტებდა ამოუცნობ ხმაზე.
აკვნესებდა ტკივილიან ლექსებს
ცეცხლმოდებულ სიყვარულის ხსნაზე.

მეც დაისივით, მინდა დავაკვდე.

***** **** *****

დღეს ავშარ ქარებსაც გადავუდგები,
მთებს გადმოვაწვენ ჩემი ზღვის პირას.
ოქროსფრად მბზინავ, ხუჭუჭა თმებში
ჩავუწნავ კოცნას მკერდსავსე ცირას.

დღეს რითმებს, მჯერა, მუზა გალექსავს.
გალღვება გული, დრო– გამოჭმული,
თვალებს ცრემლები დასცვივათ, ვიცი,
ბოლო წვეთამდე გამოწურული.

დღეს ყვავილებსაც გამოვიგონებ.
რაც დაიტოვა, მაისს წავართმევ
და ამ სუსხიან, შემოდგომის დღეს
მეც დაისივით, მინდა დავაკვდე.

ჩემს დედოფლად დაგსვამ.

****** ***** *******

ქვანაყარი ბილიკებით ფეხშიშველა ვივლი,
ხეივნების გავლით-კარგო, გორაკებზე ავალ.
გადავთქორავ ვეშაპივით ზღვის მოქუფრულ ტალღებს...
და კლდის ქიმებს გამოვტაცებ მზის ნაფერებ დალალს.

მთის მწერვალებს ავადევნებ, ხოხობივით მზერას,
მკერდმოქარგულ ჭალაკებით გზებსაც დაგისერავ,
მერე , ერთი გამოხედვა გაიმეტე ვარდო,
ცეცხლისფერად მოლაპლაპე, მთვარის შუქს მსურს ვანდო.

თეთრი ფერის მტრედს გავატან ოცნებების ბარათს.
ჩემი სულის აღმაფრენას, შენზე ფიქრში ვსახავ..
ბაღში დავკრეფ ყვავილებს და გვირგვინს ჩემით დავწნავ,
"ლეანდრას კოშკს" აგიგებ და ჩემს დედოფლად დაგსვამ.

დამიგვიანდა მოყოლა.

***** ****** ******

უჰ, რა ლამაზად მოთოვა,
დამიგვიანდა მოყოლა.
ქარი მოვარდა ჩხრიალით
ქორივით გადამიქროლა.
დამიფრთხო ვალსი ფიფქებთან,
ოცნებებს გადააყოლა...
უჰ, რა ლამაზად მოთოვა,
დამიგვიანდა მოყოლა.

ჩემთვის ძვირფასო, ყველაფერია.

******* ***** *****

გადაიბადრა მიდამო თეთრად,
შვენის სითეთრე ტანკენარ ატამს.
თვალი ჩაუკრა ბროწეულს გვერდით,
ღიმილს თანდათან კოცნასაც ატანს.

ბუზღუნებს ქარი, ჩამოაბერტყა
ფუმფულა თოვლი ნაძვებს ტოტებზე.
აუტეხიათ ჭღრიალ-წკრიალი,
დავეპატიჟე ფრთოსნებს კონცერტზე.

ფიფქები ხეებს ფუთავენ თითქოს,
წვერთან ციალი, სხივის ფათურობს.
ცეცხლი ედება გულში ნაღვერდალს
და აალება გულში მატულობს.

ცა შემატოვებს, შეატკბობს ფერებს,
"ჩემი ფიქრებიც", ხომ ცისფერია?!
შენთვის იქნება, ნიშნავდეს ცოტას,
ჩემთვის ძვირფასო, ყველაფერია.

* * *

თქვენ შემოგევლეთ ამაყ მთებს,
ვეღარ გაშორებთ თვალსაო.
მზეო, ჩასვლისას წაგასწარ
ჩახუტებულსაო ზღვასაო.

გაუფანტია ღრუბელი,
ღიას მიტოვებს კარსაო.
შევმდგარვარ ფეხის წვერებზე
და ვეფერები ცასაო.

არწივმა გადამიქროლა,
მართლა მიქნევდა ფრთასაო.
ხილვა მაქვს გაუგონარი
ვცდილობ არ გავსცდე ზღვარსაო.

ტრფობით გათანგულ გვირილებს
ჯეჯილი უქრობს კვალსაო,
ცნობისმოყვარე პეპლები
შემოხვევიან გარსაო.

ისმის ფლოქვების თქარუნი.
ექო გაჰკივის მთასაო,
ლაღად ნავარდი ფაშატის
ამოგაკივლებს ხმასაო.

ფარშევანგივით გაშლილა
ცისარტყელების თასმაო.
ხილვა მაქვს გაუგონარი,
მგონი გავსცილდი ზღვარსაო.

გვერდზე მივიწვენ მთვარეს.

******* ****** *****

ჩემსავით დამწუხრებული
დახეტიალობს ღამე,
და დამანახა ენგურზე
როგორ ბანაობს მთვარე.

ცა გატრუნული ისვენებს,
ვარსკლავთა შუქი კიაფობს
დღისით მზესაა გაბუტული,
ღამით მთვარესთან დიაცობს.

ჭადრები ჩამწკრივებულნი
უჩრდილოდ წვანან ასფალტზე,
თვლემენ საოცარ სიმშვიდით
იასამნები ნასვამზე.

ვარდების ნაზი სურნელი
წამომეფრქვია წამწამზე,
გული სხვაგვარად მიტოკავს,
გამომიწვია ტატანზე.

გოგონა წითელ კაბაში
თავს იკოხტავებს ბაქანზე,
სიო საცაა აკოცებს
ხელებს წაავლებს ნაწლავზე.

გამომიკეთდა გუნება,
ღამეს ვუკოცნი თვალებს.
დავწვები ნანახით მთვრალი,
გვერდზე მივიწვენ მთვარეს.

ზამთარმა თოვა გამომაპაროს.

******* ***** *****

იდუმალებით ღამემ ამავსო,
ჩავსაფრებულვარ მუზას -მთვარეულს
და აკლდამაში მომწყვდეულ სულებს
მინდა ვხედავდე ცოცხლად არეულთ.

რეკდნენ ზარები გუმბათის თავზე,
მტრედების გუნდი დატარტარებდეს...
იქით რიონი, არაგვი, მტკვარი,
აქეთ რიწის ტბა დამატარებდეს.

მჭახე ფიქრები უჩინარივით,
ფამფალებს, თახთახს ვეღარ მიბედავს,, .

მარტი მოპრუწავს ჯუჯღუნა დღეებს,
წითელ პერანგზე გადამიკერავს.

მთვარეულ-მუზას ქარი აბურდავს,
ფანტელებივით სცვივა რითმები.
ჩავეწერები რიგში აპრილს და
გაზაფხულივით მეც მოვირთვები.

მომბეზრდა, ჩუმად ყოფნამ დამღალა,
ისევ ქარებმა მინდა მატაროს.
მერე ჭაკივით სალტე შემოვკრა,
ზამთარმა თოვა გამომაპაროს.

ივეტას

(უძღვნის ზაზა ღურწკაია)

მთაზე ეკიდა თეთრი ღრუბელი,
ოქროს სიმები ქნარმა ჩამოჰკრა,
მერე, ივეტა, შენი თვალები
ზღვზე დინებით ტალღებს გამოჰყვა.

მზე მოგხვეოდა დედიშობილა,
ნაკვერჩხალივით მკერდი აგეწვა.
გულში მცურავი ჩემი გრძნობები,
აცახცახებით იქვე დამეფშვნა.

შორს გამორბოდნენ ირმის ჯოგები,
მე ნებიერას გამოვეკიდე.
შემიფრთხიალდი გულში ჩიტივით,
ცას ვარსკლავივით გადმოეკიდე.

და ბობოქრობდა სული ქარივით...
უკიდეგანო სივრცეს ვერევი და
შენს სამეფოს-იასამნების,
იაზონივით ვეღარ ველევი.

ჩემი ქალღმერთი, ყველა ქალთაგან,
ზღვის ქაფებისგან თითქოს შობილი....
ოქროსთმიანი აფროდიტე ხარ,
ჩემს ოცნებებში გამოგონილი.

მთაზე ეკიდა თეთრი ღრუბელი,
ოქროს სიმები, ქნარმა ჩამოჰკრა.
მერე, ივეტა, შენი თვალები
ზღვაზე დინებით, ტალღებს გამოჰყვა.

სახლში ღიმილით გამომყვე.

შენი ლამაზი თვალები,
მთის ალმასების მსგავსიო.
ზურმუხტისფერი სხივებით
ვარდის კოკორში ჩავსვიო.

ხარ მოციმციმე მნათობი,
ზოგჯერ უკვალოდ ქრებიო
და წამწამების ჩეროსთან,
როგორც ზღაპარში ვჩნდებიო.

კლდეს მოხეთქილი ჩანჩქერი,
მე შენს კისკისად მესმისო,
როცა ფოთლების შრიალში,
ნიავს ალერსი ეწვისო.

ბაგიდან ტკბილი ბადაგი,
დამთბარი გულით შევსვიო,
მარგალიტებსაც თეთრ ყელზე
გედის ნამღერით შევსწვდიო.

ჩემი ფიქრების სავანე,
გადამიქციე სამოთხედ.
ახლა მომინდა, ძვირფასო,
სახლში ღიმილით გამომყვე.

შენი გულისთვის, ისევ გავწირავ.

გულზე დავიფენ ნაზად, ცვილივით,
შენი თვალების დაისის ფერებს
და რა მინდოდეს ამაზე მეტი
ცისკრის გაღებას თუ დამაკერებს.

შემოდგომის მზეს შევუერთდები,
ფოთლების ცვენას, გულთან მივიტან.
ვიხეტიალებ ფარულ.გრძნობებით
ყველა ტანჯვას და ტკივილს ავიტან.

სარკოფაგს გავხსნი, იქ თებეს მთებში,
ფარაონების ნიღაბს ავიკრავ.
კვლავ ხელმეორედ, ამ ჩემს სიცოცხლეს,
შენი გულისთვის, ისევ გავწირავ.

ვალი მართლა, ბევრი მმართებს.

რიჟრაჟამდე ცას ჩაუკლავს
ნირშეცვლილი ჩემი სევდა.
სანამ წვიმის მელოდიებს
შემოდგომის ქარი ხევდა..

გატკაცუნდა სადღაც ტოტი,
გადატკეპნილ შარა-გზაზე.
აირია ანწლის სუნი,
მოწამლული ვარ არაგვზე.

დავატარებ ერისწყალზე
გულის ჯიბით გალის ვარდებს.
ბევრის არა, მაგრამ უფლის,
ვალი მართლა, ბევრი მმართებს.

რაღა დაგვრჩება გასამარგლავი.

კვლავ უჰაერო სივრცე მეხვევა.,
შეუცნობია დროის შეგრძნება.
ცხოვრებამ თითქოს აზრი დაკარგა
სულის ტკივილი, ვგრძნობ, მეორდება.
გატიალებულ იმედებს ვნამავ,
გულმა ვერ ჰპოვა გამოსავალი.
წნორებში ჩაწვა მბჟუტავი შუქი
უსასრულო ცის შთამომავალი.
ვფიქრობ, უთუოდ ფერფლად იქცევა
მზის სინათლეზე გამოსატანი.
აღარ დაგვრჩება მიწის მტკაველი
წმინდად წინაპართ ძვალთშესალაგი.
მშობლიურ კლდეებს გვერდს თუ ავუვლით,
არ გვეხსომება მამა-პაპანი.
მტრის სათარეშო, სანამ გამხდარა
წელში გავწყვიტოთ ურმის ჭაპანი.
ვინც გაგვიშიშვლეს, დასანანია,
"გამშიშვლებელი არის მზაკვარი"
უკურნებელი სნეულებებით
დაგვმძიმებია ცოდნის ლამპარი.
საით მივდივართ, ქარტეხილებით
მიმოფენილა გადასახნავი.
ერთი შრიალა ხე მოვიტოვე,
ისიც მექნება დასამარხავი
თუ დროზე აღარ გამოვიღვიძეთ,
რაღა დაგვრჩება გასამარგლავი..

ქარების კვალზე ვივლითო.

გამოიხედე მზის დარო,
გადამარჩინე ხილვებსა.
იცოდე, შეგებრალები
ნახავ ცრემლების წვიმებსა.
თუ ასე დაიკარგები,
გაფრინდები და მორჩაო,
ეგ, გული, ოხერტიალი
გაცვდა, ოცნებით მოკვდაო.
კალთაში ვარდებს ჩაგიყრი,
ჩვენზე მოვყვები მითებსა.
მერე, თუ კოცნით დამღალე
ჩემით დავიხლი ტყვიებსა.
წყაროს წყალივით კამკამა,
თვალებში ჩაგისახლდები.
ყაყაჩოსავით ამანთე
და სანთელივით დავდნები.
ვეღარ გეტევა სიტურფე,
მკერდისა, გაშლილ ველზეო.
ჩახსნილი, ლაღად საკინძე
სიომ გაფინა ქედზეო.
მომკლავს წყურვილი ვნებათა.
პირბადრი მთვარე ტუჩებზე.
მადნება შენი სხეული,
ლივლივა, ისევ ლურჯ ფერზე.
ზეცის საუფლოს დავხურავ.
მაგ წამწამების ჩრდილითო.
გიჟური გატაცებებით,
ქარების კვალზე ვივლითო.

მაყვალას

იდუმალებით მოცულა მთვარე,
ღამის სიბნელე ფიქრებს განერთხა.
იმ დღიდან დავალ ჩუმად სნეული
ცრემლი თვალებმა ვერ გადარეცხა.
შემორჩენილი ახლა ეულად
განდგომილი ვარ რეალურ სივრცეს.
ცეცხლმა გაჰკვესა ლომის ხახაში
და გული, თითქოს მხეცივით მიცემს.
ნებას ვამადლი ვარსკლავთა კიაფს,
მახრჩობს იღბალი, ბედად რქმეული.
აქ ელვასავით განათებული
მჯერა იქნები კვლავაც რჩეული.
შენს მონატრებას ვეთაყვანები.
ტკივილს ამძაფრებს ზუზუნი ქარის.
გხატავ ლექსებში უმანკო, წმინდას,
როგორც სიჩუმეს უკუნი ღამის.

****

გულმა წამზომი ჩუმად ჩართო, დავყავარ ისევ,
ვეღარ ვეწევი წუთებს დროის ათვლაში ვფლანგავ.
გაღიმებულ მზეს ვაცლი ვნებებს დასერვით,
როცა სევდიან სცენარს მიწოლილი ფარულად ვნამავ.
უსასრულობის ჟამი კალთას ვეღარ იბერტყავს,
გადაპოხილი რეალობა თვალებში მითრთის.
ვდგავარ ეულად გაძარცვული ხეების მწკრივში,
უკანასკნელი ლტოლვა ისევ, დუმილით მიცდის.
დაკეცილია ქოლგა, წვიმა უნდობლად მესხმის,
შორეულ მირაჟს დაბადება უკვე არ ახსოვს,
სადაც დავიდგი, კრძალვით კარავს ზედ დავკანკალებ,
იქ ქარიშხალი ანგრევს კარებს, შემოსვლას ლამობს.
სიამე გულის, ლოდინს ერწყმის, წააგავს ღრუბელს,
ზეცის განგებას შეპყრობილი ბედის ამარა.
ბასრი მახვილით, ბეწვის რკალზე ვარ მიბმული და
ზურგზე ამკიდეს, გაცეცხლებულს ცრემლის ტომარა.

თვალს მოგცემ, გულის სანაცვლოდ.

მაყვალთვალება ლამაზო,
შემომეშველე წამლადა.
პეპელასავით ფრთებსხმულო,
გაჩენილი ხარ დარდადა.
ერთმანეთს ისე ვუხდებით....
ბულბული გეტრფი ვარდსაო,
ღიმილებს თუ არ მაჩუქებ,
მეც გავუღიმებ სხვასაო.
რაც დაგინახე, იმ დღიდან,
ჩემო ხოხობო გეტრფიო,
ტყვედ წამოგყვები, თუ გინდა
იქნება, მანდ მომეხვიო.
ტანად კალმახო, ნარნარო,
მშვენება შენი მშველისო...
და მონა სიტურფისაო
მგზნებარე გრძნობით გელისო.
გულდაკრეფილი იებით
მკერდი გიელავს ფეთქვითო.
მოგიმწყვდევ კარგო, ბნელოში
გაკოტრიალებ ვნებითო.
ღელვათა ლაბირინთებში,
თაკარა ტუჩებს გაგიპობ..
თვალს მოგცემ გულის სანაცვლოდ
გულსაც, შუაზე გაგიყოფ.

ეს ცრემლები, მაპატიე ღმერთო.

ფიქრებს ისევ ანანავებს სიო,
აჰყოლია გულის ფანცქალს დარდი.
მზე ეკიდა ცის დასავალს, მერე.,
შენც მზესავით, იმ ზეცაში ჩანდი.

დედა,ვთქვი და მოიხედე წამში,
ცეცხლის ალად გადაგექცა მზერა...
როს, ღიმილი მიეკონა ტუჩებს
შენი ყოფნა, მართლა დამაჯერა.

რამ მოგხარა,წელში მეთქი...გკითხე..
რაზედ ჩუმად, მწარედ გაგეცინა.
ცივი იყო, უნაპირო ბინდი
დაფოფხავდა, აღარ დამაძინა.

ნაზამთრალი მიმწვავებდა ტკივილს,
კვლავაც ირგვლივ, ტოტებს ხლეჩდა ქარი...
მომხვეოდა სევდისფერი მწუხრით
და სათქმელი დედი, ვერ გითხარი.

ეხლა მხოლოდ, მარტოს მინდა ყოფნა,
ხვალე იქნებ, ჩახუტება შევძლო.
ეს ცრემლები, დამიამე დედა,
ეს ცრემლები, მაპატიე ღმერთო!

მდუმარებით ცაში აჰყავდი.

ლექსი ეძღვნება ჩემს უმცროს კოლეგას, უმშვენიერეს მონიკა სირგინავა-კვეკვესკირს.

შენი ღიმილი, ნუშზე დამსკდარ კვირტს შევადარე.
თმებში ფათურით შემოჭრილი ირწევა სიო....
გიშრისფერ თვალებს, მოცვარული დილის ცვარ-ნამით,
ქრიზანთემების სურნელება, მსურს დავაწიო.
მზეს კალმახივით გასხლეტილი ირმისფეხება.
ფიქრის მორევში ჩაკარგული მიგელავს,
მარწევს და აღტაცება, ზეციური ტრფიალის მსგავსი
ზღვას ალმოდებით, მოლივლივე ტალღებს აახევს.
ცის მნათობივით გამოკრთოდა ბაგეთგან თრთოლვა
ტყუპისცალ ბორცვებს დაეკვესათ მზერა წამური.
შემოენთება, შეპყრობილი გული სულს ლანძავს
და დანავარდობს, ფრთაასხმული დღე-არეული.
გაღეღილ უბეს აცეტებით ნიავი უტევს,
თოვლისფერ ყელის კოცნით თვრება
დილის ლაჟვარდი
და მოთვალთვალე "ზამბახივით"
მთვარიან ღამეს, ჩახუტებული
მდუმარებით ცაში აჰყავდი.

გაორებას ვეღარ .მალავს.

დასწმენდია ცას გულ-მკერდი,
მზის სხივებით გადამთბარა.
ყაყაჩოთა ველი წითლად
ცეცხლის ალში გადამწვარა.
ხავსმოდებულ კენჭებს წყარო,
აპრიალებს, გაღვარსალავს და
აყლარწულ თხემლის წვეროს,
ჯიხვი რქებით გადაფარავს.
ქარს მიზანში აუგდია
ფოთოლთცვენა დასაფარცხად.
გული ისე ამიფეთქდა,
გაორებას ვეღარ მალავს.

ფრუტუნით ძირს დავეშვები.

შენ, რომ ღიმილი მაჩუქე,
გულს დაეგმანა უბეში.
გამოატარეს ცრემლები
თვალებს გაექცათ კუთხეში.

მოლაგდა ფრთების ფართხუნი,
წლებმა ნელ-ნელა მოკეცა
და ფეთქვა მაჯისცემისა,
გასაბაწრავად მომეცა.

იმედს ნუგეშში ავივსებ,
დამცლის, დამთახლავს ეჭვები.
ფრთქიალით გავინავარდებ,
ფრუტუნით ძირს დავეშვები.

შენ, რომ ტიტები მომართვი,
შეანიავა გრძნობები.
ზამთარს თოვაში ავყევი,
გაზაფხულზე კი ვთხოვდები.

დაფრუდუნკებდა მწყერჩიტა,
ჭორებს ამაკრავს წყანწყარა
და გულყვითელა პირქუში,
უთქმელობისგან გამსკდარა.

ჩამოიარა წარსულმა,
ჭორფლივით გამომაყარა.
გოგო-ბიჭები შეგვკვანძა
მარგალიტებად დაგვყარა.

წლების სიმრავლეს გაურბის,
ოქროს ხანაში გვატარა,
ღვარად სდით, თვალებს ცრემლები
ნაკადულივით წკანწკარა.

შენ, როცა ჩემთვის მღეროდი,
ჰანგები, მთის წვერს აბამდა.
გადაჩითული ველების
კანტებს თავიდან კვანძავდა.

იმედს ნუგეშში ავივსებ,
დამცლის, დამთახლავს ეჭვები.
ფრთქიალით გავინავარდებ,
ფრუტუნით ძირს დავეშვები.

* * *

ბაღში ვარდების სიკეკლუცე და
ტოტებზე აყრილი კვირტები მწამს.
მონაცვლეობა ფერთა გამების
როცა ატმის ხე, პატარძალს ჰგავს.

მზეს ჩაუკეცავს მუხლი იებთან,
ბიბინა ბალახებს ნიავი წნავს.
გარემოს გული ისე შეერწყა,
როგორც გუმბათი, კარიბჭის თაღს.

ᲨᲕᲘᲚᲡ.

აკრეფილან მზის სხივები
და აკივლდა ცაზე მთვარე.
გაამზითვებს ვარსკლავებს და ბოლოს
შენს თავს ჩამაბარებს.
დედობრივი სითბო დამჭრის,
ხმალზე მეტად გამამაცებს
და ზენიტში ასულს,როცა
კვლავ მიწაზე დამანარცხებს,
ამოვაძრობ დაკოდილ გულს...
და შენს თვალებს მივანათებ.

ლია ჯავახიშბილი

******დაივიწყეთ*******

_____ დაივიწყეთ, გევედრებით, დაივიწყეთ,
წყენა,ჩხუბი შუღლია თუ ბოროტება,
ერთი ცის და ერთი მიწის შვილები ვართ,
მტრობა ჩვენში? აბა როგორ გვეკადრება.
გაიხსენეთ ისტორია ჩვენი დიდი
ძმათა შორის ჩადგებოდა შუაკაცი,
ვითომ გვძმობდნენ? არა ძმაო!
გადამთიელს
როდის ქონდა შენი დიდი პაპის დარდი.
დაივიწყე რაც კი მოხდა,რაც კი იყო
წყენა, ბოღმა გულიდან რომ ამოიღო,
გადიწერე გულზე მტკიცედ პირისჯვარი
მოთმინებით ღმერთთან უფრო ახლოს იყო.
ცას შეხედე შუბლზე გადგას ცის ნათელი
ფეხქვეშ მიწა წინაპრების საძვალეთი,
საქართველოს შვილები ვართ: დავა არა
შევიყვაროთ, შევიყვაროთ ერთმანეთი!

2021წ 27/10

*********სათქმელი*********

__კიბეს დაბლა მივუყვები
საფეხურებს ვტოვებ თითოს,
ყველაფერი რიგზეა და
ასეც უნდა იყოს თითქოს.
სანამ სულ არ ჩავათავე
მანამ სულ არ ჩავედი
მინდა ხმამაღლა ამოვთქვა
რაც გულში მაქვს სათქმელი.
__ მინდა ხმამაღლა ვიყვირო
გადაიხსნას ვენები,
მყინვარწვერიდან მიწამდე
შეზანზარდნენ კლდეები.
___ ბებერ მუხის ფესვებზე
აღმოცენდნენ ყლორტები
რომ სამშობლომ იხაროს
თავის ქორფა ნერგებით.
___ იზრდებოდნენ თაობები,
აზრი გონით იღვწოდეს
ერთმანეთის პატივით
სიყვარული იწვოდეს.
ლექსად ისეთი რამე ვთქვი
პირდაპირ და ქართულად
ცერზე კი არ გაიაროს
გულში ჩაჯდეს ნამდვილად.
ძმა ძმის ფარი უნდა იყოს
სალოცავი საფარი
მთავარია გულში გული
საქართველო აქ არის.
.

30 სექტემბერი 2021 წ

******შემოდგომა******

___შემოდგომა მოვიდა და სუსხობს,
ქარი ფანტავს ჭრელა_ჭრულა ფოთლებს,
ადუღდება ქვევრ_მარანში მალე,
მაჭარი და დახეთქავს ბოთლებს.
მერე დარდი შეესევა ღამეს,
მთვარესაც კი შეეფაკლა ბაგე,
მომაწოდეთ თასი რქაწითელის
გათენების სადღეგრძელოს დავლევ..
ლ.ჯავახი.2021/9/9

__ქართველებს__

ათონის მთიდან თეთრი სიმართლით
ქართველებს მინდა გითხრათ ხმამაღლა,
სულით და ხორცით წმინდათა ძლიერთა
შუმერ ქართების
შთამომავალთა!
_მაწვიმს და მტკივა ღალატით შუღლით
უხვად დაღვრილი სისხლი ქართული
ნუთუ აღარ გვაქვს ჩვენ ნდობა ძმური
ან ვაჟკაცობა მამა_პაპური.
მწვავს ათენის მზე ცეცხლისმიერი
ჩემი ქვეყნის მზეს ვარ მე ნატრული
ღვთისკურთხეულო მიწავ ქართულო
თუ კი ოდესმე გამთლიანდები?
მე შემოდგომის მარანთან ვდგავარ
და საწნახელი მაცდურად მიხმობს
ღვთისმშობლის ხატთან მუხლჩაჩოქილი
შენს თავს ვავედრებ მიწავ ქართულო!
და სულში მუდამ დუღს თავგანწირვა
ამოდ დაშრეტილ
ქართველ ჭაბუკთა
გვიბოძე ღმერთო!
კიდევ დავითი
ჩემი სამშობლოს გადასარჩენად.

*****_____*****_____*****

ცხოვრება დღეს გახდა ოცნებით აღსავსე,
მშვიდობით გათენდეს დილა.
ყოველდღე იწყება ლოცვით და ვედრებით,
გვადროვეთ სიცოცხლე გვინდა.
ვასხავ, ავკინძავ ოცნებას მძივებით,
მარგალიტებს კი გავშლი,
რაც ცუდი ყოფილა წარსულში, აწმყოში,
მეხსიერებიდან წავშლი.
ტაძარში შევალ და ლოცვად დავდგები,
სამშობლოს შევავედრებ უფალს!
დაგლეჯილს, დაკორტნილს, დანაწევრებულს
და მაინც ძლიერსა და უხვსაც.
ღმერთო! შენ გავედრებ სამშობლოს
ბევრს არას ვითხოვ მაღალო მაღალთა,
ქართველს კვლავ უყვარდეს ქართველი
და სამშობლოს უერთგულოს მარადჟამს.
!2021/9/14.

******სანამ გული ფეთქავს******

__მომიფრთხილდი სანამ გული ფეთქავს,
მანამ სულში ყვავილობენ იები,
ვიდრე მჯერა უანგარო ვაჟკაცობის
რაინდობის ძველებური მითების.
___ ვიდრე სულში დაშლიგინობს სინორჩე,
სანამ სულეთს შეჰპარვია სიყვითლე
მომიფრთხილდი, შენებურად ისევ ისე
რომ ვიწამო შენი სიტყვის სიკეთე.
___ შემოდგომას ჩამოხმება ყველაფერი
აზრი, მასტი დაუკარგავთ ედემებს,
წვიმაა და სავალი გზა სველი არის,
გამიფრთხილდი რომ ფსკერზე არ დავეცე!
2021/9/9

****** სიწმინდე******

_ღამეს ჰფენია სიმშვიდე ქალწულის
სისპეტაკის აქვს
სრული გარანტი,
__ციდან ეშვებიან
ფარფატა ფიფქები
და სიყვარულის გიწვევენ თამაშში.
__ღამე გადათეთრდა
სულ ერთ საათში,
ქათქათა თოვლის დგება ზვინები,
თოვლის სამოსელმა დაზნიქა წელში
ფიჭვის და ნაძვის ,ხეთა მწკრივები.
__ზეციდან დაეშვა იმდენი სიწმინდე,
არ დარჩა შავბნელის არც ერთი ადგილი,
__ ცაზე აბჭყვრიალდა ახალი ვარსკვლავი
__ იწყება ცხოვრება უფრო ნამდვილი.

26 იანვარი 2022 წ

ირინა ხურციძე
(ირინოლა ტყეშაველი)

კვლავ ბოლო ხმაზე...

გული ამტკივდა, რადგან უშენოდ,
მზეს აღარ ეტრფის ედელვაისი,
ცრემლმა ვარდებიც რომ დამისველოს,
რაღა ფასი აქვს მოსვლას მაისის...
აალდა სულში სევდის კოცონი
და ვიხრუკები როგორც ფარვანა,
ვზომავ ყანთარზე სიტყვებს მოწონილს,
კვლავ ბოლო ხმაზე გიხმობ:_ სადა ხარ!!!....
წუხელ სიზმარში მუზის ღმერთს გავდი,
ელოდი ჩემგან ექსპრომტად მოძღვნას,
მეკი იმედის ნორჩ ფესვებს ვრწყავდი,
მოულოდნელად როს გამეღვიძა...
სარკმელს გავხედე, სად განთიადის,
ცას გადაკვროდა ფერი მობაცო,
როგორაც გემო, ბოლო ხმიადის,
გზა-გზა ვეძებდი რითმებს მონამცროვს....

როცა...

სახეს სევდიფერი როცა ახლავს,
გული გაღიმებას ვერ ახერხებს,
შენი მოფერება მინდა ახლა,
თბილი ალერსი მომაშველე...
ქარებს წაუღიათ წასაღები,
მე კი ჯერაც აქ ვარ, ვერ მერევა,
მოდი, მანამ მოდი ვიდრე სულში
ფიქრებს ნაღველი შეერევა,
ასე ადვილად ნუ გამწირავ,
გული ვერასდროს შეგელევა.

მარტოობისთვის....

რას მემართლება ბედის გამრიგე,
ყოველდღე რატომ მიგზავნის ცრემლებს,
მე გულის სითბოს გზა-გზა ვარიგებ,
ის კი ჩემს სულზე იწმინდავს ხელებს.
ვერ ვურიგდები ამ წუთისოფელს,
მარტოობისთვის გამწირა რადგან,
არაფერი მაქვს ამ ცისქვეშეთში
ლექსის მუზის და ოცნების გარდა...
და როცა ღამე სევდის სარკმელიდან,
უკანასკნელად აკეცავს ფარდას,
წავალ, გავყვები ქიმერებს ცისკენ,
სად შენი ტრფობა გამყვება ფარად...

ნეტავ ახლა

შუაღამეა, უძილობის
დროს სარმლიდან
მოსჩანს ერთი
მოკაშკაშე ცის მნათობი,
ისე ცივა, ითოშება არემარე,
ნეტავ ახლა გამათბდეს,
შენზე ფიქრი,
გულში ჩუმად
შეპარული ტრფობის ალად,
კმარა, ვიტყვი უშენობა,
შენკენ სავალ ბილიკს ვკვალავ,
ვფარავ გრძნობას გაღვიძებულს,
ვერ ვუძებნი ფიქრს სათავეს,
მაგ თვალებმა უშრეტ ცეცხლით,
დამდაგეს და გამათავეს....
მაინც მორცხვობს სიყვარული,
ვერ ვუბრძანებ გათამამდეს,
გულთა კავშირს ერკინება,
დრო, მანძილი ამ სიშორის,
მაინც, გრძნობის ველურ ვნებას,
რა ჩააქრობს ჩვენ ორს შორის,
თუნდაც წლებმა თმებზე თოვლის
დამაყაროს ბილილები,
დამელოდე , მოვალ ისევ,
შეჩვეული ბილიკებით....

უძილარ თვალებს

რითმები ჩემი სულის საკნიდან,
ჩაკირულია ტვინში უბნებად,
მომყვება ასე გზა-გზა აკვნიდან
და დარდებს მაყრის მხრებზე ულევად,
ამოგლეჯილი როგორც კადრიდან
ხან გამიღიმებს, ხან მეუბრება...
დილის ნიავი მოდის სამოო,
უძილარ თვალებს ესალბუნება,
ფიქრები, როგორც მოგზაურები,
შენს სიყვარულზე მესაუბრება...

აგორებულ ქვას ვგავარ...

ო, რა ამაოდ დავრგე ვარდები,
წყალის მაგივრად ცრემლით მომირწყავს,...
რამდენსაც გასცემ ადამიანო,
ღმერთის საწყაოც მასვე მოგირწყავს,...
ვარდი დააჭკნო მლაშე ცრემლებმა,
მაშ ჩემს სახებას რაღას უზამდა,...
ბევრი ვეცადე თუმც ამ სამყაროს
ეს სული მაინც ვერ დაუზავდა...
აგორებულ ქვას ვგავარ, ხავსიც სად,
უმცირეს ფესვსაც კი ვერ იკიდებს,
ბირკავები რომ არ მოგვიმრავლდეს
ვარჩიე ისევ ვარდებს ვამყნიდე...
თუ დაღდასმული დავიარები_
წუთისოფელთან ვერც რა გავყიდე....

იქ გეტყვი...

ვერ ვეგუები ყოფას უშენოდ,
გადაილია გული ფიქრებით,
ცხოვრებაში თუ ვერსად შეგხვდები,
ლექსებში მაინც ჩემთან იქნები.
ხელშეუხები როგორც მზის სხივი,
სხივმოციაგე შუქად ვარსკვლავთა,
აგვიყოლიებს ლექსი ფრთამალი
მუზის მწვერვალსაც ერთად დავლაშქავთ,_
სად ოცნებების შევძლებთ ახდენას,
აღარ მოგვიწევს გრძნობის დამალვა,
სიზმრის ბილიკზე შემომეგებე_
იქ გეტყვი, როგორ მსურხარ, თამამად...

ისე დავაგვიანე

თავს ვეღარ ვუყრი აწეწილი ფიქრებს,
ვერც არეულ გზებს ვუწყობ ნაბიჯებს,
უმწეო ხელებს ამაოდ ვიქნევ,_
უსუსურობა ჩემი მაგიჟებს....
ფერგამკრთალ ნისლით შეფერილ ფარდას
ფრთხილად გადავწევ_ ცა დავინახო,
ამედევნება სიზმარი ლანდად
და ძველებურად დროსთან ვკამათობ...
ჩამომწეყრილა გზავალი სადაც,
ცოტა ხნის უკან გამოვიარე...
დავაგვიანე შენამდე მოსვლა,
ვაი, რომ ისევ დავაგვიანე...

თეა თევზაძის გარდაცვალებით გამოწვეული სევდა

როცა ტკივილი
გადაგიჭერს
სულზე მათრახებს,
აკვნესდება და
აგატირებს მშრალად,
უცრემლოდ,
სიმშვიდეს წაგგვრის,
თვალსაც კი არ დაახამხამებს,
რომ მერე გული გამოგიხრას
ეჭვებით დარდის...
და დადის
ჩვენთან ერთად
დედამიწაზე,
უჩინმაჩინის საცეცებით,
ურჩი სიკვდილი,
მეტყვით მავანნი,
აგერ ა, გუშინ,
რომ ამგვარ წასვლას
ვუწოდებდი
გარდაცვალებას...
ო, არა ღმერთო,
ვცოდავ თუმცა
უნდა ვთქვა მაინც,
რომ ეს სიცოცხლე
აღარ მიღირს
ამდენ წვალებად,
როცა როს მშობელთ
გულმოკულთ და
განადგურებულთ,
სასჯელად
შვილის, ტანჯვით
გლოვა დაევალებათ.....

პოეზიის სიყვარული

ყველა სიტყვა,
რაც კი მითქვამს,
შენთვის მითქვამს,
ჩემო ყველავ...
ლექსმა თუკი მიმატოვა,
აი, მაშინ მინდა შველა...
დაწერილი ყველა ლექსი,
ღირდეს უნდა გულის ფეთქვად,
პოეზიის სიყვარული,
აკვნიდანვე დამდევს წესად,
ფიქრი ჩემი მუზის ცაზე,
ვარსკვლავების
ქოროს მწყემსავს,
ჯადოსნური ყაისნაღით,
გულდაფლეთილ ფრაზებს
ვკემსავ,
მერე სულის საჭრეთელით,
რუდუნებით ვრანდავ,
ვფერავ,
 რომ მოგიძღვნა სისხამ დილით
ჩემი გრძნობის გასამხელად....

თუ ვტირი...

თუ ვტირი, ჩემთვის ვტირი და
ვიცინი_ ჩემთვის ვილაღებ,
თუმცა თუ მოძმე ვალალებს,
ე, მაშინ რა გამახარებს...
ძმის თვალზე ცრემლის დანახვას,
მე მირჩევნია ვდარდობდე,
ჩემს გულში თუნდაც იწვიმოს,
მოყვასის გულში დარობდეს...
არცა მგონია, მამულზე
ჩემზე მეტს ვინმე დარდობდეს...
დიდი შრომაა საჭირო,
თუ გსურს დოვლათი დაგროვდეს,
საკუთარ კარში არასდროს,
ლელობურთი არ გაგქონდეს,
ქორწილ– ძეობებს თქვენს ირგვლივ
დასასრულები არ ჰქონდეს...
სიმართლის სიტყვა ვით დროშა,
შხარაზე ციმციმ აგქონდეს,
სულ ყველა მხიარულობდეს
და მწუხარება არ გვქონდეს....
გაივლის წლები დღეები,_
ჩამოთოვს ჩვენს წილ გზაზედაც,
შანსი ყოველთვის გვქონდეს,
რადგან ბედია ცდაზედა,....

იმ სევდიანი სიყვარულიდან

როცა ჯერ კიდევ ფიქრებს არეულს,
არ შეხებია ტორები ქარის,
სიყვარულის ჰანგს ლაღად მღეროდა,
ვნების ბადაგით დამთვრალი ქალი....
მოვიდა ერთხელ წვიმა და თქეში,
და ჩამორეცხა გრძნობა გრძნეული,
მას შემდეგ როგორც უწყლო უდაბნოს,
სევდის ფრთის ქვეშა შეფარებული...
არავინ ფიქრობს თუ რა ადარდებს,
ან რად ღვრის ცრემლებს დაჭრილ გულიდან,
არავინ კითხავს თუ რა გადარჩა,
იმ სევდიანი სიყვარულიდან...
ჩამოიფერთხავს ხეები წვეთებს,
შეტოვებულებს შემდეგ ავდრების,
ქალის გულიდან არავინ ცდილობს
განდევნოს ერთხელ შავი დარდები,
,,ქალი ქალია, თავს განაცვალებს,
თუკი ნამდვილად შეუყვარდები'....

დავით სხირტლაძე

გაიღვიძე! საქართველო სირცხვილია

გაიღვიძე! ნუ მიანდე ბედი მავანს,
სანამ კიდევ გეურჩება მკერდში გული;
გაიღვიძე! სანამ კიდევ დროა, თორემ
სადაცაა კარს მოგადგა დასასრული!

გაიღვიძე! ქართველი ხარ, დაგავიწყდა?!
ძე გიორგი ბრწყინვალის და ძე დავითის!
ქართველი ხარ სულით დაუმარცხებელი;
მგლური სისხლი შენს ძარღვებში ისევ ყივის!

გაიღვიძე! გაშმაგებით გიტევს მტერი;
ფლიდების და ორპირების დადგა ჯარი;
გაიღვიძე! საქართველო თუღა გქვია,
გამოიღე დაჟანგული ხმალ-აბჯარი.

გაიღვიძე! თორემ მალე შენს ზედაშეს
შესვამს ვინმე ურჯულო და დაცემული...
ვაჟკაცური დამარცხება გიჯობს ბევრად,
ვიდრე ტანჯვით დიაცური დასასრული!

უბრძოლველად ვერ ისვენებს შენი მიწა;
გაიხედე მტერი ირგვლივ რამდენია...
გაიხსენე, თუ არ გახსოვს, მათი მტრობა
ციხე-ტაძრებს რისხვის კვალად დაშთენია!

შავთელის და რუსთაველის შთამომავალს,
ავბედითი გზები მედგრად გაგივლია...
შენ მონობის უღელი რომ გედგას მხრებზე
სირცხვილია! საქართველოვ, სირცხვილია!

* * *

თქვენ შემოგევლეთ ამაყ მთებს,
ვეღარ გაშორებთ თვალსაო.
მზეო, ჩასვლისას წაგასწარ
ჩახუტებულსაო ზღვასაო.

გაუფანტია ღრუბელი,
ღიას მიტოვებს კარსაო.
შევმდგარვარ ფეხის წვერებზე
და ვეფერები ცასაო.

არწივმა გადამიქროლა,
მართლა მიქნევდა ფრთასაო.
ხილვა მაქვს გაუგონარი
ვცდილობ არ გავსცდე ზღვარსაო.

ტრფობით გათანგულ გვირილებს
ჯეჯილი უქრობს კვალსაო,
ცნობისმოყვარე პეპლები
შემოხვევიან გარსაო.

ისმის ფლოქვების თქარუნი.
ექო გაჰკივის მთასაო,
ლაღად ნავარდი ფაშატის
ამოგაკივლებს ხმასაო.

ფარშევანგივით გაშლილა
ცისარტყელების თასმაო.
ხილვა მაქვს გაუგონარი,
მგონი გავსცილდი ზღვარსაო.

თამთა ნასრაშვილი

და სიტყვა იყო...

და სიტყვა იყო, მერე კაცი და ღმერთი ერთად,
იყო ანი და იყო ჰოე, საწყისი ფერთა.
მერე დაიწყო მისი სუნთქვით სამყარომ ფეთქვა,
ეს იმიტომ, რომ სიტყვა იყო და სიტყვა ეთქვა.

და თქვა განათდეს, იყო დილა, იყოს საღამო...
და სიტყვა იყო შემოქმედი, საწყისი ყოვლის,
თან სიყვარულით ივსებოდა მთელი სამყარო...
იყო მიზეზი, რაც კი იყოო... წვიმის და თოვლის...

ყველა ცოცხალი, რაც რამ შექმნა სიტყვამ აკურთხა
და მერე ითქვა გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად...
მერე შეიქმნა ის ურყევი წრედი სამკუთხა
და ამით თითქმის ყველაფერი გამოიხატა.

და იშვა კაცი, ყველა ქმნილზე აღმატებული,
სიყვარული, ხომ უსაზღვროა კაცთან და ღმერთთან,
მერე ქალწულმა შვა იესო ქრისტე ცხებული...
და სიტყვა იყო, მერე კაცი და ღმერთი ერთად.

* * *

ამ ყოფნას მე ვესვრი ხელთათმანს,
რადგან უშენო და ყალბია...
არ ვგავარ არცერთ იმათგანს...
გზას რომ იცვლიან, ან გარბიან.
კვლავ ვერ გადავფურცლე ეს გვერდი
კვლავ ვითვლი, იწილო-ბიწილო...
ვით ზაქე, მეც ხეზე ავედი,
რომ ზეცის თვალები ვიხილო.

მე ამოვხსენი...

ეს ყველაფერი მეორეა
პირველი სხვა არის და მთავარი...
აცეკვეთ, აცეკვეთ სალომეა
სულ ერთია რას იტყვის მავანი...

იქნება არცა ღირს სათქმელად,
კვლავ გეპასუხებით დუმილით...
სჯობს აქ გავჩერდე ამჯერად,
სამ წერტილში ჩავტიო სურვილი...
ტკივილი წუხილი...

ეს ყველაფერი მეორეა...
მესამე გზაა – მომცველი ყოვლის...
ეს არც სიკვდილია, არც სიცოცხლეა...
ესაა სურვილი ღმერთთან ყოფნის...
მოდი ტერენტი გავერკეთ გრძნობებში,
არა გსურს სიცოცხლე, არა გსურს სიკვდილი
მე ღმად შემოგყევი ტკივილის მორევში,
მარტომ გადმოსცურო არ არის ადვილი...

თითქოს ამოვხსენი მე შენი წუხილი...
ღმერთთან ყოფნაა და აღმაფრენა
არც ჩემთვის ყოფილა უცხო ხილი...
იდარდონ, იდარდონ დანარჩენმა.

თეთრი მაგნოლიები

თეთრი მაგნოლიები ერთად შეჯგუფებულან,
რაღაცას იგონებენ, შორს, შორს იყურებიან,
ირგვლივ სიმყუდროვე და სევდა გამეფებულა,
თეთრი მაგნოლიები – თეთრი ქალწულებია.

ნეტავ, რაზე ტირიან, თეთრი მაგნოლიები,
მათი ცრემლი სულშივე იღვენთება ზეფირად,
სიყვარულზე ტირიან უხმოდ მოცრემლიები,
ჩემთვის სიტყვა არ უთქვამთ,
მაგრამ ვიცი ზეპირად

თეთრი მაგნოლიები საიდუმლოს არ თმობენ,
მაგრამ გულმა, ხომ იცის, რატომ
იცრემლებიან,
სპეტაკნი და მორცხვები, თუმც,
არაფერს ამბობენ
თეთრი მაგნოლიები – თეთრი ქალწულებია.

* * *

გავალ ქუჩაში – ალბათ, როგორმე...
დავტოვებ ფიქრებს მოსაბეზრებელს,
ისევ თავიდან გამოგიგონე,
რომ არ წაეღო სული ბელზებელს.

მიდიან წლები, ასე, მარტივად
თუმცა, ჩემს ტკივილს თავადვე ვშველი,
მაინც ამ წუთშიც მზად ვარ სატირლად
როგორც ობოლი, დამფრთხალი შველი.

ამ სიმარტოვეს ღმერთთან ავიტან,
თუ ვარ ზედმეტად უცხო, უხეში...
მე მოგინატრებ ისევ თავიდან
იქ, უსაშველო სიმსუბუქეში.

9 აპრილი სულთა საუფლოში

„რუსთაველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალოს ღმერთმა.“
ლადო

ლადოს რუსთაველზე სისხლია დაღვრილი,
ვეღარც მისი ლანდი ივლის მხიარული,
როგორ შეგვიბღალეს ეს წმინდა ადგილი,
აღარ ეყვარებათ ამ გზით სიარული.

გალაკტიონის სულს ეცა სისხლის სუნი
და ქაშუეთისკენ ფარფატით დაეშვა,
დახვდა საქართველო ზურგში დაისრული,
რიჟრაჟი მოეცვა ცრემლსა და კაეშანს...

ათრთოლდა ჰაერი შიშმა აიტანა,
იქვე შეეგებნენ მნათობნი სანთლებით,
ვინ იყო, რა ეშმა, რა რჯული სატანა,
ამ ანგელოზების ამრიგად ამკლები?!.

ოცნება, ოცნება არ გვაპატიესო...
ხმა იყო ამაყი წმინდანის ორგზისა.
ჩვენთან არს ღმერთი და ჩვენთან არს იესო,
ელავდა მახვილი წმინდა გიორგისა.

რა იყო? – ოცნება ოღონდ ხმამაღალი,
სანთლები დნებოდნენ, გული, რომ მღეროდა...
ო, რა გრძნობა იყო... თუმცა არახალი
ბოროტს კი კაცი რა, ღმერთიც არ ელოდა.

და როცა ზეციდან გალობაც მოისმა,
ჩაგვიქრეს ნათელი – გაბრუვდა ჰაერი...
ავენთეთ სანთლები, ჩვენ, საღამოისა,
უცხო ვერ გაგვიგებს, სხვა ტომი, სხვა ერი.

ხმას რისხვა ერია, გაოცება ათწილ,
ცოტა შეისვენეს, – რიჟრაჟმა იმატა,
სულმა პოეტისამ დაიჩოქა მათ წინ,
როს ისევ თბილისზე მზე წამოიმართა.

დავტოვებ „თებესს“

აწყვეტილი ვარ, სიმი გიტარის...
არ გამოვდექი არც საჟღარუნოდ...
ნუ იტყვი... გული მაინც მიხარის
ჩემთვის ვქანაობ... რენო რანუნო...
ნუ მკითხავ ვინ ვარ? მოსულს სიზმრიდან
ან აქ რა მინდა, რა მაქვს მისია
რატომ მეგონა ვინმე მიცდიდა
ან ეს გზა, ახლა რის მაქნისია
მე დავიამე... ყოფის ტკივილი...
და სიმსუბუქე აუტანელი,
დავიარები უძღები შვილი
და გზის მკვლევარად დამაქვს „გრანელი“
ალბათ, ამიტომ დავალ მწუხარე
დავალ არ ეთქმის... ვინც მუდამ ეძებს,
თუმცა... თვალები ვერ დავითხარე
აუცილებლად დავტოვებ „თებესს“

ლექსად მოვედი...

ცხოვრების მიღმა ყოფნამ დამღალა...
არა, აქ უნდა სხვა სიტყვა მეთქვა...
წარმოიდგინე სული ჭაღარა
და თოთო გულის უმანკო ფეთქვა.

ან ლაჟვარდებში სიმღერა თოვლის
ატმის ყვავილის უმანკოება...
ო, პირველ ყოვლის, ო, პირველ ყოვლის...
ოჰ, აქაც სიტყვას სიტყვა მიება...

კვლავ ვერ ითქმება ჩემი სათქმელი
მაინც შვებას მგვრის მიეთ-მოეთი...
იქნებ იცანი ჩემი სახე, ჩემი სახელი
მომენატრე და ლექსად მოვედი.

პარნასელი დები

როგორ არ მსურს გავაწბილო პარნასელი დები,
ვიცი, ამგვარ სულის ტკივილს ტკივილი არ ჰქვია,
თავი რითი დავიმშვიდო, აღარ მავიწყდები,
შემახსენე ტიციანო, – მტკვარი ხომ აქვეა...

ან რას უნდა მივეახლო, ან რა უნდა დავთმო,
სულ მაწუხებს, რა მიშველის, ვფიქრობ საათობით,
როგორ დავრჩე ამ წუმპეში ლამაზი და სათნო,
ან კი მართლაც რამე თუ მაქვს ნეტა დასათმობი?...
ჩემი დარდი, არც ბოლოა და არც პირველია,
ბავშვობიდან ასეთი ვარ, ტკივილს ვერ ვფარავდი,
პარნასელი დები ალბათ ისევ მომელიან,
მე არ ვიცი რას მიშველის ახლა მასკარადი...

ტანჯვა რა არ მეყოფინა,
დავმარხე ჩემი შიოლა,
ცხოვრება ძნელი ყოფილა,
არა ყოფილა იოლა...

ამჯერად

ვასათაურებ სიზმრებს ამჯერად...
ვაშრობ სათუთად ხელის გულებით
შენი ნახვის თუ მხოლოდ აქ მჯერა...
ამ სიზმარს ჰქვია „აქ მეგულები“...

ამას დავარქვი „შენიღბულები“....
და მზის ნაჭუჭი თავზე მაცვივა...
თავს ვიმტვრევ ხშირად უკან ყურებით
სიზმარში წვიმს და ვიცმევ საწვიმარს.

ო, როგორ დათბა ჩემს ზარდახშაში...
ამ სიზმარს ჰქვია „მცდელობა დიდი“
უკვე გზაში ვარ... გზაში ვარ... გზაში...
ვარ უჩვეულოდ ჩუმი და მშვიდი...

გამომეღვიძა... გულდაწყვეტილი...
ანგელოზებმა გამომაცილეს
ამ სიზმარს ჰქვია სამი წერტილი...
სარკესთან ვდგავარ, ოდნავ მამცივნებს...

ერთხელ, ორჯერ და უკვე სამჯერაც...
ვასათაურებ სიზმრებს ამჯერად...

მამას

„შენ ხარ სიყვალი ჭეშმარიტი,
სხვა კი დანარჩენი, მამა!“

მინდა ვიცოდე რის ბრალია მზის გაწითლება.
მინდა შევიტყო თუ რა ხდება შენს სამყოფელში,
ან ეგ გაძლება მანდ რა სახის გრძნობად ითვლება,
ან არაფერი არ გაწუხებს, მაგ „დიდ სოფელში?..“

მენატრები და სიკვდილისაც არ მეშინია,
როგორ მომინდა შენი ნახვა... შეგახო ხელი,
ჩემს ირგვლივ ყველა სიტკბოებით გალეშილია,
მარტოობაში და წუხილში არავის ველი...

ბედის მორჩილი – ბოდვებით რომ დავიქანცები,
მხიარულ სახით გამოვიხმობ ვის? – სულ ერთია,
გულის სიღრმესი მიყუჩდება წრფელი განცდები,
თავდავიწყებას მარტოსულნი უფრო ელტვიან.

მუქი ღრუბელი გადაივლის, გაჰყვება მთავრეს,
მონატრებასაც გაიყოლებს მზის გაწითლება,
მოჩვენებითი აღტაცებით გავახელ თვალებს...
და ეს წამება ერთ სიცოცხლედ კი ჩამეთვლება.“

იესო



ისე შერწყმია ჩემს სულს
შენი თვალების ფერი
ვტოვებ მთლიანად წარსულს,
ვარ უსასრულოდ შენი.

გარემოცული სუსხით
მზერა მომექცა ცისკენ
ვეღარ გავუძლებ წუხილს
მიხსენ უფალო მიხსენ...

ხომ ვარ ჯიუტი ბავშვი...
მჭირს მოუხდელი სენი...
ხელში მიჭირავს საშვი,
მეც ხომ შვილი ვარ შენი.

ო, რა შერწყმაა ფერთა,
არც რა მაქვს გასამხელი
მინდა უსაზღვროდ შენთან...
ვარ უსასრულოდ შენი.

თამარ ფიცხელაური

...როგორც არასდროს, ისე მინდა მოვხუჭო თვალი...

****

რწმენაშერყეულს, უკვე სულიც კბილით მიჭირავს...
ბომონებიდან ძირს ცვივიან თითქოს კერპები...
მრავალწერტილი ვეღარ იტევს ვერნათქვამ სიტყვას,
ზვავი მიმჩუმქრის ან უზვავოდ დავიმეწყრები!..
იყო დრო, ნებით, ღია იყო, ყველა კარიბჭე...
ჩაკეტილია, ახლა, თითქმის, ყველა კარები...
და ვიცი, მაშინ, ,,მართლა" ვიყავ, არ ვიყავ ,,თითქოს",
მხნედ დავდიოდი, ახლა ჩუმად დავიპარები.
დღეს ტრადიცია სულსა ღაფავს, კვდება ადათიც...
ბომონებიდან გვიცქერიან სულ სხვა კერპები...
უწყლოობიდან ცეცხლმოდებულ მამულს გავცქერი,
ვერ დავარწყულებ, ვიცი, ისე დავიფერფლები.
რად მინდა ბევრი ალმასები, ოქრო და ვერცხლი?..
მზის სხივიც მყოფნის, თუ სამშობლო გამილამაზა;
ყოფნა–არყოფნის სარეცელზე მამული მიწევს,
ჩუმად დავტირი, მკლავმოკვეთილს, როგორც აღაზა.
როგორც არასდროს, ისე მინდა მოვხუჭო თვალი,
ავივსო რწმენით, მთელი ძალით დავკრა ნაღარა,
მხსნელის ლოდინმა ჩამიწყალა ცქერით თვალები,
სასო წამართვა, იმედები გამიჭაღარა...
...და სანთლით საძებნს, დამჭვარტლული კვარით დავეძებ!..
არც ექო ისმის, მთებიც, უკვე,აღარ იძვრიან...
მკვდარი თევზივით მივუყვები დაღმა დინებას,
საპირისპიროდ რადგან უკვე არ შემიძლია...
დღეს, სტუმრისათვის, გაღებულა ყველა კარიბჭე...
მასპინძლისთვის კი, დაკეტილა ყველა კარები...
,,ხელისცეცებით" მე, ,,ქართველი, ქართველს" დავეძებ,
კი არ დავდივარ... სირცხვილისგან დავიპარები!..

2019წ..

თამაში დამთავრდა!..

****

თამაში დამთავრდა... ცხოვრების დაფაზე,
ვინ დადო თამაშის უდავო შედეგი?..
მე არც მომიგია და არც, წამიგია,
უბრალოდ, ცხოვრებას შუაში ვედექი!
არც– მარცხნივ, არც–მარჯვნივ, მე მხოლოდ თანაბრად,
ვიღებდი დარტყმებს და... თან ვიგერიებდი...
დრო აღარ მრჩებოდა, გამეცნო ორივე,
ვინ სუსტი იყო და... ვინ–ჩემზე ძლიერი.
ვინა თქვა, თამაში, რომ თითქოს დასრულდა?
ნამდვილი თამაში სწორედ აქ იწყება...
შუაში ჩამოდის ცხოვრების მდინარე,
ორივე ნაპირის ქვა–ღორღით ივსება...
ვინ იცის, რამდენჯერ ამ ორი ნაპირის,
ყოფნის და არ ყოფნის ზედ ზღვარზე მივედი,
ცა ცისკენ მიხმობდა, მიწა კი–თავისკენ,
იმედი მქონდა და... არც მქონდა იმედი...
სახეს ვერ ვნიღბავდი, სულში რაც ხდებოდა,
წუხილს და სიხარულს ვერაფრით ვმალავდი...
სიყალბე ვერ მომწვდა, მადლობა უფალო,
ვიცოდი,უფალო, რომ დამიფარავდი!
თვალი გავუსწორე ცხოვრებას თამამად!
ჩემი სინამდვილით მე თვითონ ვმშვიდდები..
ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე,
ვერ შევძელ, გამედო სიცრუის ხიდები...
...თამაში დასრულდა...ცხოვრების დაფაზე,
რა ვქნა, თუ ვერ დავდე რჩეული შედეგი...
მე, არც მომიგია და არც, წამიგია,
უბრალოდ, ცხოვრებას... შუაში ვედექი!..

11.05.2017წ.

* * *

საკუთარ თავის ანაბარა შევრჩი საწუთროს...
ვმარტოობ ბევრში...სინაკლულე სიბევრეს გასცდა...
დასაბამიდან აუხდენელ სურვილებს ვევნე
იმ სწორი გზების, ლაბირინთს რომ ვერაფრით ასცდა...
მელაციცება უთქმელობის ნაცნობი შიში...
ან რა აზრი აქვს ნათქვამსა და სწორი გზით სავალს?..
და დღემდე ვეძებ გოლიათებს იმ ზღაპრებიდან,
რომ ვეძებდი და ვერ მივაგენ ვერც გამოსავალს!..
ლაბირინთებში ვბორიალობ... მხოლოდ ჩვენ ვიცით...
და არყოფილის უხილავი ცეცხლით ვინთები...
შენი მიზანი – მე და შენი სწორი გზა-შარა...
ჩემი ოცნება -შენ და ჩემი ლაბირინთები!

19.05.2020წ.

მე შენთვის ისევ ის აპრილი ვარ....

****

მე შენთვის ისევ ის აპრილი ვარ....
შენ ისევ, იმ ჩემ ბილიკს გაჰყურებ...
გასაოცარი ეს სიყვარული,
მითხარი, რითი დავიმსახურე?!.
შენთვის ისევ ის გაზაფხული ვარ,
შენი ზამთარიც ჩემი ბრალია...
ავად გამხდარან შენი იები,
ის ენძელებიც ავად არიან...
როგორ ვუშველო, მართლა არ ვიცი,
რით შევეშველო,მოდი, მირჩიე...
შენი ლამაზი მარტოობიდან,
რა უცნაურად ამომირჩიე...
იქ, სადღაც...ჩემგან, მიუწვდომელში,
კრძალვით იწვდიდი იმ ჩემ აპრილებს...
შენი ზამთარიც უხმოდ ჩაივლის,
ჩემი აპრილიც გაინაპირებს...
დღესაც არ ვიცი, შენთვის ვინ ვიყავ...
და რას ელოდი ჩემგან სასურველს ...
თუ, იმ ღალატსაც თავის ფასი აქვს ...
ღალატს, რომელსაც არ იმსახურებ?!..
რით გიერთგულო, მართლა არ ვიცი;
როგორ მოგენდო, მოდი, მირჩიე,
არ ვიცი, ასე თანდათანობით,
ეს, რანაირად შემოგიჩვიე?!.
ფერმკრთალი ფიქრი აღმართს შეუყვა...
სასურველამდე კიდევ შორია...
ვიცი, რიჟრაჟთან დამელოდები,
გათენდეს? რაღაც არა მგონია...
და მე არ ვიცი, გნატრობ თუ...მსურხარ...
შენ კი ოცნების სიზმრად გებარე...
მონატრებამდე თვალებს დავხუჭავ,
მოდი და .... ჩუმად შემომეპარე!...

05.04.2015წ.

...მიდიან და ხან დგანან დღეები...

****

მიდიან და ხან დგანან დღეები...
დიდებულად დუმს ხანაც მესია...
ზეცა ვარვარებს, მიწა გრილია,
აქ ღამე დღეზე უკეთესია!..
დგება, იცვლება და მეორდება,
კვდება, ცოცხლდება, როგორც წესია,
იქ დგომა არის გამოსავალი,
სადაც ცვლილება უარესია;
ბორგავს და მერე მშვიდდება ყველა,
აქ უფლის ნება უმაღლესია,
ზეცა გრილია, მიწა ვარვარებს
და ეს კონტრასტიც უნაზესია.
გზები იწყება, გზები მთავრდება,
საკუთარ თავთან რაღაც შემშლია,
და არ მასვენებს ის მოლოდინი
უკეთესზე რომ უარესია!...
...ხან მიმძიმს, ხანაც მემსუბუქება,
ეს არსებობა, წესი წესია...
ვიცი, ჩემშია ის არჩევანი,
უარესზე რომ უკეთესია!
დავდივარ, ვდგავარ, არ ვმეორდები...
ვიცი , რომ ჩემ წილ ტყვიას მესვრიან...
ის საჯილდაო ათვლის წერტილი,
რა მკაცრი და რა უნაზესია!

08.09.2017წ.

...მოზიდულია მშვილდი ბოლომდის...

****

მოზიდულია დროების მშვილდი,
გასროლილია ისარი ღამის...
ყველა საათი მომართულია,
ჩამოჰკრავს ზარი ნანატრი წამის...
დილიდან ვიწყებ რაღაცის ათვლას,
ვერდანახული შევნიშნე ღამით,
გუშინ რომ ჭოტმა კივილით მამცნო,
დღეს ვეღარ დავთმე ცოცხალი თავით!
ვისთვის თენდება, ვისთვის ღამდება,
უნდა ვუშველო, ვუშველო რამით...
მე თუ ვისვენებ თითქოს, ხანდახან,
შენ ვერ ისვენებ ვერცერთი წამით;
ეს დღეც სხვა ჩავლილს მიემატება...
კვლავ არ მასვენებს კივილი ჭოტის;
გამოხსნილია საწუთროს ბჭენი,
ვიღაც მიდის და ვიღაცა – მოდის...
.....მოზიდულია მშვილდი ბოლომდის!..
ისრები ვკონე, წუხელის, ღამით;
დღეც მიზანში მყავს ამოღებული,
მაგრამ... გასროლის არა მაქვს თავი!...

27.03.2018წ.

...მეპატარავა სამყარო და... ალბათა ვცოდავ!..

****

მეპატარავა სამყარო და...ალბათა ვცოდავ!...
უფლება არ მაქვს, დაუტეველს, მდურვა შევკადრო?!.
სულო, ეს რა გჭირს ?..სულ არ არის სამყარო ცოტა,
გთხოვ, მომიტევო, უდიდესო, უზენაესო!..
...და მაინც...გულო, რატომ ზომავ, სივრცეს და მანძილს?
მოთმინება ხომ მოლოდინთან, ყოველდღე სცოდავს!
არა ყოფილა დედამიწა არც ისე მრგვალი,
წუთისოფელიც არ ყოფილა ისეთი ცოტა!..
...თუ ღამე ცოდვის ტრამალებზე კარავებს გაშლის,
და ჩემნაირად, შენ ვერ შეძლებ ამის დანახვას...
ალბათ, საუფლოს დავარქმევდი, იმ ლამაზ ცოდვას,
რომ მეჩემები, მაგრამ მაინც...ჩემი არა ხარ!...

03.03.2017წ.

ირმა ალფაიძე
(ირმა იმერელი)

❤ ❤ ❤

იმერეთი-საქართველოს სამოთხე...
იმერეთი-ჩემი გულის ფეთქვა...
აქ დაიწყო ჩემი თვალსაწიერი...
სიყვარული ლექსის მუზად მექცა...

აქ ბაგრატი...მოწამეთა...გელათი...
საოცარი სიწმინდეა ჩემთვის...
იმერეთი-საგანძური ღვთიური...
ჩემი ქვეყნის უკვდავებას ერთვის...

აქ დავითის ძვლები ჭერს გაგვიმაგრებს...
კაცხის სვეტი ზეცის მადლად გვხურავს...
აქ სხვა ფასი აქვს სიყვარულს-ნამდვილად...
სათაფლია გულს გაუხსნის სტუმარს...

აქ აკაკი ამღერდება ჩონგურით...
გალა გვეტყვის ლექსებს-არსაჩუმარს...
სულს დაგვიტკბობს ზაქარიას,,დაისი,,...
კაკაბაძე გვისახსოვრებს სურათს...

აქ,თეთრ ხიდზე მოსეირნეს,თავხედი
ქარი სხვაგვარ სადარდებელს მიჩენს...
ყელზე ჩუმად შემომაწნავს გვირილებს
და თავისთან საალერსოდ მიწვევს...

აქ სხვაგვარი მზე ანათებს-ნათელი...
დედაღვთისას ღიმილია,იქნებ?..
ჩემს ქუთაისს შემოვივლი ფეხდაფეხ...
და რიონი ამოიცნობს ფიქრებს...

იმერეთი-საქართველოს სამოთხე...
იმერეთი-ჩემი გულის ფეთქვა...
დღეს სხვაგვარი ჩახუტება მომინდა...
მოფერება ლექსად უნდა მეთქვა...*

დედა უფლისაო

დედა უფლისაო,წმინდაო მარიამ,
შენთან სალოცავად მოვედი...
გულში ჩამიკარი,დაღლილ-სევდიანი...
დარდი დამავიწყე ყოველი...
    სიცოცხლე დავფლითე ეკლიან ბილიკზე...
    იბრძოლო,არ არის ადვილი...
    შეგთხოვ,ცრემლიანი,მადლიან კალთის ქვეშ
    ჩუმად მიმიჩინო ადგილი...

რამდენი ვეწამე...რამდენი ვიტანჯე...
თვალი გადავავლე განვლილ გზას...
ამტკივდა ტკბილ-მწარედ განვლილი ცხოვრება...
ბურუსი ტაძრამდე მომიყვანს...
    მოვედი რწმენით და დაღლილი სხეულით...
    ღვთის სახლში სინათლეს დავეძებ...
    მინდა,სიმშვიდე და ნუგეში ვიპოვო...
    ლოცვად მუხლმოყრილი,გავედრებ...
დედა უფლისაო,წმინდაო მარიამ,
შენთან სალოცავად მოვედი...
გულში ჩამიკარი,დაღლილ-სევდიანი...
დარდი დამავიწყე ყოველი...*

მომენატრე

იცი,როგორ მომენატრე გუშინ?..
უშენობის მომერია სევდა...
წვიმახშირ და ფერდაკარგულ ღამით
სიმარტოვის ქარი ღრუბლებს ხევდა...
    დარდი ნისლად დამეფინა მხრებზე...
    და წვეთებმა დამინამეს სახე...
    საგანძურად შემონახულ ტკივილს
    აქვს რიჟრაჟის მკრთალი იერსახე...

თვალებს ვხუჭავ...თითქოს არსად არ ვარ...
შენი სულის ფერებს ვხატავ ასე...
მაინც ვუძლებ...შენს თვალებში რადგან
მე ნამდვილი სიყვარული ვნახე...
    სიხარულში ჩემს გვერდით ხა სუნთქვად...
    განსაცდელშიც შენზე ფიქრებს ვიწყებ...
    როცა მცივა,მოცახცახე მხრებზე
    ჩვენს სიყვარულს სამოსელად ვირგებ...
სასთუმალთან ჩამომჯდარა ფიქრი...
მათბობს გრძნობა,მზის სხივების მსგავსი...
ვნატრობ,ქარმა გაიტაცოს ბინდი...
ამ სიყვარულს არ მოედოს ხავსი...
    იცი,როგორ მომენატრე გუშინ?..
    შეშლილ განცდებს მოერია სევდა...
    წვიმახშირ და ფერდაკარგულ ღამით
    სიმარტოვის ქარი ღრუბლებს ხევდა...*

ირმა სარაული

დ ე დ ა

~~~~~~~~~~~~~

შენი სუნთქვის გაგონება მინდა,
შენს ჭაღარა თმებზე ფიქრით ვტკბები,
საოცარი სურნელება მომდის,
დათოვლილი, შევერცხლილი თმების.
თვალწინ მიდგას მოფუსფუსე ქალი,
დედა-შვილზე მზრუნველი და ტკბილი,
მალვით გზისკენ დარჩენილი თვალით,
მომლოდინე შორს წასული შვილის.
ხატების წინ ცრემლიანი ლოცვით,
გაქარვებულ ურვის სველი კვალი,
ვითომ მშვიდად მომღიმარი ზოგჯერ,
თუმცა გულში არ ჩამქრალი ალი.
ნაოჭებით სავსე სახის მზერა,
გადაღლილი, გამოხედვა თვალის,
მომენატრა ჩახუტება გულში,
უიმედო იმედი მაქვს ხვალის.
გზა შორი და მონატრებით სავსე,
დედის სუნით გაჟღენთილი სევდა,
ნეტავ იმ დროს, მუხლსისხლიან ბავშვებს,
გვტუქსავდა და თან ხელებს რომ გვხვევდა.
არც ასაკი, არც წლებია რამე,
დროვ, გვტოვებ და უდარდელად ქრები,
როგორ ფუჭად გვეკარგება ვაგლახ,
ერთმანეთის მომლოდინე წლები.

არ გამომიტანო განაჩენი.

~~~~~~~~~~~~~

გულო, რაღაც ვეღარ გიფრთხილდები,
თითქოს სხვისი ხარ და არა ჩემი,
ისე გაბრაზებით იბღვირები,
არ გამომიტანო განაჩენი.
უნდა მაპატიო "ორგულობა",
განა გიღალატე, მაიძულეს,
სულაც არ მჩვევია დიდგულობა,
უბრალოდ, უმწეოდ დამიგულეს.
განა გაგექეცი, დაგივიწყე,
ახლაც ხომ მკერდით დაგატარებ,
მოდი, შემირიგდი, ნუღარ მიწყენ,
ნუ გამომიკეტავ ბრაზით კარებს.
უნდა მაპატიო გულო, იცი
როგორ დაძაბული ვსუნთქავ ისევ,
როგორ გამიჭირდა დავთმე ფიცი,
გულო, ბრძოლის ველზე ნუღარ მიწვევ.
ზოგჯერ ჯიუტობ და თავს მახსენებ,
განა გაგასხვისე, მიგითვისეს,
გულო, სწორ გზაზე თუ დამაყენებ,
ჩემს დარდს მოგიყვები, არა სხვისებს.
ვიცი ნაწყენი ხარ, ძველებურად
აღარ მახსოვხარ და მიგატოვე,
ერთიც მაპატიე შენებურად,
ყელში ამოვიდა სიმარტოვე.
რაღაც ყურადღებით აღარ მისმენ,
თითქოს სხვისი ხარ და არა ჩემი,
გულო, ამდენ ტკივილს ვეღარ ვითმენ,
არ გამომიტანო განაჩენი.

მამის მონატრება

დღესაც უსაშველოდ მენატრები,
ძვლების ტკივილამდე, უიმედოდ.
იმ ქვეყნად ცოცხალივით მედარდები,
მკვდაროც კი, ჩემდა საიმედოვ.
ზოგჯერ ბინდი ფარავს მოგონებებს,
ზოგჯერ საუბრებში გეხუტები,
ხანაც გაბრაზება დამიმონებს
და ცელქი ბავშვივით გებუტები.
მამის მონატრება, სიყვარული,
რთული ასატანი, სათმენია.
გოგოსთვის ყოფილა უფრო რთული,
წლებია შენი ხმა არ მსმენია .
წლებია, შენი ტკბილი გამოხედვა,
მამის დაძახება მენატრება,
ამხელა ქალი ხარო, არვინ მითხრას,
დაგეძებ და ბავშვობა მიემართება
წლები? – არ ყოფილა არაფერი,
მშობელს ასი წლისაც ვერ მოიწყენ,
მინდა, გეჭორაო ყველაფერი,
როგორც ბავშვობაში – ვეღარ ვითმენ.
ხან ისე მჭირდები, სიმწრისაგან
საკუთარ უმწეობას ვუბრაზდები.
ვაგლახ, შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ,
მწარე მონატრებას ვუმკლავდები.
ყოველთვის ფიქრებში გიყვებოდი,
ახლაც ალბათ ასე გაგრძელდება,
შენს გზას უშეცდომოდ მივყვებოდი,
– ეს დილაც ასე გათენდება.
დღესაც უსაშველოდ დამიარა,
დარდმა, შენი ხილვა მენატრება.
წლებმა ვერაფრით ვერ დამიამა,
გნატრობ და "ბავშვობა მემართება"

ქუჩას აყრუებდა ქალი

მოდიოდა ქალი გზაზე,
კაბის კალთებს ფართოდ შლიდა.
ჯიუტ მზერის დანახვაზე
მორცხვობდა და წამწამს ხრიდა.
არც რამ დარდი,
არც რამ სევდა,
თვალებს მზის სხივი აკრთობდა,
ტუჩი წითლად მოელვარე,
თეთრ სახეზე სუსტად თრთოდა.
მოდიოდა, თან მოქონდა
კაცთა მოდგმის ნატვრის თვალი.
კაბის ლაღი შარიშურით
ქუჩას ატყვევებდა ქალი.
შევხედე და შემომხედა,
დენის დარტყმა ვიგრძენ, გავშრი.
ქალი თვალებს მიჟუჟუნებს
"სამოთხეში შესვლის საშვი" .
ამაღელვა, ამაძგერა,
ამიჯანყდა სულში კაცი.
სიტყვა პირზე შემეყინა
მისკენ ხელგაშლილი დავრჩი.
გავეკიდე, დამემალა,
მახელებდა კაბის კალთა.
სურვილმა გამანადგურა,
მაგიჟებდა მოდგმა ქალთა.
ამ ქალს თუ კი ვერ დავიპყრობ,
რა აზრი აქვს ყოფას ჩემსას,
ჩემს იღბალს ხვეწნა დავუწყე
– "მწყერი ხეზე უნდა შესვას" .
მისი ტანის სურნელება,
ცხვირის ნესტოს ხარბად წვდება.
რაც უფრო შორს მემალება,
უფრო სანატრელი ხდება.
მოვიკვნიტე ტუჩი სიმწრით
ჩემში კაცი გულ-მკერდს მიღრნის,
ჩემი უსუსურობის და
უმწეობის ძლიერ მიკვირს.
ვდიე გზა-კვალ არულმა,
ბევრჯერ ლანდი მომხვდა ხელში,
ღმერთო, არავინ ჩააგდო
ახლა რომ ვარ
ასეთ დღეში.
მიდიოდა, თან მიჰქონდა
კაცთა მოდგმის ნატვრის თვალი.
კაბის ლაღი შარიშურით
ქუჩას აყრუებდა ქალი.

მანანა სამყურაშვილი

* * *

მე ვარ სამი უკვდავების მფლობელი!
ვაზო! შენი დალოცვილი ძირისა
და მტევნისა სილამაზის მლოცველი,
მესამე კი უკვდავქმნილი ღვინისა!

ფიქრი...

რამდენი ფიქრი მქონია თურმე...
რამდენმა გული მისერ-მისერა,
რამდენი უხმოდ გამოვასახლე,
რამდენმა უხმოდ მიმწელ-მომწელა...

ფიქრი დარდების არის სადავე,
მას კარგად უნდა გონით დაჭერა,
სწორად ბჭობა და სწორად აღწერა
ხანაც, ლმობიერება ანდა დათმენა.

ფიქრი აგიჟებს, ფიქრი აწამებს,
ფიქრმა შორს იცის გულის გათრევა,
გრძნობის მორევში ისე ჩაგახრჩობს,
ვერვინ მოასწრებს მძორის გათრევას...

და თუ გულშია ის გახლართული,
უნდა ეცადო მისი გამოსვლა,
უკუაქციო დარდი, ვარამი და
მიაწყევლო,უკან არ მოსვლა!..

ფიქრში რამდენი მდინარეა და
ფიქრი ნაღელი როგორც იორი,
შენ უნდა იყო მისი შენქმნელი,
შენ უნდა იყო ფანტაზიორი.

რამ დაამუნჯა...

კუთხეში ვდგევარ დასჯილ ბავშვივით,
სულის ტაძარში სანთელი დნება
და წუთუსოფლის ბრიალა ცეცხლში
ქვა შეყოლილი ცოდვითა სკდება.

რამ დაამუნჯა ჩემს გვერდით მყოფი,
მტერი სამიზნედ ისრებს რომ მესვრის,
აქუხებული სისხლი მოსჩქეფს და
ცოდვის მდინარეს ტალღებით ერთვის.

რამ დაამუნჯა მოყვასი ჩემი,
ნუთუ არ ესმიის ჩემი წუხილი?!
ცა მოშავბედდა ცრემლები სცვივა
ქვეყანას ახშობს მისი ქუხილი.

ის კი რატომღაც დღევანდელი დღით,
კმაყოფილების სურვილს იოკებს,
და შეყუჟული სულის ნაჭუჭში
ტუჩის კუთხეებს ღიმილს აფერებს.

მინდა იყვავილოს...

სული მოშრიალე ფოთოლს დაემსგავსა,
არ მსურს შეარხიოს უგნურთა ქარებმა,
სანამ არსებობს მინდა იყვავილოს
შვება მოჰგვაროს ცისკრის ზარებმა.

მზეს ფიროსმანის მოხატულს ცაზე,
ემჩნიოს მუდამ მშვენება ხატის,
და ვარსკვლავები ცაზე ნაბნევი
ყვაოდეს როგორც იანი მარტის.

მაშ ჩემი სული დარად გამოვა
საკინძეს შეხსნის მძინარე აპრილს,
ყვავილთ გულებზე ჩამოკრეფს მძივებს
სახეს შეაცხებს ნაზ ფერუმარილს.

და მთებზე ჩაწნულ ჩანჩქერთა დალალას
ქნარზე გააბავს ვით ნაზი სიმი,
ბუნება მგოსნად გადაიქცევა
იმღერებს სანამ გაწყდება სიმი.

ასე დაბადა კალამმა ლექსი...

ჩამავალი მზის სხივები მაკრთობს...
როგორ ცვივიან დედის კალთიდან...
დილით ასეთი ახალგზრდანი
ხანმოკლე დროში რად ბერდებიან?

ზღვას შევედავე, რატომ და რისთვის,
წყალს ჩაცვივნილნი რად წითლდებიან?
ნუთუ აკრიფეს ცოდვანი ქვეყნის,
ცოდვილთ სანაცვლოდ სხივნი კვდებიან?!

დადუმებულმა ღელვა დაიწყო,
ვერა გავიგე მდუმარე ზღვიდან.
მზემ კი კარები გამოიკეტა
ჩამომიშორა უთქმელად გზიდან...

დილით როდესაც ცისკარი გახსნა,
მზემ სხივი შალა უბე-კალთიდან,
სული მოვითქვი, მეამა ისე,მწყურვალე
კალამს რითმა ვაწოვე მზის გულ -მკერდიდან.

ასე დაბადა კალამმა ლექსი,
სიტყვა უთქმელად, რითმით შემკული,
ამიტომ ვერსად ვეღარ გავუშვი,
გულში მყავს ვითა შვილი ჩაკრული.

დავდივართ ერთად ცვრიან მდელოზე,
მთა, ველად ყოველს იებით ვქარგავთ,
ერთად ვათანხმებთ სიტყვას – სიყვასთან,
დროს არასოდეს უქმად არ ვკარგავთ.

ასეა, როცა მზე სხივრბს გაშლის
ცვივიან სრულად ჩემს გულის კარზე,
სული აფრენს ცად სულის რაშებს,
ფლოქვებისცემით მიდიან ცაზე.

კალამს არ უნდა სხვა ამის მეტი,
ის იმას ავლენს ირგვლივ რაც ხდება,
თქვენ რა გგონიათ, მან ის არ იცის?
ცის კაბადონზე დილით რა ხდება?

რა თილისმა გაქვს...

დარდის ქურაში მაწრთობდი ქალო!..
გულს დიდი გრძნობით შემორჩენილხარ...
ხის ტოტზე მჯდარი, ვით ბროწეული
ჩემს საკოცნელად გადმოწეულხარ...

გულს სიყვარულის ცეცხლი ამინთე,
ვერ მივხვდი როდის? როგირ აანთე?
დაუკითხავად გულში რა წმინდა,
მარადიული ცეცხლი აანთე...

მეჟღურტულები სულის მერცხალო,
მიგალობ, გულის კართან ჩამოჯექ,
მარადიული სიმღერის ფონზე
ჩემს გულის ღრიჭოს სიმად დაუდექ.

ამიზრიალე სულის კუნჭული,
ბნელი კუთხენი სანთლით ანათე,
სულში კელაპტრად ჩამოქენ რწმენა,
რა სიკეთე ჰქმენ, გამომანათლე...

შეუდარებლად განწმინდე გული,
ყველა აუგი კარში გავყარე...
მხოლიდ შენ დარჩი ჩემს სიახლოვეს
რა თილისმა გაქვს?
თავი ასე რით შემაყვარე!...

ჩემი არწივის ბუდიდან...

პეშვით შეგასვავ მთის ნაჟურს
გადმოღვრილს მთათა უბიდან,
მართვეებს დავაფრთიანებ
ქედზე არწივის ბუდიდან.

მთას სამოსელად ჩავაცმევ,
შეიდიშს, ატლასის ფარჩას,
მაგრამ თარგისა ამჭრელი
ჯერ თერძი არსაით არ ჩანს...

მანამდე კლდეებს დავივლი,
ვეძებ მიჯაჭულ ამირანს,
გული აქვს გაავებული
კავკასიონი თან მიაქვს...

მეც ამ მთებისა შვილი ვარ!
მსურს რომ ჯაჭვები შეუხსნა,
სამშობლო მე ეს ერთი მაქვს,
მსურს ცოტა მკაცრად აუხსნა!..

წავიდეს, თვითონ იაროს,
მთას მე ვერ შემხსნის გულიდან,
ვერ გადმომაგდებს ვერავინ
ჩემი არწივის ბუდიდან!..

რატომ ვეღარ მიცანი?!..

არ გიცნობდე ვინა ხარ,
ყვავილს დაგადარებდი.
მთის იას და ბაღის ვარდს,
შენ ერთს შეგადარებდი.
გუშინ გზად რომ გიხილე,
სახეს რად მიმალავდი?!
ემაგ თვალთა ჩეროებს
ცრემლით დაგინამავდი.
ცის კიდიდან ვარსკვლავებს
მძივად ჩამოგაბნევდი,
მზის ჩადრებს და მოსასხმს
მხრებზე შემოგახვევდი.
გაიხსენე, მთის წყაროს
ჩემი პეშვით გასმევდი,
ხელუკარებ ლამაზ ტანს
ლერწამივით არხევდი.
გიშრის თმას და კულულებს
მხრებზე ნაზად გაფენდი,
მთის შროშანებს, კესანეს,
დალალებზე გაბნევდი.
გამაოცა დუმილმა!..
რატომ ვეღარ მიცანი?!
ნიავისგან ბევრჯელ ხომ
გულში ჩაკრულს გიცავდი.
ჩემი გული მაშინ ხომ
გულის ფეთქვას გისმენდა,
ნეტავ, გრძნობა სულელი,
ამას როგორ ითმენდა?!..

რა გინდ ეფერე...

ჩემს ბავშობაში თეთრი ენძელა,
უღრანი ტყიდან წამოვიყვანე...
ბევრი ვეფერე, ბევრი ვეცადე,
გულის ძგიდეზე ამოვიყვანე.
რა საუბარი სცოდნია თურმე,
რა მოფერება, თვალთა ციალი.
მას თეთრ ჩოხაზე ძლიერა შვენის,
ოქროს ღილების სხივთა კრიალი.
ჩოხას შენატრის დედა ლილეო,
მოსწომს მისი ქართან ტრიალი...
ხანაც ვატყობ რომ მოუწყენია...
მორცხვია ძლიერ, თავდახრილია.
მთაში წასვლა რომ მოენატრება,
ჩემთანაც თითქოს გულახრილია.
აღარ ახარებს ბარად ზეიმი,
მზის სხივებთანაც გაბუტულია,
რაგინდ ეფერე, ესიყვარულე,
თავდახრილი და განაბულია.

ი ე ს ო !..

,,ვაი, რა კარგად საჩინო
რა ავად მიმიჩნ-იესო,"
შვილობილი ვარ მე შენი
რატომ ვერ გამარჩ-იესო,
ჩემი ნათქვამი აზრები
რატომ ვერ გაარკვ-იესო...
გულით ნათქვამი სიტყვები
ცუდად რად მიიჩნ-იესო,
იციან? ცრემლებმა გული
შუაზე გამირღვ-იესო!
მომათმენინე იესო თუ
გული გამიც-იესო,
ჩემს გულში რწმენა კეთილი
მით უფრო განაღვ-იესო,
თუკი როდისმე შევცოდე
სიტყვა არ მაპატ-იესო,
გულით კეთილი მხევალი
ბოროტად მიმიჩნ-იესო,
ამღერებული გულისთქმა
ტირილად გადმიქც-იესო,
გული ჩამიგდეს ღადარში
ნაცარი მოაფრქვ-იესო,
მეც ამ საწუთროს შვილი ვარ
სწორად ვერ გამარჩ-იესო,
უფლის მცნებებსაც ვიცავ და
ვკითხულობ მეტან-იესო,
თვალში ნაცარი მაყარეს
ცრემლები მაღვრევ-იესო,
სხვის თვალში წამწამს ეძებენ
თავისში?! დირე ვერ გაარჩ-იესო,
ურწმუნოებმა მცნებები
ზედ თავზე დამახ- იესო,
გულის პერანგი ბოლომდე
ერთ გაკვრით გამიხ- იესო,
ოქროს ასოთი ნაქარგი
სიტყვა ვერ გაარკვ- იესო,
რატომ და რისთვის ნეტავი,
გუნდრუკი დამაკმ-იესო.
გოლგოთას მთაზე შენსავით
მეც ჯვარი მაზიდვ-იესო...

წუთისოფელი...

პეშვით მიჭირავს ჩემი სიცოცხლე,
დავყურებ ჩუმად როგორ ილევა,
ტაძრად ნანთები სანთელის მადლი
ჩემს წინ ცრემლებად მიტომ იფრქვევა.

წამი – წამებში, წუთი – წუთებში
თოვლის ფიფქივით ხელში მადნება,
თვით წელიწადი გაოგნებული
დროის მანქანას უხმოდ მიჰყვება.

გულმა შეიფსკვნა ოქროს საკინძე,
სული ჩამავალ მზის სხივს გაჰყვება,
გაოგნებული ბედის ვარსკვლავი
დედამიწის გულს ზედ დაასკდება.

და ოდეს მიწა, უფლის ხელთ ქმნილი
ნეკნის მწირ ძვლიდან...გარდავიქმნები
მიწის საკვებად.
წუთისოფელი საზღვრებს აწესებს,
სივრცე ცოტა აქვს ფრთებს გასაშლელად.

შემოდგომა კავკასიონზე...

მზის გული კრთოდა,
კავკასიონს ცრემლი სცვიოდა,
ტკივილ შეძრულ გულს
ყველა ძარღვი ძლიერ სტკიოდა.

აქუხებული მდინარეები
ქედს მოჰკიოდა და დახეთქილი
ძარღვებიდან მდინარეებად
სისხლი სდიოდა.

შეწუხებული, მარტოობით განრისხებული
ატლასის სამოსს ტანზე იხევდა
და თვალებიდან ჩამონადენ ყინულის
ლოლოს ნეკნზე იმტვრევდა.

ქარიც კი შეძრა,ძლიერ ხელს
დაუნანებლად მჯიღზე იცემდა
და შემოდგომის ფოთოლცვენით
გაავებული, ფარჩის ნაგლეჯებს
ფეხქვეშ იფენდა.

მტრის ხელთ ნატსნჯი...

ჩემს გაკვირვებას ნურვინ ეცდებით,
ჩემთვის წამებული ქრისტე მყავს ჯვარცმული,
მისი ხმა ტკბილი,მისი ღაღადისი
იცით? რომ არის წმინდა ქართული!

ჩემს გაკვირვებას ნურვინ ეცდებით,
ხვთისმშობელი მყავს წმინდა ქართველი,
მისსავ მამულში მისი მოყვანილი საფერავით
წმინდა ტაძარში ვეზიარები სულით ქართველი.

კავკასიონი შემოურტყავს ამირანს წელზე,
ჩემი კახეთი გადაუფენია მას ძლიერ მკერდზე.
კახელი კაცი სიმღერას რომ დააგუგუნებს
უფლის ლოცვას გავს მადლმოსილი კახეთის ველზე.

მტრის ხელთ ნატანჯი, აჩეხილი ვაზის ზვრები მაქვს,
ამ სიდუხჭირის ნაამბობით დღესაც თვრებიან
და თემურ ლენგის კოჭლი ფეხების ნატერფალებზე,
ვაზის ცრემლებით მტრის ჯინაზე ისევ თვრებიან.

რას მეტყვით სადარდს, რით გამაკვირვებთ,
იცით? დედა მყავს მკერდაშანთული,
ძველი დარდი და ძველი ვარამი
ო, რამდენი მაქვს გულს დაშარტული.

სამშობლოსთვის წამების მსხვერპლი,
დედოფალი მყავს მკერდაშანთული,
ქუხს ქეთევანის წმინდა სახელი
ქრისტეს ტოლფასად გაბრწინებული.

მტერო! ქართველი დედის სულისკვეთებით
ბევრჯელ დარჩები გაწბილდბული,
ვერ შეგვაშინებ დღეს მის შვილებსაც
რაგინდ წინ დამხვდე გაავებული.



ლელა კობერიძე-ჭიაურელი

*** ჰ ა ე რ ი ***

საკირელია ჰაერი
უჩინარია თალითა,
სახეზე გვეამბორება
ჩვენთან არს დღე და ღამითა.
ის გვახვევია გარშემო
მასში ვართ მთელი ტანითა,
უჰაერობით მოკდებით
ვერ გავძლებთ ერთი წამითაც.
მაშინ გრძნობთ როცა მოძრაობს
როცა ქარს აჩენს ხანდისხან,
ცივი ჰაერი თბილსა სძლევს
და მიაქანებს მაღლითა.
ერთმანეთს უერთდებიან
ერწყმიან მთელი ძალითა,
ამ დროს შევიგრძნობთ მის ადგილს
ჩვენს ირგლივ დიდი ამბითა.
ორმაგი დინება მოდის
ცივი დს თბილი ჰავისა,
თბილი ჰაერი ბარშია
მზისა და მიწის მადლითა.
ცივი ჰაერი მთას ახლავს
კლდეთა და ტყეთა ფარითა,
მაღლიდან მოემართება
ნიავითა და ქარითა,
უჩინო ნივთიერება
გვაქვს ღვთაებრივი ძალითა.
11/11/2021წ. ათენი.

*** თერგდალეულნი ***

საქართველოს გაჩენიდან
გვწყალობს მუდამ უფალი,
რადგან მთელი საქართველო
იყოს თავისუფალი.
ოდიდგანვე ქართველობას
ჟლეტდა მტერი მურდალი,
ვერ მოხარეს ვერ გატეხეს
ერი თავისუფალი.
მეცხრამეტე საუკუნის წლები რომ გაილია,
ეროვნულ საქმეს ამკობდა
აკაკი და ილია.
თერგდალეულთა რიგებში
ისინი გაერია
ვისაც სამშობლო უყავრდა
ბრძოლაში დაილია.
რუსთა სიმკაცრის ქვეშ იყო
საქართველოს დღენი,
სწავლა აკრძალული იყო
ქართულ ენონების
წერა-კითხვა,ლაპარაკიც
მათდა მეოხებით,
მაგრამ ყურს აღარ უგდებდნენ
სულით მეომრები.
თერგდალეულთა რიგებში
ითვლებოდნენ ღირსნია,
აკაკი წერეთელი და ჭავჭავაძე ილია,
იაკობ გოგებაშვილი და
სწავლულნი პირნია
სანდრო ახმეტელი იყო
ღირსეული შილია.
მიხეილ ჯაახიშვილი და
ქართველთა ჯიშია,
დიმიტრი ყიფიანი და
მრაალნი პირნია,
საქართელოს შეეწირა
უკარგესი შვილნია,
ერის თაისუფლებისთვის
რომ იბრძოდნენ ღირსნია.

25/01/ 2013 წ. ათენი.

წვიმა და ქარი

როგორ ხდება ცელქი წვიმა
საოცრად რომ მოდის ციდან?
ზღვათა აორთქლებულ წყლიდან
ცივდება და ნამად ცვივა.
კიდევ კარგი ეს ღრუბლები
ერთ ადგილზე არა დგას,
თორემ ისევ იქ მოწვიმდა
აორთქლება სადაც აქვს.
ქარი ღრუბლებს გადაფანტავს
ხმელეთისკენ წაიღებს,
ერთმანეთს შეეჯახება
ზეცა გრუხუნს დაიწყებს.
ჟუჟუნა წვიმა წამოვა
მიწა ბევრ წყალს აიღებს,
დალოცვილი წიმისაგან
თესლიც ფესვებს გაიღებს.
გამწვანდება არე-მარე
თან სიცოცხლეს დაიწყებს
უქაროდ ვერც წიმა მოვა
ვერც ჭირნახულს ავიღებთ.
დიდ სიკეთეს შვრება ქარი
სიმსუბუქით დაფრინავს,
გაფუჭებულ მავნე ჰაერს
ცხრა მთას იქით გაფილტრას.
ხოლო ტყიდან მონაბერით
ჟანგბადს ცამდე აიტანს.

30/ 10/ 2021წ. ათენი.

დღე და ღამე

ცაზე რძისფერად აცურდა მთვარე
და გაანათა უკუნი ღამე,
შემოუარა კლავ დედამიწას
დარაჯად დადგა სამყაროს თავზე.
გზად მიმავალი ვარსკვლავებს შეხვდა
მობრწყინვალეებს და მოკაშკაშეს,
ამ უსასრულო გალაქტიკაში
გაუჩინარდა ცას მონარნარედ.
გარიჟრაჟს შეხვდა ამომავალ მზეს
ოქროსფერსა და მოელვარეს,
დილამშვიდობის უსურვა კრძალვით
და მიიმალა გადაღმა მხარეს.
ღამეს დღესთან აქვს სხვაობა დიდი
ამ დროს საათიც ნელ-ნელა მიდის,
ღამე დღეს შეხვდა წამით და ისისც
გადაიფარა საბანი ბინდის.
მზე ამოვიდა გაშალა სხივნი
ცას გადახადა საბანი ბინდის,
აჟრიამულდა სიცოცხლე ირგვლივ
დღე-ღამემ მისცა დროს ბრუნვა წინსვლის
და ეს ცხორება დროსთანე მიჰქრის.
ადამიანს აქვს დიდი დრო ფიქრის
რომ სამყარო გვაქს სიყვარულისთვის,
დღეა სიცოცხლის -ღამე კი ძილის
ბედნიერების და სიმრალისთვის.

14/10/2021წ. ათენი.

მონადირე არწივი

არწივი როცა ნადირობს
მშიერს არ ახლავს ფიქრები,
რასაც თვალს მოჰკრავს იტაცებს
ესაა მისი მიზნები.
თალს გადაავლებს მაღლიდან
სამიზნედ თუ აქვს მინდვრები,
ვირთხა,კურდღელი თაგუნა
გელ-ბაყაყი თუ ხვლიკები.
არც წყალში უჭირს მოძებნოს
თევზები დიდზე დიდები,
მსხვერპლი ხან ფსკერამდე ჩაჰყას
კარგად ჩასჭიდოს ფრჩხილები.
ნადირობის დროს ჩვევია
კლდიდან აჰყაროს ჯიხები,
მისთვის ხომ სულ ერთი არის
ცხვარ– ბატკანი თუ ციყები.
ნანადირევი წაიღოს
რომ მიიტანოს ბუდეში
და მართვეები დაზარდოს
თაისუფლების ნუგეშით.

22/ 10/ 2021წ. ათენი.

ნელი საგინაძე

იაკობ ცურტაველი

ცურტაველო, კიდევ ერთხელ დაგვიწერე "შუშანიკი"
რუსთაველო, ვეფხის ტყავით გაგვიხსენი ქართვლის ნიჭი,
დამიანე, კიდევ ერთხელ უფლის ფრესკა შემოხატე
საქართველოვ, ქრისტეს ჯვარი რწმენად გულში შემოქარგე!

გორგასალო, კიდევ ერთხელ ხოხობს თვალი გააყოლე,
ქართველებო, ჩონგურის ხმას ტკბილად ბანი ააყოლეთ
ჩუქურთმების ლოდის ქრაში საჭრეთელი ააჟღერეთ,
ქრისტეს ლოცვით და გალობით ეს სამყარო აამღერეთ!

თამარს ისევ გაუღია ქვრივ– ობლისთვის ხარკი დიდი
და უფლისთვის მიუძღვნია გული წმინდა , თვალი მშვიდი,
მეფეს ხერხით მოუხსნია მონგოლური მძიმე ურდო
და გიორგი ბრწყინვალებდა, როგორც მზე და მეტი უფრო!

ცურტაველო, დაგვიწერე "შუშანიკი" ერთხელ კიდევ
წმინდა ნინო, მაყვლოვანში შეგვაწიო ლოცვა იქნებ,
წყალობის წმინდა გიორგი, გვიწყალობე შენი მადლი,
ღმერთო, რწმენა გაგვიმრავლე ყოველი დღე თითო ადლით!

სააკაძევ, შენს მკლავს ხმალი უქარქაშო დაებედა
ქართველს განძად ქრისტეს მეტი არაფერი არ ებედა,
საკვირველი ძლევით დიდგორს გადაოცდა მაღლით ზეცა,
როგორ გავძლო, სინანულის ცრემლით სიტყვა ,რომ არ მეთქვა!

ფიროსმანმა ფუნჯით ცაში შეუცოცხლა ფრესკას სახე,
მამა დავითს ჩავეხუტე, ასურელთა მადლი ვნახე,
ცის ტატნობზე ჯვარი მცხეთას უღიმოდა მადლის სულით
სვეტიცხოველს გულს ჩაეკრა განძთა განძი კვართი უფლის!

ღვთისმშობელო, შენი კალთა საფარველად დაგვაფარე,
მტრის ჯინაზე გააბრწყინე მისი მიწა, მისი არე,
ღმერთო მინდა ბევრი ითქვას ამირანის ნამდვილ მითზე
ცურტაველო, კიდევ ერთხელ დაგვიწერე "შუშანიკზე "!!!

გაზაფხული

შემომმისახლდი სულში იების
და ენძელების კონად,
ამიყვავილა მარტმა ეზოში
ულევ ყვავილთა გროვა!

სისუსხეც, სადღაც ზამთართან ერთად
გადაკარგულა მთებში,
და გაზაფხული ამღერებულა
ლურჯი იების ფერში!

ლილისფერი ცა სევდის ღრუბელმა
დატოვა, როგორც მდგმურმა,
გაიდედოფლე მარტის თვეო, რომ
იგაზაფხულოს სულმა!

და სიყვარულიც ამ თვესთან ერთად
აუცილებლად მოვა,
შემომმისახლდი გაზაფხულივით
და იმედების თოვად!!!

დედა

იის სურნელება მოგაბნიე
გულზე სიყვარულთან ერთად,
თვალზე სევდის კვალი მოგაცილე
სულ, რომ გეღიმოდეს დედა!

ზღაპრად გადმოვსახლდი უცებ შენში
მესმის შენი გულის ფეთქვა,
შენს ახალგაზრდობას თვალი შევაყოლე
ო ი, რა ლამაზი მყევხარ!

ჩემი თვალების წინ ბუნდად ჩაქროლებულს
ლანდად ჩემს ბავშვობას ვხედავ,
"ჩემო მარგალიტო," "დედას სიცოცხლეო'
რამდენ ალერსს ვისმენ შენგან!

ჩემთვის ვარსკვლავებსაც ცაში ხელით კრეფდი
ესეც, როგორ შესძელ ნეტავ?
ისე გაგფრენია წლები ხელებიდან
ამას არც კი იმჩნევ დედა!

როცა მოვიზარდე, შენც დრო მოგრჩა ხელში
მაგრამ, მაინც ჩემთვის ფეთქავ,
ახლა შენი გული სანთლად დაგინთია
და ჩემთვის ლოცულობ ღმერთთან!

შეუფასებელი, დიდი რამ ყოფილა
დედის მზრუნველობა ქვეყნად,
ღმერთს მადლობას ვწირავ ამხელა იმედი
ჩემს "დედიკონად" რომ მყევხარ!!!

მონატრება

ვიცი ტკივილები თავზე დამემტვრევა
შენი მონატრების ფასად,
მთლად გადავაქოთე მთელი დედამიწა
შენ კი, არსად სჩანხარ, არსად!

წვიმაც გაგიჟებით თავზე ჩამომაქცევს
ერთად მუქ, მოგროვილ ნაღველს,
ჩემსა და შენს შორის შავი ღრუბლის ჯარი
სევდის ღობეს წნავს და ავლებს!

ცხოვრების მღელვარე, ქაფიანი ტალღა
გულზე შემომასკდა ღრენით,
ეს გრიგალი ქარიც ისე აილეწა
ჩემსკენ წამოვიდა ფრენით!

რით ვერ გაჯობეო, ამ მარტოხელა სულს
სევდა მასშიც დამდებს ბრალსაც,
რაკი იბოროტე, რაკი იბობოქრე,
რა ვქნა, გადავიტან მასაც!

ვიცი, იმედები ისევ გამამაგრებს,
სუსტი აღარც ვჩანვარ უკვე,
რამდენი ხანია ისე გავძლიერდი
ჩემს თავს ეს ქალობაც ვუქე!

ცა გაიწმინდება ყველა ნაღველისგან
ცრემლის გადაიღებს წვიმაც,
ვგრძნობ გამოიღვიძა ჩემთან სამეგობროდ
უკვე იმედიან სხივმაც!!!

დეკემბერი

ჩემი ცივი, თოვლიანი დეკემბერი
ჩემი ყინვის ეტლი, თეთრი გუნდები,
ისე მიყვარს დათოვლილი ეზო კარი
მგონია, რომ შორს ზღაპრებში ვბრუნდები,!

მოფრიალე ჩემსკენ თოვლის თეთრი ფიფქი
მოფარფატე ვით პეპელა თავნება,
ჩემს მკლავებს, რომ შევაგებებ ასე თბილებს
წამ-წუთებში ხელის გულზე მადნება!

მარხილი და შეცივებულ ფინიას ხმა
თოვლში უხმოდ ნაფეხური კაცისა,
შებინდებულ სიცივეში ცაზე მავალ
სხივთა ჩრდილი ცას შეყინულ მთვარისა!

ბუხრის პირას ჩამომჯდარი დეკემბერი
ტკაცატკუცი კოპიტის და ნეკერჩხლის,
ლობიოთი მოთუხთუხე ქოთნის პირი
დატკეცილი მჭადიანი კეცები!

დეკემბერი თეთრწვერა და თმაჭაღარა
სადღაც ღრეჩოს მოზუზუნე ცივი ქარი,
მეკვლის მიერ გულუხვად და გულალალად
შემოხსნილი დიდი ხონჩით სახლის კარი,
ჩემი თვე და გულქათქათა დეკემბერი
თოვლის თეთრი ფანტელებით
გადამთვრალი!!!

უქართველოდ

უქართველოდ ,ცაზე მზე აღარ ინათებს
და ღვთისფერი თვალში შუქი ჩაქრება,
უქართველოდ, დილა აისს არ შეხვდება
ცისკრის ვარსკვლავს ჩაუქრება ნათება!

უქართველოდ, ვაზი აღარ აყვავდება
და სიონის არ დარეკენ ზარები,
უქართველოდ, მყინვარი მთლად ჩამოდნება,
ჩამოწვება დარიალის კარები!

ერისიონს ბრწყინვალება გაუქრება
უქართველოდ, ვინ იმღერებს "ზამთაროს',
დაისს ფერი ვარდისფერი არ ექნება
ღვთისმშობლის ცრემლს ვერ გაუძლებს სამყარო!

უქართველოდ, დედა თბილისს მეტეხის კარს
შემოუნგრევს ისევ ავი ხვარაზმა,
ოპიზრები ხატებს თუ ვერ მოჭედავენ
სევდის სიმებს ხელს ჩამოჰკრავს კვლავ ზარზმა!

უქართველოდ, ვარსკვლავები ჩაქრებიან
უქართველოდ, მთვარეც აღარ ამოვა,
უგულობა სამუდამო ტახტს დაიდგამს
უქართველოდ, გაზაფხულიც არ მოვა!

ცის ტატნობზე მერცხალი არ იჭიკჭიკებს,
ველზე ია დაიღლება ტირილით,
ქართველი თუ არ იხილე ამ ცის გვამში
ვის გინდა, რომ შეეგებო ღიმილით!

უქართველოდ, ტაძარი არ აიგება
უქართველოდ, სილამაზე წაიშლება,
მეგობრებთან სუფრა აღარ გაიშლება
უქართველოდ, ოჯახები დაიშლება!

უქართველოდ, ვინ იმღერებს "იავნანას",
"დედაენის" ვინ გადაშლის კვლავაც ფურცლებს,
უქართველოდ, შოთას "ვეფხისტყაოსანიც"
ავბედობის ჟამთა სვლასაც ვერ გაუძლებს!

ამ ცხოვრების ფერებს, ფერი არ შერჩებათ,
ამ ენაზე თუ არ ისმენ სახარებას,
უქართველოდ, სიყვარული აცრემლდება,
ვეღარ ნახავ დედა– შვილის გახარებას!

უქართველოდ, ლოცვაც არ შეიწირება,
უქართველოდ, სულიც აღარ ამღერდება
უქართველოდ, კავკასიაც დაბერდება
უქართველოდ, დედამიწა გაჩერდება!!!

ბავშვობა

აქ, ჩემს ეზოში უდარდელად დარბის ბავშვობა,
მშობლების სითბო, მეზობლების ისევ ძახილი,
აფეთქებული გაზაფხულზე ბროწეულები
და ზამთრის სუსხში ხმაჟღრიალა დიდი მარხილი!

გენაცვალოსო ბებო, მოდი არა იტკინო,
ყურში შორიდან წინაპრების ხმები იღვიძებს,
ბუხრის კალთასთან გაწოლილი ულვაშა ფისო
ჩუმი კრუტუნით თითქოს დღესაც მის პირს იძინებს!

წითელ კვერცხების ქახაქუხი აღდგომის დილას
უბნის ბავშვების ჟივილ– ხივილი "ქრისტე აღსდგაო",
შობის წინ ღამეს "ალილოზე" მახარობლების,
შემონამღერი გადაგვაფარე ღმერთო კალთაო!

გრძელ ზამთრის პირას ბებოს ქსოვა ჭრელი წინდების,
დედის ტკბილი ხმით მოყოლილი "ნაცარქექია",
ზღაპრის გუდაზე მშვიდად, ტკბილად მიძინებულს რომ
მის ნაუბარში ერთი ეჭვიც არ გამჩენია!

ღამით ვარსკვლავთა ცაზე თვლა და ძაღლების ყეფა
ყურით ნასმენი "მუხლი მტკივაო" პაპის ჩივილი,
და უკვე ნაზად შემონათებულ ცათა გულმკერდზე
ჩვენს საქათმიდან ყელწითელა მამლის ყივილი!

რთველში ურმებზე შემომსხდარი გოგო ბიჭები
გადავსებული რქაწითელით გოდრების პირი,
თაკარა ზაფხულს მეზობლებთან ბურთით თამაში
უკიდეგანო, უსასრულო ცის ლურჯი ძირი!

იმ ჟრიამულში მოძახილი ჩემი დედის ხმა,
ვერაფრით თმობა თანატოლების სახლში მიმავალს,
წუთისოფელმა ჟამი დიდი გამომატარა,
მაგრამ ასეთი უტკბილესი დრო არ მინახავს!

მე დღესაც მხიბლავს, ისე მიყვარს სახლის ეზოში,
გაზაფხულის პირს ჩვენი მერცხლების კვლავ დაბრუნება,
და გული მწყდება სულის სიღრმეში თამამად ვიტყვი,
ბავშვობა უკან არასდროს, რომ არ დაბრუნდება!!!

ხათუნა დოლიძე

გულო, გამაგრდი კლდესავით!

შემოათენდა სალ კლდეებს-
უღრან ხევებში მძინარეს...
თავზე მოადგა რიჟრაჟი,
გულზე
დარდ-გადამდინარეს.

კლდეებს პირქუშად მომზირალს,
ნისლებად ადევს ნაღველი...
რამდენი რამე უნახავთ--
რამდენი რამ
აქვთ სათქმელი...

გულო,გამაგრდი კლდესავით,
ნუ დაგიმონებს ტკივილი...
ისევ მოიხმე დარაჯად,
მგზნებარე
სულის ყივილი!

გულო,ნუ ურჩობ მიენდე,
რჩევას და ფიქრებს გონების...
შენ კიდევ ვერ შეგიცვნია,
ავი და
კარგი ცხოვრების...

სხივებმა შუქი მოჰფინა,
კლდეთა მრისხანე იერსაც...
სითბოთი მოდრეკ ამ ქვეყნად,
ყველას:
სუსტსაც და ძლიერსაც!

მე ვეტრფი...

მე ვეტრფი... მინდვრებს, მზით ნაამბორალს
და შემოდგომის ფერთა ნარინჯებს...
სიტყვას, რომელიც საშველად მიხმობს,
რომ გადმოლახოს სულის კარიბჭე!

ჰანგებს– აღვლენილს საგალობლებად,
მთის არწივივით რომ გაფრენს ლაჟვარდს...
ჰანგებს – რომელიც აგულოვნებდა,
მტერთან, საომრად მიმავალ ლაშქარს!

ვეთაყვანები– მტევანს ვაზისას,
ქარში მღელვარე ოქროსფერ ყანას...
ჩვილის აკვანთან უძილო ღამით,
დამაშვრალ დედის უტკბილეს ნანას...

კავკასიონის დათოვლილ ქედებს,
მთებზე – ვერცხლისფერ ნისლების ფენას,
წინაპართ სისხლით დაწერილ ანბანს,
თვით უკვდავებით ნაპურებ ენას!

გრძნობას – სულიდან ამოჭრილს ლავად,
რომ გაგაქროლებს ცეცხლოვან ეტლით...
ყაყაჩოების სისხლისფერ კაბას,
აპრილს დაბანგულს ატმების ეშხით.

მე ვეტრფი... მინდვრებს, მზით ნაამბორალს
და შემოდგომის ფერთა ნარინჯებს...
სიტყვას, რომელიც საშველად მიხმობს,
რომ გადმოლახოს სულის კარიბჭე!

სულში სახლობს ქალიცა და... ცელქი ბავშვიც!

ძველებურად ვეგებები დილის რიჟრაჟს,
სულში სახლობს ქალიცა და...
ცელქი ბავშვიც!
ტკბილ ოცნებებს ვუზიარებ ნიავს გიჟმაჟს –
ფერდობიდან შემოპარულს ამ ჩემს ბაღში.

ჩავჩურჩულებ ხელზე მცოცავ ლამაზ ჭიას,
მაპოვნინოს ჩემი წილი გაზაფხული...
შორს გაფრინდეს, მიაკითხოს
მინდვრებს მზიანს,
სადაც ჩემი ბავშვობაა დაკარგული.

მაპოვნინოს ის კამკამა ცის ლაჟვარდი,
უდარდელ დღეს რომ ბადებდა სისხამ დილით...
მეგობარი უღალატო და მარადი,
ჭირში მყოფს რომ მამხნევებდა
პირზე ღიმით.

ციცქნა მწერმა შეისმინა თითქოს თხოვნა,
ფრთა გაშალა,ისე მარდად გადაფრინდა...
იქნებ, შეძლოს იმ უტკბესი წლების პოვნა
რომლის გამოც, ეს ცხოვრება მართლაც ღირდა!

დააბიჯებს პოეტი!

მეოცნებე თვალებში,
მუდამ უკრთის ნაღველი...
ტკივილს მალავს ღიმილით
ბევრი ჭირის მნახველი!
ბალახს ეჩურჩულება,
ესმის ქვათა გოდება...
მიანიჭა თვით ზეცამ-
თურმე,მგოსნის წოდება!
გზა ბურუსმა დაბინდა,
დიდებისკენ სავალი...
მეგობარი ვერ ჰპოვა-
მოშურნე კი მრავალი!
კინძავს სიტყვის მარგალიტს,
გრძნობის სხივებს აქარგავს...
სული უფალს ვით მისცეს?!
მის ლექსებში დაკარგა...
ახლაც ჩუმად მოსტაცა,
ქარს ნამღერი სონეტი.
სევდიანი თვალებით
დააბიჯებს პოეტი!

გულის ფეთქვაა...

დასაბამიდან ერთია
ჭეშმარიტება უცვლელი...
სამშობლო გულის ფეთქვაა,
სიყვარულია უთქმელი!

მოზღვავებაა ძარღვებში
მჩქეფარე სისხლის დუღილის...
ყველა სათქმელზე მეტს ამბობს,
მისი ფერება დუმილით.

სამშობლო "იავნანაა"
"შავლეგოს" შემოძახილი...
სამშობლო ჟრუანტელია –
სულში თრთოლვით რომ დაგივლის.

მთა-გორები და მდელოა
წინაპართ სისხლით ნაჟღენთი.
ის უკვდავების წყაროა –
გულს რომ აცოცხლებს დაშრეტილს!

მონატრებაა – უძირო,
ფესვების გამოძახილი.
მშობელი დედის კალთაა,
რომ მიეკვრები დაღლილი...

ისტორიაა – წარსულის:
ბასიანის და დიდგორის.
ეს ჩემი საქართველოა
მიწა წილხვედრი ღვთისმშობლის...

არა, სიყვარულს არ უნდა
მჯიღის ცემა და სიტყვები...
მხოლოდ სასმისით კი არა
უნდა ლოცავდე ფიქრებით!

დასაბამიდან ასეა
და მუდამ ასე იქნება:
სამშობლო სიყვარულია,
სიტყვებით რომ არ ითქმება!

თინიკო ხაბურზანია

რად შეგიყვარე

არ ამიდგამს ფეხი მე შენს მიწაზე,
და არც შენი მზე მწვავდა ღაწვებს.
მიკვირს და დღემდე ვერ გავიაზრე
თბილისო! ასე რად შეგიყვარე.

მშურს აქ გაზრდილი ყველა ქართველის,
რომ ეგებება შენს დიდთვალა მზეს.
მერე ფიქრებში ღამენათევი,
თვალს შემოავლებს შენს დალოცვილ მთებს.

ფიქრი ოცნება, რომ ისევ მათოვს
და მერე ლექსად ტოკავს ძარღვებში.
თბილისო ჩემო! შენს მადლით ნაქსოვ
და დიდ სიყვარულს დავუმადლებდი.

მე არ გავზრდილვარ შენს არტახებში,
არც შენი ზეცა მეფარა საბნად,
მაგრამ შენი მზის სხივთა ნატეხი,
ბავშვობაში აკვანს მირწევდა ალბათ.

ვიღას დარჩა

უმტრეს ტიციანს, გარიყეს ლადო
და უწუნებდნენ ფერებს ფიროსმანს.
ყველა მართალმა და უღალატომ,
ამ ქვეყანაში, რით ვერ იცხოვრა.

ამოვადინეთ ძმრად სევდა გრანელს,
ახლაც გვახრჩობენ მისი ცრემლები.
მტკვარს შესჩიოდა ტატო თვის ნაღველს,
რომ ვერ უკმევდა ხროვას ქლესების.

ვინც იშოვა და კარგად მოირგო,
რუხი გენერლის ქურქი ნაპოვნი,
ამ ცხოვრებაში იმან მოიგო,
შერჩა კაცობაც მუქთად ნაშოვნი.

და თუ რა სურდა ტიციანს, ლადოს,
ფერთა ვინ იყო ან დიდოსტატი.
შეცნობა ამის დრომ მას მიანდო,
ვინც ბავშვად დარჩა კვლავ დიდობაში.

სიბერის ხანი

ძნელია, რომ დაგიძველდა სიტყვა,
ხმაც აღარ მოგვდევს სიმღერის თქმისას.
ჟამს თავის პეწი, რომ გაუვიდა,
სიცოცხლე დიდ მოგონებად იქცა.

ყურს ვეღარ წვდება ჭიკჭიკი მერცხლის,
გულს არ გვიჩქარებს პირველი ია.
ქარის ჩურჩული, რომ აღარ გვესმის,
გაზაფხულებაც, რომ სულერთია.

შემოგვლევიან ნაცნობნი ირგვლივ,
ჩუმი გლოვაა სულში და ფიქრში.
დრო უიმედოდ წამებში მიქრის,
გულს შიგნიდან ხრავს სიკვდილის შიში.

მაგრამ ჰე! გესმით ტირილი ბალღის,
შვილიშვილებით ივსება სახლი.
მზე მათზე ლოცვით ამოდის ახლით
და ასე ვებრძვით სიბერის აჩრდილს.

დევნილის იმედი

ისევ გავცქერი მეწამულ ზეცას,
ჩამოწოლილან ნისლის ფარდები.
ამ ფარდებს იქით კი ჩემი მზეა
და სანატრელი ზღვა აფხაზეთის.

მე დევნილი ვარ ჩემი მიწიდან,
ბედით კრულია მისი სახელი.
დედები შვილებს აქ დასტირიან,
იქ ტირის მათი ბრმა ნაკვალევი.

რა სახლი მქონდა ან რა მამული,
სულ ზურმუხტისფრად გადაქარგული.
ზღვა მშფოთვარე და ცა იყო ლურჯი,
ზედ მზე ღვთის ხელით ამოქარგული.

და მე ამ მიწას ვერვის დავუთმობ,
სხვაგან არცაა ჩემი ადგილი.
იქ ჩემს წინაპრის საფლავებს ათოვს,
აქ მაღვიძებს მათი ამოძახილი.

მოგონებებში დღესაც კი ხარობს,
ყოველი ხე თუ ბუჩქი ლამაზი.
ხმაც კი ფოთოლთა შრიალის მახსოვს,
და გაზმორება დილით ბალახის.

მე დავბრუნდები კვლავ ჩემს მიწაზე,
რა ხანია მელის ზღვაც მონატრებით.
ნისლიც დადნება მტრების ჯინაზე,
ვხედავ გემს ზღვაში თეთრი აფრებით.

ნიკალას

როგორც ჩუქურთმა ძველთაძველ უბნის,
თბილისს ამკობდა დარდი ნიკალას.
მან მთელ სიმდიდრედ, სული მხატვრის ფუნჯი,
ქართული ცა და მიწა იკმარა.

მხოლოდ სიყვარულს იდებდა ვალად,
ქვეყნად ნამუსის ქუდი ხურავდა.
არ უძებნია დიდება არსად,
ყალბი დროება სულს უხუთავდა.

ორთაჭალაში დუდუკით, ბუკით,
ყანწს ყანწზე ცლიდა, როცა თამადა,
ის სვამდა ღვინის ნაღველით ჩუმით,
მერე ამ სუფრის ლაზათს ხატავდა.

ვერვინ მიუხვდა, არვინ დარდობდა,
რას იტევდა მისი გულის ფიალა.
ვინ დაეძებდა, როგორ მხატვრობდა,
რადგან საწყალი იყო ნიკალა.

ის ნაბიჯები უხმო და მუნჯი,
თბილისს დააჩნდა უღრმეს იარად.
ეჰ! დუმდა უკვე ნიკალას ფუნჯი,
დრომ უკვდავებად, რომ აღიარა.

სიყვარულს ია მჩუქნიდა

გზის გასაყარზე ვიდოდი,
წამომეწია წვიმაო,
ცისარტყელები ფერადი,
ნოხებად დამიფინაო.
ისეთი ლამაზი იყო,
ზედ გავლა მომერიდაო,
შორით დაუწყე ყურება,
ცრემლები მომადინაო.
ბრწყინავდა, ისე ბრწყინავდა,
ვერ გაუსწორე თვალიო,
ცრემლი მადინა თვალთაგან,
არ იყო მისი ბრალიო.
წამოველ გამოვერიდე,
სხვა გზას დავადექ ანაზდად,
მზემ გვირილები მიფინა,
სითბო მაჩუქა მე საგზლად.
სიყვარულს ია მჩუქნიდა,
ღიმილს გაშლილი ვარდიო,
ძალას მთის წყარო მაძლევდა,
სიცოცხლეს უფლის მადლიო.

საქართველო ხომ საოცრებაა

მაღალ კლდეებზე, დიდ ლოდებს შორის,
ღუნჯის ჩანჩქერი მოედინება,
ის ისე სწრაფად გარბის შხრიალით,
არ ვიცი საით მიედინება.

ცელქობს და შმაგობს არა ჩერდება,
ნეტავ სად, ვისთან მიუხარია,
მონატრებია ხილვა ტბებისა,
ნახვა სურს მათი და უხარია.

ტობავარჩხილის ლამაზი ტბები
გადამალულან კლდეებთა შორის,
რომ მათ სიწმინდეს არვინ შეეხოს,
გარდა წვიმისა, ფიფქის და თოვლის.

ისე წმინდაა, ისე წარმტაცი,
ჰგავს ტურფა ასულს, სინაზით, კრთომით
ეს სილამაზე დაგიწვავს თვალებს,
მისი ყურებით დატკბები შორით.

მომაჯადოვე ზღაპრულო მხარე,
შენ, სილამაზით განთქმულო მიწავ,
და დამიმონე შენი მშვენებით,
მიყვარხარ, გეტრფი, შენს თავსა ვფიცავ.

საქართველო, ხომ საოცრებაა,
ის სამოთხეა, არა ჰგავს სიზმარს,
მისი ბუნება და სილამაზე,
მახარებს, მათრობს და ძლიერ მხიბლავს.

დღეს თითქოს ჩემი სულის ნაწილი,
ღრმად იძირება ვერცხლისფერ ტბაში,
ჩემი გული კი ალერსით სავსე,
ჩარჩა საოცარ ამ ზღაპრულ მთაში.

სიკეთე ყველას ვალია

უფალმა შექმნა სამოთხე,
სამყარო, სიყვარულისთვის,
ვერ მოვუარეთ ქვეყანას,
რად გავჩნდით სინანულისთვის.

რატომ არ ვუსმენთ უფლის ხმას,
ბოღმა რად ღვივის ამ სულში?
მინდა იბუდოს სიკეთემ,
ჩემი მამულის დიდ გულში.

ნუ განვიკითხავთ ერთმანეთს,
ნურც ფიქრით დაგმობთ სიკეთეს,
ხილული არის უფლისთვის,
ვერ დავუმალავთ სიბეცეს.

ამად, არ გვარგებს დუხჭირი,
არ გვარგებს ფუჭი ფიქრები,
ლოცვით დავიხსნათ ქვეყანა,
ლოცვით დავიხსნათ შვილები.

ნუ დავიშურებთ სიკეთეს,
არვისთვის დასანანია,
სიყვარულს ვპოვებთ უფალში,
სიკეთე ყველას ვალია.

ა პ რ ი ლ ი

გავიაპრილე, ეს გაზაფხული,
გამობრწყინება მზიან გულისა,
როგორ მახარებს თეთრი აპრილი,
თვე ვნებიანი გაზაფხულისა.

ხელგაშლილი ხარ აპრილო ჩემო,
შენ სილამაზით ვინ შეგედრება,
სიყვარულივით გრძნობებში იწვი,
სიყვარულით კი ყველა ხელდება.

აფეთქებულან ატმის კვირტები,
შენს მოლოდინში აყვავდა ნუში,
ეს სილამაზე არ ჰგავდა გრძნობას,
რაც მქონდა ძველად, წარსულში გულში.

მე მიჯნური ვარ შენზედ, უბრალოდ...
მოსიარულე ქალი კი არა,
შენს მოლოდინში ბევრმა ზაფხულმა,
და გაზაფხულმა გადაიარა.

შენი ღიმილი აპრილსა ჰგავდა,
რადგან აპრილში კრთიან კვირტები,
და კიდევ უფრო შენს ლამაზ ღიმილს,
ალამაზებდნენ ლურჯი იები.

როცა აპრილში სკდება კვირტები,
სიყვარულს უხმობს სატრფო თავისას,
იკოკრებიან, იფურჩქნებიან,
აპრილმა ეშხი გაითავისა.

ი ა ს ა მ ა ნ ი

იასამანი გაშლილა როგორ
მისი სურნელი სანუკვარია,
მე მოვიხიბლე მისი მშვენებით,
ის სააღდგომო საჩუქარია.

ოდესღაც თურმე, მხოლოდ ხე იყო,
მწვანე, ხასხასა, ფოთლებ გაშლილი,
არა სცოდნია მას ყვავილობა,
იყო ცრემლით და სევდით აღვსილი.

და ღვთისმშობელი, როდესაც ერთხელ
დასასვენებლად ჩამოჯდა ჩრდილქვეშ,
ჩასძინებია, ხემ კი ფოთლები ...
გადააფარა, დაიცვა მყისვე.

იგრძნო სიკეთე დედა ღვთისამ და...
უთხრა: "აყვავდი! ნუ ითაკილებ,
შენი სურნელით დაატკბე ყველა
და მუდამ ამ დროს სულ იყვავილე".

იასამანი, მას შემდეგ ყვავის,
და სააღდგომოდ როცა ყვავილობს,
მისი სურნელით და სილამაზით,
ბევრი ტკბება და ბევრი ხალისობს.

შემყვარებია იასამანი,
მისი სურნელი, მისი ფერები,
მინდა მოგიძღვნათ და გაგახაროთ,
დაგლოცავთ ყველას, მოგეფერებით.

ლამზირა შეყილაძე

უსაშველოდ მომენატრე დედა

გულში დარდებს ვეღარ ვიტევ,
ხშირად მიპყრობს სევდა,
უსაშველოდ მენატრები,
სულზე ტკბილო დედა.
ახლა რაღაც უცნაური,
შიში მამტვრევს ძვლებში,
როგორ მინდა ჩაგეხუტო,
უნეტარეს მკერდში.
წუხელ სიზმარში გიხილე,
სუნთქვა გამიჩერდა,
რაც დრო გადის უფრო მეტად,
მენატრები დედა.
ნეტავ ახლა
ჩემთან იყო,
მიქარვებდე დარდებს,
სამშობლოზე მიყვებოდე,
ლამაზ-ლამაზ ზღაპრებს,
დილით მზისებრ ამოდიხარ,
სხივებს მაფრქვევ გულზე,
ვიცი იად რომ ამოხვალ,
ყოველ გაზაფხულზე.

* * *

ადამიანი ჩვენ რომ გგვონია,
იმაზე მეტად ყოფილა მომცრო,
ვინც ძლიერ გიყვარს და შენ თავს ანდობ,
სწორედ ის უნდა გადაამოწმო.

ახლა ისე არ თოვს

ათოვს ცისფერ განთიადებს,
ათოვს კომშს და ცაცხვებს,
ტანში ამოდ აჟრიალებს,
ახალშობილ ნაძვებს.
ჩემი სოფლის მთებს და ველებს,
თეთრი ფიფქი ათოვს,
ბავშობაში თვალს, რომ მჭრიდა,
ის ფიფქები მახსოვს.
მახსოვს თეთრი მთების სუნთქვა,
თეთრი მთების შუქი,
მახსოვს ჩემს თბილ
ხელისგულზე,
როგორ თრთოდა ფიფქი.
მამა იდგა სახურავზე,
და კრამიტებს სწმენდდა,
ახოს თავზე ამოსულ მთებს,
დედა პირჯვარს სწერდა.
მოაჯირი მოუქარგავს,
ყინულების მაქმანს,
მახსოვს დედა გვიმღეროდა,
ცხრა შვილს იავნანას.
სიცოცხლის ხეს შევყურებდი,
ჩვენი ეზოს ვაშლებს,
ჩემს გულს მაშინ ვინც ავსებდა,
ნეტავ ახლაც მყავდეს.
მახსოვს სოფლის ჟრიამული,
სოფლის სითბო მახსოვს,
მაშინ უფრო წმინდად თოვდა,
ახლა ისე არ თოვს.

* * *

მეზობლის ხის ნაყოფს ითვლი,
ბოღმით ყორეს ეხეთქები...
შურმა ისე დაგაბრმავა,
შენი შხამით იგესლები.
ირგვლივ მყოფებს,
ბოღმას ანთხევ,
შენზე მეტს რომ ვერა სწვდები,
თვალით უგებ ყველას მახეს,
სხვის სიდიდით გულზე სკდები.
სჯობს განწყობა შეიცვალო,
გაიხარე სიბრძნით სხვათა,
თორემ ბევრი შურიანი,
ბოღმამა და შურმა შთანთქა.

* * *



ვერად გავიგე რად უნდა ვენდო,
შენს მოსაზრებას, სიტყვებს და გუმანს,
რატომ გგონია, რომ დედამიწა,
მხოლოდ შენთვის და შენს ირგვლივ ბრუნავს.

უკვდავია და მარადისია

დღეს მუზამ ისე შემომიტია,
დამადებინა ლექსებთან ზავი,
გავყევი ცისფერ მუზების ლაშქარს,
და სამოთხეში მეგონა თავი.
პოეზიაა ცხოვრების სიბრძნე,
და მის სათავეს ძილშიაც ვძიობ,
არ შემიძლია სიცოცხლე ისე,
ისე უბრალოდ უპოეზიოდ.
მე ასე ვფიქრობ რომ პოეზია,
მიწის ხორცი და ზეცის სისხლია,
და პოეზიით ისე ვარ მთვრალი,
გამოფხიზლება არ შემიძლია.
ლექსია გულის დარდიც და ლხენაც,
ლექსი ღვთიური ღაღადისია,
და პოეზია ღმრთების ენა,
უკვდავია და მარადისია.

* * *

ხშირად მაგემეს სიმწარე,
მაინც ვტყუვდები დღემდე,
მოვტყუვდი მიამიტურად,
კვლავ ადამიანს ვენდე.

* * *

ამ წუთისოფლის დრო-ჟამს მივენდე,
მჯეგავს სიცრუე და ვტიალდები,
დაშლილ სხეულით ვივლი რიდემდე,
ქანც გავლილ გზებით დავიარები.
სიმართლისათვის ვიბრძვი ამაოდ,
მწარე ტკივილით მეწვის იარა,
უიღლობაში ვწარამარაობ,
და უიღბლობამ გამატიალა.
როცა მეგონა მაღლა ავედი,
მივუახლოვდი ზეცის კარიბჭეს,
დამმარხა ბედმა, მწარედ თავხედმა
და დედამიწას ვეღარ დავშორდი.
ვერ გამოვტაცე ბნელეთს სინათლე,
ვგიჟდები, რატომ ვერ ვგლეჯ სამანებს,
როცა მოვკვდები მომკლავს სიმართლე,
უსამართლობა დამასამარებს.

ეთერ ლობჟანიძე

* * *

მე, შენზე ფიქრები, მაწამებს მზექალო,
აპრილის ღამეა, თავსხმა და დელგმაა,
ყვავილთა ქარები დაჰქრიან ბაღებში
ყველგან უსასრულო, სიცოცხლის ფეთქვაა...
გრძნობები აშლია, დამთბარა ბუნება,
ხასხასა სიმწვანით მორთულა ველები,
თეთრად დაპენტილა ნუში და ტყემალი
მიწას გულს უნამავს ვაზის– ცის ცრემლები...
წითელ იასამანს გამსგავსეს ფიქრებმა,
სურნელს რომ ამოჰყვა ბაღიდან წვიმიანს,
კალამი ავიღე და ფურცელს ვუყვები
შენს სახელს ვახსენებ, სამყაროს ჟინიანს..
ჟამი ვერ წამიშლის , შენს ფიქრებს მზექალო,
დრო გადის სხივები აკლდება ღიმილებს,
რაღაც სხვა ფერია, შენი მონატრება
ქარი აშრიალებს, სევდიან ტირიფებს!

* * *

ზამთრის შვილი ვარ, მაგრამ მე მაინც,
სულში ზაფხულის შუქი მინთია,
ფიქრითაც ზამთრის ბაღებს შემოვრჩი
თუმცა ნისლებმა, ვერ შემიჩვია...
დღე დღეს მიჰყვება, ისევ ხმაურით,
მთები ჯერ ისევ ფიფქებს ითვლიან,
და ვფიქრობ, ნეტავ, როცა მე წავალ
ვის დავაკლდები, ან რას იტყვიან.?!.
წუთებს ახეთქებს ერთმანეთს დრო და,
ჩვენი წუთებიც ასე იწვიან,
წავა ზამთარი – ზაფხული მოვა
"დრონი მეფობენ": ასე იტყვიან...
თოვს , ლამაზია თეთრი უდაბნო,
ქარები ნამქერს სადღაც ისვრიან,
ვწერ, შემაყინა ხელში კალამი
ცივა – თითებიც ვეღარ იძვრიან!

* * *

როგორ დავღლილვარ თურმე და-
თმებს მობნევია ჭაღარა,
სად არ ვიარე, ნავალი,
გზა აღარსად სჩანს, აღარა...
რამდენი გამომივლია-
ბილიკი ხავსმა დაჰფარა,
უკან დახევას ვერ ვბედავ
წინ კი , გზა მოსჩანს პატარა..
ისე ცოტაა სავალი-
ერთი ან ორი კიბეა,
ნელ-— ნელა ვუახლოვდები
გზაც დასასრულის იქვია...
გინდა?– არ გინდა?– ვინ გკითხავს-
ვერ შეანელებ ნაბიჯსაც,
აქ, მოსაკითხად მოვსულვარ
ყვავილების და ვარდისა...
ნეტავი კიდევ რამდენ ხანს-
დავტკბები მათი სურნელით,
გულში ჩავიკრავ გაზაფხულს
იების მოსვლას სულ ველი...
დავიღალეთქო მე ვამბობ-
გული კი მაინც ხალისობს,
გული, არა არ ბერდება
და იგი მუდამ მაისობს...
ამიტომ მისი არ მჯერა-
ახლა დროს უფრო გავცქერი,
ვინიცის როდის მოსწყდება
ქარაფზე ერთი ჩანჩქერი?!

* * *

სამშობლო, მომავლის ტაძარი,
სანთლებზე ნანთები იმედად,
ვინა თქვა, რომ არის ნაკლული
ვინ არის, რომ ამდენს მიბედავს...
სულ მაღლა მწვერვალზე ადით და
იქედან დახედეთ სანახებს,
არწივნი ლურჯ ზეცას სერავენ,
ჯიხვები ფრინავენ ქარაფებს.
გახედეთ, მის ფრთებქვეშ მადლიანს
უფალს მოუფანტავს ტაძრები,
სულზე კელაპტრებად ანთიან
გულს რომ გიჩუყებენ მაღლები...
„ბაგრატი", „გელათი," „იყალთო" -
ადრე რომ უსწრებდნენ „რენესანსს",
გასინჯეთ ქართული ღვინო და
„ფიროსმანს" ესესხეთ ფერებსაც...
მითხარით, თუ კიდევ სადმეა
ამდენი გმირი და წმინდანი,
წამება „გარეჯელ ბერების",
გმირობა, სიცოცხლის მიზანი...
იმედით მივყვები ბილიკებს,
სამშობლო მე გულში მიფეთქავს,
ვიცი, რომ აღდგები მამულო,
ბნელ ნისლებს ქარები მირეკავს!..

* * *

სათქმელი, სათქმელს მოჰყვება,
ახლა კი რა ვთქვა, არ ვიცი,
ნისლში გახვულ სამყაროს
და მის ტკივილებს განვიცდი...
მზე დაგვეკარგა, დავეძებთ,
თითქოს ცამ პირი იბრუნა,
სითბო – სინათლის მაგივრად
წვიმა გვიგზავნა ჟუჟუნა...
მჯერა, ჭირს ლხინი შეცვლის და,
ავდრებს მოჰყვება დარები,
ქართლის ჭალებზე იქროლებს..
სულ სხვა სიო და ქარები...
ცის კაბადონზე ამოვა,
მზე, გაბრწყინებულ თვალებით,
მინდვრებს ალებად გაჰყვება
ყაყაჩო შავი ხალბით....

* * *

ალბად როგორ გახარებდა, ადრე,
ფიგურებით მოხატული კარი,
დახვდებოდი სტუმარს ღიმილებით
მასპინძლობდი, მზის თვალება ქალი..
როგორ უცებ გაიარა დრომ და,
როგორ უცებ დაგამჩნია კვალი,
ახლა ჯოხით, ძლივს დადიხარ მაგრამ
მაინც ცდილობ, არ დაკეტო კარი..
ვაზს ჭიგოვით შესდგომია მაღლარს,
შენი ძველი მოხატული კარი,
რამდენ რამეს გახსენებენ ალბად,
რამდენ რამეს მოუხადე ვალი!
ჯელი იყავ ვერა გრძნობდი დაღლას,
რიჟრაჟს ფეხზე დახვებოდი ქალი,
გამოზრდე შენ, შვილები მაგრამ
ყველას სხვა გზით გადაექცა თვალი...
მარტო დგეხარ შენს მოხატულ კართან,
სახეს ცრემლის დასტყობია კვალი,,
დგეხარ სტუმარს, ელოდები ალბად,
უფალსა ვთხოვ გაგიგრძელოს ხანი!

* * *

რა ლამაზია თუშეთი -
თუშის, გარმონზე მღერაო,
ცხენით ფერდობზე ჯირითი
მთაში– არწივთა ფრენაო...
ჯიხვი-ჯიხვს დაჭიდებული-
ქარაფზე ლაღად რქენაო,
გომეწარის და ალაზნის
დაუღალავი რბენაო...
ზამთარი ზვავებიანი,
ტყეში ნადირთა ღრენაო,
სოფელ დუჭას და ხახაბოს
რკინის წყაროთა დენაო...
ფერდობზე დაქანებული-
ნაშალი ქვიშის ცვენაო,
ხასხასა მწვანე მინდვრები
ხევები– უფრუსკრულთ ხელაო...
ომალო , დიკლო , შენაქო,
ტაძრის და ხატის რწმენაო,
მკაცრ ზამთარს მიტოვებულნი
ალვანს წასულნი ყველაო....
რა ლამაზია თუშეთი,
თუშის, გარმონზე მღერაო,
ამ დაკარგული სამყაროს
ჯადოსნურ მთათა ცქერაო!!!

* * *

იყო დრო როცა ერთ გოჯ მიწაზეც,
არ გადასწევდა ,ხალხი სამანებს,
რადგან ის იყო მკვიდრი საუნჯე
არ იცვლებოდა, არსად-არაზე!
იმ მიწისათვის, რასაც რომ მტერი.,
სულ უსამართლოდ გვედავებოდა,
იხოცებოდა ხალხი მრავალი
მცირე ნაგლეჯსაც არ ნებდებოდა!
მაინც ტაცებდნენ ძალის – ძალათი,
ჩვენი მამულის შურდათ მხნეობა,
არად აგდებდა სიკვდილს ქართველი
თუ მის მიწაზე იყო "მზეობა"!
ეწირებოდა მამულს მრავალი,
მათ შორის იყო ბევრი წმინდანი,
მათი სულების საუფლოს ახლა,
თავს დასტრიალებს მადლით უფალი!
დღეს სქართველო, დგას ბეწვის ხიდზე,
შვილნი დამქცევნი მომრავლებიან,
ათას ჭირსა და ვარამ გამოვლილს,
ისევ მის წილხვედრს ედავებიან!
სიმრთლე არის მყარი გარანტი,
თუმც მტაცებელნი არ ჩერდებიან,
და ამ მიწების ძველი სამნები,
დგანან და შველას ელოდებიან!
მარტო ძახილი რომ არ გვიშველის,
საქართველოა ისა თუ ესო,
ვინ მოაშორებს არწივს ყვავ– ყორნებს
რომ დაუბრუნდეს სიმართლე ერსო!
რომ აფხაზეთი საქართველოა,
საქართველოა დავით გარეჯი,
რომ სამაჩაბლო საქართვლოა,
საქართველოა ლორე სომხეთით,
რომ საინგილო საქართველოა,
საქართველოა ტაო კლარჯეთი,
რომ ახალგორი საქართველოა,
მაგრამ სადაა ძველი სამნები?!
ჩვენ დაბრუნებას მოველით მათსას,
მტრები კი, აქეთ გვედავებიან,
სხვას რაღას ეტყვი როცა დამქცევნი,
თვითონ მამულში გვებადებიან!

* * *

ვარსკვლავები ამოსულა ცაზე-
მთვარე არ ჩანს, სიბნელეა ირგვლივ,
სადღაც– ძაღლი მოწყენილი ყეფავს
სადღაც-— ჭოტი გულსაკლავად ჰკივის...
ღამე ჭინკებს აუვსია თოთქოს-
შავ ტყეებში მირეკავენ ჯოგებს,
წუთისფლის გზა მოკლეა ვიცი
მეც გზადაგზა ვინანიებ ცოდვებს!

ტატო ხარატიშვილი

ვხედავ, რომ...

ცხოვრების მდინარედ მდინარე მიედინება
აჩერებს გაჩერებას და აღარ ჩერდება
გამონაკლისით სამყაროს მითითება
გულში ფიქრის ძაფით გადმოეფრქვევა.

ცხოვრებით დაღლიდან, დაღლიდან ცხოვრებისკენ
გადადგმულ ნაბიჯებს გვპირდება ზამთარი
სათნო არსებიდან... ჩვენს შიდა ცხოველისკენ
მივილტვით კომფორტით ვითომდა გამთბარნი.

წარსულში დაბრუნებით მომავლის იმედი
ფუჭია და ფუჭთა განმკარგულებელი,
იმდენჯერ დავინახეთ, ვიგრძენით იმდენი,
წასული აღვიქვით – კვლავ დაბრუნებადი,

ცხოვრების შემცვლელის ძიების პროცესი
ან მისი შეტევის ძლიერად ატანა,
გულში შეუშვი ღვთის შვილი კორტესი,
და სხვა ცხოვრებაში მან გადაგატარა

არც შენი ხმა მინდა კიდევ რომ გავიგო
არც ხელს არ გკიდებ და არც მხარზე გედები
ცხოვრება ძალიან კარგია... ან... იყო...
მირბიან წლები და მღერიან გედები .

ყოველთვის, ყოველთვის მოუწევს ,,ბოლო" და
ყოველთვის, ყველასთვის დადგება ის წამი
როდესაც ვინანებთ, რომ კიდევ გვინდოდა
და შემოგვანათებს უხეშად ის ჟამი

უმისო, უმიზნო, უაზრო, უხეში
კარების გაღების, ჩაკეტვა დარაბის
ყველაზე მაღალი ფიქრები... ღრუბელში
ის... ამ წამს ... არ არის... არ არის... არ არის...

ტკივილი ზეცამდე

არსებობს ზეცა, ნუგეშისფრად ღმერთთან მიმკრთალი
სისათნოვისა, სილამაზის, ტანჯვის გამტარი,
ჩვენი ტკივილის დამტევი და მასთან მიმტანი
გამოუვალი მხედველობის ღმერთთან ამტანი,

მარადისობის ნაპერწკალი ზღვაშიც ლივლივებს
თითქოს და გრძნობით ჩამოღვენთილ პლანეტათ შორის
ერთადერთია, ვინც იტირებს ვინც კვლავ მიგიღებს
და დაგიბრუნებს სიმარტოვეს ტანჯულთა გორის,

და სიბნელეში არის ერთი მფეთქავი შუქიც
ბნელს ამშვენებს და ნათელს ხიბლავს კვლავაც ნათელით
მის მზერაშია ღვთაებრივი გამონაშუქი
იმარჯვებს მზერით, გაღიმებით და კამათელით,

არსებობს ზეცა, ზღვა, ედემი, მორავის მთანი
მზის სხივი ყვება სხვა სამყაროს ალპურ მდელოზე
ისმის ბრაუნის, უტიგარდის და მონგეს ხმანი
კვლავაც დაობენ მონტრაჩეტში მხატვრულ გემოზე,

მაგრამ ერთია უკვდავება და როდი იცის
ყველა მსურველმა, გენიოსმა და მაძებარმა,
მისი თვალების სიღრმის იქით ცხოვრება იცდის
მან მე შემიქმნა გამოუვალ გზათაგან კარმა

ის არის ფარულ ვნებათაგან ყველაზე ჩუმი
ის ფარავს ყველა არსებულ ხმას არსებობამდე,
არის ნაკადი მდინარეში და ფიქრში ბუმი
ის იშვა კერპად, განმწმენდელად, ღმერთის შობამდე

მაგრამ არსებობს რეალობა რომელიც ღმერთმა
თითქოს ხმალივით ჩვენ ორს შუა გამოანათა
დაწერა ბოლო ოპერეტა ჯუზეპე ვერდმა
ბედზე შემოგვხვდა ეკლესიის პირას სანათა

და როგორც მაშინ სასწაული კვლავ მოევლინა
ქვეყნიერებას, მზედ, თვალებად, გულად და ჯანღად
მას ბნელ კუთხეთა საიდუმლო გამოევლინა
არარა არის უკვდავება და სხვა, მის დარად.

შორენა ჩხიკვიშვილი

ილიას

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი“

ილია ჭავჭავაძე

შენ, ღირსეულო მამულიშვილო,
დიდ მთაწმიდაზე რომ გძინავს მზისებრ,
იქ როგორა ძლებ შენ უმოქმედოდ,
ჩვენ ხომ გვჭირდები ისევ და ისევ.

მე მახსენდება შენი სიტყვები:
„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი“.
დღესაც გვჭირდება შენი აზრები
და გვენატრება ეს შეძახილი.

დაყოფილია დღეს საქართველო,
დაფლეთილია დღეს ქართლის გული,
კვლავ შემოგცქერის იმედიანად,
შენი სამშობლო მუდამ ტანჯული.

განსაცდელშია შენი ქვეყანა,
გმირის სახელი დღეს ვიღას ჰქვია?!
ნეტავ, რა იყო ის დღე შავბნელი,
წიწამურთან რომ გესროლეს ტყვია!

საითკენ მიდის ჩვენი ქვეყანა,
იქნებ, შენ იცი, რა გველოდება,
ნეტავ, ოდესმე საქართველოში
შენნაირი თუ განმეორდება.

შენ არ ხარ მშვიდად, იქ, მთწმინდაზე,
იქაც განიცდი სამშობლოს ვარამს,
არ დაეცემა შენი მამული,
კვლავ მაღლა ასწევს დიდ ქართულ ალამს.

ამობრწყინდება მზე ჩვენი ქვეყნის
და მთვარე ისევ გაიბადრება,
თუ გვეღირსება ის დღე ქართველებს,
„ილია“ კვლავ რომ დაიბადება?!

11.03.2011

შენ, თამარ მეფის სახელი გქვია

ჩემს ძვირფას თაკოს

დადიხარ ლაღად, სიცოცხლით სავსე,
ლამაზად შესქცერი დილას მზიანს.
შენ უნდა გახდე დიდი ქართველი,
შენ, თამარ მეფის სახელი გქვია!

მე მომწონს შენი ნაზი არსება,
რომელიც ჩემ წინ ამაყად დგას.
მიყვარხარ ძლიერ, ასე მგონია,
რომ შენნაირი არავის ჰყავს.

გიცქერ და ვცოცხლობ შენი იმედით,
ეგ შენი სახე ცის ნამსა ჰგავს.
მინდა, რომ იყო ძალზე ჭკვიანი,
რომ სწორად გაჰყვე ცხოვრების გზას.

დღეს ბევრი არის განათლებული,
თუმც უღირსებიც არიან მრავლად,
ჭკვიანი მუდამ ამაყად დადის,
რეგვენი ყველას თავს უხრის მდაბლად.

უნდა მოიქცე სამართლიანად,
ეს არის ყველა ჩვენგანის ვალი,
რომ გამოადგე ჩვენს საქართველოს
და ღირსეული დატოვო კვალი.

გონიერება თან გდევდეს მუდამ,
როგორც ძლიერი, უკვდავი გენი,
შენ უნდა იყო მუდამ მართალი,
რომ სწორად განვლო ცხოვრება შენი.

იყავი ქალი შეუდრეკელი,
ვერ მოგაყენებს ვერავინ ზიანს.
არ დაგავიწყდეს: შენ ხარ ქართველი
და თამარ მეფის სახელი გქვია!

8.03.2011

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

წიქარა

მთის წიქარა რქის მოტეხას განიცდიდა,
განვიცადე ურქო ხარის ტკივილები,
რა იცოდა ბედი ცალ რქას წააცლიდა,
არ უნდოდა აღარავის დილილმები.
განაპირდა, დარდის სახლში მოკალათდა,
გულის კარი რკინის კარით გამოკეტა,
სამუდამოდ დარდის ხარად მოინათლა,
მთის წიქარა ვეღარაფრით გამოკეთა.
შევეცადე გამექარწყლა მწუხრის ჟამი,
დავწერე და რა დავწერე საამებლად,
ვერ ვუშველე ხარ წიქსრას ჩემი წამლით,
თუმც ეს შრომა, არ დამრჩება სანანებლად.
გზა განვაგრძე ჩიტს წავაწყდი ფრთამოტეხილს,
საბრალისად ტკივილისგან წრიპინებდა,
კრაზნები ეხვეოდნენ მწიფე ხეხილს,
ჩიტსაც კბენდნენ, დრო კი სევდით წიკწიკებდა.
რაღა მექნა, ფრინველს უნდა დახმარება,
კრაზანები დამნესტრავდნენ, თუმც ვიცოდი,
მე შევძელი ჩიტის გულის გახარება,
მივეშველე, ვიწვებოდი ჩიტის ცოდვით!

კესანებო

ლურჯი ზეცა როგორ მოჰგავს,
სიფაქიზით ჩემს კესანებს,
ღრუბლები კი შურით ბორგავს,
სიტყვის მეხით დაკვესავენ.
კესანებო, არ შეშინდეთ,
მზე ზეციდან გითვალთვალებთ,
ღრუბლებს თქვენი თუ შეშურდა,
ის მაშინვე, დათხრის თვალებს.
მზე ყოველთვის ჯობნის ღრუბელს,
ისე როგორც ღამეს დილა,
ამოაშრობს ცრემლის გუბეს,
რომ წვიმს უკვე შარშანდლიდან!

სულის მტრედები

დეკემბრის თვეს გავს საქართველოს ხვალის იმედი,
შემოიძარვა ოჯახები დუმულის ცელით,
მე ჩემს ბილიკებს სულ უჩუმრად დარდით მივდევდი,
კვლავ წინ შემომხვდა დაგროვილი, დედების ცრემლი.

ბედთთან იბრძოლეთ, დარდიანნო უნდა გირჩიოთ,
შვებას მოუტანს გარდაცვლილებს, ლოცვა დედების,
მარადისობის გზები უნდა გადაარჩინოთ,
იღუღუნებენ ცას წასული სულის მტრედები!

თქვენით

თქვენით მიხარია მივყვები,
ლამაზი ცხოვრების მირაჟებს,
ხანდახან ზღაპრებსაც გიყვებით,
და თავს ბავშურად ვიბავშვებ!

უფალო ჩემო

შენი იმედით ვივსები ყველგან
შვების მომტანი შენა ხარ ჩემი,
რამდენჯერ მომხვდა ბედისწრის ელდა,
გულის მკვლელი და არ გადმრჩენი.
უფალო ჩემო, შენა ხარ ჩემში,
სიცარიელე შენით ივსება,
მე ვზივარ მარტოდ ბედისწრის გემში,
ვცდილობ ტკივილის გადავიწყებას.
ზღვის ტალღას მივდევ უკიდეგანოს,
გემის კაპიტნად მგონი ვარგივარ,
სიკეთის მზის სხივს მსურს დავემგვანო,
ცოტა დამრჩა და მთებში გავდივარ.
ასე ლოცვებით გავალ ნაპირზე,
გავალ და იქვე ჩამოვისვენებ,
ხომ არ დავწერო ლექსი აპრილზე,
თუ დავწერ დარდსაც, გამოვასვენებ!

გრძნობის საამქრო

არა იმიტომ, რომ მეშინია,
არა იმიტომ, შიშით ვცახცახებ,
არასდროს ავდევ, შფოთს და ჟინიანს,
მათნაირებზე უარს ვაცხადებ.

სხვა სამყაროდან მოსული ვარ და...
სული ჩემი კი ქარს არ დაყვება,
სიკეთის ფესვის ასული ვარ და...
ათინათები დამდევს მაყრებად.

მე ის ვარ, რასაც სხვა ვერ შეიცნობს,
ვინა ვარ, ამას ვერავინ ახსნის,
ნუ შეეცდებით, რამ გამომცინცლოთ,
დავდივარ უფლის ნაბოძი ჯავშნით.

ჰოდა მისმინე, მავანთ-მავანო,
სახელად მქვია დედა გულნაზი,
მე ძლიერი ვარ, არა ვთამამობ,
მხრებზე სიკეთის მიმინო მაზის.

გზა დიდი არის ამ სამყაროში,
დამილოცია, სხვებმა იარონ,
მშვიდი ცხოვრება მინდა ამ დროშიც,
გულზე არავინ გადამიაროს.

არ ვარ ბოროტი და არც გავხდები,
სხვადასხვა ხერხი ვიცი ბრძოლების,
არ უნდა ვიყო, ცუდი, თავხედი,
ამ გზას გავყვები, მჯერა ბოლომდის.

ჩემი შვილების სულის სამყაროს,
წიგნებს, ნოველებს, ლექსებს რითმიანს,
ქვიშა არავინ არ შეაყაროს,
რელობაა, ზოგიც მითია.

სხვა დატვირთვა აქვს, მოწვეულ სტუმარს,
მას ვიღებ მუდამ როგორც სტუმარი,
თუ ტკივა გული, სიტყვებით ვკურნავ,
ექიმიცა ვარ, სულის მკურნალი.

სულიერ შვილებს, უფლის ნაბოძებს,
სულ სხვანაირად ვეფაქიზები,
მათთვის ყოველთვის, ლუკმაც დავზოგე,
მათ გასაჭირშიც შევეხიზნები.

ჩენთან არს ღმერთი, არს და იქნება,
გულის სანთელს კი ბედი ჩააქრობს,
გული არასდროს გარდაიქმნება,
ჩემი გულია გრძნობის საამქრო!

ვაზი ტირის

სევდის პერანგს დავატარებ მძიმე უღლად,
სტრიქონები არის დარდით დაზაფრული
ტკივილები დამდევს ყველგან ბედის იღბლად,
დარდიანი არის ჩემი გაზაფხული.

ვინ რა იცის, რას განვიცდი რატომ ვკვნესი,
იმედის არა, დარდს შევყურებ ათასწლეულს,
ტუჩებს ვიკვნეტ, სანუგეშო ხმა არ მესმის,
ვაზი ტირის, ღრუბელს ხედავს თავაწეულს.

იქნებ ცაა ბუნერივად შავი ფერის,
და მალულად მთვარე მზესთან კოტრიალობს,
თუ მზის სხივი არის ღრუბლის შესაფერი,
დავიფერფლო, თუ მე მათთან ვიტრიალო.

ქარიშხალი გულს მიძიძგნის თავის ქცევით,
კაშხალივით, სევდა თავს არ დამატეხოს,
ამიტომ ვარ განდეგილი, ზურგშექცევით,
კლდის გულიდან ცრემლი აღარ გამომტეხოს.

არც იფიქროს ქარმა, თავის გატოლება,
მისი გზები მოჰგავს, ღრუბლის ხელით ნაქსოვს,
რახანია ამოვხსენი განტოლება,
ცოტა არა ბევრი წყენა მისგან მახსოვს.

კიბე-კიბე, მადლის ფენით ცაში ავალ,
ათასნაირ ფერების ხიბლს არ ავყვები,
და თუ გტკივათ, მინდა ვიქცე ყველას წამლად,
ახლა არა გაზაფხულზე ავყვადები.

მოვალ იად, შროშანად და კოკორ ვარდათ,
ხის ჩრდილის ქვეშ ლამაზ სუფრას იქვე გავშლი,
და თუ ისევ ჩემი მოსვლა გაგეხარდათ,
აღარ ვივლი არასოდეს სევდის თავშლით.

არწივის ფრთა თუ საფრენად დამჭირდება,
ვილოცებ და მომაწოდებს, მუზას ღმერთი,
ჯერჯერობით, არაფერი არ მჭირდება,
ცრემლი ჩემი, ძირულის წყალს ისევ ერთვის.

თუმცა ერთ დროს, თავისთავად ცაში წავალ,
გადამაკრავს ბედისწერა, წასვლის არტახს,
აქ მე ვიცი მოსული ვარ, წუთ და წამათ,
ახლა ვგავარ, ხელოვნურად მხატვრის ნახატს.

მაინც ვიტყვი დიდ ტკივილებს ჩუმად ვფუთავ,
მდიდარი ვარ, გული შემრჩა ღვთით ნაკურთხი,
ბედისწერამ გამომკრიფა როგორც თუთა,
იმედი ვარ, თუმც დარდით ვარ განათუთქი!

ნეტავ საით

ნეტავ საით მიმაქანებს,
ჩემი ბედის ურემი,
სისწრაფით გავს მემანქანეს,
წლებით დანაპურები.
ვეფერები, ისე ნაზად,
როგორც დედას, დეიდას,
თუმცა ბევრჯერ გამაბრაზა,
ჯვარის წერის დღეიდან.
არ ვიმჩნევდი დარდს ვმალავდი,
როგორც ქურდი ნაქურდალს,
ფიქრით ჩუმად მას ვკრძალავდი,
ცა რომ ხურავს კაცს ქუდად.
ზოგიერთი ფრჩხილებს იზრდის
კაბაც ქალის ჩაიცავა,
გძინავთ, ცოტა გამოფხიზლდით
საქართველო დაიქცა!

ლამაზო ჩიტო

მაინც გეტყობა სევდისფერი ლამაზო ჩიტო,
ასეთი სევდა არის ჩემშიც შემოკირული,
მე მესმის შენი ნარეკალი კვალს ისევ გიტოვს,
ისევ გაღვიძებს, დილის დარდის ძილისპირული.
არ აბალახდა ეს ტკივილი დარჩა ვით თოვლი,
სადღაც ღელისპირს რომ შერჩება, დაღღიღ მგზავრივით.
გულკეთილი ვარ, და გული მაქვს, შენსავით ბროლის,
სულ მარტო ვწვალობ, წინ მივიწევ უღელ ხარივით.
შენ მომახარე, გაზაფხული მადლობა კარგო,
ჩქარე შინდებიც აყვავდება, სულს დამიამებს,
მაგრამ სუსხია, ყინვებია, ზამთარი ხარბობს,
თუ ეშველებათ, ნეტავ ჩიტო ადამიანებს!

თქვენთვის

თქვენთვის დავკრიფე ფიქრის ვარდები,
და ჩემს მომავალს ჩამოგირიგეთ,
მზემაც დაუშვა სხივის ფარდები,
ქარბორბალასაც შემოგირიგეთ.

ზეცა მაძლიერებს

ზეცა მაძლიერებს, სულების საუფლო,
აბა, მე ვინა ვარ, ბეჩავი ეული,
როგორ შემიყვარდა, ლამაზი ცა უფრო,
ზეწარი წამოუსხავს ნაზი ბროწეულის.

კლდესავით ძლიერია, ჩემზე რომ ამბობენ,
როგორ გეკადრებათ, ეს არის ტყუილი,
ბედის მახვლებმა, რამდენჯერ დამბობეს,
ღმერთმა გაიგონა ჩემი ხმის ღმუილი.

სულები შეიკრბნენ გამართეს თათბირი,
ერთხმად გადაწყვიტეს, რწმენით გაძლიერდეს,
გული აქვს ნატანჯი, ნასერი-ნათიბი,
სიცოცხლის ბოლომდე მადლით დადიოდეს.

ჰოდა, მადლის თესვით ბილიკებს მივყვები,
ნუ მატკენთ გულს ისეც ხომ იცით მკვდარია,
მაცოცხლებს რწმენა და ზღაპრებსაც გიყვებით,
ო, როგორ ვერიდები, ბოროტს და შარიანს!

სიზმარი

დამ მომახარა, სიზმარი,
ცეკვავდი ფატა გეცვაო,
დაო, მაგას არ ვიზამდი,
ყოველდღე დარდებს ვკეცაო.

დავფიქრდი, იქნებ ამიხდეს,
გავიძრო შავი სამოსი,
ეკლის ბილიკებს მივიკლევ,
ჩუმად ცრემლები ჩამომდის.

დაღამდა ველი სიხარულს,
რას ველოდები ნეტავი,
არ ავდევ ჭორის მოყვარულს,
მძულს გრძელი ენის მკვნეტავი.

ცამ ღრუბლის კაბა გაიძრო,
ღამეში მთვარე გამოჩნდა,
ქორმა მუცელი გაიძღო,
დღე მზის სხივებად ჩამოდნა.

ამიხდა დაო, სიზმარი,
მეც გავიხარე ძალიან,
შენც ჩემს სიხარულს გიგზავნი,
დარდისთვის აღარ მცალია!

სულის ტაძარი

ვეღარ გავძელი დარდის ცეცხლში
გამოვექეცი,
ზურგი ვაქციე ხსნა ვიგრძენი
სულის ტაძარში,
ამორძალივით მებრძოლ ქალად
გადავიქეცი,
და შევაღწიე აყვავებულ
ლამაზ ბაღნარში.
მზე მბრძანებლობდა, თვით მზესაც კი
ზურგი ვაქციე,
ბრძოლის ჭიდილში აბჯარასხმულ
მეომარს ვგავდი,
თვალს ჩაგროვილი დარდის ცრემლი
გადავაქციე,
ომის ქარცეცხლში, სულის ტაძრის
სასახლე დავდგი!



ეროვნული სულის დედამ

ეროვნული სულის დედამ,
შვილს დავარქვი დავითი,
გამოვზარდე ბიჭი მხედრად,
ასლი მამათავისი.
დავითობას მივულოცავ,
შვილს და ძმისშვილს ორივეს,
კიდევ გულით მას დავლოცავ,
ვინც კაცურად მორიგდეს.
ჯიშს და ჯილაგს გვერდს არ უვლის,
უჭირს, მიეხმარება,
სიყვარული რომ აქვს უფლის
ცუდს არ გაეკარება

ჩემი სახლის კედლები

ცივი სუსხით გული შემომეჟარა,
და ღრუბლებმა ოროველა იცეკვეს,
გაზაფხული მოდის ჩემო ქვეყანა,
მზის სხივებმა მთები გამოიცეკვეს.
ვშიშობ ადრე არ აფეთქდეთ კვირტებო,
თორემ მარტი ფერს შეუცვლის ყვავილებს,
ბუდეები ჯერ არ მორთოდ ჩიტებო,
დაელოდეთ, აყვავებულ გვირილებს.
მერე როცა, მზის სხივებით დათბება,
იფარფატებს ფრთებხატულა პეპლები,
სურნელებით გამლელები დათვრება,
გაიხარებს ჩემი სახლის კედლებიც!

ჯვარი გწერიათ ბიჭებო

(ვახო სხირტლაძე)

მთის ირმებო, საქართველოს, არწივებო,
თქვენი არის, უსასრულო სამყარო,
ვარაკვლავებო, და სიცოცხლის იმედებო,
თქვენ ფარხმალი, არასოდეს დაყაროთ.

ჰა, ბურთი და ... სიმამაცით ცას მიწვედით,
თქვენნაირ შვილს, ყველა დედა ნატრულობს,
ეს ბრძოლაა, დუელში კი არ იწვევდით,
საქართველოს, იქნებ თქვენ უპატრონოთ!

სიცოცხლე

სიცოცხლე მაინც მიყვარხარ,
რაც უნდა გული მატკინო,
თუ ბედისწერამ გამრიყა,
არასდროს არ ამატირო.
ხან წვიმა მოვა და ხანაც,
ითოვებს ნამქერს მომაყრის,
რა დავაშავე მისთანა,
მადლს ვთესავ მგელს
 რომ გადამყრი.
მე ხომ მიყვარხარ და ვიცი,
შენით, რომ სული მიდგია,
უმადურობას განვიცდი,
სიკეთის?... მთა დამიდგია.
მაინც მიყვარხარ და რა ვქნა,
სიყვარულია სამყარო,
არ შემცვალო და გარდამქნა,
ამ რწმენას არსად გამყარო.
რამდენი საქმე დაგროვდა,
ისე ვით თოვლის ნამქერი,
ვინც შევქმენ მაინც დამშორდა,
 ყველას შორიდან გავცქერი.
მე მათთვის კვლავ მილოცნია,
ვლოცავ დაიპყრონ მწვერვალი,
განა ცოტაა ოცია,
დარბიან როგორც მწევარი.
მაინც მიყვარხარ სიცოცხლე,
სიკეთეს არვის ვაყვედრი.
გპირდები შენ თუ მაცოცხლებ,
არასდროს ვიტყვი საყვედურს.

ანთებულ სანთელს

ამ ჩემს ოთახში ანთებულ სანთელს,
ვევედრები და სათქმელს გავანდობ.
არ ვუფრთხილდები გულს სევდით ნათელს,
მოფერებაში უნდა დავადნო.

აბა რად მინდა თუნდაც ის ფიქრი,
თუ ბოღმით გულში ჩაიქვიტკირა,
უსასრულობა შორსაა იქით,
წლებმა ის წლები გამოიტირა.

ჩემში არ არის ცინიკოსი და...
სხვისი დაცინვა არასდროს მიყვარს,
არც ექიმი ვარ არ ქიმიკოსი,
სევდა ვარ, წყალმა რომ გამომრიყა.

სული ნაზი მაქვს როგორც ზამბახი,
სხეული ჩემი დარდის სახლია,
დროც აქვე არის ცივი ზამთარის,
გული გრძნობების დიდი არხია!

ერთი შეხედვით

(მაია ჯანანაშვილს)

მზეს შეადარებ ერთი შეხედვით,
იტყვი ნამდვილად რომ მზის სხივია,
ან გულს გაითბობთ, როცა შეხვდებით,
ანდა იკითხავთ ვისი შვილია.

ნუ გიკვირს

ნუ გიკვირს საით გაფრინდა წლები,
ისიც ნუ გიკვირს მადლს რომ თელავენ,
მათ რა იციან რომ დარდით კვდები,
ისინი შენთვის არა ღელავენ.
არც დაემდურო, ან რა აზრი აქვს,
ღამით რომ ითვლი ცისკრის ვარსკვლავებს,
შენი ცხოვრება არავის არ ჰგავს,
შენი ცრემლები ჩუმად კვარჩხალებს.
ხედავ ამიდიც ნაღვლიანია,
და გზას გასცქერი როგორც ეული,
დედამიწაც კი, ცრემლიანია
დილის მზის სხივებს გადაჩვეული.
ახლა ვინ გხედავს, ანდა ვინ გდარდობს,
თვალი ცრემლებით რად აგვსებია,
გული რაც გტკივა არავის ანდო,
ამაგი ან ვის დაფასებია!

შენ გიხმობ

მიწაში დავთესე მარცვალი,
თუ მოვა, ალალად შვილებს...
თვალს ვახელ სულ გულის ფანცქალით,
იმედს ნუ გამიშვილებ.

შენ გიხმობ, დედაო მარიამ,
შენს კალთას შემაფარე,
ჩემები ცას ბევრი არიან,
მოკითხვა დაგაბარე.

არ ვიცი რამდენ ხანს დავრჩები
ვიცი რომ ეს ბედის საქმეა...
ჯერ მიჭრის კვლავ ჩემი მარჯვენი,
სიკვდილი? ... ყურის ქვეშ, აქვეა.!

ბაბოს პირველი სიხარული

სანამ არ გამოცდი ეს გრძნობა რა არის,
აჯობებს დუმილით რომ შეხვდე მსჯელობას,
ჩემთის თამუნია, სხვისთვის კი თამარი,
მის ნახვას ბებიკო, ყოველ წამს ელოდა.

პირველი სიყვარული, კისკისი, სიცილი,
ამ გრძნობას რას ავხსნი, ნეტავ რის ტოლია,
შენს თვალებს ბებიკო,უხდება ღიმილი,
გათხოვდი? მე კიდევ სიზმარი მგონია!

მზე ბრწყინავდა

ჩვენს თვალებში უსაზღვრო ცა ციციმებდა,
ზეცას ეცვა ოქროსფერი კაბა,
მამამისი მთვარეს გამოიცეკვებდა,
პაპის სული ისუნთქავდა ჟანგბადს!

შენ დაინიშნე

(თამუნა სხირტლაძეს)

შენ დაინიშნე და ბეჭდები გიმშვენებს თითებს,
მზის სადარ გოგოს სიფაქიზით კარი გაგიღეს,
თან გაიყოლებ, სიყვარულის უბიწო ნივთებს,
ყველაზე ძვირფასს, (ეთგულებას) მზითვად წაიღებ,
შენთან ღმერთია, სადაც წახვალ ეს უნდა გწამდეს,
ცაში მამიკო,საცეკვაოდ გაიწვევს მთვარეს,
როცა ნერგს დარგავ სიკეთისას, შენ უნდა გგავდეს,
ჩემი ლოცვა კი სევდის ნისლებს, არ გაგაკარებს.

ეს ჩემი თამუნაა

ეს ჩემი თამუნიაა, ვინაც ორმოცდა ორი წლის როცა გავხდი, მითხრა: – გეყოს ახალგაზრდობა, უნდა დაგაბეროვო და ბებია გამხადა. შემოცქრიალდა სახლში და შემოიტანა მზის ფერი სხივები. როცა წამოიზარდა, სულ ჩემთან იწვა. მე მისი საკუთრება ვიყავი, არავინ უნდა მომკარებოდა.

მზის ათინათის მსგავს ლამაზ გოგოს,
კვლავინდებურად, მივესათუთე,
მიყვარს ძალიან, თან მიყვარს როგორ,
ჩავიკარი და გულში ჩავფუთნე.

სიცოცხლის შარბათს მასმევს და მათრობს,
გრძნობის ლოთი ვარ, მიყვარს ძალიან,
ახლა დიდია მაინც არა მთმობს,
უკვე ბებიკოს დიდი ქალია!

მოდი მომახარე

მოდი, მომახარე გაზაფხული,
რომ მეც დავიამო გულის წყლული,
მტრედი, ჩემი თვალით დანახული,
დარდით რომ არ იყოს ჩამუხლული!

❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

ფიდო ნიუარაძე



ამა ქვეყნის თამადა ვარ!!!

ვენაცვალე მე ჩემს ფიქრებს,
ყველგან თავისუფლადა ვარ...
სად არა ვარ, რად არა ვარ,
ხმელზე ვარ და ცად არა ვარ,
სიყვარულით ავადა ვარ,
ჯანმრთელობით მთვრალადა ვარ,
შეგეყრები დარდადა ვარ,
გაგეყრები ავდრადა ვარ,
ჩემებ სენით შეპყრობლის
უკვდავების წამლადა ვარ,
ამა ქვეყნად ია-ვარდად
და იმ ქვეყნად ჩავარდნად ვარ...
მამა-პაპურ არყის მსმელი
და უცვლელი თამადა ვარ!
ამ არაყთან არ მიწყინოთ
ცოტაც კიდევ მწყრალადა ვარ,
მშობელ ქვეყნის ამა სოფლად
აუღებელ ციხედა ვარ!
ჯვრად გაკრული, ცოცხალ-მკვდარი
იესო ქრისტეს ცხედრადა ვარ.
ამირანი ბაყბაყდევის
ბრაზ-ბოღმად და ჯავრადა ვარ!
რას დამაკლებს ამირანი
ბაყბაყდევიც თავადა ვარ!
გლეხი, მუშა, მაცხოვარი
მათხოვარიც თავადა ვარ!
ვენაცვალე მე ჩემს ფიქრებს
ყველგან თავისუფლადა ვარ!
მიჯნურობით უკვდავების
საუკუნო წამლადა ვარ,
სნეულება რას დამაკლებს
სნეულებაც თავადა ვარ!
სიყვარული რაღას მიზამს
სიყვარულიც თავადა ვარ!
ავადმყოფთა ექიმებთან
ჯანმრთელობის მინისტრიც და
ექიმების სიჯანმრთელე
სახელმწიფე თამადა ვარ!
დავრჩი ისევ მე ჩემს ფიქრთა
სამუდამო სიჩუმეში...
წუთი სოფლით ამა ქვეყნის
უკვდავების სიმშვიდეში,
თუ წამითაც გეგონოთ რომ
ჭკუაზე ცოტა მცდარადა ვარ,
ნუღარ გიკვირთ გაიკვირვეთ
სიყვარულის თამადა ვარ!

გურამ ჭავჭანიძე

ღმერთო შემინდე

რა ვქნა თუ გულში ვერ ჩავატიე
ვერც ტკივილი და ვერც სიხარული,
ღმერთო შემინდე და მაპატიე
ვერ დაფარული ეს სიყვარული.

23.08.2019

„ავს თუ ავი არ უწოდო...“

მირზა გელოვანის ამოძახილი

აფსუს, ჩემო, „უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ“.
მტრებისაგან დაგიცავი,
„მოყვრებისგან“ ვეღარ გიცავ.

ვიდრე პარადს მოგვიწყობენ

ნეტა, ვისი წყალობაა,
რომ დაგვევსო თვალები,
რომ მომრავლდნენ ზნედაცლილი
კაცები და ქალები?
ახლა მაინც გაახილეთ
დასავსები თვალები,
ვიდრე პარადს მოგვიწყობენ
ჰომოსექსუალები!

„ვარდოსნებს“

ვარდები და ტაშ-ფანდური კარგია,
თუ ქვეყანას რაიმეში არგია,
დღეს კი რა გვაქვს ზარ-ზეიმის თანხლებით,
ძველი კლანის ჩანაცვლება ახლებით?
ბაქიბუქით გულისყური წუხდება,
დაპირებებს შესრულება უხდება!

* * *

ისე მტრობენ თანდათან,
„ქოცები“ და „ნაცები“,
ვერ გაიგებ ხანდახან
ვინ უფროა საცემი.

ღმერთმა დასწყევლოს!

ვინც გაასხვისა ჩვენი მთა-ველი,
გაამათხოვრა კაცი ქართველი,
ვინც გაგვიმრუდა გზა გასავლელი,
ღმერთმა დასწყევლოს მისი სახელი!

ათი წლის მერე?

ათი წლის მერე, ვინ იცის,
საქმე იმდენად წახდება,
ქართველი კაცი თბილისში
სანთლით საძებნი გახდება!

ბევრი მდიდარი ყაჩაღი...

ბევრი ყაჩაღი თუა მდიდარი
სიკეთეც ბევრი იქნება?
არავითარი, არავითარი,
რაცა გვაქვს, ისიც გვიქრება!

ვირთხები

თუ იყნოსეს ავდარია,
მზად არიან გასაქცევად,
სანაცვლოდ კი მზად არიან
თუნდაც ქვეყნის დასაქცევად!

* * *

ნეტა ვინ სცოდავს იმ მაღალ ღმერთთან,
ვინ დაშვრა თქვენი გადამზადებით?
ან ვით შეგყარათ ამდენი ერთად
ეს დახვეწილი არამზადები?!

ცისფერ ედემით, ნარინჯებით მზის დისკოებით

გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

ჩემის ქმედებით, ვნებათ ფეთქებით
და გაგიჟებით,
ცისფერ ედემით, ნარინჯებით,
მზის დისკოებით,
წინ დამიჯდების ქართა სკვინჩები,
სივრცის შემხებნი,
დრონი მიმზერნი, სასწაულით
შენაფეთები.
ახალ ეპოქებს, ნუთუ ეყოფათ
გონის სამანი,
როგორც ფრთამალის გაელვება,
ფიქრთა ხვეულით,
გაჭრა კოსმოსში აწმყოისა,
დღით წარმავალით,
როცა გრძნობები კაცთ
კიდით გვაქვს ჩამოხეული.
იქნებ, პირიქით, ისე როგორც
ჭინჭველთ საჩვევით;
ტანჯვა იგემე, ცეცხლით ირთვი
და რაც შენია:
რწმენა, ნამუსი, სიყვარული,
თესვა სიკეთის,
ო, ეს ყოველი (რა, საჭიროა?)
ძველთაძველია.
იქ, მანქურთები, რობოტები
მონსტრის — მონსტრები,
გენეტიკური გარდაქმნებით
განაოცები,
იქ, უგრძნობელნი, უთვისტომო
ხალხი გვჭირია,
იქ, უგულობა, არდანდობა,
სიდუხჭირეა,
ვერ დავიჯერებ, ვერ ვენდობი
ცრუ თაოსნობას,
რა საჭიროა აქ მჩხიბავთა
ცდა და მისნობა.

ესე, სამყარო, ხომ ჰანგისთვის
შექმნა უფალმა,
ესე, სამყარო, ხომ ედემად
დაასურათა,
ხომ სიყვარული, ტკივილამდე,
მოგვცა სულიერთ,
დედო, შენს მკერდზე თვალნი, ერთხელ
მიმალულინე,
კიდევ მაჩვენე, გადაშლილი
ფერთა ყანები,
შენს სულს მივეტრფი, შენს ნანინას
ვეთაყვანები.
რა, აღრევები აღარ ხდება
დედამიწაზედ
თავისუფლება; სქესობრივი,
სისხლის დუღილით,
რა ვქნა, რა ვუყო, თავსა ჩემსა,
ეს ვერ ვიწამე,
დარდი თან დამსდევს და ეს არის
ჩემი წუხილი,
უსიყვარულოდ, უერთგულოდ,
უერთმანეთოდ.
უვარსკვლავებოდ, უმთვარეოდ,
მიწის გარეშე,
ელექტრონები, ატომები, ვნების
გარეშე,
რომ დავემსგავსოთ ენერგიებს,
ლანდურ სივრცეში..?
ალბათ, ეს, მაშინ, ატლანტად
როს გარდავიქმნებით,
ალბათ, ე, მაშინ ლემურიულ საწყისს
როს ვნახავთ,
მეზოზიური სიბრტყენი ქვე ბნელეთს
მისცქერის
კაინოზური, იურული სიზმრების
ხანას,
დაღარულია ჩვენი ტვინი, როგორც
სამყარო,
დაქანცულია ჩვენი სული, როგორც
მნათობი,
რატომ მოვედით, აი, კითხვა
ყოფნა-არყოფნის,
ჩვენი მიზანი-ამოცანა,
გამოიცანი.
თუ, გამოიცნობ, ბრავო, ბრავო, ..?
შენს აღტაცებას,
თუ, კი ჩაწვდები ყოველივეს ცისკრის
ზარებთან
გთხოვ მიმიყვანო, ტოროლების
ხმათა წკრიალში,
დიდი ფიალით ღვინო მასვი და
განთიადი.

ნაირა ნიჟარაძე

ცხოვრების ორომტრიალი

1

ნათესავებთან სვანეთში ვიყავ,
უცებ იფეთქა მთამ მრისხანებით.
მაღალი მთიდან წამოვიდა სასტიკი ზვავი – თეთრი, ქათქათა.
განრისხდა შხარა – მაღალი მთა – ბოხოხიანი.
შეგვაზანზარა, აგრიალდა და შეგვაშინა.
არ შეეშინდა ჭაღარა სვანს – ბევრ ჭირგამოვლილს.
– შხარა ბობოქრობს, – თქვა მოხუცმა, – ჩანს
სამყაროზე გულმოსულია.
– საჩქაროთ უნდა წავიდეთ კოშკში. კოშკი
ძლიერი რამ არის ჩვენში.
ავჩქარდით ყველა. ავედით კოშკში და დავინახეთ
საშინელება.
დაუნდობელ ზვავს, თოვლის გუნდას, მიჰქონდა
ხალხის სახლ-კარი, ქვემოთ ჭიუხებსა და ქვესკნელის
უკან. როგორც ლამბაქი, ისე ეჯარა ყველა შენობა.
სულ თოვლს მიჰქონდა ყველაფერი ხარი და ძროხა
ქვემოთ, მთის ქვემოთ.
სვანური კოშკი კი იდგა მედგრად. ვერრა დააკლო
თოვლმა და ყინვამ. ვერც მძვინვარებამ ამაყი შხარის...
იდგა გუგუნი, გრიგალის უღვთო, და ცივი თოვლის ბზრიალ-ტრიალი.
შიშით ვუმზერდით მთის მრისხანებას.
როცა მიწყნარდა გრგვინვა-ქუხილი, შეჩერდა ზვავი,
როგორც რომ მტერთა ურდო ძლიერი:
და დავინახეთ ცის კამარიდან ამოდიოდა მზე დიდებული.
– ჩვენთან წამოდით ბარში, პაპავ, – ვუთხარით მოხუცს.
– ო, არასოდეს, აქ დავიბადე, აქ უნდა მოვკვდე.
– მე მაინც მიყვარს ჩემი შხარა, ჩემი დიდი მთა.
– აქ არის ჩემი დედა – სამშობლო!

ალეკო დოლბაია

ასეთი კაცები აკლია დღეს საქართველოს

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ,რაც ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ მარადისობაში გადაინაცვლა.
დღეს 23 ივლისს იგი 80 წლის გახდებოდა.

დღეს დიდი ქართველის (ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია) ნუგზარ ნადარაიას დაბადების დღეა.
მას 77 წელი შეუსრულდებოდა.
ვულოცავ ბატონ ნუგზარს.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამშობლოს, ერის და დედა ეკლესიის წინაშე მისი ვალმოხდილი სული.
ასეთი კაცები აკლია დღეს საქართველოს.
ასეთი კაცები ჭირდება დღეს ჩვენს მრავალჭირნახულ სამშობლოს.
ასეთი კაცები გვიმრავლოს ღმერთმა.
ასეთი კაცების სახელის ხსენებაც კი გვწრთვნის და კეთილ საქმეთა კეთებისკენ განგვაწყობს.
დიდება მის სახელს, მრავალჟამიერ.
სურათზე: საერო-საეკლესიო დღესასწაული „ცოტნეობა-2014“. 12 აგვისტო, 2014 წელი, ხობი.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ვინ იყო ოლეგ მელაძე

==========

ოლეგ მელაძე იყო სიკეთის სხივი, მისი სითფო ყველას ყოფნიდა, სტუდენტებს, თანამშრომ-ლებს, ოჯახს, ახლობლებს,ყველანაირად მოწესრიგებულ პიროვნებას არაფერი ეშლებოდა. იყო

უკეთილშობილესი,ნიჭიერი მეცნიერი. თავის დაბადების დღეს დედამიწისა და ცის საზღვარზე ხვდება.ხორცი ჯერ სულს არ გაშორებია, არ ეთმობა ცოლშვილი. თანამშრომლები, თავისი ნაჯაფ-ნაღვაწი. ბატონო ოლეგ თქვენ იყავით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის წევრი – აკადემიკოსი. თქვენი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდებოდა ჟურნალ ,,ათინათში". წელს ოცდასამ ივლისს ჟუმბერ ლეჟავას იუბილე ავღნიშნეთ, რა დამთხვევაა ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, ჯუმბერ ხარაიშვილი და შენი სტუდენტი ნიკა ხარაიშვილი გაგიწევს მეგზურობას ცის აღმართზე. თქვენი კეთილშობილება წინ დაგხვთებათ. როგორ განიცდიდენ და განიცდიან ყვლა თქვენთან განშორებას. ვწერ ამ სიტყვებს და თვალები ცრემლით მევსება, გზა ნათელი გქონდეს ჩემი აკდემიის ღირსეულო შვილო, გზა ნათელი.ის სართული სადაც თქვენ ფუსფუსებდით დარდის ალშია გახვეული.

ოლეგ მელაძეს

გარდაცვალება

თვალში აქაფქაფდა ცრემლი.
ცრემლი, ალალი და წრფელი...
ისევ სამსახურში გელით,
სკამიც აცახცახდა შენი.
ციცოს, მაიას და თამარს,
გული დაეჯიჯგნათ, დარდით
ვინ არ გამხდარაო ავად,
ისევ წაომდგარა, დადის.
ასე, იმედობდენ დღემდე,
ასე, ლოცულობდენ შენთვის,
სიტყვა მართალია მენდე,
მათ დარდს, მწუხრის ცრემლით ვერთვი..
თვალი შემოავლე თბილისს,
თვალი, კეთილი და სათნო,
მტრედად ვიცი მაინც ივლი,
თბილისს ანდა როგორ დათმობ?

ო, როგორ აგვატირე ყველა

ოლეგ, არ იმჩნევდი სევდას,
იყავ კეთილი და სათნო...
ცაში გელოდება დედა,
დედა არასოდეს დაგთმობს.
მიხვალ, ლამაზ თვალთა მზერით,
მშობლებს ჩაიხუტებ გულში,
აქ, კი აგვატირე ბევრი,
ერთად ვიღრიალეთ გუშინ...
შეგეგებებიან ვიცი,
ცათა პოეტები ლექსით,
მათმა შენი ფასი იცის,
პოეტს უთქმელადაც ესმის...

ხაბავშვო განყოფილება

ცაგო აბაშმაძე

თინიკოს ნატვრა

გაიხედეთ! ფანჯარაში!
რა ლამაზად თოვს!
თითქოს გარე სამყაროსთვის
ბამბის თავშალს ქსოვს.
ეს ფარფატა ფანტელები
ტკბილი რომ იყოს?
უჰ,რა კარგი იქნებოდა!
ნატრობს თინიკო.
ტკბილიც იყოს,თბილიც იყოს,
და დღედაღამ თოვდეს!
შოკოლადის ციგები და
ვაფლის სახლი მქონდეს!
გაიგონა ბებიკომ და
ჩაიცინა ტკბილად,
თინის თვალზე ააფარა
შოკოლადის ფილა.

საათი

წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკწიკებს,
არ ჩერდება წამით,
საათი რომ არ იყოს,
დროს გავიგებთ ჭამის?
ვერც სკოლაში ვერ
წავალთ!
ვითამაშებთ სახლში!
რა მაგარი იქნება!!
ტიტინებდა დღნაშვი.
საათი რომ არ იყოს,
ვერ გავიგებთ დროს,
ნუ ცუღლუტობ
ციყვუნა,
ნუ აჰყვები ჭორს.
წიკწიკებდა საათი,
ყურს უგდებდა ჭორს,
ზურგზე აკიდებული
დრო მიჰქონდა შორს

ოსტატი ჩარლი

ვინ არ იცნობს ოსტატობით
სახელგანთქმულ ჩარლის,
ზღარბუნიებს გაუკეთა
საოცნებო სახლი.

აღარც წვიმა შეაწუხებთ,
არც თოვლი და ქარი,
მსოფლიოში არსად არის
ბავშვი, ჩარლის დარი.

მომავალი გმირი

მითხარ ბაბუ, ჩემს სამშობლოს
როგორ გამოვადგე?
გეტყვი, ოღონდ ყოველ დილით
ადრე უნდა ადგე.
დაიბანო ხელი,პირი
ისაუზმო კარგად
და სკოლისკენ გაეშურო
ჩემო ბიჭო, მარდად.
აი,კარგად რომ ისწავლი,
საქართველოს წარსულს,
მაშინ პატივსაც მიაგებ,
გმირებს, ჩვენგან წასულთ.
გეყვარება შენი სოფლის
ტალახიც და მტვერიც,
თუ ერთგულად იმსახურებ,
ვერ დაგვჯაბნის მტერი.
არ დაჯაბნი უმწეოს და
დაუდგები გვერდით,
გაჭირვებულს ხელს გაუწვდი
საკუთარი ნებით.
არასოდეს მიატოვებ
სათაყვანო მხარეს,
იშრომებ და ააყვავებ
ველმინდვრებს და ბაღებს.
აი, მაშინ ყველა იტყვის,
გმირიაო ...ბიჭი,
საქართველოს სიყვარულის
თუ გაქვს მართლა ნიჭი.

ბარბარეს

ბებოს სულის ნაწილი ხარ,
ცხრათვალა მზის სწორფერო,
მინდა გულში ჩაგიკრა და
გეფერო და გეფერო.

ჩემი მუზის დედოფალო,
სხივნათელო ფერია,
შენი ტკბილი გაღიმება
ჩემთვის ყველაფერია.

ეს სამყარო შენთვის მინდა,
ფარდაგებად დავფინო,
უფლის მადლი და სიკეთე
ლოცვით გამოვაფრინო.

❖❖❖

ვინც დედიკოს არ უჯერებს,
არც ბაბუს და ბებიკოს,
ვერ იქნება კარგი გოგო,
ტიტინებდა მედიკო.

მამიკონას მუხლზე დამჯდარს
დაავიწყდა მამიკო,
– მამა უნდა გააბრაზო?
ახითხითდა მაიკო.

მარჯვე ფისო

ალო!,მე ვარ წრუწუნა,
ალბათ უკვე მიცანი,
ხვდები მაინც სადა ვარ?
აბა გამოიცანი!.

აქ იმდენი თხილია-ა!
და იმდენი კაკალი-ი!
მთელ სათაგვეთს გვეყოფა,
აბა ჩქარა! ცანცალით!

მთელი წლის მოსავალით,
სავსე იყო ნალია,
მინდვრის თაგუნიებმა
გაიხარეს ძალიან.

მაგრამ შუა ნადიმში
თავს წაადგათ კატუნა,
ისკუპა და ორივე
დაიჭირა თაგუნა.



ცელქი ლეკვი

ლეკვი დაიკარგაო!
განგაშია ეზოში,
როდის გაიპარაო?
ეძინაო ჩეროში.

მთელი დილა ეძებდა,
ბოლოს ძებნით დაღლილი
მურა მოლზე წაიქცა,
არაქათგამოცლილი.

ჩვენი ცელქი ლეკვი კი
ქუჩას ყეფით იკლებდა,
როცა იხვმა იპოვა,
ბედისწერას მინებდა.

იხვმა გულში ჩაიკრა,
მოცახცახე პატარა,
მერე დინჯი კვატურით
ეზო გადაატარა.

მიუყვანა დედიკოს,
ცას ეწია მურია,
იხვი გადაკოცნა და
ლეკვს ყური აუწია.

არასოდეს ვიცელქებ,
მაპატიე დედიკო,
მთელ სოფელში ვიქნები
მისაბაძი ლეკვიკო.

ბახუნა და წკაპუნა

წვიმის წვეთი წკაპუნა,
ესალმება ბახუნას,
უხარია ხითხითას,
ტორი დაუბრახუნა.

პაწაწინა თითებით,
დასდევს წვიმის წვეთუნებს,
არ სცილდება ფანჯარას,
უთათუნებს თითუნებს.

* * *

ეს პატარა ბიჭუნა,
ხუჭუჭა და ღიმილა,
დაეკარგა დედიკოს
და კომბოსტომ იშვილა.

გაიზარდა ბიჭუნა,
გახდა ნეკის ოდენა,
საბალახოდ წასული
თხები თვითონ მოდენა.

თხებმა ცერად შეხედეს,.
ვერ ამჩნევენ თითქოს,
ხმა გვესმის და არ ჩანსო,
მგონი არც რა იყოს.

გზაზე შეხვდა ბაჭია,
ნაცრისფერი, პრანჭია,
ჰე,დობილო მითხარი
საით გაგიწევია?

ბაჭიამ კი სიცილით
ცხვირი ზემოთ ასწია,
ცეროდენავ არ გკითხავ,
ბეწვი რად არ გაცვია..

შენ ისეთი ციცქნა ხარ,
თითქოს იყო ღილი,
წადი,გამოიძინე,
გაიზრდები ძილში.

გული დაწყდა ბიჭუნას,
მიატოვა ბაქია,
მერე სიმღერ-სიმღერით
თხებისაკენ გასწია.

თხებმა თავის კანტურით
და წვერების ცანცარით,
კუნტრუშ-კუნტრუშ გასწიეს
სახლისაკენ ნარნარით.

სად იყო და სად არა,
თმაქოჩორა მამალი,
გამოგოგდა ეზოში
ვარიების ამალით.

დაინახა თხები და
დასცხო ომახიანად,
ყიყლიყოო, რა მოხდა?
თქვენ აქ ვინ მოგიყვანათ??

მარტო არა,ხუჭუჭა
ახლაც გვერდით გვიდგას,
თქვა ნაცარამ კიკინით,
და გვერდულად მიდგა.

ცეროდენა ბიჭუნა,
მიწას ძლივს რომ აჩნდა,
ბრაზს თოკავდა სიმწარით,
ნამცეცა რომ გაჩნდა.

მაგრამ ღმერთმა უბოძა
სიყვარულის ნიჭი,
მას ყველანი უყვარდა,
იყო უფლის ბიჭი.

ციყვი კეკე

კუდფუმფულა ციყვი კეკე,
დაეძებდა სასუსნავებს,
გადააწყდა მწიფე კენკრებს
და თოვლისგან ასუფთავებს.

ფიქრობს,ნეტავ სად არიან,
გოგოები კიკო,თოკო,
,,მერე რა, რომ ზამთარია",
არ ეყოფათ მარტო სოკო.

ამოდენა მოსავალი,
დასაკარგი არის განა?
ნახა გამოსავალი და
ზურგით ზიდა თანდათანა.

გოლიათი სპილო

დაიბადა სპილო,
რაღაც ოცი კილო,
თურმე ჰქვია სპლიყვი,
არ გეგონოთ ბრიყვი.
დაიბადა თუ არა,
თავი გაიპიარა,
გენიოსი სპლიყვი ვარ,
ასკინკილით დავდივარ.
მიყვარს ცეკვა-თამაში,
ცუდს რას ხედავთ ამაში?
მომიტანეთ ვაშლიო,
ხელს ცეკვისთვის გავშლიო.

დინჯი დათუნია

დათვი დინჯი უნდა იყოს,
ჭკვიანი და მშვიდი,
კურდღელივით აცეტება
სირცხვილია დიდი.
დაარიგა დედა დათვმა
ერთადერთი ბელი,
ბელმა ყური მოიყრუა,
აითრია წელი.

სანახევროდ უსმენდა და
უქანებდა თავს,
მაგრამ მაინც იცუღლუტა,
აედევნა ქარს.
აბურთავა ქარმა დიდხანს,
გადაკიდა შარს,
დათუნიას გზა აებნა,
ვერ მიაგნო სახლს.

პროზა

მაყვალა გონაშვილი

ქართული კულტურის რაინდი

გამიგონია, ყველაზე კარგი მუსიკალური საკრავი იმ ხისგან გამოითლება, რომელიც ყველაზე მიუვალ კლდეზე ხარობდა, ყველაზე მეტი ქარ-წვიმა და მეხთატეხა გადაიტანა. სწორედ ასეთი ხის საკრავი გამოსცემს თურმე გასაოცარ ჰანგებს.

რა დელგმამ, რა ქარიშხალმა, არ გადაუარა ბავშვობიდან სიბრძნის ასაკამდე რეზო ჩხეიძის ცხოვრების გზას, იქნებ ამიტომაა მისი შემოქმედება ასეთი ღვთაებრივი და ასე მიწიერი, ასეთი ეროვნული და ამავდროულად ასე ზოგადსაკაცობრიო, როგორც ყველა უკვდავი ნაწარმოები.

ქართველებს ერთი მშვენირი სიტყვა გვაქვს, ღვთისნიერი კაციაო, იტყვიან მავანზე, კაცზე, ღვთის ნირი რომ შერჩენია გაეგნობასა და სულში. ეს სიტყვა შეგვახსენებს, რომ მამაუფალმა ადამიანი თავის მსგავსად შექმნა.

განა ბევრია ჩვენ შორის ისეთი კაცი, საუკუნეთა მდინარე გამოვლილს სახე რომ არ შეცვლია, ჯერ ისევ რომ შერჩენია მის სხეულს უფლის წმინდა ნათითურები, მის სულს უფლის სუნთქვა, მის გულს უფლის დანაბარები, რომ ღმერთი სიყვარულია.

რეზო ჩხეიძე სწორედაც რომ ღვთისნიერი კაცია უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ფილმში, ყველა ჩანაფიქრსა თუ ნამოქმედარში. მას უამრავი პრემია და ჯილდო აქვს მიღებული, ჩვენ კი, მწერლებმა ქართული კულტურის რაინდის წოდება მივანიჭეთ, მსოფლიო კინომატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

რაინდის წოდება რომ მოგენიჭოს, დიდ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, რაინდის თვისებებით უნდა იყო შემკული. პატიოსნება, ერთგულება, სულგრძელობა, მოყვასის სიყვარული, თავდადება, უდრეკი სული, აი, ჭეშმარიტი რაინდის თვისებები, ანუ, რეზო ჩხეიძის სულიერი პორტრეტი.

არის ერთი ცხოველი, სიასამურის ჯიშისა, მისი ბეწვისგან უძვირფასესი ქურქი მზადდება, ერთი უცნაური თვისება ჰქონია მას. არასოდეს გაივლის ტალახში. ეს კარგად იციან მონადირეებმა და როცა მისი შეპყრობა სურთ, ყველა გზას გადაუკეტავენ და ტალახისკენ ერეკებიან. ცხოველი სიბინძურეში გავლას სიკვდილს ამჯობინებს.

`უმალ სიკვდილი, ვიდრე უმცირესი ლაქა~. _ ეს სიტყვები ფარზე ჰქონდათ ამოტვიფრული შუა საუკუნის რაინდებს.

ამ დევიზით დადის ჩვენს შორის კაცი, რომლის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად შეიქმნა ეს წიგნი.

. . . .

ეს სიტყვები რეზო ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნის წინასიტყვაობიდანაა „იდექი ისე, როგორც ბერმუხა“. სრულიად უანგაროდ ვიმუშავე ამ წიგნზე და სიხარულს მანიჭებდა ბრძენკაცთან ბაასი. თავად მადლობის ნიშნად შემომთავაზა შენზე დოკუმენტურ ფილმს გადავიღებო. მომერიდა, ვიუარე... ახლა გული მწყდება.

ბევრი რამის გამო ვარ მადლიერი არსთაგამრიგესი, თუნდაც იმიტომ, რომ ცხოვრებაში მრავალ ისეთ პიროვნებას შემახვედრა და უფროს მეგობრად მიქცია, რომელთა სახელები ბავშვობიდან დღემდე ჩემთვის საფიცარი, მისაბაძი და სანუკვარია. ერთი ასეთთაგანი ბატონი რეზო იყო...

სახუმარო საქმეა? „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორი გასაოცარი თბილი ღიმილით გხვდებოდეს, შენთან შეხვედრა და მეგობრობა ახარებდეს და ოთხმოც წელს გადაცილებული რაინდი მანქანიდან გადმოსვლას გასწრებდეს და კარს თავად გიღებდეს.

მასთან საუბრისას ერთი რამ მაოცებდა. წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ ცხოვრებამ რა ტკივილი არ გადაატანია. „ხალხის მტრის“ შვილის სახელით დაუშანთეს ბავშვობა. მერეც, ცხოვრების დიდ გზაზე სიკეთის წილ არაერთმა უმადურმა აგემა შხამი. მოშურნეც ბევრი ჰყავდა და მოქიშპეც. თავად კი სულ სიკეთეს თესავდა. მტრობა მტრობით არავისთვის გადაუხდია.მის ბაგეს არასოდეს დასცდენია სხვათა აუგი.

სამების ტაძრიდან გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე. იცოდა საქართველომ ვის ემშვიდობებოდა და ტაძარი ხალხით იყო სავსე. ჭირისუფლებთან და ცნობილ პიროვნებებთან ერთად ვიჯექი, მართლაც მგლოვიარე და გულდათუთქული. თავზე ვიღაც ხეპრე დამადგა. ყველა ლხინსა და გლოვის ცერემონიალს ჰყავს თავისი არამკითხე, „ვითომ გულშემატკივარი“ და საქმის მოთავე. „აბრძანდით აქედან ქალბატონო, ცნობილ ადამიანებს დაუთმეთ ადგილიო“. რა უნდე მეთქვა, ავდექი და უკანმოუხედავად დავტოვე ტაძარი. ვიღაცეები გამომექომაგნენ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყოო. მე კი იმას ვფიქრობდი, ეს რომ ბატონ რეზოს ენახა, ხელმეორედ მოკვდებოდა ამ კაცის უტაქტო საქციელის გამო მეთქი.

სუფრაზე დიდის ამბით მომიბოდიშა. ვერ გიცანით, ვინ ბრძანდებოდით, ეს როგორ დამემართაო.

და რა მნიშვნელობა აქვს ვინ ვიყავი... უბრალოდ ქალი ვიყავი, თვალცრემლიანი, დიდი რეზო ჩხეიძის გულწრფელი ჭირისუფალი...

ობლის კვერი ცხვაო...

ვის არ გინახავთ ერთი მსახიობის თეატრი.

ის თავად იყო თეატრიც და ამ თეატრის მსახიობიც, დრამატურგიც, სცენის მუშაც და გამნათებელიც... სცენა კი, ო, სცენა მთელი სამყარო იყო. სამყარო თავისი ქარ-ტეხილებით, სიკეთე-ბოროტებით, ტყუილ-მართლით, სიხარულით თუ ტკივილით..

ოტია იოსელიანს ვიხსენებ.

მუდამ მაოცებდა ხალხურ ზღაპარში ობლის კვერის ჯადოსნურობა. დედინაცვალი რომ მისცემდა შიმშილით გულმოკლულ და ზრუნვამონატრებულ გერს და ეტყოდა, აჰა, შენ ეს კვერი, წადი მომწყემსე საქონელი, ეს კვერი გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენც დანაყრდი და შინ ისევ მთელი მოიტანე, მთელი და უხინჯოო.

წლები რომ გავიდა, მერეღა მივხვდი, ზღაპრის დედინაცვალი ცხოვრება იყო, ობლის კვერი კი ის ღვთიური ნიჭი, მხოლოდ რჩეულთ რომ ერგებათ, რაგინდ ბევრი გასცენ და დაიხარჯონ ამ ნიჭს არარა აკლდება, აი, ისეთ ნიჭზე ვსაუბრობ, ოტია იოსელიანს რომ უბოძა არსთგამრიგემ.

პირველად ტელეეკრანიდან გავიცანი, მოსწავლე ვიყავი, მწარე, გაუხარელ ბავშვობაზე საუბრობდა, მწერლის ხვედრზე. ის გადაცემა დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას. მისი ხმის ტემბრი იმ დღიდან დამამახსოვრდა. მერე მის ზღაპრებს, რომანებს, პიესებსაც გავეცანი. 21 წლის ვიყავი, როცა პირადად შევხვდი.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გამორჩეულად უწყობდნენ ხელს ახალგაზრდა ხელოვანებს. იყო მრავალი ფესტივალი, სემინარი, პოეზიის საღამო თუ შეხვედრა. ამას ისიც ემატებოდა, რომ 17 წლის ასაკიდან ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი, არაერთი გადაცემის ავტორი და წამყვანი ვიყავი, ამიტომაც მერგო სრულიად ახალგაზრდას უფროსი კოლეგებისგან პატივი და სითბო.

წყალტუბოში ჩემი პოეზიის საღამო დაიგეგმა. თან სანატორიუმში დასვენებაც შემომთავაზეს, მე ჩემს გამზრდელ დედილასთან (ასე ვეძახდი კახელ ბებოს) ერთად წავედი.

საღამო წყალტუბოს კულტურის სახლში გაიმართა, რომელიც ბატონმა ოტია იოსელიანმა გახსნა.

ზის ჩემი თავსაფრიანი დედილო დარბაზში (ვინ იცის გულში სიხარულის რა ცეცხლი უტრიალებს) სიტყვას უქებენ მის გაზრდილს, კითხულობენ მის ლექსებს და უცებ ერთ-ერთმა წამყვანმა ბებოს მიმართა: – იქნებ გვიამბოთ, მაყვალა როგორი ბავშვი იყოო.

დედილა, ცრემლივით გალეული, სიფრიფანა დედილა, ფეხზე არც კი წამომდგარა, ვიფიქრე, სიხარულისგან გული აუჩუყდა და საქებარ სიტყვებს ეძებს მეთქი.

მან კი ბრძანა: – მადლობის მეტი რა მეთქმის ხალხო, მაგრამ დიდი არგასაზრდელი და არსაითი ბავშვი იყო, მაგისმა დევნამ დამაბერაო.

-ამიტომ მიყვარს კახეთი, მართალ სიტყვაში გენაცვალე დედიო. ჩიბუხი ტუჩებს მოსწყვიტა ბატონმა ოტიამ. იმერელი ბებია რომყოფილიყო, იტყოდა ბაღნობიდან გენიოსი მყავდაო.

სუფრის თამადაც ბატონი ოტია ბრძანდებოდა. კაი ბაღანა ხარ შენ, კაი ბაღანაო, მეძახდა... მერეც, ათეული წლების მერეც ასე მომმართავდა, ასეთად დავრჩი მისთვის.

სუფრაზე ვიღაცამ ლექსი წაიკითხა: „სამშობლო, დედის ძუძუი“... ეს სიტყვა ეხამუშა, რა კარგი ლექსია, ოღონდ ეგ სიტყვა არ უნდა დაეწერაო... ამ წმინდა ლექსმაც შეუქმნა უხერხულობა ჭეშმარიტ მწერალს, დღეს კი, დღეს უხამსობა თანამედროვე მწერლობის ნორმად იქცა.

როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ამირჩიეს, ყოფილი თავმჯდომარის მომხრე რამდენიმე ცნობილმა მწერალმა კავშირი დატოვა. ეს ჩემთვის გულში ლახვარივით იყო. ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ორგანიზაცია იბზარებოდა, ამაოდ ვიმეორებდი ყველა წერილში კავშირის პირველი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის სიტყვებს: „ვერიდნეთ დანაწილების,

დაქსაქსულობის შხამს! ნუ შევუშინდებით ჩენში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა სხვადასხვაობას. ჩვენ ყველანი ძიების ხანაში ვართ. ვეძებთ ჭეშმარიტებასა და მშვენიერების მწვერვალებს. მიზანი ერთი გვაქვს. მხოლოდ მივდივართ საძებრად სხვადასხვა გზით. ეს მიზანი გვაერთიანებს ჩვენ“.

საბედნიეროდ, ამ დროს დაუბრუნდნენ მწერალთა კავშირს წინა წლებში ორგანიზაციიდან გასული მწერლები: ოტია იოსელიანი, მიშა ქვლივიძე, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ ჯალაღონია და სხვები. ეს ჩემთვის დიდი მხარდაჭერა იყო.

ერთხელ მე, ჩემი მეუღლე და რევაზ მიშველაძე ვესტუმრეთ იმერეთს ნიკო ლორთქიფანიძის საიუბილეო ღონისძიებაზე. მეგზურობა ბატონმა ოტია იოსელიანმა გაგვიწია. ჯერ სახლში მიგვიწვია.

ვისაც ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი უნახავს, მინდა ვუთხრა, რომ ეს მუზეუმი მწერლის სიცოცხლეშივე იყო ასეთი სრულყოფილი, ეს არ იყო მწერლის საცხოვრებელი ბინა, არამედ სწორედაც მუზეუმი წიგნებით, კედლებზე აფიშებით, მწერლის პორტრეტებით, ერთადერთი, რამაც ეს მუზეუმი დაასრულა და საბოლოო სახე მისცა ეზოში თავად ბატონი ოტიას ძვალთშესალაგი და მემორიალური დაფაა.

ბატონმა ოტიამ ჯანჯუხა, არაყი და ყავა მოგვართვა. უცხოელების ერთდერთი რაც მომწონს ისაა, ყავას რომ მიართმევ სტუმარს და ფაცი-ფუცს ასცდებიო. „შენ კარგი თაფლიც გექნებაო“, – არ ეშვებოდა ბატონი რეზო. ოტიამ ყურიც არ ათხოვა.

სიტყვამ მოიტანა და ოტიას ძაღლიც გაიხსენეს, ბოხოია. ოტიამ ღრმად ამოიოხრა და ბრძანა. ერთხელ გავუწყერი და დარდისგან გული გაუსკდა, აი, როგორი თავმოყვარე იყ. რაც მე ამ მთავრობას ვლანძღავ, როგორ არიან ცოცხლებიო.

სიტყვის დიდოსტატები, ბატონი რეზო და ბატონი ოტია იმ დღეს არაერთ საჭირბოროტო საკითხს შეეხნენ, განსაკუთრებით იმაზე წუხდნენ „დედა-ენა“ რომ განდევნეს სკოლებიდან.

ბატონმა ოტიამ ბრძანა: ერთ საავტორო სკოლაში მიმიწვიეს, დირექტორმა თვისი შდგენილი „დედა-ენა“ მომართვა, წიგნს თვალი გადავავლე და გულმოსულმა დავხურე, ბოლომდე ნახეთო, არ მეშვებოდა ავტორი, „ღვინო რომ დააგემოვნო, თხლემდე ჩასვლა სულაც არაა საჭიროო, ვუთხარი“.

თუ იცით, რას ნიშნავს საავტორო დედა-ენა? მრავალისმეყტველად გადმოგვხედა ბატონმა ოტიამ. დედა-ენას რომ შენს ჭკვაზე გააცამტვერებ, აი, ის ყოფილა.

პირველ გვერდზე ეწერა „აი-ია“. გამიხარდა პატივი უციათ იაკობისთვის მეთქი, მეორე გვერდზე აი თხაო, რეიზა გადმოახტუნეს ეს თხა სხვა გვერდებიდან , არ ვიცი, მესამე გვერდზე ეწერა აი ასოო. ვიფიქრე ასო ბგერას გულისხმობს მეთქი. ასი ასოო... სა გვაქვს ჩვენ ანბანში ასი ასო.... ეტყობა სხვა რამეს გულისხმობდა იაკობ გოგებაშვილის დამწუნებელი, კიდო კაი, შიგ ასო არ ჩამიხატეს.“

ვიცინოდით, თუმც არ ვიცი, საცინლად გვქონდა საქმე თუ სატირლად.

ბევრი ივიშვიშეს, ბევრი იბრძოლეს, ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა სკოლებს იაკობ გოგებაშვილის დედა-ენა დაუბრუნეთო, ამ ორი წლის წინ გვაუწყა განათლების სამინისტრომ, ნატვრა აგიხდათო, მაგრამ რად გინდა, გამოხდნენ ყოვლის მცოდნე ვაი ლიბერალები და არასამთვრობოები და ლამის სახელმწიფო დანაშაულად ჩაუთვალეს მინისტრს ეს ქმედება. ის კი არა და ჩაჭრილი მოწაფესავით ბოდიშიც მოახდევინეს ტელეეკრანიდან, ჩვენ იაკობის დედა ენა ერთ-ერთ ალტერნატივად შევთავაზეთ სკოლებს, რას აირჩევენ, მათი ნებააო.

ზოგჯერ შიში მიპყრობს, მიდიან მარადიულ სასუფეველში ერის კაცები, თან ერის ტკივილებიც მიაქვთ... აქ, კი, ამ ცოდვილ მიწაზე ჭრილობები კიდევ უფრო მეტად ღრმავდება.

და განმტკითხავიც აღარავინაა.

ისევ ბატონი ოტია მინდა გავიხსენო.

გავიგე, მძიმე სენითაა დაავადებული და დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიაო. გადავწყვიტა, სასწრაფოდ გადამეღო მასზე დოკუმენტური ფილმი და საიუბილეო საღამოც ჩამეტარებინა. „ოტია იოსელიანის ათი მცნება“ – ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომლის ავტორიც თავად გახლავართ. რეჟისორი კი გიორგი კახაბრიშვილი ბრძანდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღც სამ დღეში მოვამზადეთ და მოვიწვიეთ სტუმრები ოტია იოსელიანის იუბილეზე, ხორავას თეატრის დარბაზი გადაჭედილი იყო, როგორც ამბობენ, ნემსიც არ ჩავარდებოდა.

სცენაზე მე და ბატონო ოტია ვიჯექით, საღამო მე მიმყავდა. შუა საღამოს მსვლელობისას სცენაზე ვიღც შუა ხნის კაცი ამობრძანდა, ხან მე მაჩვენებს ოტიას ფოტოებს, ხან იუბილარს ეჩურჩულება. ვიფიქრე ბატონი ოტიას ახლობელია, იმიტომ თამამობს მეთქი.

სუფრაზე ორმოცამდე სტუმარი მივიწვიეთ. რესტორან „ჯრწანისში“ მასპინძელი სერგი კაკალაშვილია თავისი განთქმული ღვინოთი. ის, სცენაზე უბოდიშოდ მონავარდე უცხო კაცი ბატონ ოტიას გვერდიდან არ სცილდება. სტუმარი იუბილართან დაბრძანდა.

შუა ქეიფისას იყვირა ოტიამ, ვინაა აი კაცი, რა შემჭამა, მე აქ გამჩერებელი არ ვარო, თქვენი ახლობელი მეგონა მეთქი, ვიმართლე თავი. გარბის ოტია ხელების ქნებით და უკან ის უცნობი მიჰყვება, როგორც ჩანს, რაღაცას უხსნის, ან ებოდიშება. ცოტა კი შეჩოჩქოლდნენ იუბილარის გარეშე დარჩენილი საიუბილეო სუფრის წევრები, მაგრამ რა უნდა გვექნა, პურ-მარილს ხომ არ მივატოვებდით. თამადამ მიმტანი მოიხმო, ღვინო შემოგვაკლდაო.

თქვენი მოტანილი „კახური“ ბატონ ოტიას რომ კაცი აცილებდა, იმან წაიღო, ასე გვითხრა, მე და ოტია პანთეონში მივდივართ, მწერლების საფლავზე უნდა ავწიოთ ჭიქებიო.

ლხინი რესტორნის წყალ-წყალა ღვინოთი გავაგრძელეთ.

მეგრელის ცოლობის „ტვირთი“

ერთხელ მანანა დუმბაძე მესტუმრა უცხოელ მხატვართან ერთად. ჩემი თუ უფროსი თაობის არაერთი მხატვრის ნაჩუქარი ნახატები უხვად მაქვს სახლში, შეიძლება ითვას, სტუმარი თანამედროვე ქართველ მხატვართა გალერეაში მოხვდა. განსაკუთრებით აღფრთოვანდა ჯონი გოგიბერაშვილის ნამუშევრით „სიპ ქვაზე“, რა თქმა უნდა, ვაჩუქე, ხომ უნდა გამემართლებინა „სტუმარი ღვთისაა“-ს უკვდავი დევიზი.

ვკითხე, თქვენ რა ჟანრში მოღვაწეობთ-მეთქი. მე სილას ვყრი, მერე მასზე დავდივარ, ხელით ვეხები, ასე გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას სამყაროსთანო. ხომ არ ვეტყოდი, ჩემი შვილებიც ასე ერთობოდნენ სილაშიო, მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმე. ჩვენთვის, ქართველებისთვის ხომ სიტყვები საუცხოო და ბრწყინვალე სინონმებია და თურაშაულის პატრონნი ტყეში ვეძებთ პანტას.

2005 წელი იქნებოდა, ახალი არჩეული ვარ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. ეს ის პერიოდია, ცალკე პრეზიდენტი „ჩარეცხილებს“ რომ გვეძახის, ცალკე ჩვენი „ძვირფასი ხელისუფლება“ რომ ცდილობს მწერალთა კავშირის შენობის (ივ. მაჩაბლის ქ. 13) წართმევა-პრივატიზაციას, რევოლუციური რუსთავი2 ღლიცინებს და ცდილობს იმიჯი შემილახოს, კავშირს ყოველგვარი დაფინანსება შეუწყდა, შენობაში პროკურატურაა შემოსული, ვითომ წარსული საქმეების შესასწავლად (ისე კი ჩვენს დასაშინებლად) ყოველივე ამას კი ემატება კავშირის თავმჯდომარეობისათვის ზოგიერთი მწერლის უკადრებელი ხერხებით ბრძოლა. ერთმა ისიც კი დაწერა გაზეთში, ყრილობაზე ხმა მაყვალა გონაშვილს მივეცი, მაგრამ არ ვაპირებდი, სიტყვით როცა გამოვიდა, გიპნოზი გამიკეთაო.

ერთი სიტყვით, ყოველმხრივ შავ დღეში ვარ.

მანანას გარემოც მოეწონა და ქმარ-შვილიც, სიცილით მეკითხება, – რა ჯანდაბა გინდა, დაანებე მაგ თავმჯდომარეობას თავი, მშვენიერი ოჯახი გქონია, იცხოვრე შენთვის, მშვიდად და ბედნიერადო.

მეც ხუმრობითვე ვუპასუხე: – ჩემო მანანა, განა არ ვიცი, რა ყულფში შევყავი თავი, მაგრამ რა ვქნა, ჩემი მეუღლე მეგრელია, და თავმჯდომარეზე ნაკლებ ქალთან არ წვება-მეთქი.

მერე მანანას „მთელი ინგლისურის“ დახარჯვა დასჭირდა, სტუმრისთვის რომ აეხსნა, რას ნიშნავს მეგრელის ცოლობა.

ლიანა კაკუბავა

ია

ნ ო ვ ე ლ ა.

(მალე მინიატურული პროზის ტომეულში)

– გამარჯობა! – ანთებული თვალებით ხმამაღლა შევყვირე სიხარულისაგან ორღობეში ამოსულ პაწაწინა იას და მის გვერდით ჩავიცუცქე.

– მეც ია მქვია, შენი სეხნია ვარ, ვიცნობდეთ ერთმანეთს – ვუთხარი და ნაზად შევეხე.

– ეს რა, კვნესა მომესმა? დაღვრემილი მეჩვენები, არადა, როგორ გამახარე.

– მართლა? მხოლოდ ახლა ამოიღო ხმა სიტურფითა და სინაზით განთქმულმა ლურჯთვალებამ. გამეხარდა და კიდევ უფრო ახლოს მივიწიე მასთან.

– ხომ არ მოგატყუებდი? მითხარი ვინ იქნება ისეთი შენმა ნახვამ არ გაახაროს?

ახლოს ბეღურა ჟღურტულებდა კედრის კენწეროზე მოქცეული. უცებ შეიფრთხიალა.

– ხედავ? ბეღურამაც კი განიშნა, რომ მოსწონხარ. უცებ ჭალის მხრიდან ნაკადულის რაკრაკი გაისმა. ამ ხმას რამოდენიმე ფრინველის ჭიკჭიკი ერთბაშად შერეოდა.

– ისინიც რაღაცას გვამცნობენ, – გესმის?

– ვეუბნები იას და მინდა დავარწმუნო, რომ მშვენიერებით არავინ შეედრება.

– არა, ასე როდია? – დაიწყო იამ. მე ერთი უმწეო, უსუსური არსება ვარ. გაზაფხულდა და ისევ მარტის სუსხიან და თოვლჭყაპიან ამინდებს გავურბივარ.

მოსვლა კი გავბედე, მაგრამ მზე, რომ არ მეხმარებოდეს და არ მათბობდეს ვერ გავძლებდიო – თქვა ბოლოს.

– ნუ გეშინია, ეს ჭირვეული მარტი მალე გაივლის, დათბება და შენს ყურებას არაფერი სჯობდეს იქნება-მეთქი, -ვცადე გამხნევება.

– წუხელ.მთელი ღამე ლოცვაში გავატარე – გააგრძელა იამ. ისე ძლიერ წვიმდა, ბოლოს მთლად დასხეპა, შემეშინდა სულ არ გაველუმპე, გული შიშით მიცემდა. .მიწაზე გართხმული, ვაითუ ვეღარ შემამჩნიონ და ზედ გადამიარონ მეთქი. თქვა და თავი ჩაღუნა შიშნარევმა და მოწყენილმა. მერე კი თავაუღებლად განაგრძო: აქ სულ მარტო დავრჩი, კი არ მეშინია.,მაგრამ ...იას არ დაუსრულებია სათქმელი, თუმცა ისედაც ნათელი იყო, რის თქმასაც აპირებდა.

ყავის სმას მოვრჩი. ფანჯარასთან ფარდა გადავწიე.

– უკეთ ხარ?

– კი – მითხრა და გამიღიმა.

– გწყურია?

– ცოტა.

– მეც ცოტას დაგისხამ– გავეხუმრე და ლარნაკს წყალი ჩავამატე.

– მზე თუ გაკითხავს?

– როგორ არა, – გაიკვირვა.

– სასიამოვნო სურნელს აფრქვევ– ძვირფასო! – ვუთხარი და ისევე ნაზად მოვეფერე , როგორც იქ ორღობეში.

სიზმარი

(ნოველა)

ჩემო ძვირფასო მკითხველო!
ამჯერად შემოგთავაზებთ ნოველას, რომელიც მინიატურული პროზის ტომეულში დაიბეჭდება.

ნანა ტელევიზორს უყურებდა.მე კიდევ დივანზე წამოწოლილს ჩამძინებოდა.

ვხედავ შორიახლო ვიღაც თავსაფრიანი ქალი დგას. ხელი დავუქნიე, მეგონა დამინახავდა.

ერთი ადგილიდან არ იძვროდა და გადავწყვიტე თავად მივსულვიყავი მასთან. მივუახლოვდი. პირველი, რაც დავინახე მისი გაშეშებული თვალები იყო.

– რა მოგვიდათ? -ვკითხე თავდაპირველად. პასუხი არ გამცა. მერე შემომხედა და მითხრა:

– მართლა გაინტერესებთ?

– მართლა, რა თქმა უნდა– ვუპასუხე და მერე მივაყოლე: წამოდით ჩემთან, აქ ცივა. გამიკვირდა უცებ, რომ დამთანხმდა. გზა სიჩუმეში გამოვიარეთ. მერე კი მომიბრუნდა და მკითხა:

– არ გაგიკვირდათ?

– რა?

– ასე უცებ, რომ დაგთანხმდით?

– ცოტათი.

მალე სახლსაც მივუახლოვდით. ჩაი და ტკბილეული გამოვიტანე. ნელა, აუჩქარებლად სვამდა. ბოლო ყლუპი მოსვა, შემომხედა და მკითხა:

– რაღაც მინდა წაგაკითხოთ, უარს, ხომ არ მეტყვით?

– რა თქმა უნდა არა– ვუპასუხე.

ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და მომაწოდა, გავშალე და კითხვა დავიწყე.

ხდება ხოლმე გული გეწვის, სუნთქვა გეხშობა და გადაწყვეტებას ღებულობ.

წამით შეგძულდება და გსურს მოიშორო.

– არ გინდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა-მითხრა გულმა.

– არც ისეთი ნაჩქარევი, შენც იცი, ასე არაა?

– მე მაპატიე, ემოციური კი ვარ, მაგრამ შენ ყოველთვის გიგებდი.

ქვაბით სავსე წყალი აგიზგიზებულ ცეცხლზე შემოდგმულ სამფეხაზე დავდგი.

– მეტკინება?

– რა?

– აი, იქ ქვაბში?

– ქვაბში არა, ჩემი დატოვება კი.

– ამას ,როგორ შესძლებ? იმის თქმა მინდოდა, როგორ გემეტები?– მკითხა.

გულმა.

– ადვილად!– ვუთხარი და განვაგრძე:

მაპატიე, შენ გიღალატეს, ღირებულებები აბუჩად აგიგდეს და გინდა ისევ ერთად ვიყოთ? ამას არ დავუშვებ-ვუთხარი გულს.

– უფრო მთავარი ისაა, რომ შენ არ ატკინო, აბუჩად არ აიგდო, სხვას ტკივილი არ მიაყენო.– ამაზე არ გიფიქრია?-მითხრა გულმა.

– ახლა არა, ყოველშემთხვევისთვის ახლა ამაზე არ მინდა ფიქრი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

წყალი ადუღდა, ცრემლები ღვარად წამსკდა, ქვაბში ადუღებულ წყალს შეუერთდა და უცებ ინსტიქტურად გულიც გადაეშვა. არა, არა-მეთქი ვიკივლე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. .მოჩვარული ჩავეშვი სავარძელში.

უცებ კვნესა შემომესმა.

-არ დაგავიწყდე, თორემ ჩავიხრუკები, გთხოვ ადამიანივით დამმარხე.

– კი-მეთქი, შევპირდი.

  წყლის თუხთუხი, რომ შეწყდა ფრთხილად ამოვიღე. თავის სასახლეში

ჩავასვენე და ერთი წამით მომეჩვენა თითქოსდა ისევ ცოცხალი იყო, უგულოს გული ამტკივებოდა.

– შენ ხომ მოკვდი? – ვკითხე გაოცებულმა.

– შენთვის მე კი მოვკვდი, მაგრამ შენ ისევ ცოცხლობ ჩემში – მიპასუხა გულმა.

– დამიბრუნდი! – ვთხოვე.

– რატომ?

– ბევრი ცრემლი იღვრება, მწყინს...

ახლა მე მაპატიე ვთხოვე ისევ და ერთი წამით არარაობად წარმოვიდგინე საკუთარი თავი, რომელმაც საკუთარი ყოველგვარი განსჯის გარეშე გაწირა.

– ამის საპასუხოდ გულს ხმა არ ამოუღია.

– უკან მოიხედე– მითხრა გარკვეული დუმილის შემდეგ.

  უკან უფალი იდგა.

"ნუ გეშინინ"– .მომიგო.

– მართლა მოვკვდი? – ვიკითხე.

– არ ვიცი, ვითვლიო – მიპასუხა.

– რას? – გავბედე მეკითხა.

– ცრემლებს!

აქ წმინდა და ფარსი ცრემლებია არეული.

თუ ფარს ცრემლებს წმინდა ცრემლები გადასწონის გადარჩები. ბოლოს კი მოვა ერთადერთი, განუგეშებთ და გადაგარჩენთ.

ასე მთავრდებოდა წერილი. შოკში ჩამაგდო წაკითხულმა ბოლოს გაოგნებულმა ქალს შევხედე და გავბედე მეკითხა:

– მე, მე ვარ ქალბატონო ის ერთადერთი?

ქალი აქვითინდა. მიზეზს არც ამჯერად ჩავძიებულვარ.

– დიდება უფალს! სამჯერ გავიმეორე და ამ კოშმარული სიზმრიდან ნანას ხმამ გამომიყვანა.

დაპირება

ნოველა.

(ეძღვნება ჩემი მულის – მაყვალა რიგვავას ხსოვნას)

ღამის 12 საათი სრულდებოდა... დაძინების წინ მაყვალას სურათს ერთხანს ვუცქირე, მერე ხელში ავიღე, გულში ჩავიხუტე, ბუხართან პატარა სამფეხა სკამი მივაჩოჩე და ჩამქრალ ნაკვერჩხლებს სული შევუბერე. თანდათან ფიქრებს მივეცი.

წლებია ერთად მოვდიოდით საყვარელო, შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი: მული, დედამთილი, ოჯახის ბურჯი და ერთადერთი ძმის მხარში ერთგულებით მდგომი.

ჩემი სულიერი მეგობარი იმ დღიდან, რაც ერთად ყოფნა გვარგუნა ბედმა.

შენს სურათს გულიდან ვიშორებ და თითებით შენი სახის ნაკვთებს ვესათუთები. ორის ტკივილი უფრო მეტია, ამიტომ შენი ძმა თავის თავთან მარტო რჩება ასეთ წუთებში, ამჯერადაც ასეა....

სურათს თვალს არ ვაშორებ და ფიქრს ვაგრძელებ.

– 31 იანვარი შენი დაბადების დღის თარიღია. ამიერიდან სულ ასე, იმიერში უნდა მოგილოცო ჩემო საყვარელო. – ვთქვი და ავდექი, ვიცოდი, რის გაკეთებასაც ვაპირებდი. სურათი თავის ადგილას დავდე, კარადიდან საგულდაგულოდ შენახული ხელჩანთა გადმოვიღე, საიდანაც წერილების დასტა მოვიხელთე და კითხვა დავიწყე: –

(ამონარიდი წერილიდან)

"მაყვალა მასწავლებელს!

.....თქვენ ჩემთვის გამორჩეულად საყვარელი და საუკეთესო მასწავლებელი ბრძანდებით. დიდ მადლობას გიცხადებთ ყველაფრისთვის, რაც ჩვენი კეთილდღეობისთვის გააკეთეთ. ყველაფერს აკეთებდით ჩვენთვის, რომ გვეგრძნო სითბო, სიყვარული და ამავდროულად მიგვეღო ცოდნა და განათლება. ამას არასოდეს დაგივიწყებთ."

ლელა გერგედავა.

(ამონარიდი წერილიდან)

"პატ.მაყვალა მასწავლებელო! თქვენ ძალიან მოსიყვარულე და თბილი ადამიანი ბრძანდებით. ბევრი შრომა მიგიძღვნით ჩვენს წინაშე, არ ვიცი, ძალიან მიჭირს, იმის გაანალიზება, რომ ისე ხშირად ვერ გნახავთ. მომენატრება თქვენი ჩატარებული გაკვეთილები. სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვხატო ჩემი თქვენდამი პატივისცემა და სიყვარული.".....

თქვენი მოსწავლე ნათია ქვაცაბაია.

ამ წერილებს პირველად არ ვკითხულობდი. ჩვენ ორივენი პედაგოგები ვიყავით : მაყვალა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მე კიდევ ქიმიას ვასწავლიდი, მაგრამ ლიტერატურა, ქართული ბავშობიდან ჩემი გატაცებისა და სიყვარულის ობიექტი იყო და საერთო შეხედულებები და მიმართულებები გვქონდა, რა რაც კიდევ უფრო მეტად გვაახლოებდა ერთმანეთს.

გარკვეული ხანი თავჩაქინდრული დავცქეროდი წერილებს, რომლებსაც მოსწავლეები სკოლის დამთავრების მერე უტოვებდნენ თავის საყვარელ მასწავლებელს. თავის მხრივ, ეს მასწავლებელი წლობით სითბოსა და ალერსში ატარებდა მათ და ისევ სათუთად ინახავდა.

(ამონარიდი წერილიდან)

"საყვარელო მაყვალა მასწავლებელო!

რა დამავიწყებს ჩვენს მშობლიურ სკოლას, მასწავლებლებს და პირველ რიგში თქვენს თავს.რომელიც ჩემი რჩეული მასწავლებელი იყო.არასოდეს დამავიწყდება თქვენი გაკვეთილები:ეს იყო თვით ხელოვნება, ეს იყო სამართლიანობის, ადამიანობის, პატიოსნების, სისპეტაკის გაკვეთილები და როგორ შეიძლებოდა არ გყვარებოდა...."

ე. მირცხულავა.

მაგიდიდან წამოვდექი, სამზარეულოში გავედი და ყავა მოვიდუღე.

გაოგნებული ვარ წაკითხული წერილებით.

ასე მგონია მაყვალას ხმა მესმის, ის ლაპარაკობს....რამდენი შრომა და ენერგია დასჭირდებოდა იმას, რომ ასე გამართული ქართულით დაეწერათ, ასე ემეტყველათ და ემსჯელათ, მაგრამ არასოდეს უტრაბახია მე ვასწავლიდიო, ყოველთვის ამბობდა: არაჩვეულებრივი მოსწავლეები მყავდაო.

წერილები იმ დონის სიმრავლისაა, რომ აზრი არა აქვს რომელიმე გამოვარჩიო. ვიცი ყველას ამონარიდებს მაინც ვერ მოვერევი და თანმიმდევრობით მივყვები.

(ამონარიდი წერილიდან)

"ძვირფასო მასწავლებლებო!

გემშვიდობებით სინანულის გრძნობით, რამეთუ დიდი წვლილი მიგიძღვით ჩვენს აღზრდაში. ყველანი მიყვარხართ, მაგრამ გამორჩეული მასწავლებელი ყველას ყავდა. ჩემთვის კი ეს თქვენ იყავით მაყვალა მასწავლებელო."...

მარი ზაქარაია.

(ამონარიდი წერილიდან)

"ძვირფასო მაყვალა მასწავლებელო! თქვენ ხართ ის მასწავლებელი, რომელმაც შეგვაყარა მშობლიური ენა და ჩაგვინერგა ერის სიყვარული. თქვენ გვიჩვენებდით გზას, რომელიც ისე უნდა გაგვევლო, რომ მერე მასზე გვესაუბრა"....

მონიკა გამისონია.

მონიკას ვიცნობ. მისი მშობლები ჩემი დის მეზობლად ცხოვრობდნენ. ჩემს თვალწინ ჩაიარა მისმა ბავშვობამ. ახლა ფოთში ცხოვრობს ქმარ-შვილებთან ერთად და სასაუბრო და საამაყო ვიცი, მართლაც აქვს.

ამ წერილების წაკითხვამ შვება კი არ მომგვარა, პირიქით მწუხარება გამიორმაგა.

მოწოლილი დარდი არ მასვენებს.

წლების წინ მეორე კურსის სტდენტი იყო მაყვალა, როდესაც უმცროსი ძმა ავად გახდა. თვითონ ითავა და იზრუნა წლობით, სრულიად ახალგაზრდამ. სწავლის პარალელურად ყველაფერს აკეთებდა მისი გამოჯანმრთელობისთვის.

22 წლისამ შეაღო სკოლის კარი ,როგორც მასწავლებელმა .თავისი სინორჩე, სილამაზე, რომლითაც ყველგან გამოირჩეოდა ძმის ტრაგიკულად დაღუპვამ გაანადგურა. მერე მშობლებზე მეთვალყურეობა... არაფერი პირადული ბედნიერებისთვის...მხოლოდ მათზე ზრუნვა, სანამ ცოცხლები ჰყავდა.. და ბოლოს წლებმა ყველაფერ ამას დაღი დაასვა, რომელიც მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახა.

ბუხართან ანთებულ ცეცხლს, რამოდენიმე მომცროდ მოჭრილი შეშა დავამატე და როდესაც ცეცხლი აბრდღვიალდა ვიგრძენი ოთახში და გულშიც სითბოს მოზღვავება.ამან მეტი დამაჯერებლობა და რწმენა შემატა ჩემს გადაწყვეტილებას.

შენი სურათის წინ დავდექი საყვარელო,

ვფიცავ შენზე წიგნს დავწერ. – შეგპირდი და ამეტირა.

მერე მომეჩვენა, რომ იღიმოდი, თითქოსდა მადლიერების გრძნობით აღსავსე.

დაბადების დღეს გილოცავ, ძვირფასო!

რეზო ადამია



ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კეკუა

(გენიით დამსხვრეული დრამა და ტრაგედია)

უსასრულოდ დუმილმყოფი-მიწისქვეშა, სიცოცხლე-უკვდავ ნათელ მზიან და ზეციურ მარადიულ საქართველოს არნახული ფერებით ხილულად ხატავდა მოვლენა ნიკალა.

გამოცხადებით განკაცებული მაცხოვარი სულიერ-ხორციელად წარმოუდგენელი სიკეთე-სიყვარულით ახლოს იყო ადამიანებთან, რითაც შენობით მიმართავდნენ მხსნელს და მივმართავთ...

მხოლოდ მაგდაგვარი სრულყოფილებით ვურთიერთობთ ნიკო ფიროსმანაშვილივით პლანეტის ნებისმიერ გენიასთან, რადგან მთავარი მოქმედ-მიუწვდომლობა მხილველი ნათელი ღმერთია მათში. ნიკალას შემოქმედებაში რახან უშუალოდ უფალი მონაწილეობდა, წმინდანური თვისებების ფერმწერი თავის ირგვლივ მიმდინარე დროს ვერ ეგუებოდა და დამოუკიდებელი უახლოესი პლანეტის დარად თავადვე გამოსცემდა სრულიად განსხვავებულ პიროვნულ უჩრდილო ჟამთასვლას და ამით ქართულ გამაოგნებელ განძთა სიახლე ეპოქას ქმნიდა; თითქმის გამორჩეულ უხილავ განზომილებამდე დასული, კოსმიურთვისებიანი საკუთარი დრო წმიდად მისივე იყო და ამ სახის ზეციურობიდან იბადებოდა სიახლე შედევრები, მხოლოდ ეროვნული კი არა, მსოფლიოს განუყოფელი, მხატვრული მშვენიერების და მაღალი მიუკარება სიღრმეში დინჯად გამავალი ფარული გემოვნების, ინდივიდუალური გამორჩეულობით, უხილავ-შეზავებული ერთა შორის თვითმყოფადი ქართულისთვის დამახასიათებელი ფერ-კოლორიტ-სტილით და მთავარი მნათობიდან სხივნატყორცნი, შემოქმედებითი გმირული გამბედაობით; თანაც უშუალოდ მოძრავი და ლაღი, როგორც ნიავს ამოყოლილი სუფთა ზღვის ზედაპირისეული მწვანე ტალღები.

მზე, ვარსკვლავეთით და სავსე მთვარით ნასაზრდოებ ვაზის მწიფე მტევანია ფიროსმანი, რისგანაც სრულიად საქართველოს მაცოცხლებელი საამო ბადაგი ჟონავს...

ადამიანი გენია, ანთებული პლანეტაა, მარადიული წვით...

ფიროსმანაშვილი, ხორციელად თუ სულიერად მხსნელ იესოს შეწირული ქართველი წმიდანივით დადიოდა ურთულესთვისებიან, დუმილსავსე მიწაზე. სრულიად უცხო და გენიის კუთვნილებით საკვირველ კოსმოსს ატარებდა უკიდურესად დამუხტული.

ყოველივე ეს პირადი ფანტაზია კი არაა, მხოლოდ სინამდვილეა, წარმოსახვით ნაგრძნობ-მოწოდებული ღვთისნიერ შემოქმედზე, დედამიწაზე, სივრცეში თუ დროში.

ნიკალას განსხვავებული ცხოვრების უბრალო საზოგადოების ყველა წევრს უკვირდა და გრძნობდნენ ძალიან დიდ უცხოობას, ქვეცნობიერად თუ შეგნებით. ხოლო ნიჭიერ-ინტელექტუალნი, გარემოს მოულოდნელობით გაოგნებულნი, თანვე სიახლისგან შეძენილი ინსტინქტით ხოტბას ასხამდნენ ამ უცხოდ მოარულ ჭეშმარიტებას და მის ღვთიურ გენიას. მატერიალურად უღარიბესი, მაგრამ ფიზიკურად უნაკლო ნიკალა ყოველდღიურად, შეძლებულ-მდიდარ თანამედროვეებზე მეტად, ზღვარდაუდებლად ვარსკვლავეთური ფერწერული საოცრება განძით მდიდრდებოდა, რომელსაც ვერც ოქრო, ფული და ბრილიანტიც სიახლოვესაც ვერ უტოლდებოდა. აი, ვისთან იყო უფალღმერთის და ზეციური ტოტებაყრილი შემოქმედებითი ენერგია...

წუხელის, შუაღამეს მოურიდებლად გამაღვიძეს სულში გამჭოლმა ზეწარმოსახვებმა და პირდაპირ მიბრძანეს: – აიღე ქაღალდი, კალამი და ყოველივე ჭეშმარიტი სინამდვილით ფიროსმანის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატეო, რაშიც ქართული უფლისმიერი სიტყვები და ზეენარული შთაგონება ზედმიწევნით დაგეხმარებაო. დიდმა ემოციამ და ჩემმა ცალკე აწრიალებულმა, თითქმის გახელებულმა სულმა მთელი სხეულით, გულით და გონებით ამაწიოკა და ჩემში ნიკო ცოცხლად გაცხადებული დადიოდა. ამ შემთხვევაში ძლივძლივობით გავუძელი სრულიად მოულოდნელ ნერვიულ აგზნებით დატვირთვას. დიდება მზეს, უფალს და კოსმოსს. ეს ჩემი გადამრჩენელი ლოცვაა და მთელი არსებით ვეთაყვანე-

ბი. აღმატებულ უჩვეულო აზრების წერისას სულიერი ტკივილი თან მდევდა უმოწყალოდ. ოოო! როგორი მძიმეა ამდაგვარი ფორიაქი, მისგან ხომ სრულიად განსხვავებულია სხეულებრივი ტოკვა, რომელიც მიწიერ ტანჯვასთანაა გარდამავალი და პირდაპირი შეხებითი ჭიდილ-პროცესია. ხოლო სულიერი? უხილავ-კოსმიური, თითქოსდა სივრცეში განფენილ-ლეგენდა-მითოსური უმძიმესი მოძრაობაა, მიუწვდომელი და განუსაზღვრელი სიმწვავით, სიახლე-შორეულის ხილვით და თანდაყოლილი სიამის შეგრძნებით, ისევე, როგორც თითქოსდა ახალგაზრდა ჯანმრთელი დედა შობს პირველ შვილს, თავისი გარდაუვალი ტკივილითა და ფარული ტკბობით...

ყოველი მძაფრი განწყობილება აქტიურ-მოქმედი ზემიწიერი სიცოცხლეა...

დროის, სივრცის და კოსმოსის გარემოცვაში, ნიკალა დამოუკიდებელი უძლიერესი ვარსკვლავეთური ფორმა-განზომილება გახლდათ, უთუოდ ზეძალები მძლავრობდნენ, გრძნეული მხატვრის იდუმალ ქმნილებათა თითქმის ფანტასტიურ შემოქმედებაში.

ნიკალა – ბაჯაღლო ოქრო – თვითნაბადი ბუნებრიობით, ზეციური მადლით ქმნიდა და უფლის უნაკლო იდუმალებას გულწრფელად ავლენდა. მწამს და ჩემეულ აზრებს თამამად გამოვთქვამ, რომ ღმერთივით წმიდა ხელოვანი, გულღია უშურველობას გამოხატავდა, ქვეყნისა და ერის წინაშე, რადგან მაცხოვრისეულ მადლს დღენიადაგ მზესავით ასხივებდა. ზოგიერთი თანამედროვენი კი, როგორც წერენ და ხატავენ ნიკოზე, პირადად არ მჯერა, რადგან თითქმის გამოგონილია ყველაფერი, დიდი მხატვარი ხომ თავისი უიშვიათესი გენიით სავსე-მდიდარი, ზეძალათაგან კმაყოფილ-მდუმარე სიმართლე იყო და ზედმეტი არასასიამოვნო ცხოვრებისეული მოქმედებანი მის ხასიათ-ბუნებაში არ მოიხილვებოდა. უთუოდ მხოლოდ მატერიალურად უღარიბესი და უახლოესი გარემოსაგან არამომთხოვნი ხელოვანი, თავისებურს და შედარებით მარტოხელა, შეუპოვარი თვისებებით უმძიმეს სიცოცხლისეულ და შემოქმედებით ჭაპანს ეწეოდა. სხვა მხრივ შეუძლებელია, რომ შეექმნა მსოფლიო დონის ფერწერული შედევრები. სენსაციის აღმძვრელად ნიკალას გადამეტებითი მსმელის სახელიც გაუვრცელეს. მიზეზი შემდეგში იყო: მოსიყვარულე გუნების ხელოვანი განსხვავებული ხასიათ-ემოციებით, მუდმივად ხალხში ურთიერთობდა და დაუნახავი თვალით მახინჯად აღქმულ იქნა უსახლკარო სევდიანი კაცის, თითქმის ველური გენიის კეთილი ჩვეულებრივი მოვლენები, რისგანაც ემსგავსებოდა ღრმად მორწმუნე შეწირულ განდეგილ ბერს. ისინი, ვინც ზედმეტად აზვიადებდნენ ყოველიეს, თავადვე ყოველდღე უზომოდ სვამდნენ და ნაყროვანობდნენ. ოღონდ ყოვლად უზრუნველყოფილ ჩაკეტილ უსაქმურ პირობებში. ქართული ნიჭის, პირველადი სრულყოფილი მოვლენა, ნიკო ფიროსმანაშვილი, ვარკსვლავეთური რჩეული გახლდათ, მაგრამ ხორციელ-ფიზიკურ უკვდავებას ვერ უბოძებდა ვერც ერთი სამყაროსეული ღვთიური გავლენა, რადგან ამქვეყნიურ გარდაუვალ შობა, ზრდა-სიბერე გარდაცვალების უმკაცრეს პროცესს მხოლოდ გალაქტიკების ერთობლივი ძალა და დროთა სვლა უმკაცრესი განაგებს. უშუალოდ და უსაზღვროდ კეთილ უფალს შეეძლო მხოლოდ შემოქმედებითი უდიდესი უკვდავება ებოძა და იქმნა კიდევაც...

ყოველი ჩვენგანი სხეულის უმცირეს უჯრედამდე ხომ განუყოფელი ნაწილია კოსმოსის, მაგრამ ვინ როგორი დონითაა მასთან ჩართული, მეცნიერულად არც ისე ადვილი მისაგნებია; თუმცა გამოცდილი თვალისთვის ზოგადად ხილულია, რა თქმა უნდა, იშვიათნი ამა ქვეყნისა მიუწვდომელ მთლიანობასთან გიტარის სიმივითაა აწყობილი მზიურ ჰარმონიად. თავად ნიკალა უთუოდ მაგდაგვარი განყენებული ნერვ-კაპილარის უშუალობა და ორგანულობა იყო უმდიდრესი პლანეტარიუმისა...

ჩვენი უახლოესი სიღრმისეული თხრობა რბილად ითხოვს, ბრძენთა გამონათქვამი მოვიშველიო: „ჭკვიანი მუშაობს, გენიოსი ქმნის“ (შანი).

ამიტომაც იყო ნიკალა წმიდად მოსული და სახალხო ფერმწერი, ღმერთივით კეთილი – ქმნიდა და ფერ-ტონ-ხაზთა ჯადოსმიერობით, ველური მამალი შაშვის გაზაფხულზე უწყვეტ – ტკბილ გალობასავით თავისუფალ რეგსტ-მუსიკალურ სივრცეში მაამებლად იფანტებოდა, იმდენად – დილის მზის სხივივით ვრცელდებოდა, რომ დედაქალაქიდან შორს, სამეგრელოს ერთ-ერთ მთიან ულამაზეს სოფლამდე სიამით ჩააღწია და... (ეს მოხდა ფიროსმანის, როგორც უიშვიათესი მხატვრის, აღმოჩენა-აღიარებამდე).

ნიკო ფიროსმანაშვილის თანამედროვე, ღრმადმორწმუნე-ღვთისკაც ივანე კეკუას, ისეთივე სარდაფ-დუქანი ჰქონია ძველ ქალაქში, როგორც რამდენიმე სხვადასხვა ეროვნების თბილისელს. თავისი გენეტიკური წარმომავლობითი მდგომარეობიდან გამომდინარე, ღვინით კეთილმა მოვაჭრემ, მამაპაპისეული გვარი

საგანგებოდ კიკვაძედ გადაიკეთა. მეგრული წარმოშობის მეღვინესთან, თბილისელი განებივრებული მომხმარებელ-მოქეიფენი შესაძლებელია ნაკლებად მისულიყო, რადგანაც მათი ურთიერთობა დიონისეს ეროვნულ კულტთან იყო დაკავშირებული, ხოლო შორეული ისტორიული უბედურებიდან გამომდინარე, ძველი კოლხეთის მრავალმხრივი სახელი და დიდება დიდი ხნის წინ, მიწისქვეშეთის და ზეცის ბუნდოვან სივრცეში მიმქრალიყო და ამჟამად მხოლოდ არქეოლოგიას ექვემდებარება.

უკვე ხანში შესულ, მარტოხელა მხატვრის ქართულად გამგებ, უახლოეს მეგობარ ბატონ ივანეს, მშობლიური კუთხის ნოსტალგიამ მწვავედ შეუტია და სევდიანად გადაუწყვეტია თავის მშობლიურ სოფელ ეკს, დაბრუნებოდა. შემდგომ მშვიდად ეწვია თურმე უცხო და ფასებმიუწვდომელი სიმდიდრით. ნიკოს ნაჩუქარი ათამდე სხვადასხვა ზომისა და თემატიკის უნიკალური ფერწერული ტილოები სოფელში უვნებლად ჩაუტანია, შემდეგ წინაპართა უძველესი კოლხურ-მეგრული წაბლის ხის ხუთოთახიანი ოდა, სამი ბუხრით, აივან ჩუქურთმიან ორნამენტით და რიკულებით დამშვენებული, გონსულიერად წარმოვიდგინოთ მზის შუქზე ხის ოქროსფრად მოციმციმე ძველკოლხური სასახლე, ეგზოტიკური ოდა, ნიკო ფიროსმანაშვილის შედევრ სურათების სოფლის საკვირველ მუზეუმად რომ მოუწყვია: ეპოქის, სხვადასხვა ფენის და ხასიათის ძველი თბილისელების თუ მრავალ სტუმარ-მეგობრებთან გადაღებული, უამრავი ისტორიულ-დოკუმენტური ფოტოალბომიც ჩამოუტანია. მისაღებ, მწიფე რქაწითელისფერ ზალაში მუდამ, მრგვალ მომცრო, წაბლისფერ მაგიდაზე მოკრძალებით ელაგა, ანტიკვარული ნივთები ვერცხლის დოქით, თხელი, ძველისძველი, ღვინო საფერავისგან ნაცრისფრად ჩამუქებული ფიალები და ძვირფას სტუმრებს, დასავლეთური ცოლიკაურის მომწვანო გამჭვირვალე ღვინით და თბილისური ყაიდის ზაკუსკით ისტუმრებდა. ნებისმიერ გენიას და თავად ნიკალას გამაოგნებელ შემოქმედებას იმ დონის ვარსკვლავეთური მაგიური სხივთა მიზიდულობის მაგნიტური ძალა ჰქონია, რომ ადამიანებს, ხელოვნება გაეგებოდათ, ესმით თუ არა, თვითნებურად დიდი და პატარა, ბატონი ივანეს მეზობლები და ახლო სოფლებიდანაც სურათების დასათვალიერებლად უწყვეტ ნაკადად ჩამოდიოდნენ. ერთ მშვენიერ, სხივნათელ დღეს, სენაკის ყოფილი მაზრის მწერალი, აზნაური ნიკო ადამია, უმცროს შვილთან, მიხასთან, ერთად სტუმრებია ბატონ ივანეს. მეგობრული ურთიერთობით და დიდი ხელოვნების მადლის ზიარებით, ვარსკვლავიან-მთვარიანი ზღაპრული ღამე გულჩამწვდომად სიამით ერთად გაუტარებიათ.

ნიკო ბატონი საქვეყნოდ ცნობილი, ღრმად განათლებული მწიგნობარი გახლდათ. იმ ღამეს, ნიკალას შემოქმედებით ამაღლებულს და მეცხრე ცაზე გაჭრილს, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, შეუდარებელ ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის და მრავალ ქართველ თუ უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები და, აგრეთვე, მეგრულ-ლაზური ტკბილხმოვანი ლექსები ზეპირად წაუკითხავს. ამ უზარმაზარ ხელოვანთა გვერდით, სახალხო მოვლენა ფალავანზე, ნესტორ ესებუაზეც ჰქონიათ საინტერესო საუბარ-მოგონებები და მამაკაცური მშვენება, თბილისური ყარაჩოხელები და კოლორიტული კინტოებიც არ გამორჩენიათ. მათ უჩვეულო სერობას სოფელ ეკის ორი მასწავლებელიც ესწრებოდაო და აგრეთვე ძველი, ქანდაკებასავით ნაძერწი სახის ნააბრაგალი, მწერლის მოგვარე უკვე ასაკოვანი და ფრიად საინტერესო პიროვნება, ხალხში განსხვავებული კაცურ-კაცობის გაგებით; თუ კითხავდნენ მას, ვის ებრძოდიო, უხეირო დროს მოჭრილად პასუხობდა თურმე...

მდინარე წაჩხურას კალმახივით ალაგალაგ მზის სხივებამომსრიალე ცინცხალი ალიონი, ნიკალას სურათების და გენიალური ქართველი თუ უცხოელი მწერლების მოგონების გარემოცვაში შემობატონდა, მადლასხმულ ხალისიან დილას; კეკუების საპატიო სტუმარი, თავის ყმაწვილითურთ, უაღრესად ნასიამოვნებ-კმაყოფილი შავ-ლურჯი, ქართული ხალიჩებით გაწყობილი ფაეტონით სენაკში გამგზავრებულა; ამ კუთხის ნააბრაგალს კი მწერლისთვის სამახსოვროდ უძველესი, ვერცხლის ქარქაშიანი სატევარი გაუტანებია...

თითქმის ნებისმიერნი, ვინც იხილავდა ნიკოს ეკისეული უნიკალური კოლექციის ფერწერას, უსიტყვოდ გარინდულნი და ერთ მუშტად შეკრულნი ისე შეჰყურებდნენ, როგორც უცხო ზეციურ-მხსნელ ხატ-მოვლენას.

უძველესი ქართულ-კოლხური მიწა კი, ისტორიითა და არქეოლოგიური ნიმუშებით გაჯერებული, თავისთვის მდუმარედ ფუსფუსებდა და ვინ იცის, მოვლენა ფიროსმანის შედევრები როგორ უხსოვარდროინდელ წარსულს ახსენებდა...

სოფლის ეკლესიებს და ფერწერულ უძვე-

ლეს სალოცავ ხატებს, რელიგიური რწმენა, ცოდნა განათლების გარდა, მრევლთა უმეტესობას მხატვრული ფერწერული სურათების აღქმაშიც ეხმარებოდა. მაგ ქრისტიანულ სხივოსან დროში და უკვე სახელოვან სოფელ ეკში, ორი მართლმადიდებლური ეკლესია მოქმედებდა და მორჩილ მრევლად ქცეული ხალხი ძალიან ახლოს იყო სალოცავებთან. ამიტომაც ბატონი ივანე კეკუას ოჯახში მოწადინებით ხშირად დადიოდა თითქმის ყველა სოფლელი, თავადი იქნებოდა, აზნაური თუ გლეხი, ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების დასათვალიერებლად და უცხო მოულოდნელობისგან, როგორც მოგახსენეთ, გაოგნებულნი ვერ გარკვეულიყვნენ, რომელ ზეციურ თუ უფლის მიერ მოვლენასთან ჰქონდათ სულიერი შეხება. უთუოდ პიროვნულად ყოველ მათგანში მყოფი ის იდუმალი, ეროვნულ-პიროვნული შინაგანი ხასიათის და ფერფორმისეული სახის სულიერი ინტუიცია, ნიკალას ფერწერაში მზესავით იყო გაცხადებულ-ანთებული. როგორ ერთ მუშტად შეკრავს ხოლმე დიდი ხელოვნება სხვადასხვა ზნეობისა და ხასიათის ადამიანებს. უთუოდ მაღალი შემოქმედება ყველაზე დიდი და ეფექტური საშუალებაა ხალხთა გამთლიანებისა და სულიერად გასპეტაკებისა...

არიან ადრეული და ბოლო საუკუნეების თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მხატვრები და მოქანდაკეები, რომლებიც თავიანთ შედევრებს უფრო პირადი აზროვნებით და გარემო სივრცისგან ნაბოძები წარმოსახვებით ქმნიან. ბუნების თვითნაბად არქაულ ფორმათა ღვიძლი შვილი ნიკალა, ყველა მათგან უაღრესად განსხვავებული და სუფთა ნიავთგანწმენდილი გულმართალი ხალასი გენიაა. მხატვარმა დედა ბუნებასთან ერთობლივად შექმნა ყველასგან განსხვავებული პირნათლად ალალი, ინდივიდუალური, სტილ-ფერთა შედევრები. ირგვლივი გარემო, კოსმოსი, ქართული რეალურ-ირეალური სამყარო და ღვთიური მეხსიერება ქმნიდა ფერმწერის ფუნჯით საოცრებებს. ნიკალა, თავისი ზეციურობით სავსე, იესო ქრისტესავით უწყინარი ყოვლის და ყოველთა კეთილ-მოყვარული იყო და ფერთა მეოხებით ბულბულივით ხმოვან-ჟღერად საამო; ჩვენგან უახლოეს მიწიერად რომ გამოვხატოთ, ნიკო ფიროსმანაშვილის მოვლენაა წმიდანურ-ზნეობრივი არსება, უერთგულესი მონადირე გვიანი შემოდგომის ჩალისფერი მწევარივით და წმიდა გიორგი კაბადოკიელის, მარადმორჩილი, ჭკვიან-მსრბოლელი თავადვე ყოველივეს მიმხვედრ-შემსრულებელი თეთრი რაშივით გახლდათ. რათა მათ, პატრონთათვის თავდაუზოგავ ბუნებრივ, შრომა-მეცადინეობის მერმე, უახლოესი მეგობართაგან ნამცეცისოდენა სამაგიერო, არასოდეს მოუთხოვიათ, რაშიც მზისა და მთვარის ზნეობრივ ვარსკვლავეთური ხასიათ-პირდაპირობაა...

ნათქვამია, ზედმეტი სიმდიდრე-ფუფუნება სულიერად რყვნის ნაღდ შემოქმედს, მაგრამ ნებისმიერ მოვლენილ ხელოვანს აუცილებელი და ყოველდღიური პირობები ჟანგბადივით სჭირდება ისე, როგორც შეწირულ წმიდანებს.

როგორც მოგახსენეთ, დიდი ნიკალა ქვეყნისგან, საკუთარი ერისგან და უახლოესი გვერდით მდგომი ხალხისგან ზედმეტს არასოდეს არაფერს ითხოვდა, პირიქით, ქვეყნიურ ბოძებულ უმდიდრესობას მხოლოდ მზესავით უანგაროდ ყველას გასცემდა... არაა მართალი, მავანნი რომ წერენ თუ ეკრანებზე აჩვენებენ ცის ფრინველივით კეთილ-მგალობელი ფერმწერისგან, თითქოსდა ფიზიკურად აწრიალებული, აღიარება-ჯილდოებს ითხოვდაო, უმართებულოა – ამდაგვარი ხელოვანის შეცოდებებით მკითხველს თუ მაყურებელს იზიდავენ, რათა იციან ადამიანთა უმეტესობა ხომ სევდისკენაა მიდრეკილი. უთუოდ ნიკალას სულს ისიც არ აღელვებს, რომ მისი განსასვენებელი ადგილი არსად არ არსებობს. როგორც ზემოთ გიამბეთ, ნიკალა ხომ სრულიად საქართველოშია ხორციელ-სულიერად მარადიულად შეკავშირებულ-ჩაფლული... როგორც თამარი, რუსთველი და კოლხი მედეა: ყოველი მათგანის მაცხოვრისეული ყოფნაა ყველგან...

რაც ნიკო ფიროსმანაშვილმა კაცობრიობას და საქართველოს უსახსოვრა, შეუფასებელია. უთუოდ მხოლოდ ერთი სურათის ფასი ხუთ მუზეუმს აუშენებდა ნიკალას, მაგრამ სიმართლე ხომ დამარხულია და ვინმე დიდ არქეოლოგს ელოდება...

ადამიანის ამ ქვეყნიდან გარდაცვალებით გასვლა კოსმოსური განახლება ხომ არაა, მძიმე და რთული?!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მზია ელიაძე

ბგერათ კორიანტელში

ჯარჯიეთ ჯუთელი ჯემალი

ბატონ ჯემალ მეგრელიძეს

ჯამბულ ჯანდიერის ჯმუხმა ჯორებმა ჯარჯიეთ ჯურხას ჯაგშემოვლებული ჯეჯილი ჯგრო-ჯგროდ, ჯარა-ჯარად ჯიჯგნეს, ჯეჯგვეს...

ჯავრობს ჯემალი ჯანდიერზე, ჯუჯღუნებს... ჯაჭვშებმული ჯავრიაც ჯიჯღინ-ჯავრობს ჯიუტ ჯორზე...

ჯემალი ჯარისკაცია. ჯუთადანაა; ჯაბაურთი, ჯარჯიეთ ჯალაბიდანაა.

ჯანღონიანი, ჯმუხი, ჯანსაღი, ჯანმრთელი, ჯანმრთელ-ჯალაბიანი, ჯიშ-ჯილაგიანად ჯანმრთელნი...

ჯარჯიეთ ჯემალის ჯილდა ჯიხაიშიდანაა, ჯაფარიძე: ჯიქანსვიანი, ჯიქანმადლიანი, ჯიქანსავსე, ჯიქანდალოცვილი... ჯეირანივით ჯილდა ჯემალისთან ჯვარდაწერილია. ჯემალი-ჯუთადანაა, ჯილდა-ჯიხაიშიდან: ჯიშმადლიანნი, ჯიშდალოცვილნი ჯანმრთელნი, ჯანმადლიანნი, ჯანიანნი, ჯანმრთელ-ჯალაბიანნი, ჯალაბსვიანნი ჯუთა-ჯიხაიშ-ჯალაბ-ჯილდოიანნი[1]*: ჯორჯა-ჯარჯი-ჯაბა-ჯუნა-ჯიმშერით...

ჯანგამოლეული, ჯანგამოცლილი, ჯაფანანახი ჯურხა ჯვალოშარვლიანი ჯოჯო, ჯეჯგვ ჯორ-კოდან ჯაგლაგ ჯორზე ჯდება. ჯორი ჯიოტობს. ჯოხიანი, ჯანსუსტი ჯურხა ჯავრობს ჯიუტ ჯორზე..

ჯალაშამოკრული[2]*, ჯალაბსვიანი ჯილდა ჯარაზე ჯვალოს ჯეჯგავს[3]*...

ჯიხვ-ჯეირანთა ჯოგი ჯანღიან ჯუთაში ჯირითობს...

ჯანღმოჯარული ჯუთა ჯიქურ, ჯიუტად ჯაბნის ჯიბრიან ჯანღს; ჯანღს ჯიუტ-მოჯირითეს ჯუთაში... ჯემალის ჯადოსნურ ჯუთაში..

♥

ლამაზი საქართველო ჩასვი ბადაღში

(თითოეული რესპოდენტი
თქვენი ტელევიზიით სამზეოზე გამოსული)

ზეცად ვიყავი, უკიდეგანო სილაჟვარდეში
ვკრეფდი ყვავილებს: ფერი-ფორმა, ზომის მიხედვით...
გონარეული, ოქროსფერბურთთა სიკაშკაშეში
ლოცვა-ვედრებით, სიყვარულით ფეხ-ფეხ მივდევდი...

ნაზი გურგურით, ნატიფი გრძნობით ზეცის მარგალიტთ
ვეფერებოდი, ვათავსებდი ვერცხლის კალათში...
– გვკრიფეთ, გვაგროვეთ; ვრცლად მოგვაფინეთ მამულს, მართლაც ღირს
ისეც ლამაზი საქართველო ჩასვით ბადაღში!..

გილოცავთ დაბადების დღეს ♥♥♥♥

♥
❤❤❤

[1]*ჯალაბ-ჯილდოიანნი – აქ; შვილებით მდიდარი
[2]*ჯალაშა – ეგრეთ წოდებული მარლა
[3]*ჯეჯგავს – აქ; მატყლს ძაფად ახვევს, ართავს, წეწავს, თელავს...

გრძნეული განცდები

(ქალბატონ გ.ხარაიშვილს)

გაზაფხულია. გაველებულ-გახელებულ-გაცისკროვნებულ-გალამაზებულა გარემო. გუგუნ-გნიასობს გაქავებულ-გაყინული გული. გამეფებულ-გაბატონებული გრძნობა გალღვა, გარიგების გზას გაუდგა...

გულნაზი გუმანით გრძნობს გრძნეული განცდის გუგუნს... გონებაც გენიოსობს... გარდასახვა გარდაუვალია... განჯინიდან გადმოიღო: გაცრეცილ-გაცვეთილი, გადადებული გამოცემა. გადაშალა, გადაიკითხა, გაფანტულ-გაბნეული გრძნობები გუნებაში განალაგა, გაახალისა; გვამები გააცოცხლა... გულნაზი გახალისდა, გუნება გამოუკეთდა; განსხვავებული, გაკეთილშობილებული გეგმა გაჩნდა გონებაში...

გული გონებას გაურიგდა...

გულნაზიც გახალისდა, გენიოსობს...

გაზაფხულია. გაცისკროვნებულ-გაფერადებული გაზაფხული. გნოლიც გახალისებული გრძნობით გნიას-გურგურ-გოგმანობს..

გონიერ, გულკეთილ გულნაზს გიგანტი გრძნეული გმირი გადმოჰფენია, გმირი: გონებისა გრძნობისა, გულისა...

გახარებულ-გალაღებული გულნაზიც გულით გადმოსცემს გრძნეულ განცდებს. განგების გენიალურ გულს განადიდებს..

04.07.2018წელი.

მშვენიერი მაყვალა

(ქალბატონ მაყვალა გონაშვილს)
08.12.21წ.

მაყვლისთვალება, მომხიბვლელი, მშვენიერი მაყვალა, მამულის მგოსან-მგალობელ-მეხოტბე;

მერცხალ-მოლაღურივით მოჭიკჭიკე, მოალერსეა...

მისი მშვიდი, მაამებლური მზრუნველი, მადლიანი მუხტი მამულისთვის, მომავლისთვის, მომავალთათვის მისაღებ-მოსაწონ-მისასალმებელია...

მზისდარა, მზისთვალა: მზესავით მორთულ-მოკაზმული; მთვარესავით: მშვიდი, მიციმციმე, მოცინცხალე, მომთმენი მავსებს, მახარებს, მალაღებს, მაფრთიანებს, მხვეწს, მრანდავს, მაშალაშინებს.. მიჩვენებს, მასწავლის, მარჯან-მარგალიტის მძივებად მოქარგულ-მორახტულ-მოხატულ-მოკაზმულ-მოგვირისტებულ მწვანე მდელოზე მობიბინე, მოფარფატე, მოცეკვავე მამულის მარადიულ, მდიდარ მარგალიტთა მოხდენილ მონაცვლეობას... მათ მოვლა-მოფრთხილება-მოფერებას.... მონარნარე, მოვარვარე, მოფარფატე მოძრაობას მუდმივ, მარადიულ, მიღმიურ მარადისობაში...

მაყვალას მადლიანი მოქმედება მუხტივით მთვრალი, მართალი, მგრძნობიარე მასალაა მამულის მომავლისათვის, მერმისისავის...

მადლბოა, მამაზეციერს, მისთვის!მისი მუხლჩაუხრელი მადლიანი *მასალისათვის!

...

*მასალა – აქ; მისი შემოქმედება

მამაზეციერო მომიტევე!..

(მამუკა ოჩიაურს)

მზე მორცხვად,მალულად მიმზერს,

მანებივრებს, მიღიმის. მოწყენილს მავიწყენს, მათავისუფლებს მწარ-მწარე მარწუხებისაგან. მუდამ მალაღებს, მახალისებს, მარად მიცავს, მიფარავს, მაფრთხილებს მოსალოდნელი მავნე, მაცდური მოვლენებისაგან... მეც მუდმივად მადლიერს მეწერება მისთვის მოსაწონარი, მოსაფერებელი, მამულისათვის მისაღები, მადლიანი მუხტით მთვრალი მგრძნობიარე მასალა...

მთავრდება მზის მორთა-მოკაზმვა, მიემგზავრება მოსასვენებლად...

მთვარე მიახლოვდება, მოიწევს; მთვარეც მთხოვს მოფერებას...

მეც მისი მთვლემარე, მშვენიერი, მოვარვარე მარადისობა მოხდენილი, მოსაწონარი, მისაღები მაცხოვარს მოკრძალებით მივაბარე...

მზე, მთვარე მადლიერია მამუკათი...

მოსაგონარი მართლაც მრავალი მაქვს მზე-მთვარესთან...

მამაზეციერო, მომიტევე მამუკას!..

ხევსური ხარება

(ხათუნა ელიაშვილს)

ხარბად ხაპავს ხახადაღებული ხევდედა ხანგრძლივს, ხმაურ-ქარიანს, ხმაურ-ყინვიანს, ხან-ხნიერს, ხანდაუსრულებელს, ხშირნამქერიანს, ხშირთოვლიანს, ხევფერდმოწყვეტილს, ხევფერდ-ცრემლიანს, ხევფერდჩამცვრეულს ხშირ-ხშირი, ხარბი ხარხარით ხრიოკ-ფერდთ... ხაპავს ხარ-ბად ხვნეშით... ხშირდება ხევი...

ხოდა, ხარხარებს ხანდასრულებულ ხანს, ხევსურეთის ხმადადუმებული ხეობა... ხასხასებს ხარისთვალაც, ხატავს ხევსურეთს, ხახმატს!..

ხარება ხილულით ხარობს. ხარება ხევსურია, ხახაბოდან, ხახიაურთი.

ხარებას [1]*ხელ-გულ-მესაიდუმლე, [2]*ხელმომკიდე ხათუნაა. ხარისთვალება ხათუნა ხარებას ხერხემალია, ხატებაა ხევსურთა ხიზანის... ხათუნა ხელოვანია, ხელმარჯვეცაა. ხონიდანაა, ხარბედია.

ხევგაღმა, ხახმატში, ხარება ხარირემთ ხროვას ხედავს.

ხარება [3]*ხირიმს ხეხ-წმენდს...

ხელსაქმით ხარობს ხევსური..

ხარბი ხედვით ხერხემალმოგდებულ ხარირემს ხვთისო [4]*ხვალისთვის ხედავს...

[5]*ხელთუყარ ხვთისოს ხელიდან ხირიმი ხმაურობს... ხანდასრულებული ხარირემი ხევში ხვნეშის, ხრიალ-ხროტინებს... [6]*ხორაგით ხელდამშვენებულ ხვთისოს [7]*ხიზანი ხალისით ხვდება..

ხვთისო ხელაპყრობილი ხმადადუმებული ხარობს ხიზნით...

---

[1]* ხელ-გულ-სულმესაიდუმლე – აქ; მეორე ნახევარი, მეუღლე

[2]* ხელმომკიდე – აქ; იგივე მეუღლე

[3]* ხირიმი – თოფი

[4]* ხვალისთვის ხედავს – აქ; წინასწარ გრძნობს გუმანით

[5]* ხელთუყარი – ცუდი ხელის მქონე, ანუ მიზანში რომ არტყამს, ნადირს კლავს

[6]* ხორაგი – აქ; საჭმელი, საკვები

[7]* ხიზანი – ოჯახი, ცოლ-შვილი

მანანა სამყურაშვილი

ქალ ქვა...ლეგენდა...

ყვარლის რაიონს სოფელ საბუეს (სახელი ჟამთა სვლამ დაამახინჯა სოფელს საბერიო ერქვა, რადგან ამ სოფლის ყველა მაცხოვრებელი ბერი და ბერიაშვილი იყო) სამხრეთ აღმოსავლეთით უზარმაზარ ტერიტორიას რამდენიმე ათეულ ჰექტარს ქალქვებს უწოდებენ, ამ ტერიტორიაზე არის ქვა, სადაც ქალი ხელში ბავშვის გამოსახულებისაა. სახელიც აქედან წარმოიქმნა ქალი ქვა, ანუ ქალქვები.

როგორ იქცა ქალი ქვად...

სოფელ საბუეში მცხოვრები ქალი, სახელი უცნობია, გვარად გოგილაშვილი, ერთ დღეს ჩვილი ბავშვით და აკვნით ვენახში მიდენილა, გზად ურჯულო დასდევნებიან და ხმალ აღმართული წინ დასდგომია, ქალი არ დანებებია...და შეშინებულს უნატრია ღმერთო! ქვად მაქციეო,ღმერთმა შეისმინა ქალის ვედრება და მოულოდნელად ურჯულოს წინ ქალი ქვად ქცეული დაცემულა, ურჯულო (დაღესტნელი დიდოელი ლეკი) გაკვირვებულა,ხელები ზეცად აღაპყრო, ალაჰ ილალაჰ წარმოსთქვა და ყვირილით შეშინებული გაეცალა იქაურობას.ქალი რამდენიმე დღე არ მამოჩნდა,საგონებელში ჩავარდნილმა სოფელმა ძებნა დაიწყო და სოფლის ბოლოს ქვად ქცეული იპოვეს,მას მერე დღემდე ამ ადგილს ქალქვები უწოდეს დღემდე,ქვაც არსებობს. ქვის ძალა კი ასეთია...როდესაც წვიმა დაიგვიანებს და მოსახლეობის მამულები გვალვით იხრუკება, დაუძახებენ აუცილებლად გოგილაშვილების ქალს, მივლენ ქვასთან, წინ მიდის გოგილაშვილების ქალი, დაადებს ქვას ხელს და ეტყვის, ,,ამყე მამიდ", ქვა ბუმბულივით მსუბუქი ხდება,ასწევს რამდენიმე ქალი და წყალში ჩასდებენ, მალევე მოვა წვიმა და მანამდე იწვიმებს სანამ ქვას წყლიდან არ ამოიღებენ,ამ რიტუალს წვიმის ღმერთის გონჯას სახელით ატარებენ რიტუალს. ქალებიდან ერთი მაინც გოგილაშვილი უნდა იყოს, ქვამდე ფეხშიშველები სიმღერით მიდიან,ქვას სამჯერ უნდა შემოუარონ სიმღერით, რათა არ განაწყენდეს, რიტუალს კი გონჯაობა ჰქვია...

ეს გარშემო სოფლებმა ყველამ იცის და ყოველთვის ასრულებენ შემორჩენილ ადათ წესს.

გაიგეს თელავის რაიონში ქვის მადლიერება და ურმით წამოსულან ქვის მოსაპარად,მათ არ იცოდნენ რომ ქალი კაცისგან შეშინებული იქცა ქვად და ქალებს უნდა წაეყვანათ,როგორცკი კაცმა ხელი წაავლო ქვას,ატყდა ქარი,სეტყვა, წვიმა ისეთი რომ ქვას თავი დაანებეს და წავიდნენ,კარგა მანძილი რომ გაიარეს გამოიდარა, ისევ უკან მიბრუნდნენ მაგრამ ქვას როგორც მიუახლოვდნენ უფრო უარესი წარღვნა დაიწყო, მაშინ მიხვდნენ ამ ქვას ღვთიური ძალა აქვსო და დაანებეს თავი,ასე შერჩა სოფელ საბუეს ქალ ქვა,ასე შეაბერდა ქალი ქვა თავის დედო მიწას.

ქალქვების მიწა ნაყოფიერია, ამ მიწაზე ყველაფერი მოდის განსხვავებულად გემრიელი, განსაკუთრებული გემოთი და შაქრიანობით გამოირჩევა ყურძენი,ეს ადგილი გაზის დედაა. დღეს მთელი ეს ადგილი ნაწილ-ნაწილ, გოჯა-გოჯა გაყიდეს სოფლის მოსახლეობამ ადგილობრივზე კი არა შორიდან შემოსულზე და მხოლოდ ერთი ადამიანის რამდენიმე ათეულ ჰექტარ ზვრად ქცეულა.

ერთი კაფანდარა ქალი, მეგი დაჰხარის ქალ ქვასაც და ქალქვებსაც.

ვაგლახ,სოფელო უგულო,
მით უფრო ძლიერ უგონო,
ქვამ არ დაგთმოთ და ეს
ცოდვა ახლა ვიღას გავაგონო...

ქვა არავის გაჰყვა ნებით,
დაუფიქრებლად გაჰყიდეთ,
არავინ უწყის თქვენ ამით
თავებს რა ცოდვა აჰკიდეთ.

წინაპრის ძვლები შეტოკდა,
მიჰყევ ურჯულოს ნებასა,
მან ქალი ქვად აქციადა
შენ შეეყარე სნებასა,

გაჰყიდე ადგილ მამული,
ქალის ცრემლებ დანამული,
ჩაიჩხრიალე გროშები,
მის მერე ხარ განაბული.

ქალი ქვა მარტოდ დააგდე
ადგილ მამულ გაძარცული,
შენ კი თავად მეგისთან ხარ,
ყმად და მონად გადართული.

სიტყვას-სიტყვას ვერ მიაბავ,
ხარ სირცხვილით განაბული,
ის ადგილი ჯერაც ქვისგან
სულ არ არის განაღმული.

დრო დადგება აფეთქდება,
წვიმად დაგიბრუნდება,
საფლავში კი წინაპრების
ძვლები გადაბრუნდება.

ქალი აყვანა... მთა...ლეგენდა....

შილდასა და ყვარელს შორის ნეკრესის მთაგორიანი ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთით,კუდიგორის ჩრდილოეთით(კუდიგორა მთა სადაც ილია ჭავჭავაძე შეხვდა კაკო ყაჩაღს და ზაქროს მიუვალ უღრანში)არის საკმაოდ ციცაბო გამორჩეულად მაღალი მთა,რომელსაც ქალი აყვანას უწოდებენ.

(საკითხი დაწერილია სოფელ შილდაში მცხოვრები აწ გარდაცვლილი ჩემი პაპიდის დარიკო დინგაშვილის ნაამბობის მიხედვით) სოფელ შილდაში ორი ობოლი იზრდებოდა სხვადასხვა ოჯახში,ორივე ძალიან ლამაზები ყოფილან, გოგო მხრებზე დაყრილი ქერა კულულებით, ცისფერთვალა,მოწყვეტილი მთის იასავით ნაზიო...ბიჭიც ასეთივდ ჩაკულულებული ლამაზი თმით არანაკლებ გოგოზე ლამაზიო... ორივეს მხოლოდ ბებიები ყოლიათ.ბიჭს ცხვრები ყოლია და ყოველ დღე ნეკრესის ჭალაში მიჰყავდა საბალახოდო,თან სალამური მიჰქონებია და მისი დაკვრა და სიმღერა არემარეს აფხიზლებდაო.

გოგოს ეს ბიჭი შეჰყვარებია,ერთ დღეს უკან გაჰყოლია, შორიახლოს მიდიოდა რომ ბიჭს არ დაენახა,შუადღე გადავიდა ბიჭმა სალამური ააკვნესა გოგო ხეს ამოფარებული უსნენდა,ბიჭს შეუმჩნევია რომ ხის მეორე მხარეს გოგო დგას და უსმენს,მისულა ბუჭი გოგოსთან და უთქვია,ვიცი რომ გიყვარვარ, მეც მიყვარხარ, გამომყე ცოლადო,გოგოს პირდაპირ თანხმობა ვერ გაუბედია და უთქვია თუ ამიყვან ხელში და ამ მთაზე დაუსვენებლად ამიყვან თანახმა ვარო.ბიჭს იმავ წყთში აუყვანია ხელში და ნახევარი მთა სირბილით აურბენია,ნახევარს ზემოთ კი დიდი წვალებით უვლია მარა გოგო მთის წვერზე აუყვანია,გოგო დაუსვია და გადავარდნილა ბევრი ეცადა გოგომ მარა ვერ მოასულიერა მდუღერე ცრემლით დაულბა ბიჭს გულისპირი მარა თვალები აღარ გაუხელია,გოგომ თავი არ დაანება...სამი დღე ეძებეს სოფელმა გოგო და ბიჭი მარა ვერსად ნახეს,ბოლოს გაიგეს ნეკრესის ჭალაში ცხვრები არიანო და გახარებული სოფელი წავიდა სანახაცად,ცხვრები ნამდვილად უნახიათ უძახიათ მარა არავინ გააგონათ,ბოლოს მოსახლეიბა მთას შეეფინა საძებნელად და მთის წვერზე ეს შემზარავი სურათი დახვედრიათ,გოგო ბიჭის გულზე მომკვდარა.მას მერე ამ მთას სოფელმა ქალიაყვანა უწოდეს, დღესაც იგივე სახელს ატარებს.გოგო და ბიჭი სიფელში წამოუსვენებიათ და გვერდი გვერდ დაუკრძალიათ.ამ ამბის

გაგებამ შეძრა ჩემი ფიქრები, ბევრჯელ მიტირია მარტოს. (ამ საკითხზე სოფელ შილდაში ძალიან ლამაზი ხალხური ლექსი ჰქონდათ, მე ეს მოსმენილი მაქვს სიმღერით.მოვიკითხე,მაგრამ ძალიან მცირე ნაწილი იცის, ჩემმა კლასელმა გივი თავდიდიშვილმა თავის ფილოლოგი აწ გარდაცვლილი დედისგან შემორჩენილი და ლექსი ისეთი საინტერესო შინაარსის აღარ არის და მისი მონიშვნა საჭიროდ აღარ ჩავთვალე.)

შეწუხდა მთელი სოფელი
ფეხზე დგას დიდი-პატარა,
ცა მოიქუფრა, შეწუხდა,თეთრი გვირილა
თვალთაგან მინდვრებზე გადაყარა.
ეს უპატრონო ქალ ვაჟი
ცამ ხომარ გადაყლაპაო,
ნეტავი ზეცამ გვირილა
ცრემლად რად დააყარაო?
სამი დღე -ღამე ეძებეს,
არსად გამოჩნდა კვალიო,
ბოლოს მთებს შესევიანდა
სდიოდათ ცრემლის ღვარიო.
მთის წვერზე როცა ავიდნენ,
ქალ-ვაჟი ერთურთს ჩაჰკვრიან,
მნახველნი შეწუხებულნი
მდუღარე ცრემლებს აყრიან.
ციცაბო მთას კი იმ წუთში
ქალი აყვანა უწოდეს,
მსმენელს კი ვისაც ეს ესმა
არ მინდა გული ეწვოდეს.
ხალხმა მათ ლექსები უძღვნა
შილდაში დღესაც მღერიან,
მთას წვერით ზეცად მიბჯენილს
ყველა რიდით შესცქერიან.
მთის კალთა გადმოშლილია
ნეკრესის ჭალის პირზედა,
ყვავილნი უხვად ყვავიან
ელავენ მზისა სხივზედა.
ყვავილთ გულები მორთულან
შვენით განსხვავებული ფერები,
ისე უხდება ჭალის ქედს
როგორც ყელს ოქროს მძივები.
ამბავი როცა გავიგე,
ვიყავი ძლიერ პატარა,
არ დავივიწყე ეს დღემდე,
გულმა ნაღველით ატარა.

სულის მესაიდუმლე ჭადარი....

ჩემი სოფელი საბუე, სადაც მე დავიბადე კავკასიონის მთის ფერდობზეა შეფენილი. სოფელს ორი მხიდან მდინარე ესაზღვრება. აღმოსავლეთით მდინარე ,,ხერხმელა" თავისი ლამაზი ღელე-ხევით, ხოლო დასავლეთით მდინარე ,,ინწობა"შეუპოვარი,მთის ქიმზე ფაფარაშლილი ტინებზე მოზრიალებს, მოჰქუხს საჯრის ჩანჩქერი.

სოფელს თავზე გადმოჰყურებს კავკასიონის ვერცხლის შუბლ– გაბრწყინებული ,,ყადორის" მთა, თავისი ციხე გალავნებით და უღელტეხილებით.

ორი მდინარის შხუილი და მთიდან მონაბერი ნიავი საოცარ სიგრილეს ატრიალებს სოფელში.

ერთდროულად ამდენი საოცრების მხილველი

ჭურჭელი უნდა იყო პოეზიის, საიდანაც ულევად იღვრებოდეს ნაზი, იასავით მობიბინე რითმა...

სოფელი საამაყო წარსულის მქონეა, ოდესღაც ბერ-მონაზვანთა სავანე ყოფილა.აქ მხოლოდ ბერიაშვილებს უცხოვრიათ,ჩემს საამაყო წინაპრებს,რომელთა ნამოქმე-დარზე ლეგენდებია შემორჩენილი... ამის უტყუარობას ამტკიცებს დღეს არსებული 42 ხვთის სახლი, ეკლესია,ტაძარები. მათ შორის სამი არის მოქმედი ტაძარი. ყოველ დღე ისმის ხვთის სახლიდან უფლის საგალობელი და ზარების რეკვა.

ეს იმას მიმანიშნებელია, სოფლის მოსახლეობა უძველესი დროიდან ახლოსა ყოფილა უფალთან...

უახლოვეს პერიოდისთვის გამიზნული მაქვს წარმოვაჩინო ამ პატარა,უძველესი სოფლის ისტორია, აწ გარდაცვლილი მეტად საინტერესო და ერისთვის ცნობილი ადამიანებით.

ხვთიური მადლი ყველას არ ებკურება, მადლი ხომ რჩეულთა ხვედრია...ზოგ-ზოგთა გონება დაუპურებელი რჩება და ხვთის საწინაღმდეგო მიქმედებასა სჩადიან...

სოფელში ახალბედა ექიმი შემოვიდა (სამოციან წლებში) გაიგო სოფელში ერთი მეტად პატიოსანი, დასაოჯახებელი მარტოხელა ცხოვრობდა,ნადეჟდა (ნადია) დათუკი-შვილი. ქალბატონმა ლამარა ქიტიაშვილმა გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო.

ნადიას ცრუ დაპირებებით თავის საცხოვრებელ ბინაში გადასვლა შესთავაზა მოახლედ... ამ დროს ლამარას ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. ნადია ალალად, უფასპატიოდ ემსახურებოდა ლამარა ექიმს, როგორც შვილების გაზრდაში, ასევე ოჯახის ნებისმიერ საქმიანობაში და ადგილ-მამულსაც აგურგურებდა.

დრო-დროს მისდევდა, შვლები დაზარდეს, მაგრამ მზრუნველი ქალი ოჯახიდან გასაშვებად არავის გაემეტა. ამ დროს ნადიას მამის საცხოვრეველი ბინა უპატრო-ნობით დაინგრა... ნადია თანდათან მობერდა, საქმეს ახალგაზრდული ენერგიით ვეღარ აკეთებდა...მიკედლებულ ოჯახში დიდს და პატარას გული გაუცივდა.ნადიას მიმართ ყველამ ერთნაირად გაყინა გული და სახლიდან ქუჩაში გამოაგდეს...ნადია დრო და დრო მიდიოდა, იქნებ გული მოულბეთ და მიმიღონო, მაგრამ უიმედოდ, კარი არავინ გაუღო...

ნადიას არც დედმამიშვილმა გაუღო სახლის კარი ,,წადი და სადაც აქამდე იყავი, ისევ იმათ შეგინახონო"... უსახლკაროდ დარჩენილი ნადია საფიქრალს მიეცა...მან იცოდა რომ სოფლის შუაგულში ხვთისმშობლის ეზოში იდგა უზარმაზარი ჭადარი რომელსაც გული არა ჰქონდა,(მეხდაცემული იყო და გული გაშავებული ჰქონდა, თითქოს ცეცხლს გამოუწვიაო) ნადიამ ბინად აქცია ჭადრის ფუღურო და მშვიდადა ცხოვრობდა...

ასე გაატარა შვიდი წელი. ამ პერიოდში ხელი არ გაუწვდია და არავისთვის ლუკმა არ უთხოვია...სოფლის მოსახლეობას ეხმარებოდა სამეურნეო საქმიანობაში და თავს ასე, ალალი შრომით ირჩენდა.თუ ვინმე გაუბედავდა ლამარას ოჯახზე აუგს, გან-საკუთრებით მის შვილებზე, ლადიკოზე და მამუკაზე, გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, საქმეს მიატოვებდა და ჩხუბით გაეცლებოდა იქაურობას, რატომ მიხსენებ ჩემს დაზრდილებს ცუდადო... შვიდი წლის შემდეგ ნადია ჭადრის ფუღუროში გარდაიცვალა...



მას მერე თანდათან ჭადარს გული გაუახალგაზრდავდა, ფუღურო შეივსო და საამურადა ხასხასებს ჭადრის მადლიანი ფოთლები... ვინ იცის რამდენი საიდუმლო გაანდო ჭადარს დარდით სავსე ნადიას გულმა... ჭადარმა გულით შეინახა ნადიას ტანჯვით ნაწრთობი სული... და რომ არავის გაეგო მის გულში ოდესმე ქალი ცხოვრობ-და, ჭრილობები შეიხორცა და მხნედ დადგა...

რამხელა ძალა გგქონია ხვთისმშობრლო მარიამ! შენი ეზოს ბინადარი ჭადარი განკურნე, გაახალგაზრდავე, ბერბიჭა ჭადარი ჭაბუკად აქციე... დაილოცოს შენი ძალა და ძლიერება.

ნელი საგინაძე

ქევხიაანთ ქალი

ნოველა

ახლობელ ნათესავები ქევხიაანთ ქალს ეძახდნენ, თორემ სოფელში, რომ გეკითხათ, ახვერდაანთ ვაჟას ცოლი მერიაო – ასე გეტყოდათ ყველა..

კეთილი ქალი იყო მერი, მეტად კეთილი.

კისკისი და სიცილი უყვარდა ყველასთან საუბრისას. თან ისეთი კისკისი იცოდა სითბოთი სავსე გულს, რომ ამოაყოლებდა ხოლმე თან.

მოხდენილი ტან-ფეხი და მოხორბლისფერო კანის ფერი ქონდა ამ შავთვალება ქალს.

ყვავილებიან მოჩითულ კაბას, რომ ჩაიცმევდა ზაფხულში მერი, ისე ლამაზად გამოიკვართებოდა შიგ, რომ თავის პატარა ორ გოგოგნასთან ერთად ხელჩაკიდებულს, ქალაქში მინადენს დიდი თუ პატარა მუშტრის თვალს გააყოლებდა ხოლმე

სიკეთის შუქი ედგა ამ ქალს ყოველთვის სახეზე – სიკეთისა.

ამ სიკეთის შუქს მზის შუქი ერქვა და მერიც ეტყობოდა იმ დროს, სარწმუნეობრივად ჩამობნელებულ ყოფაში თავის ოჯახს მზისკენ მიაქანებდა. მიაქანებდა და არც აღმართი აშინებდა და არც დაღმართი.

სინათლე და მორწმუნეობა უფრო ძლიერსა და მსუბუქს ხდიდა ქალს და რაც ძალი და ენერგია ჰქონდა მზისკენ მიილტვოდა, იმ მზისკენ, ქრისტეს რწმენას და მართლმადიდებლობას, რომ ვეძახით!

ქალაქად უყვარდა ხშირად მერის წასვლა ქალაქად, რადგან იქ თავისი საყვარელი და მარო ცხოვრობდა.

პატარა , ლამაზი ოჯახი ჰქონდა მერის. მეუღლე და ორი პატარა გოგონა.

არანაირ შრომას არ თაკილობდა, რომ მეუღლეს გვერდში ამოსდგომოდა და თავისი გოგონებისათვისაც არაფერი მოეკლოთ.

ფიზიკურადაც ბევრ ქალურ შრომას ასრულებდა და ქალაქიდანაც ხშირად, რაღაც ისეთს და ახალ ხელსაქმეს წამოიყოლებდა ხოლმე, სოფელში, რომ ჯერ არც გაეგონათ და არც ენახათ.

იმ დროს სოფელს მაინცდამაინც, არც ძალიან უჭირდა და არც ძალიან დალხენილი ცხოვრება ჰქონდა. თითქმის მეტი წილი ოჯახები საშუალო ყოფის ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მაგრამ თბილად, ტკბილად, შეთანხმებულად. ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით.

ყველანაირი ქვეყნიური ცივილიზაცია ქალაქში უფრო ადრე შემოდიოდა ვიდრე სოფლად.

ალღო აუღო, ალღო ქალაქში შემოსულ სიახლეებს იქ, ხშირად მყოფმა მერიმ.

მაშინ სოფლად ოჯახის ქალებს ძალიან დიდი ჯაფა ჰქონდათ, კერძოდ საოჯახო ნივთების სისუფთავეში. მერიმ გადაწყვიტა, რაღაც ისეთი სიახლე ჩამოეტანა სოფლად, აქ მცხოვრებ ქალებს ჯაფას, რომ შეუმსუბუქებდა და თვითონაც ერთი ორი კაპიკი მორჩებოდა ოჯახისთვისა. ოღონდ ეს ყველაფერი ისევ თავისზე დატვირთული ფიზიკური შრომის ხარჯზე უნდა გაეკეთებინა..

ამ დროს, სოფლად ოჯახის ქალებს მარტო ქვაბები, რომ კარგად გაერეცხათ და სითეთრე შეენარჩუნებინათ ამ მეტალისთვის და და ქალური ეშხი დაედოთ სამზარეულოსათვის, რანაირ საშუალებებს აღარ მიმართავდნენ. ამისათვის. ზოგი ნახევარი დღეც კი იდგა და თავისი მკლავებისა და მაჯების ენერგიას ერთი ქვაბის შეთეთრებას ახარჯებდა. ხშირად ამ წვალების შემდეგ სამზარეულოში შეხედილს შეიძლება ეთქვა კიდეც, არ ღირდა მთელი ნახევარი დღე ამ ქვაბის ნაცარ-ტუტით ხეხვა და მაჯების ასე დაღლაო.

ხოდა, ქალაქში ჩასულმა ჩევნმა მერიმ შეამჩნია, რომ ამ მხრივ რაღაც სიახლე შემოსულიყო.

პატარა, წვრილი დაგუნდავებული, ლამაზად შეკერილი, მეტალის წვრილი ძაფებით ქალაქელი ქალები ათეთრებდნენ კი არა ზედმეტადაც აპრიალებნენ სამზარეულოში მოსახმარ ყველანაირ ჭურჭელს.

ხოდა, მერიმაც გადაწყვიტა სოფლად სიახლე წამოეღო და ქალებისთვის ჯაფაც შეეადვილებინა და მათი გულებიც გაეხარებინა.

წვრილი, მეტალის ძაფებისგან დაგუნდავებულ მასას

ლამაზად დაამრგვალებდა ,ზემოდან ასეთივე ახალ, სუფთა, ფერად– ფერადი ღრუბელის მატერიის მასალას შემოაკერებდა ძაფით და ლამაზი, პატარა ქვაბების სახეხები გამოსდიოდა.

ახალი ქვაბის სახეხები პირველად ახლობლებს შესთავაზა მერიმ.

მოეწონათ, ძალიან მოეწონათ და გაუხარდათ. ერთს კი არა, ერთის სანაცვლოდ ბარე ხუთ-ექვს ყიდულობდნენ. მოკლედ მერის სახეხებით ისე გადააპრიალეს სამზარეულო, რომ ამოისუნთქეს სოფლად ქალებმა.

ისე გაითქვა მერის სახეხებმა სახელი, რომ სოფელში ოჯახი არ არსებობდა, რომ სამზარეულოში მერის ხელით შეკერილი ლამაზი ფერის სახეხი არ ჰქონებოდათ.

მერი, რომ სახეხს ამოიღებდა ჩანთიდან, ყველას თვალში მოხვდებოდა მისი მთელი ღამის ნამუშევარ-დაჩხვლეტილი და მეტალის დაგუნდავებისგან შესხვაფე-რებული ხელის თითები. და კიდევ, ამ სახეხების კერვის დროს, ნემსისგან რამდენგან ჰქონდა ნაჩხვლეტი მის თითებს, ალბათ კაცი ვერ დაუთვლიდა.

ღამე უნდა ეკერა, თორემ დღე სად ეცალა.

დილა გათენდებოდა თუ არა მერი სამუშაოზე მიდიოდა ბაღ– ვენახში. შუადღზე დაბრუნებულს კი შეკვეთილი სახეხები უნდა ჩამოერიგებინა.

ხოდა ,ზუსტად ამ შეკვეთილი სახეხების მასალის ჩამოსატანად და კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმისათვის დადიოდა ხშირად მერი ქალაქად. კერძოდ ისანში, იმ ადგილას სადაც თავისი და ცხოვრობდა.

მერიმ, რომ მოუხშირა თბილისში სიარულს ცოტა არ იყოს, ქმარმაც უსაყვედურა

– რა იყო გოგო, რა დაგარბენინებს იმ ქალაქში!

– რა წარამარა დადიხარ !

– კაცო, აბა ჯერ ამდენ შეკვეთებს რა ვუყო!

– ამ შეპირებულ ხალხს ხომ არ მოვატყუებ!

– თუ არადა, სხვამ თუ არა შენ ხომ კარგად იცი, სადაც მივდივარ ხოლმეო !

– მარტოც არ მივდივარ!

– გოგონებიც იქ არა მყვანან კაცო?!

– მაროც იქ არ არის?!

– დღეს წავალთ და ხვალ დილით აქ ვიქნებითო!

მეუღლეც ხმას არ გაიღებდა ხოლმე, იცოდა მერის ხასიათი, თანაც ძალზედ ენდობოდა.

პირუჩუმრად მიტრიალდებოდა და თავის ხელობის საქმეს გააგრძელებდა ხოლმე.

თურმე, სადაც მერის და ცხოვრობდა ისანში, იქვე ახლოს ბარბარეს სახელობის ტაძარი ყოფილა, სადაც წირვა-ლოცვა რუსულად აღევლინებოდა და ძალიან კეთილი, რუსი მონაზონი დედაობები მსახურობდნენ.

სწორედაც, რომ იმ ურწმუნო დროში, მერის ამ ტაძრისათვის მიუგნია და იქ მისვლა და წირვაზე ყოფნა თავისი პატარა გოგონებით მისი სულისა და გულის მაპურებელი გამხდარა.

მოსწონებიათ ტაძარში მოღვაწე დედებსაც ჩვენი მერი და უთქვამთ.

– აქ ჩვენთან ერთი დიდი ბერი მოდის ხშირადო!

არც კი სცოდნია მერის ბერი რა ხარისხი ან საერთოდ ვინ იყო.

– იცით? – ისეთი მღვდელია ყველაფერს სიმართლეს საუბრობს!

– იცით მან ყველაზე ყველაფერი იცის!

– და იმდენი იცის ნებისმიერ ადამიანზე, რომ შეიძლება თვითონ კაცმაც იმდენი არ იცოდეს თავისზეო!

– მას მამა გაბრიელს, ბერ გაბრიელს ეძახიანო!

– ისანში ცხოვრობს!

– თავისსავე სახლის ეზოში თავისი ხელით აშენებული ტაძარიც ააქვსო!

მერი უსმედა და თან ფიქრობდა.

– უნდა ვნახო!

– აუცილებლად უნდა ვნახო!

– როგორ შეიძლება არ ვნახო ამისთანა ბერიკაცი!

– თბილისიდან არ წავალ ,სანამდე არ ვიპოვი მამა გაბრიელსო!

ეს იფოქრა მერიმ, ლამაზად დაემშვიდობა მონაზონ ქალებს და იმ ქუჩას დაუწყო ძებნა ახლა გაბრიელ სალოსის ქუჩას , რომ ეძახიან.

ძალიან მალე და ადვილად მივიდა ამ ადგილას და თვალებით ამდენ მავალ ხალხში დაუწყო ძებნა მღვდელის ფორმაში ჩაცმულ კაცს.

– ნეტავ კი გამოჩნდებოდეს ჰა ?!

– საითა ხართ ვიცოდე მაინც მამა გაბრიელ !

– ნეტავ კი დავინახავდე ღმერთო და სხვა არაფერი მინდა რა!

კარგა ხნის შემდეგ, ოდნავ მოშორებით მერიმ ტაძარი შეამჩნია. მის გზას გაუყვა გოგონებთან ერთად. ახლოს მისულმა შენიშნა, რომ ეს უფრო ხელითა და დიდი გულით ნაშენები ტაძარი იყო.

არც მამა გბარიელის თვალს გამოპარვია მის კარზე მისული სტუმრები და გულიანად შეიპატიჟა თავის ხელით აგებულ ტაძარში.

ეს დღე იყო და მერი თავისი შვილებით აღარ მოშორებია მამა გაბრიელს გვერდიდან

ეს ყველაფერი იცოდა ოთხმა ადამიანმა მერიმ, მისმა მეუღლემ და მისმა ორმა გოგონამ თამარიმ და მაყვალამ. სხვა მეტი არც ახლობელს, არც მეზობელს და არც თანასოფლელს ეს არ სცოდნიათ. პირიქით, შეიძლება ვიღაცას მუშტრის ენითაც ეთქვა

– რა წარამარა მიდი– მოდიხარ გოგო თბილისშიო!

მერი შესანიაშნავად იგებდა, ვინ რა მიზნით უსვამდა კითხვას, მაგრამ მის გულს სად ეცალა სიბოროტისთვის ან ვინმეს კადნიერი პასუხისათვის.ვინც გამეორებულ კითხვას დაუსვავდა, პასუხის ნაცვლად სიცილ-კისკისსა და

გაღიმებულ სახეს დაუბრუნებდა და ასე გაკვირვებულ და კმაყოფილსაც დატოვებდა ნებისმიერ მოინტერესეს!

თბილისში ჩასული მერი მამა გაბრიელთან მიირბენდა, სულის საზრდოს აიღებდა და მერე საოჯახო საქმეებისკენ მიეშურებოდა.

მამა გაბრიელს პირველად "მამაო ჩვენო" შეუსწავლებია მისთვის, შემდეგ დედის ლოცვა,დილის და საღამოს ლოცვები, მფარველი ანგელოზის, ოჯახის და ა. შ.

ეს ლოცვები საკუთარი ხელით ჩაუწერია ძველებურ 12 ფურცლიან რვეულში და სახლში საგულდაგულოდ ინახავდა.

პირველი, წმინდა ნიკოლოზის ხატი უჩუქებია ბერ გაბრიელს მერისათვის.

პატარა გოგონებისთვის კი ვერცხლის მედალიონები. ერთი მხრიდან ქრისტეს, ხოლო მეორე მხრიდან მარიამ ღვთისმშობელის გამოსახულებით. ალბათ მეხუთე–მეექვსე კლასისი მოსწავლეები იქნებოდნენ მაშინ. ისინი ჩუმად მოხერხებულად, თავისი თანატოლებისა და მასწავლებლების შეუმჩნევლად, სულ მუდამ ატარებდნენ ამ მედალიონებს. .

მერის გოგონებიც დაიზარდნენ. უზომოდ ნიჭიერები იყვნენ. უმაღლესის გარეშე არცერთი არ დარჩენილა.

მერიმ იმხელა სიყვარული დაიმსახურა მამა გაბრიელისგან, რომ ერთ დღეს - თავისი ფეხით მობრძანდა მერის ოჯახში.

მანქანიდან გადმოსული ბერის ფორმაში ჩაცმული მღვდელი, რომ დაუნახიათ გაჰკვირვებიათ.

– ეს ვინღა მოიყვანა მერიმო!

– რა უნდა აქა მღვდელსაო!

დიდი პატივისცემით მიიღო მამა გაბრიელი მერის ოჯახმა.

მეუღლეც კარგი მასპინძლობით დახვედრია. ბერს ოჯახი დაულოცია და ასეთი სასიამოვნო, ლამაზი კახური დახვერდისა და სტუმართმასპინძლობის შემდგომ ბერი ისევ თბილისში გაუცილებიათ!

რამდენიმე დღის შემდეგ მერის მულისთვისაც მოუყოლიათ.

– იცი, შენმა რძალმა ვიღაცა მღვდელი მოიყვანა სახლშიო!

– ვინ მღვდელიო, უკითხია მერის მეუღლის დას!

– ვკითხავ, ის მე არაფერს დამიმალავსო!

– მერი სახლში ცუდს არავის შეიყვანდაო!

ვინ რა იცოდა, რომ იმ დროს, იმ სულიერეად ჩამობნელებულ პერიოდში, ვიღაც მღვდელი კი არა, ღმერთისტოლა კაცი შეიყვანა მერიმ სახლში.

– ვინ რა იცოდა, რომ მერიმ მამა გაბრიელს დაალოცვინა მთელი სოფელი, ის სოფელი – ქვემო ხოდაშენი–, რომ ჰქვია. დაალოცვინა ახლობელ-ნათესავები და ოჯახის ჭერი და ფუძე.

რამდენიმე დღის შემდეგ , მულთან მისულ მერის ანგელინა შეეკითხა

– მერი, ამბობენ ვიღაც მამაო ყავდა სახლშიო!

მერის სიხარულისგან თვალები აუციმციმდა და მის კითხვას ისევ კითხვა გაუმეორა.

– რა კარგია, შენც გაიგეო?

– კი, გავიგეო!

– მამა გაბრიელი ჰქვია ანგელინ ოჯახი დამილოცაო!

ეს იყო და მის იქეთ, არც ერთი მხარისგან სიტყვა არ თქმულა და არ გაგრძელებულა ამ საკითხზე. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს!

– რა იცოდა დედამ, რომ ეს ის ბერი გაბრიელი იქნებოდა, ის დიდი აღმსარებელი და სალოსი, რომლის წინაშე მთელი საქართველო დაიჩოქებდა და მის საფლავზე თავს დადებდა ამა თუ იმ თხოვნებით!

– რა იცოდა დედამ, რომ ეს ის ღმერთისტოლა ბერი იყო, რომელმაც მისი ნელი გათხოვებისთანავე, ისანში – თავისსავე ხელით აგებულ ტაძარში გულიანად დალოცა სიტყვებით

– უფლისგან დალოცვილები ყოფილიყვნენო!

და იქნებ, ამ დიდი მოძღვრის შორეული გულისხმიერება, ძალი და მადლი იყო, რომ იმ "გაგანია" კომუნისტური რეჟიმის დროს,ტაძარში შესვლასაც კი რომ უშლიდნენ ახალგაზრდობას, თელავის ღვთაების ტაძარში ჯვარს იწერდნენ მონა ღვთისა გელა და მხევალი ღვთისა ნელი!

– და მისსავე ნელის მშობიარობის დროს, ერთი ბებიის კალთის ქვეშ, დებივით დაზრდილი თამარი და მაყვალა მამა გაბრიელთან გაიქცეოდნენ, მის მშობიარობას შეატყობინებდნენ და ბერი გაბრიელი ყველაზე დიდ კელაპტარს აანთებდა, გოგონებსაც სანთლებს დაანთებინებდა და ერთი საათის განმავლობაში ნელის ჯანმრთელობისათვის ილოცებდა. და ბოლოს დიდი აღმსარებელი ამ სიტყვებით დაასრულებდა ლოცვას

– ყველაფერი, უფლის ნებით კარგად იქნებაო!

და მოხდა კიდეც ასეც კარგად და ლამაზად

– თბილისში დაიბადა ჩემი გიორგი!

ამ დროს ჩემო ძვრფასო მკითველებო,ჩემი გმირი, ქალბატონი მერი უკვე ზეციური საქართველოს მკვიდრი იყო და ალბათ იქედან ადევნებდა სიხარულის თვალს მის გაკაფულ გზას შემდგარ ახლობელ-ნათესავებს!

– ეს ყველაფერი ხომ ჩემი მერი ბიცოლას დამსახურება იყო!

–ეს ყველაფერი ხომ მერი ბიცოლას გაკვალული გზა იყო!

–

– ეს ყველაფერი ხომ ჩრდილიდან გაკეთებული სიკეთე იყო!

ასე ყოფილა ცხოვრებაში, მართალ, ღვთის გზაზე, შემდგარ ხალხს თურმე ისე სხვანაირად ფარავს უფალი, რომ წუთისოფლისეული გონების კაცი მის გზას ვერას გაუგებს რას.

– ასეთი ნათელი, მორწმუნე გზებით მავალ ადამიანებს კი ყოველთვის უბრალოებაში ტოვებს ღმერთი და თავიაანთი კეთილი სულით, გულით და გაღიმებული სახით ჩრდილიდან აღასრულებინებს სიკეთეს!!!

ირმა კეკელიძე

დოკუმენტური პროზა

მართა

მაყვალა გონაშვილს

ორმოცი წლის შემდეგ, მეგობართან ერთად, ისევ იმ შარაგზაზე მიაბიჯებდა დინჯად, სადაც ბავშვობაში და შემდეგ უკვე ყმაწვილქალობაში უყვარდა სიარული. ზაფხული, კახეთი, სოფელი, შარაგზა... უყურებდა ლამაზ მოაჯირიან სახლებს, კარგად მოვლილ, ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ, მწვანედ მობიბინე ეზოებს და მის თვალსა და გულს საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. ახალაშენებულ ლამაზი სახლის ღობესთან შეჩერდა. შემდეგ გვერდით მდგომ მეგობარ ქალს მიუბრუნდა და შეეკითხა:

– მაიკო, რა ლამაზი სახლი აუშენებიათ, ნეტავ ვისია? მიხარია, როცა სოფლად ახალაშენებულ სახლს ვხედავ ხოლმე.

გვერდით მდგომი მეგობარი ქალი უყურებდა ლამაზ, დიდ ეზოში, ახალაშენებულ თეთრი ფერის სამსართულიან ულამაზეს სახლს, ლამაზი მწვანე მოაჯირითა და სხვადასხვა ფერის კამელიებით მოხატულ ეზოს.

– არ ვიცი, ვერ ვიხსენებ. ნეტავი, აქ ადრე როგორი სახლი იდგა? – თავისთვის ჩაილაპარაკა ქალბატონმა მაიკომ და დაფიქრებული, შუბლშეკრული უყურებდა ულამაზეს ეზო-კარსა და მასზე თეთრად ამობრწყინებულ სამეფო სახლს. უცებ რაღაც გაახსენდა და მეგობრისკენ მიბრუნდა.

– გამახსენდა, მაყვალა, გამახსენდა! აქ ხომ მართას პატარა ქვითკირის სახლი იდგა.

– რომელი მართასი, კარგად გამახსენე, ვერ ვიგონებ, – უპასუხა მაყვალამ.

– რომელი მართასი და პოეზიის საღამოზე რომ გამორჩათ და მერე თავის გიტარით ხელში მარტო რომ მღეროდა...

მაყვალას უცებ თვალები გაუფართოვდა, მეგობარს გაოცებულმა შეხედა და ხმის კანკალით უპასუხა:

– რას ამბობ, მართას ეზოში ამხელა სახლს ვინ ააშენებდა? ის ხომ მარტოხელა იყო. მგონი გეშლება.

– არაფერიც არ მეშლება. ღობეს შიგნით გააყოლე თვალი. ვერ იცანი მართას კამელიები?... ისევ ისე ჰყვავიან... კამელიები ჩვენს სოფელში მართას გარდა არავის არ ჰქონდა. ეს ხომ ის ძველი კამელიების ხეებია. ახალ ნარგავებს ნამდვილად არ ჰგავს. ეზოს ბოლოში კი მუხის ხე დგას, – სწრაფად უპასუხა მაიამ.

მაყვალა ჩუმად იდგა და გაჰყურებდა აყვავებულ კამელიებს, ულამაზეს თეთრ სახლს და ეზოს ბოლოში, სახლის მარცხენა მხარეს მდგარ დიდ მუხის ხეს...

***

მეორე კურსის სტუდენტებმა ბოლო გამოცდა ჩაბარეს და გახარებულებმა, სულმოუთქმელად ჩამოირბინეს უნივერსიტეტის კიბეები... ივნისის მზიანი დღე იდგა. ხელს აღარაფერი უშლიდათ, სადაც უნდოდათ იქ წავიდოდნენ და რაც უნდოდათ იმას გააკეთებდნენ. კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები ჩაბარეს, ბედნიერი დღეები დაიწყო...

– ერთი-ორი დღე დავისვენოთ და შემდეგ ზღვაზე წავიდეთ... კარგი იქნება, თუ ბათუმში ან ქობულეთში წავალთ, – ხალისით ლაპარაკობდა მაია და თეთრი ფერის ხელჩანთას მთელი ძალით აქნევდა.

– რა დროს ბათუმი და ქობულეთია, არ გახსოვს, რაზე შევთანხმდით?! – მოკლედ მიუგო მაყვალამ.

– რაზე შევთანხმდით?! ზაფხულია, გამოცდები ჩავაბარეთ და აღარ უნდა დავისვენოთ? – არ ჩერდებოდა მაია.

მაყვალა უნივერსიტეტის წინ ავტობუსების გაჩერებასთან შეჩერდა. მეგობარს ხელი ხელში ჩაავლო და საუბარი განაგრძო:

– მომისმინე, მაია, ხომ შევთანხმდით, რომ სოფელში წავალთ, ჩვენს სოფელში, არბოშიკში და პოეზიის საღამოს მოვაწყობთ.

– ჰო, მართალი ხარ, შევთანხმდით, მაგრამ დავისვენოთ და ზღვიდან რომ დავბრუნდებით, კახეთში მერე წავიდეთ. კახეთი და პოეზია სად გაგვექცევა? ჩვენი მელექსე-მოშაირეები ნეტავ, სად წავლენ? – თავისას აგრძელებდა მაია.

– არა, ასე არ გამოვა. მე უკვე ჩემს ძმას, ნიკოს შევუთანხმდი, რომელმაც საქმეები გადადო და ჩვენ უნდა მოგვემსახუროს თავის მანქანით. არა მხოლოდ ჩვენი სოფელი, სხვა ახლო-მახლო სოფლებიც უნდა შემოგვატაროს. პოეზიის მოყვარულები და სახალხო მთქმელები უნდა მოვიძიოთ და კარგი საღამო მოვაწყოთ! – საქმიანად უხსნიდა მაყვალა.

– პოეზიის საღამო1... უნივერსიტეტში არ კმარა?! ცოტა დავისვენოთ და მერე ვირბინოთ სოფელ-სოფელ, რა გვეჩქარება?! – თავისას არ იშლიდა მაია.

– მე გადაწყვეტილება მივიღე!... შენ როგორც გენებოს!... შეგიძლია წახვიდე ზღვაზე და დაისვენო!... მარტო ვივლი ნიკოსთან ერთად და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თავი არ შევირცხვინო, განსაკუთრებით შენთან. ზღვიდან რომ დაბრუნდები, მოსაწვევს გამოგიგზავნი და პირდაპირ მობრძანდი პოეზიის საღამოზე! – მკვახედ, გაბრაზებული ხმით მიახალა მაყვალამ.

– სად უნდა დავესწრო პოეზიის საღამოს? არბოშიკის კულტურის სახლში? – ღიმილით ჩაეკითხა მაია.

– არა, პარიზში! – მოკლედ უპასუხა მეგობარმა.

– ჰო, კარგი, კარგი!... ისე იყოს, როგორც შენ გინდა!... უშენოდ ზღვაზე რა მინდა?! მაგრამ პირობა მომეცი, როგორც კი მაგ საქმეს მოვრჩებით, მეორე დღესვე წავალთ ზღვაზე, – თავისას არ იშლიდა მაია.

– წავალთ!... აუცილებლად წავალთ!... – მაყვალას ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ავტობუსიც მოვიდა... გოგონები სწრაფად ავიდნენ ავტობუსში, სამგზავრო ბილეთები აიღეს, თავისუფალ სავარძლებში მოკალათდნენ და ერთმანეთს გაღიმებული, ბედნიერი სახით გადახედეს...

***

ერთი კვირის განმავლობაში რამოდენიმე სოფელი შემოირბინეს. არბოშიკშიც მოძებნეს რამოდენიმე ხალხური პოეზიის მოყვარული. ერთ დღესაც, ნაშუადღევს, სადილის შემდეგ, მაყვალას მამა-პაპისეული სახლის ეზოში, ცაცხვის ხის ძირში ჩამომსხდარიყვნენ მეგობრები, მხიარულად ბაასობდნენ და კისკისებდნენ... როგორც იქნა კულტურის სახლის ხელმძღვანელობასთანაც შეათანხმეს პოეზიის საღამოს ჩატარების ორგანიზაცია და დღეც დათქვეს დიდი სახალხო ზეიმისთვის... გოგონები საუბარსა და სიცილ-კისკისში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს ჭიშკართან მდგარი ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც უხმოდ იდგა და მორიდებული მზერით შორიდან შეჰყურებდა მათ... სახლიდან ეზოში გამოსულმა მაყვალას დედამ, სანდომიანი სახის ქალბატონმა იზომ, მყისვე შენიშნა ჭიშკართან მდგარი მანდილოსანი და ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისკენ. ახლოს რომ მივიდა, მეზობელს გულთბილად მიეგება:

– მობრძანდით, ქალბატონო მართა, მობრძანდით. რა უხმოდ დგახართ, შემოდით ეზოში.

გოგონები სწრაფად წამოდგნენ და მოხუცს სკამი შესთავაზეს. მოხუცი ჩამოჯდა. შემდეგ ახალგაზრდებს შეხედა და მორიდებით მიმართა:

– ბოდიშს მოგიხდით, შვილებო, მე მგონი უდროო დროს შეგაწუხეთ.

– არა, რას ბრძანებთ, არანაირად არ ვწუხდებით, – მიაგება მაყვალამ.

– იზო, შენი გოგო რომელია, მაპატიე, მოვხუცდი და ვეღარა ვცნობ, – კვლავ მორიდებით იკითხა მოხუცმა.

– მე ვარ, ქალბატონო მართა, – კვლავ მიაგება მაყვალამ.

– გამახსენე, შვილო, რა გქვია, ამ ბოლო დროს სულ მავიწყდება ყველაფერი.

– მაყვალა, მაყვალა მქვია!

– ჰო, გამახსენდა. მართლაც რომ შეგეფერება ეგ სახელი. შენს ლამაზ პირ-სახეს, სწორედ რომ მაყვალივით თვალები გიმშვენებს, – მიუალერსა მოხუცმა.

მაყვალამ ღიმილით შეხედა მართას და ფრთხილად ხელზე მოეფერა. მოხუცმა კვლავ განაგრძო საუბარი:

– შვილო, მაყვალა! მთელი სოფელი ლაპარაკობს, რომ შაბათ საღამოს სოფლის კულტურის სახლში დიდ ზეიმს აწყობ. აქაურმა მაცხოვრებლებმა თავიანთი ლექსები უნდა წაიკითხონ. ზოგმა იმღეროს და ზოგმაც კიდევ იცეკვოს.

მაყვალას სახე გაუბრწყინდა. შემდეგ მაიას გადახედა და ისევ მოხუცს მიუბრუნდა:

– მართალია, მართა ბებო, ვისაც რა შეუძლია, ის უნდა გააკეთოს. ზოგი თავის დაწერილ ლექსს წაიკითხავს, ზოგიც იმღერებს...

– ჰოდა, შვილო, მეც მაგ საქმეზე გეახელით. მართალია, ხშირად აღარ ვმღერი, მაგრამ ახალგაზრდობაში გიტარასაც ვუკრავდი და სოფლის პირობაზე კარგადაც ვმღეროდი, – გააგრძელა მოხუცმა ლაპარაკი და თან მაყვალას მიშტერებოდა მაყვალივით შავ თვალებში.

– რა ხდება, მართა, დავიჯერო სცენაზე მოგინდა ახლა შენ შენი გიტარით სიმღერა? – ჩაეკითხა ქალბატონი იზო.

– ბებო, მართლა სცენაზე გინდათ იმღეროთ? – ვეღარ შეიკავა თავი მაიამ და მოხუცის პასუხს არც დაელოდა, სიცილი წასკდა.

დაბნეული მოხუცი ხან იზოს უყურებდა, ხანაც გაცინებულ მაიას. შემდეგ გაუხეშებულ, მომჭკნარ ხელებზე დაიხედა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. მაყვალამ არც აცია და არც აცხელა, ისე დაუყვავა და უთხრა:

– სიამოვნებით, ქალბატონო მართა, თუკი თქვენ სურვილი გაქვთ იმღეროთ, იმღერეთ!... ჩვენ ძალიან გაგვიხარდება!

მართამ ბედნიერი სახით მაყვალას შეხედა და გახარებულმა უთხრა:

– მაშ, მამღერებთ, შვილო?! უარს არ იქნებით?!

– არა, მართა ბებო, რა უარს... პირიქით, სიხარულით გელოდებით! მონაწილეთა სიაშიც შეგიყვანთ. აბა, თქვენ იცით! – კვლავ გაუმეორა მაყვალამ.

გახარებული მართა სკამიდან თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა. იქ მყოფთ გახარებული გამოემშვიდობა, ჭიშკრისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა და იქაურობა სწრაფად დატოვა.

იზო გაღიმებული გაჰყურებდა მოხუცს, შემდეგ გოგოებს მიუბრუნდა და უთხრა:

– მადლი ჰქენით, საწყალ ქალს გული გაუხალისეთ. ისეთი ლამაზი გოგო იყო. მე ბევრად უმცროსი ვარ, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს. ისეთ კარგ ბიჭებს უნდოდათ მისი შერთვა, მაგრამ არ გათხოვდა. ორი ობოლი ძმისშვილი გაზარდა. არაფერს აკლებდა. თავისი თავი არასოდეს ახსოვდა. იმათი ცხოვრებით ცხოვრობდა. ისინიც ნიჭიერები გამოდგნენ. ორთავე თბილისში ცხოვრობს და მშვენიერი და კარგი ცხოვრება მოიწყვეს... ეს საცოდავი სულ მათ გზას გაჰყურებს, იქნებადა გამოჩნდნენო. წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვლენ, ისიც სააღდგომოდ მშობლების საფლავზე გასასვლელად, თორემ ამ საცოდავი მართასთვის ვისა სცალია?! ან ამაზე ვინ ფიქრობს?! არის ასე მარტო, მეზობლების ამარა.

იზომ ხელი ჩაიქნია და თავის ქნევით შინ შევიდა. გოგოები უხმოდ გარინდული ისხდნენ და თავისდაუნებურად დახურულ ჭიშკარს მიშტერებოდნენ.

***

ზაფხული იყო, მაგრამ საკმაოდ ღრუბლიანი და მოღუშული გახლდათ კახეთის ულამაზესი სოფლის, არბოშიკის ცა. მიუხედავად ამისა, ჟრიამულით, ხმაურით, შეძახილებით, ხალისითა და სიხარულით გაივსო სოფლის კულტურის სახლის ძველი დარბაზი. სოფელი ზეიმობდა. პოეზიის

საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჭარმაგი თუ ახალგაზრდა... ქალი თუ მამაკაცი... ლექსის მთქმელებს – მომღერლები... მომღერლებს – მოცეკვავეები. ერთი სიტყვით მხიარული და საამო შაბათი გაუთენდა შუაგული კახეთის კოპწია სოფელს... საღამო სოფლის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს, გულნარას მიჰყავდა. ორმოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ქალბატონი, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი იყო. ყელიც ლამაზად და ამაყად მოეღერა და ისე აცნობდა ყოველ გამომსვლელს იქ დამსწრე საზოგადოებას... მართა, რომელიც სულმოუთქმელად ელოდებოდა ამ დღეს, საგანგებოდ გამოწყობილიყო. თავისი ყმაწვილქალობის დროინდელი მუქი წითელი ფერის ატლასის კაბა ჩაეცვა, რომელიც სამი ზომით დიდი მაინც ექნებოდა, თუ მეტით არა. ფეხებზეც მისი ახალგაზრდობის დროინდელი, სათუთად და საგანგებოდ შენახული შავი ლაკის „ბასანოჩკები“ წამოეცვა, რომლითაც ძლივს მიბაკუნდა დარბაზამდე და, რაც მთავარია, ჭაღარა თმა საგანგებოდ დაეწნა და ნაწნავის ბოლოზე ლამაზი წითელი ფერის ბაფთა დაემაგრებინა... იჯდა თავისთვის მართა დარბაზის ბოლოში თავის ძველ გიტარასთან ერთად და სულმოუთქმელად ელოდებოდა, როდის მოუხმობდნენ სცენაზე...

საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც დარბაზის წინა რიგში მსხდომი მაყვალა და მაია კულტურის სახლის დირექტორის, ნოშრევანის თხოვნით ცოტა ხნით გარეთ გავიდნენ... ნოშრევანმა გოგონებს ყელგამოწვევით სთხოვა:

– საღამოს დამთავრების შემდეგ, ძალიან გთხოვთ, არსად წახვიდეთ! რაიონის ცენტრში, რესტორანში ცოტაოდენი პატივი გვინდა გცეთ...

გოგონები შეიშმუშნენ. მაიამ სწრაფად უპასუხა:

– ჩვენ სტუდენტები ვართ. უბრალოდ ქართულ პოეზიას და ფოლკლორს დიდ პატივს ვცემთ, ძალიან გვიყვარს.

– ჩვენი მომავლისათვის აუცილებელია და თანაც ჩვენ თვითონაც ლექსებს ვწერთ. დამწყები პოეტები ვართ, – მიეშველა მაყვალა.

– გასაგებია, ჩემო კარგებო, მაგრამ ჩვენც მოგვეცით ნება, რომ ეგ თქვენი თავგამოდება და მონდომება დავაფასოთ, – არ ეშვებოდა ნოშრევანი.

ნოშრევანს რამოდენიმე სოფლის პედაგოგი ქალბატონიც შემოუერთდა და ბოლოს ყველამ ერთად შეძლეს გოგონების დაყოლიება...

გოგონები დარბაზში როდესაც დაბრუნდნენ, საღამო დაემთავრებინათ. მაყურებლები წამოშლილიყვნენ და დარბაზს სტოვებდნენ. როდესაც დარბაზი დაცარიელდა და მაიაც საღამოს წამყვანთან ერთად საუბარში გართული გარეთ გავიდა და ის იყო მარტოდ დარჩენილი მაყვალაც ტოვებდა იქაურობას, უცებ სცენიდან გიტარისა და ხმადაბალი სიმღერის ხმა შემოესმა. გოგონა სცენისკენ მიტრიალდა და გაშრა, გაფითრდა, ცივმა ოფლმა დაასხა. სცენაზე წითელკაბიან და ბაფთიან მოხუც ქალბატონ მართას ხის მოკლე სკამი დაედგა, ზედ საცოდავად ჩამომჯდარიყო და ძველი გიტარით ხელში თავისთვის მღეროდა:

კამელია, კამელია,
სიყვარული გამელია,
ამდენ ტანჯვას და წამებას,
საწამლავი დამელია.

გაოგნებული გოგო უყურებდა მართას და ყელში ბურთი მოებჯინა. თავი მაინც ვერ შეიკავა. მაყვლისფერი თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა და სცენაზე ავიდა. მოხუცს მიუახლოვდა, იქვე ჩაიცუცქა და სახეში შეხედა... მართამ სიმღერა შეწყვიტა, გოგოს შეხედა და ნაღვლიანი ხმით თავისთვის ჩაილაპარაკა: „მართა, მართა, ეს რა დაგემართა“. შემდეგ მაყვალას ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– ვიცადე, ვიცადე, მაგრამ არ გამომაცხადეს.

მაყვალა ქალს მოეხვია და თვითონაც ჩურჩულით უპასუხა:

– ნამდვილად იყავით სიაში, ჩემი ხომ გჯერათ!

მართამ ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა:

შენი მჯერა, მაგრამ გულნარამ არ გამომაცხადა.

ნირწამხდარმა გოგომ კვლავ სცადა მოხუცის დამშვიდება:

– შემთხვევით გამორჩით, ალბათ, თორემ როგორ არ გამოგაცხადებდათ?!

გოგომ მოხუცს ხელი მოხვია და გარეთ გამოიყვანა. სოფლის მოსახლეობა ჯერ ისევ იქვე, ეზოში იყო, როდესაც მაყვალამ ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიწყო ლაპარაკი:

– თუ შეიძლება, ყურადღება მოგვაქციეთ, მართას მოვუსმინოთ ყველამ. ის ჩვენთვის მღერის, გულით მღერის და გულით ვუსმინოთ.

ყველანი მოტრიალდნენ და დიდი წრე შემოარტყეს წითელკაბიან მართას. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო იქ მყოფთათვის. ამასობაში წვიმის წვეთებმა დაიწყო წკაპა-წკუპი. მართამ მაყვალას შეხედა და ჩუმად ჰკითხა:

– რა ვიმღერო, ისევ კამელია?

მაყვალამ ღიმილით უპასუხა:

– არა, კამელია არა, სხვა რამე იმღერეთ.

მართამ თავი მაღლა ასწია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– კარგი, მაშინ „მაგნოლიას“ ვიმღერებ. კამელიას მაგნოლია მირჩევნია.

მაყვალამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მართამაც გიტარას ხელი ჩამოუსვა და ხმის კანკალით დაიწყო:

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე
ქარებს აყოლია
და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მიწას დაჰკონვია,
ისე გული ჩემი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა,
არ ვახსოვარ, ალბათ, არ ვახსოვარ, ალბათ,
ჩემო მაგნოლია...

წვიმამ იმატა. მართას ხმას წვიმის წვეთების ხმაც შეუერთდა და წვიმის ხმასთან შეზავებული და შეხმატკბილებული მისი სიმღერა: „როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია“, ისე ისმოდა, როგორც მძინარე, ჩვილი ბავშვის სუნთქვა ისმის ჩაძინებისას...

***

– ეგ ლამაზი თეთრი სახლი მართას ძმის შვილიშვილმა ააშენა. თვითონ ამერიკაში ცხოვრობს ოჯახით. წელიწადში ერთხელაც არ ჩამოდიან... მართა, სანამ ცოცხალი იყო, საცოდავად ქვითკირის სახლში აცხოვრეს. როგორც კი გარდაიცვალა, არიქა და სასწრაფოდ სასახლე წამოჭიმეს, ვითომდა მამითადი არ დავკარგოთო. ნეტავ კი რად უნდათ? სახლის მომვლელი ჰყავთ აყვანილი, კარგადაც უხდიან, – ეუბნებოდა ხანში შესული დედა, ქალბატონი იზო მაყვალას...

ორი მეგობარი ქალბატონი, მაყვალა და მაია კი სადილად გაშლილ სუფრას მისხდომოდნენ... მაყვალა გონებაში მისდაუნებურად იმეორებდა: „კამელია, კამელია, სიყვარული გამელია...“ ისადილა თუ არა, ადგა და გარეთ, ეზოში გავიდა. ხარბად გადახედა იქაურობას. ხვალ ისევ თბილისში უნდა დაბრუნდეს... ისევ ოჯახი, ისევ სამსახური, ისევ ყველაფერი თავიდან... იდგა და გაჰყურებდა კახეთის შუა გულში, მის მამითადში, ლამაზ ეზოში, ლამაზად გაშლილ ვარდისფერ ვარდებს. ირგვლივაც რა კარგი სურნელი ტრიალებდა... ბალახზე თეთრი ზეწარივით მოფენილ გვირილებს კი ფუტკრების მთელი გუნდი შესეოდა და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ მათი ბზუილიღა ისმოდა...

მარინა ღონღაძე

რომელთაც დრომ ვერ გაუგო

ცდუნებას ვერ ვუძლებ, ყაყაჩოების ზღვაში შევრბივარ, აღარ ვიცი, რომელ ერთს ჩავეხუტო ამ სილამაზით აღტაცებული. სიხარულისგან შეიძლება გული გამისკდეს, მათ კი ლაღად გაუშლიათ წითელი ფურცლები და მცხუნვარე მზეს შესციცინებენ შავწამწამებდაუხამხამებლად.

ყაყაჩოს ვბაძავ. მეც მინდა მზესთან თვალის გასწორება, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეს მხოლოდ მას შეუძლია. ნაზია, გულღია, გულწრფელი... ადამიანისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი გრძნობა გააჩნია – სიყვარული. მოვა ამ ქვეყნად, დაანთებს ველზე სიყვარულის ცეცხლს, აალდება, გულს გაათბობს, თვალს დაატკბობს, მერე წავა თავისი გზით და დროებით დაშორებული შეყვარებულივით უნდა ელოდო უკან დაბრუნებამდე.

იქვე, ახლოს, მდელოს სოსანების იისფერი დასდებია. გვერდით პატარა ბორცვზე თეთრი გვირილები შეფენილან ყვითელი გულებით მზეზე მიფიცხებულნი. ერთმანეთის გვერდიგვერდ აყვავებულნი ხომ ნამდვილ სამოთხეს ქმნიან.

აი, აქ არის სრული ჰარმონია ცის, მიწის, სულიერი თუ უსულო სამყაროსი ერთ კომპოზიციად შერწყმული. აქ ჟღერს ერთად ყველა ლამაზი მელოდია, რაც ხელოვანთა ყველაზე მგძნობიარე გულს და ნათელ გონებას შეუქმნია. აქ ჟღერს ის მელოდიაც, რომელიც ჯერ არ შექმნილა, მაგრამ ყოველი მხრიდან მონაბერ სიოდ მოაქვს ურთიერთშექროლებისას უცხო ხმაზე აჟღერებული..

აქ, ღვთისმშობლის მიერ კურთხეულ საქართველოს შ უ ა გულში.

ასე ახლოს არასდროს შევხებივარ ქართლის მიწას. არასდროს მიგემია მისი ხელისგულივით გაშლილი ველ-მინდვრების მშვენიერებით გამოწვეული სიამოვნება. მწვანედ მობიბინე პურისა თუ ქერის ყანების სილამაზე, ათასფრად მორთულ-მოკაზმული, ქართლის მახასიათებელი გრილი სიოთი ათრთოლებული.

რა ლამაზია ეს დალოცვილი!

ვეფერები სისხლისფერ ყაყაჩოებს ჩაჩოქილი, გარინდებული, თვალებდახუჭული... ფრინველთა გალობა-გადაძახილზე ყურწაგდებული.. და წარმოსახვაში სოფელ ხცისში ციციშვილების აივნიდან გადმომდგარ ბანოვანთ ვხედავ, საგანგებოდ შეკერილ, ლამაზ, ფერად ეროვნულ სამოსელში გამოწყობილებს. გულში დიდი დარდისა და სევდის მატარებელნი, გარეგნულად მხიარულნი და ამაყნი ეტლში სხდებიან და ყინწვისის ტაძრისკენ იღებენ გეზს.

აი, მიახლოვდებიან. ეტლი ჩერდება. ჩემსავით აღფრთოვანებულები შეერთვიან ყაყაჩოთა ალმოდებულ ზღვას. სრულიად ავიწყდებათ ძვირფასი ფერადი სამოსი, რომელიც ყვავილებმა დაუსვარეს სისხლისფრად. მალე დიდი თაიგულებით ხელდამშვენებულები ისევ ეტლში სხდებიან, ჯერ წრომის ტაძარს მოილოცავენ, შემდეგ ყინწვისს, იქნებ სარკის წმინდა გიორგისაც ესტუმრონ... ვინ იცის, რამდენი თხოვნა აქვთ უფალთან მოკვდავთა ყოფითი ცოდვებით დამძიმებულთ... მერე რა, რომ თავადის ქალები არიან, ამ უზარმაზარი ველ-მინდვრების ბატონ-პატრონები... ისინიც ჩემსავით, უბრალო ადამიანივით განიცდიან, გრძნობენ, ეფერებიან ველის ყვავილებს, უყვართ, ტკბებიან, შორდებიან, სწუხან, სევდიანობენ..

განსხვავება ისაა, რომ ზოგჯერ უფრო მეტად იტანჯებიან იმ უფლებრივი ბარიერის გამო, რომელიც წარჩინებულთა წოდებამ მიანიჭა, მე კი უბრალო, ყაყაჩოების და ყვავილების მოყვარული, მათ უდიდებულესობებზე მეტად უპირატესი, თავისუფლად დავქრივარ ქართლის მორთულ-მოქარგულ ველებზე. მათზე თავისუფალს და ბედნიერს მატკბობს ყაყაჩოების, გვირილების, სოსანების ფერადოვნება.

მიყვარს ვინც მინდა, ვამბობ რასაც მინდა, ვწერ, ვხატავ, ვაზროვნებ როგორც მომესურვება..

მას კი, ეტლით მოსეირნე ერთ-ერთ, პატარა, ქალბატონ ანას რისი უფლება აქვს?... გლეხის უბრალო ბიჭს დაუპყრია მისი გული, სიგიჟემდე შეყვარებულს არარად უღირს წოდება და ბანოვანება, მისგან პატარა მზესაც ელოდება, მაგრამ ბედნიერება შორსაა, ისე შორს, რომ ვერც კი გაუმხელია... ნეტავ, იცოდეს ან ყაყაჩოებმა უჩურჩულონ მაინც, რომ სულ მალე მოვა ჟამი თანასწორობისა კაცთა და ქალთა, მეფეთა და მსახურთა... და მის სიყვარულს წინ ვეღარავინ დაუდგება.

ცაზე გაელვებამ გამომაფხიზლა.

თვალს ვახელ.

არც ეტლია არსად, აღარც ის ლამაზი ბანოვანნი.

ყაყაჩოებზე ჩაკონილ-ჩახუტებულს ხელები სისხლისფრად შემღებვია. ცას ღრუბელი ჩამოწოლილა, ჯვრის გამოსახულება მიუღია. პირჯვარს ვიწერ და უფალს მადლობას ვწირავ თავადთა ყოფილ სამფლობელოში მათ ყოფაზე უპირატესი ყოფიერებისათვის.

ამ ლამაზ ველზე თავისუფლად მოსეირნეს მატკბობს ყვავილთა ფერადოვნება. ჩემს ახლოს ჩემი სიყვარულია და ჩემი სიყვარულის ნაყოფიც ყაყაჩოების, გვირილების, სოსანების თაიგულის შეკონვით გართული.

მიუხედავად დღევანდელობის რთული დროის გამოწვევებისა, თავისი მძიმე ტვირთით და მძიმე ცხოვრებით ვერაფრით შემეტოლებიან ის ბანოვანნი, ცოტა ხნის წინ ეტლით რომ ჩამიქროლეს ყინწვისში მოსალოცად მიმავლებმა.

ყაყაჩოების დიდ თაიგულს ვკრავ. ხელებზე დამჩნეული სისხლისფერი ლაქები ისევ სასახლის მფლობელთა, თომას და თაფლოს ტრაგიკული ბედის ისტორიას მახსენებს... ერთ დროს ულამაზესი სასახლის ვარდისფერ კედელზე შადრევანივით შენთხეული სისხლის წითელ ლაქებს... იქნებ მათ ყოფილ სამფლობელოში დაკრეფილ ყაყაჩოებსაც იმიტომ დასდევთ განსაკუთრებული სისხლისფერი...

წრომის ტაძარს მივეახლე. ვდგავარ ხელში ყვავილებით და ჩემდა უნებურად უფალს ვავედრებ ოდესღაც ციციშვილების ამ ულამაზესი სამფლობელოდან წასულ ულამაზეს ბანოვანთა სულებს, რომელთაც დრომ ვერ გაუგო...

2021 წელი. ივნისი

ხათუნა დოლიძე

ობლები და შინაბერა

– სად გაქრა შენი სიტურფე, როგორ გაგძარცვეს მტარვალმა წლებმა საბრალო იოლანდა. როგორ წარიტაცეს ლალისფერ ბაგეთა სინორჩე, გიშრისფერ თვალთა სხივოსნება, ტანკენარობა და სინარნარე!

ვაგლახ, რომ მაგ პირისახეს, ოდესღაც, სავსე მთვარის მსგავსს, ახლა, წყალდიდობაგადავლილ, კალაპოტ ნაცვალ მდინარესავით საზღვრები შემორღვევია, ვარდის ფურცლისებრ ნაზი და ფეროვანი, სანთელივით ჩამოღვენთილა და ყველა ავდრიანი დღის ტკივილი, ნაფეხურებად აღუბეჭდავს, ოქროსფრად მოელვარე თმებს, ვერცხლისფერი ურჩხული დაპატრონებია! – თავისთვის ჩურჩულებდა შინაბერა იოლანდა და საკუთარ თავს შეშფოთებული მისჩერებოდა.

თვალებში ცრემლჩამდგარი, სარკის წინ, კარგა ხანს უძრავად იდგა.ვერ დაეჯერებინა, რომ ამ ქალს, რომელიც სარკიდან უმზერდა, რაიმე საერთო ჰქონდა იმ იასავით ნაზ და მომხიბვლელ არსებასთან, რომელსაც ერთ დროს ყველა შესტრფოდა და შეჰნატროდა!

...იოლანდას სოფლის შარაგზაზე გამოჩენისას,შეკრებილ მამაკაცებს მართლაც, არაერთხელ აღმოხდენიათ ოხვრა და გაფართოებულ თვალთაგან, ნდომის ცეცხლი გადმოუფრქვევიათ!

სიმორცხვისგან ალმოდებულ ყმაწვილი ქალისთვის,ნემსებივით მჩხვლეტელ, დაჟინებულ მზერას, ზურგი არაერთხელ აუწვავს!

უღიმღამო, ერთფეროვან დღეთა ქროლვაში, ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა! ახლა, იოლანდა სარეცელს, მტანჯველ მარტოობას უზიარებდა.უძილო ღამეებს, სახლის კუთხეებში ჩაბუდებულ შიშის აჩრდილთან ერთად ათენებდა... სანამ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, არაფერზე ეფიქრებოდა – ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებდა, გულის კარებს, რკინის ურდულით რაზავდა და თავის ტოლ-სწორად არავის მიიჩნევდა.

საკუთარი სიწარმტაცით თავბრუდახვეულს, არც კი უფიქრია, რომ ერთხელაც,სიბერის აჩრდილი მასაც ეწვეოდა. თუმცაღა,ულმობელ დროს, სინორჩე და მომხიბვლელობა ვისთვის შეურჩენია?!

...დედისერთა, ნებიერად გაზრდილი იოლანდა, წლების წინ დაშვებულ შეცდომას, გვიან მიხვდა. მხოლოდ მაშინ – როცა სიტურფე სრულიად შემოეძარცვა, მისი ნდომის სურვილი

აღარავის შემორჩა. როცა, მარტოობიის ტვირთი, სატანჯველ გოლგოთად ექცა!-რად შფოთავ, იოლანდა?! აგერ, მართასქმარიცა ჰყავს და შვილებიც, მაგრამ ქალური ბედნიერება როდი ღირსებია?!

– უსიყვარულოდ გათხოვილმა, ახალგაზრდობა ლოთსა და ავყია გაბოს შეალია... თუნდაც,ბაბალე გაიხსენე: განა მის გაჭირვებულ ყოფას, შინაბერობა არა სჯობდა?

მაშ, თუ ეგრეა, მართასთან სტუმრად მისულს მუდამ მოქუფრული სახე რად გინათდება, გული რად გაზაფხულობს მისი სამი ბალღი ტკბილი ტიტინით რომ შემოგეხვევა?!

მათი შემყურე, შენც მაშინვე ბავშვად გადაიქცევი.ყველა წუხილი გავიწყდება, მათთან ერთად ცელქობ... აღარც

მტკივან წელსა და სახსრებს იხსენებ და ციბრუტივით ტრიალებ!

რა იქნებოდა, შენც გყოლოდა სიბერის ნუგეში – ცხოვრების აზრისა და სიხარულის მიმცემი?! – საყვედურობდა საკუთარ თავს ძილგატეხილი იოლანდა.

გარეთ ზამთრის გრძელ ღამეს ყორნისფრთისფერი ნაბადი გაეფინა და ფანჯრებთან ჩამომჯდარი, შინაბერას გულის დარდს, ბალღამს წვეთ-წვეთად უმატებდა.ეზოში ძაღლები შემზარავად მოსთქვამდნენ თითქოსდა, შემაძრწუნებელი ყმუილით, სიკვდილის აჩრდილს აფრთხობდნენ.

– ღმერთო, მშვიდობა მოგვმადლე,მრავალგზის ნაცადია– მათი ყმუილი უბრალოდ არ გადაივლის.საბრალო პისტი უკანასკნელ დღეებს ითვლის.უფალო უსაშველე და შეიბრალე!

– შიშმა შეიპყრო იოლანდა. ფიქრებში გართულს, როგორც იქნა ჩაეძინა. გამთენიისას, საოცარი სიზმარი ნახა. გულზე ჩვილი ჰყავდა მიკრული და ძუძუს აწოვებდა.დედასავით ლამაზი იყო ახალშობილი – ოქროსკულულა, გიშრისთვალა.რა ბედნიერი იყო იოლან-და, უსაზღვროდ ბედნიერი.

სიზმარში ცხადად გრძნობდა იმ ენით აუწერელ სინაზეს და ნეტარებას,რაც დედობას ახლავს! ტკბილ ზმანებებთან მოფარფატე, უეცრად, განმგმირავმა კივილმა გააღვიძა. გულგახეთქილი სასწრაფოდ გამოფხიზლდა და ანგარიშმიუცემლად გარეთ გავარდა.

– ღმერთო ჩემო, უთუოდ საბრალო პისტი გაფრინდა უფალთან! – ავიშვიშდა შინა-ბერა.

– იოლანდა, იოლანდა ჩქარა გადმოდი ქალო,ეს რა დაგვემართა,ცის ჩამოქცევას უფრო ვიფიქრებდი, ვიდრე, ლილეს სიკვდილს! – თავში ხელებს იშენდა მართა.

...ქვრივი ლილეს სახლში,მალე მთელი სოფელი შეიკრიბა. ობლად დარჩენილი ტყუპები, დედის საწოლთან ჩამომჯდარიყვნენ და გულსაკლავად ღრიალებდნენ.

– დაილოცოს უფალო შენი განგება, პისტი იყო მომაკვდავი, შენ კი სრულიად ჯანმრთელი ლილე წაიყვანე, რა ეშველებათ უდედმამოდ დარჩენილებს, ვინ დააპურებს და შეიფარებს საბრალო

ობლებს?! – იცრემლებოდა ბაბალე.

– ტყუპებს მე მივხედავ,მე ვიზრუნებ მათზე! შეკრებილი მეზობლები, წამიერად გაი-რინდნენ. ყველა გაოცებული შეაჩერდა იოლანდას, რომელსაც ტყუპები გულში ჩაეკრა და ცრემლიან პირი-სახეს უკოცნიდა.

ელგუჯა მგელაძე

პედაგოგების დაუთოებული ხელფასი

ჩოხატაურის რაიონის სოფელი ზომლეთი ბარის სოფელია, თუმცა მთაგორიანიცაა. მისი ყველაზე დაბალი ნიშნული მდინარე სუფსის კალაპოტზე გადის, ხოლო ყველაზე მაღალი, რომელსაც აქაურები კონცხოულას ეძახიან, მასზე დაახლოებით 600 მეტრით მაღალია. იგი მთლიანად ტყით არის დაფარული და უშუალოდ გადაჰყურებს კოლხეთის ვრცელ დაბლობს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, სწორედ ამ მაღალი სერის გავლით დადიოდნენ სოფლელები საქართველოს დიდ ქალაქებში: ბათუმსა თუ თბილისში. ისინი ფეხით ჩადიოდნენ ნიგოეთის რკინიგზის სადგურში, იქიდან კი მატარებლით მგზავრობდნენ. ზომლეთიდან ნიგოეთის რკინიგზის სადგურამდე დაახლოებით 10 კილომეტრია.

ჩოხატაურსა და მაშინდელ მახარაძეს (ამჟამად ოზურგეთი) შორის არსებული საურმე გზის საავტომობილოდ გადაკეთებამ, ასევე ოზურგეთში რკინიგზის შემოსვლამ, ამ ქალაქს დიდი სავაჭრო და ეკონომიური მნიშვნელობა მიანიჭა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ზომლეთელებისთვის, ისევე როგორც სხვა უამრავი სოფლის მოსახლეობისთვის, მოსახერხებელი გახდა ოზურგეთის ბაზრობით ინტენსიურად სარგებლობა, რაც ტრადიციულად ყოველი კვირის პარასკევს და განსაკუთრებით გამორჩეულად კი კვირა დღეს იმართებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად მდინარე სუფსის ნაპირზე მდებარე სოფელ ნაგომარშიც, კვირა დღეს იმართებოდა აგრარული ბაზრობა, ე.წ. ,,ნაგომრობა“, სადაც ყველაფერი იყიდებოდა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ცოცხალი საქონელი, რძის ნაწარმი, ფრინველი, ადგილობრივი საამშენებლო მასალები: აგური, ხე-ტყის ნაწარმი, სახურავის კრამიტი, რომელსაც მიმდებარედ არსებული სოფლის, ქვემო აკეთის ქარხანაში ამზადებდნენ და მას რატომღაც ,,ქერაბინს“ უწოდებდნენ. იქვე იყო წარმოდგენილი სოფელ ზომლეთიდან ჩამოტანილი ყველა სახის ქვის კეცი, რომლებიც ჭადის, პურის, ხაჭაპურების, ნაირ-ნაირი ღვეზლების გამოსაცხობად, ასევე წიწილების და ხორცის შესაწვავადაც გამოიყენებოდა.

იმჟამად, მდინარე სუფსაზე სოფელ ზომლეთთან, ვანთან, სამებასთან, ქვემო აკეთთან და კიდევ სხვაგანაც გაბმული იყო საცალფეხო ხიდი, რომელიც სუფსის ერთ ნაპირს მეორესთან აკავშირებდა. ამ გზით ახერხებდა სოფელ ზომლეთის მოსახლეობა ნაგომრისა და ოზურგეთის ბაზრობებზე მოხვედრას, სადაც გასაყიდი პროდუქტები ძირითადად ფეხით, ცხენით, ურმით ან იშვიათად მანქანებით მიჰქონდათ.

სწორედ იმ პერიოდში ვან-ზომლეთის საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა სოფელ ზომლეთის მკვიდრი ამროსი გოგუაძე, რომელიც მანამდე პარტიის ჩოხატაურის რაიკომში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში მუშაობდა. აქ, იგი უფრო ღრმად ჩასწვდა სოფლის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობებს და ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ პრობლემების გადაჭრაში. მისი უდიდესი დამსახურებაა სოფლის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის დაპროექტება და მშენებლობა, ასევე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე და იქ დაღუპულ მეომართა სპეციალური მემორიალის მოწყობა და სოფელში მოხრეშილი გზების გაყვანა.

მას, ჯერ კიდევ პარტიის რაიკომში მუშაობის დროს ჰქონდა დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები, რომ სოფელ ზომლეთში მდინარე სუფსაზე არსებული საცალფეხო ხიდის ნაცვლად, კაპიტალური ხიდი აშენებულიყო. ეს საშვილიშვილო საქმე კიდევ უფრო დააჩქარა იმ გარემოებამ, რომ ერთ გაზაფხულს მთებში თოვლის სწრაფმა დნობამ და კოკისპირულმა წვიმებმა მდინარე სუფსის არნახული ადიდება გამოიწვია. წყალმა მოიტაცა გაბმული ხიდი და მთლიანად დაიტბორა გზაც და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც. მდინარე სუფსის კალაპოტის სიგანე რამდენიმე დღე 300 მეტრს აღწევდა.

შემდგომში მდინარეში წყლის დონემ ცხადია დაიწია, მაგრამ მოსახლეობა უხიდობის გამო იძულებული იყო მდინარე ფეხით გადაელახა, ამასთან ვან-ზომლეთის საშუალო სკოლაში პრობლემა შეიქმნა პედაგოგების ხელფასის გაცემის საქმეშიც, ვინაიდან ჩოხატაურის რაიონულ ცენტრში მისვლა და ბანკიდან მისი გამოტანა გაჭირდა.

ეს საქმე ითავეს სკოლის დირექტორმა და ერთმა პედაგოგმა, რომელიც პარალელურად სკოლაში მოლარის ფუნქციასაც ასრულებდა.

ისინი დილის ათი საათისთვის მიადგნენ მდინარე სუფსას, გაიხადეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტრუსების ამარა, იქ სადაც წყალი შედარებით დაბალი იყო, გადალახეს მდინარე. მეორე ნაპირზე მშვიდობიანად მიღწევის შემდეგ, კვლავ ჩაიცვეს ტანსაცმელი, მოწესრიგდნენ და ოზურგეთი-ჩოხატაურის სამარშრუტო ავტობუსით ჩოხატაურის ბანკში მივიდნენ. იქ რიგი დახვდათ და ხელფასების გამოტანას მთელი სამი საათი დასჭირდა. დღის მეორე ნახევარში, როცა უკან გამობრუნდნენ და სუფსას მიაღწიეს, მთაში კოკისპირუული წვიმის შემდეგ, მდინარე ძალიან ადიდებული დახვდათ. სხვა გზა არ იყო, მდინარე ფეხით უნდა გადაელახათ.

ორივემ გაიხადა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტრუსების ამარა, ხელაწეულები შევიდნენ წყალში. მათ ცალ ხელში ფეხსაცმელები ეჭირათ, მეორეში კი ტანსაცმელი.პედაგოგებისთვის დასარიგებელი მთლიანი სახელფასო თანხა კი დირექტორმა წინასწარ სპეციალურად წაღებულ ნაჭრის ჩანთაში მოათავსა, რომელსაც იგი თევზაობისას იყენებდა და კისერზე ჩამოიკიდა.

ორივე ფრთხილად შევიდა გაავებულ მდინარეში, რომელიც მკერდამდე სწვდებოდათ. შუა მდინარემდე არც კი იყვნენ მიღწეული, როცა დაინახეს, რომ ადიდებულ მდინარეს ორი უზარმაზარი მორი მოჰქონდა და სწრაფად უახლოვდებოდათ. რამდენიმე წამში პირველი მორი როგორც იქნა აიცილეს, მაგრამ მეორე პირდაპირ მათ დაეჯახა და რა თქმა უნდა, ორივე ღრმად ჩაიძირა წყალში, თუმცა გონება არ დაუკარგავთ, რადგან მალევე ამოყვინთეს. აღმოჩნდა, რომ მდინარემ ორივეს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი მოტაცა. ერთმანეთის დახმარებით მხოლოდ დაახლოებით 30 მეტრით ამოვიდნენ ქვემოთ მეორე ნაპირზე.

სკოლის დირექტორმა ნაჭრის ჩანთაში მოთავსებული თანხა მაშინვე ფრთხილად მოსინჯა და დიდად გაიხარა, რომ იგი კვლავ კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული, თუმცა ჩანთა წყლით იყო სავსე.

პედაგოგებმა თავდაპირველად თანხის გადარჩენა მიულოცეს ერთმანეთს, შემდეგ იქვე, თხმელებით მოფარებულ ბუჩქებში შევიდნენ და მომავლის გეგმა დასახეს. გადაწყვიტეს, რომ სიცივის მიუხედავად, დაღამებამდე მოეცადათ და შემდეგ გადგომოდნენ სახლისკენ მიმავალ გზას, რადგან, ორი ასეთი დამსახურებული პიროვნების ქუჩაში შიშველი გამოჩენა გამართლებული არ იქნებოდა, მით უმეტეს გურიაში!

მოსაღამოვების შემდეგ, ორივე, დიდი სიფრთხილით დაადგა შინისკენ მიმავალ გზას. ისინი, თავდაპირველად ღელე-ღელე ფეხშიშველი უსიტყვოდ აგრძელებდნენ გზას, შემდეგ ერთმა სოფელ ვანისკენ, მეორემ კი ზომლეთისკენ ისევ ღელე-ღელე გააგრძელა გზა.

როცა სკოლის დირექტორს შინ მისვლამდე ბევრი აღარაფერი უკლდა, ერთ-ერთ ხევში, მგელაძეების წყაროსთან, ფეხის ხმა შემოესმა. მაშინვე გაჩერდა, ყური მიუგდო, ჩაიმუხლა და სიბნელის მიუხედავად აშკარად გაარჩია, რომ მისი მეზობელი ქეთო გოგუაძე წყლის პატარა ჭურჭლით წყაროდან შინ ბრუნდებოდა. მის გაქცევას ან დამალვას უკვე აზრი აღარ ჰქონდა! ქეთომ ერთი კი შეიკივლა, ჭურჭელი ხელიდან გააგდო, რატომღაც მარჯვენა ხელი ჰაერში, საათის ისრის მიმართულებით დაატრიალა: ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკსო, აცახცახებულმა სამჯერ გაიმეორა, მაგრამ, როცა სკოლის დირექტორი აუღელვებლად, დინჯად გამოელაპარაკა, მაშინ კივილი მორთო და თავის ბიჭებს უხმო საშველად: ერემო! გურამ! სასწრაფოთ აქ მოდითო. ისინიც მაშინვე იქ გაჩნდნენ, თუმცა თავდაპირელად მათაც ძალიან გაუჭირდათ იმის დაჯერება, რომ ასეთი უაღრესად პატივცემული პიროვნება ამ მდგომარეობაში იყო!

მალე ერთ-ერთმა ძმამ, სკოლის დირექტორი, სახლამდე ისევ ხევის გავლით მიაცილა, ხოლო მეორემ, ჭურჭლით მიწაზე დაგდებული წყალი აიღო და ღონემიხდილი დედა შინ წაიყვანა.

ამროსი გოგუაძემ საკუთარი თავის მოწესრიგების და დასვენების შემდეგ მთელი ღამე, სახელფასო თანხის გაშრობა-გაუთოებაში გაატარა და მეორე დღეს პირნათლად წარსდგა პედკოლექტივის წინაშე.

ნარდი და ზიტა

გომბორის აგარაკზე შესანიშნავი მეზობლები მყავდა: ჯუმბერ ჭყონია და მისი მეუღლე დარეჯან (ზიტა) ჭყონია.

მე და ჯუმბერი თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომში ვმუშაობდით, ხოლო ზაფხულობით ოჯახებთან ერთად გომბორის აგარაკებზე ვისვენებდით.

ერთხელაც ჯუმბერი სამსახურში ცოტა დაგვიანებით მოვიდა, რაც მისთვის უჩვეულო იყო, ამიტომ მისი ოჯახი მოვიკითხე, ხომ მშვიდობა გაქვთ-მეთქი. ყველაფერს ველოდი იმის გარდა, რაც შეწუხებულმა ჯუმბერმა დაწვრილებით მიამბო, თუ რა ხდებოდა მის ოჯახში. ნარდის თამაშით ცნობილი ზიტა საკუთარი ნარდითა და კამათლებით მეზობლებში დადიოდა და წინასწარ შედგენილი გრაფიკით, მასავით აზარტულ მეზობლებს ეთამაშებოდა. მათგან კი სურსათ-სანოვაგით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა. ეს იყო: ღვინო, ყავა, შამპანური, ყველი, ხორცი, შაქარი, ფქვილი და სხვა. მოკლედ, მისი წყალობით ოჯახს არაფერი აკლდა.

ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი, მაგრამ მეგობარი რომ არ გამენაწყენებინა, ზიტას შემართება და მოხერხება მაინც შევაქე. არ ვიცოდი ეს სერიოზულად მიმეღო თუ გამცინებოდა, მაგრამ ამ ამბის გაგრძელება, არცთუ სასაცილო აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, ზიტას ისე გაუტკბა ოჯახში შემოტანილი დოვლათი, რომ გრაფიკს არ არღვევდა, არც დარში და არც ავდარში. ზამთრის ერთ ცივ დღეს, მეზობელი სადარბაზოდან გამოსულს ყინულზე ფეხი დაცურებია და წაქცეულა. ნარდისთვის ხელი არ გაუშვია და მოუტეხია კიდეც. დაცემისას მარცხენა ფეხიც ამოვარდნია. მეზობლების წივილ-კივილში სასწრაფოს ექიმს ფეხი მაშინვე ჩაუსვია, მაგრამ დაუდგენია, რომ მარჯვენა ხელი თაბაშირში სამი კვირით ჩასმას საჭიროებდა და არათუ ამ ხელის მოძრაობა, ნარდის თამაში მეორე ხელითაც აუკრძალავს!

ზიტას წაქცევისას, თურმე ერთი კამათელი და ორი თეთრი კოჭი დაკარგვია. აქ კი, ნამდვილად ძლივს შევიკავე სიცილი, მაგრამ ჯუმბერის ნაღვლიან სახეს და თვალებს რომ შევეფეთე, შემეცოდა და თანაგრძნობა გამოვხატე მისი გასაჭირის მიმართ.

მეორე ზაფხულზე, სააგარაკო სეზონზე ქალბატონი ზიტა სრულიად გამოჯანმრთელებული დაგვიბრუნდა. ზამთარში მოტეხილი ხელი თითქმის არ ახსოვდა. ჩვენ როგორ გავბედავდით ამის შეხსენებას, რადგან ასეთი ტრამვის გადატანის შემდეგ, მხოლოდ იმას სწუხდა: ,,ჩემი ავადმყოფობის დროს ოჯახში ყველანაირი სასურსათო პროდუქტი ჯუმბერის საყიდელი და მოსატანი გახდაო“.

პრესის ლოჟა

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომში ჩემი მუშაობის დროს ძირითადად ვაკის კომუნალურ საცხოვრებელ ფონდს ვემსახურებოდი.

ერთხელაც, ჩემს სამუშაო ოთახში, სადაც საწარმო-ტექნიკური განყოფილების სამი ინჟინერი ვმუშაობდით, შემოვიდა ლეგენდარული ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე. მე რატომღაც საბუთებში თავჩარგული ვიყავი და მისი შემოსვლა ვერ შევამჩნიე. სტუმარმა საკმაოდ ხმამაღლა, მომღიმარმა იკითხა: მგელაძე რომელი ბრძანდებითო. მაშინვე მივბრუნდი, რა თქმა უნდა, ვიცანი, საბუთებს თავი მივანებე, სასწრაფოდ ფეხზე წამოვდექი, მომღიმარი სახით მისკენ გავემართე და ხელი ჩამოვართვი. ჩემს კოლეგებსაც, რაჭველებს, კარლო ჩიხრაძეს და დევი აგლაძესაც წარვუდგინე, თუმცა ასე პირისპირ მას მეც პირველად ვხედავდი.

იმ დროს, ბატონ ბორისს, ფეხბურთის თამაშისთვის თავი უკვე კარგახნის დანებებული ჰქონდა და ,,დინამოს“ სტადიონის დირექტორი იყო.

შევატყვე ძალიან ესიამოვნა ჩემს მიერ მისდამი გამოჩენილი ყურადღება, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი და მასავით გამორჩეული ხალხი ყოველთვის ყურადღების ცენტრში ყოფნას არიან მიჩვეულნი.

ბატონი ბორისი მაგიდასთან მივიწვიე, სკამი შევთავაზე და იმის გასაგებად მოვემზადე, რით დავიმსახურე მისი ვიზიტი.

მან, ყოველგვარი შესავლის გარეშე განმიცხადა, რომ საცხოვრებლად გადმოვიდა ი. ჭავჭავაძის გამზირზე, ,,ენგურმშენის“ მიერ ახლადაშენებულ სახლში, რომლის ეზოშიც უკვე მოწყობილი იყო რამდენიმე ავტოსადგომი და სწორედ მათ გაგრძელებაზე ითხოვდა ანალოგიური ავტოსადგომის მოწყობის ნებართვას. თანაც ისიც დაამატა, რომ გუშინ საღამოს ვიყავი თქვენი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან, დამაწერინა განცხადება, რომელსაც დადებითი რეზოლუცია დააწერა და ამჟამად ეს განცხადება თქვენ გაწერიათო.

მე ჯერ არ მქონდა ნანახი წინა დღის ფოსტით შემოსული განცხადებები და ამის გამო არ ვიყავი საქმის კურსში. მაგიდის უჯრა გამოვაღე, ახალი განცხადებები გადავათვალიერე და ბატონი ბორისის განცხადება იქ აღმოჩნდა. თანაც განცხადებას შესანიშნავი რეზოლუცია ჰქონდა: ,,გთხოვთ, გამოიტანოთ აღმასკომის პირველივე სხდომაზე". ეს ყველაფერი ხდებოდა ორშაბათ დღეს, სამშაბათობით კი საუწყებათაშორისო ტექნიკური კომისიის სხდომა იმართებოდა, რომელზედაც აღმასკომის სხდომაზე გასატანი საკითხი აუცილებლად უნდა ყოფილიყო განხილული.

განცხადებას არ ახლდა არც სქემატური ნახაზი, არც მეზობლების თანხმობა და არც ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის ასლი, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში შეიძლებოდა საკითხის განხილვის შემაფერხებელი ყოფილიყო. ამიტომ, იქვე შევპირდი, რომ იმავე დღეს მოვინახულებდი ავტოსადგომის მოსაწყობ ადგილს, გამოვხაზავდი სქემატურ ნახაზს, მეზობლებსაც ხელს მოვაწერინებდი თანხმობის განცხადებაზე და მეორე დღესვე გავიტანდი მას ტექნიკურ კომისიაზე, ხოლო მესამე დღეს, ორშაბათს კი რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე. მანამდე ბატონ ბორისს ვთხოვე ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის ქსეროასლი გაეკეთებინა.

შევატყვე, ბატონ ბორისს ძალიან ესიამოვნა მისდამი გამოჩენილი ჩემი ყურადღება. ის იყო გამომშვიდობებას ვაპირებდი, რომ თავადვე შემომთავაზა: ,,თუ დრო გაქვთ, იქნებ ახლავე ჩემი ავტომანქანით გავსულიყავით ადგილზე, მე მეზობლებს თანხმობაზე მოვაწერინებ ხელს და ქსეროასლს გავაკეთებ, შენ კი ადგილსაც დაათვალიერებ და ნახაზსაც გამოხაზავო". რა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმე და სულ რაღაც 15 წუთში მისი სახლის ეზოში ვიყავით.

იმჟამად ბატონი ბორისი თბილისის ,,დინამოს" სტადიონის დირექტორი გახლდათ და მას პერსონალური ,,ვაზ-31"-ის მარკის ავტომანქანა ემსახურებოდა. გზაში გამომკითხა წარმოშობით სადაური ვიყავი და როცა ვუთხარი ჩოხატაურელი ვარ, ოჯახი და მშობლებიც იქ მყავს-მეთქი, გულით გაიხარა: ,,წარმოშობით მეც ჩოხატაურელი ვარ, სოფელ ერკეთის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ონჭიქეთიდანო". გამახსენდა, რომ იმ სოფელში მამიდა მყავდა გათხოვილი, რა თქმა უნდა, ვუთხარი, მაგრამ ბატონმა ბორისმა დამიკონკრეტა, რომ იგი 1920 წლიდან ქ. ფოთში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად და მამიდაჩემის ოჯახს არ იცნობდა...

ბატონ ბორისს იქვე შევუდგინე მეზობლების თანხმობის წერილიც, რომელსაც დაახლოებით 10-მდე მეზობელმა მოაწერა ხელი.

მე, სულ რაღაც ხუთიოდე წუთში, შავად გამოვხაზე ახლი ავტოსადგომის მოსაწყობი ადგილი, შემდეგ გზაში ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის ქსეროასლიც გავაკეთეთ და ბატონ ბორისს შევპირდი, რომ ამაღამ ნახაზს გავაკეთებ, ხვალ კომისიაზე გავიტან, ზეგ კი აღმასკომის სხდომაზე-მეთქი. ამასთან ავუხსენი, რომ თქვენ მეტად ნუღარ შეწუხდებით, ზეგ აღმასკომის სხდომის შემდეგ მე დაგირეკავთ და საბოლოო პასუხს გაგაგებინებთ-მეთქი.

მან ყველაფრისთვის მადლობა გადამიხადა. შემდეგ ისევ მისივე სამსახურის მანქანის უკანა სავარძელზე მოვკალათდით და რაისაბჭოს აღმასკომისკენ ავიღეთ გეზი.

გზაში გამომკითხა ფეხბურთი თუ გიყვარს და მატჩებს თუ ესწრებიო. მე, რა თქმა უნდა, დადებითი პასუხი გავეცი. თანაც მეორე დღეს მოსალოდნელ თბილისისა და მინსკის დინამოელთა შორის გასამართ მატჩზე რაღაც ვკითხე. ჩემთვის მოულოდნელად მან პიჯაკის გულის ჯიბიდან რაღაც საბუთები ამოიღო, ბარემ ბედნიერი ნომერი შევარჩიოთო, თავისთვის ჩაილაპარაკა. შერჩევის შემდეგ გადმომცა ,,დინამოს" სტადიონის ,,პრესის ლოჟის" მეშვიდე რიგის #7-ე ადგილის წარწერიანი აბონიმენტი. ამასთან დასძინა: ,,სანამ მე დინამოს სტადიონის დირექტორი ვარ, ეს ადგილი მუდამ შენი იქნებაო". გულით გავიხარე, აღარ ვიცოდი სიტყვებით როგორ გამომეხატა ჩემი მადლიერება მის მიმართ...

მეორე და მესამე დღეს რაიმე წინააღმდეგობა მის საქმეზე არ შემხვედრია. აღმასკომის ყველა წევრმა და მით უმეტეს თავმჯდომარემ, ერთხმად მოაწერეს ხელი ავტოსადგომის მოსაწყობად ნებართვის გაცემას. თავმჯდომარემ შემაქო კიდეც ოპერატიულობისთვის.

მეორე დღესვე, საღამოს, ახალი აბონიმენტით დავესწარი მატჩს თბილისისა და მინსკის დინამოელებს შორის, რომელიც ჩვენებმა მოიგეს, მატჩის ბოლო წუთებზე გაიტანეს ერთი ბურთი. ჩემს სექტორში უამრავი ცნობილი ადამიანი იჯდა, განსაკუთრებით სპორტსმენები და ჟურნალისტები...

ოთხშაბათ დღეს აღმასკომის სხდომის დამთავრების შემდეგ, ჩემს სამუშაო ოთახში ბატონი ბორისი შემოვიდა, იგი მომღიმარი სახით ჩემსკენ გამოემართა. მეც მაშინვე ფეხზე წამოვდექი, ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი, თქვენი საკითხი დადებითად გადაწყდა. საღამოს, როგორც შევთანხმდით, მე დაგირეკავდით და ყველაფერს გაცნობებდით-მეთქი. მან გულიანად გამიღიმა, მადლობა გადამიხადა და ჩემს გვერდით ცარიელ სკამზე შეუპატიჟებლად დაჯდა. შემდეგ გამომკითხა გუშინდელი თამაშის შესახებ, როგორ მოგეწონათო. მე სხაპასხუპით მივაყარე, ბევრი გვანერვიულეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა-მეთქი. მან მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა, რაც გამიკვირდა კიდეც. შემდეგ მკითხა შენს ადგილზე თუ იჯექიო. მე, რა თქმა უნდა დადებითი პასუხი გავეცი, თანაც ვუთხარი, ადგილითაც კმაყოფილი ვარ და იმ ცნობილი ადამიანების მეზობლობით ,,პრესის ლოჟაში“ რომ ისხდნენ-მეთქი. მან ისევ გამიღიმა და მოულოდნელად ჩემი პრესის ლოჟის აბონიმენტის ნახვა მოისურვა. მე ჯერ პიჯაკის გულის ჯიბეში ჩავიყავი ხელი და იქიდან საბუთები ამოვიღე, სადაც არ აღმოჩნდა ის, რასაც ვეძებდი. შემდეგ ბოდიში მოვუხადე, ფეხზე წამოვდექი და იქვე ჩამოკიდებული ჩემი მოსასხამი ლაბადის ჯიბეში დავიწყე ძებნა, როცა იქაც არ აღმოჩნდა, შარვლის ჯიბეები მოვიქექე, მაგრამ, რომ იტყვიან, ,,ააფრინე ალალიო...“ ისე იყო ეს საქმე. იმაზე დავიწყე ფიქრი გუშინ საღამოს შემდეგ სად შეიძლებოდა ,,პრესის ლოჟის“ ჩემი საბუთი წასულიყო.

ბატონმა ბორისმა აღარ მოისურვა ჩემი ,,საცოდაობის“ ასე გაგრძელება, რატომღაც თავი გადააქნია, გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ,,პრესის ლოჟის“ ჩემი საბუთი უკანვე დამიბრუნა. კიდევ კარგი ოთახში მარტონი ვიყავით. საშინლად შემრცხვა, აღარ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ არც ის ვიცოდი, საბუთი მასთან საიდან მოხვდა...

ბოლოს, კეთილგანწყობილი სახით მომმართა, რომ ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებაო. ამ დილით თქვენი ტრიბუნის დამლაგებელმა ქალმა იპოვა შენი საბუთი, რომელიც ალბათ წუხელ ამოგივარდა ჯიბიდან და დირექციაში მოიტანაო. კიდევ უფრო შემრცხვა, მაგრამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. ბორისი ფეხზე წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. მე იგი შენობის გასასვლელამდე გამოვაცილე და თავჩაღუნულმა შევპირდი, რომ ამის შემდეგ საბუთს თვალისჩინივით გავუფრთხილდებოდი. მან ხელი მაგრად ჩამომართვა და ალერსიანად დამემშვიდობა.

ხაში და ლურსმანი

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ჩვენი სოფლის ერთ-ერთი უაღრესად პატივსაცემი პიროვნების, პროკობი მგელაძის სიძე, დის ქმარი, ბუხუტი ავალიანი გარდაიცვალა ქალაქ თბილისში. იგი ძნელაძის ქუჩაზე (ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩა) ცხოვრობდა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიმდებარედ.

გარდაცვლილი ბუხუტი ავალიანი ძალიან ერუდირებული, წიგნიერი და მრავალმხრივ განათლებული კაცი ბრძანდებოდა. მას შესანიშნავი ოჯახი და შვილები ჰყავდა.

როგორც იმჟამად იყო მიღებული, მის გასვენებაში სოფელ ზომლეთიდან დაახლოებით 30-კაციანი დელეგაცია გაემგზავრა თბილისში.

ისინი თავდაპირველად მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთი) რკინიგზის სადგურში შეიკრიბნენ და თბილისამდე მატარებლით იმგზავრეს. უხერხულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მატარებელი თბილისში დილის შვიდ საათზე ჩადიოდა, ხოლო დაკრძალვა დღის 2 საათზე იყო დანიშნული.

ჩემმა სოფლელმა მეზობლებმა, ვისაც თბილისში შვილები ან ახლო ნათესავები ჰყავდა, რკინიგზის სადგურიდან მათ მიაშურეს, ხოლო დანარჩენმა, დაახლოებით ათმა კაცმა გადაწყვიტა ჯერ თბილისის რომელიმე სახაშეში შესულიყვნენ, ხაში დაეგემოვნებიათ, შემდეგ დედაქალაქი დაეთვალიერებინათ და დღის პირველი საათისთვის დაკრძალვაზე მისულიყვნენ.

იმ ათ კაცს შორის იმყოფებოდა ჩვენი ოჯახის უახლოესი მეზობელი და მეგობარი, მამაჩემის კლასელი, სოფლის გამორჩეული კოლორიტი, სოფელ ზომლეთის კოლმეურნეობის ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ (მიშიკო) წითლიძე, რომელიც, როგორც იტყვიან, ჭამა-სმას და ,,მუცელს გადაყოლილი“ პიროვნება ბრძანდებოდა. მან ძალიან ჩქარი ჭამა იცოდა. იგი სოფელში ყოველი ჭირის თუ ლხინის ღონისძიებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო. პირადად

მე არ მახსენდება ისეთი ღონისძიება, სადაც იგი ხელმძღვანელი არ ყოფილიყო. ჯიბეში სულ ედო საკმაოდ მოზრდილი ბლოკნოტი და ფანქარი, სადაც რაიმე ღონისძიების დროს ფუნქციების განაწილების შემდეგ, ყველაფერს ინიშნავდა. დავალებების გაცემის და მის მოსაგვარებლად მიცემული დროის გასვლის შემდეგ, მას აუცილებლად გადაამოწმებდა და ვაი იმას, ვისაც დავალება პირნათლად არ ექნებოდა შესრულებული. ისეთ ამბავს დააწევდა, კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა.

მოკლედ, იგი სოფელში ხომ ყოველთვის უფროსობდა და თბილისშიც დაკრძალვაზე ჩამოსულ თანასოფლელებს თვითმარქვია ხელმძღვანელად მოევლინა.

მისი წინადადებით, თავდაპირველად, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ერთ-ერთ სახაშეში შევიდნენ. თეთრ ხალათში გამოწყობილ დახლიდარს, მიშიკო ახლობელივით მიესალმა და 10 თეფში ხაში შეუკვეთა. ზედ მისაყოლებლად ნახევარლიტრიანი 2 ბოთლი არაყი და 10 ბოთლი ჟიგულევსკის ლუდიც შეუკვეთა. ის-ის იყო მზარეულმა ხაშის ამოღება დაიწყო, რომ დარბაზის სხვა მაგიდიდან ვიღაცამ დახლიდარს დაუძახა: „შალიკო, ხალხი შემოგვემატა, ორი „დვაინოი“ პორცია ჩვენთან დამატებით გამოუშვიო“. მიშიკომ კარგად დაიმახსოვრა დახლიდარის სახელი „შალიკო“ და სიტყვა „დვაინოი“. შემდეგ მათი შეკვეთაც ყველა ულუფაზე „დვაინოიდ“ გადაა-კეთებინა, თუმცა სულ ბოლოს თავისთვის საკმაოდ ხმადაბლა „დვაინოი“ პორცია, „ტრაინოიდ“ შეაცვლევინა. მზარეულს არ აღმოაჩნდა იმ ზომის თეფში, მასზე ე.წ. „ტრაინოი“ ულუფა რომ დაეტეოდა და დახლიდარს მიმართა როგორ მოვიქცეო. იმანაც მხრები აიჩეჩა, მაგრამ გამოსავალი ისევ მიშიკომ იპოვა. „რაიმე ქვაბში ჩამისხით და იქიდან შევჭამო“, რაც, მაშინვე შეუსრულეს. ორ ბოთლ არაყს კიდევ ორი მიაყოლეს და ის იყო ხაშის ჭამასაც ამთავრებდნენ, რომ უცებ მიშიკომ კოვზი მაგიდაზე დააგდო, საცოდავი გმინვა აღმოხდა და ხელი მარჯვენა ყბაზე იტაკა. ყველა შეწუხდა, თანაც აინტერესებდათ რაში იყო საქმე.

როგორც გაირკვა, მაინცდამაინც მიშიკო წითლიძის ქვაბში ჩახარშულ ჩლიქზე, ხარის ნალი მოუხსნელი დარჩენოდათ და ჩქარი ჭამის დროს ნალის დასაჭედებელი ლურსმანი, ე.წ. „სამსჭვალი“, მიშიკოს ღრმად შეერჭო პროტეზიან ქვედა ყბაში.

ატყდა ერთი ამბავი, უმეტესობა სიცილს ვერ იკავებდა, თუმცა დაზარალებულს ყველა თანაუგრძნობდა. თანასოფლელებმა ვერა და ვერ ამოაძვრეს კბილებს შორის ჩაჭედილი ლურსმანი. საქმეში ჩაერია სახაშეს ადმინისტრაციაც, მაგრამ ვერც მათ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, არადა, დილის 8 საათზე ქალაქის არც ერთი სტომატოლოგიური კლინიკა არ იქნებოდა ღია.

მალე სახაშეს ჭურჭლის მრეცხავს გაახსენდა, რომ მისი რძალი სტომატოლოგი იყო და იქვე, „ზემელზე“ ცხოვრობდა. ამასთან, ჯერ სამსახურში არ იქნებოდა წასული. მრეცხავმა ისიც მედიდურად დაამატა, რომ მისი რძალი პაციენტებს სახლშიც ღებულობდა და ეს საქმე მისთვის ადვილად მოსაგვარებელი იქნებოდა. სახაშეს ერთ-ერთ წარმომადგენელთან, მრეცხავთან და მიშიკოს შერჩეულ მეზობელთან ერთად, ტაქსით სულ რამდენიმე წუთში, მივიდნენ სტომატო-ლოგთან, რომელმაც თავისი საქმე პირნათლად შეასრულა, თუმცა ქვედა ყბიდან სისხლის შეჩერება თავდაპირველად გაუჭირდა, მაგრამ ესეც შეძლო.

დედამთილის ხათრით სტომატოლოგს თანხა არ გამოურთმევია, მაგრამ მისი გამტანჯველი ლურსმანი, მიშიკომ სამახსოვროდ წაიღო.

იმ დღეს, სხვა რამე საინტერესო არაფერი მომხდარა, ვინაიდან მომხდარმა ინციდენტმა მათ დედაქალაქის დათვალიერების განწყობა დაუკარგა. დაკრძალვის და მისი თანმდევი პროცესის შემდეგ, მეზობლების უმეტესობა იმავე საღამოს დაბრუნდა გურიაში.

ცხადია,სოფელში ეს ამბავი მეორე დღესვე გახმაურდა და ვისაც არ ეზარებოდა, ამ ამბით იქცევდა თავს.

მურთაზის სიმამრი და მისი კარალიოკი

ერთი დიდებული თანამშრომელი და მეგობარი მყავს – მურთაზ ბაღდავაძე. იგი წარმოშობით ვანის რაიონიდანაა. ერთ დღეს რამდენიმე თანამშრომელი ოჯახში დაგვპატიჟა. სუფრასთან სიმამრი, მეტად სანდომიანი, ჭაღარა კაცი, გიორგი ადეიშვილი გაგვაცნო და მის ქება-დიდებას მოჰყვა: აი ეს არის მთელ საქართველოში გამორჩეული კაცი, რომელსაც ყველაზე საუკეთესო კარალიოკის მოსავალი მოჰყავს ბაღდადში და შენახვის ისეთი მეთოდიც იცის, რომ მომავალი წლის მაისის ბოლომდე მისი კარალიოკი ახალ მოკრეფილს გავსო.

სხედან მარცხნიდან: ანა ბაღდავაძე, მურთაზ ბაღდავაძე და ნანა ადეიშვილი.
დგანან მარცხნიდან: ნანუკა ბაღდავაძე, ზურაბ ბაღდავაძე, ქეთევან გოგავა.

სუფრის ყველა წევრი დავინტერესდით, რაში იყო საქმე. მან კი აგვიხსნა. როცა მთელ ქალაქში კარალიოკი 50 კაპიკი ღირს, ჩემი სიმამრი ოქროს ფასად, 3 მანეთად ყიდის და მხოლოდ საღამოს ბაზარზე უკლებს ფასს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტაოდენი გაყიდული კარალიოკის ფულით ოჯახისათვის მხოლოდ აუცილებელი პროდუქტი იყიდოს.

ჰოდა, ასეთი ვაჭრობის სტილით ერთი მანქანა კარალიოკის გაყიდვას ბატონი გიორგი 8 თვეს ანდომებს. გასაყიდად დარჩენილ, კარგად შენახულს იმ დროს გამოაჩენს, როცა ბაზარზე მისი ფასი მართლაც 3-დან 5 მანეთამდე მერყეობსო.

მურთაზმა თავისი სიმამრის საქმიანობა იმდაგვარად წარმოაჩინა, ყველამ დავიჯერეთ, რომ ამ კაცს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა.

შორენა მამალაშვილი

მურად ჭოლოკავა

80 წლის იუბილემდე ხუთი დღით ადრე, 10 თებერვალს მოუსწრო სიკვდილმა... თითქოს, ასეც უნდა ყოფილიყო... აკი თავადაც ამბობდა: ვინ იცის, ეგებ 80 წლის ვეღარც გავხდეო... ამ იდუმალი და შეუცნობელი გუმანით გადაწყვიტა ორი წლით ადრე ეზეიმა 80 წლის იუბილე, მისი უკანასკნელი პოეტური ორტომეულის – „ცრემლიანი ფიქრების“ პრეზენტაციაზე... წავიდა ყველა ამქვეყნიური ტკივილის მტვირთველი... ვალმოხდილი და დაღლილი... ჩვენ კი, უსაზღვროდ მდიდარი შემოქმედება და პოეტურ მარგალიტებად ასხმული დარდიანი ფიქრები დაგვიტოვა...

ხონის რაიონში არის ერთი ლამაზი სოფელი, რომელსაც სუხჩე ჰქვია. სწორედ ამ უმშვენიერეს სოფელში, 1942 წლის 15 თებერვალს, დაიბადა მურად ვასილის ძე (ძიძიგური) ჭოლოკავა. 1959 წელს წარმატებით დაამთავრა სოფელ მათხოჯის საშუალო სკოლა, 1964-1972 წლებში მიიღო უმაღლესი განათლება სამთო, პედაგოგიური და იურიდიული განხრით... პირველ სამწერლო ნათლობას 60 წლის წინ ეზიარა, როცა ხონის რაიონულ გაზეთში მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა. მას შემდეგ, მისი ლექსები და ლიტერატურული წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

მურად ჭოლოკავა 14 წიგნის ავტორია. მათ შორის 12 პოეტური კრებულის და 2 პროზაული ნაწარმოების.

მისი პირველი პოეტური კრებული – „დუმილის შემდეგ“ – 1990 წელს გამოქვეყნდა.

1993 წელს გამოვიდა კრებული – „სამარადისო სიმღერა“

1995 წელს გამოიცა კრებული – „სიყვარულის საგალობელი“

1997 წელს საერთო ავტორობით გამოქვეყნდა პოეზიის კრებული – „ჩვენი ახალგაზრდობა“

2012 წელს გამოიცა მისი რომანი – „ბედისწერის გზაჯვარედინი“

იმავე წელს იხილა მკითხველმა მისი 2 პოეტური კრებული: „დარდისერთა“

და „100 ლექსის“ პირველი გამოცემა.

2014 წელს 2 წიგნად გამოიცა მისი ლექსები: „როცა ყვაოდა აპრილი“ და „ჟამი მწუხრისა“.



იმავე წელს გამოქვეყნდა კიდევ ერთი წიგნი – „ჩემი არქივიდან“

2017 წელს გამოქვეყნდა მეორე გამოცემა „100 ლექსისა“ და კრებული – „სულის ცრემლები“

2019 წლის ბოლოს გამოიცა პოეზიის ორტომეული – „ცრემლიანი ფიქრები“

სხვადასხვა წლებში, მურად ჭოლოკავა გახლდათ რუსთავის და ქვემო ქართლის მწერალთა და ხელოვანთა გაერთიანებული კავშირის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჟურნალ „ორბეთის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. მისი შემოქმედებითი გზა და ღვაწლი არაერთხელ ყოფილა დაფასებული. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო და გახლავთ ორგზის ღირსების ორდენოსანი. 2003-2017 წლებში – ლადო ასათიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 2017 წელს მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება. არის მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის აკადემიკოსი. 2017 წლიდან საზოგადოება ხონელის საპატიო წევრი.

მურად ჭოლოკავას პოეზია გახლავთ სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით განმსჭვალული, სევდის სტიქარით შემოსილი პოეზია, რომელიც ხან ლოცვაა, ხან – შეგონება, ხანაც – სულის საოხი ცრემლიანი აღსარება.

მე-20 საუკუნის დიდებული პოეტი, შოთა ნიშნიანიძე მურად ჭოლოკავას შემოქმედების შესახებ წერდა: „სიყვარულითა და გულითადობით აღბეჭდილი მისი ლექსები ადამიანურ მოვალეობათა შეხსენებაა მკითხველისათვის. მისი პოეტური ფრაზა არასოდეს არ არის ნაძალადევი, პირიქით, იგი სუნთქვასავით უშუალო და ბუნებრივია და მუდამ სიწრფელით, ემოციური გულისფეთქ-

ვით აღბეჭდილი. პოეტის მხატვრული პალიტრა მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც თემატურად, ისე მოტივებით. მის შემოქმედებაში ერთმანეთს ცვლიან ნაღვლიანი და ხალისიანი განწყობილობები, სატკივარი თუ იმედი დროის უკუღმართობასა და მომავალზე. მისი ხელწერისათვის უცხოა მაჟორული ხმები და პუბლიცისტური მოწოდებები. მისი მხატვრული საშუალების მთავარი გამოხატულებაა ნახევარტონები, ნიუანსები, სხვა სიტყვებით: აკვარელი, სილბო და მლოცველი ჩურჩული, ანუ აღსარებითი ინტონაცია."

მურად ჭოლოკავას მრავალფეროვან, თემატურად მდიდარ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამშობლოს სიყვარულს. მისი ტრადიციებისადმი ერთგულება, მისი სიწმინდეების დაცვა, მადლიანი ქარული მიწის მოვლა-პატრონობა და მსახურება, – ეს ის ძირითადი თეზისებია, რომელზეც დაფუძნებულია მურად ჭოლოკავას პატრიოტული ლირიკა.

პოეტი იური ჯინჭარაძე მურად ჭოლოკავას შესახებ წერდა: ,,მის შემოქმედებაში სიყვარული, სამშობლსადმი ერთგულება, წინაპართა მოგონებები და აპრილი... აპრილი... დომინირებს." სწორედ აპრილზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. როგორც წესი აპრილი გაზაფხულთან, ხოლო გაზაფხული თავის მხრივ სიცოცხლის დაბადების დღესასწაულთან ასოცირდება. საუბედუროდ ბ-ნ მურადის ცხოვრებაში აპრილი გლოვის სინონიმად იქცა. რადგან სწორედ გაზახულის უთბილეს სუნთქვას გაჰყვა და სამუდამოდ აპრილში დაიდო ბინა მისი უმცროსი ვაჟის, ირაკლის ლამაზმა სულმა...

„შენ მაინც შერჩი აპრილის ქარებს,
და გაზაფხულის წაიღე სუნთქვა,
შენ სამუდამოდ დარჩი აპრილში,
იმ აპრილივით თეთრი და სუფთა..."

წერს გულმოკლული მამა და ეპიტაპიებად იკითხება აპრილზე დაწერილი მისი ლექსები: „აპრილი სასაფლაოზე," „აპრილის გათენება," „აპრილის მოსვლა", „შენ სამუდამოდ დარჩი აპრილში", „აპრილი – ჩემი მარადიული ტკივილი" და სხვები...

მურად ჭოლოკავას შემოქმედების ლაიტმოტივი სიკვდილზე ფიქრია. მას შემდეგ, რაც მისმა ვაჟებმა ზეციურ საქართველოში გადაინაცვლეს, პოეტი თითქოს სიკვდილს გაუშინაურდა. თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის სამანი ჩაიშალა და გულმოკლული მამა სიკვდილის წიაღში სჭვრეტს სილამაზის კონტურებს. ბუნებით ესთეტი, მშვენიერების მაძიებელი კაცი ასე მშვიდად, აუღელვებლად ელოდება ლამაზ სიკვდილს. მისი ცხოვრების ორ უმძიმეს ტრაგედიას გიორგი და ირაკლი ჰქვია... და სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ 2 შვილის დამკარგავი კაცის ხვედრს, თუ არა–– მძიმე ჯვარი. თუმცა ამ ჯვრის სიმძიმეს მისი შვილიშვილების სხივჩამდგარი თვალები უმსუბუქებდა და მათზე ზრუნვა იყო მურად ჭოლოკავას ცხოვრების მთავარი საზრისი.

მ. ჭოლოკავას უკანასკნელი კრებული – „ცრემლიანი ფიქრები", მისი სულიდან გამონაწური ცრემლებით არის გაჯერებული, როგორც თავად ამბობს: „ეს წიგნი გეტყვის ჩემი და ჩემი გულის ტკივილზე. სულის წვისა და ცრემლების ამბებს... რა მაწუხებდა, რა ცეცხლი მწვავდა... ეს წიგნი გეტყვის, თუ როგორ ვემსახურეთ მე და ჩემი გული სიყვარულს ეს წიგნი გეტყვის, რომ ჩვენ, მე და ჩემი გული დღესაც მზად ვართ ერთგულად და უღალატოდ ვემსახუროთ ადამიანს და მის სიყვარულს...

„კაცი ტკივილით იწონება და იზომებაო, უთქვამთ. მაშ ვინ გამზომავს, ან ვინ ამწონის კაცს, ვიცი ტკივილიც სამყაროზე უმძიმესია?! ცეცხლწაკიდებული ვდგავარ, როგორც მოყვავილე ბროწეული მარიტას ნასახლარზე... ესეც ცხოვრების პარადოქსია!... და ლექსებიც ჩემი, გედის სიმღერაა..." წერს მგლოვიარე მამა და ისევ პოეზია ევლინება მხსნელად და გულის საოხად. მის გულში შემორჩენილი ტკივილი ლექსებში იმკვიდრებს მარადიულ სამყოფელს.

ქართველი კაცის ბუნებაში სამშობლოსა და დედის ცნება ერთმანეთშია გადაწნული. დედის სახეს განსაკუთრებული ადგილი უკავია მ. ჭოლოკავას შემოქმედებაში, ისე, როგორც დედას – პოეტის ცხოვრებაში. სწორედ დედა იყო ერთადერთი თანამოზიარე იმ ტკივილებისა, რომელიც განგებამ მძიმე ჯვარივით ატარებინა ყრმობიდან დღემდე. მხოლოდ დედის კალთაში დაღვრილი ცრემლი გვრიდა შვებას და უამებდა ტკივილს. დედის გარდაცვალების დღეს დაწერილი ლექსი: „მე კი უკვდავი მეგონე დედა" ერთგვარი გამოსათხოვარი სიტყვაა, თქმული უძვირფასესი ადამიანის წინაშე. დედის სულმა სამუდამო სიმშვიდე ჰპოვა, ხოლო პოეტს კიდევ ერთი შეუხორცებელი იარა დაუტოვა. რთულია დედის არყოფნის გააზრება და მასთან შეგუება. დედა ხომ ის მფარველი ანგელოზია, რომელიც გვჯერა, რომ არასოდეს მიგვატოვებს, როგორც პოეტი უწოდებს: „უკვდავი

ქალღმერთი და მარადისობის ჩაუქრობელი მზე“...დედასთან ერთად გატარებულ ცხოვრებას თეთრ ზღაპარს ადარებს ბ-ნ მურადი და სწუხს: „რომ ვერ გაჩუქე სიყვარული, მზე ჩემი წილი“...

„ჭრილობიანი გულის მესაყვირე“ – უწოდა ბ-ნ. მურადს შოთა ნიშნიანიძემ. პოეტი აქტიურად ეხმაურებოდა მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს და თავადაც ასევე აქტიურად გახლდათ მასში ჩართული.

„იქნებ ოდესმე ისმინოს ვინმემ,
კვნესა და გვემა ტაო-კლარჯეთის,
რომ ჩვენს ქვეყანას, ოთხივე კუთხივ,
გარს შემორტყმია კვლავაც ქაჯეთი.
მაინც რა შავი დღე ერგო ივერს,...
რამ უწილხვედრა ჯვარცმა ასეთი?!“

საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლებზე სისხლიანი ასოებით არის აღბეჭდილი სამაჩაბლო და აფხაზეთი. მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ეს ორი უმშვენიერესი კუთხე თითოეული ქართველის ტკივილი და საწუხარია. რასაკვირველია ამ თემას განსაკუთრებული ადგილი უკავია მურად ჭოლოკავას შემოქმედებაში.

„კრწანისის ველზე ჩანგშემართული,
იდგა მაჩაბელი, საქართველოს გადასარჩენად,
დღეს სამაჩაბლო ისე მოგვკვეთეს,
ვით სვეტიცხოვლის ოსტატს მარჯვენა.“

ასე ეხმაურება პოეტი სამაჩაბლოს დაკარგვას და ასეთივე ღრმა, უსაზღვრო ნოსტალგიით აცოცხლებს აფხაზურ სახეებს და მის დაბრუნებას ავედრებს უფალს. მურად ჭოლოკავას პატრიოტულ ლირიკას არაერთი მარგალიტი ამშვენებს. პოეტი მაღალმხატვრული ოსტატობით აცოცხლებს ისტორიულ სახეებსა თუ გმირობის სცენებს და მასათან ერთად არაერთ ისტორიულ ფაქტს ეხმაურება. ბუნებრივია, მისი ყურადღების მიღმა არც ის ადამიანები რჩებიან, რომლებმაც თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს.

„მურად ჭოლოკავას პოეზია დიდი სიმფონიაა გლოვა-გოდებისა“ – წერს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ ვაშაკიზე და მართლაც, მურად ჭოლოკავას პოეზიას მთავარი ხაზად გასდევს დარდი, ტკივილი და სევდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ ბ-ნ მურადის შემოქმედება არ გახლავთ სასოწარკვეთისა და ნიჰილიზმის მარწუხებში მოქცეული. აკი ამბობს კიდეც პოეტი: „და მომლოდინე ათასი ჭირის, სიცოცხლეს მაინც ვებრძვი და ვებრძვი“...

როდესაც ბატონი მურადის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გოდერძი ჩოხელის უკვდავი სიტყვები:

„რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.“

ვიკითხავთ რა აძლებინებს ადამიანს ამ წუთისოფელში და პასუხს ისევ მ. ჭოლოკავას პოეზიაში ვიპოვით: „ზოგჯერ შენც რომ სხვას სჭირდები, ამაზე თუ გიფიქრია?!“... ამ სიტყვების ადრესატი ნებისმიერი ჩვენგანია, ხოლო მურად ჭოლოკავა ავტორიც გახლავთ და ადრესატიც... ერთის მხრივ, უამრავი ადამიანის დარდებისა და განსაცდელის მოზიარე და მტვირთველი, ხოლო მეორე მხრივ, სამშობლოს ბედ-იღბალზე მწუხარე, მისთვის მლოცველი და მის სატკივარზე მღაღადებელი მ. ჭოლოკავა, აწ უკვე ზეციურ საქართველოში მყოფი, უკვდავი პოეზიით აგრძელებს სიცოცხლეს ჩვენს მეხსიერებაში, სწორედ ისე, როგორც უკვდავების ბინადართ სჩვევიათ.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

დღე სანახსოვრო

ბატონი აბრამ პაატა იოსებაშვილი და ბატონი თემურ გოგსაძე, ოცდაშვიდ დეკემბერს, აკადემიას ეწვივნენ. ორივე აკადემიის აკადემიკოსები და ორივე ცნობილი პიროვნებები. მათი ცნობადობა სიკეთის კეთებაა. ცნობილი არქიტექტორი აბრამ პაატა, საქართველოს დესპანია, მას არა ერთი პროგრამა აქვს განხორციელებული, ქართველი და ებრაელი ერის საკეთილდღეოდ. ოთხი შვილის მამა ქართულად ზრდის შვილებსა და შვილიშვილებს. იგი მტკივნეულად განიცდის ემიგრავიციაში მყოფ ქართველებს. ქართველები საქართველოს მიწებს უნდა პატრონობდესო აღნიშნა მტკივნეულად. აი, აქ საქართველიში უნდა იქნეს ყველანარი ოჯახის დასაკმაყოფილებელი რესურსი შექმნილიო. ქართველი არსად არ უნდა მიდიოდესო. ცნობილი ადვოკატი ბატონი თემური გოგსაძეც, რომელიც შვიდ ქვეყანაში კითხულობს ლექციებს ამ საკითხს მტკივნეულად განიცდიდა. ბოლოს ერთხმად აღნიშნეს, ჩვენი შესაძლებლობი მაქსიმალურად მოვახმაროთ ორი საუკუნოვან დაძმობილებულ ერსო და სამომავლო პროექტებზე ისაუბრეს.

რა სჯობს

რა სჯობს სიყვარულს, რწმენას იმ სუფთას,
როგორც ფიფქია ცად მოფარფატე,
აზრს ერთიანს და გაშლილს, ვით სუფრას,
მოვინდომე და ფიქრით დაგხატეთ.
აგერ აბრამი, ისრაელიდან,
შეხვდნენ თბილისში გულის ნაწილნი,
ზოგიც მოსულნი იმერეთიდან,
რწმენის ლოცვებით ცამდე აწვდილი.
რაა სიცოცხლე, თუნდ ასი წელი...
თუ სიძულვილის ცელით ჩაგვცელეს,
გთხოვთ ყველამ, ერთად ჩავკიდეთ ხელი,
თორემ ცუდ ჭორებს, ქარი ავრცელებს!

სუფთა გულის სტუმარი აკადემიას საჩუქრებით ესტუმრა. ბატონი აბრამ პაატა იოსაბაშბილი, ცნობილი არქიტექტორი, საქართველოს დესპანი, ჩვენი საყვარლი მწერალთა კავშირის ქალბატონი მაყვალა გონაშვილის რეკომენდაციით, გახდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. 2020 წელს, მამა ამირან ამირანაშვილის ხელით დიპლომი გადაეცა ბატონ აბრამ პაატა იოსებაშვილს, პარლამენტის ბიბლიოთეკაში. მას შემდეგ, მსოფლიო თვალთ უხილავმა პანდემიამ მოიცვა და შეუძლებელი გახდა ამ მეტად მნიშვლევონი პიროვნების მოწვევა აკადემიაში. 26 დეკემბერს კი, ქალბატონი ნინო უძილაურის ხელშეწყობით შეხვედრა შედგა. ბატონმა აბრამ პაატამ აკადემიას გადასცა, იერუსალიმის ხედი ვერცხლში ჩამოსხმული. წმინდა ხედებმა, წმინდა ადგილი დაიკავა და აკადემიის ანთოლოგიის გვერდი დაამშვენა, რამე თუ ეს საჩუქარი დაემთხვა, ანთოლოგიის მეთერთმეტე ტომის პრეზენტაციას. დიდი მადლობა ბატონო აბრამ პაატა!

ოცდა ცხრა დეკემბერს, ბატონი აბრამ პაატა მიწვეული იყო, ქუთაისში. მისივე თხოვნით, ჩვენც ვახლდით ქუთაისის მერიაში, რათა საქართველოს დესპანის სიხარული გაგვეზიარებინა და მისი პროექტისთვის მხარი დაგვეჭირა. ასეც მოვიქეცით. იქიდან დაბრუნებისას, გორში გამოვიარეთ. საკმაოდ ცნობილი პირონებები, ბატონი თემურ გოგსაძე და ქალბატონი ნინო უძილაური მაღაზიაში შევიდნენ და ყავა მოითხოვეს. მეც ფეხდაფეხ მივყევი. შევატყვე, რომ ახალგაზრდა გამყიდველ გოგონას, ორივე რაღაცას ესაუბრებოდნენ. მერე კი, ჩემმა საყვარელმა სულიერმა

შვილებმა ყავა შემომთავაზეს. ყავის ჭიქა ხელში ავიღე და რას ვხედავ, გულია ჩახატული შიგ. ეს, როგორ ვკითხულობ. თემურიმ და ნინომ ერთმანეთს გადახედეს და ერთხმად აღიარეს. დედი ეს გული ჩვენგან. ამას იმდენად დამაჯერებლად ამბობდნენ, რომ გამყიდველმა გოგონებმა დაიჯერეს, რომ ჩვენ დედაშვილები ვიყავით. ქალბატონო, ეს გოგო გგავს ნინოსკენ გაიშვირეს ხელი. ეს კი არა. ვაჟი ნამდვილად არ გგავს. ნინომ უთხრა, ვაჟი ნაშვილებია და მე კი მისი შვილიო. ყავა მივირთვი, ჩემი საყვარელი სულიერი შვილების, ჩემი აკადემიის წევრების მორთმეული, რომელშიც გული იყო ჩახატული. სიცოცხლეს მიხანძლივებენ. რამდენი წვეთიც ამ ჭიქაშია, იმდენი წელი სიცოცხლე შეგემატოთ შვილებო, თემურ გოგსაძევ და ნინო უძილაურო.თქვენ მარადისობის გზაზე ნათლის სვეტია გაბრწყინებული!

უფალს დიდება

(აბრამ პაატა იოსებაშვილს)

წმინდა სანთლები მოგვართვი,
წმინდა ადგილის მიწიდან,
სიწმინდის სულის ნობათით,
თქვენს მოსვლას ყველა უცდიდა.

მოხვედი, დაგხვდა სიმშვიდე,
ჩვენც რაც შეგვეძლო გაამეთ,
სანამ გულს გადაგიშლიდეთ,
კარი წინასწარ გავაღეთ.

ძმობა ერთობა განახლდა,
სანთლის ალები ცას აწვდა,
გვიამბე რაც თავს გადაგხდა.
კვლავ ის ვიწამეთ რას გვწამდა.

ბრძოლის დროს არა ვწუწუნებთ,
ჟამთა სვლას არ ვუშინდებით,
გულს დარდი გამოუწურეთ,
ღრუბელშიც გამოვბრწყინდებით.

ებრაელსა და ქართველებს
გვაქვს ოდით ძმობა ზიარი,
ღვთის ძალა გაგვაჯამრთელებს,
ყველა დღე უფლის დღე არის!

დღე ისტორიული და სანახსოვრო
2022—01—01
აბრამ პაატას დაბადების დღე

მეგობრობის მერიდიანი

ისრაელსა და საქართველოს შორის,
საუკუნის მგობრობა უსასრულია,
ისე ვით ზეცა უკიდეგანო.
ღმერთო, გამითენე ისეთი დღე,
ხალხმა სიყვარული ისწავლოს.

დიდი მისია აკისრია აბრამ პაატა იოსებაშვილს, უფლისგან. ეს, ის რეალობაა, რაც ქართველებში და ებრაელ ერშია გაერთიანებული. ეს მეგობრობაა, რომელიც საუკუნეეებს ითვლის. დღეს პირველი იანვარია. აბრამ პაატა იოსებაშვილის დაბადების დღე. დაბადების დღის მისალოცად ბევრი მისი მეგობარი ვერ მოვიდა, დღევანდელი პანდემიის საშიშროების გამო. ვინც იყო გულით იყო მოსული. ულოცავდნენ და ეფერებოდნენ, უფლის გზავნილ აბრამ პაატას.

იუბილარს გვერდს უმშვენებდა ულამაზესი მეუღლე ქალბატონი ლოლა.

ჯემალ მეგრელიძის იუბილე

ჯემალ მეგრელიძე აჭარის ტელევიზიის ტევე 12-ის დირექტორია. ბატონი ჯემალის ნაცნობობა უკავშირდება, ქალბატონი ნანა მომცელიძის ჩასვლას აჭარაში და მის ნაყოფიერ მუშაობას რეგიონში. ხელოვანმა ქალბატონმა აჭარის ინტელიგენციის ყურადღება მიიქცია და ზღვასავით დიდგულა დასავლეთმაც თბილად გაუღო კარები. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიამ აჭარაში, ფრთები გაშალა დიდი მოგზაურის უკვდასაყოფად. სწორედ ქალბატონი ნანა მომცელიძის რეკომენდაციით გახდა ეს ნიჭიერი ჟურნალისტი, ბატონი ჯემალ მეგრელიძე აკადემიის (აკადემიკოსი) ჩვენი აკადემიისა. ჩვენ ვალდებული ვიყავით, ეს ლამაზი თარიღი შეძლებისდაგვარად აგვეღნიშნა. 2022 წლის ექვს თებერვალს, ცნობილი ჟურნალისტი (აჭარის ტელევიზიის დირექტორი) ეწვია აკადემიას. მოვიდა და მოიტანა უკიდეგანო ზღვასავით დიდი გულის სითბო და სიხარული. ღონისძიება დალოცა, ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ამირან ამირანაშვილმა. მწერალთა კავშირის თავჯდომარემ ქალბატობმა მაყვალა გონაშვილმა, გადასცა უამრავი ღვაწლის შეფასების ამაგის ნიშნად, ღვაწლმოსილის პრემია. პოეტმა ეთერ ჭელიძემ პატრიოტული ლექსი მიუძღვნა და სვანეთიდან სპეციალურად ჩამოტანილი სვანური ქუდი უსახსოვრა. ბატონი ჯემალის საპატივსაცემოდ ჩამოსული იყო, კახეთიდან მესამე კლასის მოსწავლე (უნდერკინდი) გიორგი ქენქაძე, რომლის ლექსების მოსმენით აღფრთოვანებული და კმაყოფილი დარჩა იუბილარი. მან წაიკითხა, საკუთარი ნოველა და ქალბატონი მანანა სამყურაშვილის ლექი.,, ალო? საქართველოა??? გიორგი ქენქაძეს გადაეცა ნორჩ ,,ათინათელის“ საბუთი. პოეტებმა: ნინო უძილაურმა, ხათუნა ელიაშვილმა და მზია ელიაძემ, საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ბატონ ჯემალის. მწერალი ბატონი ბესო ჩუბუნიძის გამოსვლამ არა მარტო იუბილარი, დამსწრე საზოგადოებაც აღაფრთოვანა. ბატონი თემურ გოგსაძე კი, მთელი საქართველოს საამაყო პიროვნებაა. მის სიტყვებს გავიმეორებ. ბატონი თემურის აზრით, ბატონი ჯემალის ღვაწლი ქართულ კულტურაში იმხელაა, ტომეულები არ ეყიფა, რომ ისაუბრო და შეაფასოვო. ცნობილმა პიროვნებამ, ერეკლე საღლიანმა თავისი წაკითხული ლექსით აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება. ბატონი ჯემალისა და თემურის სითბო იმხელა იყო, სიყვა ლექსად გადმოიღვარა:

და მაინც წინ და..

თქვენით მე ვხედავ, საყრდენს და იმედს,
ქართული სულის ჟინს ჩაუცხრომელს,
ასე ვაგროვებ შვილებს მე იმდენს,
მებრძოლებსა და მტერ დაუგმობელს.
ერთად შვილებო, წინ დიდი გზაა,
ყველგან დათესეთ მარცვალი საღი,
თქვენი ნაბიჯი იცოდეთ სხვაა,
ბრძოლებია და ორივეს დაგღლით.
და მაინც წინ და არასდროს უკან,
დედის ლოცვები გაგყვეთ დამცველად,
ებარებოდეთ შვილებო უფალს,
ბოლომდე უნდა დარჩეთ კაცებად!

ექიმებმა: დავით სხირტლაძემ და ქეთევან ჯინჭარაძემ საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ბატონ ჯემალს. ექვს თებერვალს, აკადემიაში მეწვია თხუთმეტი წლის უნახავი მეგობარი ჟურნალისტი ქალბატონი ნაზი მესშველიანი, რომლის მოსვლა ყველასთვის სულის კოლიზიუმად იქცა.

გაწვდით ამ მოკლე იმფორმაციას, დანარჩენს კი იუბილარი იტყვის. ერთს კი დავამატებ, ბატონი ჯემალის გულით მიულოცეთ იუბილე და შეძლებისდაგვარად ვუმასპინძლეთ.

თბილი ბუნებით

(ჯემალ მეგრელიძეს)

ჰოდა, ეს წელიც უღიმღამოდ მიილეოდა,
დაცვივდებოდა ვითარც ხეთა ხმელი ფოთლები,
წყალი ზღვასავით მლაშე გემოდ დაილედა,
დაეყრებოდნენ თვე– დღეები ვითარც ლოთები.

კვლავ იძულებით გავახელდი თვალებს დარდიანს,
გავიღიმებდი, ზრდილობისთვის სხვათა საამოდ,
თუმცა ბუნებით, სალ კლდეებს და რას არ მადრიან,
დაღამდებოდა უშედეგოდ ყველა საღამო.

შენ გამომიჩნდი დიდი ნიჭის, დიდი მწერვალი,
საქართველოსთვის მოვლენილი მემატიანე,
შენთვის ძვირფასობს, გოჯი მიწის ერთი მფევალიც,
კარზე მომდგარ მტერს,ასს შენ ერთიც გაატრიალებ.

ორმოცდაათი მოაბიჯებს დიდი შედეგით,
კაცურ-კაცობით, ხვავ-ბარაქით, ხოდაბუნებით,
დედა მიწოდე, ასაკითაც შვილად მერგები,
გაკვირდები და მართლაც მგავხარ თბილი ბუნებით!

სიხარული და ტკივილი

თხუთმეტ თებერვალს, დღის პირველ საათზე, რუსთავში მეგობრობაზე, მაღაზია „ელიზაში“ შევედი. გამყიდველი ახალგაზრდა ბიჭი დამიხვდა, გიორგი ვარდიაშვილი. რაც მინდოდა, დედაშვილურად შემირჩია. ფული გადავიხადე და სასწრაფოდ დავტოვე მაღაზია, რადგან აფთიაქშიც უნდა შევსულიყავი წამლების საყიდლად. მერე კი საჩქაროდ მოვ-ბრუნებულიყავი სახლში რადგან, ჟურნალ „ათინათის“ ორ-მოცდამესამე ნომერზე ვმუშაობ. სამასგვერდიან სამეცნიერო შემეცნებით ჟურნალს, ძალიან პასუხისმგებლობით ვეკიდები. სხვადასხვა ავტორებთან ურთიერთობა ნამდვილად არ არის იოლი. აფთიაქში წამლების საყიდლად, რიგში ჩავდექი. ჩემს უკან ერთმა ქალბატონმა ერთი პირბადე მინდაო და გვერ-დით მდგომ ქალბატონის რიგს გადაასწრო. ქალბატონო, ინებეთ პირბადე, მე მოგცემთ და ჩემს ხელჩანთას ხელი წავატანე. არა როგორ გეკადრებათო და მერე შეამჩნია, რომ თვითონ არაკანონიერად მოექცა მის წინ მდგარ ქალბატონს. მე კი ადა-მიანიბის ინსტიქტის გრძნობის ძაფი, ჩემი სითბითი რომ გაუღვიძე, მოვისვენე და კმაყოფილი დაველოდე ჩემ რიგს. გამარჯვება ის იყო, რომ გვერდით მდგომ ქალბატონს, ბოდიში მოუხადა, მე მეგონა აქვე ექნებოდათ პირბადე და ამათ კი ყველაფერი კომპიუტერში შეყავთ აღრიცხვაზეო. ამასობაში მეც რიგი მომიწია, წამლები ავიღე და გარეთ გამოვედი. დაბლა ახალგაზრდა მამაკაცი დამხვდა თავისი კითხვებით. ქალბატონო, ათი წუთის წინ მაღაზია „ელიზაში“ შეხვედით? მაღაზიას შევხედე, წარწერა წავიკითხე „ელიზა“ მივხვდი, რომ რაღაცა მოხდა და სწრაფად ვუპასუხე. კი და თქვენ რატომ მეკითხებით? გამყიდველი გეძებთ. რაშია საქმე? ამ დროს ჩემ წინ ის ახალგაზრდა ბიჭი გაჩნდა, ვისთანაც სხვადასხვა წვრილმანი ვიყიდე. ხელში „ათი“ ლარი ეკავა. ეს, ფული თქვე-ნია. არასწორად დაგიბრუნეთ თანხა. ცოტახანს დუმილით დავდექი. ნუთუ ღმერთო, კიდევ არსე-

ბობენ, ასეთი ახალგაზრდები. ნუთუ არ გადაგვარდება ერი ჩემი. მადლობა უფალო, ამ დღისათვის. (ათი)ლარი ჩემთვის რწმენის არიალი გახდა. ხელჩანთაში პასტას დაუწყე ძებნა. სამწუხაროდ არ აღმომაჩნდა. მოკლედ ჩემ ხელჩანთაში ხან უამრავი პასტაა, ხან კი ერთს ვერ იპოვნი, ჩემთვის ჩავილაპარაკე. ამ ღვთისნიერი ახალგაზრდის სახელი და გვარი მინდოდა ჩამეწერა. ინებეთ ქალბატონო და (გიორგიმ) პასტა გამომიწოდა თან დააყოლა თქვენი იყოსო. დიდება უფალო, შენდა დიდება. ღმერთო, მომიმრავლე ასეთი სპეტაკი სულის ახალგაზრდები რუსთავშიც და მთელ საქართველოში. ვინც მე გამაჩერა, ეს მამაკაცი კი აღმოჩნდა, ასპინძელი , რომელიც საკუთარ ყველს ყიდდა. ახლა მან მთხოვა, მოდი ქალბსტონო, ნახეთ ყველი გასინჯეთ, ვიფიქრე, ამ ღვთისგან დაბრუნებულ ჩემივე თანხით ყველს ვიყიდითქო, მაგრამ ამჯერად არ გამიმართლდა. ერთი კილო ყველი ოცდაორი ლარი ღირდა. არ მინდოდა, გამყიდველი ბატონი თემურ გორელიშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო, უცებ დავტოვე სიხარულისა და დარდის მონაკვეთი. სიხარული იმიტომ, რომ ახალგაზრდა (გიორგიმ) თავის ადამიანობით რწმენა დამიბრუნა მომავალი თაობისადმი, (10) ლარს კალამიც მოაყოლა საჩუქრად, ესცთქვენ ქალბატონო რაღაი გიპოვნეთო. დარდი თან გამომყვა იმიტომ, რომ ბატონი თემური თავის პროდუქტს, ყიდდა იმ ფასად, რაც მას უღირდა ყველის წარმოება. პროდუქციის შექმნა, ტრანსპორტირება და ბოლოს რეალიზება. კი, ბატონო, ღმერთმა ამ ღვთის მადლიან პიროვნებას ხელი მოუმართოს, მაგრამ გლეხმა როგორ იყიდოს????

მიმტევებლობა

ამბავს, რომელსაც ახლა დავწერ, არის სიმართლე. ეს სიონის ეკლესიის ეზოში მოხდა. ლაგოდეხელი ნერვოლოგიის ექიმის შვილი, ტატო ხარატიშვილი, მეტეხის ეკლესიაში ჩამოვიყვანეთ მე და ლამზირა შეყილაძემ. მამა აკაკისთან. წინა დღით შეუთანხმდით. მასთან შეხვედრა არ იყო იოლი, მაგრამ უფალის ხელშეწყობით შეხვედრა შედგა. მას ვთხოვე რომ ბავშვებში ვცდილობ გავაღვიძო უფლის რწმენა და ამ კუთხით მინდა თქვენთან შეხვედრათქო. ბავშვებს როგორ წარმოუდგენიათ ღვთის მსახურნი და კიდევ, თქვენთან საუბრის დროს მწამს ვისაც მოვიყვან, მას ღვთის მადლი გაყვებათქო. ჩვენმა ტატოს მართლაც გაყვა მამა აკაკის მადლი. მისმა ნიჭმა, მართლაც ძალიან ბევრი გააოცა და სიხარულის ცრემლიც კი მოგვარა მის ახლობლებს. ამჟამად სტუდენტია, რომელსაც ხვალ მწერალთა კავშირში შევხვდები. ტატო ბრწყინვალე პოეტია. შეხვედრა იყო ზეციური. მამა აკაკიმ ეზოში ისურვა შეხვედრა და ეკლესიის მთელი მრევლი გამოგვყვა. ასეთ რამეს არასოდეს არ გავამხატრულებ. პირიქით დავაკლებ და წვრილმანებს გვერდს



აუვლი. სულ მცირე ორმოცდაათი სხვადასხვა ასაკის ადამიანი მაინც გამოვიდა ეკლესიდან და ჩვენ მოვხვდით ხალხის წრეში. ეზოში ნიავიც კი არ იძვროდა. ამასაც არ ვწერ გადაჭარბებულად ნამდვილად ასე იყო. საუბარი ნახევარი საათი მაინც გაგრძელდა. იღებდენ სურათებს, ვიდეოებს. ეს მომენტი ადრე დავწერე და ჟურნალ „ათინათშიც“ მქონდა გამოქვეყნებული. ტატო და მისი ექიმი დედიკო, ლაგოდეხში წავიდნენ. მე და ლამზირამ ვთქვით, აქ ვართ და მეუფის საფლავზე ჩავიდეთ სანთლები ავუნთოთო ჩვენს მეუფესო. მართლაც წავედით. გზაში მეუფეზე ვსაუბრობდით, მეუფე მირიან იორამაშვილზე, რომელიც სიონის ეკლესიაშია დაკრძალული. სანამ საფლავზე მივიდოდით, დედაომ დამირეკა. ფეხი შევანელე და საუბრის დროს ვცდილობდი, რომ დედაოსთან სიმშვიდე შემენარჩუნებინა და დაღლა არ შემტყობოდა. ლამზირამ გზა განაგრძო. საუბარი დავამთავრე და სიონის ეკლესისთან პირჯვარი გადავიწერე, სანთლები შევიძინე და მირეკავს ლამზირა. არ შეხვიდე ეკლესიაში, აქ მოდი საფლავთან, მერე ერთად შევიდეთ სალოცავადო. ეს ისეთი გაწონასწორებული ქალბატონია, რომ იტყვის ესიგი ასაეა საჭირო. იმ წამს გამოვტრიალდი. ძალიან თბილი დღე იყო. ზაფხულის სიცხეში პეპლები

თავს დატრიალებდნენ, წითლად და თეთრად აყვავებულ ოლიანდრებს. საფლვს თვალი შევავ-ლე, ეს ის ადგილია წყალი რომ არის და გვერდით კიდევ ოლიანდრებია ლამაზად გაშენებული. საფლავზე ფეხით ხომ არ გადავივლიდი და გზა განვაგრძე. ლამზირა არ ჩანდა. ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენათქო და ფეხს ავუჩქარე. საფლავისკენ შევუხვიე. დგას ლამზირა და ესაუბრება ორმოც წლამდე მაღალ მამაკაცს. სახტად დავრჩი, ვდუმვარ. ვერაფერი ვთქვი, ეს წამის მოქმედება იყო. გულნაზ ერთი მოუსმინე რას საუბრობს მეუფეზეო. გისმენთ და თვალებში მკაცრად შევხედე. ვინ ხართ და მეუფეზე რა უნდა მესაუბროთ? ქალბატონო, გუშინ გამოვედი რუსთავის ციხიდან. მერე მეუფე რა შუაშია? მეუფეს ვაჟი მოუკლეს, მე მისი შვილის მკვლელთან ერთად ვიჯექი ციხეში. მეუფე ციხეში მოვიდა და შვილის მკლელს აპატია. იმ დღიდან ყველა პატიმარში ადამიანურმა ინსტიქტმა გაიღვიძა. ზოგი უდანაშაულოცაა იქ. იქაც ცოდვა მადლი ტრიალებს, მაგრამ ვინც კანონიერად იხდის სასჯელ, მათში გაიღვიძა ადამიანობამ. მე გუშინ გამოვედი ციხიდან, პირველ რიგში აუცილებლად მეუფე უნდა მენახა. მითხრეს გარდაიცვალაო, აქ მოვედი მუხლი მოვიყარე, მის საფლავზე და თქვენი მეგობარიც მოვიდა. მთხოვა, ცოტა ხანი გავჩერებულიყავი და ეს ამბავი თქვენთვის მეამბნა. იმის შემდეგ ბევრი რამე მოხდა, რასაც ახლა არ დავწერ. ჩვენ ხშირად დავდივართ მეუფის საფლავზე, ფრჩხილებით გვიპოტნია მიწა და გულზე ყვავილები დაგვიყრია. ამ მოგონებით მოგმართავთ ყველას. მეუფემ შვილის მკლელს იმიტომ აპატია, რომ შვილის სული მოესვენებინა. გარდაიცვალა უამრავი ხელოვანი და არახელოვანი ხალხი, წავიდა ახალგაზრდობა. ქუჩაში მარტო მანქანები დადიან. თითო ოროლა ადამიანით. ნუ დაიბოღმებით, ნუ იქნებით აგრესიულები. შენი, რომ გიყვართ, სხვასაც ეცით პატივი. ყველაზე დიდი ცოდვა უმადურობაა. რამდენჯერ ახსარება ჩამიბარებია, მამაოს უთქვამს უბარი ხომ არავისთან ხარო, ყველაზე დიდი ცოდვაო. დაფიქრდით ხალხო!

ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი

ბახვა სამხარაძე ითხმოცდა ცხრა წლის არის. ის ჯუმბერ ლეჟავას მეგობარია. არა ერთხელ ვყოფილვართ, ზესტაფონის რაიონის სოფელ სამებაში. ჯუმბერ ხარაიშვილი და რამიდენიმე აკადემიის წევრი, მისივე მიწვევით, სოფელ სამებაში ჩავედით. ჩვენს წინ გადაიშალა სულიერების ოაზისი. ჯუმბერ ხარაიშ ვილს, რომ გაუკვირდრბოდა, საჩხერის რაიონი სოფელი ლიჩი, სამოთხეს გავს, სადაც ის ცხოვრობდა. ნაძვის სიმწვანეში ჩაფლულ სოფელის გაღმა-გამიღმა დასახლებას, მდინარე ძირულა ჩამოუდის. ირგვლივ ათასნაირ ყვავილების სურნელებით დამთვრალი ფუტკრის ნესტარით, ივსება სკები. კმაყოფილებით უყურებდა ჯუმბერი ეზოს მრავალფერივნებას და აღტაცებით ამბობდა. აი, მწამს, ასეთი იმერული ეზო.

ბახვა სამხარაძის მეუღლე, ქალბატონი კლავდია სამხარაძე, პატარა ხის მასალით გაკეთებულ ოთახში შეგვიძღვა. ოთახი ლაზად იყო მოწყობილი. ერთი საწოლი, კედელზე რუკები, მაგიდა და ერთი სკამი იდგა. ეს, ჯუმბერ ლეჟავას ოთახია, გვიხსნიდა ქალბატონი კლავდია. ზაფხულში, თავის მეგობარ, ჯუმბერ მაღლაკელიძესთან ერთად ჩამოდიოდა და აქ ისვენებდა. ამის გვერდით ოთახი, ჯუმბერ მაღლაკელიძისაა. აი, ვინ იცოდა ჯუმბერ ლეჟავას ფასი, აი,ვინ აფასებდა მას. ვინ და ბახვა სამხარაძის ოჯახი. ახლა ქალბატონი კლავდია ცათა სასუფეველშია, ნათელი მის დიად სულს. ბატონმა ბახვამ წიგნები წაიღო, რათა ჯუმბერის ოთახს შემატოს, მისივე დაარსებული აკადემიისაგან. თან მოკრძალებით გვთხოვა, იქნებ ჩამოხვიდეთ ზაფხულშივო. ჩვენ ვალდებულებიც ვართ, პატივი მივაგოთ, ქალბატონი კლავდიას, სულს რომელიც თითქმის საქართველოს ცნობილი პიროვნებები მასთან ნამყოფები არიან. ქალბსტინი კლავდია ყველას უმასპინძლდებოდა. აკადემიაში ბატონ ბახვას დახვდნენ, ამავე აკადემიის წევრები: –– ქალბატონი მზია ელიაძე და ქალბატონი ხათუნა ელიაშვილი, სურათები გადაიღეს ამ დიდებულ პიროვნებასთან და მოკრძალებით გააცილეს სასურველი სტუმარი და თვითონ აკადემიის წევრი, ბატონი ბახვა სამხარაძე!

არ შეიძლება არ გიყვარდეს

ნინო უძილაუირი არ შეიძლება არ გიყვარდეს. მასში წმინდა ფშაველი ქალის სულია და რასაც ამბობს ამბობს სიმართლეს და გაბედულად. გზად მიმავალმა პერევალზე თოვლი დაინახა. თოვლი აბრამ პაატას სულივით სუფთა და ქათქათა იყო. ნინო მძღოლს მანქანის გაჩერება თხოვა. სურათი გადაღვიღოთ დე-გულნაზიო მითხრა. მეც მის სურვილს დავემოეჩილე და მანქანიდან გადმოვედი. მთები თეთრ ქათქათა საბანში იყო გახვეული. ალაგ-ალაგ მარად მწვანე „ბორბალები“ ამაყად იტანდნენ ყინვას.

ფიქრით მივეფერე, გაუღიმე კიდეც. მათი დანახვა გამეხარდა რადგან, ჩემსავით იტანდნენ გულის ყინვის მარწუხებს. გზად აბრამ პაატას სიტყვები წამოგვეწია. არ შეშინდეთ პოეტებო, მე ქართველი ებრაელი, თქვენს ტკივილსაც ვიზიარებ და თქვენი სიხარულიც მახარებო. ბატონ აბრამ პაატას სიტყვები ვურწმუნეთ და გზა განვაგრძეთ, სადაც იმერული, ქუთაისური, სითბითი გველოდებოდნენ ქუთაისის მერიაში.

გულის გაზაფხული

გაზაფხულს მაინც სულ სხვანაირი სიცოცხლე შემოაქვს. გაყინული დედამიწა იღვიძებს, გაშიშვლებული ხეები მწვანე კვირტებით იმოსება, მერე გაბუტულ კვირტებს კანი უსკდებათ და იშლებიან: ზოგი ფოთლებად, ზოგი ყვავილებად. თხილის ხე ყურებზე ლამაზ საყურეებს იკეთებს. შინდი ყვითელ კაბას იკერავს. ნუში იასამნის ფერ ყვავილებით იფურჩქნება, ტყემალი თეთრ ქათქათა, საპატარძლო კაბაშია გამოკოპწიავებული. ჩემი ეთო, ყველანაირი გულის ყვავილია ჩემთვის. ზოგჯერ ტყის თეთრი იასამანი, ამაყი და ქათქათა. ზოგჯერ, ენძელა, ვარდი და იასამანი. ეთო ჩემთვის ყველა დრო არის. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგიმა და ზამთარი. ყველა თვეს თავისი ხიბლი აქვს. ეთო უხდება ყველასა და ყველაგერს. ინტელიგენციასაც და უბრალოებასაც. ეთო ჩემი სულიერი შვულია. საიმედო კედელი.

ბევრჯერ

ბევრჯერ შენ ამაგს არ დაგიფასებენ. პირიქით გულს გატკენენ, ვერ გაგიგებენ. თავის მართლება არ დაიწყო, არც დაიფიცო, რადგან ღმერთს ფიცი არ უყვარს. მაშინ იქნები ძლიერი, თუ მოითბენ და კვლავ სიყვარულის და მადლის თესვით გზას გააგრძელებ. მხოლოდ, უფალმა იცის შენ ვინ ხარ. ესაა სულის სიძლიერე!

ორი ერთნაირი დედა

გარედან შეათვალიერეთ. ამ ორ დედას, გულში არ ჩახედოთ. დაისევდებით და სიცოცხლის ხალისს დაკარგავთ. გირჩევთ თეთრი კბილი აჩვენეთ და ჩქარე გაცილდით ქალბატონებს. სიმართლე, რომ გითხრათ თითონაც გაურბიან უკვე ერთმანეთს. ერთმანეთის დარდიან გულს უფრთხილდებიან და ბედისწერით შემოგროვილ ნაღველს იდუმალ ფიქრებს ანდობენ. ხან ლექსებად, ხან ნოველებად ჩურჩულობენ. პირველს ზოგი კეთილი მეგობრი, რჩევასაც აძლევს, ამდენს რატომ წერ და თუ წერ სააშკაროეზე რატომ გამოგაქვსო. იმ კეთილ მეგობრებს, ამ ორი ერთნაირი დედისნაირი დარდი ღმერთმა არ მოახვედროს. ამ ორი ერთნაირი დედის გულის ტკივილი სულშია შეჭრილი. სული ბორგავს, სხეულში აღარ ეტევა. ერთმა ფსევდონიმად (ცისკარელი)

დაირქვა, რადგან ღამის ძილს ცაში შვილ (გელასთან) ატარებს. მეორე არა და არ ეგუება იმ აზრს რომ (ალიკა) ცაშია. ამიტომაა, მეორეს თავისთავითვის სახელი ვერ დაურქმევია. ახლახან გამოცემულ ჟურნალ ,,ათინათში" ალბათ ხელოვნების გვერდში აკადემიის წევრები ნახავდით, ხელთქმნილებებს. ეს იმ დედისაა, შვილი რომ ცისთვის ვერ გაიმეტა და ისევ დაბლა ყვავილებში დაეძებს მას. დედა ფიქრობს, ხომ არ დაპატარავდა, სადღაც ტყეში სოკოზე ხომ არ გაიპარა, იქნებ წრეში ბურთს თამაშობს. ჰოდა გარდაცვალებას არ შეგუებული დედა, გაფერმკდალდა, ჩამოდნა. უყურებს (ცისკარელი) და ზომავს და წონის ნაბიჯებს, ზომავს და წონის. ფიქრობს, როგორ მიუდგეს, რა ქნას. ჯერ-ჯერობით სწორ კვალს ვერ მიაგნო. იყო დრო ერთმანეთის ლექსებით იკვებებოდნენ. იყო დრო, ერთად დადიდენ სოფელში. ახლა გაურბის გაფერმკრთალებული მეგობარი. არადა, პირველმა დედამ იცის, რომ დახმარება ჭირდება. ერთი ის მოახერხა, რომ ღონისძიებებზე გამოიყვანა. შერცხვა ალბათ მეგობრის. მან ძალიან კარგად იცის, რომ მის მეგობარს, მეუღლე შვილი, ხუთი ძმა, ძმიშვილიშვილი (დათა) ცაში ჰყავს და ფერმკთალ სახეზე ცრემლის კურცხალი გადმოაგორა და მდუმარედ გამოჰყვა. გამოჰყვა, რადგან ის ხომ სიკეთის ყვავილია. მეგობარმაც ამ პატარა გასაღებს მიაგნო, გადაატრიალა და კვლავ სხვის საამებლად მზის შუქზე გამოფინა მისი ფერწასული სახე. ისევ სხვისი სიხარული წამოაყენებს მეგობარს, იცის მისი თვისებები. თუ ამ სურათს შეხედავთ, ამ ორი დედის სახეზე ბევრ რამეს ამოიკითხავთ, გულში ჩახედვა აღარ დაგჭირდებათ. უკვე დროა გავაამხილო ჩემი თავი. პირველი დედა (ცისკარელი) მე გახლავართ. სააშკაროზე ეს, სურათები იმიტომ გამოვიტანე, რომ ჩემს თავს უნდა ვასწავლო ბრძოლა. აქ სევდა მეტყობა, არ უნდა მეტყობოდეს. ამას შემატყობს, ჩემი ფაქიზი მეგობარი და ვუფრთხულდები მის სუსტ ფაქიზ გულს. ჰო, ვუფრთხილდები. უნდა გავიმარჯო. გავიმარჯვებ, ღმერთი დამეხმარება!

ისტორიული დღე

ათ ნოემბერს აჭარიდან დამირეკა ქალბატონმა ნანა მომცელიძემ აჭარის რეგიონში, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა. ფერეიდანელი ბატონი სოსო მიქელაძეა ჩამოსული. თერთმეტ ნოემბერს თბილსში იქნება და შეიძლება აკადემიაში შემოიაროსო. ბატონი სოსო მიქელაძე, ბატონი სულიკო ანთაძის

რეკომენდაციით მოხვდა აკადემიაში, ის აკადემიის წევრია. სწორედ ბატონი სულიკოსგან გავიგეთ, თუ რამხელა დიდ საქმეს აკეთებს, ბატონი სოსო ფერეიდანში. ის ქართულს უფასოდ ასწავლის ქართველებს. ბევრ სოფელში ფეხით დადის, რათა ქართული ენა იცოდეს ქართველებმა. ფერეიდანში ოთხასი წელი ისე გავიდა არ ყოფილა შემთხვევა ქართველს ქართველი რომ მოეკლა. აი, როგორი სულის ქართველები ცხოვრობენ ჩვენგან შორს, ფერეიდანში. გამახსენდა ჩემი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის ლექსი, რომელიც ოცდაერთი წელია ზეციდან დაყურებს თავის საყვარელ საქართველოს. ამ ლექსის სათაურია

დღეს მწერალთა კავშირში

დავით სხირტლაძემ გერმანიაში დაამთავრა, სამედიცინო უნივერსიტეტი. ბატონი დავითი მუშაობდა, ამერიკაში სადც ის დაეუფლა ექიმის პროფესიას. მას არ აკლდა, სახელი და ფული. შეეძლო დარჩენილიიყო ამერიკაში, სადაც უკვე რიგი იდგა პაციენტების, მაგრამ გულმა საქართველოსკენ გამოუწია.

დავით ექიმი მაღალკვალიფიციურია თავის დარგში. ჩემი შვილის სისხლის ზიარი, ჯერ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიაში მოვიწვიე და შემდეგ, როგორც პოეტს რეკომენდაცია გაუკეთე მწერალთა კავშირში. დღეს მისთვის ეს დღე საინტერესო იმითაც იყო, რომ გვერდს უმშვენებდა, ულამაზესი დაიკო, ხათუნა სხირტლაძე და ახლად შერთული უნიჭიერესი მეუღლე მაია თავაძე და მოყვარე ბექა თავაძე, რომლის საუბრის კლასიკურობამ ყველა მოხიბლა. ღონისძიებას ესწრებოდა ექიმი და მწერალი ირმა კეკელიძე. ღონისძიება გახსნა მამა ამირანმა და დასასრულს უამრავი წარმატებები უსურვა ახლად შეუღლებულ წყვილს. ლამზირა შეყილაძემ თაცისი მშვიდი და გაწონასწორებული ტონით უფალს შეავედრა. ულამაზესი ექიმი (პოეტი) და დღეც ლამაზი ფერებით დასრულდა.

ღვთის გზით შევხვდი

(დავით სხირტლაძეს)

ჩემი შვილის მოსახელე დავითს,
ღვთის გზით შევხვდი, მე სიკეთის მგზავრთან,
რომც იცხოვროს თოხითა კავით,
მაინც მშვიდად გაუღიმებს ზამთარს.
ექიმს, მარჯვენს უკოცნიან ხშირად,
ლოცავენ და აღმერთებენ გულით,
ბევრიც ვიცი მონათლავენ გმირად,
მომაკდავს, რომ დედასავით უვლის.
ლექსიც სტუმრობს,პოეტია რადგან,
ნათესავიც, ჩემი შვილის სისხლის,
ჰოდა, ვლოცავ მის ჯიშსა ნაგრამს,
მტერს დავითი ნიჭით გამომისხლის!

❤ ❤ ❤ ❤ ❤

,,ფერეიდანის ნათქვამი“

ჭია-ჭია მაპოვნინე საქართველო!
თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს,
სხვისმა მიწამ ამომთუთქეს ფეხის გული,
დარდი ღმუის ჩემნაირთა, განა მღერი?!
ჭია– ჭია მაპოვნინე საქართველო!
მზე შინა და მზე გარეთა სად ვიხილო,
დავიშლები დარდებად და ერთგულებად,
თბილისმა, რომ ერთხელ გულში ჩამიხუტოს,
ცოლი ტირის ბავშვმა ენას მოუკიდა,
სხვა რა გინდა რანაირი საპყრობილე,
ჭია– ჭია,მაპოვნინე საქართველო,
მე შენ დედას, ჩემს დედასაც გაპოვნინებ!

ბატონი სოსო მიქელაძის მოსვლამ გამახსენა ეს ლექსი, რომელიც დაწერილია მიახლოვებით ალბათ ოცდაშვიდი წლის წინათ. ახლაც იგივე მდგომარეობაა, ბეჟან, ფერეიდანელები თუ ჭია-მაიებს ევედრებიან, ჭია-ჭია მაპოვნინე საქართველოვო, ახლა საქართველოში ამ მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა. დაიცალა საქართველო, ყოველი მეორე ოჯახში ემიგრაციაში წასული მეტი წილი ქალბატონები, უმძიმესი შრომის შედეგად ოჯახებს არჩენენ. დაუბრუნდეთ სასიხარულო თემას. თერთმეტ ნოემბერს, ბატონი სოსო მიქელაძე ოჯახით გვეწვია აკადემიაში. შეხვედრამ სიხარულის კულმინაციას მიაღწია. იყო ცრემლები, აზრთა გაზიარებები, და სამომავლო გეგმებზე საუბარი. ბოლოს, პოეტებმა: – ეთერ ჭელიძემ, შორენა მამალაშვილმა, ლამზირა შეყილაძემ, ეთერ ლობჟანიძემ, პოეზიის ცეცხლის ალში აქარიშხლეს ფერედანელი ქართველი. დიდება უფალს ყველაფრისათვის. თერთმეტ ნოემბერს, თვით უფალი იყო ყველას გულში ჩასახლებული. დღეე მიილია, ჩვენი საყვარელი ქართველები გავისტუმრეთ. ცოტა ხნით ვდუმდით, სათქმელი ბევრი გვქონდა და ერთმანეთს ფიქრის გაანაალიზებაში ხელს არ ვუშლიდით. კარები გაიღო და მოქანდაკე და ხატმწერი ბატონი გელა ლარიაშვილი შემოვიდა. ეს ის გელაა, რომელიც ჩემს ძმას არ იცნობდა და სიზმარში ნახა, მთარის შუქზე ესკიზი შექმნა და ბოლოს ძეგლად ჩამოასხა.დიდება უფალს ყველაფრისათვის. მართლაც და დაუვიწყარი დღე იყო 2022წლის 11 ნოემბერი!

გულებს ვარიგებ

ხალხთა სიძულვილს გავექეცი. ვიარე, ვიარე და ცხრა მთა გადავიარე. ერთ სახელმწიფოში შევედი, დაღლილ-დაქანცული ხის ჩრდილის ქვეშ ჩამოვჯექი. გზაზე ცხენის თქარათქურის ხმა

მომესმა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. სხვა რა გზა მქონდა ვიჯექი და ვიყავი ერთ ადგილზე. ვხედავ ცხენზე კაცი კი არა, ქალი ზის. მომიახლოვდა თუ არა მკაცრად დამიყვირა. აქ ჩემი სამფლობელოა, როგორ გაბედე და მოხვედიო. ხმას არ ვიღებდი, ცხენიდან ჩამოხტა და შემანჯღრია, ხელში რაც სიმდიდრე მქონდა ძირს დაიყარა (წიგნები). ქალბატონმა, მოწიწებით წამოკრიფა გვერდით მომიჯდა და მითხრა: მწერალი ხარ? კი, რაღაცას ვჯღაბნი. ჩემი, სულის ტაძარი“ გადაშალა, ლექსებს შეავლო თვალი, მერე პროზას ჩაუკირკიტა და აღფრთოვანებულმა წამოიძახა. საპატიო სტუმარი ხარ! წაიკითხა ერთი ლექსი მეორე. უჰ! რამდენი დარდი გქონია. ამას ერთი გული რას გაუძლებს. აჰა, წაიღე ეს გულები და წადი შენს ქვეყანაში. აქ, მხოლოდ სიყვარულია და ვერ გაგაჩერებ. შენშიც იქნება არ მიმტევებლობა. ამიტომ, აქ, შენი ადგილი არ არის. ბევრი ვემუდარე, კეთილი ვარ. ყველას ვეფერები, მაგრამ არ დამიჯერა. ანდა კი რას ვემდურები სიყვარულის ქალღმერთს. ვისაც თან ვყვები, ვისაც ყველაფერი ვაპატიე იმას ვერ გავაგებინე, რომ წუთია ეს წუთისოფელი. გვიყვარდეს ერთმანეთი და სიყვარულის ქვეყანაში მე, რას დამტოვებდა. მე, ხომ სიძულვილის ქვეყნიდან ვიყავი. გზა ჯვარედინამდე მომიყვანა და მითხრა. აჰა, წაიღე ეს გულები და კარგა ხანს გეყოფაო. შენ იმხელა დარდი გქონია როგორ უძლებო. წამოვიღე ნაჩუქარი გულები და მარტო მე რად მინდა.მოდით ჩემო ძვირფასებო, უნდა დაგირიგოთ. ვიცი, რომ ჩემნნარი გულნატკენი ბევრი ხართ. მოდით წაიღეთ, იმ პირობით, რომ შიგ ბოღმა არ მოათავსოთ!! !

გზაჯვარედუნზე ნაჩუქარი გულებით დავდექი. ფიქრში ვაანალიზებ, რომ გული არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცე ბოღმიან ადამიანს. კეთილი გული ცოდვაა, დავადდება და გარდაიცვლება. ამ შემთხვევაში, მე ცოდვას ჩავიდენ და უფლის სამჯავროზე, რომ წავრსდგები ვინ იცის, რა განსაცდელები შემხვდეს. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ვიარე, ციარე და შემომაბინდდა. ცოტახანს შევჩერდი. ძალიან ჩქარე მთვარე ამოვიდა და სიარულის გაგრძელება შევძელი. ხმა შემომესმა, ქალბატონო, მომეცი ერთი კეთილი გული. ამდენი უსამართლობით, ტკივილით, ლამისაა, სული ამომძვრეს. წმინდანივით ვცხოვრობ, ოჯახი არ შემიქმნია. ასაკიც მომეტა. ძმიშვულები და დისშვილები კი მყავს, მაგრამ ერთს, რომ რაღაცას მივცემ მეორე უბრად დადის. ჩემზე მეტ პატივს იმას ცემო. ლამისაა შუაზე გამწიწკნონ. ეს ჩემი ნაჯაფ– ნაწვალები გული ნერვილობით დადნა. ერთი გული ამოვიღე და გაუწოდე ალალად. შევხედე და დანარჩენი გულები ხელზე ისე მიეკრნენ, ვეღარ მოვაცილე. გულებს გაუწყერი, რას აკეთებთ, მაგასთან ამდენი, რომ რჩებით, სხვას რაღას შეხვდება? ქალბატონო, ერთად ალაპარაკდნენ გულები. ამ ქალბატონს იმდენი შემწუხებლები ჰყავს ერთი გული არ ეყოფაო. გავჩუმდი. დუმილი ქარის ზმუილმა დაარღვია. მთვარე გაქრა. ატყდა ჭექა-ქუხული. ცოტა უსაფრთხოდ, რომ ვყოფილიყავი, მუხის ტოტებს შევაფარე თავი. მეხი ჩამოვარდა. მუხას ჯერ ერთი ტოტი მოატეხა და მერე მეორე. დარჩა ტოტებჩამომსხვრეული მუხა. თვითონ კი გადარჩა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი დაკარგა. გოგონაც აღარსად ჩანდა. კალთაში ჩაგროვილი გულენი შიშით ცახცახებდნენ. გადავწყვიტე გულები სასწრაფოდ დამერეგებინა და მშვდობის მტრედის საძებნელად წავსულიყავი. მთავარი მაინც მშვიდობა ყოფილა. გზა განვაგრძე. მშვიდობის მტრედი უნდა ვიპოვნო!!!

წვიმა შეწყდა. აქ– იქ ისმოდა ქუხილის ხმა. თვალი შევავლე ტოტებ ჩამოლეწილ მუხას და კალთაში ჩალაგებულმა გულებმაც კვნესა დაიწყეს. დავამშვიდე აფორიაქებული გულები და გზა გნვაგრძე. ვხედავ ორი სახელმწიფო ერთმანეთს თვალებით ბურღავენ. შევატყვე, რომ რაღაცას ვერ იყოფდნენ. ერთი ეუბნებოდა მეორეს, რაღა გინდა, რაც წასაღები იყო წაიღე. რა წაივიღეო თეთრი დათვის ქვეყანამ შეუღრინა. რა წაიღე და კარგი ტოტები მოამსხვრიე მუხას და შენს განკარგულებაშია. გინდა დაწვამ და გინდაც გადაყრიო. კიდევ მინდაო, ისევ შეუღრინა თეთრი დათვის ქვეყანამ. რა გაუმაძღარი ყოფილხარო უთხრა მეორემ. დგას მუხა, სრულიად დაუცველი უპატრონო და იმედგაცრუებული. გულებმა კალთიდან ამომძახეს. უკან დაბრუნდი, ჩვენ შენთან ერთად ვიბრძოლებთ სიყვარულისთვის. როგორი გამყინვარება ჩამოწოლილა საქართველოში. ეს, ორი ძალა, ახლა ისე უკაწკაწებენ ერთმანეთს კბილებს, ისინი თითონ დაჭამენ ერთმანეთს. უცებ ღრუბელი გაქრა. ლურჯი კაშკაშა ცა გამოჩნდა. ვხედავ, თეთრ ხელებს, ასეთი ქათქათა ხელები არასდროს მინახია. გაშლილი ხელიდან მტრედები ამოფრინდა. დაბრუნდი უკან, რას გიშველის მშვიდობის მტრედი ისევ გამიმეორეს გულებმა. ჩვენ ჩაგვასახლე თითეული ქართველის გულში და სიყვარული გადაარჩენს საქართველოსო. დაუჯერე გულებს და მოვბრუნდი. მტრედი მაინც წამოვიყვანე, თავდაცვის მიზნად!

რას საუბრობს ქალბატონი მაყვალა, მამა ამირანზე.

ზაფხულის თბილ დღეს, როცა ცხრა თვალა მზე, თბილისის უბნებს თავის ოქროსფერ სხივებში ანებივრებდა. ფრთახატულა პეპლები ლამაზად მოვლილ სკვერებს თავს დატრიალებდნენ. უეცრად, თითქოს ცა გაიხსნა და ამოვარდა გრიგალი ქარი (ქარიშხალი). ლამაზი სურათი მტვრის ბორიაყმა შეცვალა. ქარი ისეთი სიძლიერით დაძრწოდა, წლობით დარგულ გაშენებულ ხეებსაც მიწვდა. ზოგს ტოტი ჩამოაცალა და ჰაერში ბურთივით აათამაშა. ზოგი ხე მთლიანად ამოგლიჯა და მისი

სიცოცხლე გარდაცვალებით დაამთავრა. არც ჩემი სახლის ფანჯრები დაინდო და დაუპატიჟებელი სტუმარივით სახლში შემომეჭრა. დაუნდობელმა ქარმა ჩემი ფანჯრა გამოგლიჯა და მიწაზე დაანარცხა. ეს ის კუთხე იყო, სადაც მამაოს ხატი საგანგებიდ მქონდა განთავსებული. შიშით თვალები დავხუჭე, ვიგრძენი რომ ჩემი სახლიდან გადავარდნილი მინა ვიღაცას დაეცემოდა და რაღაცა უბედურება მოხდებოდა. სახლის კარები გამოვაღე, აღარ ვფიქრობდი იმაზე, თუ მე რა შეიძლებოდა ამ გრიგალში დამმართნოდა. მხოლოდ ის მიტრიალებდა გონებაში, თუ ჩემი ფანჯრის მინამ ვინმეს ზიანი მიაყენა უნდა მეშველა. კიბები სწრაფად ჩავირბინე და ჩემს წინ ასეთი სურათი გადაიშალა. მამა ამირანის ნაჩუქარი ხატი უდარდელდ იყო შუშის ნამსხვრევებში. ისე ლამაზად იყო განთავსებული თითქოს რაღაცა უხილავმა ძალამ ხატი მხსნელად გამოაყოლა ქარიშხალს და დაიცვა ის ვინც იმ პერიოდში ახლო– მახლო იმყოფებოდა. პირჯვარი გადავიწერე და ერთხელ კიდევ ვირწმუნე ღვთის ძალა. მამა ამირან ამირანაშვილი, ამაღლების ეკლესის წინამძღოლია, ის, ჩემი (მამაოა), რომელსაც აღსარებას ვაბარებ და ძალიან დიდ პატივს ვცემ. დაასრულა ქალბატონმა მაყვალამ საუბარი და სიამაყით გამახსენდა 2021 წლის ხუთი მაისი, როცა მამა ამირანმა, ჩემი საგვარეულოს ლომისის წმინდა გიორგის ხატის წინ, სულიერ დად მაკურთხა. ახლა კი თავს უფლებას ვაძლევ და ვულოცავ ამ ღვთის კურთხეულ ქალბატონს დედა პოეტს, ჩემი აკადემიის წევრების სახელით რუსთაველის პრემიას. მადლობა ყველა იმ პიროვნებას ვინც ქალბატონი მაყვალა გონაშვილის სიტყვები გულში ლამპრად აინთო. „საქართველოში ას გზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი“. ეს, ის ქალბატონია, რომელმაც დიდი მოგზაურის, მსოფლიო მოქალაქის, თოთხმეტჯერ გინესის წიგში შესული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიას, სიყვარულის აკადემია უწოდა. ეს ის აკადემიაა, რომელიც ბატონი ჯუმბერის სოცოცხლეში დაარადა. მეუფე მირიან იორამაშვილის ლოცვა კურთხევით და რომ მიაბიჯებს წინ ეს უფლის მადლია. მეუფე მირიანი განისვენებს სიონის ეკლესიაში, სადაც ძალიან ხშირად ღონისძიებას ვატარებთ და სადაც მე და ქალბატონ ლამზირა შეყილაძეს სასწაული არა ერთხელ გვინახია. ამ ფაქტის მოყოლას, ახლა თავს ავარიდებ. ამჟამად ამ აკადემიის მლოცველი და მკურთხეველი არის მამა ამირან ამირანაშვილი. დღეს ნინობაა. მეთორმეტე წელიწადია, ბატონი რეზო ადამიას წმინდა ნინოს ხატით გამოდის, სამას გვერდიანი, სამეცნიერო შემეცნებითი ჟურნალი „ათინათი“. ნომერი არ ჩავარდნილა, რადგან მას წმინდა ნინო იცავს. დავლოცავ ყველას და დღევანდელ დღეს „ნინობას“ მიულოცავ საქართველოს.

უფალთან სიახლოვე

როგორ ივსები, როცა გრძნობ, რომ შენშია უფალი. ქალბატონი მაკა დიდებულუძე . თავისი უბრალოებით და უფალთან სიახლოვით გამოუირჩევა. ჩემთვის ცუდი ადამიანი არ არსებობსო ხშირად ამბობს ქალბატონი მაკა. გაჩნდე ადამიანად და თან ქართველად ეს ფუფუნებაა. გაჩნდე

და გაიზარდო იმ მიწაზე, რომელი მიწაც ღვთისმშობლის წილმხვედრია. ეს მთელი კაცობრიობის სიმდიდრეს გადაწონისო. და მართლაც, ლეგენდები კი არა და ჩვენ თვალ წინ ხდება იყო და არა იყოს ბედისწერისგან უკუღმა დატეიალუბული წისქვილები. ჰოდა, ყველაფერი კარგად იქნება, არის გაბატონებული ქალბატონი მაკას გულში და ამიტომ იყო, რომ ერთი პატარა იმფორმაციით სასწრაფოდ ჩამოვიდა ამაღლების ეკლესიაში. მამა ამირანია ამაღლების ეკლესიის მოღვარი. მამა ამირანმა და მამა დავითმა დალოცა, ქალბატონი მაკა და თან ლოცვა კურთხევით მადლი გააყოლა ასი წელი სიკეთის საკეთებლად.

თამარის და ლომისის ხატი

ლომისის წმინდა გიორგის ხატს ვთხოვე ჩემი საყვარელი ხალხის მფარველობა და ჯამრთელობა. ლოცვა დავამთავრე და გადმოვინაცვლე თამარ მეფის ხატთან. კარგა ხანს მომიწია ყოფნა, რადგან ბევრი რამე მქონდა სათხოვარი. ძალიან ბევრი უნდა მესაუბრა მასთან. უნდა მეთხოვა ყველაზე საყვარელი ადამიანის ბედნიერება, რომელსაც თამარი ქვია. წინა დღით ეს სანთლები და საკმეველი გამომიგზავნეს საბერძნეთიდან. ვინც გამომიგზავნა მასაც თამარი ქვია. ყველა თამარი დავლოცე. განსაკუთრებული ყურადღება იმ თამარის დაუთმე ვინაც ბებიაობას მაზიარა და ისე მომეკრა რომ ჩემ თავს აღარავის უთმობდა. მხოლოდ მისი უნდა ვყოფილიყავი. ორი სანთელი ავანთე, ერთი სანთლების გამომგზან თამარს და ყველა თამარის სალოცად გადავაქციე და მეორე ჩემი თამარისი იყო. სანთელმა თავში გაიკეთა ბეჭედი და შეკრა პირი. ისე ლამაზად და განსხვავებულად იწვებოდა ბევრის ყურადღება მიიპყრო ბევრმა სურათიც კი გადაუღო. ღმერთო, ლომისის წმინდა გიორგი ჯამრთელად მიმყოფე ჩემი შვილი დავითი თავისი ცოლშვილით.ჩემი გელას ცილშვილი და სისი შვილიშვილები, სიძეები. ბედნიერად მიმყოფე ყველა ხარაიშვილი, რადგან ეს ხატი ხარაიშვილების საგვარეულო ხატია. თამარის ხატს კი ჩემი შვილიშვულების ჯამრთელობა და ბედნიერება ვთხოვე, ჩემი თამარის თამადობით.

\

შორენა მამალაშვილი

სისხლი გვავალებს...

ახალი, 2022 წელი „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიისათვის“ ახალი გამოწვევებით დაიწყო.

11 იანვარს, აკადემიის დიდ ოჯახს ფერეიდნელი ქართველი, სოსო მიქელაძე (ჰოსეინ მიქელანი) შემოუერთდა. შეხვედრაზე მან წარმოგვიდგინა საკუთარი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო – „ფესვები“ და უკვე გამოსაცემად გამზადებული, საქართველოს ისტორიის სპარსულენოვანი თარგმანი.

სოსო მიქელაძესთან მეტად საინტერესო, ხანგძლივმა საუბარმა შთაგვაგონა ჟურნალ ,,ათინათში“ გაგვეკეთებინა რუბრიკა, რომელიც ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შესახებ მოგითხრობთ და მათი ღვაწლისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ მოგაწვდით ინფორმაციას. იმავე შეხვედრაზე გადაწყდა რუბრიკის სახელწოდება ყოფილიყო: ,,სისხლი გვავალებს“. ვინაიდან სწორედ ჩვენი სისხლისმიერი ერთობა გახლავთ უმთავრესი მოტივი, რომ სიყვარულისა და დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს.

ჩვენ გვჯერა, რომ ეს ახალი წამოწყება იქნება კიდევ ერთი გზა სიყვარულისა და თანადგომისა საქართველოდან ფერეიდნამდე და კიდევ ერთი აგური, ქართული სულის ტაძარის უკვდავებისათვის.

ქართული სისხლის და გენის ზეიმი მწერალთა სახლში

15 იანვარს „მწერალთა სახლმა“ ფერეიდნელ ქართველს, სოსო მიქელაძეს უმასპინძლა. შეხვედრა გაიმართა „საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავჯდომარის, ქალბატონ მაყვალა გონაშვილისა და „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის“ პრეზიდენტის, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ერთობლივი ძალისხმევით.

ბატონი სოსო მიქელაძე, წლების განმავლობაში ასწავლის ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და დამწერლობას. როგორც თავად აცხადებს, მეოთხე კლასში იყო, როდესაც პირველად გაიგო ქართული ენის დამწერლობის შესახებ და მას შემდეგ კიდევ უფრო გაუღრმავდა ინტერესი მშობლიური ენის მიმართ. იგი დღემდე ინტერესით სწავლობს და იკვლევს ქართული გრამატიკის მეტად რთულ და თავისებურ სტრუქტურას. 2018 წელს, თეირანში, მისი ავტორობით გამოიცა სახელძღვანელო – „ფესვები“, რომელიც გახლავთ ქართული ენის თვითმასწავლებელი სპარსულენოვანთათვის. აღნიშნულმა წიგნმა, ქართული ენის სპეციალისტთა მაღალ შეფასება და მოწონება დაიმსახურა. წიგნს წამძღვარებული აქვს ავტორის სიტყვები: „ამ წიგნის შედგენას ვუძღვნი ყველა ქვეყნის იმ ღირსეულ შვილებს, რომლებიც იღვწიან საკუთარი ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად“. ქვემოთ მოსდევს ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის ლექსიდან „ვუმღერ სამშობლოს“.

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები“!

ვეცნობით წიგნს და აღტაცებულნი ვრჩებით, რაოდენ დიდებული ოსტატობით შეუდგენია ავტორს ორმოცდათერთმეტი გაკვეთილისაგან შემდგარი სახელმღვანელო. მასში შეუტანია, ერთი მხრივ, ქართული გრამატიკის ძირითადი საკითხები, ხოლო მეორე მხრივ — სულხან-საბას, შიო მღვიმელის, ვაჟა ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ლადო ასათიანის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. წიგნის დასასრულს მოცემულია ქართულ-სპარსული ლექსიკონი და ქართულ ზმნათა ძირითადი ფორმები. კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტი, რომელზედაც ბატონი სოსო მუშაობს, გახლავთ კახა შენგელიას ავტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ სპარსულ ენაზე თარგმნა. მისი მიზანია, ამ წიგნით დაასრულოს ის გაურკვევლობა, რომელიც ირანში არსებობს, კერძოდ გავრცელებული აზრი, თითქოს საქართველო ირანის ისტორიული ნაწილი გახლდათ, რომელიც მოგვიანებით, ირან-რუსეთის ომის შემდეგ გადავიდა რუსეთის შემადგენლობაში. სწორედ ამ დიდი შრომისა და ღვაწლის დაფასება გახლდათ ის ჯილდო, რომელიც მას ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა გადასცა. ბატონ სოსოს „ქართული კულტურის დესპანის“ წოდება მიენიჭა.

აღნიშნული შეხვედრა მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა და აკადემიის წევრების: ლამზირა შეყილაძის, თემურ გოგსაძის, ეთერ ჭელიძის, შორენა მამალაშვილის, ხათუნა ელიაშვილის, მზია ელიაძის, დავით სხირტლაძისა და მალხაზ ჩხიტუნიძის გამოსვლებით გაგრძელდა. შეხვედრას ესწრებოდა „საქართველოს მწერალთა კავშირის“ პრესსპიკერი, ქალბატონი მანანა გორგიშვილი, რომელმაც ფერეიდანში მოგზაურობის ეპიზოდები გაიხსენა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები გავიზიარა. სიტყვით გამოვიდა სრულიად საქართველოსთვის საყვარელი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი ერეკლე საღლიანი. ბატონმა ერეკლემ ამომწურავად შეაფასა ფერეიდნელ ქართველთა ისტორიული როლი და მნიშვნელობა და მუხლის მოდრეკით გამოხატა ფერეიდნელთა მიმართ უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა. დასასრულს, ბატონმა სოსო მიქელაძემ მადლობა გადაუხადა ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილსა და იქ მყოფ საზოგადოებას და შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: „უღრმესი მადლობა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ამ დაფასებისთვის, მადლობა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და ბატონ სულიკო ანთაძეს გაწეული რეკომენდაციისთვის!. მართლაც ძალიან მძიმე ტვირთი იქნება ჩემთვის ვატარო წოდება, რომელსაც საქართველოს დიდ ქართველები ღირსეულად ატარებდნენ... მოკლედ, ძალიან დიდი ნდობა და დავალება მივიღე, ვეცდები ღირსეულად ვზიდო ეს ტვირთი...

როცა ამდენ დაფასებას ვხედავ, იმედი მესახება, რომ დღეს ასეთ ჟამს, მოიძებნება ადამიანები, რომლებიც სტიმულს გაძლევენ, რომ ცხოვრება გააგრძელო, აკეთო, რაც შეგიძლია, არ შეჩერდე! სწორედ თქვენისთანა ადამიანები გადაარჩენენ ქართულ კულტურას, ქართულ ენას, მამულს, სარწმუნოებას...

ერთხელ კიდევ მადლობა ამ უნიჭიერეს, უფლისგან მოვლენილი ადამიანებს!“

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა

იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 აკადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების

განგრენით. 1986-1987 წლებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები. 1987-1990 წლებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი. 1990-1992 წლებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში. 1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი: 9 წელიწადი და 3 თვე; სულ 111 თვე, ანუ 476 კვირა, ანუ 3333 დღე.

ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასხმა მოეწყო:

1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა. მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.

15-მდე ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო

6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში. 1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ.

ფიზკულტურა და სპორტი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობისსაერთაშორისო
მრავალდარგობრივი აკადემიის პრეზიდენტს
ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

ქალბატონო გულნაზ,
გიგზავნით ველოსპორტის განვითარების საერთაშორისო, რესპუბლიკური და რეგიონალური განვითარების ისტორიულ მონაცემებს. ვფიქრობ, აღნიშნული მასალით კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჯუმბერ ლეჯავას, როგორც საერთაშორისო ველო-მოგზაურის ავტორიტეტს.

ჯემალ არობელიძე

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი დაარსთა 1900 წლის 14 აპრილს, პარიზში (საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: აშშ, ბელგია, იტალია, საფრანგეთი და შვეიცარია. აერთიანებს 159 ქვეყნის ფედერაციასა და 5 კონფედერაციას.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია დაფუძნდა 1992 წლის 13 მარტს. 1992 წლიდან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირისა (UCI) და ევროპის ველოსპორტის კავშირის (UEC) წევრია. პრეზიდენტები: ომარ ფხაკაძე (1992-1993). ბიჭიკო ასკურავა (1994), ემზარ გელაშვილი(1999), შალვა საღარეიშვილი(1995), იოსებ გოცირიძე(მოვალეობის შემსრულებელი, 1996-1998), ბესარიონ ნადირაძე (1998 წლიდან).

აჭარის ველოსპორტის ფედერაცია შეიქმნა 1992 წლის 23 სექტემბერს.

პრეზიდენტები: რევაზ ცეცხლაძე(1992-2005), გიორგი საყვარელიძე(2005-2009).

მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში იმართება 1893 წლიდან. საგზატკეცილო რბოლაში– 1927 წლიდან, ველოკროსში -1950 წლიდან.

ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1896 წლიდან —კაცები, 1984 წლიდან-ქალები.

ველოსიპედის, როგორც თვითმძრავი ორთვლიანი მექანიზმის ისტორია, XIX საუკუნიდან იწყება, თუმცა არსებობს 1493 წლით დათარიღებული, რომელზეც გამოსახულია ველოსიპედის მსგავსი მექანიზმი და ეკუთვნის გეონარდო დავინჩის მოსწავლეს, ჯიაკომო კაპრიოტის. თვით გეონარდო და ვინჩიმ მიაგნო ჯაჭვური გადაცემის პრინციპს (აღწერილია 1435 წელს შესრულებულ ნახატზე). მაგრამ ეს აღმოჩენა მხოლოდ ხუთი საუკუნის შემდეგ განხორციელდა. საეჭვოდაა მიჩნეული ფრანგი კომტ დე სივრიკის განცხადება, რომ მან 1791 წელს გამოიგონა ორთვლიანი მექანიზმი, რომელსაც "ცელერიეფერი" დაარქვა. დანამდვილებით ცნობილია, რომ 1817 წელს გერმანელმა კარლ ფონ დრეიზმა შექმნა "Laufmaschine" (მრბოლი მანქანა), რომელსაც პრესამ ჯერ — დრეზინა, შემდეგ კი — ველოსიპედი უწოდა. ფონ დრეიზის თქმით, ხის ორთვალა მექანიზმის, როგორც ცხენის ერთგვარი შემცვლელის. გამოგონება 1816 წლის გვალვამ და შიმშილმა განაპირობა. 1817 წელს მანჰაიმში მან თავისი ორთვალათი13 კილომეტრი ერთ საათზე ნაკლებ დროში დაფარა. 1860-იან წლებში, საფრანგეთში ველოსიპედის წინა ბორბალს პედლები გაუკეთეს. ექსპერტებს ჯერაც არ აქვთ დადგენილი, თუ ვის ეკუთვნოდა ნოვატორული იდეა — Ernst მიშოს, პიერ ლალემენტს, თუ ალექსანდრ ლეფევრს.

1879 წელს ინგლისელმა ჰენრი ლიუსონმა შექმნა ველოსიპედი ჯაჭვური გადაცემით, 1888 წელს კი ჯონ ბოიდ დანლოპმა — პნევმატური საბურავით. XIX საუკუნის ბოლოს ველოსიპედმა კონსტრუქციული თანამედროვე სახე მიიღო.

ველოსპორტის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1868 წლის 31 მაისი, როცა პარიზში(პარკი სენ-კლუ) პირველი რეგისტრირებული რბოლა გაიმართა 2 კილომეტრზე. გაიმარჯვა ინგლისელმა ექიმმა ჯეიმს მურმა, რომელმაც ერთი წლის შემდეგ პირველი საგზატკეცილო რბოლა მოიგო: პარიზ-რუანის 120 კილომეტრიანი ტრასა საათში საშუალოდ 12.4 კმ. სიჩქარით გაიარა. ველოსპორტში პირველ რეკორდსმენად ითვლება, ასევე, ინგლისელი სპორტსმენ დოდსი. მან 1876 წლის 25 მარტს 1 საათში 25 კმ და 508 მ. დაფარა.

ტრეკზე პირველი ველორბოლა ინგლისში 1969 წელს მოეწყო. იმდროინდელი ტრეკი იპოდრომის ტიპის, ოვალური მინდორი იყო. მოგვიანებით შენდებოდა თიხის, წიდისა და ბეტონის საფარიანი ტრეკები 20-35-გრადუსიანი ვირაჟებით. XIX საუკუნის მიწურულს ველოსპორტი სწრაფად განვითარდა ევროპის მრავალ ქვეყანაში, ამერიკასა და ავსტრალიაში. გერმანიაში, ამერიკასა და ავსტრალიაში. გერმანიაში პირველი ველოშეჯიბრება 1882 წელს მოეწყო, რუსეთში — 1883 წელს.

1970-იან წლებში ველოსპორტის ცალკეულ სახეობად ჩამოყალიბდა მაუნთინბაიკი ანუ სამთო დაშვება, რომელიც აერთიანებს სამთო რბოლის ძირითად დისციპლინებს(მთიდან სწრაფ-დაშვება, რბილა დასერილ ადგილებში, წინაღობის გადალახვა, მთაზე ასვლა, ტრიუკები, ხტომები). პირველი სპოეციალური სამთო ველოსიპედი ამერიკელმა კონსტრუქტორმა გარი ფიშერმა დააპროექტა. მანვე დაიწყო ამ ველოსიპედის სერიული წარმოება.

მსოფლიო ჩემპიონატები იმართება 1969 წლიდან. 1996 წელს კი სამთო დაშვება ოლიმპიური სახეობა გახდა. ველოსიპედისტთა ტურნირები ყველა ოლიმპიადის ნაწილია. 1896-1924 წლებში შეჯიბრების პროგრამა არაერთხელ გადაისინჯა. მაგალითად, პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 6 დისციპლინა იყო, მეორეში — 1, მესამე კი -7.

1928-1992 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა: 1996 წლიდან დაემატა ქალთა და კაცთა საგზატკეცილო ინდივიდულაყური რბოლა და სამთო ველოსპორტი, დისციპლინების რაოდენობა 14-მდე გაიზაედა. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იყო ფრანგი პაულ მასონი, რომელმაც მოიგო ჰიტი ადგილიდან, სპრინტი — 2000 მ და რბოლა — 10000 მ. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონია მარკუს ჰერლი(აშშ), 3-3 ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული დანიელ მორელონს, პაულ მასონს და ფლორიან როულლ(სამივე საფრანგეთი).

საქართველოში ველოსპორტი XIX საუკუნის ბოლოს შემოვიდა, როცა თბილისში, დიდი მთავრის (ახლანდელი დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე პირველი ველოტრეკი აიგო. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი და დამფინანსებელი იყო ცნობილი სამხედრო ინჟინერი, თავადი ვასილ ჯორჯაძე(1856-1927). ტრეკის გახსნის ოფიციალურ თარიღად 1892 წელი სახელდება, მაგრამ უსახსრობის გამო არენა მალე დაიხურა. 1983 წელს ტრეკი ვასილ ჯორჯაძეს გამოუსყიდია და ექვსთა ტურნირიც მოუწყვია.

გასული საუკუნის დასაწყისში სახელი გაითქვა ლადო კავსაძემ — პოპულარულმა მოჭიდავემ, საესტრადო და საოპერო მომღერალმა. 1907 წლის 18 მაისს თბილისის ველოტრეკზე გამართულ "გრანდიოზულ ველოსამოტორო რბოლაში" (ასე იუწყებოდა იმდროინდელი აფიშები), კავსაძემ რუსთა სახელოვან სპორტსმენს სერგეი უტოჩნიკს აჯობა და ჯილდოდ 300 მანეთი მიიღო. ამის შემდეგ კავსაძე წარმატებით გამოდიოდა ილერის, ტულის, ხარკოვისა და მოსკოვის ველოტურნირებში.

1916 წელს წარმატებული მრეწველების, ძმები ლგოტაკების შემწეობით, თბილისის ველოტრეკი საფუძვლიანად გადაკეთდა. ლგოტაკები, სხვა საქველმოქმედო საქმეებთან ერთად, ველოსპორტსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ: აწყობდნენ შეჯიბრებებს, აწესებდნენ პრიზებს. ფინანსურად ეხმარებოდნენ ხელმოკლე ველოსიპედისტებს. იმ პერიოდში წარმატებულ მრბოლელად ითვლებოდა საზღვარგარეთის ერთ-ერთი ფირმის "დუქსას" მექანიკოსი ნიკოლოზ გაბრიელობი, რომელსაც არაერთი ცნობილი უცხოელი მეტოქე დაუმარცხებია.

1910-იან წლებში ველოსპორტი ქუთაისშიც გავრცელდა, რასაც ხელი შეუწყო მიხაილოვის (ამჟამად ფალიაშვილის) ქუჩაზე ველოსიპედების საფირმო მაღაზიის გახსნამ. ამ მაღაზიის მეპატრონის, ვლადიმერ ტერკის თაოსნობით საღორიის ტყის მიდამოებში ხშირად იმართებოდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებები. 1930 წელს ქუთაისში დათა ჯავრიშვილის ინიციატივით ველოსიპედისტთა სექცია ჩამოყალიბდა, რომლის მიზანი იყო — შეჯიბრებები ურთიერთშორის: ჩქარ სია-

რულზე, ნელ სიარულზე და ფიგურების კეთებაზე. სსრკ ჩემპიონატებში ქართველთაგან პირველი გამარჯვებები გიორგი ლეჟავამ მოიპოვა, რომელმაც 1939-1945 წლებში ოთხჯერ მოიგო სალიდერო რბოლა. 40-50-იან წლებში გამოირჩეოდნენ ავთანდილ გუნია, არკადი ხაბურზანია, ოთარ დადუნაშვილი, ვლადიმერ ძებნიაური, ედუარდ ჯიმშელეიშვილი. მათი გზა ღირსეულად გააგრძელა ქუთაისელმა სპრინტერმა ომარ ფხაკაძემ, რომელმაც 1965 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ფხაკაძე 10 წლის განმავლობაში ლიდერობდა საბჭოთა ნაკრებში და პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს სპრინტერად ითვლებოდა.

XIX საუკუნის მიწურულს ქალაქის სათათბიროსა და ველოსპორტის საზოგადოებას შორის დადებული ხელშეკრულებით ბათუმში ველოტრეკის მშენებლობისთვის 2700 კვადრატული მეტრი ფართობი გამოყო, რომელიც ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას პროსპექტის გაგრძელებაზე, ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობდა. გადმოცემით, ამ სახეობაში შეჯიბრებები 1902 წლიდან იმართებოდა. 1917 წელს კი უსახსრობის გამო ტრეკი დაიხურა. ველოსპორტის შემდგომ განვითარებას აჭარაში საფუძველი 30-იან წლებში ჩაეყარა, როცა სპორტსაზოგადოება "დინამოს" ბაზაზე ბათუმში პირველი ველოწრე გაიხსნა (1937). 1938 წლის ოქტომბერში მოეწყო პირველი საგზატკეცილო ველორბოლა ბათუმელი და ხულოელი ველოსიპედისტების მონაწილეობით. 1941 წლის ივნისში გაიმართა პირველისაქალაქო შეჯიბრება. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა — ნუნიკიანმა (100კმ, 4.27სთ), ქალებში კი —უსტინოვამ (25 კმ. 1.35 სთ). გუნდურ შეჯიბრებაში "დინამოელმა" ველოსიპედისტებმა იმარჯვეს. 1951 წლის იანვარში ბათუმში ველოსპორტის სექცია შეიქმნა სპორტსაზოგადოება "ტრუდისა" და "ბურევესტნიკის" ბაზებზეც. მომდევნო წელს კი "ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ აჭარაში პირველი ველოსკოლა დააარსა. 1954 წლის მაისში დაწესდა ტრადიციული ტურნირი საგზატკეცილო რბოლაში გაზეთ "საბჭოთა აჭარის" თასზე, რომლის პირველი გამარჯვებული "ბურევესტნიკის" ველოსიპედისტთა გუნდი გახდა (ვაჟები — ი.ადამაძე, ვ.ჩაჩიხინი, ვ.კლარკინი, ვ.სტუპინი, გ.კინწურაშვილი, ნ. ჩხიკვაძე; გოგონები — ნ.წეროძე, ე.კორობკინა, ვ.ველიჩენკო, თ.თვალაბეიშვილი, ე.კონცელიძე). ორი წლის შემდეგ საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარაკიდევ ერთ ტრადიციულ ტურნირს საგზატკეცილო ველორბოლაში, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა. 1950-იან წლების აჭარის ველოსიპედისტთა მიღწევებიდან თვალსაჩინოა ვალენტინე იურკინას წარმატება, რომელმაც 1953 წელს საგზატკეცილო ველორბოლაში(გუნდური პირველობა) სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იმავე წელს იურკინამ ბაკურიანში ქალთა შორის თხილამურებით რბოლაში საქართველოს პირველობაც მოიგო(5 კმ-26.15). 1959 წელს სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებთან ერთად ბათუმელები: ვალენტინა იურკინა და რევაზ ჩხარტიშვილი გამოდიოდნენ. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ველოსპორტი ქობულეთშიც დაფუძნდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ივანე კარაფულიდის. 1958 წელს მისი თაოსნობით ქობულეთელმა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს პირველობაში. თავად კარაფულიდი კი საქართველოს ნაკრებთან ერთად ასპარეზობდა ამიერკავკასიის ხალხთა სპარტაკიადაზე, სადაც ველოკროსში პირველი ადგილი დაიკავა. სსრკ სპორტის ოსტატის ნორმატივე პირველებმა შეასრულეს კაცებში — ვლადიმერ სიკორსკიმ(1959), ქალებში — ნატალია პიკალოვამ (1960).

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გამოჩნდა აჭარის ველოსიპედისტთა ახალი თაობა. ქვეყნისა და საკავშირო სარბიელზე წარმატებით გამოდიოდნენ: ედუარდ სუსლოვი, გალინა ნილოვა, მადლენა მელნიკი, ელენე კორობკინა, ნათელა წეროძე, ეთერ კონცელიძე, ვალენტინე კოვალევა, Nატალია მელნიკოვა, ედუარდ მელკოვი, აბას მაგუსევი, ნინა პისტრიაკი, ლევან ქავჟარაძე, ალექსანდრე შკოლა, ნიკოლოზ ეფრემენიუკი, ალექსანდრე ვალუისკი, სურენ ჩილინჯიანი, ვაჟა სულაბერიძე, ომარ ნიშნიანიძე, რევაზ მიქაძე, ლევან თავართქილაძე, ტარიელ ქვარიანი, ვლადიმერ შკოლა, ვიქტორ მელიხოვი, ვლადიმერ ვლასენკო და სხვები. 1970-იანი წლების ბოლოს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე პირველ დიდ წარმატებას ქობულეთელმა ჯონი ცივაძემ მიაღწია, რომელმაც 1978 წელს ტაშკენტში გამართულ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე "მთის საუკეთესო ველომრბოლელი" გახდა. 1980 წელს მან სსრკ პირველობა მოიგო ახალგაზრდებს შორის. 1983 წლის მაისში იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი სსრკ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1983-1984 წლებში ცივაძემ საქარ-

თველოს ველომრბოლელთაგან პირველმა შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივე ველოტრეკსა და საგზატკეცილო ველორბოლაში. 1990 წლის მაისში ქობულეთში გაიმართა პირველი საერთაშორისო საგზატკეცილო ველორბოლა თბილისის, მცხეთის, აფხაზეთის, აჭარისა და საკულკას(პოლონეთის) სპორცმენთა მონაწილეობით. 1992 წლიდან აჭარაში ველოსპორტის ჯგუფები მხოლოდ ქობულეთში ფუნქციონირებს და აჭარის ნაკრების ძირითად ბირთვსაც ადგილობრივი სპორტსმენები წარმოადგენენ. ბოლო პერიოდში ქობულეთელ სპორტსმენტაგან გამოირჩეოდნენ: სტელა პრიახინა, Nატალია სამბაშიძე, Aნასტასია ჟურინა, ვლადიმერ ვლასენკო, ლევან მესხიძე, ვაჟა ვაშაყმაძე, თემურ ძიძიგური, თენგიზ თავბერიძე, ბესიკ მიქელაძე, გიორგი ნადირაძე და ნოდარ კაცაძე. დამოუკიდებლობის წლებში აჭარაში ველოსპორტის განვითარება საგრძნობლად შეფერხდა და ამის შესაბამისად წარმატებებმაც იკლო.

სხვადასხვა დროს აჭარაში ველოსპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ვენიამინ ნუნიკიანმა, მამიკონ კირაკოსიანმა, მამია გოგუაძემ, შოთა მამინაშვილმა, ვალენტინე იურკინამ, ივანე კარაფულიდიმ, აბას მაგუსევა, ედუარდ სუსლოვმა, ბორის ძიძიგურმა, ალექსანდრე ვლასენკომ, თენგიზ ბოლქვაძემ, იური არობელიძემ, სოსო არობელიძემ, ნიკოლოზ ზოლოტარიოვმა, რევაზ ცეცხლაძემ, ნათელა წეროძემ, ჯონი ცივაძემ, მალზახ დიასამიძემ, თენგიზ სამბაშიძემ და სხვა დამსახურებულმა მწვრთნელებმა და სპორტის მოღვაწეებმა.

არ შეიძლება გვერდი აუაროთ მსოფლიო დონის ველოსპოტრსმენსა და ველო მოგზაურს, ლეგენდარულ ჯუმბერ ლეჟავას, ამიტომ გადავწყვიტეთ სპორტსმენ ველოსპორტსმენებთან ერთად ჟურნალის გვერდზე პატივი მივაგოთ მას.

წარმოგიდგენთ ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სტანდარტულ ავტობიოგრაფიულ მონაცემებს.

ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა თბილისში. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. 1987 წელს გადატანილი მუცლის ღრუს მძიმე ოპერაციის შემდეგ შეიმუშავა ვარჯიშების საკუთარი სისტემა. 1990-1992 წლებში დაამყარა მსოფლიო და გინესის რეკორდები ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში (რამდენიმე გაუმჯობესებით, უკანასკნელად 2001 წ.).

1993 წლის 13 აგვისტოდან 2003 წლის 3 ნოემბრამდე ველოსიპედით იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო: 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური.

გარდაიცვალა 2014 წლის 25 ივლისს.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას მიერ დასახული გეგმები ხორციელდება და მისი გზის გამგრძელებლები არიან აჭარის კუთხის მკვიდრები: ნოდარ ბერიძე, სოსო არობელიძე და სხვები, რომლებიც აწყობენ რესპუბლიკურ ველო სამოგზაურო ტურებს, მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისი ღონისძიებაში, დაგეგმილი აქვთ მრავალი საერთაშრისო დონის ღონისძიებები.

სტატიაში წარმოდგენილი მასალები აღებული მაქვს პირადი არქივიდან, სპორტული პუბლიკაციებიდან.

პატივისცემით, ჯემალ არობელიძე

სიბრძნის სკივრი

გონების ზღვარზე

(აზრები)

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

ერთ დღეს მოიცალე და შეხვდი საკუთარ თავს, მაგრამ... ჯერ იპოვე იგი.

***

პიროვნების, მოვლენის, შეხედულებათა შეფასებისას; რომელიმე საკითხზე აზრის აღიარებისას, ადამიანი იძულებულია დაეთანხმოს სხვათა აზრს შემდეგი მიზეზით: თავისი აზრის უქონლობის ან ჩამოუყალიბებლობისას ხათრით – სხვათა აზრის თანამონაწილედ წარმოჩენისას (ავტორიტეტების ზეგავლენით) გაუბედაობით – არ აღმოჩნდეს გამონაკლისი (თეთრი ყვავი) შიშით – არ დასწამონ უცოდინრობა-არაკომპეტენტურობა. ეს ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია იმისთვის, რათა ადამიანი სხვათა უგნური აზრის, სურვილების, გეგმების ან ავანტურის გაუცნობიერებელი მონაწილე-მსხვერპლი გახდეს...

***

ცხოვრებამ კი არ უნდა გაგიტანოს, ცხოვრება უნდა გაიტანო…

***

შეუძლებელია, ცხოვრობდე ეპოქაში და მისი სულისკვეთებით (პრობლემებით) არ იყო გამსჭვალული.

***

დღეს, დაისმის კითხვა: რას ვჭამთ, რა გარემოში ვიმყოფებით, რით გვასხივებენ, ზემოქმედებენ, გვაზომბირებენ, – რას გვაჩეჩებენ ხელში... ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა ირგვლივ მიმოიხედეს, გამოფხიზლება დაიწყეს – ეს კარგია... რაღაცას რომ მოიკითხავ, მისი მოძებნაც მოგიწევს, – დასმულ შეკითხვაზე, ადრე თუ გვიან, პასუხს მიიღებ და პრობლემების გადაჭრის გზებზეც იზრუნებ.

***

ზოგი ადამიანი რომ მიუშვა, – ქვეყნიერებას გადაყლაპავს...

***

სიტყვიერმა რახარუხმა ადამიანის აზროვნებაში ვერაფერი შეცვალა...

***

ადამიანი მარადიულობის შეგრძნება-შეგნებით უნდა იზრდებოდეს, იფურჩქნებოდეს, ყვაოდეს, მოღვაწეობდეს, თაობებში ტოვებდეს კვალს, რომ მან ნამდვილად ადამიანურად იცხოვრა, ხოლო ამ სამყაროდან თანდათანობით გარდასვლა-გარდასახვებით გასვლისას, შთაბეჭდილებას – რომ ის ქეშმარიტად აღესრულა.

***

ზოგჯერ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ფენომენებს და მოვლენებს ადამიანთა ჯგუფები, პოლიტიკოსები, ხელოვანები, ფილოსოფოსები, ლიტერატორთა წარმომადგენლები დიდი რიტუალებით, გაზვიადება-გაბუმბერაზებით (უტრირება-ამფლიფიკაციით) თავიანთ მიმდინარეობად გადააქცევენ და წარმოადგენენ. ამ მიმდინარეობას ინარჩუნებენ, იცავენ და ებღაუჭებიან მანამ, ვიდრე ახალი თაობა ზეაღტკინებული მდგომარეობიდან კარგი სილის გარტყმით ან სრულიად უცერემონიოდ არ ჩამოართმევს წლობით გამოზომილ საარსებო-საცოხნ მასალას...

***

თავისი ნამოქმედარის აწონ-დაწონისას და თავის თავთან ჭიდილში ყველა ადამიანში იღვიძებს სინდისი.

***

ადამიანური მორალი საუკუნეებია ღვივის და ღვივის – არ ჩამქრალა და არც ჩაქრება.

***

ამ ცხოვრებაში არამარტო იმისათვის ვართ მოსული, რომ ჩვენ-ჩვენი საქვრეტიდან ვიცქიროთ, არამედ, ზოგიერთი რამ შევცვალოთ და გადავაკეთოთ.

***

როდესაც ჰომოსექსუალური წყვილების „ბავშვები“ გამოჩნდებიან არენაზე, ისინი, საუბედუროდ, საზოგადოების ნეგატიური რეაქციების მსხვერპლად გადაიქცევიან და ისედაც დასაღუპად განწირული კასტის გაქრობის წინაპირობად იქცევიან...

***

საუბედუროდ, ზოგიერთ ადამიანს, მის მიერ მეორე ადამიანის გამოყენებას და ჩაგვრას „კვების ინსტინქტები“ კარნახობს...

***

გამუდმებულად მზამზარეულის მიღების სურვილი ადამიანს ამორალურს ხდის…

***

ხელაღებით რაიმეს მტკიცება ან უარყოფა დოგმატიზმის, ფუნდამენტალიზმის განვითარების წინაპირობას და საშიშროებას წარმოადგენს.

***

მართო ადამიანები – ურთულესი პრობლემაა, მართო „ავადმყოფები“ – აზრდაკარგულია...

***

მტრის ხატის თანხლება ადამიანს აგულიანებს, ბრძოლის უნარს უყალიბებს – „სტიმულატორის“ როლს თამაშობს...

***

ახალ ცხოვრებას შეხვდი გახარებული და გალაღებული. ნუ ეცდები უკან დაბრუნებას, მით უფრო, არ ეცადო გაიმეორო განვლილი ცხოვრების ურთიერთობები ან რომელიმე ეპიზოდი. ის არასდროს იქნება ისეთი, როგორც წინათ და საკმაოდ იმედგაცრუებული დარჩები.

***

თუ სასახლე მოგინდება ან დამოუკიდებელი ცხოვრება, შექმენი შენ თვითონ, თორემ იმ სასახლეს და იმ ცხოვრებას, რომელსაც სხვისგან მზამზარეულად მიიღებ, არც ხიბლი ექნება და არც მადლი.

***

ფიქრი _ რასაც მინდა იმას დავწერ, იმას ვიტყვი, როგორც მინდა ისე მოვიქცევი ან ვიცხოვრებ და მაინც გამივაო _ ეს შეცდომაა.

***

დაფიქრდი: ყოველთვის შენ არ ხარ მართალი...

***

არ დაზოგო ძალა და ენერგია, რათა განსაზღვრო და იპოვო შენი ადგილი ცხოვრებაში.

***

ადამიანებთან ზედმეტი სიახლოვე, ზედმეტი საუბარი, ასევე ზედმეტი ბჭობა საჭირო არ არის.

***

მაქსიმალურად აამუშავე წარმოსახვები, რათა კარგად წარმოიდგინო, ვინ იყავი, საიდან მოდიხარ, ვინ ხარ აწმყოში და ვინ იქნები მომავალში.

***

შეამცირე წყენადობა...

***

უკიდურესობებს უიღბლობა თან სდევს და მარცხისთვის ან, სულაც, დასაღუპავად ამზადებს ადამიანს.

***

როდესაც ადამიანს რჩევები მხოლოდ სხვებისთვის აქვს გამზადებული – ეს თვითდაჯერებულობა არაა. იგი სიბრიყვეზე მეტყველებს.

***

იმის დემონსტრირება, რომ ნიჭიერი ხარ, მაგრამ ზარმაცი _ შეგიძლია, მაგრამ არ გსურს, სიგლახის ნიშანია.

***

ზოგიერთ ადამიანს მხოლოდ სიტყვა „არა“ აქვს პირზე მიკერებული, – ამ სიტყვით იწყებენ და ამ სიტყვით ამთავრებენ. თუ კარგზე კარგს ამბობ არ მოწონს; თუ ცუდ-

ზე ცუდს – არ გეთანხმება. ასეთი ადამიანები მსჯელობის დროსაც იგივე მეთოდს იყენებენ: თუ ერთ აზრს იტყვი შეგეწინააღმდეგება, ასევე შეგეწინააღმდეგებოდა, ამ აზრის საწინააღმდეგო რომ გეთქვა. „არას“ სტიქია მათ ცხოვრებას განსაკუთრებულ დაღს ასვამს, რომელიც მუდამ მოუწესრიგებელი აქვთ, ურთიერთობები კი – დაულაგებელი.

***

ის დღეა ცუდი, როცა არ იცი, რას აკეთებ.

***

ყოველთვის ელი „ვიღაცას“ და გაინტერესებს „ვინ“ არის იგი...

***

თუკი საკუთარს არაფერს ქმნი, დამოუკიდებელი აზრი არ გაგაჩნია და სხვათა სიტყვას გაუკონტროლებლად, ანდა, გამორჩენის მიზნით ახმიანებ, მაშინ უღირსი და უგანაჩენო ადამიანი ხარ.

***

თავის თანატოლებთან შეხვედრა ადამიანს იმდაგვარად აღაფრთოვანებს, რომ უპრობლემოდ გადაისვრის ბავშვობის ხანაში. ამიტომ ხშირად უნდა იმოგზაუროთ ბავშვობის სამყაროში. ნუ დაიზარებთ, მოუყარეთ ბავშვობის მეგობრებს თავი – იმხიარულეთ და „იცელქეთ“ მათთან ერთად. ეს ძალიან გჭირდებათ ხანდაზმულობაში.

***

არ ეცადო, მზის ელვარება და სიკაშკაშე გააუფერულო და გადაფარო შენი „სიკაშკაშით“.

***

ძალიან ცოტაა ადამიანები, რომლებიც „საჭირო“ ცოდნას აგროვებენ.

***

ნაკლის სხვებში ძიებას სჯობს, საკუთარ ნაკლს და შეცდომებს გამუდმებულად ჩხრეკდე...

***

ადამიანებთან მიდგომის სტრატეგია მათი ხასიათიდან გამომდინარე შეიმუშავე. გაითვალისწინე, რომ მათი ბუნება, ხშირად, კეთილშობილური არ გახლავთ.

***

ნუ აღგაფრთოვანებს საკუთარი წარმატებები!.. მხოლოდ ერთს ეცადე: შენი არსებობით, სიტყვით, საქმით და მოღვაწეობით გაალამაზო ცხოვრება შენს ირგვლივ.

***

ნუ აიძულებ თავს, სხვისი აზრით, განკარგულებებით ან მითითებებით იარო; სხვისი გემოვნებით მოაწყო შენი ცხოვრება ან შეიმოსო. ამის საპირისპიროდ გამოიმუშავე საკუთარი აზრი და დახვეწე შენი გემოვნება.

***

თუ გინდა ეზიარო უმაღლეს ღირსებას, პატივი ეცი შენს სურვილებს, ნიჭს და უნარს. ბოროტი სურვილები ჩაახშვე, კეთილი წაახალისე, ნიჭი განავითარე, უნარები დახვეწე. ხშირად განიკითხე საკუთარი თავი, ვიდრე სხვები.

***

თუ ადამიანი მოიძულე, კარგად გააანალიზე, რატომ მოიძულე ის. თუ მისი ღირსებების, ქველმოქმედების და წარმატებების გამო გასწირე და ამას ვერ აცნობიერებ, მაშინ ბნელეთის მოციქულებთან თანამშრომლობ და, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა მოიძულო...

***

ადამიანს გონებაში სიტყვიერი და აზრობრივი მასალისთვის მთელი რიგი საკნები და საწყობები გააჩნია. მათი აქტივაცია, მოქმედებაში მოყვანა და გამოყენება მთელ რიგ ძალისხმევას და ოსტატობას მოითხოვს. ვაითუ! ყველაფერი ეს მხოლოდ წინა ერთ საკანშია თავმოყრილი და დანარჩენი მარაგები არ არსებობს... მაშინ ადამიანი ცირკის მსახიობს დაემსგავსება, რომელიც რამოდენიმე გირზით ჟონგლიორობს და მისი დახვეწილი მოძრაობები მხოლოდ მაყურებელთა გასართობადაა გამიზნული...

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

ევოლუციერებისკენ, ჰარმონიზირებისკენ, ტრანსის მდგომარეობაში მოხვედრისკენ სვლის პროცესი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-42-ში

ის, ვინც საკუთარი შინაგანი მდგომარეობის ანარეკლის აღქმას შეძლებს იმად, რასაც ეს რეალურად წარმოადგენს და აღარ მიეჯაჭვება ამ დანახულსა და გაგონილს, ძალიან სერიოზული შანსები აქვს იმისა, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ ცოცხალ არსებაზე დაკისრებული მისიის შესრულების გზას დაადგეს. ემოციას თავისთავად იწვევს ამბიცია და რაც არ უნდა ვეომო ჩემში არსებულ ემოციებს, ფუჭი დროის ხარჯვა იქნება, ვიდრე საკუთარ არსში ჩასახულ ამბიციებს არ ვიპოვი და მათ კორექტირებას არ მოვახდენ. ამბიციებს კი თავისთავად იწვევს სწორედ ჩემზე დაკისრებული მისიის იგნორირება. მხოლოდ საკუთარ ინდივიდუალურ „მე“-ზე დაკისრებული მისიის განუხრელად შესრულების გზით არის შესაძლებელი ჭეშმარიტად იმის კეთება, რაც უნდა ვაკეთო. ის საკმაოდ ფართო სპექტრის ცოდნისა და განათლების ქონის აუცილებლობას მოითხოვს. მე მსურს შევეცადო ამის გადმოცემა მოვახდინო. ნამდვილად არ მინდა გავართულო, უბრალოდ, აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამისათვის საჭიროცაა და აუცილებელიც ორი რეჟიმი გამოვიყენო. ესენია: ა) იმპერსონალური, ანუ აბსტრაქტული, არაპერსონიფიცირებული, სრულიად თავისუფალი კონკრეტული მატერიალური და სულიერი ობიექტებისაგან, ერთგვარი აბსოლუტური არაინდივიდუალიზმი და ბ) პერსონალური, ანუ კონკრეტული, პერსონიფიცირებული, სრულიად დამოკიდებული კონკრეტულ მატერიალურ და განსაკუთრებით სულიერ ობიექტებზე, ერთგვარი აბსოლუტური ინდივიდუალიზმი.

იმპერსონალიზმი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ფარდობითობებისა და შედარებითობებისაგან, ანუ უნდა იყოს აბსოლუტურად არაფარდობითი; პერსონალიზმი მთლიანად აწყობილი უნდა იყოს ფარდობითობებსა და შედარებითობებზე, ანუ უნდა იყოს აბსოლუტურად ფარდობითი.

იმპერსონალიზმის უმაღლეს, უზენაეს ე. წ. წარმომადგენლად შეგვიძლია მივიღოთ აბსოლუტური ჭეშმარიტება.

პერსონალიზმის უმაღლეს, უზენაეს წარმომადენლებად კი —

ა) აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ აღიარებული სამყაროს უზენაესი პიროვნება მამა ღმერთი, როგორც ე. წ. მამაკაცური საწყისის საუკეთესო მმართველი; ბ) აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მამა ღმერთის მიერ აღიარებული სამყაროს უწმინდესი პიროვნება, სულიწმიდა, როგორც ე. წ. ქალური საწყისის საუკეთესო მმართველი; და გ) აბსოლუტური ჭეშმარიტების, მამა ღმერთისა და სულიწმიდის მიერ აღიარებული სამყაროს უერთგულესი პიროვნება ძე ღვთისა, როგორც ე. წ. მამაკაცური და ქალური საწყისების თანკვეთის საუკეთესო მმართველი, შეგვიძლია მივიღოთ.

შინაგანი სულიერი მდგომარეობის ანარეკლის წარმოშობის ისტორია კი მატერიალური რეალობის სახით შემდგომში მდგომარეობს: სულიერ სამყაროში არსებული რეალობის არსებულობის ერთადერთი მიზეზი (არაპერსონიფიცირებულობის საზომით) გახლავთ აბსოლუტური ჭეშმარიტება და ვიდრე ამ რეალობაში მყოფ ინდივიდუალურობის მქონე ნებისმიერ ცოცხალ არსებას ამ დამკვიდრებულ რეალობასთან არანაირ დაპირისპირებაში შესვლის სურვილი არ გააჩნია, აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ ამ რეალობის მმართველად დანიშნული ცოცხალი არსების (სამყაროს უზენაესი პიროვნების) ნებაყოფილობით და მორჩილებით მიყოლით თავისდაშეუმჩნევლადაც კი, განვითარებას (არახაზგასმულ ევოლუციერებას) გადის, ამ პროცესში შინაგანი ტრანსცენდენტული, ნეტარი მდგომარეობის შეგრძნებითა და

გარეგანი გარემოს ჰარმონიულობის აღქმით. სადაც შინაგანი ტრანსცენდენტული, ნეტარი მდგომარეობის განმაპირობებელი, აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და სამყაროს უზენაესი პიროვნების მიერ ამ განყოფილების მმართველად დანიშნული ცოცხალი არსება გახლავთ სულიწმიდა, ხოლო გარეგანი გარემოს ჰარმონიულობის მდგომარეობის განმაპირობებელი, აბსოლუტური ჭეშმარიტების, სამყაროს უზენაესი პიროვნებისა და სულიწმიდის მიერ ამ განყოფილების მმართველად დანიშნული ცოცხალი არსება გახლავთ ღვთის ძე.

სულიერ სამყაროში არსებულ რეალობაში შინაგანი სულიერი ილუზია, ანუ ნეტარებიდან ამოვარდნის მდგომარეობა (ნატვრულობის, ოცნებების, ალტერნატიული მართვის ძიებების, თვითგამოვლინების სურვილები) არ არსებობს და როგორც კი ეს ტენდენცია ცოცხალ არსებაში იწყებს გამოვლინებას, ის ავტომატურად ექცევა საკუთარი სულიერი ილუზიების ზეგავლენის ქვეშ. ამ ილუზიების მქონეთათვის უკვე აუცილებელი ხდება, მათი სულიერი სამყაროდან საკუთარი ნებით გასვლის შემდგომ, ამ სულიერი სამყაროს პარალელურ სამყაროთა შექმნა და ამ ცოცხალ არსებათა მათთვის შესაბამის სამყაროებში გადანაწილება.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ პარალელურ სამყაროთა რიცხვს განეკუთვნება მატერიალური სამყარო, რომლის მცხოვრებნიც, ძირითადად, სამი მიზეზის გამო ხვდებიან იქ. მათგან ზოგს სამყაროს უზენაესი პიროვნების პირველობა შურდა და თავად სწყუროდა პირველობა, ზოგს სულიწმიდის განსაკუთრებული სიახლოვე შურდა სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან და თავად სურდა თვითონ ყოფილიყო უახლოესი მისთვის, ზოგს კი ღვთის ძის შურდა, რადგან სულიერ სამყაროში ის განსაკუთრებულად უყვართ და თვითონ სურდა ყველაზე საყვარელი ყოფილიყო ყველა ცოცხალ არსებათა შორის, რომლებიც სულიერ სამყაროში იმყოფებიან. რა თქმა უნდა, ამის აღიარება არც ერთ მატერიალიზირებულ ხორცშესხმულ ცოცხალ არსებას არ უნდა დიდი ხალისით, მაგრამ ამის აღიარების გარეშე სულიერ სამყაროში დაბრუნების გზა, უბრალოდ, ჩაკეტილი ექნება და თანაც, თავად მას, ვინც ამ ბარიერს გადალახავს თავის თავში, უჩნდება შანსი იმისა, რომ ყოველივე ჭეშმარიტების ჭრილში დაინახოს, ანუ მთელი მატერიალური გარემო, საკუთარი სხეულის ჩათვლით, საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის (კარმის) ანარეკლად აღიქვას.

თუ ადამიანი ამ სიღრმეში შევა, ის ავტომატურად აღიარებს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობას და, ვგონებ, იმის ინტერესიც უნდა გაუჩნდეს, თუ ამ უზენაესი იმპერსონალიზმის გადასახედიდან ცოცხალი არსების არსი და მისია რაში მდგომარეობს. თავად აბსოლუტური ჭეშმარიტება ობიექტურობის სრულყოფილი დამცველია და სრულიად აქვს უფლება, ჰქონდეს ამბიცია, იყოს აღიარებული ყოველივე გამოვლინებულობის მიზეზად აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის მიერ, რაც კი შესაძლოა მოიაზროს, ან საერთოდ ვერასოდეს ვერ მოიაზროს, ნებისმიერმა ინდივიდმა. ანუ ჭეშმარიტად მისიის შესასრულებლად სრულიად საკმარისი იქნებოდა (1) აბსოლუტური ჭეშმარიტება ყოველივეს მიზეზად მიეღო, რაც სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან დაპირისპირებაში შესვლისგან დაიცავდა, რამეთუ გრძნობას სპეკულაციურ ჭკუად გადაქცევა აღარ მოუნდებოდა, ამბიციები აღარ გაჩნდებოდა, (2) აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ სამყაროს უზენაეს პიროვნებად დადგენილი ცოცხალი არსება მამა ღმერთად და აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის მიზნად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელ ნაწილთაგან ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი გრძნობითი ნაწილი ამ დავალებით დაეკავებინა, რითაც შეეძლებოდა საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობა სამუდამოდ გაეკონტროლებინა და გაექრო. (3) აბსოლუტური ჭეშმარიტების და სამყაროს უზენაესი პიროვნების მიერ უწმინდესად და უსპეტაკესად აღიარებული სულიწმიდა დედა ღმერთად და აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრის საბოლოო, სასურველ, სამაგალითო შედეგად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელი ნაწილებიდან კი გონებრივი ნაწილი ამ დავალებით დაეკავებინა, რითაც შეძლებდა ობიექტურ რეალობასთან დაპირისპირებისაგან სამუდამოდ გათავისუფლებას. (4) აბსოლუტური ჭეშმარიტების, სამყაროს უზენაესი პირონებისა და სულიწმიდის მიერ უსაყვარლეს და უერთგულეს პიროვნებად აღიარებული ცოცხალი არსება მამა ღმერთისა და დედა ღმერთის ძე-დ, ღვთის ძედ და აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის მისაბაძად, სამაგალითო საშუალებად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელი ნაწილებიდან კი ჭკუისმიერი ნაწილი ამ დავალებით, ღვთისძისნაირობით დაეკავებინა, რითაც შეძლებდა დანახვას საკუთარი ამბიციებისა თავისი ნამდვილი პირველქმნილი სახით, იმ მავნე გავლენისა, რომელიც გარემოს მიმართ ჩაუდენია და გზისა — როგორ შეეცვალა ეს

ყოველივე, თანაც მატერიალური რეალობის დახმარებით. (5) მთელი მატერიალური რეალობა საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის ანარეკლად, საკუთარი კარმის (სულიერი ჭუჭყის) დანახვისა და გაგების საბაბად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელი ნაწილებიდან კი ემოციისმიერი ნაწილი იმ დავალებით დაეკავებინა, რითაც შეძლებდა ყოველგვარი ხელოვნური განდგომილობისა და ასკეტიზმის გარეშე მიეღწია იმისთვის, რომ აღარ მიჯაჭვებოდა აღარც მატერიალურ სამყაროსა და აღარც ამ მატერიალურ სამყაროში საკუთარი ნებისმიერი ჩადენილი ქმედების შედეგებს.

მაშასადამე, მოკლედ, მობილიზებული სახით, მისიის შესრულების გზათა ნაირსახეობა აბსოლუტური ჭეშმარიტების გადასახედიდან ასეთია:

1. **მისიის მიზეზი** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის მართვაში მდგომარეობს, მისი სულიერ რეალობად გადაქცევამდე.
2. **მისიის მიზანი** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის აღმოფხვრაში მდგომარეობს სულიერი რეალობის აღქმამდე.
3. **მისიის შედეგი** საკუთარი შინაგანი რეალობის (ილუზიის აღმოფხვრილი ნაწილის) განუხრელ დაცვაში მდგომარეობს.
4. **მისიის აღსრულების საშუალება** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის ანარეკლში არეკლილი მატერიალური რეალობის საშუალებით დანახვაში და გაგებაში მდგომარეობს.
5. **მისიის აღსრულების საბაბი** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის ანარეკლში არეკლილი მატერიალური რეალობის მართვაში მდგომარეობს, ძალაუფლებასა და საკუთრების შეგრძნებაზე უარის თქმით, შინაგანი ცენზურის (სინდისისა და სირცხვილის კარნახით) ხელმძღვანელობით.

ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, შესაძლოა უფრო დაწვრილებით იქნას განხილული, მაგრამ ამ წიგნის დასკვნით ეტაპში მინდა შევეხო მისიის აღსრულების ცნებას თავად სულიერი ილუზიის ანარეკლში არეკლილ მატერიალურ რეალობაში, რამეთუ ეს ნაწერი მატერიალური ხელებით იწერება მატერიალური კალმის საშუალებით და მსურველის მხრიდან მატერიალური თვალებით წაიკითხება და გონებამდე მიტანის მსურველის მხრიდან ურთიერთკამათის დროს მატერიალური ყურებით მოისმინება. მე ვაღიარებ, ჩემთვის არცთუ ძალიან სასურველია და არცთუ სასიამოვნოა მატერიალურ რეალობაში დაბრუნება, რამეთუ კარგად ვიცი რა დიდია ალბათობა ჩემი „მე“-ს გზისაბნევისა და მიჯაჭვებისა ამ ილუზიურ გარემოზე, მაგრამ, ვფიქრობ, მე თუ ოდნავ მაინც შემიძლია რაიმეს სასარგებლოს შეტანა მატერიალური სამყაროს ამ ეპოქალური მომენტის ზოგად ცნობიერებაში იმის საფუძველზე, რაც მომეცა განგების მიერ, მორალური, ეთიკური უფლება არ გამაჩნია ეს არ გავაკეთო და უბრალოდ მოვალე ვარ, ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო. თუნდაც იმიტომ, რომ მე ჯერ კიდევ მატერიალიზირებულ, ხორციელ სხეულში ვარ და ამ სხეულის სახით ვარ კონტაქტში, ნებით თუ უნებლიეთ, თუნდაც სულ უმცირესი, მინიმალური კონტაქტიც რომ ვიგულისხმო ამაში. იმასაც ვაღიარებ გულწრფელად, რომ ეს ჩემთვის ურთულესი გამოცდა იქნება, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ვაღიარო, რომ ეს ჩემი ნება-სურვილით მოხდება, რამეთუ სრულიად შესაძლებელი იქნებოდა სხეულის არსებობის ბოლომდე უბრალოდ სრულ იზოლაციაში გადავსულიყავი ადამიანებისგან, მაგრამ მე ეს არ მსურს.

ყველაფერი, რაც ახლა დაიწერება არ დაიჩემებს პრეტენზიას აბსოლუტურად იდეალური და ერთადერთი სწორი, ჭეშმარიტი გზის ამბიციისა, ეს იქნება ჩემეული ხედვა მატერიალიზირებული სამყაროს ფუნქციონალური და ვიზუალური დანიშნულების, აქ მოხვედრილთა მისიის შესრულების რაობაზე ყველაზე კორექტული და კომპეტენტური ფასეულობების მქონეთა გადასახედიდან, აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და წმინდა სამების გადასახედიდან და, კიდევ ერთი, შევეცდები ეს დაიწეროს მატერიალური სამყაროსთვის მიღებულ ენაზე. აი, ასეთი საპასუხისმგებლო რამ არის პირადად ჩემი „მე“-სთვის ეს გარდამავალი პერიოდი.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40-41-42-ში

ბრალის სახეები და ფორმები

(სისტემატიზირებული)

კულტივირებული ბრალი

ა) რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული მტრობა და ბრალი

მსოფლიოს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა დაპირისპირება რელიგიურ, ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე. განსხვავებულობა ბადებს გაუგებრობას, ეჭვს, უნდობლობას, ერთმანეთის მიუღებლობას და, აქედან გამომდინარე – ბრალს. ამ საზოგადოებების შიგნით, სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, ხდება ნეგატიური ენერგიების (ბრალის) მოკრება-კულტივირება და ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართვა. განსხვავებული რელიგიის, ეთნოსისა და რასის მიკუთვნებულობა ბევრჯერ გამხდარა მტრობის, წინააღმდეგობა-ჭიდილისა და ომების მიზეზი. ის, რომ წინააღმდეგობები ბუნებრივად არსებობს განსხვავებული კონფესიის, ეთნოსისა და რასების წარმომადგენლებს შორის, ხშირად ხდება შუღლის გაღვივებით დაინტერესებული ძალებისათვის მანიპულირების იარაღი და საშუალება. წამქეზებელი ძალები შეიძლება იყოს როგორც ამ საზოგადოებების შიგნით მყოფი ერთეული ლიდერები, მასები ან პოლიტიკური ორგანიზაციები, ასევე, ამ საზოგადოებების გარეთ მყოფი დაინტერესებული მესამე ძალა, რომელიც თავისი მიზნის განსახორციელებლად ახერხებს წინააღმდეგობის ჩასახვას და ბრალის კულტივირებას იმდაგვარად, რომ ვითარება დაიძაბოს და მოხდეს კონფრონტაცია. ეს ძალები იყენებენ ისეთ ამორალურ მეთოდებს, როგორიცაა ცილისწამება, ტყუილი, წაქეზება, ისტორიული ფაქტების გაყალბება და სხვა; ასევე, ამარაგებენ მათ მიერ წაქეზებულებს იარაღით და ჯარით; პირდებიან და უწევენ სხვადასხვა დახმარებას.

წარმოდგენებისა და შეხედულებების განსხვავებულობამ, არათუ რელიგიებს შორის, თვით ერთი რელიგიის შიგნითაც წარმოშვა ბრალი და გამოიწვია წინააღმდეგობა. ამის გამო, უძველესი რელიგიებიც კი დაიყო სხვადასხვა მიმდინარეობად და განშტოებად, რომელთა წარმომადგენლები ბრალითა და სიძულვილით არიან ერთმანეთისადმი განწყობილი. რეფორმაციის სახელწოდებით ცნობილი რელიგიური ომები, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოიშვა, ას წელზე მეტხანს გაგრძელდა ევროპაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ომები არ იყო წმინდა რელიგიური წინააღმდეგობებით გამოწვეული. აქ იყო ეკლესიის, ხელისუფლების, სახელმწიფოს სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა მერკანტილურ მოტივსა და შინაარსზე აგებული მიზნები და აქედან გამომდინარე ბრალი. სარგებლის მოლოდინში ამ ომში ჩართული ბევრი მონაწილე თავისი მრწამსის საპირისპირო მხარესაც კი დგებოდა და მისი თანამოაზრე ხდებოდა. რელიგიურმა ომებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ზოგიერთი სახელმწიფო დაშლის პირას მიიყვანა. განსხვავებული შეხედულებების გამო, ბრალით განმსჭვალულები ერთმანეთს სასტიკად უსწორდებოდნენ; მაგალითად, ცნობილი ფრანგი პროტესტანტი ჟან კალვინი დიდხანს სდევნიდა ესპანელ ანაბაბტისტს მიგელ სერვეტს და იმდენი რამ იღონა, რომ ის საბოლოოდ კოცონზე დააწვევინა. ამ საქმის აღსრულებით ის ამაყობდა კიდევაც და ამბობდა: „უნდა განადგურდეს ესენი (ანაბაბტისტები) ისე, როგორც ესპანელი სერვეტი გავანადგურე...“

მესამე ძალის მიერ ბრალის კულტივირების მაგალითია ოსებისა და აფხაზების დაპირისპირებულობა და ომი ქართველ ხალხთან. კავკასიაზე გავლენის შენარჩუნების მიზნით, რუსეთმა გააძლიერა სეპარატისტულად განწყობილი ძალები ოსეთსა და აფხაზეთში, რითაც ხელი შეუწყო კონფლიქტის ესკალაციას. ამას მოჰყვა ომი და დაუსრულებელი კონფლიქტები. საუბედუროდ, რუსეთის წაქეზებით და ხელშეწყობით, დაძაბულობა კვლავ გრძელდება და სეპარატისტები საქართველოს საზღვრებისაკენ იწევენ.

წარმოდგენათა და შეხედულებების ფუნდამენტური განსხვავებულობის გამო, რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი საზოგადოებები ბრალის კულტივირებისათვის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენენ. ბრალის, შურის და შულლის მარცვალი აქ ადვილი გასაღვივებელია. შიდა და გარე ავანტიურისტების ჯგუფები კი გამუდმებულად იჩეკებიან. ისინი თავიანთი მიზნების მისაღწევად კარგად იყენებენ ამ საზოგადოებებს; ხელსაყრელ მომენტებს ხელიდან არ უშვებენ მათ დასაპირისპირებლად; შედეგად, ეს საზოგადოებები ზარალდებიან ან საერთოდ ნადგურდებიან, ომის გამჩაღებლები კი ხელს ითბობენ..

ბ) ძალაუფლების კულტივირება რელიგიაში – ინკვიზიციის ბრალი

ძალაუფლების ერთ შემზარავ ბრალს განეკუთვნება ინკვიზიციის ბრალი – „კუდიანებზე ნადირობა“, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალმა შექმნა ერესთან საბრძოლველად მე-13 საუკუნეში, სინამდვილეში კი სახელმწიფოს და რელიგიის ძალაუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად გამოიგონა. ინკვიზიციის აბსურდული ბრალდებები – დანაშაულის დამტკიცების გარეშე დასჯა (ჩრიმენ Eხცეპტუმ) და დასჯის საშინელი ფორმები იყო ძალის დემონსტრირება, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებას. მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა სამართლიანობასთან და რწმენასთან. ეს იყო ბრალი ადამიანების და თავად უფლის წინაშე. თუ ვინმე შეეცდება, ოდესმე, ინკვიზიციას რაიმე დადებითი როლი მიაკუთვნოს რწმენის შენარჩუნების ან მაშინდელი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, ის შეეცდება უფლის მიერ დაარსებული საზოგადოებების „ძალადობის“ გამართლებას, რაც აბსურდამდე დადის (შეგახსენებთ, რომ რინო კამილერის წიგნი – „ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია“, მოყვანილი ფაქტებით და არგუმენტაციებით, ინკვიზიციის გამართლების მცდელობაა). ინკვიზიციის მძვინვარების პერიოდში, ხალხში ჩანერგილი შიშისა და ტერორის გამო, მაშინდელ საზოგადოებაში არსებობდა ერთი ასეთი ჩვევა: მამები თავიანთ ქალიშვილებს განზრახ ასახიჩრებდნენ, რათა ინკვიზიციას ისინი „კუდიანებად“ არ შეერაცხა და ბრალი არ დაედო. ასეთი სამარცხვინო ისტორიები ინკვიზიციის ბრალით მაღალ დონეზე გაჟღენთილობას მოწმობენ და მათ საპირწონედ და გასამართლებლად არგუმენტების მოყვანა ნაკლებად სარწმუნოა დღევანდელი საზოგადოებისთვის.

გ) ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიცია და ბრალი

ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიციას ვხვდებით როგორც პრეისტორიულ, ასევე, ანტიკურ და შუასაუკუნეების თითქმის ყველა წარმართულ კულტში – ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის ხალხებს შორის. ამჟამად ის შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ არაცივილიზებულ ტომში.

როგორც არქეოლოგიური გათხრები, ასევე იმ ეპოქებში მოღვაწე ცნობილი ადამიანების გადმოცემები ადასტურებენ მსხვერპლშეწირვის ამაზრზენი ფორმების არსებობას. მსხვერპლშეწირვას ჰქონდა დღესასწაულის სახე და მოიცავდა სხვადასხვა რიტუალს. ამ რიტუალებში თითქმის ყველგან იყო განსაკუთრებული სისასტიკით ადამიანების წამება, დასახიჩრება, აჩეხვა-დაკუწვა, დანაწევრება, დაწვა და ა. შ. ბევრგან იყო ქალებისა და ბავშვების მსხვერპლშეწირვის წესიც.

მაია-აცტეკების მეზოამერიკულ კულტურებში, სპეციალურად მოწყობილ სამსხვერპლოებზე – პირამიდულ ტაძრებზე, ათასობით ადამიანს წირავდნენ მსხვერპლად. ამ ტრადიციებთან ახლოს დგას, სხვადასხვა ხალხში არსებული წესჩვეულება – მეფეების, იმპერატორების და დიდებულების გარდაცვალებისას მათი მონა-მსახურების ან ახლობელი ადამიანების მსხვერპლშეწირვა, ასევე, მათი ცოცხლად ჩაყოლება სამარხებში. შენობის სიმყარისა და მედეგობის შენარჩუნების მიზნით, წინა საუკუნეებში იყო ტრადიცია საძირკველში და კედლებში ცოცხალი ადამიანების ჩაყოლებისა. საქართველოში ამ ტრადიციის არსებობას ადასტურებს სურამის

ციხის და ხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საძირკველში ადამიანის ცოცხლად ჩამარხვის თქმულებები. საინტერესოა, მსხვერპლშეწირვის შინაარსების გაცნობა. ზოგჯერ ეს რიტუალი შეიცავდა ბრალისმართლებისდაგვარ შინაარსსაც, რაც მდგომარეობდა მსხვერპლშეწირვის ობიექტის „დანდობაში და პატივისცემაში“ – მას მსხვერპლშეწირვის წინ კარგად კვებავდნენ და უვლიდნენ... სხვა შემთხვევაში, მაგ. მიწათმოქმედ საზოგადოებებში მსხვერპლს წარმოსახავდნენ მეფე-ქურუმად, რომელიც განასახიერებდა ნაყოფიერების ღმერთს და გარკვეული პერიოდის შემდეგ წირავდნენ მსხვერპლად, რაც მსხვერპლშეწირულის „პატივად“ იყო მიჩნეული... ამ ტრადიციის და „ასეთი რწმენის“ სიმყარის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაიას ქალაქში მეფეები, ასევე აცტეკი იმპერატორები ხშირად საკუთარ სისხლს სთავაზობდნენ ღმერთს საჩუქრად.

საინტერესოა, ასევე, ადამიანის მსხვერპლშეწირვის რიტუალის ახსნა თავად ამ ტრადიციის მატარებელი ხალხების მხრიდან. აცტეკების წარმოდგენით ღმერთმა თავი გასწირა ადამიანების და სამყაროს შესაქმნელად – ერთ-ერთი ღმერთი აალებულ კოცონში შევიდა და მზედ გადაიქცა. თუ ღმერთმა გაიღო მსხვერპლი, ადამიანებმაც უნდა გაიღონ მსხვერპლი და ამით უნდა ასიამოვნონ ღმერთებს. მათი აზრით, რიტუალების დროს დაღვრილი სისხლი ღმერთებს აძლიერებდა და საშუალებას აძლევდა სამყარო გადაერჩინათ. ვიკინგები 9 წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ და 99 ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად. მათ მიაჩნდათ, რომ მსხვერპლად შეწირულები მკვდართა სამეფოში მათგან ჩადენილ ცოდვებს გამოისყიდდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მსხვერპლშეწირვის ძირითადი შინაარსი იყო უკვდავი ღმერთების მომადლიერება ადამიანების სისხლით – რომ შეწირული მსხვერპლი ხალხთა კეთილდღეობის გარანტორი უნდა ყოფილიყო...

ძნელია, დღევანდელი ეპოქიდან და აზროვნებიდან ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ და ანალიზი გავაკეთოთ ველური და ნახევრად ველური საზოგადოებების პირქუშ წესებსა და ადათებზე. მსხვერპლშეწირვის ვნება და ბრალი მაინც ადამიანური არსის – როგორც ფენომენის, ძირის-ძირების, ქვეუცგანწყობილებების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების ნაირგვარი შინაარსების და ფორმების კვლევა-ძიებასთან მიგვიყვანს. ბრალის ანალიზში აღვნიშნეთ, რომ ადამიანი ბრალს ხშირად მიმართავს საკუთარი კეთილდღეობის, გულდამშვიდების, თავისი უდანაშაულობის განცდის განსამტკიცებლად, შინაგანი ენერგიის ბალანსის შესანარჩუნებლად, უარყოფითი ენერგიების განსამუხტავ-გასანეიტრალებლად, ჭარბი ენერგიის გარეთ გამოსატანად... იგივე მსჯელობები შეიძლება აქაც გამოგვდგომოდა და ამას შეიძლება გარკვეული შვება მოეცა ჩვენთვის, მარტო ამით რომ აიხსნებოდეს ადამიანის მსხვერპლშეწირვის ვნებიანობა წარსულ კულტურებში. უნდა ვთქვათ, რომ, ჯერ კიდევ, ცხადსა და სიზმარეულ-გაბუნდოვანებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები არ შეიძლება ღმერთის წინაშე „სახდელით“ ყოფილიყვნენ დავალდებულებულები. ის, რაც ამ საზოგადოებებს გულდამშვიდების, კმაყოფილების, დაიმედებულად ყოფნის განცდას აძლევდა ადამიანის ენით აღუწერელი ტანჯვისა და დამცირების სანაცვლოდ, არ შეიძლება ყოფილიყო უფალი. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სისხლისმსმელი სატანა და მისი ბრალი უფლისა და ადამიანების წინაშე. მსხვერპლად შეწირული ადამიანები იყვნენ ეშმაკის „წილი“... არ არის გამორიცხული სატანას თავისი წილი ჩვენს დროშიც მიჰქონდეს, ოღონდ, სხვა ფორმით. ამის გააზრება დღევანდელობაში თავისუფლად შეიძლება იმ უბედურებებისა და კატასტროფების გაცნობიერებისას, რასაც პრესა და ტელევიზია გვამცნობს ყოველდღიურად.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მსხვერპლშეწირვა, თითქოს ადამიანების საკეთილდღეოდ, თანაც ღმერთის სახელით, რომ შეეძლო გამოეგონებინა მხოლოდ სატანას და თავს მოეხვია მათთვის, იმ საზოგადოებებს, იმ დროს, გააზრებული ვერ ექნებოდათ... რასაკვირველია, ამ თემას ასეთი მსჯელობებით, ვერ ამოვწურავთ. ეს თემები მუდამ დარჩება საფიქრელ– საგაზრავნოდ და ყოველთვის წარმოშობს დილემას ადამიანის არსის, აზრის და ყოფიერების ახსნაში.

ხსმრთლი

თამარ კერძაია

თათია ხაბეიშვილი

სავალდებულო და ნებაყოფლობითი ვაქცინაცია: საერთაშორისო პრაქტიკა

ვაქცინაციის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყანაში, განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთი მათგანი სასურველ შედეგს აღწევს ნებაყოფლობითი ვაქცინაციის პოლიტიკით, მათ შორის, ინფორმაციის მიწოდებისა და ვაქცინაციის სარგებლიანობაში დარწმუნებით, ახდენს გავლენას მოქალაქეების ნებაზე. ქვეყნების ნაწილი კი, განსხვავებულ პოლიტიკას ირჩევს და პირდაპირ ან ირიბად უზღუდავს მოსახლეობას ვაქცინაციის არჩევანის თავისუფლებას.[1]

ვაქცინაციის პოლიტიკის შერჩევისას, ალტერნატიული სტრატეგიების და შესაძლო შედეგების გაანალიზებისას, მხედველობაშია მისაღები მრავალი ფაქტორი, მათ შორის, კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები, განათლება, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.[2]

1. სავალდებულო ვაქცინაცია სამართლებრივ კონტექსტში

კოვიდ 19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში, საერთაშორისო მასშტაბით დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, არღვევს თუ არა სავალდებულო ვაქცინაცია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, კანონიერი არის თუ არა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების უფლების, ასევე განათლების, გადაადგილებისა და სხვა უფლებათა შეზღუდვა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც უარს აცხადებენ ვაქცინაციაზე. ჩაითვლება თუ არა აღნიშნული, მოქალაქეთა უფლებების დარღვევად და რამდენად შეიძლება ინდივიდის უფლებაში მსგავსი ჩარევა გამართლებულ იქნას საზოგადოებრივი ჯანრმთელობის დაცვის ინტერესებით.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, გარდა იმისა, რომ იცავს ადამიანის უფლებებს, ადგენს იმ კრიტერიუმებს, როცა ინდივიდის კონვენციით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნით.

კვლევის მიზნებისთვის, გაანალიზებულ იქნა საერთაშორისო ტრიბუნალების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელთა გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის, მათ შორის_ საქართველოსთვის. მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა სტრასბურგის უახლესმა გადაწყვეტილებამაც, სადაც სასამართლომ სწორედ სავალდებულო ვაქცინაციაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა.[3]

ვაქცინაცია წარმოადგენს სამედიცინო ჩარევას. ასეთ დროს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სამედიცინო მომსახურების გაწევისას, აუცილებელია პაციენტის თანხმობა. აღნიშნული წარმოადგენს პირის პირადი ცხოვრების უფლებას. იგი დაცული და გარანტირებულია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი კონვენციებით.

---

[1] Public health: ethical issues, Nuffield Council on Bioethics, London, 2007, 57
[2] Public health: ethical issues, Nuffield Council on Bioethics, London, 2007, 58
[3] CASE OF VAVŘIČKA AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC, European Court of Human Rights, 8 April, 2021.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მის არაერთ გადაწყვეტილებაში, მიუთითებს, რომ პაციენტის თანხმობის გარეშე მის სხეულში სამედიცინო ჩარევა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მცირე მნიშვნელობისაა, არღვევს ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. უშუალოდ ვაქცინასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ პირის ვაქცინაცია მისი ნების საწინააღმდგოდ წარმოადგენს ჩარევას მისი ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში.[4]

ამასთანავე, გარდა ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა, არსებობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, რომლის დაცვის ვალდებულებაც ასევე აკისრიათ სახელმწიფოებს კონსტიტუციითა და სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით. მოცემულ ვითარებაში, კოვიდ 19-ის ინფექციის გადამდები და სწრაფად გავრცელებადი ხასიათიდან გამომდინარე, ინდივიდის მხრიდან ვაქცინაციაზე უარის თქმა საფრთხეს უქმნის არამხოლოდ პირადად მის ჯანმრთელობას, არამედ მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც. არავაქცინირებული ადამიანი ქმნის დაავადების გავრცელების დიდ რისკს და ამით საფრთხის ქვეშ აყენებს მთელი საზოგადოების ჯანმრთელობას. ეს არის იმგვარი მოცემულობა, სადაც ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას (თავად მიიღოს გადაწყვეტილება ვაქცინაციის შესახებ) უპირისპირდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები (თუ არ აიცრება ცალკეული ინდივიდი, საერთო საზოგადოებრივ ჯანმრთელობას ადგება ზიანი).

განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, (მისთვის ვაქცინაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა), შეიძლება იყოს გამართლებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უპირატესი ინტერესებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეიძლება არსებობდეს გარემოებათა იმგვარი ერთობლიობა, როცა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები შესაძლოა, წონიდეს ცალკეული ინდივიდის პირადი ხელშეუხებლობის უფლებას.

ამდენად, სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაადგინონ სავალდებულო ვაქცინაცია მოსახლეობისთვის ან ცალკეული მიზნობრივი ჯგუფებისთვის იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სახეზე იქნება შემდეგი წინაპირობები:

- ინფექციის გავრცელების გათვალისწინებით, ვაქცინაცია უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში ინფექციური დაავადების გავრცელების კონტროლის აუცილებელ ღონისძიებას (აღნიშნულის შესახებ სახელმწიფოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს/რეკომენდაციებს და ლოკალურ დონეზე ინფექციის გავრცელების ინტენსივობის შეფასებას);
- მოსახლეობის ან მიზნობრივი ჯგუფების ვაქცინაციის სავალდებულოობა უნდა დადგინდეს კანონის დონეზე და არა ცალკეული ორგანიზაციების მიერ როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში;
- ვაქცინა რეგისტრირებული და მისი სანდოობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ;
- და ბოლოს, ვაქცინაცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი გაიდლაინების დაცვით, განსაკუთრებით, სამედიცინო ჩარევამდე სამედიცინო პერსონალმა უნდა დაადასტუროს ვაქცინის უკუჩვენების მდგომრეობის არ+არსებობა, პაციენტის შესაბამისი გამოკვლევის შედეგად.

2. სავალდებულო ვაქცინაცია და დასაქმების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების შედეგად დგინდება, რომ ვაქცინაცია სავალდებულო შეიძლება გახდეს მხოლოდ კანონით დადგენის შემთხვევაში. საჯარო და კერძო სექტორის ცალკეულ ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება, სავალდებულო გახადონ აცრა თავიანთი თანამშრომლებისათვის და შეუზღუდონ მუშაობის უფლება, ვიდრე შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ დადგინდება ვაქცინის სავალდებუ-

[4] Solomakhin v. Ukraine, no. 24429/03, ECHR 15 March 2012.

ლობა. ამდენად, კანონის მიღმა, ვერცერთი დამსაქმებლის მოთხოვნა, აიცრას მისი თანამშრომელი, ვერ ჩაითვლება კანონიერად.

უფრო კონკრეტულად, ვიდრე ვაქცინაცია სავალდებულოდ არ არის დადგენილი შესაბამისი საკანონმდებლო აქტით, ვაქცინაზე უარის თქმის გამო პირის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, ჩაითვლება შრომითი ნორმების დარღვევად, რომელიც ამომწურავად ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია უარს იტყვის ახალი თანამშრომლის სამსახურში აყვანაზე აუცრელობის მიზეზით, დამსაქმებლის ეს ქმედება ასევე უნდა მივიჩნიოთ შრომითი ნორმების, კერძოდ კი, დისკრიმინაციის ნორმების დარღვევად. შრომის კოდექსი განსაზღვრავს, რომ დისკრიმინაციად ჩაითვლება ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

3. სავალდებულო ვაქცინაცია ეთიკურ კონტექსტში

სამართლებრივთან ერთად, ვაქცინაციის სავალდებულოობის საკითხზე მსჯელობისას, დიდ მნიშვნელობას იძენს ეთიკური კონტექსტიც, რაც დაკავშირებულია ცალკეული ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ, ისტორიულ, სოციალურ და სხვა ფაქტორებთან.

ეთიკური კონტექსტის გათვალიწინებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) არ უჭერს მხარს COVID-19 ვაქცინაციის სავალდებულოდ დაწესებას და უპირატესობას ანიჭებს ვაქცინის ეფექტიანობისა და მისი უსაფრთხოების მიმართ მოსახლეობაში სანდოობის გაზრდის გზით, საინფორმაციო და წამახალისებელი კამპანიების შედეგად მოსახლეობის ნებაყოფლობითობით ვაქცინაციას.

ეთიკური კონტექსტის განხილვისას, უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული ქვეყნის მთავრობის მიერ ვაქცინაციის სავალდებულოობაზე მსჯელობისას:

- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სავალდებულო ვაქცინაციის მიზანი. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, კოლექტიური იმუნიტეტის გამომუშავება, მოწყვლადი პირების დაცვა, ჯანდაცვის სისტემის გადატვირთვის თავიდან აცილება და სხვ.
- თუ განსაზღვრული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ნაკლები იძულებითი ხასიათის ღონისძიების გატარებით (მაგალითად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით), ვაქცინაციის სავალდებულოობა შეიძლება ეთიკურად გამართლებულად არ ჩაითვალოს;
- თუ ვაქცინაციის სავალდებულო კომპონენტით არ მიიღწევა მიზანი და იგი ვერ ასრულებს როლს დასახული მიზნის მისაღწევად, პროცესი გადადის დისკრიმინაციულ ჭრილში. მაგალითისთვის, თუ ვაქცინაციის სავალდებულოობის დაწესებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, აცრების მაჩვენებელი აღარ განაგრძობს ზრდას, ეს ნიშნავს, რომ ვაქცინის სავალდებულო რეგულაციამ თავისი როლი ამოწურა;
- მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არამხოლოდ ვაქცინის დადასტურებული სანდოობა სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ, არამედ თუ რამდენად მაღალია კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობაში მის მიმართ სანდოობა. შესაძლოა, სანდოობის ეს ხარისხი განსხვავებული იყოს ვაქცინის მწარმოებლების მიმართაც და მნიშვნელოვანია, ამ ფაქტორის გათვალისწინებაც ვაქცინის სავალდებულო პოლიტიკაზე მსჯელობისას;
- მნიშვნელოვანია ასევე, მოსახლეობის დამოკიდებულება ვაქცინის მაღალეფექტურობის მიმართ. იგი, შესაძლოა, განსხვავდებოდეს სხვადასხვა შტამის შემთხვევაშიც.

4. ნებაყოფლობითი ვაქცინაცია

სავალდებულო ვაქცინაციის ლეგიტიმაციაზე მსჯელობისას, როგორც იურიდიულ, ისე ეთიკურ კონტექსტში, არსებით მნიშვნელობას იძენს პასუხი კითხვაზე, მოხდა თუ არა ყველა იმ ღონისძიების გამოყენება, რაც მოსახლეობას მიიყვანდა ნებაყოფლობით ვაქცინაციამდე.

4.1. „ვაქცინაციის დაყოვნების“ მიზეზები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა სტრატეგიულმა საკონსულტაციო ჯგუფმა (SAGE) ფუნდამენტური სამუშაოები გასწია ნებაყოფლობითი ვაქცინციის დაყოვნების მიზეზთა შესასწავლად. ვაქცინის დაყოვნება გულისხმობს ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მის დაგვიანებით ჩატარებას, ან ვაქცინაზე საერთოდ უარის თქმას. სტრატეგიული ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვაქცინის დაყოვნების მიზეზები კომპლექსურია. იგი განსხვავდება დროის, ადგილისა და ვაქცინების მიხედვით. დაყოვნებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი და მათ შორის, ნდობის საკითხები (უნდობლობა ვაქცინის ან მიმწოდებლის მიმართ). მიზეზთა შორისაა ვაქცინის საჭიროებისადმი სკეპტიციზმი სხვ.[5]

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნებაყოფლობითი ვაქცინაციის პროცესზე განსაკუთრებულად უარყოფით გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- უპირველეს ყოვლისა, ექსპერტები თანხმდებიან, რომ აცრის პროცესს საფრთხეს უქმნის ვაქცინაციის შესახებ დეზინფორმაცია;
- მეორე ფაქტორს წარმოადგენს მოსახლეობასთან არაადეკვატური კომუნიკაცია, რამაც შეიძლება შეაფერხოს ვაქცინაციის პროცესი და საზოგადოების მხრიდან მისი მიმღებლობა;
- ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ვაქცინისადმი სკეპტიციზმი შეიძლება დაკავშირებული იყოს მთავრობისადმი უნდობლობასთან. Covid-19 ვაქცინის ჩატარებასთან დაკავშირებით განხორციელებულ გლობალურ გამოკითხვაში გამოიკვეთა, რომ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ენდობა, უფრო მაღალია ვაქცინაციის მაჩვენებელი;[6]
- კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ვაქცინაციისადმი დამოკიდებულებაზე შესაძლოა დიდ გავლენას ახდენდეს კომუნისტური პერიოდის გამოცდილებაც;
- საყურადღებოა, რომ შესაძლოა პოპულიზმმაც თავისი გავლენა იქონიოს ვაქცინაციის პროცესზე. ჩატრებული კვლევების შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთ ევროპაში მოსახლეობა ხმას აძლევდა ისეთ პოპულისტურ პარტიებს, ვინც თვლიდა, რომ Covid -19 ვაქცინები არ იყო ეფექტური და შესაბამისად, წინააღმდეგნი იყვნენ სავალდებულო ვაქცინაციისა.[7]

4.2. გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები

ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებიც არსებით როლს ასრულებს ადამიანების გადაწყვეტილებაზე_ ნებაყოფლობით აიცრას და ამით დაიცვას საკუთარი და მოსახლეობის ჯანმრთელობა:

- არსებობს თუ არა მოსახლეობაში შეთავაზებული ვაქცინის მიმართ მაღალი სანდოობა - აქვს თუ არა მოსახლეობას სწორი და ამომწურავი ინფორმაცია Covid-19 ვაქცინის პოტენციური გვერდითი ეფექტების შესახებ. კითხვას კიდევ უფრო ლეგიტიმურს ხდის ის საყოვეთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ყველა Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა დაჩქარებულ პირობებში იქნა ავტორიზებული.[8] კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინის მიმართ უნდობლობა არ არის უცხო არცერთი ქვეყნისთვის. 2020 წლის ოქტომბერში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად აღმოჩნდა, რომ Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ევროპელები

[5] Covid-19 vaccination campaigns: The public dimension, European Parliament, Briefing 29.01.2021, 2
[6] https://academic.oup.com/eurpub/article/29/3/512/5364298
[7] J. Kennedy, Populist politics and vaccine hesitancy in Western Europe: an analysis of national-level data, *European Journal of Public Health*, Volume 29, Issue 3, June 2019, 512–516.
[8] Covid-19 vaccination campaigns: The public dimension, European Parliament, Briefing 29.01.2021, 2.

ყველაზე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. ევროპის მასშტაბით, კი, Covid-19 ვაქცინის სკეპტიციზმის ყველაზე მაღალი დონით ჩეხეთი გამოირჩეოდა.[9]

- ბრიტანეთის აკადემიისა და სამეფო საზოგადოების 2020 წლის ნოემბრის ანგარიშის მიხედვით, ფაქტორებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენს ნებაყოფლობით ვაქცინაციაზე, ასევე გამოიკვეთა მის ეფექტურობაში მოსახლეობის დარწმუნება, რაც მიიღწევა სათანადო ინფორმაციისა და დამაჯერებელი წყაროების არსებობით, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით (განათლება, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია და სხვ).[10]

4.3. ნებაყოფლობითი ვაქცინაციის საუკეთესო პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც ეფექტიანი აღმოჩნდა ვაქცინაციის დაყოვნების აღმოსაფხვრელად:

- სამიზნე აუდიტორიების იდენტიფიცირება და მათთან ნდობის დამყარება;
- ინფორმაციის მიწოდება ვაქცინაციის რისკების, ასევე სარგებლობის შესახებ;
- მითების განხილვამდე ფაქტების მიწოდება;
- ვიზუალური საშუალებების გამოყენება;
- კომუნიკაციის დაწყება უშუალოდ ვაქცინაციის კამპანიების დაწყებამდე;[11]
- ჯანსაღი კომუნიკაცია, როგორც ეფექტური ინსტრუმენტი ადამიანების ნებაზე ზემოქმედებისთვის და მათი დამოკიდებულებების შესაცვლელად.[12]

ამდენად, Covid-19 ვაქცინაციის პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყნების მიერ ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება. ამ პროცესში აუცილებელია სხვადასხვა აქტორების ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში უნდა მოიცავდეს, სხვადასხვა უწყებათა ჩართულობას, ასევე, ჯანდაცვის პროფესიონალების, მეცნიერების, ჟურნალისტების, ასევე საზოგადოებაში გამოკვეთილი ლიდერების აქტივობას[13], რომლებსაც საზოგადოება ენდობა (მაგ. ცნობილი სახეები).[14]

---

[9] Covid-19 vaccination campaigns: The public dimension, European Parliament, Briefing 29.01.2021, 2.
[10] https://www.ox.ac.uk/news/2020-11-10-covid-19-vaccine-reliable-communications-needed-beat-infodemic-misinformation
[11] https://www.canada.ca/en/public-health/services/reports-publications/canada-communicable-disease-report-ccdr/monthly-issue/2020-46/issue-2-3-february-6-2020/article-5-best-practices-addressing-vaccine-hesitancy.html
[12] N. Scholz, Covid-19 vaccination campaigns: The public dimension, European Parliament, Briefing, 2021.
[13] N. Scholz, Covid-19 vaccination campaigns: The public dimension, European Parliament, Briefing, 2021.
[14] N. Scholz, Covid-19 vaccination campaigns: The public dimension, European Parliament, Briefing, 2021. 2.

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასტრალური მოგზაურობა

ზემიწიერი ძალებისგან, ტრანსცენდენტურისგან მოწყვეტას უმედურებად მიიჩნევდნენ როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ფილოსოფიაში, ანტიკურ თუ აღორძინების ეპოქაში.

„ცის და მიწის შეზავება“ (გალაკტიონი), რელიგიურობა, უზენაესისგან ნამცნობი სიბრძნის მიწაზე დამკვიდრება იყო ყოველთივის დიდი ხელოვნების მთავარი დევიზი, რადგან რწმენასგანშორებული სიტყვა ვერ წვდება ჭეშმარიტებას, ვერ იქცევა დიდი სულიერი კულტურის ნაწილად.

არა დინების მხარეს მოფარფატეთა, არამედ „ქარის პირდაპირ“ მხნედ მავალთა, სულიწმინდის მადლით გაბრძნობილთა შემოქმედება იყო ყოველთვის სიმართლის მაძიებელთა ინტერესის საგანი.

ნიკო სამადაშვილი ნაზიარები იყო ზეციურ, საღვთო, მარადიულ სიბრძნეს, არა მხოლოდ ბიბლიას და დასავლურ ფილოსოფიას, არამედ აღმოსავლურ მოძღვრებებსაც.

„ფერისცვალების“ ავტორის პოეზია დიდი ლიტერატურის კრიტერიუმებზეა დაფუძნებული.

ერთი მხრივ, პოეტი გვიჩვენებდა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს, ამასთან, მიბრუნებას ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი რელიგიისკენ.

როგორც ფართო თვალსაწიერის შემოქმედი, დაინტერესებული იყო ინდური და ჩინური ფილოსოფიით და პოეზიით, ბუდიზმით და ეს შემთხვევითი როდია, რადგან მრავალი შეხვედრის ადგილი არსებობს წმინდა წერილსა, ქრისტიანობასა, ბუდიზმის პრინციპებსა და ლაო-ძის „დაო დე ძინს“ შორის.

ლევ ტოლსტოი ხაზს უსვამდა იმ ნათესაურ კავშირს, რაც შეინიშნება ქრისტიანობასა და ლაო–ძის მოძღვრებას შორის.

„ქრისტიანული რელიგია სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება: პლატონის და ნეოპლატონური მოძღვრება, ებრაელთა რელიგია და ახალი ხანის თეორიები, ხსნის თეორია, რაც ნაწილობრივ ორფიზმში და ახლო აღმოსავლეთში ვლინდება (ბერტრან რასელი, დასავლეთის ფილოსოფიის ისტორია) (1,61).

როგორც ქრისტიანობაში, ასევე აღმოსავლურ რელიგიებში, ბუდიზმში განსხვავებულია ეგზოთერული და ეზოთერული, ანუ საიდუმლო და მასებისთვის განკუთვნილი სიბრძნე, გონების ცოდნა და სულის სიბრძნე, თვალის მოძღვრება და გულის მოძღვრება, წარმავლობა და მარადიულობა, მაია და ნირვანა, ხილული და უხილავი, მაღალი და მდაბალი მე, ორი გზა–აშკარა და ფარული. როგორც სახარებაში, ისე ბუდიზმში, კრიშნასთან გვხვდება ოკულტურ–ძალების რწმენა (სახარებაში – ქვის პურად ქცევა, ზღვის მღელვარების დაწყნარება, ზღვაზე სიარული, მიწის ბორკილებისაგან განთავისუფლება, ლაზარეს გაცოცხლება, ბუდიზმში – ოკულტური ძალებით ჭრილობის შეხორცება, თესლის უეცარი აყვავება, ლევიტაციის მოვლენა, ჯვარცმა იდეალებისთვის, სულის სხეულზე გამარჯვების იდეა, კრიშნას მისტიკური ძალით და ცეცხლის გადაყლაპვა, ქვებისგან ხიდის აგება, ტრანსცენდენტური ენერგიით მატერიის სულად გარდაქმნა. ასევე აღსანიშნავია სამი სამყაროს – სულიერის, ასტრალურის და ფიზიკური ძალების არსებობის რწმენა.

„ბჰაგავად–გიტაში“ „სიბრძნის ნავით“ მიიღწევა ცოდვების ზღვის გადაცურვა.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი სიბრძნე: მიწიური და ზეციური.

აგარის შვილები, მიწიური ცოდნის მაძიებლები, ვაჭრები ვერ იგნებდნენ სიბრძნის გზას „მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს, თავის მორჩილს და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (ბარუქ წინასწარმეტყველი 3,23,27)(2,90).

ურწმუნონი ვერ, ეზიარებიან სიბრძნეს: „ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ; გონიერს კი ცოდნა ეადვილება“ (იგავნი სოლომონისა, 14,6) (3,6,26).

ლაო– ძის „დაო დე ძინში“ უმაღლესი ცოდნის ცნება ორნაირი სახით არის წარმოდგენილი: ერთია ჭეშმარიტი სიბრძნე და აქედან წარმომდგარი ყოვლადბრძენი–დაოს მორჩილი და მისი კანონების დამცველი. მეორეა ცრუსიბრძნობა და აქედან წარმომდგარი ცრუბრძენი –დაოს საპირისპიროდ მოქმედი. ლაო–ძი მას ყველაზე დაბალ საფეხურზე აყენებს“ (1,101).

„არსში დაბრუნებას – მარადისობა ჰქვია. ვინც შეიცნო მარადისობა: გასხივოსნდა“ (1,141).

ბუდიზმშიც კავშირშია ინტუიციური და განსჯითი (ინტელეტუალური) შემეცნება.

სახარების ერთ–ერთი მთავარი პრინციპია „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“ (კუკა) (6,35).

„სიკეთე მიაგე მოძულეს შენსას“, ქადაგებს ბუდიზმი (1,169).

ორივეგან გვხვდება მესიანიზმის, ღმერთკაცობის, სულის ხსნის იდეა.

„სიდიადე სიშორეში გაღწევაა. სიშორეში გაღწევა – უსასრულოში გარდაცვლაა. უსასრულოში გარდაცვლა – დასაბამში დაბრუნებაა“ (1, 195).

„ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს და უკუპყრის გარეგანს“ (1,205).

ყველა ამ თეორიის გამოძახილს მეტნაკლებად ვიპოვით ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში და ვრწმუნ-

დეგით, რა ფართო თვალსაწიერის რა სულიერი თვალთახედვის პოეტი იყო ის, ვისაც მომადლებული ჰქონდა უხილავის ჭვრეტის, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები.

ყველა იდეალისტურ ფილოსოფიაში, პლატონის, ბუდიზმის თუ კრიშნას მოძღვრებებში სხეული, მიწა–წარმავლობას ექვემდებარება, ამაოებაა, მხოლოდ განწმენდილი და წმინდა სულია მარადიული. ამიტომ განდობილები ერთმანეთს უპირისპირებენ წარმავალს და მარადიულს, მიწას და ცას.

ბიბლიაში ცხოვრება აბობოქრებულ ზღვასთან არის შედარებული: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20) (2,116).

ნეტარი ავგუსტინე გვამცნობს: „ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (5,519).

სახარებაში მცირედმორწმუნე პეტრე იძირება ზღვაში, ხოლო ქრისტე თამამად გაივლის აბობოქრებულ ტალღებზე და შერისხავს ზღვასა და ქარს.

„აურაცხელი სულები ბორგავენ ადამიანთა ცხოვრების აბობოქრებულ ოკეანეზე, უძლურდებიან, იცლებიან სისხლისგან და ფრთებდამსხვრეულნი, ცხოვრების აბობოქრებულ ზვირთებში ერთიმეორის მიყოლებით შთაინთქმებიან. გაავებული ქარისგან აწიოკებულნი, გრიგალებთან დევნაში, მორევში იხრჩობიან და ზღვის პირველივე ხახადაფჩენილ უფსკრულში უჩინარდებიან“ (6,65).

„წმინდა ტალღებით უნდა გაანელო აზვირთებული ოკეანის სიმწარე, რომელიც ადამიანთა ცრემლებისგან გაჩენილა.

„უნდა გაუძლო მაიას ოკეანიდან მომქროლი აბობოქრებული ტალღების შემოტევას“ (6,129).

„ჭეშმარიტი მოგზაური ზეცაში, წყლებს ზემოთ მოთარეშე ქარებზე დააბიჯებს ისე, რომ ტალღებს ტერფებით არც კი ეხება“ (6,64).

„სრულყოფილების მიღწევის გზაზე მრავალი ფათერაკია, უფსკრულებია, რომელიც გარს არტყია ადამიანის ვნებათა სავანეს“

ნიკო სამადაშვილის „ზღვის სიმფონია“ (7,63) ხაზს უსვამს პოეტი მეზღვაურის „ზღვის სიყვარულს“, რომელიც „დიდი ამაოებაა“. და ამაოების დაძლევით, ზღვის გადალახვით ეზიარება მარადისობას (შდრ. გალაკტიონი: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები). პოეტისთვის მახლობელია ზღვისებური „დიდი შფოთვა“, „ოკეანის სიმფონია“.

სახარების და აღმოსავლური რელიგიების მთავარი პრინციპია სულის ღვიძილი და არა თვლემა ან ძილი.

ქრისტე მოუწოდებს მოციქულებს: „იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხორცი კი უძლური“ (მათე), 26,41) (4,60).

ნიკო სამადაშვილისთვის მთავარია „ხილვა, ზარების სმენა და პოეზიის გადარჩენა“ (აქ არის ღამის მაჯისცემა) (7,231).

პოეტის კრედოა: „ნუ ჩათვლემ, ძმაო“. მას ესმის „ღამის მაჯისცემა, ტყეში ვერხვების გვემა“, ღმერთის ღრიალი, ღმერთის გაფრენის ხმა.

სრულყოფილების მისაღწევ გზაზე მრავალი ფათერაკია, „უფსკრულებია“, რომელიც გარს არტყია ადამიანის ვნებათა სავანეს.

სოფლის წარმავალ ფასეულობათა დაძლევა დაკავშირებულია „საშინელი მარტოობის გზასთანა“ (რამაჩარაკა).

„მარტვილობის უმძიმესი სევდიანი გზა ფათერაკებით არის სავსე“ (6,11) და უნდა დაძლეულ იქნას მიწიერი უკეთურობები.

დედამიწა არის „სევდის სრა–სასახლე“, ხაფანგით, ხიბლით სავსე. „მიზნის“ მისაღწევად გადასალახავია უფსკრული, ჯურღმულები, გასავლელია „გლოვის კარი“, რათა ბოლოს შეისუნთქო „სიკეთის სურნელებით გაჟღენთილი ნიავი“.

ნიკო სამადაშვილი გამუდმებით უარყოფითად ახასიათებს საწუთროს. დედამიწა, ქვეყნიერება კაკანათია, მოქნეული ქამანდია: „ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით“ (ნაწყვეტი), „ტლანქი ცხოვრება ჭრელი გველია“ (საქართველოდან პარიზისგან) (7,8-9), ციდან მიწიერი სასახლე „წარსული და ბალდახინია“ (საღამოხანი) (8,120).

„მიწა ... ჯვარცმის შავი დედანია“(ორი ხელადა ჩამოგვისხეს) (7,204), „ქვეყნიერება ფუტურია (პასუხი) (7,219), „სიყმაწვილე ფუტურია“ (მოგონება და სინანული) (7,256), „დედამიწა... ქვიშა და ნაგავია, დედამიწა კუტია ჩავარდნილი სივრცეების ნაცარში“ (კუტი) (8,142). „სასაფლაოა ეს ვერაგი მთელი სამყარო“ (ტყე აშრიალდა) (8,119). მიწა, საწუთრო მთვარეულია, ქვასავით უგრძნობელი, ქვენა ქარების საუფლო, წელში მოხრილი“, სატანჯველი (ზეკაცი და ნისლოვანება) (7,173). „ბრუციანი, შუქის, მათხოვარი (გული და ჯანღები) (7, 70-71).

პოეტი უმზერდა „საუკუნის სამიწე თვალებს“, სისხლების ღელეს“ (ნაწყვეტი) (7, 225), ხედავდა „საწუთროს ქარის“ სიავეს, ესმოდა „წარმავლობის მძლე ქოქოლა“ (შეხვედრები სამხარზე, წარსულის კვალი) (7,76,79).

ნაკო სამადაშვილს იდეალად ესახებოდა „მარადისობის ყელმოღერება, ლაჟვარდების უსურვაზებში მივარდნილი ქვეყნიერება, დაუსაბამო, ულეველ გზებზე ატეხილი მშვენიერება“ (მოგონება და სინანული) (7,239), ეიმედებოდა ზეცაში, მარადისობაში „დიდ ფიქრთა გუნდის“ გაგზავნა (რაც იყო, იყო) (7, 172).

ბუდიზმი სამყაროს განიხილავს, როგორც მაიას, ანუ ილუზიას.

„ეს დედამიწა სევდის სრა–სასახლეა, ყოველ ნაბიჯზე ხაფანგია, რათა შენი „მე“ დაიჭიროს იმ ხიბლით, რომელსაც უდიდესი ერესი ჰქვია (6,61).

„უნდა მოსპო სურვილების სხეული, აუცილებელია აზრთა სხეულის განწმენდა, ვნებათა ჭიის მოსპობა.

„შენს გულში ტანჯული ადამიანის ცრემლები უნდა ჩაიღვაროს ნაკადულებად, რომლითაც მორწყულია უკვდავი თანაგრძნობის მინდვრები.

„მხოლოდ მორწყულ ნადაგზე გაიფურჩქნება ბუდას შუაღამის ყვავილი. ებრძოლე პირადს, გარდამავალს, მერყევს, განადგურებისთვის განწირულს (6,71).

„უნდა გაიხსნას სულიერი თვალთახედვა, რათა გაიგონო მდუმარების ხმა. კიბე, რომელიც მაღლა აგიყვანს, ნაშენია ტანჯვის და სევდის საფეხურებისგან (7,72).

„საკუთარი თავის უარყოფის წყლებში უნდა განბა-

ნო შენი ფეხები, რათა გათავისუფლდე ამაობისგან.

„სამი სასახლე უნდა განვლო–არცოდნის, შეცნობის სასახლე და სიბრძნის სასახლე (6,63). ის ყველაფერის მიღმურია, სადაც „არსებობენ ჩრდილები და ჭეშმარიტების სინათლე ჩაუქრებელი დიდებით ანთია“ (6,64).

ბიბლია, ბუდიზმი, ოკულტიზმი „ხაფანგად მიიჩნევს ხიბლს, ერესს, თვითგანდიდებას, ქებას, თვითკმაყოფილებას, რომელიც ცაში აზიდულ კოშკს ჰგავს, რომლის წვერზე ბრიყვი ამაყი შემომჯდარა“ (6,84).

ნიკო სამადაშვილი გვევლინება, როგორც „ცხოვრებით გაჩანაგებული, ჭმუნვის სარქალი, სახრეგადაწნული, სისხლით დაწერილი ლექსების ავტორი, „მარადისობის კოშკების“ პატრონი (თელა და ჩიტი) (7, 20-21). უპირისპირდება ამაოებას, „ქვეყნიერების კოშკებზე“ ამძვრალ ვაიშემოქმედთ.

ხმაურიანი ლექსების ავტორი შორს არის თვითგანდიდებით ცნობილი, პატივმოყვარეთაგან: „...თუმც ხმაურობდნენ მტკვართან ლექსები, ... ერთი კარგი რამ დამრჩება ქვეყნად, რომ განდიდებას ვერ შევეყარე და მიხარობდა ბედი ბუტია“ (იტყვიან, კაცი რაზე ლოთობდა) (7,107).

ლექში „გაჭვავება“ (7,59). უბედურებად მიიჩნევიან განდიდების კვერით დანაყრებულები“ „...ვინც განდიდების კვერით დანაყრდა, რა ეშველებათ იმ უბედურებს“.

მთავარია პირადული მეს, მიწიერი სურვილების დათმობაა, მთელი კაცობრიობის სურვილების გათავისება, „მერუს მთაზე“ ამღლება (მერუ – ინდუსების წმინდა მთა, ღვთიურ არსებათა სამყარო) (6,172).

ნიკო სამადაშვილი „შორეული გზების“ მოგზაურს ურჩევდა: „...აჰყე მაგ მთების ვიწრო ხერხემალს და წუთისოფელს გადასცილდები. წადი, ნისლებმაც თუ გამიტყუეონ, საკუთარ თვალებს ნუღარ ენდობი. არ შეგაყვაროს თავი საწუთრომ, ან არ იმღერო გალეშილ გრძნობით. გზა რომ უფრო შორს გადაგიწიონ, ქარები მთვარეს მაღლა ასწევენ, გარშემო სულ სხვა ზეცა იქნება და პანაშვიდი ჩადგება მწვანედ. ო, აჰყე, აჰყე მაგ მთის ხერხემალს, კმარა, კამარებს ნუ აცივდები, აჰყე, არ დასძრა არსად კრინტი, ხმა და წუთისოფელს გადასცილდები“ (წუთისოფლიდან უკვდავებამდე) (7,95)

ბუდიზმის ეზოთერული სწავლების მიხედვით, ადამიანს თან სდევს რვა უბედურება, ბორკილები. ესენია: გრძნობებით ტკბობა, ვნების მონობა, ზიზღი ულამაზო ფორმებისადმი, საკუთარი სიამოვნება, ეჭვები ცათა სასუფევლის მიმართ, ეგოიზმი (6,168).

განდომილმა უნდა იმოგზაუროს „ჭვრეტის და სმენის გზებზე“, „შემეცნების სინათლის“ მისაღწევად (6,125), უნდა გაიგონოს იმედის ბულბულების გალობა“ (6,11).

ნიკო სამადაშვილს ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა (საით, ვინ იცის) (7,217-218), ზეცის ზარი, მთების ხველა, სამრეკლოს გაოგნებული რეკა, ღამის მაჯისცემა, ქვესკნელთ გალობა (შეხვედრები დღის ბოლოს) (7,221-222), დედამიწის „ხმაგაკმენდილი გზის ყვირილი“ (ტერფი და ჟრუანელი) (7,194).

ხედავდა „განგების ჩრდილს“, „ლექსების ჩრდილთა ტორტმანს“, „სამყაროს იქით“ მიმავალ მგზავრებს (ფერისცვალება) (7,62).

პოეტსი იყო „უუამო სივრცის მგზავრი“ (სინათლის მიმოქცევა) (7, 241-242), ესმოდა „მარადისობის ბოხი ზარების“ გრიალი (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (7,237).

საიდუმლო დოქტრინას ზიარებულთა მიზანია ნირვანის მიღწევა, გარდასხეულების შეჩერება.

ამას გულისხმობს ნიკო სამადაშვილი, როცა ამბობს: „...ქვესკნელს შემასხი მშობელო მიწავ, თუ კიდევ შენსკენ გამოვტრიალდე“ (ვისაც სიცოცხლე ღვინოსთვის ერეოდა)(7,199).

საკრალური ცოდნის მაძიებლის სამშვინველი უნდა გახდეს წმინდა, როგორც მოელვარე ალმასი) სხვაგვარად, მისტიური ბგერები სულიერი სიმაღლეებიდან ვერ მიაღწევენ შენს ყურთასმენას.

VI საფეხურზე შენს თავზე აინთება ვარსკვლავი– შენი ძიების მიზანი.

„...აი, მაშინ გახდები ზეცაში მოგზაური, ...რომელიც წყლებს ზემოთ მოთარეშე ქარებზე დააბიჯებს ისე, რომ ტალღებს ტერფებით არც კი ეხება (6,64).

„ვიდრე მისტიურ ბგერათა ზედა საფეხურზე შედგები, შენ ღმერთის ხმა უნდა გაიგონო, რომელიც შენშია, თავისი 7 ნაირსახეებით: ბულბულის სტვენის მსგავსი, არამიწიერი სულის ვერცხლის წინწილის ხმის მსგავსი, რომელიც ვარსკვლავთა ციმციმს აღავლენს, შემდეგი ბგერა აქვს საკუთარ ნიჟარაში დატყვევებული ოკეანის სულის მელოდიურ ჩივილს, რომელსაც ბამბითის სიმღერა ეწოდება. მეხუთე ხმა სალამურის წკრიალს ჰგავს და საყვირის ხმაში გადაზრდილია (6, 67).

„მხოლოდ მოგზაურობის ბოლოს შეიძლება ჩაგესმას ხმა მდუმარებისა“ (6, 72).

განდობილებს ბუნების ათასგვარი ხმა ესმით. საკრალური ცოდნის მაძიებელნი საბერძნეთში ელევზინის მისტერიებზე „მდუმარების ხმის მოსმენას“ ელტვოდნენ.

ნიკო სამადაშვილი მთავარ ორიენტირებს ეძებდა, მაგრამ „მიუვალი გზა“ „სფინქსის ზუზუნში“ იყო ჩაფლული (ბალახი როცა ამოვა) (7,64-65).

პოეტისთვის მთავარი კითხვა იყო: „რომელ გზაზე მიუშვა ბედი“ (გათხრები) (7,66).

მიზნის მისაღწევად „უღრანი“ გზებით უნდა ევლო, წინ „ვეებერთელა შარა“ იყო (თებერვალი და მოგონება. ერეკლე ტატიშვილი) (7,126).

„დედამიწის უარმყოფელი“ მარადისობას ელტვოდა: „მე რიჟრაჟების გამჭვირვალე მტვერი ვარ, მტვერი და ჩემი ბინა არის მუნჯი მარადისობა“ (საღამო და განწყობილება) (7,153).

წუთისოფლის მოძულეს ღმერთებმა „ლაჟვარდების სხვენზე“ ყოფნა განუწესეს (ერთი იმაგანი) (7,158).

წუთისოფლისა და მარადისობის მიმართების პრობლემას ლაო–ძის „დაო დე ძინი“ ასე გაიაზრებს: „ვინც მორჩილებს წარმავალს, წარმავალის თანაარსია“ (1,92).

აქვე დასმულია მთავარი კითხვა და მოცემულია მისი პასუხიც, „ვინ არის ყოვლადბრძენი, მრავალჟამიერი? – „ვინც გადიადდა, ვინც წარუვალში გარდაიცვალა, ანუ გაუკვდავდა“ (1, 163).

და აქვე „ყოვლადძლიერის“ უმთავრესი თავისებურება: „ყოვლადძლიერი ნიადაგ მწუხარს გარემოუცავს“ (1,123).

ამ მოძღვრებაში ერთი შეხედვით ალოგიკურობაა:

„ო, უბედურებავ! შენ ხარ ძირი ბედნიერების ... ო, ბედნიერებავ, შენ ხარ ძირი უბედურების“ (1,149).

ანუ მაქსიმალისტური ზნეობის მოძღვარი გვამცნობს, რომ მატერიალურად უპოვარი, მაღალზნეობრივ, მარადიულ იდეალებზე ორიენტირებული ადამიანი ბედნიერებას მოიხვეჭს უზენაესის განკითხვისას, ხოლო მიწიერ, პრაგმატულ ინტერესებს მიჯაჭვული– უბედურებას.

ნიკო სამადაშვილი იზიარებს ამ მოსაზრებას და ასე ეპასუხება დიდი წინამორბედის სიბრძნეს: „... სიცოცხლეს მაინც რა არ სჯობია, რომ ამ დასაქცევ დედამიწაზე ბედნიერებაც დასაგმობია“.

„სოფლის წარმავალ ღირებულებათა დაძლევა არის საშინელი მარტოობის გზა“, (რამაჩარაკა, იესო ქრისტეს ცხოვრებიდან, გვ. 176).

„არსში დაბრუნებას მარადისობა ჰქვია. ვინც შეიცნო მარადისობა, გასხივოსნდა“ (დაო დე ძინი) (1,139).

„ვინც ბევრს იხვეჭს, ჭეშმარიტებას კარგავს“ (1,172).

არა მიწიერი ინტერესები, ანგარება, არამედ მზერის მიპყრობა უზენაესისკენ, რათა უსასრულოს, დასაბამს დაუბრუნდეს ადამიანი: „სილაღე სიშორეში გაღწევაა. სიშორეში გაღწევა – უსასრულობაში გარდაცვლაა. უსასრულობაში გარდაცვალება – დასაბამში დაბრუნებაა“ (1, 195).

„ვინც შეიცნო ნათელი თვისი: მანვე შეიცნო წყვდიადი თვისი. იგი ხატია სამყაროსი. ვინც ხატია სამყაროსი: მარადიულ დეს ეუფლება და პირველ დასაბამს უბრუნდება“ (1,197).

საკუთარი თავის, ერის, კაცობრიობის მისიის გაცნობიერებაა ადამიანის მიზანი წმინდა წერილშიც.

„ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს და უკუპყრის გარეგანს. საჭიროა „ზიარება მარადიულთან“ (1, 201, 204).

ნიკო სამადაშვილს უზენაეს ცამდე, „ცათა ცამდე“ ამაღლების მისია ჰქონდა დაკისრებული. „...ზეცაზე ზეცა, გადაფრინდება, თურმე ამისთვის ჩამოგათესლეს“ (კამარების შეჭმუხვნა) (7, 31).

„ბინდების გაღმა“ მარადისობის ჩუმ უდაბნოს“ ჭვრეტდა (ფილტვების სიყვითლე) (7, 64).

არჩევანი უნდა გაეკეთებინა „ზენა ქარსა“ და „საწუთროს ქარს“ შორის (წარსულის კვალი) (7, 79).

„ათასი წლების ზუზუნი“ ესმოდა, დაღლილი იყო „ლოცვით და მოწყალებით“ (საით, ვინ იცის) (7,217-218).

„საწუთროს ქარი“ განათებულ ცას გლეჯდა და არ ასვენებდა კითხვა: „...დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემოვეხეტე?“ (წარსულის კვალი) (7,79).

მთავარ კითხვად რჩებოდა: „რათ დავიბადე, ნეტავი რისთვის?“ (ჩემს ნუკრიას) (8,40).

ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული პოეტის სული მსოფლიოს იქით, პლანეტების იქით იჭრებოდა, დასაბამისკენ გაღწეული, თავისი მოწოდების გახმიანებას ისმენდა „გზებისგან“:

„ვიხედებოდი დასაბამისკენ, ღრუბლებს სანთლები სადღაც აენთოთ, უნდა წახვიდე! – მისტვენდნენ გზები, – უნდა მსოფლიოს კიდევ გაენდო“.

ბინდში ხედავდა „ღიმმორეულ საფეხურებს“, გრიგალის შუქში იმზირებოდნენ მკვდრები, ქარბუქის ლექსებს მტრედები ისმენდნენ (დაუსაბამობის ხილვა) (7,43-44).

მარადისობამდე მისაღწევი გზა არა აშკარა, არამედ „ფარული გზაა“. „დაფარული გზა“ საკუთარი თავის უარყოფაა და ამიტომ ეწოდება სევდიანი გზა. ის არის საკუთარი თავის სამსხვერპლო (6,100).

„ვიდრე მარტვილობის უმძიმეს გზას შეუდგები, უნდა შეიტყო ამ გზაზე არსებული ყველა ფათერაკის შესახებ (6,111).

„უნდა შეიარაღდე სათნოების, სიყვარულისა და თანაგრძნობის გასაღებით, ვიდრე გზის პირველი კარის შესასვლელს შეაღებ“ (6,112).

უშიშარი მოგზაურის თანამგზავრები ხდებიან „იმედის ბულბულები“, რომლებიც სრულყოფილებას, სულიერი ხედვის გახსნას, შემეცნების 7 საფეხურზე სვლას უგალობენ (6,112).

II კარისკენ მიმავალი გზა მწვანეა, ციცაბო, ქვანი, მთის მწვერვალისკენ მავალი გზაზე ჭაღარა ნისლებია და მათ გულში ისმის „იმედის სიმღერა“ (6,13).

თუ მოგზაურის სიტყვა და საქმე ერთი არ არის, ის წონასწორობას დაკარგავს, ფეხები დაუზიანდება კლდოვანი ბილიკის ბასრი ქვებისგან. კლდოვანი ბილიკების ბასრი ქვებით აღინიშნება კარგის მოქმედება (6, 166).

საჭიროა შიშის დაძლევა, „თვინიერი მოთმინების წყლებით სულის განბანა, ბრძოლა დაბალ და მაღალ „მეს“ შორის, მდაბალის ალაგმვა ღვთაებრივით (6, 97).

ადამიანს მუდამ თავს დასტრიალებენ უხილავი გრიგალები, რომლებიც ხრწნადი ბუნების გადმონაშთებია.

„გლოვის კართან“ აურაცხელი ფათერაკებია, ვრცელი ჯურღმულები და მბრძანებელი მარას გაშმაგებული ურდოებია.

საჭიროა შენი წმინდა კუნძულის, უკვდავი სულის, ადამიანის დიადი „მეს“ დაცვა (6, 169).

მტკიცედ უნდა დაუპირისპირდე მაიას ოკეანის შმაგი ტალღების შემოტევას.

შენი კუნძული ირემს ჰგავს, რომელიც ირემივით სიცოცხლის წყაროსგან მიისწრაფვის, მან მდევართა ხროვა უნდა დაამარცხოს და გადარჩენის ველზე, „წმინდა ცოდნის“ გზაზე უნდა გაიჭრას.

საჭიროა შენივე ეგოს ხიბლისგან გაქცევა, მიწიერი ზრახვების კვდომა.

წმინდა წერილი გვასწავლის: „მისთვის, რომ ოქროსფერი ალი შეურხევლად ენთოს, ლამპარი დაცულ ქარისა და ნიავისთვის მიუწვდომელ ადგილას უნდა დაიდგას“ (ბჰაგავად–გიტადან, 6,9).

მთავარი საყრდენი უნდა იყოს „ღვთაებრივი ცოდნა“.

სულიდან უნადა განაძევო პატივმოყვარეობა, ბრაზი, სიძულველი.

თუ გამზადებული სულით მოხვედი, შიში ვერ იბატონებს შენზე (6,125-126). საჭიროა სულიერ ძალთა კარის გავლა, შემეცნების სინათლეში, ჭვრეტისა და სმენის გზებზე დგომა.

მერე იწყება ვერცხლისფერი ვარსკვლავის ციალი, იფურჩქნება შუაღამის ყვავილები, სიკეთის სურნელით იუღინთება ჰაერი, იწყება დღის მეუფის აღდგომა.

მოდის აზრთა მნათობის სხივები, გონება უსაზღვ-

რო ოკეანეს ემსგავსება.

წმინდა მერუს მთაზე მიღწევისას ასტრალური და ფიზიკური სამყაროს თავზე ჩნდება სულიერი სინათლე.

მოშიებულთა დაპურებით, ამ ქვეყნის მიმართ სიყვარულის გაქრობით მიიღწევა ნირვანა.

ასეთ გზაზე მოდიან სრულყოფილების ბუდები.

აუცილებელია არა მარტო საკუთარ თავზე ზრუნვა, არამედ მთელი სამყაროს სატკივრების გათავისება.

ქებათა ქების ჰიმნი ავსებს ცას და მიწას. ჩნდება სინათლის ოქროს გრიგალი, აუღერდება ათასბაგოვანი ხმა, იწყება მოგზაურის დაბრუნება, არქატის– სამყაროს ახალი მაცხოვრის დაბადება კაცობრიობის გადასარჩენად.

არქატები, ადეპტები უსაზღვრო თვალსაწიერს ანუ ზებუნებრივ მხედველობას ფლობენ, ისინი ხედავენ და იგებენ ყველაფერს ერთიანად, როგორც აქვე, ისე ნებისმიერ ადგილზე (6,159).

ნიკო სამადაშვილი „საწუთროს ყოველგვარ უკეთურობას „ხედავდა, მას აწამებდა „სულისა და სხეულის განხეთქილება“ „ტანჯავდა მიწა წელში მოხრილი“.

„ნიკო სამამადაშვილს პოეზიის წიაღში უჩნდებოდა შეგრძნება, რომელიც ამცნობდა, რომ ჭეშმარიტად თანესწრებოდა იმწამიერ სამყაროს არსებობას“ (თემო ჯაფარიძე) (7,562).

პოეტი სულის ფრთებით აღწევდა პლანეტებს გაღმა, მარადისობაში, ანათებდა მეტეორივით: „მე ვანათებდი ჭრელ თვალების მეტეორივით, მარადისობის ხშირ მარგილებთან“ (მარგილები) (7,260).

„ქარიშხლის სვეტები“ საყრდენად ქცეოდა, დილები მარმარილოს მოაზმანებდა, კამარებში „მტრედების ბუდე“ ჩანდა, სანთლებთან ტბების ტირილი, გრიგალებს ზარები ესმოდა და რაც საოცარია: თუ ედგარ პომ მოლაპარაკე, მომავლის მაუწყებელი ყორანი გვიჩვენა, ნიკო სამადაშვილის ყორანი ლოცავს პოეტს. და პოეტი „მეტეორივით“ ანათებს „მარადისობის ხშირ მარგალებთან“ (გადმოსმენა სამყაროსკენ) (7, 124-125).

საწუთროს ცდუნება – ამაოებისგან გამდგარი, სიმაღლეებს, „სხვა ზეცას“ აღწევდა, მარადიულ ჭეშმარიტებას ეზიარებოდა: „ქარს ეფარები, ვერავინ გხედავს, სივრცეებს ნუღარ მიაცივდები. აჰუე, მაგ მთების ვიწრო ხერხემალს და წუთისოფელს გადასცილდები. წადი, ნისლებმაც თუ გაგიტყუონ, საკუთარ თვალებს ნუღარ ენდობი, არ შეგაყვაროს თავი საწუთრომ, ან არ იმღერო გალეშილ გრძნობით. გზა რომ უფრო შორს გადაგიწიონ, ქარები, მთვარეს მაღლა ასწევენ, გარშემო სულ სხვა ზეცა იქნება ან პანაშვიდი ჩადგება მწვანედ. ო, აჰყე, აჰყე, მაგ. მთის ხერხემალს, კმარა, კამარებს ნუ აცივდები, აჰყე, არ დასძრა არსად კრინტი, ხმა და წუთისოფელს გადასცილდები“.

სხვა ზეცა არის ბიბლიის ცათა ცა, ანუ უზენაესი ცა, ღმერთებისა და წმინდა სულების სავანე.

ნიკო სამადაშვილის „პერსონაჟი ქართლის საზღვრებს სამყაროს მიღმა აფართოებს, აქ ხან მიწიერის და არამიწიერის საზღვრების გადალახვაა, ხან მიწიერზე ზეციერი სიღრმეებიდან ჩაფიქრება, აქაა კოსმიური განწყობა, მეტაფორული მისტერიები (ღამისთევის პოეზია, თემო ჯაფარიძე) (7,565-566).

უსაზღვროებაში ხეტიალი, პლანეტების გუგუნის მოსმენა პოეტის ბედისწერაა თითქოს. „ცის ეზოში“ მთვარის, ვარსკვლავების ელვა უნათებს გზას, ცრემლების ტალღა შუქს გამოსცემს და იდუმალი ხმა მოუწოდებს: „წადი ირბინე, სანამ ყვითლად ჩამობნელდება, წადი, იმღერე და დაოსდი სივრცეებისკენ“...

მთვარეზე „ჭანდარივით ქარწამოსხმულს“, უცნაურად მიჩნეულს, დაღუპვის შიშიც უნდა აემგზავროს, მაგრამ გაბედულად აღმოხდება: „არ დამიფარო გრიგალებში, გზაო ძლიერო“

... გზა საღმრთო სახელია.

გონდაკარგულ ხეტიალში მეხის, ქარიშხლების ხმა ძლიერდება და თავისი მეორე მე უხსნის, რომ ეს „შებინდული პლანეტებია“ (ჩემი ფეხის ხმა მთავრისაკენ. მარადისობის ნაკამარევი) (7, 143).

„ცის აივანში“, „ღვთაებრივ გზნებით“ მოარულს, თუმც ზარები აფრთხილებენ, ვერ აშინებს „სიცივე, ჭირხლი, ბურუსი“, ...ღრუბლის სვეტები. ესმის „პლანეტების ჯოგის“ ყივილი, წარმავლობისა და მარდისობის ჭიდილი, ქვეყანა ვერ შეგუებოდა ბუდას და ქრისტეს, მაგრამ ზეცაში მოგზაურ პოეტს ადევნებოდნენ და მოწონების ნიშნად ხელებს უქნევდნენ, წყვდიადში ოდნავ იხილვებოდა გათენების მაცნე სინათლე (დაუსაბამობის ხილვა) (7, 184).

რუდოლფ შტაინერი წერს: „შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლად გამოთავისუფლდეს, აღიქვას და იმოძრაოს სულიერ სფეროში.

„მესამე ხარისხის შემეცნება ხელეწიფება მხოლოდ სულიერ ადამიანს, როდესაც იგი ფიზიკური ორგანიზმიდან იმდენად გამოთავისუფლდება, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ არ ჰქონია (ჩემი ცხოვრების გზა) (9, 317).

დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი) იყო „ფრთოვანი, განსწავლული გონებითა ზეციურისა მეცნიერებათა, რომელსაც ხელეწიფეოდა „სათნოების ფრთით ზეცაში ამაღლება (არეოპაგიტული კრებული) (10,60,81).

ჰიმნოგრაფ ბასილის მახასიათებელი იყო „ზეშთა სიმაღლედ ამაღლება სულიერი ფრთით“ (11, 263).

ზოსიმე ათონელი „გონიერი ფრთით“ აღწევდა ცაში და ხდებოდა ღმერთის ხილვის ღირსი (11, 223).

სულის ფრთების მზრდელია საღმრთო სიყვარული: „...სიყვარულითა საღმრთოითა ფრთოვან იქმენ შენ“ (იოანე მტბევერი) (11,123).

სულიწმინდისგან ხელდასხმულთ ენიჭებათ სათნოების ეტლით ზეცაში ამაღლების უნარი.

ეზრას მიზანი იყო სულის, ფრთით ზეცაში გაღწევა: „ფრთოვან ჰყავ სლვაი სიმაღლედ მიმართ ზეცისა“ (11,123).

„ფრთები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ“, ამბობდა აკაკი წერეთელი.

ტერენტი გრანელისთვის ორგანული იყო „ექსკურსია ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“, „ლოცვა გაფრენისთვის“.

გალაკტიონისთვის პოეტი არის „გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“ (ეფემერა“) მისთვის „მხოლოდ გაფრენა არის შემოქმედება (კოსმიური ორკესტრი).

პოეტების მეფის დღიურებში ხშირია საუბარი „გა-

ფრენაზე, „სადაზვერვო გაფრენაზე“, ეს მისთვის არის „სიმძიმეთა შემსუბუქების იდეა“ (ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი, თბ. 1997, გვ. 76).

შარლ ბოდლერი, ვლადიმერ სოლოვიოვი, ალექსანდრე ბლოკი ხშირად საუბრობენ ფრენაზე.

გოდერძი ჩოხელის რომან „მგელში“ ფრენენ გერები (ვიდრე სულიერი სიწმინდე გამოარჩევთ), სულ ცისკენ მიიწევენ დიდი მწერლის, პერსონაჟები (ცასწავალა, არწივთან ფრენა).

ასტრალური მოგზაურობისას სული ეთიშება სხეულს, იქმნება უწონობისა და სიმსუბუქის შეგრძნება და ეს მდგომარეობა გიგივებულია ფრენასთან, რაც საჭირობს უდიდეს ძალისხმევას, უმაღლესი წესრიგის გამბედაობას, ასტრალური სივრცის საოცარი სანახაობის წინაშე შიშის დაძლევას სიმშვიდეს, საკუთარი ძალების რწმენას (12,231).

წმინდა, დისციპლინირებულ სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები. „ფრენა ბრწყინვალე სიტყვაა... ფრთები იზრდება ფიქრით, გაფრინდით ფიქრით, მოგვიწოდებს ელენე რერიხი (13,523).

სულიერ ზეცაში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ სულიერ სხეულით. სულიერ ზეცაში მოგზაურობენ არა ხელოვნური თანამგზავრებით და კოსმოსური ხომალდებით, არამედ სულიერი თვითმფრინავებით, კრიშნას ცნობიერებით, სულიერ განვითარებით (13, 140).

ფრენენ წმინდანები, რომელთაც ცოდვა არ ამძიმებთ, რომელთაც დაამარცხეს თავიანთ თავში ხრწნადი და წარმავალი. ისინი ხედავენ სულს, უსაზღვროებას, ფლობენ ფრენის, უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

„ცა ღვთის ტახტია. რადგან ცაში არიან მისი ნების ამსრულებელი ანგელოზები... მიწა არის ღვთის ფეხთა კვარცხლბეკი, რადგან ხორციელად მასზე იმყოფებოდა იგი ადამიანებთან ერთად“ (11,339).

ჭეშმარიტი არსებობის მიზანი ის არის, რომ „ზეცის დამკვიდრებამდეც მიწა ზეცად უნდა ვაქციოთ, ...ისე მოვიქცეთ, თითქოს ზეცად ვიყოთ, რომ წაიშალოს განსხვავება ცასა და მიწას შორის..., რათა მივბაძოთ ზეციურ ცხოვრებას“ (წმინდა იოანე ოქროპირი) (14, 433).

წმინდა იოანე დამასკელს სწამდა ადამიანური სულის უკვდავება, ღმერთთან მსგავსება და წერდა: „ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“ (12, 367).

„ერი არის ღვთის სული, ღვთის ჩანაფიქრი...

„ერი არის მისტიური ორგანიზმი, მისტიური პიროვნება, თოუმენი და არა ფენომენი ისტორიული პროცესებისა...

„ერის სული ყოველთვის გამოიხატება პიროვნებათა თვისებრივი შერჩევით, რჩეული პიროვნების მეშვეობით“ (ნ. ბერდიაევი).

„პიროვნება, ერი, კაცობრიობა, კოსმოსი, აი აღმავალი იერარქიული კიბე, რომლის საფეხურები ერთმანეთით არის გაპირობებული“ (16,121).

„ზეცაშიც არსებობს მზე, მთვარე და ა.შ. ჩვენ მთელ სისტემას წარმავადგენთ. თუკი იცით, რა არის თქვენი მთვარე და როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი, მაშინ შეგიძლიათ ჩაწვდეთ კოსმოსს“ (გიორგი გურჯიევი) (17,59).

„დედამიწა, პლანეტათა სამყარო და მზე, მსგავსად ყოველი ცოცხალი არსებისა, ავრცელებს ემანაციებს.

„ადამიანი არის, ერთი მხრივ, პლანეტური ემანაციებსა და დედამიწას ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ, დედამიწის ნივთიერებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგი (17, 177).

„ყოველივეს ემანაცია აქვს, რადგან ყოველი არსებული რაღაცით საზრდოობს, თავის მხრივ, თვითონაც რაღაცის საზრდოა. დედამიწას აქვს ემანაციები, ასევე მზესაც და ეს ემანაციები... ნივთიერნი არიან (17,149).

„ყოველი არსება გამოსხივებას ახდენს, გარკვეული ნივთიერების სხივებს უშვებს. დედამიწა, ადამიანი, პლანეტები, მზეები ასხივებს ემანაციებს.

„აქ, ამ პლანეტაზე არის დედამიწის, პლანეტების და მზეების ემანაციები. დედამიწის ემანაციები ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ მანძილამდე, მიღმა კი მზეებისა და პლანეტების ემანაციებია. ემანაციები ყველაფერში იჭრება, ისინი აღწევენ ადამიანებსაც“ (17,166).

„მაღალ სფეროებში ინტელექტი, გონებრივი განვითარება თავის წმინდა კრისტალური ფორმით არსებობს, რაც უფრო დაბლა ეშვება, მით უფრო ნაკლებად განვითარებადია იგი“ (17, 167).

„...ადამიანი არის, ერთი მხრივ, პლანეტების ემანაციებისა და დედამიწის ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ, დედამიწის ნივთიერებას შორის ურთიერთქმედების შედეგი.

„ასტრალური სხეულის ნივთიერება თავისი რახევების, ვიბრირების მიხედვით მზის ემანაციების ნივთიერებებს შეეფარდება“ (17,447).

გიორგი გურჯიევი მოგვიწოდებს: „დაუკვირდი ვარსკვლავთა მოძრაობას, როგორც მათი სიბოლის მონაწილე და გამუდმებით იფიქრე სტიქიონთა ერთმანეთში გადასვლისათვის, რადგან მსგავსი წარმოდგენანი მიწიური არსებობის მწიკვლისგან წმენდენ კაცის სულს“ (17,176).

„ზეცის, მილიონობით სამყაროს, ირმის ნახტომის უსასრულობაში შეუძლებელია დედამიწას თვით ქვიშის მარცვალიც კი ეწოდოს.

„ამ სამყაროთა წინაშე შეეკითხეთ თქვენსავე თავს: რას წარმოადგენენ თქვენი მიზნები და იმედები, თქვენი ზრახვები და ის საშუალებანი, რითაც აპირებთ მის განხორციელებას...

„...თქვენს წინაშე ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობაა. მოგზაურობის მიზანია თქვენთვის უჩვეულო, უცნობი მიწა. გზა უძნელესი და უსასრულობაა... თან იქონიეთ ყველაფერი, რაც სჭირდება ამ მოგზაურობას.

გაზომეთ თქვენი ძალები. გაწვდებიან ისინი მთელ მოგზაურობას?

...წინ დიდი გზა გიდევთ. ეს თქვენგან ითხოვს პროპორცილად დიდ მარაგს, – ეს მარაგი კი წინააღმდეგობაა, როგორც მოგზაურობის დროს, ასევე ამ მოგზაურობის მზადებისას.

...ძაი თქვენ, თუ დასუსტდით და სახლის გზა დაგავიწყდათ, თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ დაბრუნებას. მრავალი უსიამოვნება ელოდება მარტოხელა მგზავრს, რომელმაც არ იცოდა გზა და ის მოულოდნელობები, რაც თან ახლავს ამ გზას“.

საჭიროა თითოეული ნაბიჯის გაკონტროლება.

... ნუ დაივიწყებთ მიზანს, რათა არ დაკარგოთ

სწორი მიმართულება. გახსოვდეთ, არც ერთი მცდელობა არ იკარგება უქმად“ (17,103-104).

ასტრალური, მოგზაურობა განსაკუთრებულ ძალისხმევას, „უმაღლესი წესრიგის გამბედაობას“, სიმშვიდეს, შიშზე გამარჯვებას, საკუთარი ძალების რწმენას მოითხოვს.

სიკეთეს ზიარებული სულის დისიპლინა იგივე ფრენის უნარია. საჭიროა ლოცვა სულის ფრთის გაძლიერებისთვის, საჭიროა სწრაფვა აბსოლუტისკენ... ფრენას სჭირდება ისეთი სხეული, რომლითაც სულს „არ ეშინია ფრენის. ფრთები იზრდება აზრით, შესაძლებელია გაფრენა ფიქრით“, გვმოძღვრავს ელენე რერიხი (13,122,124,523).

იოგების მიხედვით, ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისთვის, სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული.

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „სარვა–გატა“, რაც ნიშნავს მას, „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს“.

„შრიმად–ბჰაგავატამის“ II სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცისა და მისი მცხოვრებლების ბუნება.

„ბჰაგავად–გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში.

ეს შესაძლებელია არა კოსმოსური ხომალდებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით.

სრულყოფილი იოგისთვის, რომელიც ცნობიერად ტოვებს სხეულს, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისთვის მაღაზიაში შესვლა. უნდა მივიღოთ სულიერი სხეული.

„ჰაერით მოგზაურობა იწვევს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (18,304).

„მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნოებრივ პოემებში ერთ–ერთი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონის, ოდისევსის, ენეასისა, შუასაუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“ (18,212).

ნიკო სამადაშვილის მიზანი იყო მთების, წუთისოფლის, ვარსკვლავების გაღმა გასვლა, ყრმა მაცხოვრის ნაფეხურებზე გაყოლა ანთებული ლოცვებით (ისევ ვლოცულობ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს) (7,110,112), საკუთარი ჩრდილის (ორეულის) გაგზავნა „შებინდული პლანეტებისკენ“ (ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ მარადისობის ნაკამარევი) (7, 143).

„სამყაროს მიღმა“ აღწევდა „ჩაფიქრებული „მისანივით“ (დარდი ბუხართან) (7,52), ნავარდობდა ლაჟვარდებში, „სივრცეთა მზვარეში“, ეხსნებოდა ცა, ესმოდა „მარადისობის ბოხი ზარები“ თვითონაც შეეძლო ცის შეძვრა „მარადისობის ზარების ტაშით“ (მამადავითის მთაზე გაუხვევ) (8, 237).

ესმოდა „ღმერთის გაფრენა“, „ლაჟვარდების ცეკვა“, ლაჟვარდებში ეგულებოდა თავისი „დიდ ფიქრთა გუნდი“...

ამ ასპექტში ნიკო სამადაშვილის წაინამორბედები არიან დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე.

წმინდა გამებს სჯერათ ადამიანის ცადამაღლების უნარის: „ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულოვანია, გონების აღმატებულობით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“ (ნეტარი ავგუსტინე) (5, 264).

დანტე ალიგიერს „ცაში ეგულებოდა „იმ წიგნის სანუკველის“ (ღმერთის) სიქველე, „ნათელი ცისიერი, „ციური საზრდო“, უფლის ბაღი, მებაღე (ღმერთი), როგორც ჭეშმარიტი არსებობის საწინდარი და ცაში მოგზაურობის შედეგი იყო სხვაგვარი მზერის, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრის გადალახვის უნარის მომადლება: „...სული ჩემი ცაში გადიდებული აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისი“.

დანტე უმღეროდა „სამყაროს რიცხვით მეორეს“, განწმენდილი და განსპეტაკებული სულის ცადამაღლების „ნიჭის“ (19, 37).

„უსიერ ტყეში გზადაკარგული“ და გამოფხიზლებული პოეტი მგზავრობდა „ნდომით, სულის ფრთებით“, რეალურად ერთ ადგილზე შთენილი... ასე მიაღწია სულმა „ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“, მეშვიდე სფეროს, პლანეტას – „გარდასულთა დღეთა მპყრობელად რომ მოიხსენიებს (19, 360).

იტალიელი გენიოსი ასკვნის: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის ასე ჩაწვდენა. ეს მან შეიძლო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (19, 392).

ზეცისკენ ლტოლვა მიწის უგულებელყოფას კი არა, მის სრულყოფას ემსახურება.

წმინდა გრიგოლ პალამა წერს: „მხურვალედ ვითხოვოთ... ზეციური სიმაღლეები და მიველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძლო უწყინარად მოგვეცეს მიწიერი სიკეთე ამ საუკუნეში (14,388).

„ცათა შინა სწრაფვამ... კვლავ სამშობლოს გზაზე უნდა დაგვაყენოს“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი) (15, 397).

მაგიური მოქმედება მიიღწევა განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ასეთებს სულისგან სხეულის გამოცალკევება, ფრენა, „ლევიტაციის მოვლენა“ ხელეწიფებათ.

ესპანეთის მეფე ფილიპე მეორე მეუღლესთან და დიდებულებთან ერთად ესწრებოდა ლევიტაციის მოვლენას, რომელსაც ასრულებდა დომინიკი, კარმელოტის მონასტრის ბერი.

ჯორდანო ბრუნო წერდა აქვინელის შესახებ: „როცა იგი თავისი სულიერი ძალისა და ღვთისმოსაობის წყალობით ზეცის აზრობრივ განჭვრეტამდე ამაღლდა, მაშინ მისი მგრძნობიარე სხეული მიწას მოსწყდა და ჰაერში აიჭრა“ (18,298).

ასეთი იყო ვინმე „შინდლერი, რომელსაც შეეძლო ორი–სამი საუენის სიმაღლეზე აწეულიყო იატაკიდან (20, 299).

თომა ვქვინელის, ბიოგრაფი (მე-13ს.) ადასტურებს: სალერნოს მონასტერის ბერებმა იხილეს საკურთხევლის წინ მლოცველი წმინდა თომა აქვინელი როგორ ასცილდა მიწას და ლოცვის დროს ჰაერში გაჩერდა... სხეული მის სულს, რომელიც არ იყო დაზიანებული არავითარი ვნებათაღელვით, მორჩილად მიჰყვებოდა, რადგან მან მისი მიდრეკილებები აღკვეთა“. (21,95).

კონფუცი აცხადებდა ლაო–ძის შესახებ: „...მე არ ვუწყი, როგორ მაღლდება იგი ცად ქარსა და ღრუბ-

ლებში. მე ვნახე ლაო–ძი, იგი ნამდვილი დრაკონია. იგი ხან ხილულ არსებად წარმომიდგა, ხან ნისლეულ არსებად. მას ძალუძს ღრუბლებში სრბოლა და ინისა და იანის ციური სხივებით სუნთქვა. მისი შეჩერება შეუძლებელია“ (1,49).

ნიკო სამადაშვილი, რგორც მისტიკოსი, მისტერიების საიდუმლოებებს დაუფლებული, სულის თვალით მომადლებული და ცათა ცის მხილველი, ფლობდა სამყაროს იქით გაღწევის, დაუსაბამობის ხილვის, ასტრალური ორეულის უზენაეს ზეცაში გაგზავნის იშვიათ უნარს.

დამოწმებანი

1. ლაო–ძი, დაო დე ძინი, თარგმანი შესავალი და კომენტარები ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თარგმანი ვ. ბურკაძის, თბ. 1985
6. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა თ. თავაძემ, თბ. 2011
7. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
8. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
9. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსისა) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994
10. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
11. ჩვენი საუნჯე, ტ.I, თბ. 1961
12. Рамачарака, Основа миросозеоцпнтя Индийских иогов, Петербург, 1913
13. Е.Рерих, Мозаика Агии Иоги, КИ.I, Тбилиси, 1990
14. სიტყვა მართლისა სარწმუნოებასა, ტ.II, თბ. 1990
15. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. III, თბ. 1991
16. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, მთარგმნელები ზ. სარაძე, ა. ჯოხაძე, შემდგენელი, რედაქტორი და შესავალი წერილის ავტორი გ. ნოდია, თბ. 1994
17. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თბ. 2000
18. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
19. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
20. კარლო ბრანდლერ ბრახტი, ოკულტიზმი, მთარგმნელები ლია ხუბაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ვბ. 1991
21. ვიქტორ რცხილაძე, სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი, „სამშობლო“, თბ. 1992

მანანა კვატაია

„უცნობი საქართველო“ – ტექსტი და კონტექსტი

ამერიკელი თეორეტიკოსი ჯეიმს რასელ ლოუელი მე-19 საკუნის ბოლოს აღნიშნავდა, რომ ეროვნული ცნობიერების გარეშე ლიტერატურა არასოდეს გვექნება. რამაზ ჭილაიას თქმით, კულტურის შეცნობის ერთ-ერთი გზა ეროვნული სახისმეტყველების ანალიზს უკავშირდება. *„სამყაროს ეროვნული (ნაციონალური) ხატის დადგენა-შემუშავება ხდება კოსმოგონიებში, პანთეონებში, ჭვივის იგი ხელოვნებისმიერ სიმბოლოებსა თუ არქეტიპებში“* (ჭილაია, 2012, გვ. 27-28). ნაშრომში „კულტურით უკმაყოფილება“ ზიგმუნდ ფროიდი წერდა: *„საზოგადოებასაც უყალიბდება თავისი „სუპერ ეგო“, რომელიც კულტურის განვითარებაზე ახდენს ზემოქმედებას. ასეთი ანალოგიის თითოეული დეტალის დაწვრილებით განხილვა საოცრად მიმზიდველი იქნებოდა სხვადასხვა კულტურის მცოდნისათვის“* (ფროიდი, 2012, გვ. 92). ვფიქრობთ, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ერის ორიგინალური „სუპერ ეგო“ მისი იდენტობის შესანიშნავი მარკერია.

გასულ საუკუნეში ქართველთა და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მსოფლხატის მეტად ორიგინალური კონცეფციები თავის თხზულებებში წარმოადგინა გრიგოლ რობაქიძემ. მწერლის ამგვარი კონცეპტუალური ოპუსების რიგშია ვრცელი ესე „უცნობი საქართველო“, რომელიც პარიზში გამოცემულ გაზეთ „ქართულ საქმეში“ 1947 წელს დაიბეჭდა (#9, აპრილი-მაისი; #10, სექტემბერი-ოქტომბერი). ავტორისვე მითითებით, ის გახლავთ ფრაგმენტი რობაქიძის ჯერჯერობით უცნობი ვრცელი გერმანულენოვანი თხზულებისა „Atlantischer Traum oder der georgische Mythos” (“ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსი“), რაც ამ ესეს მნიშვნელობას ზრდის. სხვა ფრაგმენტები, სათაურით „საუბარი კარდუსთან“, გაგრძელებით დაიბეჭდა „ბედი ქართლისაში“ (პარიზი, 1948, #1, ივლისი; #2, ოქტომბერი; 1949, #4).

„უცნობ საქართველოში“ მწერალი ქართული იდენტობის, ეროვნული ფენომენის იდუმალების მარკერებს იკვლევს და დიდ შემოქმედთა მიერ სხვადასხვა რაკურსით აღქმულ სამყაროს მრავალფეროვნებაზე მსჯელობს. მისი შენიშვნით, *„თვითეული მათგანი ხილვაა მხოლოდ სამყაროს რომელიმე ასპექტისა“,* ხოლო გენიის საზომი ის არის, *„თუ რამდენად ძირეულია მის მიერ ხილული ასპექტი და.. რა პლასტიურობითაა იგი გამოსხმული“* (რობაქიძე, 2012, გვ. 114). მწერალი მიუთითებს, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა, მათ შორის, ქართველთა, „მსოფლსახეს“ იკვლევს. მისი დასკვნით, კარდჰუს საქართველო სახიერებაა *„მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი ასპექტისა, მზიურ-შობილი, მზიან აღვივებული, მზეოსან-განფენილი“.* გრიგოლ რობაქიძის დეფინიციით, *„ხალხიც ცალკეული არსია, მაგრამ არა როგორც ფიზიკური, არამედ ზეფიზიკური ერთეული: როგორც მთლიანი კრებული“.*

„უცნობი საქართველო“ რთული, ენიგმური რეფლექსიებით გამოირჩევა. მის პირველ კამარაში ავტორი ქართული ენის შინაგან სიღრმეებს აკვირდება და შენიშნავს, რომ ურთულესია ჩვენი სინტაქსი, ხოლო „ელლიპსში“ ქართულ ენას ვერცერთი ევროპული ენა ვერ გაეტოლება (ამ თეზის დასტურად მოხმობილია ვაჟას შაირი: *„ჯიხვმა სთქვა, სალის კლდისამან..“). „ქართული სინტაქსი – ელლიპსის მადლით აღწევს სრულს აღნაგობას“,* – ვკითხულოთ თხზულებაში.

ესეს მეორე კამარა ქართულ სიტყვას ეძღვნება. ბევრი ლექსიკური ერთეული (მორგვი, მეხი, მდელო, ტევრი, გული, სული, მტევანი და სხვ.) მწერალს ნამდვილ „ენგადად“ ესახება. ენგადი – წყაროს თვალი – რობაქიძისათვის არის *„კიდევ ერთი უნათლესი და უმშვენიერესი ხატი ქართველთა მითიური ხილვისა“.* მისი თქმით, *„სიტყვა აქ თვალია და როგორც თვალი: მზერა, ხილვა.. სიტყვა ქართულში სახვაა მოვლენის“.* სიტყვის *„ენგადის მგზნებს“* უწოდებს მწერალი საბას და ამ მხრივ მას რუსთაველზე მაღლა აყენებს. ლექსიკურ ერთეულ „ნაყოფს“ ავტორი მეტყველი ლოგოსის გამოხატულებად აღიქვამს. მასში ის ხედავს ორმაგ წარსულს: ერთი – სამუდამოდ გარდასული – „ყოფილი“, მეორე – მარადიულ მობრუნებული – „ნაყოფი“. „მარადი მყოფადი“ კი, რობაქიძის გაგებით, მითიური მოვლენის ნიშანია. მწერალს აღაფრთოვანებს ქართული ფრაზა: *„თვალი ჩასულა მტევანში“.* მისი თქმით, *„აქ ნაყოფი ღვთიურობას შლის თვითონ. ეს ის მტევანია, რომელსაც გამოისხამს შემდეგ წმინდა ნინოს მიერ ვაზის ნასხლევისაგან გამოჭრილი ჯვარი“* (რობაქიძე, 2012, გვ. 130).

ქართველთა მსოფლხატის საფუძვლიანი, სიღრმისეული გააზრებისათვის გრიგოლ რობაქიძე ეროვნულ მითოსს მიმართავს და, ამასთან, იხსენებს გოეთეს მოძღვრებას „ურფენომენზე“, რაც მისთვის „შინა-სახის“ შესატყვისია. „უცნობ საქართველოში“ რობაქიძე ქართველთა „მითიური ხილვის“ სიღრმეებს სწვდება და ლექსემათა, კერძოდ, „ოქროს ვერძის“ საკუთარ გააზრებას გვთავაზობს. *„ვერძი „მართავს“ ფარას, ვითარ მთლიან კრებულს.. იგი „შემმართებელია“ და „შემტევი“.* აქვე ნათქვამია, რომ „ირმის ნახტომში“ (რაც სხვა ხალხთათვის „დიდი დათვია“) ქართველთა მითიური გენია სხვა ერებისას წინ უსწრებს. მწერლის თქმით, ირემი სხვა ცხოველთაგან სრულყოფილი პლასტიურობით გამოირჩევა, მის ნახტომში კი *„გზნებ სიცოცხლეს, როგორც გახარებას“.*

ქალღმერთ დალისა და მონადირის სიყვარულის ისტორიას გრიგოლ რობაქიძე ასევე ფილოსოფიურ-მეტაფორულ ჭრილში განიხილავს. მისი დასკვნით, „წარმავალში“ „წარუვალი“ უნდა გიყვარდეს: სატრფოში „წარმავალს“ თუ მიეცემი, დაიღუპები, რადგან ამით სიყვარულს ღუპავ. პრომეთე-ამირანის ინტერპრეტირებისას მწერალი კვლავ ქართველთა მზისშვილობას იხსენებს და აქ მათ მთავარ „საფრთხესაც“ ხედავს: *„მზისშვილი, პირველ ყოვლისა, „თავისთავადია“. შელახავს ვინმე ქართველის „თავისთავადობას“, მაშინ უკანასკნელი განზე დგება, თავნებად იქცევა“* (რობაქიძე, 2012, გვ. 138). ამ თვისებაში მწერალი განდგომის, საბოლოოდ კი, გათიშვის (მათ შორის, ისტორიულად – სამთავროთა განცალკევების) საფრთხესაც ხედავს. მისივე გააზრებით, ამირანი „თავნებაა“, ამიტომ მას მჭედლები ხუთშაბათობით სიმბოლურად ჯაჭვს უჭედავენ. ცნობილ მითში არწივი ამირანს ღვიძლს უკორტნის, რაზეც რობაქიძე შენიშნავს, რომ ღვიძლი სიფხიზლის ორგანოა (ე.ი. ფრინველი ამით აუტანელ ტკივილთან ერთად გმირის სიფხიზლეს ადუნებს). აქ მწერალი პარალელს ავლებს ქართულ სიტყვებს – „ღვიძლსა“ და „ღვიძილს“ – შორის.

„ჯვარი ვაზისას“ სიმბოლო გრიგოლ რობაქიძისათვის მთელ საქრისტიანოში უნივერსალურია და მას, მისი შეხედულებით, ყველაზე კარგად ნეტარი ავგუსტინე გაიაზრებდა, რადგან *„ნამდვილი გაგება წარმართობისა მხოლოდ ავგუსტინიდან მოდის“. „ჯვარი ვაზის“ საქართველოში შემთხვევითი ამბავი არაა. იგი მარტოდ მარტო კარდჰუს მითიურ სამყაროში წარმოიშვებოდა“* (რობაქიძე, 2012, გვ. 138). ამავე ტექსტში ავტორი იმდროინდელი ევროპის კატასტროფის მიზეზებს იკვლევს და შენიშნავს, რომ *„ახალ წარმართებს სწადიათ „სვასტიკით“მოსპონ ქრისტეს ჯვარი“.*

„უცნობი საქართველოს“ შექმნის გარემოებათა ნაკლებად ცნობილი დეტალები გამოიკვეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული გიორგი გეგელიას სისხლის სამართლის საქმიდან *(ფ.6, საარქივო # 51260, ტ. 16/1, ყუთი 136*). აქ ინახება 1951 წლის 11 დეკემბრით დათარიღებული აკაკი მეუნარგიას დაკითხვის ოქმი, სადაც მეუნარგიასა და გრიგოლ რობაქიძის ჟენევაში შეხვედრაზეა საუბარი.

პარიზში გამომავალი გაზეთის, „ქართული საქმის“ რედაქტორი აკაკი მეუნარგია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრანტების ერთ ნაწილთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. რეპატრირებულთა უმრავლესობა რამდენიმე წლის შემდეგ შესაბამისმა ორგანოებმა დააკავეს, გაასამართლეს და ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. ბრალდებულ ემიგრანტთა შორის შორის იყო პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი გიორგი გეგელია. მის საქმესთან დაკავშირებით მოწმედ გამოძახებული აკაკი მეუნარგია ზემოხსენებულ დაკითხვის ოქმში გამომძიებლებს მოუთხრობს 1947 წლის იანვარში გრიგოლ რობაქიძესთან მის შეხვედრაზე. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ რობაქიძეს პირადად არ იცნობდა, მაგრამ მანამდე ემიგრანტ მწერალს მასთან, როგორც რედაქტორთან, მიმოწერა ჰქონდა და მის გაზეთს მასალებით ამარაგებდა. მეუნარგია იხსენებს ერთ-ერთ წერილს, რომელშიც, მისი სიტყვით, საუბარი იყო „ქართველი ხალხის გენიაზე და მსოფლიოში მის პრიორიტეტზე; ზოგადად ფილოსოფიურ საკითხებს ეხებოდა.. მას ფსევდონიმი ჰქონდა.. არ მახსოვს, რომელი“.

ამავე დაკითხვის ოქმში აკაკი მეუნარგია აცხადებს, რომ 1947 წელს ის ჟენევაში იმ მიზნით ჩავიდა, რომ თავის გაზეთში დასაბეჭდად რობაქიძისათვის ახალი მასალა გამოერთმია და, ამავე დროს, მწერალი დაერწმუნებინა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. მეუნარგია იხსენებს: *„ჟენევაში ჩასვლისას სასტუმროში გავჩერდი.. მეორე დღეს რობაქიძეს ვესტუმრე. ჟენევაში ცალკე ვილაში ცხოვრობს.. მას ერთი ოთახი უჭირავს და სათავსო პირადი ბიბლიოთეკისათვის. გაჭირვება მას აიძულებს, გაუფრთხილდეს ყოველ კაპიკს, რომელსაც ძნელად შოულობს“.*

მეუნარგია ჰყვება, რომ მწერალმა ის თავაზიანად მიიღო, თანამემამულის მისვლა გაუხარდა და განუცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნება სურდა, მაგრამ *„საბჭოთა კავშირში მას ლიტერატურულ ფრონტზე თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობა არ ექნებოდა“.* ამავე დროს, რობაქიძეს უთქვამს, რომ წერდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც მისი ადრე გამოცემული გერმანულენოვანი თხზულების გასაღები იქნებოდა. დაკითხვის ოქმის მიხედვით, მეუნარგიას ამ პუბლიკაციის სათაური ვერ გაუხსენებია. რაც შეეხება იმჟამად სამშობლოში დაბრუნებას, ამაზე მწერალს უარი განუცხადებია იმ მოტივით, რომ მას იქ პასუხისგებაში მისცემდნენ. ამასთანავე, რობაქიძეს მეუნარგიასათვის გადაუცია წერილი ქართველი მწერლებისადმი, რომლითაც თანამემამულეებს სთხოვდა, ეშუამდგომლათ სტალინის წინაშე, რომ მას საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში *„თავისუფალი ლიტერატურული საქმიანობის პირობები ექნებოდა“.* რობაქიძის ამ თხოვნაზე მწერლებს უარი უთქვამთ. მეუნარგიას შენიშვნით, ეს მათ სიგიჟედ მიუჩნევიათ.

ჩვენ დავინტერესდით აკაკი მეუნარგიას ჩვენებაში დაცული ინფორმაციით, შევისწავლეთ გაზეთ „ქართული საქმის“ ნომრები და აღმოჩნდა, რომ დაკითხვის ოქმში ხსენებული პუბლიკაცია გრიგოლ რობაქიძის „უცნობი საქართველო“ იყო, რომელიც „ქართულ საქმეში“ 1947 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე Avallon Youngaroo-ს ფსევდონიმით იბეჭდებოდა. თხზულების მინაწერში ავტორი აღნიშნავს: “*ზედმეტია მისი თქმა, თუ რა დიდ ნაყოფს გამოიღებს ქართული შემოქმედება, თუ კი იგი ეზიარება კარდჰუს გენიას“* (რობაქიძე, 2012, გვ. 790).

ვრცელ ესეში „საქართველოს სათავენი“ გრიგოლ რობაქიძემ მის მიერვე დამკვიდრებული ტერმინი კარდჰუ განმარტა და იგი ერის ცოცხალ არსს დაუკავშირა. ის, მისი გაგებით, ქართველთა შეგნებაში ტომის თუ ხალხის შინაგანი ხატია. იგი *„უფრო ხერხემალმაგარია, როგორც ის „ვიღაც“,* ვინც ამ სახელით არის რქმეული. *„კარდჰუ: აქაა მოცემული საქართველო ათასი წლების მანძილზე: იგი, კარდჰუ, შორეთშია გადასული; იგი, კარდჰუ, თითქოს გამქრალია კიდეც“* (რობაქიძე, 2012, გვ. 90). თუმცა, მწერლის რწმენით, თავსდამტყდარი უბედურების თუ მძლავრი გახარებით აღტკინების ჟამს ერთიანად შეირხევა საქართველოს ცეცხლეული შუაგული და გამოაშუქებს კარდჰუ თავის მზეოსან წიაღიდან. მეტიც, ავტორის აზრით, კარდჰუ იგრძნობა *„ქართულ სიტყვაში, ქართულ ხმლის ამართვაში, ქართულ მეგობრობაში, ქართულ გულგადახსნილობაში, ქართულ წყაროს თვალივით ციალა გამოხედვაში, ქართულ ხალისში.. მცხეთის ახლოს მის საფლავსაც კი იგულვებდნენ“* (რობაქიძე, 2012, გვ. 91).

სიტყვა „ლაშარს“ რობაქიძე უკავშირებს „ხატს“, ანუ ტომის შინაგან სახეს: *„ხატით წარმოსახული არსი წმინდანია და გმირი, რადგან მდგენი ღვთიურ ქმნილი სახისაა. კარდჰუ ღვთიურ ქმნილი სახეა ქართველთა: თან წმინდანი და თანვე გმირი: იგი ლაშარია“* (რობაქიძე, 2012, გვ. 91). „ლაშარს“ მწერალი კარდჰუს ეპითეტად მოიხსენიებს და მოყავს საბას განმარტება: *„ლაშა – ქვეყნის მანათობელი“.* შესაბამისად, კარდჰუ ასევე ქვეყნის მანათობელია (რობაქიძის ხატოვანი თქმით, *„კარდჰუ მზეობს ლაშარში“).*

ქართველთა მსოფლხატის არსებითი ასპექტები გრიგოლ რობაქიძემ სხვა თხზულებებშიც განიხილა („ბარათები ბოდენის ტბიდან“, „საუბარი კარდუსთან“ და სხვ.).

დამოწმებანი:

1. რობაქიძე, 2012. რობაქიძე, გრ. ნაწერები. ტ. 4. (გამოსაცემად მოამზადა ლალი ცომაიამ). თბილისი, „ლიტერატურის მუზეუმი“.
2. ფროიდი, 2012. ფროიდი, ზ. კულტურით უკმაყოფილება (თარგმანი ანა პეტრიაშვილისა და გიორგი ხოშტარიასი). თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ჭილაია, 2012. ჭილაია, რ. ავტორი და ტექსტი. – წიგნში: ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. თბილისი, GCLA Press.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

„შეიცან თავი შენი!“
სიტყვაა უდიდესი!

რომელიც პირდაპირ მიუთითებს საკუთარი თავის შეცნობასა და დაკვირვებაზე! რადგან თავის არ შეცნობა, – თავის დაკარგვის მიზეზი ხდება ყოველთვის!

ს ა ზ ა რ დ უ ლ ი – სიტყვა მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს და საუბრობს საკუთარ წიაღირსეულზე, იმაზე რაც მის შინაგანშია დამალული და უნდა გახსნა, ახსნა, ამოიღო!

რა იმალება აქ? სხეული სადაც საზარდულია ზრდას მიუთითებს, მაგრამ ურდულით ყოფილა დაკეტილი, უნდა შესძლო ამ ურდულის გამოხსნა, შემდეგ ზარიც ირეკება და აზროვნების მაღალი ეტაპიც.

სიტყვ (ა) – ები, უნდა ებათო!

და არა მათ გარეშე იცხოვროთო, რადგან უნივერსალურია, მარადიული და უსასრულობის წყარო! ხელ-ები, ფეხ-ები, თვალ-ები, ძვლ-ები, ძარღ-ვები, თით -ები, თმ -ები, ფრჩხილ-ები.

ასეა ეს!

ადამიანმა საკუთარ სხეულთან ერთად უნდა მოახდინოს შეცნობა და ზრდა განავითაროს მისი, მზარდი ცნობიერება სამშვენებელი და სულია! და ეს ცნობიერება აღწევს ღვთიურს,

ეს ადამიანია!

მისი მართვის პულტი კი მისი სხეულია!

ცნობიერება, სხეული, სამშვენებელი (ე.ი. გამშვენებსო, რაზე საუბრობს სიტყვა) და სული, მაღალი სული, ღვთის სხივი სხეულში, რომელიც ღმერთს უტოლდება!

აბსოლიტური გამტარია სხეულში, ველია, ენერგიაა, სისუფთავეა, სინათლეა და სიკეთეა!

ზუსტად ამ ძალთა სინთეზის შედეგად ხდება შეკავშირება, რომელიც აღწევს ღვთიურს.

აქ მიზანია!

სამყარო უსასრულო ენერგიაა, უსასრულო ნაირსახეობა, ისევე როგორც ცისარტყელა, ძალაა და ყოვლის შემომქმედი!

საწყისი ატომი ღვთის ნაპერწკალია, ის ატარებს თავის თავში ყველაფერს საწყისს!

ყოვლის არსებობა კი ყოვლის შესაძლებლობაა.

ღმერთი შეზღუდული არ არსებობს როცა სულიერების მაღალ საფეხურს ფლობ, ის უკვე შენია!

ცენტრალური ატომი ეს უზენაესია და ეს გულია! მისი დაკარგვა არ შეიძლება. ყურადღება გულს, ეს პირველი საფეხურია.

გიშრისებრი ჯირკვალი – კვანტური კომპიუტერი და უმაღლესი შესაძლებლობა სხეულში!

სიკვდილი – ეს ისაა რაც მიგანიშნებს რომ ვერ სწვდება სხეულის სრულყოფილებას მთლიანად ადამიანი, ფიზიკურ სხეულს სჭიედება ყურადღება, მაშინ სხეული უკვდავია, ის იხსნება და იშლება როგორც ყვავილი, მუდმივად სიცოცხლეს უკავშირდება და სიბერე უკვე სხვა დატვირთვას იძენს, კი არ ბერდები სხეულით არამედ, ბრძენს ემსგავსები, ბრძენდები ანუ სი – (ნოტია მუსიკალური) ბერე კი ბერთან გატოლება.

სულის პოტენციალი უკვე შემდგომ უზრუნველყოფს მთლიანად და ჩაიტევს უმაღლეს ძალას ჯამრთელობისას და სიბრძ ნისას, რამე თუ ცოდნა, სიბრძნე სხეულის შემოქმედებაა!

სხეული ითხოვს ღრმა ჩაღრმავებას და გულის ორმაგი თვისება ფილტვებთან ერთად იხსნება, ამიტომ სხეულის სწორი მიდგომით უნდა მივუდგეთ, აქ იერარქიული წყობაა.

ადამიანში გული მეფეა! და მართავს ფილტვებთან ერთად, ფილტვები სულიწმინდაა!

გული ნება და გონება.

ძალიან ძლიერი და საკრალური ცოდნაა, მასში შეღწევა უკვე სიმწიფეში გადასვლაა და სხვა განზომილებას ელოდება!

ს ი ნ დ ი ს ი – ეს ის სუფთა სიტყვაა, ის ერთადერთია, რასაც ვერ გადააბიჯებ, მართავს უსასრულობას. განუმეორებელი კავშირი ღმერთთან.

ტანჯვა სულის განზომილების პროცესია, ტკივილი სხეულს აცოცხლებს და აღადგენს აზრის მეშვეობით, აუცილებელია დადებითი აზრი.

უსასრულობა ღმერთმა ადამიანში მოათავსა და აქვე აწარმოვა ალქიმიური პროცესები!

გული ეპიცენტრია – ღვთის სასუფეველი, რომელიც ადამიანურ განზომილებას ცვლის და ეგოს სპობს.

სადაც ეგოა იქ ღმერთი არ არის.

ევოლუცია ცენტრისკენ მისწრაფებაა, უნდა დაითმოს ჩაკეტილი პატარა მე და გადავიდეთ დიდ მეში!

ყოვლის შემძლე და ყველგან არსი, ლოგიკა, ფიზიკა, ანალიზი, ეთიკა მეტაფიზიკა, რაც ფიზიკაზეც მეტია და სასწაულებს ახდენს შინაგან სამყაროში.

ყოფითი ცხოვრებაც იერარქიაა და სად დაეცემი არ იცი, ამიტომ ფული, ძალაუფლება, ძალადობა, ავტორიტეტი, მდაბლის ბატონობაა!

სიღრმე უსასრულოა!

როგორც ჩანასახი, აზრიც უცებ ჩნდება, აზრის შედეგი კი მიზანმიმართული აზროვნებაა, მიზანი კი ევოლუცია კაცობრიობის, ეს სულის განზომილებიდან იწყება.

ახალი გაზაფხულის წყალი იბადება დღეს, ჭუჭყის განწმენდა ხდება, სიცოცხლის განახლებას იწყებს ბუნება, წყალში გადაყრილი ნაგავი ერთ ადგილას იყრის თავს, ეს იმის ნიშანია რომ ამოიღო, ამოწმინდო.

კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ა ! – მზეა, ალმასია, წარმოუდგენელი სინამდვილე!

კაცობრიობა თესლია სამყაროსი, მისი ჩაბნელება არ შეიძლება, ენაა, ყოველი ორგანოს თვალყური, ხერხემალია, რომელსაც თავთან ააქვს კავშირი და თავში მწარმოებელია ტვინის, აზროვნების თესლის, თავთავის შემქმნელი!

კ ა – ც ო ღმერთის სიცოცხლეს ახმოვანებს ერთადერთ არსში!

ღმერთი კანონია, ბუნებაა, ადამიანი კი ბუნების კრებითი სახეა და აბსოლიტური გამოვლინება ბუნების.

გონებას წმენდა უნდა და გულს კი ათვისება, უნდა დამკვიდრება ვისწავლოთ გულში.ადამიანში არ ეტევა მარადისობა ყოფითი ცხოვრების გარეშე, ტანჯვით პოულობ მას.

ტანჯვა იღებს სრულყოფილებას, მოვერიოთ პრობლემებს, აქედან იბადება მარგალიტი.

იდეით უნდა დაორსულდე, ანუ აზრის სრულყოფილება მოახდინო.

ღმერთი ატომია და ამ ატომშია სული და მატერია ერთად.

მიზნისკენ მიმავალმა წინააღმდეგობები უნდა დასძლიო,დაძლევა უშიშროებაა. მოვიდა პრობლემა?! – ვალის გადახდაა აუცილებელი.

შრომა სამყაროს უდიდესი საიდუმლოება. შრომა მუდმივი სისხლის მიმოქცევაა და სიცოცხლის პროცესებია, ანუ ბუნებრივად მუდმივ შრომაშია მაღალი ღმერთი, სხეულიც ამაზეა დამოკიდებული, მუდმივი გულის მუშაობით.

უნდა ვიშრომოთ, მუდმივი შრომა კანონია, შრომით იღებ ძალას უსასრულობისას, წარმატებას,შრომით აღწევ უკვდავების ძლევამოსილებას.

ნებისყოფა უნდა გამოიმუშავო,ის ნატიფი სხეულია და დაუმარცხებელი ნება.

შრომა სამყაროს სივრცეს ავსებს, უნდა შექმნა და ააშენო, მათხოვრის ხვედრს არ უნდა შეეგუო.

აქ ალქიმიკოსობაა!

ჩვენ უნდა შევძლოთ ოქროს შექმნა და მოპოვება.

ჩვეულებრივი გონების ძალით იბადება სინათლე ჩვენში.

ციცინათელა ღამეში, სიბნელეში სინათლის შეტანას ნიშნავს! უამრავი ციცინათელა კი სიბნელეს აქრობს!

შვიდობრივობა საკუთარი სხეულის ნაწილია, რომელიც ჩვენივე მუცლის სივრცეს მოიცავს და დიდ როლს ასრულებს გულთან ერთად ადამიანში ჯამრთელობის მიმართულებით.

გული, ელენთა, ფილტვები, თირკმელები და ღვიძლი! უნივერსალური ვარსკვლავი, რაც სიცოცხლისთვის აუცილებელია და მის გაბრწყინებას იწვევს.

ღვიძლი, – ღვიძილთან, გაღვიძებასთან არის კავშირში და ის უნიკალური სიტყვა რაც ბიბლიაშია, მისი ყოფილა!

ოქროს საწმისი კი ალქიმიური პროცესია და მას პერიოდულობის სისტემა განმარტავს.

ქვის მთლელობა, – გაქვავებული სხეულის ამოქმედებაა და მისი შესწავლა. ამას მხოლოდ სულიერ დონეზე ახდენ, სულიერ ცოდნაზე დაყრდნობით მიმდინარეობს ეს პროცესი.

ოქროს საწმისი გულია! და ის დიდ ძალაუფლებას განაგებს სხეულში, მისი საშუალებით ვახდენთ სხეულის აღდგენა, განახლების პროცესს და უმაღლესი ცოდნის მიღებასაც.

ვეძიოთ ღირსება, ღირსებით მაღლდება ადამიანი!

თვითმკვლელობა სიწმინდის უარყოფაა,

გაღვიძება ყოფილა საჭირო, ცხოვრება ყოფილა ვალდებულება და თუ დაიწყებ მოძრაობას ცხოვრებისათვის მიიღებ ბედნიერებას!

მარხვა დამარხვაა ცუდი აზრების და მიზნების, აქ ცხოველური წარმონაქმნები უნდა დაინახოს ადამიანმა.

ალქიმიური ქორწილი შეჯვარებაა! ანუ ჯვარზე გასვლა. ტანჯვაზე გამარჯვება!

სამყაროში არსებობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ენერგიები, მათი შერწყმა ჯვარია და ღვთიურ ენერგიას წარმოქმნის. ამ ენერგიას ბუნებაში მუდმივობის პროცესი აქვს, ჰარმონიაშია და ბუნებრივიაა.

სამყარო მუდმივად ჯვარშია! უხილავად!

და ამიტომაა სამყარო ღვთიური, ყველანაირი ენერგია მასში იწვევს გაწონასწორებას, იყენებს და გარდაქმნის სიცოცხლისათვის, მომავლისათვის, უკვდავებისათვის!

შინაგანი სისტემის გამოცნობა გახსნა, მაგ. ტაძარში გამოცხადება ხდება!შენს შინაგანში უნდა მოახდინო ეს პროცესი აზრობრივად, ეს გულის შემოქმედებაა!

ღმერთი არის სიკეთე! სიკეთე ყოველთა და მისი ზრდა.

ოქროს იდეოლოგიის არსი ააქვს, როგორც იდეას!

და არა ფული და ქონება!

მზისწნული უმაღლესი საძიებო ალია, დედამიწა დედაა და ის ოქროა, ამიტომაა მიწის წიაღში წიაღირსეული!

ანუ დედის გულიდან მოედინება ის უნივერსალური ენერგიები რაც დიდებულია!

ჩემი ოქრო ჩემთან!

თესლი სულია! მატერიასთან შერწყმული ხორცს ისხავს!

ამიტომ არ შეიძლება ერთმანეთისაგან გამიჯვნა!

ის სამოთხეა!

კლარა გელაშვილი
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი

სამაჩაბლოს ომი თანამედროვე ქართულ მხატვრულ ტექსტებში

ზეინაბ მეტრეველი

მოგეხსენებათ, რომ ლიტერატურულ მიმდინარეობათა თემატიკა, უმეტესწილად, ეპოქალური ძვრების საფუძველზე შექმნილი ვითარებით განისაზღვრება; ჩვენი ინტერესის სფეროა მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური პროცესების ფონზე განვითარებული მოვლენების ამსახველი ფაქტები, რომელიც ომის უმტკივნეულესი თემატიკით შემოიჭრა და „ტრავმულ მეხსიერებად“ დამკვიდრდა ლიტერატურაში. ნაშრომის წინამდებარე პასაჟში ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს რუსეთის იმპერიის მიერ ინსპირირებული ქართულ-ოსური კონფლიქტის თემაზე შექმნილი ლიტერატურა,კერძოდ, ზეინაბ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“.

ნაწარმოების სათაური **„საყდრის ჩიტები“** სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. იგი საქართველოს დანაწევრებისა და დაქუცმაცების ავბედით პერიოდს ირეკლავს. ნაწარმოებში, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრაგიზმითაა ინსპირირებული, ერთმანეთის პირისპირ დგას ერთ დროს ერთიანი სამყაროს (როგორც ერთი დედის) ერთმანეთისგან გამიჯნული, სხვადასხვა ნაპირზე მდგომი ორი შვილი. ერთი – გაზლუქუნებული, საკუთარი „მე“-თი დამტკბარი, მეორე კი – დაჩაგრული, ნაგვემი და მიტოვებული.

ნაწარმოების გმირი, წიგნებით ნასაზრდოები კაცი, დაცარიელებულ სოფელს „გიჟი იოსებას“ სახელით შემორჩა. მისი ფილოსოფიური აზროვნება მეცნიერ კაცს, რატი-თეიმურსაც აოცებს: „ვუყურებდი და ვფიქრობდი, იოსებასნაირი კაცები ერის სამოსის რომელ საკერებლად გამოდგებოდა იმ სიშიშვლის დასაფარავად, ყველაზე შემზარავი რომ იყო საცქერლად, ან თუ გამოდგებოდა მთლიანად სამოსის პირველქსოვილად, მაგრამ იოსებას არც ჭრას ჰკითხავდნენ და არც კერვას, არც ის იცოდა, ისტორიის სტომაქის რომელ ფსკერზე განისვენებდა“ [მეტრეველი, 2004:32]. თავის დროზე ამ ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა ოთარ ჩხეიძემ. მწერალი იმედოვნებდა, რომ სიუჟეტის დინამიურობა და თემატური აქტუალობა უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზე და ასეც მოხდა – ნაწარმოები ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია საქართველოს ბედ-იღბლით დაინტერესებული მკითხველისთვის. იოსება ადგილის დედას ჰგავს, შვილივით უვლის ქალაქიდან იავარქმნილ სოფელში დაბრუნებულ რატი-თეიმურს, რადგან გრძნობს, რომ იგი მკვდარი სოფლის ერთადერთი ცოცხალი უჯრედია, რომელიც სწორედ აქ, ამ ცარიელ სოფელში უნდა გამრავლდეს.

საზოგადოებამ ავტორისეული ტკივილი, შესაძლოა, დღემდე ვერ გაითავისა.

მკვლევარ როზა დევდარიანის თვალსაზრისით, „საყოველთაო გულგრილობას, საერთოეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დავიწყებას ააშკარავებს პროზაიკოსი, როცა მოგვითხრობს, როგორ გადაიქცა სამაჩაბლო „სამხრეთ ალანების სახელმწიფოდ“ და როგორ გადასანსლეს მის საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართული სოფლები ისე, რომ „იქ, დედაქალაქში, გულყრა არავის დასწყებია მომეტებულად“ [დევდარიანი, 2010:2].

ზეინაბ მეტრეველი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, რომ, როდესაც გოდერძი ჩოხელი „საყდრის ჩიტებს“ გაეცნო, უწინასწარმეტყველა, შენც ჩემსავით უბედური იქნებიო...

ოთარ ჩხეიძის მსგავსად, გოდერძი ჩოხელიც მაღალ შეფასებას აძლევდა ნაწარმოებს. მწერლის თვალსაზრისით, „საყდრის ჩიტები“ ერთგვარ ლოცვას ჰგავს, სადაც „მლოცველი თვითონ ავტორია, რომანი კი – ღმერთის იმედით სავსე და განმწმენდელი“[ჩოხელი, 2005:3].

ავტორისთვის ყველაზე დიდი შეფასება სწორედ ეს სიტყვებია.

რომანის მიხედვით, კითხვაზე, თუ ვისთვის თხრიდა ამდენ საფლავს, მესაფლავე იოსებას სულისშემძვრელი პასუხი აქვს: „ვინ იცის, რამდენი დაბრუნდება დასამარხად მშობლიურ მიწაზე. ახლა საკუთარი მიწა რომ შეინარჩუნო, საუკეთესო მეთოდი, იცი, რა არის? საფლავების თხრა!.. ასეთი ორმოებისა ჯერჯერობით მტრებსაც ეშინიათ. თუ ცოცხალს არ დაგტოვებენ, შენით მაინც ამოავსებენ ამ მიწათხრილებს. ჰოდა, საფლავიც შეგრჩება და მიწაც საკუთარი...“ [მეტრეველი, 2004:17].

ნაწარმოებში თითოეულ ფრაზას უღრმესი დატვირთვა აქვს; მკითხველი მთელი სიმძაფრით გრძნობს და განიცდის მომხდარს, თითქოს თვითმხილველია მიმდინარე პროცესებისა. წარსულის ხსოვნა და „მომავალის ყვავილობა“ აწმყოს ფესვებზეა დამოკიდებული და სწორედ ამიტომ,

რაც დრო გადის, მით უფრო მტკივნეული და დამაფიქრებელია ნაწარმოებში აღწერილი ტრაგედია ქართლისა.

სხვა ინტერვიუში ზეინაბ მეტრეველი იხსენებს, თუ როგორ სთხოვა ოთარ ჭილაძემ, არასოდეს ეწერა აწმყოსთვის, ეწერა მხოლოდ მომავლისთვის. ვფიქრობთ, ზეინაბ მეტრეველის შემოქმედება სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იოსებაც ხომ საკუთარ თავზე მეტად იმიტომ უფრთხილდება რატი-თეიმურს, რომ მასში მომავალს ხედავს. თუ „აძაღლებულ წუთისოფელს“ თვითონ ცოცხალი გადურჩა, ეს არაფერს ნიშნავს... საგულისხმოა იოსებასეული მოსაზრება გადარჩენის შესახებ: „შენ ამ ყოფას გადარჩენას ეძახი? დავრჩი საკუთარი თავის მესაფლავედ და კიდევ – იმ იმედების მომლოდინედ, რომელსაც აქ ოდესმე უკანდაბრუნებულნი მოიტანენ. მერე აფხაზეთი, მერე – შიმ-შილი, სამოქალაქო ომი და ეჰ, ხალხი რო ერთმანეთს დაერევა, ასეთ დროს სამშობლოს მოძებნა და ცნობა გაგიჭირდება კაცს, ძმა ძმას რომ ესვრის, სამშობლო იმ ტყვიით კვდება“ [მეტრეველი, 2004:18].

ეროვნული ღირსების დაკარგვის ხარჯზე ევროპისკენ გეზაღებული სახელმწიფო კი „გვირაბის ბოლოს“ სინათლეს უწინასწარმეტყველებდა დამშეულ, გაუბედურებულ ხალხს... ავტორი კრი-ტიკული თვალით უყურებს წარსულს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს წელში მოხრილნი ვხვდებოდით, ყველამ კარგად უწყოდა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „ფანჯრებში“ მხოლოდ მაშინ გვახედებდნენ, როცა ამას საქმის ფორმალური მხარე ითხოვდა.

ნარატორისა და აქტორის შეხედულებები თანმხვედრია – აშკარაა, რომ ორივე თავისი ქვეყნის ჭირისუფალია, მაგრამ აქტორში იმედი ჩაფერფლილია. პიროვნება გულგატეხილია, დარწმუნე-ბულია, რომ ასეთი ყოფა წლობით გაგრძელდება, არაფერი შეიცვლება: „ცვლილებებისთვის საჭიროა, რომ ვინმეს ახსოვდე, ჩვენ კი, აბა, ვის ვახსოვართ?! არავის! აღარც მე მახსოვს და რა ვქნა, ამ სოფლის იქით თუ ქვეყანაა კიდევ, აღარც კი ვიცი...“ [მეტრეველი, 2004:24].

ავტორის ფილოსოფიური განაზრებანი ადამიანის სურვილებსა და რეალურ შესაძლებლობებს შორის არსებულ ზღვარზე გვაფიქრებს.

ნაწარმოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირსება ენობრივი ქსოვილია, რომელიც მკი-თხველს ძარღვიანი ქართულით აჯადოებს. მკვლევარ ლია ჭიღლაძის თვალსაზრისით, „წიგნი გაჯერებულია

ზეინაბ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“ ეგზისტენციურ პრობლემაზეც დაგვაფიქრებს – სიკვდი-ლის მეტაფიზიკაზე. ცოცხალ ადამიანებს, რატომღაც, არ ახსოვთ სიკვდილი და, ავტორის თვალ-საზრისით, უბედურების სათავეც ესაა. იოსება ამბობს: „რომ შემეძლოს, მთელ საქართველოს გადავთხრიდი. იქნებ ამ ღია, გამზადებული საფლავების შიშმა მაინც შეზაროს ეს გამობრუებული ხალხი“ [მეტრეველი, 2004:25].

წევს ბელტებზე მესაფლავე იოსება, შესაბრალისი, და ყველასაგან მიტოვებულ ღმერთზე წუხს.

თამარ გოგოლაძის მოსაზრებით: „ეს წიგნი უსათუოდ დააფიქრებს დიდი ერების წარმო-მადგენლებს მცირე ერის პრობლემებზე, მცირე ერების ხალხთა სულებს კი გაეხმიანება მშვენიერი ხალხური ენით, სიბრძნითა და განუმეორებელი მხატვრული ოსტატობით... ამ რომანის ავტორმა შეძლო ეწერა მართლად, ტკბილ-მწარედ ტკივილიან დარდსა და სიცოცხლეზე“ [გოგოლაძე, 2005:504].

მშობლების საფლავზე დამხობილი რატი-თეიმურაზი საოცარ სიმშვიდეს გრძნობს – საწმინდარი მისთვის ეს ადგილია. იგი პირველი ადამიანია, ვისაც იოსება გულს უხსნის და საკრალურზე ესაუბრება. უკანონოდ შობილის კომპლექსმა საყვარელი ქალი დააკარგვინა და მისი უშვილძიროდ გადაგდების მიზეზიც ესაა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე „გიჟის“ სტატუსით საფლავების თხრა „აკვიატებული მარადიული უბედურების“ გაგრძელებაა.

მკვლევარ როზა დევდარიანის თვალსაზრისით, „დიდი განძის ვერმომფრთხილებელი იოსება, ლიტერატურულ პერსონაჟთა შორის, ყველაზე მეტად თეიმურაზ ხევისთავსა ჰგავს, მაღალფარ-დოვნად მოლაპარაკე ფილოსოფოსს, რომელმაც თავისი უნიათობის გამო „მარგალიტი“ სწორედ რომ ღორთა შესამუსრად გაწირა“ [დევდარიანი, 2010:8].

ნაწარმოების კონცეფციით, სამაჩაბლოს სოფლებში გადამთიელებმა ქართულ მიწაზე „შენია-ჩემია“ რომ დაიწყეს, მაშინ დაიწყო ჩვენი უბედურება. ხუთმილიონიან ხალხს რომ ხუთი ერთნაი-რად მოაზროვნე ადამიანი არ აღმოაჩნდება, ერთი გზით როგორ ივლის ქვეყანა?! – დიდი ტკივი-ლით ამბობს ავტორი. სამაჩაბლოს (სრულიად საქართველოს) მომავლის სხვადასხვაგვარმა გააზ-რებამ, ეროვნულ ძალთა დაქასაქსვამ განაპირობა, რომ, სანამ ქართველნი გონს მოვეგებოდით, „ჩაგრულთა მოსარჩლე“ ჩრდილოელი „მამების“ წყალობით „ალანები“ კბილებამდე შეიარაღ-დნენ.

ავტორი-ნარატორი, მოქმედი პირების „საშუალებით“ობიექტურად გვიამბობს იმ დროისა და პოლიტიკური სივრცის შესახებ, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის. აშკარად ჩანს ფსიქოლოგიური წვდომისა და იდეოლოგიური პერსპექტივის გამოყენების უნარი.

რომანის შინაარსიდან გამომდინარე, მესაფლავე იოსება „ადგილის დედის“ პერსონიფიკაციაა, კარგად იცის, რა სჭირს მიწას, რითაა დაავადებული, რა, ან რატომ დამართეს!.. ისიც იცის, ამ ომში რომ პატრიოტული წყურვილის მოსაკლავად აგორებული მოწოდებებით მარცხი იწვნიეს (და არა გამარჯვება), რადგან ეს ის ომია, რომელსაც გამარჯვებული არ შეიძლება ჰყავდეს.

იოსება თავისი მიწის მესაიდუმლეა, „თანამდევი უკვდავი სულის“ ერთ-ერთი პერსონიფიკაცია და რა გასაკვირია, სტკიოდეს ის, რაც ალანებმა ქართველებს დამართეს?! რატი-თეიმური – გონება თავისი მამულისა, უსმენს მას და ახსენებს, რომ არც ქართველნი ყოფილან გულხელდაკრეფილნი.

მესაფლავეს ამაზეც აქვს პასუხი: „ჩვენი ბიჭებიც ბევრს სჩადიოდნენ და საკმაოდ მკაცრადაც, რადგან ომის წესებს არც ალანები ადგენდნენ და არც ქართველები, ეს ხომ იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ ომში თუ სხვა არ მოკვდება, შენ ვერ იცოცხლებ, ამიტომაც ხელყოფ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის და რისი მეშვეობითაც სიცოცხლის დღეებს იხანგრძლივებ“ [მეტრეველი, 2004:105].

ომის ეპიცენტრში ჩარჩენილი მესაფლავის დაკვირვებით, აქაური ალანების მტრობას დანდობის პოლიტიკის იერი დაჰკრავდა – „მაინც შერჩათ რაღაც მშობლიური და შემწყნარებლური. თანაც ეს ნათესაური ჯაჭვი, რაც ჩვენ შორის ისტორიულად არსებობდა, ბოლომდე ვერ წყდება ვერასოდეს და ქვეყნის დასალიერს გადაკარგულ ორ რგოლს მაინც ერთმანეთისაკენ ეზიდება...“ [მეტრეველი, 2004: 110].

ნაწარმოების კვანძი ექსპლიციტური მთხრობელის, რატი-თეიმურის ოკუპირებულ, მშობლიურ სოფელში დაბრუნების მიზეზით იხსნება.

მთავარი პერსონაჟი, რატი-თეიმური კოლონიური ეპოქის ინტელიგენტთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ყოველთვის მზად რომ იყვნენ, „დამამშვიდებელი აბებით“ გაბრუებულიყვნენ და, ღირსებაზე გადაბიჯებით, იერარქიულ კიბეს ამაყად აჰყოლოდნენ.

ავტორი წარმოაჩენს „იძულების წებოთი შეკრულ“ ოჯახს, რომელსაც 9 აპრილის „მოვლენები“ მორალური პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. დადგა დრო, როცა ყველა ოჯახის კარზე გაჭირვებამ მიაკაკუნა. არსობის პურის უგრძეს რიგებში იდგა თეიმურაზიც (რატი-თეიმური). მის ოჯახში ყველას ჩამოხსნოდა ნიღაბი. პატივმოყვარე, მისი ცხოვრების მმართველი ცოლი, არც მეტი, არც ნაკლები, გალოთდა და ნაკლებად მომთხოვნიც იმის გამო გახდა, გარშემო აღარავინ იყო, ვისაც რამეს შეაშურებდა... ამ პერსონაჟის დახატვით ავტორი იმ ქალთა სახეს გვიჩვენებს, რომლებმაც უპასუხისმგებლოდ მოიხსნეს დედობისა და ქართველქალობის მოვალეობა, რაკი ქვეყნის თავისუფლების ძიებამ მათ კი არ არგო, პირიქით, კეთილდღეობა დააკარგვინა.

რომანის თანახმად, 9 აპრილის ტრაგედიით გაერთიანებული ერი გაჭირვებამ ისევ დაქსაქსა. „იყიდებოდა ყველაფერი: ავეჯი, ჭურჭელი, წიგნები, იარაღი, ცოლი, შვილი, სინდისი, მორალი, ზნეობა, არ არსებობდა არაფერი მოუსყიდველი და შეუსყიდველი, რადგან პოლიტიკური თავისუფლება ძალზე დიდი ლუკმა აღმოჩნდა, რომელმაც ერის საყლაპავი მილის ეროზია გამოიწვია, მთელს ორგანიზმში გადაუმუშავებლად გაიჟღინთა, გადაიწრიტა და, სიმაძღრის ნაცვლად, სამსალის დანიშნულება შეიძინა“ [მეტრეველი,2004:137].

ინტელიგენციის ნაწილმა ქუჩაში, ლუკმაპურის საშოვნელად გადაინაცვლა. ნაწილმა ესეც ვერ შეძლო და უდიდეს განსაცდელში აღმოჩნდა.

ტექსტის „სივრცე“ რატი-თეიმურის ოჯახია, ტიპური ოჯახი.

რომანის მიხედვით, ქვეყანაში ცოცხალ მიცვალებულთა მარათონია. ოჯახის (საკუთარი თვალით დანახულმა!) წაბილწვამ, ოჯახის უფროსი,რატი-თეიმური, მკვლელად აქცია. მისი ვაჟი, რომელიც წამალზე დამოკიდებული გახდა, ლოგიკურად აზროვნებს, მაგრამ უნარი არ შესწევს, „დროის მანქანა“ მართოს. დაკარგა ღირსება, სიამაყე... გადარჩენის ვერანაირ გზას ვეღარ ხედავს და ებრალება ყველა, ვინც ამ დრომ იმსხვერპლა. „ვინ ვართ და სინამდვილეში რისთვის ვარსებობთ, ვერაფერი გამიგია. ვიბრძოდი და მეგონა, რომ მშვიდობისათვის ვიბრძოდი, მშვიდად ვარ და არ ვიცი, ვის ან რას ვჭირდები... ასე მგონია, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ჩვენს თაობას ეს ქვეყანა არასოდეს მოისაკლისებს. სამსხვერპლო თაობა ვართ, უბრალო, სატარიგო ბიჭები. ისინი კი, ვინც ჩვენ სამსხვერპლოდ გვიმეტებენ, საკუთარ ადგილებს ნამდვილად დაიმკვიდრებენ ამ ქვეყნის ისტორიაში. არადა, როგორ მინდოდა, მეც ჩვეულებრივი, კარგი ბიჭი ვყოფილიყავი. ჩვეულებრივად ყოფნა კი თურმე არაჩვეულებრივად ძნელი ყოფილა“ [მეტრეველი, 2004: 157].

რატი-თეიმურის ვაჟის, ფარნას სახით „დაკარგული თაობის“ კიდევ ერთი ტრავმირებული ახალგაზრდა გადის ცხოვრებიდან... სულიერად განადგურებული რატი-თეიმური იავარქმნილ სოფელში ბრუნდება.

ნაწარმოებში წარმოჩნდება მშობლიური მიწის ანდამატური არსი. თავისი გმირები უცხო სივრცის მკვიდრობისათვის არ ემეტება ავტორს – სიცოცხლეშივე აბრუნებს უკან და საწმინდარს, მტერი რომ ეცილება, დაუნარჩუნებს.

მოლაპარაკებების შემდეგ სოფელში ჯერ ალანები დაბრუნდნენ, მერე – ქართველნი; სიცოცხლე განახლდა.

პატარა რატის დაბადების ტკივილებით, დამუნჯებული ქალის, ტაიას ენის ამოდგმა სამყაროს ამეტყველებად აღიქმება. ნათლისმცემლის ტაძარი აღდგენილია, ახალი ეტაპი იწყება, თუმცა...

ჯერ კიდევ შორს იყო 2008 წელი, მაგრამ ნაწარმოების ქვეტექსტში ავტორის წინათგრძნობა იკითხება – მწერალი თვლის, რომ საჭიროა წარსულისკენ ხშირად გახედვა, გადასარჩენია ზნეობა, მორალი, ტრადიციები... „რომანი ეძღვნება ჩვენს დიდებულ წინაპრებს, რომლებიც XXI საუკუნის ბრწყინვალებით დაელმებული მზერით უკან, სამშობლოს ისტორიული წარსულისაკენ გვახედებენ და იმ მომავალ თაობასაც, რომელიც „სამშობლოს“ ენციკლოპედიურ განმარტებას სქელტანიან წიგნებში არ დაუწყებს ძებნას“ [მეტრეველი, 2005:5].

რომანი ფართო მსჯელობის საგანია. თამარ გოგოლაძისა და ქეთევან ბარბაქაძის თვალსაზრისით, „ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება სოციალური ფისბილდინგი, რაც საფუძველია ახალი „მშვიდობიანი“ კულტურისა შიდა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური წყობის ფარგლებში. ოდესღაც კონფლიქტის გამო მიტოვებული და გაპარტახებული სოფელი მცხოვრებლების შერიგების ციკლის თითქმის ყველა ელემენტის გათვალისწინებით იქცევა ალუზიად ფისბილდინგისა, რაც საწინდარი უნდა გახდეს სამუდამო შერიგებისა დანაწევრებულ საზოგადოებაში. ზეინაბ მეტრეველის რომანი „საყდრის ჩიტები“ ერთგვარი პერსპექტიული ალუზიაა ლოგიკური კონფლიქტის დეესკლაციის წარმოდგენისა მხატვრული ტექსტის მეშვეობით“ [გოგოლაძე, ბარბაქაძე, 2009:149].

2008 წლის ომით თავზარდაცემული მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „უკიდურეს გაჭირვებაშია დღეს ყველა, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველო ლომბარდში დევს და, ღმერთმა უწყის, ვინ და როდის გამოიხსნის… დღეს ვინც ბედნიერია, ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ ჩემთვის პირობითი ცნებაა „ბედნიერება“ მაშინ, როცა უბედურება ასე ხელშესახებია ყოველ ნაბიჯზე, ... საკუთარ თავს უბედურებასაც კი ვსაყვედურობ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემში იმდენად ღრმადაა ჩაკირული სევდა, რომ მას ვეღარაფერი ამოშანთავს…“ [შაიშმელაშვილი, 2017(ელექტრონული რესურსი)].

ეროვნული მრწამსით გამორჩეული ავტორისათვის ერთგვარი შვებაა კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური პლატფორმის შერყევით დოგმებისაგან გათავისუფლებული ლიტერატურის არსებობა.

მწერალი პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის აღწერით გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში ჩაკირული უმძიმესი ტრავმისა და მისი შედეგებისა, საზოგადოებაში ეროვნული და კულტურული ღირებულებები, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ წაშლილა. იმპერიის მიერ შექმნილ-წაქეზებულმა უსახო და უსაფუძვლო ავტონომიურმა წარმონაქმნებმა კონფლიქტის კერები გააჩინა როგორც სამაჩაბლოში, ასევე აფხაზეთში.

დაკარგული ტერიტორები, გაწყვეტილი ურთიერთობები, მიტოვებული ადგილის დედა და ფუძის ანგელოზი – ეს იმ ტრავმათა არასრული ჩამონათვალია, რომლითაც დაღდასმულია დევნილთა ყოფა. შემოქმედმა ადამიანებმა შეძლეს, ლიტერატურული ტექსტის სახით წარმოედგინათ ისტორიული რეალობა.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ტექსტის ინტერესის საგანს მხატვრული ლიტერატურის ის მიმართულებები და ტენდენციები წარმოადგენს, რითაც ქართველმა მკითხველმა თვალი გაუსწორა რეალობას და სამშობლოს ტკივილით ცხოვრება ისწავლა. ოსებისა და ქართველების დაპირისპირების შედეგად მათი გამიჯვნის აღმნიშვნელი მავთულხლართები წარსულის უარყოფის, სირცხვილის, უსულგულობის, უმადურობისა (იმავდროულად, სინანულის) პარადიგმაა.

დამოწმებანი:

1. მეტრეველი ზ. საყდრის ჩიტები, თბ,2004
2. დევდარიანი რ. წერილები, ქუთ.2010
3. გოგალაძე თ. ბარბაქაძე ქ. სამაჩაბლოს კონფლიქტი სამი ქართველი მწერლის მხატვრულ ტექსტებში, თბ,2011
4. შაიშმელაშვილი თ. რა უთხრა გოდერძი ჩოხელმა ზეინაბ მეტრეველს,2017 ელექტრონული რესურსი: http://kvira.ge

ხელოვნება

ანა ნიკოლაიშვილი

გულნაზ ხარაიშვილის პორტრეტი

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-43-ებში
და ანთოლოგიის მე-5-11 ტომებში)

ბაზალეთი

...ირანული ჯარის დამარცხებებმა შაჰი საგონებელში ჩააგდო, მან ჩვეული ხერხით მოსინჯა, ზოგიერთ ქართველ დიდებულთან საზავო შეთანხმებით ძალები მოეკრიბა და ერთხელ კიდევ გადამწყვეტი შეტევით საბოლოოდ დაემორჩილებინა აღმოსავლეთ საქართველო, მაგრამ სააკაძე ამის საშუალებას არ აძლევდა.

გაოგნებულმა შაჰმა გააცნობიერა, რომ მისი მცდელობა შედეგს აღარ იძლეოდა და მისი სანაქებო არმიები თხელდებოდნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად ალავერდი-ხანის შვილს, გასპარსელებულ დაუთ-ხან უნდილაძეს დაავალა, წასულიყო საქართველოში და მოლაპარაკება გაემართა თეიმურაზთან, თანაც გადაეცა მისი ხელით დაწერილი დაპირებაც, რომ ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადებდა.

შაჰ-აბასმა კარგად იცოდა აღმოსავლეთ გურჯისტანის დიდგვაროვანთა ნაწილის დამოკიდებულება სააკაძესთან ჯერ კიდევ 1612 წლიდან, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებიდან, რაშიც, შეიძლება ვთქვათ, მისი ხელიც ერია. ღვთის შეწევნით, გიორგი გადარჩა. ახლაც ბოლმა ახრჩობდა და ბუნებრივია, ეცდებოდა თეიმურაზისა და სააკაძის დაპირისპირებით ძალა მოეკრიბა, გაძლიერებულიყო და შემდგომ საძულველი გურჯისათვის სამაგიერო გადაეხადა.

იმავე 1626 წელს დაუთ-ხანი თბილისში ჩამოვიდა და თეიმურაზს შაჰის პირობები შესთავაზა: ირანული არმია შეწყვეტდა საომარ მოქმედებებს (მეტი გზაც აღარ ჰქონდათ), თავის მხრივ ქართველ მეომრებსაც უნდა დაენებებინათ თავი სპარსთა დევნისთვის, თვითონ კი თავისი აღმზრდელის მოსაწონად ირანული ორიენტაცია არ დაეკარგა.

შაჰის კიდევ ერთი ელჩის ჩამოსვლის შემდეგ ქართველმა დიდებულებმა იოთამ ამილახვრის მეთაურობით მეორეჯერ მოსთხოვეს სააკაძეს შეეწყვიტა ირანელებთან ბრძოლა, თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოურავი მათს აზრს არ გაიზიარებდა (ცხადია, მათგან ეს ნაბიჯი ფორმალურ შინაარსს ატარებდა).

ეს იმ დროს, როცა ხერხემალში მორღვეულია ირანული ჯარი, აქა-იქღა შეყუჟულან და გარეთ გამოხედვისაც ეშინიათ, სააკაძე კი ფონს გასულია და ქვეყანაც შვებით ამოსუნთქვას ელის. იმის მაგიერ, ერთობლივი ძალით, მხარში ამოუდგნენ მოურავს, დაზავებას სთავაზობენ! თითქოს მტერი მარტო სააკაძის წილ მიწაწყალს დაანგრევს, მათი წილი კი ხელშეუხებელი დარჩება!

ულტიმატუმმა სააკაძე დიდად აღაშფოთა, ზავზე დათანხმების მსურველნი უარით გაისტუმრა. მათ მალევე აცნობეს ირანის კარს სააკაძისა და მის მომხრე ქედმოუხრელთა პოზიცია.

შაჰისაგან გადაბირებულმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ სააკაძის მიზანი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო, ამიტომ შეიმუშავეს გეგმა, სააკაძისთვის ჯერ ჩრდილი მიეყენებინათ, შემდეგ მოეკლათ კიდეც.

უტყუარი ფაქტია, რომ სწორედ თეიმურაზისა და სააკაძის ცხინვალში ერთად ყოფნის დროს აპირებდნენ გიორგის მოკვლას. მან პირდაპირ დაუსვა მეფეს შეკითხვა, რატომო, მან კი ღვარძლიანად შეუთვალა: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისი (ლუარსაბის) სისხლის მღვრელიო“. საიდან სადაო, წმიდაო საბაო!

ამის თქმა სიბრიყვეა თეიმურაზის მხრიდან, რომელსაც კარგად უნდა ხსომებოდა, როგორ აღმოჩნდა ირანში ლუარსაბი.

ცნობილია, როდესაც ადამიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდება და მისი ამომთელება-განმუხტვა შეუძლებელია, იარაღმა და სისხლმა უნდა გადაწყვიტოს.

ამ ბოლო ნაბიჯებამდე ბრალდების წაყენების წამძღვარებით ხდება უკიდურესი დაძაბუ-

ლობის მიზეზთა გარკვევა; ერთი მხარე თავისი კუთხით ამყარებს პოზიციას, თუ რის გამო მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება – ხომ უნდა წამოაყენონ რაღაც ისეთი, რაც ხალხის თვალში მეტი დაჯერების თუ არა, დაეჭვების სარჩულად მაინც ჩაეფინება საპირისპირო მხარის დაკნინების მიზეზის არსს.

იმ დროისთვისაც ასე უნდა ყოფილიყო, როცა თეიმურაზისა და ზ. ერისთავის მხარემ სიკვდილი გადაუწყვიტა სააკაძეს, ლუარსაბის სისხლი წაუმძღვარეს მიზეზად წინ.

„მთელმა ქვეყანამ და მთელმა ქართველმა ერმა იცოდა, რაც ლუარსაბ მეფე ხელში ჩაუვარდა შაჰ-აბასს შადიმან ბარათაშვილის მცდელობით, მისი ბედიც გადაწყვეტილი იყო. თავის ნებისა და სურვილის გარეშე შაჰი არა საქმეს არ აღასრულებდა.

შაჰი არ იყო დამყოლი კაცი, რომ სააკაძისთვის, ან სხვა ვინმეს მოსაზრებას აჰყოლოდა და ისეთი რამ მოემოქმედებინა, რაც მას არ სურდა“ (გივი ჯამბურია).

თეიმურაზი იმიტომაც იქნებოდა კიდევ დაბოღმილი, რომ ქვეყნისა და სააკაძის მტრებმა ამბავი მიუტანეს, გიორგი შენში შესაფერის თვისებებს ვერ ხედავს, ამიტომ გაერთიანებული საქართველოს მეფეს დასავლეთ საქართველოში ეძებსო.

სააკაძისაგან წუთისოფელგამწარებული, სისხლდადენილი, არაქათგამოცლილი, დამშეული, დაცოტავებული ირანული ჯარის ნარჩენები ქართლს ვეღარაფერს დააკლებდნენ, ისევ ხიზამბარელმა მიამბო ხალხის მეხსიერებაში შემონახული ამბავი:

„ირანული ჯარი ძლიერ დამშეული იყო, ერთი ირანული ატლასის მოსასხამი ერთ კუტ პურზე იცვლებოდაო“... ისე გასჭირვებიათ ყიზილბაშებს, ქართლის აყრა კი არა, საკუთარი კუჭის კედლების ხმაური ესმოდათ.

ირანთან ამ ეტაპზე სამშვიდობო ურთიერთობა ქართველ დიდებულთათვის გარკვეულ ინტერესებს მოიცავდა. განსაკუთრებით ზ. ერისთავისთვის, რომელიც შაჰისაგან არაგვის საერისთავოს პატრონობით იყო დავალებული. მართალია, მან დიდი მონაწილეობა მიიღო მარტყოფში შაჰის ჯარების განადგურებაში, მაგრამ ასეთი ნაბიჯი მოურავმა გადაადგმევინა; ზურაბს საქართველოში შემოსვლამდე არც უფიქრია შაჰის ღალატი, აკი 1624 წლის ბოლოს განსაკუთრებული დავალებით გაიწვია შაჰმა ის და მოურავიც (ამაზე ზემოთ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ).

მაშასადამე, შაჰი ფიქრობს, რომ არა დაუდგრომელი მოურავ-ხანი, ზურაბი ჩემდამი ღალატს არც მოიფიქრებდა, ჩემგან იყო ხელდასხმული არაგვის ერისთავად და ახლა, როცა მე იგი ასე ძალიან მჭირდება, შევუთვლი დაუთ-ხანის პირით და შევახსენებ ჩემგან გაწეულ ამაგს, რომ დიდი „ალაჰის ჩრდილი“, შაჰ-აბასი, ყველაფრის მპატიებელია და აღვადგინოთ ჩვეული ერთმანეთისადმი ძველი ერთგულებაო.

თავად ზ. ერისთავს დიდად არა ხიბლავდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეა; მისთვის, როგორც უმეტესი თავადებისთვის, მიუღებელი იყო იმ მოტივით, რომ მათ სათავადოებში ავტონომიური უფლების შეზღუდვის საშიშროება დაუდგებოდათ. ამიტომ განიზრახეს სააკაძის თავიდან მოცილება. ზ. ერისთავი მათ შორის პირველი იყო; იგი, ბუნებით უზომოდ ხარბი, სააკაძისგან აღარაფერ სიკეთეს მოელოდა. მეორე მხრივ, თეიმურაზის სიძეა, სამეფო კართან დამოყვრებული და არჩევანიც გააკეთა.

თეიმურაზს რაც შეეხება, მასაც აქვს „ირანის მზისთვის“ მოსაბოდიშებელი; შაჰი თავისთან იწვევდა, რომ სამეზობლო კავშირები უფრო მტკიცედ შეეკრათ, ის კი გაურბოდა „მამასა“ და „აღმზრდელს.“ მიზეზი, რის გამოც აღზრდილი აღმზრდელს არ ემორჩილებოდა, იყო ირანელთა ჯარისაგან თეიმურაზის სამეფოს განადგურება, მისი დედისა და შვილების მოწამებრივი აღსასრული.

... „რაც შეეხება მათი მოკვდინების მიზეზს, ეს მე მხოლოდ დიდი ალაჰის შთაგონებით აღვასრულე, იგივე ალაჰის შთაგონებით ვმართავ ირანის სახელმწიფოს და დაუთ-ხანის თქვენთან ხლებით და ჩემი დანაბარების გადმოცემით, თქვენი დედის ქეთევანის, შვილების ალექსანდრეს და ლევანის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას ვიზიარებო, – იუწყებოდა შაჰი, – და რადგან, შენ, თეიმურაზ, ჩემი აღზრდილი ხარ და ჩემივე ხელით დასმული კახეთის სამეფო ტახტზე, მე დღესაც მაქვს სურვილი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო გვირგვინი შენ გედგას თავზე, ამისთვის მტკიცედ უნდა შევიკრათ და მოურავ-ხანს, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, თვითნებობით თქვენც გაღიზიანებთ, ერთობლივად ბოლო მოვუღოთო.“

შაჰმა კარგად იცოდა, რომ მარტყოფის ომში თეიმურაზი არ მონაწილეობდა, ამდენად, ეს მოლაპარაკება ორივე მათგანის მიზნებისთვის

სასურველი უნდა ყოფილიყო, რასაც შედეგად გიორგი სააკაძის ქართლ-კახეთის სამეფო საქმეებიდან ჩამოცილება ან ლიკვიდაცია უნდა მოჰყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი შაჰის კარზე ირანული იდეოლოგიით იზრდებოდა, აბასი არ ენდობოდა, რადგან თვალი მუდამ რუსეთისკენ ეჭირა, მისგან მფარველობას ელოდა და ამ მიზეზით კახეთი ამოწყვეტა-განადგურების პირას დადგა.

თეიმურაზი და ზურაბ ერისთავი სააკაძისაგან ირანისათვის მიყენებული ზარალის ფონზე შედარებით ადვილად დასაყოლიებელ პიროვნებებადაც კი ჩანან შაჰის თვალში.

დაუთ-ხანისა და თეიმურაზის თბილისში შეხვედრის შედეგი სააკაძის მხარესთან რადიკალური დაპირისპირების გადაწყვეტილება იყო.

სინამდვილის უკეთ წარმოსაჩენად უნდა მოიჩხრიკოს ყველა ნიუანსი იმ ურთულეს დროსა და ვითარებაში, როდესაც პიროვნება ხშირად გამოუვალ რთულ სიტუაციაში ექცევა და არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება უხდება; ადამიანი არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი კუთხიდან უნდა დავინახოთ, რომ რაიმე არ გამოგვრჩეს და დიდი პიროვნების შეფასებაში შეცდომა არ მოგვივიდეს (ჩემი მოსაზრებით, ადამიანის ნაღვაწი მაინც ნამოქმედარით, შედეგებით იზომება).

მაშინდელი ლაბირინთიდან მაინც აშკარად იკვეთება, რომ შაჰისა და ირანისთვის სააკაძე მარტყოფამდე სრული ნდობით აღჭურვილი გურჯია და ამიტომაც ყორჩიხა-ხანთან ერთად გამოგზავნეს საქართველოში; მარტყოფის შემდეგ კი იგი საძულველი, ბედუკულმართი, ურგები, ირანის ჯარების გამანადგურებელი უნდო მოურავ-ხანია, რომელიც ირანისა და შაჰის მიმართ დათმობაზე არასოდეს წავიდოდა. მათ 12 წლიანი ურთიერთობით იმდენად შეიცნეს ერთმანეთი, ამაში შაჰიც მტკიცედ იყო დარწმუნებული, მოურავ-ხანისთვის სიკვდილით სამაგიეროს გადახდის გარდა სხვა წადილი აღარ გაუჩნდებოდა.

გიორგი სააკაძემ შაჰ-აბასთან საჭადრაკო დაფაზე 12 წლიანი თამაში სუფთად, შამათით მოიგო.

ბაზალეთის ომმა ფარდა ახადა ორივე მხარის ინტერესებს, გაირკვა თითოეული მონაწილის მიზანი; სააკაძის გამარჯვების შემთხვევაში ერთიანდებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. სააკაძისა და პროგრესულად მოაზროვნეთა აზრით, თეიმურაზ მეფე ვერ შეძლებდა ასეთი საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვას, ამიტომ მათ არჩიეს ერთიანი საქართველოს ტახტზე იმერეთის მეფის გიორგის შვილი ალექსანდრე დაესვათ. ეს ჭეშმარიტად პატრიოტული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მიუღებელი თეიმურაზისა და მისი მომხრე თავადებისთვის. თეიმურაზის გაღიზიანების მიზეზიც ნათელია.

სააკაძეს რომ მარტყოფისა და მარაბდის ომების შემდეგ არ გაეწია ანგარიში სამეფო წესწყობილებისთვის, თეიმურაზისთვის ქართლ-კახეთის ტახტის დაკავება არ შეეთავაზებინა და პირადი მოსაზრებით ქართველი თავადებისთვის თავს მოეხვია ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის ძებნის იდეა, ასეთ შემთხვევაში მისი საქციელი აშკარა თვითნებობა იქნებოდა.

ამასთან ნდობა და თანადგომა ერთია, მისი გამართლება – მეორე. სწორედ მეფობის ჭეშმარიტი მოვალეობის ვერშესრულებამ განაპირობა სააკაძისაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში სამეფო კანდიდატურის ძებნა. სააკაძე თავისი ინტერესებისთვის არასოდეს გაირჯებოდა, მისი გათვლები სწორი აზრის მიღწევამდე, ხანგრძლივ დროში ყალიბდებოდა. სააკაძე არ გაქცევია ტრადიციული სამეფო ცენტრალური ხელისუფლების წეს-წყობას და ორჯერ მოიწვია ტახტზე თეიმურაზი. მარაბდის ომის წინ თეიმურაზმა ვერ შეაფასა და დააფასა მარტყოფის ავჯანყების სულისჩამდგმელი სააკაძის სტრატეგიული ნიჭი. გიორგის, ცხადია, ეწყინა და უნდა ითქვას, კიდევ უფრო ცუდად ენიშნა მარაბდის ომში მეფის საბრძოლო გეგმის ზედაპირულობა. მას რომ საღად დაენახა მარტყოფის ომის გმირის მნიშვნელობა, გამოეჩინა გონიერი ნება და სარდლობა დაეთმო სააკაძისთვის, არც 9 ათასი კაცი გაწყდებოდა, მარაბდის ომსაც მოვიგებდით და არც ბაზალეთი მოხდებოდა.

ცხადია, მნიშვნელოვანი საქმეების მოქმედ სააკაძეს სიტყვაც ეთქმოდა, მაგრამ თეიმურაზი და სააკაძე, სამწუხაროდ, ერთმანეთის მიმართ უსმინარნი გამხდარიყვნენ და არც ვინმე გონიერი მრჩეველი გამოჩნდა იმ გართულებულ მდგომარეობაში, რომ ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მათი შერიგება მოეხდინა.

გიორგი სააკაძის აზრს იზიარებდნენ ბაზალეთამდე და ბაზალეთის შემდეგაც ქაიხოსრო მუხრანბატონი, იესე ქსნის ერისთავი. ზაზა ციციშვილი, ბაადურ ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი,

გერმანოზ ბარათაშველი, დომენტი ავალიშვილი, გიორგი ფავლენიშვილი, იმერეთის მეფე დიდებულები, სამცხის თავადები მანუჩარ ათაბაგი, თანუნა დიასამიძე, ელია დიასამიძე, ელიზბარ და ბეჟან თაქთირიძენი, როსტომ შალიკაშვილი.

სააკაძის აზრით, თეიმურაზმა აჩვენა, რომ მას არ შეეძლო ქვეყნის სამართლიანად და ობიექტურად მართვა, არ იცავდა ხალხის ინტერესებს, ადვილად უჯერებდა სხვებს, არ იყო შორსმჭვრეტელი...

ბაზალეთის ომმა გამოამჟღავნა ქვეყნის მაშინდელი დაყოფა, სხვადასხვა ორიენტირები, ამ ომში მთავარი მხარეთა სუბიექტური მისწრაფებები და მონაწილეთა პიროვნული დაპირისპირება და შეუთავსებლობა იყო.

თითოეულ მხარეს, გარდა სურვილისა, თავისი მყარი პოზიციაც ამაგრებდა.

გიორგი სააკაძემ ყველაფერი გააკეთა, თავის მტრებთან შერიგებისა და შვილის გაწირვის ჩათვლით, რომ ქვეყნისთვის სპარსეთის ბატონობა და აყრა-გადასახლება აეცილებინა. გამოიჩინა დიდი შორსმჭვრეტელობა, მოთმინება, დიპლომატია, არაადამიანური გამძლეობა, უებრო მხედრული ოსტატობა და სტრატეგიული ნიჭიერება, – მცირე ქართული ჯარით, მინიმალური მსხვერპლით ბევრად მეტ მტერს ამარცხებდა, – მიაღწია იმას, რომ ქართულ მიწას მოაცილა და გაანადგურა 70000 ირანელი ჯარისკაცი, ორჯერ აიყვანა ტახტზე კანონიერი მეფე და ყველაფერს აკეთებდა საქართველოს გაერთიანებისთვის. ამდენად, მას ქვეყნისთვის დიდი ამაგი და საქმე ჰქონდა გაწეული და სიტყვაც ეთქმოდა.

საპირისპირო მხარეს, თეიმურაზს, ზ. ერისთავსა და სხვებს მხოლოდ პირადი მერკანტილური ინტერესები ამოძრავებდათ. მათთვის ქვეყანა იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც მეტს გამორჩებოდნენ.

უამრავი ომის მონაწილე და მომგებ სააკაძეს არსად ისეთი განსაცდელი და გასაჭირი არ დასდგომია, როგორც ბაზალეთის ომში, სადაც ქვეყნის დასაცავად კი არ იბრძოდა, გუშინდელი მომხრე თანამოძმეების წინააღმდეგ მოუხდა სავალალო საომარ პოზიციაზე დგომა.

აშკარაა, გულდათუთქულია სააკაძე, წყალში ეყრებოდა, რის გამოც იბრძოლა, არ დაზოგა არც თავისი და არც თანამებრძოლთა ძალები, გაუხარელი, ბევრისთვის გამარჯვების სიტკბოშეუგრძნობი სიცოცხლე. ეცოდებოდა გვერდში მდგომი ძალდაუზოგავი გმირი მეგობრები, რომლებიც ყიზილბაშური სახადისაგან ქვეყნის განთავისუფლებას ვერ მოესწრნენ; ებრალებოდა ის თანამებრძო-ლებიც, ერთნაირი სულისკვეთებით რომ უტევდნენ მტერს, ახლა კი მის წინააღმდეგ ხმლები აულესავთ...

ძნელი გამხდარიყო გიორგი სააკაძისთვის ბაზალეთის ომში მთელი შემართებით ბრძოლა თავისსავე სისხლთან და მოდგმასთან. იგი ყოველთვის ცდილობდა დაეზოგა ქართული სასიცოცხლო ენერგია, მით უფრო, სიმრავლითაც არასდროს გამოვირჩეოდით, მცირე დანაკარგით აღწევდა გამარჯვებებს.

ასეთი კაცი ზრუნვით, თან კრიტიკულად ადევნებს თვალს და აფასებს თითოეული ქართველის, მოქალაქის, მეომრის ნამოქმედარსა და ნაღვაწს. მით უმეტეს, როცა მეფეზე, მისი მეფური მისიის შესრულებაზეა საუბარი და ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას...

სააკაძეს შაჰ-აბასის ზეობის დროს მოუწია ირანში ყოფნა. იგი ხედავდა, როგორი ენერგიით ცდილობდა ირანი მეზობელ ქვეყნებზე მნიშვნელოვან, აღმატებულ სახელმწიფოდ ქცეულიყო. საამისოდ შაჰი არაფერს ერიდებოდა, თუნდაც დამპყრობლურ ომებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დიპლომატიასა და ირანის აღმშენებლობაზე. ისტორიულადაც ცნობილია შაჰ-აბას I-ლის დამსახურება და ღვაწლი ირანის მიმართ და ისეთ კაცს, როგორიც სააკაძე იყო, არცაა გასაკვირი, ეოცნება საქართველოს მსგავსად და კიდევ მეტად აყვავებაზე. ხშირად წარმოუდგებოდა ხოლმე თავისი ქვეყანა, ღირსეული მეფეპატრონისგან მოვლილ-ნაპატრონები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გოჩა ქელიძე

თამარ მეფის შესახებ

თამარ მეფე ქართველთა მეხსიერებაში დარჩა როგორც ლეგენდა, საქართველოს სიძლიერის შემქნელი წმინდა ისტორიის ნაწილი, რომლის შესაძლებლობებს ქართველები, ისევე როგორც ძველი ბერძნები საკუთარ მითოლოგიურ პერსონაჟებს, ფანტასტიურ თვისებებს მიაწერენ. ეს ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის კუთხეებში შემონახულ ლეგენდებად ქცეულ ლექსებსა თუ თქმულებებში. საქართველოს კუთხეებს შორის არსებული გეოგრაფიული დაშორების მიუხედავად, ბევრი თქმულების სიუჟეტი ერთმანეთს ძალიან ჰგავს და ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს და საყურადღებოს ხდის მათ. დასანანია, რომ ლეგენდებად ქცეული თქმულებები, რომლებიც აკვნის ასაკიდან ყველა ქართველის ყოველდღიური ცხოვრეის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და თაობიდან თაობებს ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა, დღეს მხოლოდ ფურცლებმა შემოგვინახა, ისიც მცირე ნაწილი და ეს კიდევ უფრო ფასდაუდებელს ხდის მათი მომგროვებლების მნიშვნელოვან შრომას.

სვანების დამოკიდებულება თამარ მეფის მიმართ

სვანები თამარ მეფეს კეისარს ეძახიან. მათი ზეპირ მოთხრობითის ამბებში და სიმღერებში მხოლოდ ერთს თამარ მეფეს იხსენებენ. სვანები ამბობენ, რომ თამარ მეფე მათ მხარეში ცხოვრობდა, რადგან სვანეთი საქართველოს შუაგული იყოო და ისე უყვარდა სვანეთი, რომ ბევრ საყდრებს და ეკლესიებს აშენებდაო და ვითამც თამარ-მეფის საფლავიც სვანეთში არისო. /ივერია, 1877 წ. №27/.

თამარის დარბაზობა

თამარ მეფის დროს დარბაზობაზე ვაზირები შემდეგი თანმიმდევრობით სხდებოდნენ: უპირველესად სვანთა ერისთავი, რაჭა არგვეთის ერისთავი, ცხუმისა და ოდიშის ერისთავები, – ხელისუფალნი ლიხთ იმიერიდან, ამის შემდეგ ლიხთ ამიერით: ქართლის ერისთავი, კახეთის ერისთავი, ჰერეთის ერისთავი და ბოლოს სამცხის ერისთავი, რომელიც როგორც სპასალარი, ფეხზე უნდა მდგარიყო. /ა. კიკვიძე. ქართული სახელმწიფო დარბაზი და დარბაზობა. 12 საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. შ. მესხიას რედაქციით. 1968 წ. გვ. 217/.

სვანეთში შემონახული თქმულებიდან: თამარ დედოფალს იმდენი ჯარი ახლდა, რომ ერთ დადგმაზე თურმე ციხეს აშენებდნენო.

უნიკალური ეკლესია

როდესაც თამარ მეფე ლენჯერის თემში ლაშთხვერის ეკლესიის მშენებლობას ამთავრებდა, მას მოუვიდა ამბავი ბაყბაყდევთან ამირანის გამარჯვების შესახებ, ამიტომ ოსტატებს უბრძანა ეს ამბავი დაესურათებინათ ამ ეკლესიის კედელზე. მართლაც, ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გარედან არის ბაყბაყდევთან ამირანის ბრძოლის სურათი, რომელიც დღემდე შემონახულია. ეცერში ფხოტრერის ეკლესიაც თამარ მეფის აშენებულია. ახალ აშენებულ ეკლესიაში მან დატოვა მრავალი ძვირფასი ნივთი, მათ შორის თავისი სარტყელი, კვერთხი და ვერცხლის არაბულ წარწერიანი კოლოფი. ეს ნივთები შემდეგ დაიფანტა. თამარის სარტყელი 1857 წელს გელა დადეშქელიანის ცოლმა საჩუქრად მიართვა სამეგრელოს დედოფალს-ეკატერინე დადიანს. /ნაპერწკალი, 1978 წ. №19/.

თამარ მეფის შესახებ სვანეთში შემონახული ლექსები

მაღალსა მოხვალ

„ჰაი, მაღალსა მოხვალ,
თეთრი მთიანი, ოქროს თვლიანი,
მეფე სვანეთსა და-მობრძანდა.
„სვანეთი ვაკე მეგონა,
თურმე მთა-გორა ყოფილა“.
ნეფემ ბარგი დაყარაო,
ბრაგიბრუგი ადინაო.
კალას დევიდგი კარვები,
ეცერში კაცი გავგზავნეთ;
გვახმარეთ თქვენი ძალაო.
სვანებმა ძალა გვახმარეს,
დასჭრეს და კეტი გვიმართესო.”

/1936 წლის 9 აგვისტოს ჩაწერა მ. გუჯეჯიანმა ლაშხეთში ჩიხარეშელი 60 წლის სოლომონ ჯანხოთელის თქმით/.

თამარ დედოფალო

“ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
თმები გქონდა ხუჭუჭი,
თვალები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა;
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები,
თავზე გედგა ზუჩი;
ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
უნაგირი გედგა, ოი, მოჭედილი,
აღვირი გედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედოფალო თამარს,

ყველაზე უკეთეს თამარს!” /1936 წლის 5 აპრილს ჩაწერა მუსაბ ნიგურიანმა მულახის თემის სოფ. მურშკელში 18 წლის კასიანა ივანეს ასული გიგანის თქმით/.

საქართველოს დედოფალი

„საქართველოს დედოფალი
საქართველოს დედოფალი
სიმშვენიერით ამოვსილი,
ამომავალ მზის დარითა,
დავით სისონის მეუღლე,
რომელმაც უშვენა მხარი.
დიდ უბანში იქორწილა,
სადაც რო ეკლესიებია;
ნადიმობა გადაიხადა,
თავის ჯარები შეიწვია.
ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გადუშალა,
თითქმის იყო ასი მხარი;
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო, ვერცხლი დიდძალი.
სიბრძნით, სიუხვით და-ქებული,
დილის ცისკარის სადარი.
მნათობებსა ქვეყნებსა
მკვდარი ვერ პოვეს სად არი.
მე ვიყავ თამარ დედფალი,
სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი შიგნი ჩავიგდე,
ქაჯებს დავარქვი ნიჯარი,
ისპანს ხარჯი ავიღე.....
ამდენი ქველის მომქმედმა,
რომ მოვკვდი, ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

/1936 წლის 12 აგვისტოს ჩაწერა მუსაბ ნიგურიანმა სოფელ ხალდეში ბექა გასვიანის თქმით/.

თქმულებები თამარ მეფის შესახებ

თამარის მერცხლები

სვანების გადმოცემით, თამარ მეფეს ორი მერცხალი ჰყავდა, ერთი თეთრი, მეორე შავი. ორივე ოქროს ყუთში ჩამწყვდეული. როდესაც ქვეყნისათვის წვიმა იყო საჭირო, მაშინ თამარი შავ მერცხალს ცას დაანახვებდა და მოვიდოდა ქვეყნის გამაპოხიერებელი, მშვიდობიანი წვიმა. როდესაც თეთრ მერცხალს დაანახებდა ცას, მაშინ კი თოვლი მოვიდოდაო. ამიტომ თეთრ მერცხალს ძვირად თუ დაანახვებდა ცის სინათლესო, რის გამოც სვანეთში დიდი თოვლი არ მოდიოდაო. ამას ამტკიცებენ იმით, რომ სტავრანიბის მთაზე, რომელიც ლეჩხუმიდან ლაშხეთსი

გადასასვლელი უმაღლესი მთაა, იქ სოფელი იყო გაშენებულიო, რასაც დღესაც მოწმობს ქვის შენობების ნანგრევები. აი აქაც კი თოვლი არ მოდიოდა თამარის მოწყალებითო. მაგრამ ერთხელ თამარ მეფე სვანეთში მობრძანდებოდა და ხსენებული სტავრანიბის მთაზე დააღამდა და აქ ერთი რჩეული მოსახლისას ისადგურაო. აქ დიასახლისმა, როგორც ოქროს ყუთს თვალი მოჰკრა, რომელსაც თამარი არსად არ იშორებდა, დიასახლისი ყველასგან შეუმჩნევლად მიეპარა და იმდენი უჩხიკინა, რომ ოქროს ყუთი გააღო და მოულოდნელად ორი მერცხალი ამოფრინდა და სადღაც გადაიკარგაო. მას აქეთ არის, რომ სვანეთი თოვლით დაბეგრულია, რადგან იქ მოხთა ასეთი შეცოდებაო. შედეგად ამისა, სტავრანიბის მცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ იქიდან აყრილიყვნენ და სხვაგან გადასახლებულიყვნენო. ამ წარმოდგენით დღესაც რომ გავივლით ხსენებულ მთაზე, ნახავთ ერთ ალაგს ქვების დიდ გროვას და იქ გამვლელი ყოველი სვანი აიღებს კიდევ ქვას და ამ ხსენებულ გროვას წყევლა-კრულვით ესვრის. რომ კითხოთ ამას რატომ შვებიო, მოგიყვებათ ზემოაღნიშნულ ამბავს. იმ დიასახლისის სახლი, ვინც მერცხლები გააფრინა, აი აქ, ქვების გროვასთან ყოფილაო და იმის მომგონე აქ გამვლელი მგზავრები წყევლა-კრულვით ქვებს ვესვრითო. ამ რიგით ალაგს დღემდი სახელად შერჩენია დიასახლისის ნაწყევარა.

თამარ მეფე რომ სვანეთში ამობრძანდა, თუ ისეთ სოფელში გაივლიდა რომ საყდარი არ ჰქონდაო, იქ უცებ საყდრებს აშენებდაო, მაგრამ იმდენი ლაშქარი ახლდა, კირი და სილა ქალებს ლეჩაქის ყურში ჰქონდათ გამოხვეული და კაცებს ყაბალახის ყურში და ამით აშენებდა საყდრებს. ამნაირი თამარ მეფის აშენებულ საყდრად მიჩნეული არის ერთი ლაშხეთში, სოფელ ჩოკულში, რასაც თვით თამარის წარწერა მოწმობს. საყდარს დიდებული მხატვრობა და ხატები ამშვენებს და თამარისვე ნაქონი გურზი და თუშური ლაგამი. განსაკუთრებით უცხოელი მოგზაურების ყურადღებას ეს საყდარი იქცევს ერთი საუცხოო ნაკეთები ხატით და სანდლის კარებით. /ლაჯანელი ბანოვანი. კოლხიდა. 1912 წ. №26/.

თამარის ვარსკვლავი

იმერეთში შემონახული თქმულებით დიდ თამარს ვარსკვლავი ჰყავდა დაჭერილი და ოქროს კოლოფში ჩამწყვდეული. ამ ვარსკვლავის საშუალებით მას შეეძლო როცა უნდოდა წვიმა მოეყვანა. თუ კოლოფს ახდიდა, გაავდრდებოდა, თუ დახურავდა კაი დარი დადგებოდა. ამიტომ იყო, რომ დიდი თამარის დროს მუდამ უხვი მოსავალი იყო და ხალხიც ამ მოსავლით გაჯერებული. თამარის ვარსკვლავს უკვდავების წყალიცა ჰქონდა და ვინც მას დალევდა, საუკუნოთ იცოცხლებდა. თამარს ურჩევდნენ დაელია ეს წყალი, მაგრამ იგი არ სთანხმდებოდა, რადგან ღვთის საწინააღმდეგოთ მიაჩნდა, ღვთისაგან აქვს კაცს სიკვდილი დადგენილიო. თამარს მრავალი სეფე ქალი და მოახლე ჰყავდა. ერთ მოახლეთაგანს თამარი მეტად ენდობოდა, მისგან დაფარული არა ჰქონდარა. ერთხელ ეს მოახლე შეეპარა საპირფარეშოში, სადაც ვარსკვლავიანი კოლოფი იყო და მოინდომა უკვდავების წყლის დალევა. წყალი კი დალია, მაგრამ ვარსკვლავი ამოუხტა კოლოფიდან და გაუფრინდა. თამარი მოახლეს გაუჯავრდა და სასახლიდან დაითხოვა. თამარი წამოვიდა ტრაბზონიდან, მოახლე იქ დარჩა. ამას შემდეგ ეს მოახლე სტამბოლს ჩავიდა და იქ დიდი ტაძრის აია სოფიას გალავანში დაიწყო ცხოვრება. გავიდა დიდი ხანი; რამდენიმე თაობა გავიდა და თამარის ნამოახლარი კი ისევ ცოცხალი იყო. სიბერისგან ისე დაპატარავდა, რომ მუჭის სისხო-ღა იყო. ხალხს უკვირდა, რომ იგი აღარ კვდებოდა. ნამოახლარმა გაუმხილა თავისი თავგადასავალი ეკლესიის მსახურებს და სთხოვა – სარწყულ კვახში ჩაესვათ და ეკლესიაში დაეკიდათ, რადგან მას სიკვდილი არ უწერია. იმათ აუსრულეს მართლაც თხოვნა: ჩასვეს კვახში და შუა ეკლესიაში დაკიდეს. ეს კვახი ახლაც კიდია დიდ აია-სოფიაში და ყოველ 1 მაისს თამარის დაბადების დღეს – ზოგი თქმულებით აღდგომას გაქანდება და დაიძახებს: ნეტავი თამარი კიდევ ცოცხალია? და ეს დაძახილი ეკლესიაში მყოფს ყველას ესმის.

/ვ. მაღრაძე. კოლხიდა. 1912 წ. №4/.

შუქურ ვარსკვლავის შეპყრობა

როდესაც თამარ მეფემ შუქურ ვარსკვლავი – ცისკარი დაიჭირა და ყუთში დაამწყვდია, საქართველოში ზამთარი სრულიად ამოიკვეთა, იმიტომ, რომ ზამთარი შუქურ ვარსკვლავის

ძალით მოდიოდა. ზამთრის ამოკვეთის შემდეგ, თამარ მეფე ბაღდადში მიბრძანდებოდა მონასტრის ასაშენებლად, მოახლეს ჩააბარა ყუთი შუქურ ვარსკვლავით და უბრძანა: არამც და არამც ეს ყუთი არ გააღო, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებო.

მონასტერს ჭერიღა აკლდა, რომ მოახლემ ყუთს ახადა. თამარ მეფის საძინებელი მაშინვე გაბრწყინდა. შუქურ ვარსკვლავი ყუთიდან ამოფრინდა და ზეცას გაფრინდა. თამარ მეფეს კალატოზებმა მოახსენეს: დიდებულო მეფეო! მონასტრისთვის დამზადებულ ქვას ჭირხლი მოსდებია და ვეღარ ვეწევითო.

ბაღდადში ჭირხლი მასინ მოდიოდა ხოლმე, როდესაც საქართველოში ზამთარი დადგებოდა. თამარ მეფე მიხვდა, რომ ზამთრის მიზეზი უთუოდ შუქურ ვარსკვლავის გაშვება იქნებაო. ძლიეელ შეწუხდა, სიმწუხრით თავში ორივე ხელი შემოიკრა. იმ წამსვე წყეული მოიხმო, ღვთის ნაკურთხი ლაგამი პირში ამოუდო, შებრძანდა ზედა და გამოსწია საქართველოსკენ. იალბუზის მინდვრებთან მოვიდა თუ არა, დაინახა თოვლით გადალესილი იალბუზის მთები, სადაც მეფესა ჰქონდა სამუდამოთ საცხოვრებელი სასახლე. გასწია პირდაპირ თავისი ბინისაკენ, მაგრამ ძლიერმა ქარ-ბუქმა საშინლად შეაწუხა, ვეღარ მივიდა, ძალა-უნებურად უკან დაბრუნდა და ვარძიის მონასტერში წაბრძანდა. იქ გარდაიცვალა თამარ მეფე და იქ ასაფლავია. /1899 წელს ენკვესისთვის 21 რიცხვს ჩაიწერა კ. დ. მაღალაშვილმა ქართლის სოფელ ვანათიდან ბორჩალოს მაზრაში სოფ. წერაქვში დასახლებული მართა ბიბილურის მიერ. ძველი საქართველო. ტ. 2. 1913 წ. განყ. 4. გვ. 48-50/.

თამარ მეფის საფლავის შესახებ

სვანეთში დასაფლავების ვერსია

თამარი იმიტომ იმალებოდაო, რომ მას მტერი დასდევდაო, და სვანეთში იმიტომ იმალებოდაო, რომ მაგარი იყოო სვანეთი და ას კაცს ერთი კაცი გააბრუნებსო. – ამიტომ იმალებოდაო უშგულში და იქ აგებულაო ეკლესიაო ლამარია. შემდეგ დაუბარაო თავის ხალხსო: „ისეთ ადგილას დამმარხეთო, რომ ვერავინ მნახოსო“. თუ არა მტრები ექადნებოდნენო, რომ „მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, მოვნახავთო!“ ამიტომ ვერავინ გაიგოო, თუ სად დაიმარხაო.
როცა ლეკები და თათრები გადადენეს, მაშინ თამარს შეუძახესო: „ადექ, თამარ დედოფალო, ჩვენთვის დარჩა საქართველოო!“ /1936 წლის 9 აგვისტოს ჩაწერა მ. გუჯეჯიანმა ლაშხეთში ჩიხარეშელი 60 წლის სოლომონ ჯანხოთელის თქმით/.

სვანების რწმუნებით თამარ დედოფალი უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის ტრაპეზშია დამარხული, რომლის გამჟღავნებას ძლიერ უფრთხილდებიან, რადგან ფიქრობს ხალხი, თუ რომელიმე ხელმწიფემ ეს გაიგო, მაშინ თამარ დედოფალს ამოიღებენ სამარიდამ, სადაც პირველი განუხრწნელად ძევს და მაშინ დაიღუპება სვანეთიც, რადგან თამარს გაჰყვება სვანეთის ბედ-იღბალიო. ის ხელმწიფე კი, რომელიც თამარის სხეულს იშოვნის პირველი, ბედნიერი იქნება ქვეყანაზე. უშგულისავე ეკლესიაში ხალხი უჩვენებს თამარის ტანისამოსს. ხუთი წლის წინ ჩვენ ვნახეთ აქ ზანდუკში შენახული ერთი წყვილი ქალის ტანისამოსი, რომელთაგან უკედ შენახული იყვნენ ყანაოზის პერანგი და წითელი ხავერდის ქათიბი, დანარჩენი სულ დაჩრჩილული იყო და დღეს ალბათ ყველა ჩრჩილის მსხვერპლი გახდებოდა. კალაში წმინდა კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიაში უჩვენებენ თამარის ნაწნავებს და ქოშებს. /დროება 1872 წ. №41/.

ვარძიაში დასაფლავების ვერსია

თამარ მეფის სილამაზე ბევრ დიდებულს უძგერებდა გულსა, ბევრსა სურდა მისი ცოლად შერთვა. მათ შორის ოსმალოს დიდი ფაშაც იყო. ერთხელ ოსმალოს დიდმა ფაშამ შეუთვალა თამარ მეფეს: უთუოდ ცოლად უნდა გამომყვეო. თამარ მეფე ძლიერ განრისხდა თურმე და უარი შეუთვალა. ფაშამ უარის თქმა იწყინა და თამარ მეფეს შეუთვალა: თუ ცოცხალი ვერ გიხილე, სიკვდილის შემდეგ უთუოდ ამოგიღებ სამარიდან და შენს გვამს დავატყვევებო.

თამარ მეფე დაფიქრდა, ვაი თუ მართლა მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი იმ ურჯულოს ხელში ჩავარდესო. ბევრი ფიქრის შემდეგ შეუდგა ვარძიის მონასტრის აშენებას. მონასტერი რომ დაასრულა, გაათლევინა სამი ბოძი და უბრძანა მხლებლებს: როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში მიწის პირად დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი მონასტერს მაშინ შემოუდგითო.

თამარ მეფე გარდაიცვალა. კარის კაცებმა მეფის ანდერძი შეასრულეს. ჯერ დაასაფლავეს მონასტერში უნიშნოდ, შემდეგ კი სამი ბოძი მონასტრის ჭერს შეუდგეს.

ფაშამ გაიგო თუ არა თამარ მეფის გარდაცვალება, მაშინვე აუარებელის ჯარით შემოესია საქართველოს და პირდაპირ ვარძიის მონასტერს მიადგა. დაიბარა მაშინვე კარის კაცები და ჰკითხა: სად ასაფლავია მეფეო. ერთი კარის კაცი ფაშას გამოუტყდა და მოახსენა: აი ამ მონასტერშია დასაფლავებული. რა ნიშანი აქვს საფლავსაო? ნიშნად სამი ბოძი აქვს დადგმული. შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა რომელი ბოძისათვის მოეკიდა ხელი, რომელი ბოძი გადმოექცია და ამოეღო სამარიდან თამარის გვამი. ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა. ბოძმა ხმა ამოიღო და ფაშას უთხრა: მე ტყუილად მანგრევ, აგე იმ ბოძის ქვეშ არის დასაფლავებულიო! ფაშამ პირველ ბოძს თავი დაანება და მიადგა მეორე ბოძს დასანგრევად. მეორე ბოძმაც ასე უთხრა: აქ არ ასაფლავია თამარ მეფე, აგე იმ მესამე ბოძის ქვეშ არისო. მესამე ბოძმაც აგრევე უთხრა და პირველზე ანიშნა. გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და თქვა: ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არ ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასაო. ღმერთს თაყვანი სცა და სთხოვა შეცოდების შენდობა. მერე მთელი ღამის ნამუშევარი და ნაბრძოლი მონასტრიდან გამოვიდა და თავის გზას გაუდგა. /1899 წელს ენკესისთვის 21 რიცხვს ჩაიწერა კ. დ. მაღალაშვილმა ქართლის სოფელ ვანათიდან ბორჩალოს მაზრაში სოფ. წერაქვში დასახლებული მართა ბიბილურის მიერ. ძველი საქართველო. ტ. 2. 1913 წ. განყ. 4. გვ. 48-50/.

თამარ მეფის ეპიტაფია თამარ ბიბილურის გადმოცემული

თამარ დედოფალი ვიყავ, სახელი დიდი გავიგდე,
ირან-თეირანს ხმალი ვკარ, ხმელეთი შიგნით მოვიგდე,
და ამ საქმისა ჩამდენმა ცხრა ადლი ტილო წავიღე.....
ლექსი დიდი ყოფილა და აღარ მახსოვსო.

თამარ მეფის საფლავთან დაკავშირებით მართა ბიბილურმა თქვა: იმისთანა დიდებულის საფლავი, როგორიც თამარ მეფე იყო, ვისაც ემორჩილებოდნენ წეროები, მერცხლები და სხვა ფრინველნი და მისის ბრძანებით მიჰქონდათ: მერცხალს ქვიშა და წეროს ქვა, და ამისთანა მიუვალ მთა კლდეებზედ აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებს და ციხეებს; ვისაც წყეული რაშადა ჰყვანდა, პირში ღვთისაგან ნაკურთხ ლაგამ ამოდებული, და ზედა მჯდომი დაჰქროდა, ამ წამს რომ აქ ყოფილიყო, მეორე წამს ბაღდადს გაჩნდებოდა, და ვისაც რამდენიც მთელ საქართველოში მონასტრები, ეკლესიები და ციხეები აუშენებია იმის საფასური ვარძიის მონასტერზედ დაუხარჯავს, რამდენი წელიწადში დღეა, იმდენი სენაკი აუშენებია ვარძიის გარშემო, ის დაკარგული უნდა გყვანდეს!? სწორედ არ უნდა იცოდნენ სად ასაფლავია? მე დარწმუნებული ვარ მამაჩემისგან და მწამს კიდეც, რომ თამარ მეფე ვარძიის მონასტერში ასაფლავია. თამარმა იმის ნიშნად, რომ აქ, ვარძიის მონასტერში ვარ დასაფლავებულიო, ტაძარში დაახატვინა თავის სურათი. /1899 წელს ენკესისთვის 21 რიცხვს ჩაიწერა კ. დ. მაღალაშვილმა ქართლის სოფელ ვანათიდან ბორჩალოს მაზრაში სოფ. წერაქვში დასახლებული მართა ბიბილურის მიერ. ძველი საქართველო. ტ. 2. 1913 წ. განყ. 4. გვ. 48-50/.

იერუსალიმის ვერსია

ეს საბუთი უტყუარია და მაშინდელი საქართველოს განსაკუთრებულ ფუნქციაზე მიანიშნებს. გარკვეული მეცნიერების აზრით, საბუთი შედგენილია დაღმავლობის გზაზე მდგარი ჯვაროსნების საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად. ეს არ არის ამ მიზნით შედგენილი ერთად ერთი საბუთი.

ერთ-ერთი ვერსიით გელათის სამეფო აკლდამაში დამარხვის შემდეგ თამარ მეფის ცხედარი, მისი ნების შესაბამისად, გადასვენებულ და დაკრძალულ იქნა იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავის მახლობლად მდებარე ქართულ მონასტერში, მისი შვილის, გიორგი მე-4 ლაშას მიერ. 1220 წელს უნდა ეკუთვნოდეს ფრანგი ჯვაროსანი რაინდის, გ. დე ბუას წერილი საფრანგეთის ქალაქ ბენზანსონის პატრონსა და არქიეპისკოპოსს ამადე დეტრემლეს. რომელსაც ბენზანსონის მთავარეპისკოპოსის კათედრა ეჭირა 1195-1220 წლებში.

წარმოგიდგენთ ნაწყვეტს მისი წერილიდან:

"ქრისტეში აღქმულ ფრიად პატივცემულ მამასა და საყვარელ ბატონ ამედს, ღვთის განგებით ბეზანსონის არქიეპისკოპოსს, გ. დე ბუა, მორჩილი რაინდი, ამინ.

.....მინდა გაცნობოთ აგრეთვე რაღაც განსხვავებული ამბავი, რაც გაკვირვებას იწვევს. ჩვენ გავიგეთ და ჭეშმარიტება ამისა დაგვიდასტურეს საიმედო მაცნეებმა, რომ ქრისტიანებმა იბერიიდან, რომლებიც გეორგიანელებად იწოდებიან, უთვალავი რაოდენობის კარგად

შეიარაღებული მხედრებით და ქვეითი ჯარისკაცებით ძლიერად გაილაშქრეს ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ და უკვე დაიპყრეს 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგან გამაგრებულნი დატოვეს, ხოლო სუსტნი ცეცხლს მისცეს. ერთი ამ ქალაქთაგანი, რომელიც ევფრატზე მდებარეობს, გამორჩეული წარმართთა ქალაქებს შორის თავისი მოცულობით და სიდიადით. მას ფლობდა ბაბილონის სულთნის შვილი, იგი ამ ქრისტიანთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი და მოკლული, თუმცა ეს უკანასკნელი თავის გადასარჩენად მათ უთვალავი რაოდენობის ოქროს სთავაზობდა. დაწვრილებით რა შეიძლება ითქვას? ეს ადამიანები მიდიან წმინდა იერუსალიმის მიწის გასათავისუფლებლად და ეუფლებიან წარმართთა სამფლობელოებს. მათი მეფე დიდგვაროვანია, 16 წლის ასაკისა, თავისი ძალითა და ზნეობით იგი ტოლს არ უდებს ალექსანდრეს, თუმცა სჭარბობს მას სარწმუნოებით.

ამ ჭაბუკს თან მიაქვს ნეშტი თავისი დედისა, უძლიერესი დედოფლის თამარისა, რომელმაც სიცოცხლეში აღქმა დადო იერუსალიმს წასულიყო, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში ვაჟიშვილს შესთხოვა, მისი ცხედარი მაცხოვრის საფლავთან მიეტანა. მან კი ისურვა დედის თხოვნა შეესრულებინა და შესაბამისად მისი აღთქმისა წმინდა ქალაქში დაეკრძალა იგი თუნდაც წარმართთა სურვილის წინააღმდეგ". /ვასილ ჩაჩანიძე. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. გვ. 27-28. აგრეთვე – დე ბუას წერილის ლათინური დედანი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში – Regesta Pegni Hierozolimitani MXCXI-MCCXCI. Edidit. Rh. Rohricht. Oeniponti, 1893, გვ. 233-234. 868/.

მე, ისევე როგორც ძალიან ბევრი, ვფიქრობ, რომ თამარ მეფე სვანეთში, კერძოდ უშგულშია დასაფლავებული. პირადად ჩემთვის ერთ-ერთი არგუმენტი შემდეგი ისტორიაა:

უშგულის განაპირას არის ადგილი, რომელიც ატარებს ორ დასახელებას: თუშრე ნამზიგე – თუშების ნასახლარი და თუშრე ზუგვარ – თუშების ფერდობები. ამბობენ, რომ აქ ადრე თუშები ცხოვრობდნენ და ერთ საზოგადოებას შეადგენდნენ. გადმოცემით ისინი იყვნენ ჯიუტები, მამაცები, მომაბეზრებლები, ერთი სიტყვით სიმძიმედ აწვენ უშგულის საზოგადოებას. უშგულელებმა მათი ამოწყვეტა გადაწყვიტეს. თუშებმა ამბავი ნათესავისაგან შეიტყვეს. ღამით, თავიანთ ოჯახებთან ერთად დატოვეს უშგული და გაემართნენ კესართან – სვანები მეფეს კესარს ეძახდნენ. მეფეს სთხოვეს მიწები დასასახლებლად. მეფემ შეხედა რა წარმოსადეგ თუშებს, შეაფასა მათი გმირული გამომეტყველება, მიიღო მათი თხოვნა და იმ ადგილებში დაასახლა, საიდანაც მეტ საფრთხეს ელოდა. ახალ მიწებზე თუშები გამრავლდნენ და მეფის ერთგული დაუმარცხებელი მებრძოლები გახდნენ. /რაფიელ ერისთავი 1898 წ/.

ჩემი აზრით, თუშები იმიტომ სახლობდნენ, რომ სვანეთში და კერძოდ უშგულში საქართველოს მეფეები, განსაკუთრებით თამარ მეფე დიდი ხნით რჩებოდნენ. თუშები კი მეფის პირადი დაცვის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. თამარის გარდაცვალების შემდეგ შესაძლოა თუშები თამარის საფლავის დასაცავად დარჩნენ უშგულში. როგორც ჩანს, სვანებისა და თუშების რჩეული ვაჟკაცები საუკუნეების მანძილზე იცავდნენ თამარის საფლავს უშგულში. შემდეგ თუშები გამრავლდნენ, საქართველოც დასუსტდა და დაიშალა. სამეფო ყურადღებას მოკლებულ მცირემიწიან, მცირემოსავლიან უშგულს მომრავლებული თუშები უკვე სიმძიმედ დააწვენ და სავარაუდოდ XV-XVI საუკუნეებში მოხდა ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი

ბიზნესის კვლევის საბაზისო ელემენტები

სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ზუსტი და ამომწურავი მეცნიერული ცოდნის მიღება გარე სამყაროსა და მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ. ზოგადად, *მეცნიერული ცოდნა* არის ბუნების, საზოგადოების, აზროვნების კანონების შესახებ ცოდნათა სისტემა. ეს არის ცოდნის სპეციალური სახე, რომელიც, მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებების თანახმად, უწინარეს ყოვლისა, ხასიათდება გარკვეულ ობიექტურ რეალობასთან დაპირისპირების შესაძლებლობით.

მეცნიერული ცოდნის აუცილებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება ობიექტის შესახებ წარმოდგენის ნაკლებობა ყოველდღიური აზროვნებისა და გაერთიანებული ცოდნის ფარგლებში. ამასთან, რეალობასთან დაპირისპირების საფუძველზე მეცნიერული ცოდნის კონკრეტული სისტემები ფასდება როგორც სრული, ჭეშმარიტი, ადექვატური, ობიექტური, ზუსტი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეცნიერული ცოდნა ის ცოდნაა, რომელიც ემყარება აზროვნებასაც და გამოცდილებასაც. მეცნიერები იყენებენ ლოგიკური სისწორისა და ემპირიული დამტკიცების კრიტერიუმებს იმისათვის, რათა შეაფასონ, თუ რამდენად მართებულია პრეტენზია ცოდნაზე. ეს ორი კრიტერიუმი არ არის გადატანილი კვლევით აქტივობებში, რომელთაც მეცნიერები ახორციელებენ.

კვლევის ბუნება და განსაზღვრება: კვლევის პროცესი არის აქტივობათა ზოგადი სქემა, რომელშიც მეცნიერები ჩართულნი არიან ცოდნის „წარმოების“ მიზნით. ეს არის მეცნიერული კვლევის პარადიგმა (ნახაზი 1).



ნახაზი 1. კვლევითი პროცესის ზოგადი სურათი

როგორც ჩანს, კვლევის პროცესი შედგება შვიდი მთავარი საფეხურისაგან: (1) პრობლემის დასმა, (2) ჰიპოთეზა, (3) კვლევის დიზაინი, (4) გაზომვა, (5) მონაცემთა შეგროვება, (6) მონაცემთა ანალიზი და (7) განზოგადება. თითოეული ეს საფეხური გავლენას ახდენს თეორიაზე და, თავის მხრივ, თვითონაც განიცდის თეორიის გავლენას. აქ ჩვენ შემოვიფარგლებით კვლევის პროცესის მხოლოდ ზოგადი სურათის მიმოხილვით.

კვლევის პროცესის მთავარი დამახასიათებელი თვისება არის მისი ციკლური ხასიათი. იგი, როგორც წესი, იწყება პრობლემის დასმით და სრულდება საცდელი ემპირიული განზოგადებით. განზოგადება, რომელიც ასრულებს ერთ ციკლს, თავის მხრივ, იწყებს მომდევნო ციკლს, რამდენადაც შესაძლოა მიღებულმა შედეგებმა ახალი საკვლევი პრომლემა წამოჭრას, რაც ციკლის განმეორებას გამოიწვევს. ეს ციკლური პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს და მეცნიერულ პროგრესს ასახავს.

მეცნიერები ლოგიკურად და ემპირიულად ამოწმებენ საცდელ განზოგადებებს, ჰიპოთეზებს საკვლევი პრობლემების შესახებ. თუ ისინი უარყოფენ ამ განზოგადებებს, ახდენენ ახლის ფორმულირებასა და შემოწმებას. ხელახალი ფორმულირების პროცესში მეცნიერები განმეორებით აფასებენ კვლევის ოპერაციებს, რადგან საცდელი განზოგადება შეიძლება უარყოფილ იქნას არა იმიტომ, რომ იგი არასწორია, არამედ იმიტომაც, რომ კვლევით ოპერაციებში შეცდომები იქნა დაშვებული. მაგალითად, მკვლევარმა შეიძლება უარყოს განზოგადება, რომ ეკონომიკურ კრიზისს ბიზნესის შემოსავლების შემცირებამდე მივყავართ, თუ იგი ლოგიკურად სწორი და ემპირიულად დამტკიცებული არ იქნება. მაგრამ განზოგადების უარყოფა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ჭეშმარიტია, თუ დამტკიცებისა და ვერიფიკაციის პროცედურები (მაგალითად, კვლევის დიზაინი, გაზომვა, მონაცემთა ანალიზი) არ დგას სათანადო დონეზე.

ჭეშმარიტი განზოგადების უარყოფის რისკის შესამცირებლად მეცნიერი მუდმივად ამოწმებს კვლევის პროცესის თითოეულ საფეხურს მანამ, სანამ ახალი განზოგადების ფორმულირებას მოახდენდეს. სწორედ ამის გამო ითვლება, რომ მეცნიერული მეთოდოლოგია თავად ასწორებს საკუთარ შეცდომებს. იდეები და თეორიები მოკლებულნი არიან ამ თავისებურებას, რამდენადაც მათი დანიშნულება არის უფრო ახსნის მოცემა, ვიდრე საკუთარი მტკიცებების შემოწმება.

დაბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ კვლევის პროცესი, როგორც აქ არის წარმოდგენილი, ასე ვთქვათ, იდეალიზებულია. ეს არის სამეცნიერო პრაქტიკის რაციონალური რეკონსტრუქცია: რეკონსტრუქცია ახდენს მეცნიერული ლოგიკის იდეალიზებას მხოლოდ იმის ჩვენებით, როგორი იქნებოდა იგი, თუ უკიდურესად დავხვეწდით მას. მაგრამ ყველაზე დიდი მეცნიერებიც კი ვერ იქნებიან მთლიანად და სრულყოფილად ლოგიკურები. პრაქტიკაში კვლევის პროცესი აღმოცენდება: (1) ზოგჯერ სწრაფად, ზოგჯერ ნელა; (2) ზოგჯერ ფორმალიზების მაღალი ხარისხით და ენერგიულად, ზოგჯერ სრულიად არაფორმალურად, გაუთვითცნობიერებლად და ინტუიტურად; (3) ზოგჯერ რამდენიმე მეცნიერს შორის სხვადასხვა როლში ინტერაქციით (მაგალითად, თეორეტიკოსი, კვლევის ხელმძღვანელი, ინტერვიუერი, მეთოდისტი, შერჩევის ექსპერტი, სტატისტიკოსი და ა.შ.), ზოგჯერ კი ერთი კონკრეტული მეცნიერის ძალისხმევით; (4) ზოგჯერ მხოლოდ მეცნიერის წარმოსახვაში, ზოგჯერ რეალურად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიეროკვლევითი საქმიანობა, ზოგადად, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახალი ცოდნის მიღებასა და გამოყენებაზე მიმართული საქმიანობა.

კვლევის როგორც საქმიანობის სახის განხილვისას კვლევის პროცესის ზოგადი მოდელი შესაძლებელია წარმოვადგინოთ 2. ნახაზის სახით.

იმის მიუხედავად, რომ კვლევა აკადემიური საქმიანობის ცენტრალური საკითხია როგორც ბიზნესის, ისე ნებისმიერ სხვა სფეროში, მაინც არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ თუ კონკრეტულად როგორ უნდა განისაზღვროს იგი. ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა შეხედულებების

გათვალისწინებით, დასაწყისისთვის ტერმინი „კვლევა“ შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: *კვლევა არის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესი.*



ნახაზი 2. კვლევის პროცესის ზოგადი მოდელი

ამ განსაზღვრებაში ასახული თითოეული სიტყვა მოითხოვს სპეციალურ განმარტებას. კერძოდ, გასარკვევია საკითხები იმის თაობაზე, თუ: რა არის და როგორ შევაგროვოთ ინფორმაცია; უნდა გავზომოთ რაიმე მაჩვენებელი, თუ გამოვკითხოთ ვინმე; როგორ დავამუშავოთ და გავაანალიზოთ მიღებული ინფორმაცია; დაბოლოს, როგორ მოვახდინოთ მისი ინტერპრეტაცია ანუ, როგორ გავაფორმოთ და წარმოვადგინოთ მიღებული შედეგები. ყველა ეს საკითხი განხილულია წინამდებარე სასწავლოპრაქტიკულ სახელმძღვანელოში.

ეჭვგარეშეა, რომ სამეცნიერო კვლევის ჩატარება შესაძლებელია გარკვეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც გულისხმობს კვლევის პროცესის სათანადო დაგეგმვას, სხვადასხვა ინსტრუმენტისა თუ დამხმარე მასალის, რეკომენდაციებისა და სხვათა მიერ უკვე დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას[15]. ამასთან, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინა, კვლევის პროცესის გარკვეული თანმიმდევრულობა და სისტემატურობა.

[15] *როგორც წესი,* მკვლევარმა უნდა გამოიყენოს თეორიული დებულებები და კვლევის ტექნიკა და პროცედურები პრაქტიკული საკითხებისა და რეალური პრობლემების შესასწავლად.

სამეცნიერო კვლევა მეთოდურია, რადგანაც არსებობს განსაზღვრული პროცედურებისა და ეტაპების ერთობლიობა, რომელსაც მკვლევარმა აუცილებლად უნდა მისდიოს; სამეცნიერო კვლევების პროცესში არსებობს გზები, რომლებიც აუცილებელია აკურატული და ზუსტი შედეგების მისაღებად. ამასთან, სამეცნიერო კვლევა ორგანიზებულია, რადგანაც სამეცნიერო კვლევის წარმართვისათვის არსებობს სტრუქტურული სქემები და მეთოდები. კვლევა არა სპონტანური, არამედ დაგეგმილი პროცესია და მიმართულია კონკრეტული, სპეციფიკური მიზნების მიღწევაზე.

ბუნებრივია, რომ კვლევა ტარდება გარკვეული ცოდნის მისაღებად, რაიმე ახალი მოვლენის შესასწავლად ან ძველი დებულების ახალ ვითარებაში შესამოწმებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ კვლევა ისეთი პროცესია, რომელიც ზრდის ჩვენს ცოდნას[16]. ამასთან, ნებისმიერი კვლევის მიზანია საკვლევი სპეციფიკური კონკრეტული საკითხის შესწავლა, გამოკვლევა, გამოძიება ცოდნის გენერირების მიზნით.

კვლევის შედეგად მკვლევარის ცოდნა საკვლევი საკითხის შესახებ უნდა გაიზარდოს. თუ ცოდნა კვლევის შედეგად არ იზრდება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არავითარი კვლევა არ ჩატარებულა. მაშასადამე, კვლევის ჩატარების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი არის მოცემული საკითხის შესახებ არსებული ცოდნის ზრდა.

საბოლოოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის განსაზღვრება ყალიბდება შემდეგნაირად: *კვლევა არის ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესი, რომელიც ტარდება სისტემატურად, ორგანიზებულად, მეთოდურად და, რომელიც ზრდის მკვლევარის ცოდნას.*

კვლევის პროცესი და მისი ეტაპები: კვლევის პროცესი ხასიათდება რამდენიმე ძირითადი ფუნდამენტური ეტაპით, რომლებიც აუცილებელია ყველა სამეცნიერო ხასიათის კვლევითი პროცესისთვის, მიუხედავად იმისა კვლევა იაპონიაში ტარდება, საფრანგეთსა თუ საქართველოში, დიდ თუ მცირე კომპანიაში, ბიზნესისა თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისთვის. ეს ეტაპები, ფაქტობრივად, ასახავს კვლევის ჩატარებისა და მისი შედეგების მიღებისათვის აუცილებელ ნაბიჯებს საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევიდან დაწყებული და კვლევის ანგარიშის (დისერტაციის, მოხსენების, თეზისის) დაწერით დასრულებული.

სრულყოფილი კვლევის პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევას;
- საკვლევი თემის პირველად აღწერადახასიათებას, რაც ფაქტობრივად კვლევითი პროექტის შესავალს წარმოადგენს;
- საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მოძიებასა და მიმოხილვას;
- კვლევის საკითხების (საკვლევი შეკითხვების) განსაზღვრას;
- კვლევის გეგმის შემუშავებასა და მიმართულებების ჩამოყალიბებას;
- მონაცემების შეგროვებას;
- მონაცემების დამუშავებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას;
- მიღებული შედეგების განსჯას;
- ზოგადი (საბოლოო) დასკვნის გაკეთებას;
- კვლევის ანგარიშის დაწერას.

კვლევის პროცესის აღნიშნული ეტაპების ლოგიკური თანმიმდევრობა გრაფიკულად წარმოდგენილია 3. ნახაზზე.

როგორც ნახაზიდან ჩანს, კვლევის პროცესის თითოეული ეტაპი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა ეტაპიდან. სინამდვილეში, რეალურ ვითარებაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევა

[16] *უნდა შევნიშნოთ,* რომ თუ კვლევის პროცესში არაფერი ახალი არ აღმოჩნდა, ესეც შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ შედეგად, ახალი ცოდნა არ მიგვიღია, მაგრამ დავრწმუნდით იმაში, რომ ძველი, უკვე კარგად ცნობილი დებულება სწორი ყოფილა, ან იმაში, რომ კვლევის არჩეული გეზი არასწორი ყოფილა. ესეც, გარკვეული ტიპის ახალი ცოდნაა.

არასდროს მიმდინარეობს აღნიშნული სქემის მიხედვით. თუ რომელიმე ეტაპი ვერ შესრულდა სათანადოდ, მაშინ საჭირო ხდება წინა ეტაპების გადახედვაკორექტირება ან შეცვლაც კი. წინა ეტაპების კორექტირებით ფაქტობრივად ვლინდება უკუკავშირის აუცილებლობა კვლევის პროცესში, რაც სრულიად ბუნებრივი ვითარებაა. გარდა ამისა, შესაძლოა რამდენიმე ეტაპი პარალელურად მიმდინარეობდეს. სწორედ ამიტომ წარმოდგენილი გრაფიკული მოდელი არის კვლევის პროცესის პირობითი თანმიმდევრობა.

ქვემოთ მოკლედ იქნება განხილული კვლევის პროცესის თითოეული ეტაპი.

საკვლევი საგნის (საკვლევი თემის) შერჩევა: კვლევის პროცესი იწყება საკვლევი ობიექტის, საგნის (თემის) განსაზღვრით. საკვლევი ობიექტი წარმოადგენს პრობლემური სიტუაციის მატარებელს, რომელზეც მიმართულია კვლევითი საქმიანობა. კვლევის საგნად გვევლინება უშუალო შესწავლას დაქვემდებარებული ობიექტის თვისება, ქცევა, ფუნქციონირება. საკვლევი ობიექტი და საგანი ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან ზოგადისა და კერძოს ურთიერთდამოკიდებულებაში. მკვლევარმა მეტნაკლები სიზუსტით უნდა იცოდეს რას იკვლევს. საკვლევი თემა ასახავს პრობლემის გარკვეულ ასპექტებს და მოიცავს გადაწყვეტილების მიღების მიმართულებას. ამასთან, საკვლევი თემა შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური ხასიათის, რომელიც, როგორც წესი, უნდა უკავშირდებოდეს მკვლევარის საქმიანობას.

საკვლევი თემის პირველადი აღწერადახასიათება: ეს ეტაპი მჭიდროდ უკავშირდება საკვლევი თემისა და შემდგომი კვლევის მიმართულების განსაზღვრას. ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, ფორმირდება კვლევითი პროექტის შესავალი, განიმარტება, თუ რატომ არის აქტუალური დაგეგმილი კვლევა, რა წინასწარი ინფორმაცია მოიპოვება კვლევის საგნის შესახებ, რა არის კვლევის მოტივაცია, მიზანი და ამოცანები. სამეცნიერო კვლევის მიზანი არის კონკრეტული ობიექტის განსაზღვრა და მისი სტრუქტურის, მახასიათებლების, კავშირების ყოველმხრივი და საიმედო შესწავლა მეცნიერებაში არსებული შემეცნების პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე, ასევე ადამიანის საქმიანობისათვის სასარგებლო შედეგების მიღება და მისი წარმოებაში დანერგვა. კვლევის ამოცანები ფორმულირდება, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის კონკრეტული ეტაპები და, ფაქტობრივად, წარმოადგენს დასახული მიზნის შინაარსობრივ დეტალიზებას. ამ ეტაპზე ასევე სასარგებლოა ერთგვარი პირველადი კვლევის ჩატარება იმ მიზნით, რომ მკაფიოდ განისაზღვროს კვლევის შემდგომი ნაბიჯები.

საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მოძიება და მიმოხილვა: მას შემდეგ, რაც დადგინდება საკვლევი თემა, მოძიებულ უნდა იქნეს სრულყოფილი ინფორმაცია, როგორც საკვლევი საგნის არსის, ისე მასზე ადრე ჩატარებული კვლევების შესახებ. აქ იგულისხმება ბეჭდვითი თუ ელექტრონული სახის როგორც ფუნდამენტური ნაშრომები, ისე სხვადასხვა პუბლიკაციები. თანამედროვე ელექტრონული საშუალებები, სხვადასხვა საძიებო სისტემები მნიშვნელოვნად აადვილებს ლიტერატურის მოძიებას, მაგრამ აქ წამოიჭრება გარკვეული საფრთხეც, რამდენადაც დიდია ვიკიპედიის გამოყენების ცდუნება. ამიტომ სერიოზული კვლევებისათვის ინტერნეტით სარგებლობისას მკვლევარი სასურველია უმთავრესად დაეყრდნოს კომპანიების ოფიციალურ ვებგვერდებს. ამ მხრივ, უფრო საიმედოა აკადემიური გამომცელობების მიერ მომზადებული წიგნები, ჟურნალები, სტატიები და ანგარიშები. საგულისხმოა, რომ შერჩეული საკითხის ირგვლივ არსებული მოძიებული მასალის შესწავლა, არსებული ცოდნის გაანალიზება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კვლევის ხარისხს და საბოლოო შედეგებს. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად უნდა განისაზღვროს საკუთარი კვლევის მიმართულება, კვლევის ვექტორი, რაც ეხმარება მკვლევარს კონკრეტულ განსახილველ პრობლემაზე საკუთარი იდეების ფოკუსირებაში.

კვლევის საკითხების (საკვლევი შეკითხვების) განსაზღვრა: კვლევის პროცესში ერთ-ერთი მთავარი სირთულეა საკვლევი თემის დავიწროება, ფოკუსირება კონკრეტულ პრობლემატიკაზე, კვლევის შეკითხვებზე. ამ სირთულის დასაძლევად ლიტერატურის მიმოხილვის დროს უნდა ვიპოვოთ ხარვეზები არსებულ რეალობასა და თეორიულ მასალას (ლიტერატურას) შორის,

დავადგინოთ ორიგინალური კვლევის მიმართულება ადრე ჩატარებული აკადემიური კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

ნახაზი 3. კვლევის პროცესის ეტაპების ლოგიკური თანმიმდევრობა

კვლევის გეგმის შემუშავება და მიმართულებების ჩამოყალიბება: პირველ რიგში, განისაზღვრება კვლევის პარადიგმა. კვლევის პარადიგმა ეს არის ერთგვარი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ხასიათს, კვლევის მიმდინარეობას. კვლევის პარადიგმა იძლევა პასუხს შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს კვლევა, რაც, თავის მხრივ, განისაზღვრება საკვლევი ობიექტის ბუნებით, მკვლევარის ფილოსოფიური ხედვით ანუ მკვლევარის მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებებით, ცოდნისადმი მისი მიდგომით.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კვლევის პარადიგმა განსაზღვრავს პასუხების ერთიანობას ისეთ შეკითხვებზე, როგორიცაა რა? სად? როდის? როგორ? მაშასადამე, კვლევის პარადიგმა განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა იქნეს გამოკვლეული, სად, როდის და როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა. მთლიანობაში, აღნიშნულ კითხვებზე პასუხების ერთობლიობა აყალიბებს კვლევის

მეთოდოლოგიას იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონკრეტული კვლევის ჩატარება. მაშასადამე, კვლევის პარადიგმა განსაზღვრავს კვლევის მეთოდოლოგიას.

მონაცემების შეგროვება: მონაცემების ემპირიული და თეორიული ტიპების შესაბამისად, მათი შეგროვების მრავალი ხერხი არსებობს, ამასთან, მონაცემების შეგროვების გზები განსხვავებულია, ამიტომ, კვლევის დაწყებამდე გასარკვევია საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი მონაცემები უნდა შევაგროვოთ, როგორი მონაცემების შეგროვებაა შესაძლებელი და რომელი მეთოდებით.

ფაქტობრივად, საკვლევი ობიექტის ბუნება, კვლევის მიზანი და ამოცანები, გარკვეულწილად მკვლევარის პარადიგმა განსაზღვრავს მონაცემების ტიპს (როგორი მონაცემების შეგროვება არის შესაძლებელი და/ან საჭირო). შესაბამისად, საჭირო ხდება კვლევის ჩატარება თეორიული ან ემპირიული მეთოდოლოგიით[17]. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა საჭირო გახდეს კვლევის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც გულისხმობს თეორიული და ემპირიული მეთოდების მონაცვლეობას კვლევის სხვადასხვა ეტაპზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა განვასხვავოთ პირველადი და მეორადი მონაცემები. *პირველადი მონაცემები* არის მკვლევარის მიერ მოპოვებული ორიგინალური მონაცემები. *მეორადი მონაცემები* კი ისეთი მონაცემებია, რომლებიც უკვე იყო შეგროვილი და, შესაძლოა, გამოქვეყნებულიც სხვა მკვლევართა მიერ. მეორადი მონაცემების წყაროა მონაცემთა ბაზები, გამოქვეყნებული წიგნები, სტატიები, ანგარიშები, ორგანიზაციის საბუთები და ა.შ.

დაბოლოს, იმის მიუხედავად, მონაცემები პირველადია თუ მეორადი, მკვლევარს შეუძლია და იგი ვალდებულია კიდეც ჩაატაროს ორიგინალური კვლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება პლაგიატთან სხვისი კვლევების შედეგების მითვისებასთან. მეორადი მონაცემების გამოყენებისას მკვლევარმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო და ახლებურად უნდა მოახერხოს ამ მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, რითაც გამოირიცხება პლაგიატი და კვლევაც ორიგინალური იქნება.

მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია: კვლევითი პროექტის მთავარი ნაწილია მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია. მონაცემთა ანალიზის მეთოდები დამოკიდებულია კვლევის პარადიგმასა და მონაცემების ტიპზე. როგორც წესი, მონაცემების შეგროვება და ანალიზი განცალკევებული ეტაპებია, მაგრამ, ზოგჯერ ეს პროცესები ერთდროულად მიმდინარეობს, ამიტომ, საზოგადოდ, მონაცემების შეგროვების დაწყებამდე უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოხდება მათი დამუშავება. თეორიული მონაცემების დამუშავება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით ხორციელდება, ემპირიული მონაცემებისა კი სხვადასხვა მეთოდებით.

მიღებული შედეგების განსჯა: მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე ჩატარდება შედეგების განსჯა, წამოყენებული ჰიპოთეზების (თუ არსებობს) შემოწმება, მათი მიღება ან უარყოფა.

ზოგადი (საბოლოო) დასკვნის გაკეთება: მიღებული შედეგების განსჯის შემდეგ კეთდება ზოგადი (საბოლოო) დასკვნა, რომელშიც უნდა შეჯამდეს კვლევის თითოეული საკითხი დასახული ამოცანების შესაბამისად, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს მკვლევარის წვლილი საკვლევი საკითხის შესწავლაში, აისახოს მოსაზრებები კვლევის შემდგომ მიმართულებაზე, აგრეთვე კვლევის შედეგების თეორიული და/ან პრაქტიკული ღირებულება[18].

კვლევის ანგარიშის დაწერა: კვლევითი პროექტის დამამთავრებელი ეტაპია შედეგების გაფორმება, კვლევის ანგარიშის დაწერა. როგორც გამოცდილება აჩვენებს, კვლევითი პროექტის შესრულების პროცესში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის გარემოება, რომ მკვლევარები

[17] რაოდენობრივი მეთოდოლოგია მოითხოვს რაოდენობრივი ცვლადების გაზომვას, დაკვირვებას, ექსპერიმენტების ჩატარებას და ა.შ. თვისებრივი მეთოდოლოგიის შემთხვევაში მონაცემების შეგროვება ხორციელდება ინტერვიუს მეშვეობით, სხვადასხვა ტექსტების სპეციფიკური ანალიზით.

[18] *უნდა შევნიშნოთ, რომ* ნებისმიერი კვლევის შეფასება ხორციელდება როგორც თეორიული ღირებულების (კვლევის სიახლე, აქტუალობა, ორიგინალურობა), ისე პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით.

შედეგების გაფორმებას იწყებენ ძალიან გვიან, თითქმის პროექტის დასრულების ბოლო ვადის უკანასკნელ დღეებში, რის გამოც დასრულებული პროექტი ხშირად უხარისხოა ხოლმე.

ამიტომ ხარისხიანი კვლევითი პროექტის მისაღებად აუცილებელია მკვლევარმა რაც შეიძლება ადრე, კვლევის პროცესის პირველი ეტაპებიდანვე დაიწყოს კვლევის ანგარიშის სამუშაო ვერსიის მომზადება, რაც თანდათანობით უნდა გაგრძელდეს პროექტის შესრულების კვალობაზე. ძალიან სასარგებლო იქნება, თუ მკვლევარი თავიდანვე ჩამოაყალიბებს პროექტის სტრუქტურას, რაც მას კვლევის კალენდარული გეგმის შედგენაში დაეხმარება.

კვლევის მომხმარებლები და მიზნები: უწინარეს ყოვლისა, იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს სამეცნიერო კვლევის შედეგების მომხმარებელი. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ კვლევა და მისი შედეგები, პირველ რიგში, ესაჭიროება ნებისმიერი ქვეყნის მთავრობას, რათა სწორად იქნეს შემუშავებული ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, მიღებულ იქნეს ეფექტიანი გადაწყვეტილებები ქვეყნისთვის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე. ამასთან, კვლევები ესაჭიროება ყველა ორგანიზაციას, იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საჭირო საქმიანობით არის დაკავებული. სხვადასხვა ტიპის კვლევები აუცილებელია ბიზნესის მესაკუთრეების, მენეჯერების, მრჩეველებისა და კონსულტანტებისთვის ბიზნესის განვითარებაზე ახალი და მომგებიანი იდეების ჩამოყალიბებისა და იმპლემენტაციის მიზნით. დაბოლოს, კვლევები ესაჭიროება სამეცნიეროსაგანმანათლებლო სექტორს შემდგომი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, თუ სხვა პრაქტიკული მიზნებისთვის.

სამეცნიერო კვლევის მიზნები შესაძლოა მოიცავდეს პრობლემათა ძალიან ფართო სპექტრს, დაწყებული მცირე და საშუალო ბიზნესსაწარმოებიდან და დამთავრებული საჯარო/არასამთავრობო ორგანიზაციებით და სახელმწიფო მართვის ორგანოებით. თემატურად, ეს შეიძლება იყოს არსებული ცოდნის მიმოხილვა, ანალიზი/სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; კვლევის ახალი სისტემის ან პროცედურის შექმნა; ახალი მოვლენების ახსნა და გადაწყვეტილების ჩამოყალიბება საკვლევი საკითხების ირგვლივ.

კვლევის მიზნებს, ზოგადად, განსაზღვრავს ამა თუ იმ საკითხის გამოკვლევის საჭიროება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კვლევის ჩატარებას აკადემიური მიზნები აქვს (სტუდენტების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება კვლევების ჩატარების მიმართულებით), მაშინ კვლევის ჩატარების მიზნებიც სპეციფიკური, საგანმანათლებლო ხასიათისაა.

ამრიგად, აკადემიური კვლევის ტიპიური მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს იმის მიხედვით, თუ სწავლების რომელ საფეხურზე იმყოფება სტუდენტი. ამ თვალსაზრისით, უნდა განვასხვავოთ კვლევების ჩატარების დაწყებითი, საშუალო და მაღალი დონეები, რაც შესაძლოა მიესადაგოს, სწავლების (უმაღლესი განათლების) სხვადასხვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებს. მიზნების ასეთი დახარისხებით თვით სტუდენტებს შეეძლებათ შემოწმება იმისა, თუ რამდენად სასარგებლო იყო მათთვის მათ მიერ ჩატარებული კვლევა და შესრულებული კვლევითი პროექტი.

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე

რა დროს ომია?!

რა დროს ომია,
თავზე ეშმაკი წამოგვდგომია,
ადამიანის ბორდოსფრად ღებვა
რომელ სულიერს გამოდგომია?

ეს საზღვარია,
ქვეყნებს შორის თუ
ოფლის ღვარია,
სისასტიკის და დაუნდობლობის
ნიაღვარია.

ჯერ სენმა გვძლია,
ძლივს გაგვიძლია,
ნუთუ ომამდე ასეთი მოკლე,
მცირე მანძილია.

ყველა სამშობლოს გარშემო არტყავს
სადღაც საზღვარი.
ადამიანის ხარბი თვალია
გაუმაძღარი !

გირგი ქენქაძე
(ქართველი-მთიელი)
9 წლის

კეთილი იხვები

დედა იხვმა დილა უთენია გააღვიძა შვილები და გააფრთხილა ისე გავიდეთ ეზოდან არავინ არ გავაღვიძოთ,მინდორში უნდა წავიდეთ საბალახოდო.ასეც მოიქცნენ,ეზოდან ფრთხილად გავიდნენ და ვიწრო ორღობედან მინდვრისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ,პატარა იხვებმა გული იჯერეს ბალახის და მწერების ჭამით,წყალი მოსწყურდათ,დედამ მდინარესთან მიიყვანათ,იხვები შეცურდნენ მდინარეში და ლივლივი დაიწყეს,დიდხანს იჯერეს გული ბანაობით,ბევრი ეხვეწა დედა იხვი შვილებს მარა მდინარიდან ვერ ამოიყვანა,ამ დროს სად იყო და სად არა პატარა ცუგო გამოჩნდა,პატარა იხვებს მდინარის ნაპირიდან ყეფა დაუწყო.პატარა იხვები შეშინდნენ და დედასთან ახლოს მოგროვდნენ. ცუგა კი გამალებით ყეფდა და წყალში შესვლას ვერ ბედავდა,ამას მიხვდნენ იხვები და სიცილი ატეხეს,ცუგამ დაცინვა იუკადრისა და წყალში შევიდა.მაგრამ ჰოი საოცრებავ,ცურვა არ სცოდნია და ნელ-ნელა იძირებოდა.

იხვის ჭუკებმა რომ შეხედეს იხრჩობოდა ძალიან შეეცოდათ ცუგა და დედას სთხოვეს:დედიკო შეხედე ცუგა იხრჩობა,გთხოვ დაეხმარე გადავარჩინოთო.დედა უარზე დადგა,რას ამბობთ მას ხომ ჩვენი შეჭმა უნდოდაო.ჭუკები არ მოეშვა,დედი გთხოოვთ ცოდოა,გადაარჩინეო.

დედა იხვმა შვილებს ხათრი არ გაუტეხა და ისიც წყლის ქვეშ გაუჩინარდა.იხვის ჭუკები ნაპირზე გამოვიდნენ,უყურებდნენ არც დედა სჩანდა და არც ცუგა.ცოტა ხანში მოშორებით გამოჩნდა დედა იხვი მხრებზე ცუგა ჰყავდა და ნაპირისკენ მოჰყავდა.

ჭუკებმა რომ დაინახეზ ძალიან გაუხარდათ,როგორც იქნა ნაპირზეც გამოვიდნენ.

ცუგამ იხვებს პატიება სთხოვა და მადლობა გადაუხადა:როგორი კეთილები ხართ,დიდი მადლობა,თქვენ მე სიკვდილს გადამარჩინეთო.მეგობრობა შესთავაზა,თუ თანახმა იქნებით თქვენი მცველი ვიქნები,თქვენთან ერთად დავრჩებიო.იხვებმა ერთმანეთში ითათბირეს და ყველამ ერთხმად თანხმობა განაცხადეს.

ყველანი ერთად აუყვნენ ორღობეს სახლისაკენ. ერთმანეთს მთისა და ბარის ამბებს უყვებოდნენ.შემდეგ სულ ერთად იყვნენ.როდესაც დედა იხვს არ ეცალა ცუგას მიჰყავდა საბალახოდ მინდორში ჭუკები.გადიოდა დრო და ცხოვრობდნენ ასე ტკბილად და მეგობრულად.

2022 წელი

ყურშა და ლეკვები

თაკარა მზე თავნებობდა.ნელი სხივები მზეს გამოექცნენ და სამყაროს მწველი ისრები უშინეს,სიცხის ბუღი დატრიალდა, ლეკვებს დასცხათ და გაოფლილები ბუნაგიდან გამოიშალნენ. შეწუხებული დედა საგონებელში ჩავარდა,გადაწყვიტა შვილები მდინარეზე წაეყვანა საბანაოდ. წინ ლეკვები მოდიოდნენ, უკან დედა მისდევდათ.ნაბოლარა ლეკვი დაიღალა და ბალახზე გაგორდა.დედა ეხვეწამარა ყური არ შეიბერტყა, არ გაჰყვა, ლეკვი ცოტა შეფიქრიანდა რადგან დედამ გზა უკან მოუხედავად განაგრძო.ამ დროს ლეკვმა დაინახა გზად მომავალი კუ, ისკუპა კუს ზურგზე და კუს ზურგზე მოკალათდა თითქოს არაფერიო.კუს ზურგზე მოკალათებულმა ზარმაცმა ლეკვმა უკან მოიტოვა და-ძმები და მდინარეზე მათ წინ მივიდა. ბანაობით გული რომ იჯერა და-ძმები მაშინ მივიდნენ მდინარესთან.ასე აჯობა გონიერებით ნაბოლარა ლეკვმა და-ძმებს.

და-ძმებიც შევიდნენ წყალში. გაგრილდნენ,იბანავეს,ითამაშეს,ძალიან გაერთნენ.დიდი ხანი დაჰყვეს მდინარეზე.დედამ ცას ახედა: სადაცაა დაღამდება შვილებო, აღარ გამაბრაზოთ გთხოვთ სახლისკენ წავიდეთო.ბევრი თუ ცოტა ყოყმანის შემდეგ ყველანი გამოვიდნენ წყლიდან და სახლში წამოვიდნენ.

დღე-დღეს ემატებოდა,ლეკვები ნელ ნელა იზრდებოდნენ.ნაბოლარა ისეთი ზარმაცი აღარ იყო როგორც ადრე. ძალიან ფრთხილი,მოხერხებული და მამაცი გაიზარდა.

ზამთრის სუსხიანი ღამე იყო.ძაღლები თავის ბუნაგში თბილად იყვნენ მოკალათებული. შრომითა და თამაშით დაღლილებს ღრმად ჩაძინებოდათ.

ღამის სიჩუმე მგლების ყმუილმა გაარღვია.მოახლოებული საფრთხე პირველმა ნაბოლარამ გაიგო, და-ძმები გააღვიძა:ეი,ადექით რას აკეთებთ.ჩვენი პატრონი ჩვენს იმედზეა, ჩვენ კი გვძინავს, სადაცაა მგლები შემოგვესევა. ეზოში რომ შემოაღწიონ და ბოსელთან მიგვეპაროს მერე ჩვენს პატრონს თვალებში როგორ ჩავხედოთო.

ყველანი დაირაზმნენ და გაიქცნენ იქეთკენ საიდანაც მგლების ხმა მოდიოდა და მათმა გამაყრუებელმა ყეფამ მგლები დააფრთხო და უკან გააბრუნა.

ასეთი ბევრი შემთხვევა იყო, ნაბოლარა ყოველთვის ფხიზლობდა და ერთგულად ემსახურებოდა პატრონს.

დედა ყოველთვის ამაყობდა ნაბოლარათი.არავინ იფიქრებდა ერთ დროს ზარმაცი ნაბოლარა თუ ასე შეიცვლებოდა.

2022 წელი.

ლომა და მეცხვარე

თეთრი ბამბის ქულასავით ცხვარი მწვანე მინდორზე გაშლილიყო და სიამოვნებით შეექცეოდნენ ცვრიან ბალახს. სუსხიანი დღე იყო, მზე ღრუბლებში მიმალულიყო, რრუბლები წვეთ-წვეთ ცრემლებს აგდებდნენ , თითქოს ვიღაცას დასტიროდნენ. უცბად ცა მოიღრუბლა და წვიმის წვეთები საამური შრიალით და თქარათქურით ეცემოდნენ მწვანე მდელოზე. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პირველი ვინ დაასწრებდა მიწის გულზე დაცემას.

მეცხვარემ მხრებზე ნაბადი მოიგდო და ძაღლებს გასძახა, ლომა, მურა მომეხმარეთ ცხვრები ფარეხში შევრეკოთო.

ძაღლებმა თითქოს გაიგესო და აქეთ-იქედან მოექცნენ ფარას და ცხვრები ფარეხში შერეკეს. წვიმისგან გალუმპული ძაღლები კუთხეში მიიყუჟნენ. დილით გამოიდარ, მეცხვარემ ცხვარი გამორეკა და დათვალა რამდენიმე ცხვარი აკლდა,ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. მეცხვარემ უსაყვედურა ბალღებს ,დავიჯერო არაფერს აკეთებთ? რატომ მღალატობთ ,ცხვრებს არ პატრონობთო.ლომას არ მოეწონა პატრონის საყვედური და გადაწყვიტა ღამე არ დაეძინა და ეყარაულა, ასეც მოიქცა, შუა ღამე რომ გადავიდა მგელი მოადგა ფარეხს და ერთი ჩასუქებული ცხვარი ზურგზე მოიგდო, ამ დროს იმარჯვა ლომამ და კისერში სწვდა მგელს, მგელმა საშინელი ყმუილი გაბა, ლომას სხვა ძაღლებიც მიეშველნენ, მათ ხმაზე პატრონსაც გამოეღვიძა და თავქვეშ მომარჯვებულმა თოფმა იგრიალა, მგელს ფეხში მოხვდა და დაჭრილმა მაინც მოასწრო გაქცევა.

მას შემდეგ მგელი ცხვარს აღარ გაჰკარებია.ლომას კი პატრონი ასეთი გმირობისტვის ყოველ დღე ხორცს აჭმევდა.პატრონის მომადლიერებას ცდილობდა ლომა და ღამე ფხიზლობდა.ფარას ლომას შიშით არაფერი ეკარებოდა.

მადლიერი მეცხვარე ლომას ფარის ლომს ეძახდა და დიდხანს ცხოვრობდნენ სიამტკბილობით.

ირაკლი ბეჟანიძე



ძს

ვალერა. მზე ამოვიდა. ბიჭებმა ხეებს. ჭე ამს
ყოველთვის ვასმენ. აქა ვდგები.
ძ ამოვდა ვინც ბრძენს. რაც ის ლერა
ცოდ ხასიათზე გაკეთები, ამნევენ, ბაღინენ, ამ-
ლენენ.
ძ, ვინც ყველაზე ბევრი ვეცდა ესევ საბასტ-
ში. საბრძოლ ვინც და ბოლოსაც ერთი ვიტაკონები.
სეზონებზე მოვიცა, ყინვა ბალიანია. ძ ყველა
ბალენ, ბანაობენ, აქა ვსაყვარი, აქა ბუსტი ბუნები
ბანაობენ ვეტყობი. ლე ზღვაზე, ფესვებზეც და ვაკვ-
ალებზეც, ბალაზე ამი ბანენ, ყინულიანია.
ძალი ნაკლები ამიტ, ბალიან ერთი ყოველთვის ვბანაობენ,
ვთამაშობთ, ვსაუბრობთ, ვბანაობთ.
ერთ ნაკი „ძ" შეიძლა ჩამოვთვალო: ძ, ვინც
ვბანა, ძ, ვინც მიმბრძანს, ვინც ვეყოფენ.
ჭე ვეკითხები. ვფიქრობ, ბუნები ვაკეთებ. ნაკ ასეთ
ბალი, ისინი კი ზღვაზე იმყოფნენ ზღვაზე.

მე, ირაკლი ბეჟანიძე დავიბადე 2010 წლის 15 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში. ვცხოვრობ მშობლებთან თამუნა ბაქუნაიშვილთან და მალხაზ ბეჟანიძესთან ერთად.

2014 წლიდან ვიყავი ქალაქ ბათუმის №-16 საჯარო ბალის აღსაზრდელი. 2017 წლიდან კი სწავლა დავიწყე ქალაქ ბათუმის №-15 საჯარო სკოლაში.

სკოლა ჩემი საყვარელი ადგილია.ყოველთვის მიმიხარია იქ. ონლაინ გაკვეთილებსაც ვესწრები, რიგა ამის საჭიროებაა. მაგრამ სკოლას, მეგობრებს, მასწავლებლებთან უშუალო ურთიერთობას, გაკვეთილის და შესვენების ზარს არაფერი შეედრება.

კითხვა და ხატვა მიყვარს, საშეკნიერო ლიტერატურა ყველაზე მეტად. მაინტერესებს კოსმოსი და ვცდილობ ყველაფერი გავიგო სამყაროს შესახებ, რაც მეცნიერებს გაეგოთ. აინშტაინი ჩემთვის ყველაზე საინტერესო ადამიანია, მინდა მის შესახებ ყველაფერი ვიცოდე.

კითხვა, წერა და ფიქრი ჩემმა მასწავლებლებმა შემაყვარეს. მე თავს მათ მეგობრად ვგრძნობ. ტელესკოლის წყალობით გავიცანი, გამორჩეული ქალბატონი, თბილი და ყურადღებიანი მასწავლებელი ნინო გორდეულაძე. ძალიან მინდა პირადად გავიცნო პროფესორი ილია ჭუმბურიძე, ის საამოვნებით კითხულობს ჩემს ნაწერებს და ბევრ საჭირო რჩევას მაძლევს.

მინდა დრო სწორად გამოვიყენო, ბევრი ვისწავლო და მომავალში დიდი მეცნიერი გავხდე.

არსებობს ასეთი გამოთქმა „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ". მე ასე მოვირგე ეს ამბავი-„მითხარი ვინ არის შენი მოსწავლე და გეტყვი როგორი მასწავლებელი ხარ შენ". რა თქმა უნდა ყველაფერს მე ვერ დავიბრალებ, მაგრამ თითოეული ჩემი მოსწავლითა და მათი შესაძლებლობებით ვამაყობ.

ირაკლი მათ შორის კიდე გამორჩეულია. ბიჭი ამოუწურავი ცნობისმოყვარეობით, ფართო ინტერესებით, დიდი პასუხისმგებლობით. თუ რაღაცას დაგპირდება, არ არსებობს დაგაღალატოს. თუ რაღაცით დაინტერესდება არ მოისვენებს სანამ ბოლომდე არ გამოიკვლევს, არ დააგვიანებს, არ გადადებს, ყოველთვის მზადაა გამოწვევებისთვის.

არ მახსენდება ვინმეზე საყვედური ეთქვას, ვინმესთან რაიმე გაურკვევლობა ჰქონდეს, პირიქით, მუდამ მზადაა მეგობრობისთვის, სიყვარულისთვის. აზიარებს თავისი წვრილა ხმით საინტერესო ინფორმაციებს, აზრებს. ბედნიერია და მუდამ თვალები უბრწყინავს.

კითხულობს ბევრს, თამაშიც უყვარს და სპორტითაცაა დაკავებული, არაჩვეულებრივად ცეკვავს. მე მგონია, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაშია საუკეთესო, სხვა საგნის მასწავლებლები თავისას იჩემებენ.

წარმატებულ მომავალს ვუსურვებ ამ საოცარ ბიჭს. ბოლოს ერთად ერთხ ემანუელ შმიტის „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი" წავიკითხეთ. მითხრა მე ვიცი რას გრძნობს დეიდა როზა, როცა ოსკარს აბედნიერებსო. დარწმუნებული ვარ ასეა. იცის ირაკლიმ, რომ საბჭარიში ამისთვის ვართ მოსულები.


MAGTI
სერთიფიკატი
გადაეცემა ბონუს კითხვის გამარჯვებულს
ირაკლი ბეჟანიძე
მაგთის
აკადემიური
კლუბი

სერტიფიკატი
2020 წელი

ჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაცია
კლუბ „ჩემპიონთა აკადემიის" კუბური ჩემპიონატი
დიპლომი
I

ჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაცია
კლუბ „ჩემპიონთა აკადემიის" კუბური ჩემპიონატი
დიპლომი
I

II
ხარისხი
დიპლომი
ჯილდოვდება
ირაკლი ბეჟანიძე
კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის
წარმატებული მონაწილე
25.01.2020
გაცემის თარიღი
კინგსის დირექტორი
კლასი: 3
3.259

❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤

ნიჭიერი სხირტლაძეები

ანა და ლუკა სხირტლაძეები

ამ ლამაზმა ბავშვებმა,
ნიჭი ყველას აჩვენეს,
ნახატებში შაშვებმა,
სახლი ამოაშენეს.
როცა მორთეს ნაძვის ხე,
ნაირ- ნაირ ფერებით,
მაშინ მამას ანახეს,
მართლაც თავდაჯერებით.

ყოველი დღე მამიკოს,
მათი სუნთქვა ახარებს,
ანას უყვარს ძამიკო,
გაკვეთილებს აბარებს.
ასე გავა დღეები,
ანგელოზთა ჭუკჭუკში,
მამაც ფერა-ფერებით,
მზეს იხილავს უკუნში.

ლუკა სხირტლაძე
ათი წლის.



რასდი
ფიფი
ფოჩავ?

ფ.ბ. 12.02.2022


SAtama in real
Ok

ანა სხირტლაძე

ნოელ ნოელ ნოელ
ანანა
იეს იეს

ანა სხრიტლოძეს დაბადების
დღეა ანას დაბადების
გაფორმებულია.

ანა

ნიკოლოზ მელაძე და **ბარბარე მელაძე** რუსთავის 22-ე სკოლაში სწავლობენ. ეს უნიჭიერესი მოსწავლეები გამოირჩევიან, როგორც ნიჭით, ასევე ზრდილობით. ნიკოლოზი მღერის, ხატავს. არის წყალბურთელი. ბარბარე ტანმოვარჯიშეა. ძამიკოს არ ჩამორჩება და ბარბარეც მღერის, ხატავს და ამავე დროს დედიკო (თამუნასაც) ეხმარება დიასახლისობაში. მელაძეების ეს ტკბილი ოჯახი კარგ და სულით ამაღლებულ მომავალს უზრდის საქართველოს.

ნიკოლოზ და ბარბარე
(მელაძეები)

ნიკოლოზ და ბარბარე,
და-ძმა ნიჭიერია,
ხვალის იმედს ვაბარებ,
რადგან ღმერთს უმღერიან.
ხან ხატავენ და ხანაც...
ტანვარჯიშზე დადიან,
ბევრი გვყავდეს მათთანა,
დაძმანს ვის არ ადრიან.
ნიკოლოზი კაცია,
უყვარს თავის დაიკო,
სულს სიწმინდე აცვია,
ცდილობს ლუკმაც გაუყოს!
გულნაზ ხარაიშვილი

CERTIFICATE
DANCE MASTERCLASS
GOGORELIANI
KAPELA MARNA
IS AWARDED
NIKOLOZI MELADZE
TBILISI
2022
22
JANUARY

CERTIFICATE
DANCE MASTERCLASS
KAPELA MARNA
IS AWARDED
NIKOLOZI MELADZE
TBILISI
2022

გახსენება

მანანა სამყურაშვილი

წავიდა! – მარლენი მჭედლიშვილი!!!

სამშობლოს გულზე კი დატოვა დიდი ნაკვალევი... თქვენს გონში დიდი ცოდნის ლამპარი ენთო, მეცნიერ-გამომგონებელო, ზე ქიმიკოსო... უამრავი მეცნიერილი ნაშრომის ავტორმა ბოლო ნაშრომის დამთავრება ვეღარ მოასწარით... მარლენი მჭედლიშვილმა წითელ დიპლომზე დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი, დატოვეს უნივერსიტეტში, დღემდე იყო ამავე უნივერსიტეტში პროფესორი, იგი ასზე მეტი საკუთარი ნაშრომის და რამდენიმე გამოგონების ავტორია... ასევე მიწვეული იყო ტუნისისა და ალჟირის უნივერსიტეტებში სადაც ათეულ წელზე მეტი დაჰყო და ჩვეული ენერგიით ზრდიდა უცხოელ სტუდენტებს...სადაც დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა... ,,ქართული კომპიუტერი უწოდეს მას"

წავიდა! – სიკეთისთვის შექმნილი გული. მეზობლების, ახლობლების, თანამოსაქმეთა სიამაყე. უაღრესად დიდი ადამიანობით გამორჩეული, თავდაბალი, სათნო, კეთილი, მოსიყვარულე, გაჭირვებულთა ქომაგი.

ვინ იცის რამდენ თქვენს გაზრდილ სტუდენტს დასწყვიტეთ გული. მწარედ მოსაგონებელი ხართ ჩემთვის, დიდი ტკივილი დამიტოვეთ ჩემო დიდო მოამაგე, ჩემო დიდო მესაიდუმლე, ჩემი სასიკეთო საქმის თანამოზიარე.

ბატონო მარლენ! ამის გარეშე სიტყვას არ დავიწყებდი, დიდად პატივსაცემო მეზობელო, ახლობელო, განუსხვავებელო ოჯახის წევრებთან,ისევე საგოგმანებლად დარჩებით ჩემს გულში.

დასრულდა ომში დაკარგული მამის სახლი,

მოაწყეთ მცირე კომფორტი და მარადისობაშიც გადადგით ნაბიჯი, გელოდებათ დედა! ომში დაკარგულის ქვრივი, რომელმაც ალალი, პატიოსანი კალთით დაგზარდათ სამი ობოლი და ყველამ შეისისხლხორცეთ დედის ჩვევები... ეს იყო ტრადიციები რომელითაც საოცარად განსხვავებდათ ნებისმიერი ადამიანისგან თვისებებით.

მწარედ მოსასმენი და დასანახი იყო, როდესაც იტყოდით,ხომ დავაფასე დედის ამაგიო და თვალზე სინანულის, მონატრების ცრემლი მოგორავდა. ტკბილად იძინეთ,თქვენი გამზრდელი დედის გვერდით, თქვენი სული იპოვის უცნობ მონატრებულ მამას, რომელსაც დიდი ტკივილით იხსენებდით, ის ხომ სხვის მაგივრად წაიყვანეს ომში...

არ მინდა თქვენთან დამშვიდობება ჩემო ტკივილო და მწარე მოგონებავ. ჩემგან მიდის

ჩემი დედის და მამის ძმა თქვენი სახით,

ადგილს ვერა ვპოულობ, ცრემლი ზღვას უერთდება.ვუსამძიმრებ ოჯახის ყველა წევრს.

მარლენი მჭედლიშვილმა დაამთავრა ყვარლის რაიონის საბუის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, დიდი სიყვარულით იხსენებდა ამავე სპოლის იმდროინდელ დირექტორს მედეია რობაქიძეს უნიჭიერეს ქიმიკოსს, ჩემს დიდ ქიმიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვსო. ერთ დდღეს დამიბარა კაბინეტში და მითხრა ყოველ დღე მოხვა ჩემთან სახლში მოსამზადებლად, როდესაც მივიდოდი გამოიტანდა თაფლს კარაქს, სხვადასხვა საჭმელს და

მეტყოდა ჯერ დანაყრდები და მერე ვიმეცადინოთო. მან იცოდა რომ მე ქიმია არ მიჭირდა, იცოდა რომ ეკონომიურად გვითირდა და იმიტომ მივყავდი ეჭმიაო. მარლენი მჭედლიშვილის ძალიან გაუსაძლისი ბავშობა აქვს გამოვლილი,უმამოდ დარჩენილი დედის სინაბარა სამი ობოლი, ბევრჯერ პურიც არა გვქონდაო ერთი წელი ლოგინად ჩავარდა, ამ ამბის მომსწრენი იგონებდნენ სანახავად რომ შევდიოთით წიგნები გულზე ელაგაო, წლის ბოლოს ყველა გამოცდა ვინც მასწავლებელს უსმენდა იმათზე კარგად ჩაბარაო.

მარლენი მჭედლიშვილმა სკოლის დამთავრების წელსვე შეიტანა იმდროინდელ გეპეიში საბუთები.მწარე მოსასმენი იყო როდესაც ამბობდა სამი გამოცდა ხუთზე ჩავაბარე და მეოთხე გამოცდაზე შუა გამოკითხვის დროს გადავვარდი გული გამეპარა შიმშილის გამოო...

ამის გამო გარეთ დავრჩი და მეორე წელს ჩავირიცხეო. მარლენი მჭედლიშვილს თექვსმეტი სახელმძღვანელო აქვს გამოცემული რომელიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ისწავლება.

ტუნისში და აღჟირსი ყოფნისას გამოსცა ოთხი სახელმძღვანელო და დღემდე ისწავლება ორივე ქვეყნის უნივერსიტეტებში.მხიარულადა ჰყვებოდა და ხმამაღლა ეცინებოდა...მოსკოვში შეგვაგვიანეს და რომ ჩავედი ტუნისში დავრჩი უმუშევარი ჩემზე წინ ჩასული დაასაქმესო, ორი თვის მერე გამოჩნდა გეოგრაფიის ლექცია წასაკიხიო, რა ვქნა უმუშევრობას, შევედიო.მალევე გამოჩნდა ქიმიის ლექცია წასაკითხი და იმავე სტუდენტებთან უნდა ჩამეტარებინა,დიდად განვიცადე როგორ მიიღებდნენ სტუდენტებიო. რამდენიმე დღე რომ ჩავატარა ადგა ერთი სტუდენტი და მეუბნება, პატივცემულო, თქვენ შესანიშნავად ჩაატარეთ გეოგრაფიის ლექცია, ახლა ქიმიის ლექცია არანაკლებ უკეთესია, რა ხდებაო?

მაშინ მოუყე სტუდენტებს გეოგრაგიის ლექცია დაგვიანების გამო მომცეს ისე ქიმიმიკოსი ვარო.თქვენ არა მარტო ქიმიკოსი კომპიუტერი ხართო!..როდესაც საქართველოში ბრუნდებოდა მან წამოიღო გამოცემული სახელმძღვანელოების მხოლოდ თითო ეგზემპლარი.როდესაც გადმოვდიოხით საზღვარზე და შეგვამიწმეს გაკვირდნე არაფერი არ მომქონდა იმათიო, გაუკვირდათო, მე ასე უთხარი რატომ წავიღო აქედან როცა ჩემს ქვეყანაში ყველაფერია... მხოლოდ ოთხი სახელმძღვანელო მომქონდა იქ გამოცემული და ისიც ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამა მთხოვა და ვაჩუქე სახლში აღარა მაქვსო.

მარლენი მჭედლიშვილი იყო კახეთის და თავისი კარ მიდამოს დიდი მოყვარული,ყოველ შაბათ კვირას მოდიოდა თვითონა სხლავდა, აკავებდა და ახვევდა ზურგითა სწამლიდა და იტყოდა დედაჩემის და მამაჩემის მამულს არ გავაპარტახებო... აი ასეთი უბრალო და დიდი ბუნების ადამიანი იყო. ჩვენს სოფელში და გარშემო სოფლებში თუ ვინმე მივიდოდა მასთან უფასოდ ამზადებდა,ოღონდაც ესწავლათ, მისი მომზადებული ინსტიტუტის გარეთ არავინ

დარჩენილა.როგორც პატარა ბავშვს ისე შესსაქმებდი, მისგან ღალატი არ არსებობდა.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ცხრამეტი რიცხვი

გარდაცვალების დღე მოდის, შვილო,
ძალიან მწარე, ცხრამეტი რიცხვი,
უძლიერესო, თბილო და ტკბილო,
მე რაც მაკვნესებს მხოლოდ შენ იცი.

შენ და ბეჟანიმ მერე კი დათამ,
ცას გაიყოლეთ ახალგაზრდობა,
მე როგორ ვცოცხლობ, ბევრს უკვირს
მართლაც,
დარდი ყოველდღე მე რომ მადნობდა!

ბოლო სადგური

მაშინ მოსწავლე იყავი, დედი,
და აივნიდან ზომავდი სივრცეს,
შენ რომ იცოდე, რამდენჯერ ვკვდები,
კვლავ იმას ვცდილობ, სხვას რაღაც მივცე.

გულკეთილობით, შენ გგავარ, შვილო,
გულიც შენი მაქვს, თბილი, გამმეტი,
მიმტევებლობას ძალიან ვცდილობ...
ბევრი საქმე მაქვს, თან თავსატეხი.

მანდეთ წამოსვლას, ჯერ მე არ ვფიქრობ,
ბოლო სადგური ისეც მანდ არის,
ცეცხლს, გულში ანთილს ისევ მე ვიქრობ,
მსურს ავაყვავო, სულის ბაღნარი.

სულ არცვალ-მარცვალ ვფანტავ წიგნებში,
მისამღერების სიტყვების სოლოს,
ვითომ აქა ვარ, მგონია არც ვარ,
მჯერა და ღრმად მწამს, დავფასდე ბოლოს!

ხშირად მესიზმრე

ნუ დამაბერე მონატრების საღამოებით,
გამომაცოცხლე, დავემგვანე გადამხმარ ბალახს,
ვეღარ გავძელი ამავ ქცეყნის ამაოებით,
უშენოდ შვილო, ჩემს სიცოცხლეს ყოველდღე ვკრძალავ.
როგორ მოვირგე, უდარდელი როლი დედიკო,
კარგად ვასრულებ, ტაშს მიკრავენ, არა მიშავს რა...
დამტოვეთ ძმებო, ამირანო, თამაზ, ლევიკო,
ცას შემოვყურებ ველოდები, წამოსვლის ნიშანს.
სიზმარში ვარდი მომიტანე ცხადი მეგონა,
გაზაფხულივით გადიპენტა დარდი საერთოდ,
ავცისკროვანდი, როგორც ერთი ცელქი გოგონა,
ხშირად მესიზმრე, წამოსვლამდე მეც რომ გავერთო!

❤❤❤❤❤❤❤❤❤❤

გლოცავთ ჩემი მამა ამირანი

ზეცას ვუღიმოდი, სადაც სული,
ღამის ვარსკვლავებთან ათინათობს,
ბედით ღმერთან არის გარდასული,
ისე თბილი არის მაინც მათბობს,
კბილთა სითეთრეთი ვაგრძნობინე,
რომ კვლავ ღიმილია მიწიერთა,
გულს, რომ ტკივილებით ვამყოფინე,
ხორცი ლამის მიწამ შეიერთა.

აღარ აუტირდი ცათა სულებს,
თვალშიც ცრემლი წამში გადავმალე,
იებს გაუღიმე ამოსულებს,
შვილის მოფერება დავავალე.
აღარ დაიდარდო ჩემო შვილო,
ყველა ჩემიანი შენთან არის,
გელას მიმიხედეთ მამიშვილნო,
გლოცავთ, ჩემი მამა ამირანი!

არ დაგამძიმებთ

დილა გათენდი, მზის სითბომ სივრცე,
რომ ამოაშროს, სევდის ნაწვიმი...
ავდრების შემდეგ ვიცოცხლო ისევ,
გულს იმედებო, შემონაწილიდით.
მეც, დარდიანი დედა ვილოცებ,
შევევედრები ყველა სალოცავს,

ფიქრით მომავალს გამოულოცე
და ჩაუტარე ჩემ თავს გამოცდა.
არ დავიჩოქე, ძირს არ დავარდი,
ვიტირე, მაგრამ არ ვიწუწუნე,
იასამნები ისევ დამბარდნის,
თუ გულს ტკივილი გამოუწურე!



არ გიხსენებთ: – ჩემთვის ცოცხლები ხართ. დათა და ამირან!

ეს სურათი უყვარდა

ქალბატონი ნაირა ნიჟარაძე ვის არ ახსოვს თავისი ნიჭით, სინაზით, სიფაქიზით. დიახ! ყველას ახსოვს და არც არასდროს დაივიწყებენ. ასეთები აქ რჩებიან და ცაში კი მიაქვთ სიკეთე და სიცოცხლეში დათესილი მადლი. ქალბატონი ნაირა, ახლა უფალთან არის. რა მნიშვნელობა აქვს, რადენი წლის წავიდა. თუმცა მაინც ვიტყვი. ქალბატონი ნაირა ნიჟარაძე ოთხმოცდა ცხრა წლის გარდაიცვალა. ეს სურათი უყვარდა, ამ სურათით იბეჭდებოდა ჟურნალ „ათინათში“. პრემია, რომელიც მისი სურათის გვერდით არის, აკადემიაში დატოვა. არ ვიცი რატომ, მან ასე მოისურვა. თუმცა მას, სხვაც ბევრი აღიარებები ჰქინდა. არასოდეს არ შეგაწუხებდა. როცა სიტყვას ეტყოდი, იტყოდა დინჯად და ისაუბრებდა საინტერესოდ. ვერ გავიმეტე გასახსენებლად, აქამდე. მინდოდა ისევ ასე გვეფიქრა, რომ შემოგვიღებდა აკადემიის კარებს, გაგვიღემებდა და მოწესრიგებულად ჩამოჯდებოდა სკამზე. მერე მოიკითხავდა ყველას. აკადემიის წევრებო: – ვინც იცნობდით, ამ კოპწია ქალბატონს, აღარ დაურეკოთ, რადგან ის უფალთან არის. აღარ შეაწუხოთ, რადგან ის თავის გარდაცვლილ შვილთან არის. რონისძიებაზევ არ დაპატიჟოთ, რადგან ოცდაათ იანვარს, ზეცაში ბატონი გურამ ჭავჭანიძის საღამოზე იქნება მიწვეული. ცაში თავს მოიყრიან ერთად. გურამ გედევანიშვილი, ნუგზარ ნადარაია, ბეჟან ხარაიშვილი, გიორგი ბეჟიტაშვილი, ამირან ლომაძე, ნაილი ხეთერელი-ხარაიშვილი და ვინ მოთვლის რამდენი წავიდა ჩვენი ნიჭიერი ხელოვანნი. ქალბატონო ნაირა, მარადიული უკვდავება გარგუნოს უფალმა ცაში და აქ კი მოგონებას არ მოგაკლებთ ძვირფასო ქალბატონო.

ბახვა და კლავდია სამხარაძე

იცხოვრო ტკბილად, ერთი აზრით გაერთიანებით, შეთამხმებით ეს უკვე ღვთის წყალობაა. ბახვამ და კლავდიამ სიყვარულით შექმნეს ოჯახი და სიყვარულით დაზარდეს შვილები. თბილისისა და ზესტაფონისს გზებზე იფრქვეოდა მზის სხივებით გაბეწყინებული ათინათები. ასე გადააბაჯეს ოთხმოც წელს. ამ შეხამტკბილებული ოჯახის ურთიერთობა, არ გამოპარვია მსოფლიოში ერთ-ერთ აღიარებულ მხატვარს, ალექსანდრე ციხელაშვილს. დახატა და შექმნა ქართული სულით ამაღლებული წყვილის პორტრეტი. კლავდია და ბახვა სამხარაძე მრევლი იყო, ამაღლების ეკლესიის. ნაზიარები და მომზადებული წავიდა ქალბატონი კლავდია უფალთან. დარჩა ბატონი ბახვა თავის დიდ იდეებთან. აგრძელებს გზას წმინდად და უღალატოდ. აშენებს და ქმნის. ბატონი ბახვასი და ქალბატონი კლავდიას სულის სიმშვიდე უფალთან სიახლოვე იყო. ეს ტკბილი ოჯახი გახლავთ, ამაღლების ეკლესიის საძირკველიდან აშენებამდე გვერდში მდგომი და შემწირველნი.ახლა ქალბატონი კლავდია ზეცაშია და იქიდან ლოცავს, ოჯახს და თავის საყვარელ ხალხს.

ლამარა შეყილაძე

ჩემი ორი უსაშველო ტკივილი

ჩემს ალიკას და ზურას

ვერ მოგილოცეთ ახალი წელი
ვეღარ გისურვეთ ჯანთა სიმრთელე.
მკლავს... უთქვენობის ტკივილი მწველი
საფლავებისთვის ვერ გაგიმეტეთ.

ჩემთვის სამყარო დაცარიელდა,
სული ამევსო დარდის წვიმებით.
რას ვიფიქრებდი ჩემს შვილს და დის შვილს,
ორთავეს მე თუ დაგიტირებდით.

დავბორიალებ ქუჩებში ობლად
იქნებ და თვალი დაგლანდოთ სადმე
ჩემთვის ვბუტბუტებ და ვიცრემლები
რად არ წავედი მე თქვენზე ადრე.

ცოდვებით სავსე წუთისოოფელში
ვერ ვუმკვლავდები ცხოვრებას უნდოს
საფლავის მიწა მიჭირავს ხელში
და მენატრები, უფრო და უფრო...

სიცოცხლეს უკვე ხელი გავუშვი
დავემშვიდობე ამ ქვეყნის ძრწოლვას.
გადამავიწყეთ სიკვდილის შიში
და შემაჩვიეთ საფლავში წოლას.

მუხლმოდრეკილი მლოცველი თქვენზე
სანთლებს და ლოცვას გიგზავნით საგზლად
მე, ჩემს სიცოცხლეს დავთმობდი თქვენთვის
თუმც ჩვენ ვინ გვკითხავს მოსვლას ან წასვლას...

მზე არის სულთა თავშესაფარი
თქვენც ციურ მნათობს შეუერთდებით
ყოველ ცისმარეს ამოხვალთ ცაზე
და დედამიწას გადმოენთებით...

შეჩერდი

მხარს ვუჭერთ უკრაინას

დღეს თბილისში მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა და თანათავმჯდომარემ ბატონმა რეზო მიშველაძემ, მწერლებთან ერთად, მხარი დაუჭირეს უდანაშაულო უკრაინას და დაგმეს აგრესიული რუსეთისგან გამოწვეული სისხლიანი ომი. სიტყვით გამოვიდნენ, პოეტები: ქალბატონი მზია ხეთაგური, ქალბატონი ნანა ცინცაძე და სხვები. დავტოვე თბილისი და გზაში დარდი მომდევდა. გულში შეშფოთებული ვიმეორებდი სიტყვებს. როდემდე ღმერთო!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

რამდენჯერ

რამდენჯერ გულს ჯვარცმა უნახავს,
რამდენჯერ ომებით მტკენია,
შეჩერდი! მითხარი ვინახარ,
შეჩერდი! ნუ მოკლავ შენიანს.
ვისა კლავ, რადა კლავ ცოდვილო,
სამყარო არ არის შენია,
შეჩერდი! შენ დედის შობილო,
არ ინდობ არც სხვას და ჩემიანს.

მოხვდები

რად ცდილობ შენი იყოს სამყარო,
გაქტანჯავს ქვეყნების ცოდვები,
მიწიდან კვდრებიც გსურს აყარო,
ამისთვის შავ კუპრში მოხვდები.

მილოცვა

ნიკოლოზ მექვაბიშვილს და თამარ სხირტლაძეს, ბედნიერებას ულოცავს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სართაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ფიქრის შარბათი

(ნიკოლოზ მექვაბიშვილს
და თამუნა სხირტლაძეს)

სურნელი გიდით ნაზი იების,
სიყვარულით კი გული გიზგიზებს,
იდუმალების წრფელი მთიები,
ორივემ ერთად შემოიხიზნეთ.
უერთმანეთოდ არც ერთი წუთი,
ასოცი წელი ერთად გალიეთ,
თქვენი ჰაერის ამონასუნთქი,
ფიქრის შარბათი უკვე დავლიე.
ნიკოლოზ თამო, არის ალალი,
გულწრფელი როგორც დედის ლოცვაა,
ვაზის ლერწია, საღი წალამი,
უბიწი ნამის ცვარის კოცნაა!

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
*** უფალო დამიმშვიდე ერი 2
გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი, არჩილ სარჯველაძე 3
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი 6
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უნდა იცოცხლო უწმინდესო 7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) . 8
გულნაზ ხარაიშვილი 9

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ვაჟა ეგრისელი 10
რუსუდან ფაილოძე 14
ეთერი ჭელიძე 18
მალვინა ჭელიძე 20
ამირან ამირანაშვილი 22
გიგი თეთრაძე 25
ედუარდ უგულავა 26
ნათია დაშნიანი 28
თემურ გოგსაძე 30
თეა გურგენიძე 32
ეკატერინე ნადირაშვილი 33
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 34
კახა სამყურაშვილი 36
გერონტი მესხი 38
ხათუნა ჩიტაძე 40
ნანა მომცელიძე 42
მამუკა ოჩიაური 44
გერმანე საზანოელი 46
ნინო უძილაური 48
აზა შანავა 50
მზია ელიაძე 59
ნიკა ფუხაშვილი 60
ცაგო აბაშმაძე 60
ლეილა ვადაჭკორია 64
კობა ადეიშვილი 66
ნანა ჩარკვიანი 70
გიორგი ზუბიტაშვილი 74
ლია ხმიადაშვილი 76
მარინა იმნაიშვილი 80
თამრო სვანი-ნიუარაძე 82
მირზა ვარძუკაშვილი 86
ლიანა კაკუბავა 90
ლია ჯავახიშვილი 96
ირინა ხურციძე (ირინოლა ტყეშაველი) 98
დავით სხირტლაძე 101
თამთა ნასრაშვილი 102
თამარ ფიცხელაური 106
ირმა ალფაიძე (ირმა იმერელი) 109
ირმა სარაული 110
მანანა სამყურაშვილი 112
ლელა კობერიძე-ჭიაურელი 116
ნელი საგინაძე 118
ხათუნა დოლიძე 122
თინიკო ხაბურზანია 124
ნელი გიუნაშვილი 126
ლამზირა შეყილაძე 128
ეთერ ლობჟანიძე 130
ტატო ხარატიშვილი 132
შორენა ჩხიკვიშვილი 134
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 135

ᲡᲠᲣᲚᲧᲕᲘᲜᲧᲔᲑᲐ ᲛᲝᲚᲕᲬᲔᲗᲐ

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 141
ბეჟან ხარაიშვილი 142
ფიდო ნიუარაძე 143
გურამ ჭავჭანიძე 144
გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი) 145
ნაირა ნიუარაძე 146
ალეკო დოლბაია
ასეთი კაცები აკლია დღეს საქართველოს 147
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
ვინ იყო ოლეგ მელაძე 148

ᲮᲡᲝᲒᲕᲨᲕᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ცაგო აბაშმაძე 149

ᲞᲠᲝᲖᲐ

მაყვალა გონაშვილი
ქართული კულტურის რაინდი 154
ლიანა კაკუბავა
ნოველები 159
რეზო ადამია
ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კეკუა ... 164
მზია ელიაძე
ბგერათ კორიანტელში 168
მანანა სამყურაშვილი
ქალ ქვა...ლეგენდა... 171
ნელი საგინაძე
ქევხიაანთ ქალი. ნოველა 176
ირმა კეკელიძე
დოკუმენტური პროზა. მართა 181
მარინა ღონღაძე 186
ხათუნა დოლიძე
ობლები და შინაბერა 188
ელგუჯა მგელაძე 190
შორენა მამალაშვილი
მურად ჭოლოკავა 197
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 200
შორენა მამალაშვილი

სისხლი გვავალებს... 213

მოგზაური

ჯუმბერ ლეჟავა 215

ფიზკულტურა და სპორტი

ჯემალ არობელიძე 216

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
გონების ზღვარზე (აზრები) 220

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი 223

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
ბრალის თეორია 226

სამართალი

თამარ კერძაია, თათია ხაბეიშვილი
სავალდებულო და ნებაყოფლობითი ვაქცინაცია: საერთაშორისო პრაქტიკა 229

წერილები

ლუარა სორდია
ასტრალური მოგზაურობა 234

მანანა კვატაია
„უცნობი საქართველო“ – ტექსტი და კონტექსტი 242

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე
„შეიცან თავი შენი!“ სიტყვაა უდიდესი! 245

კლარა გელაშვილი 248

ხელოვნება

ანა ნიკოლაიშვილი 252

ისტორია

ნიკო ხერკელაძე
ცრემლში ნალესი ხმალი 255

გოჩა ჭელიძე
თამარ მეფის შესახებ 259

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი. ბიზნესის კვლევის საგაზისო ელემენტები 265

ნორჩი ათინათელი

ნუცა ჩიტაძე 273

გირგი ქენქაძე 274

ირაკლი ბეჟანიძე 276

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

ნიჭიერი სხირტლაძეები 280

ანა და ლუკა სხირტლაძეები 280

ლუკა სხირტლაძე 281

ანა სხირტლაძე 284

ნიკოლოზ მელაძე და ბარბარე მელაძე 287

გახსენება

მანანა სამყურაშვილი
წავიდა! – მარლენი მჭედლიშვილი!!! 289

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 291

ლამარა შეყილაძე 294

ეჩერდით

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
მხარს ვუჭერთ უკრაინას 295

მილოცვა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)
მესტუმრე გაბუა ხშირად (გაბუა ალუდაურს) 296

ავტორთა სყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთიშობელი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების რედაქტორები: ჯემალ მეგრელიძე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი